

ბორის დარჩია

# რუსთველოლოგიური გამოკვლევები

I



გამომცემლობა „ანიკვარსალი“  
თბილისი 2010

წიგნში განხილულია ცალკეული რუსთველოლოგიური პრობლემები: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაგება და დადგენა; ქრისტიანული თეოლოგიისადმი მიმართება; ხელნაწერთა კლასიფიკაცია – ძირითადი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების გამოყოფა, მათი რედაქციული თავისებურებანი და წარმომავლობა. თანამედროვე რუსთველოლოგიაში გაბატონებული უეცილობა, პლაგიატობა და მიზანმიმართული განუკითხაობა; სხვადასხვა სადავო რუსთველოლოგიური საკითხი.

ნაშრომი მთლიანად მეცნიერულია და უპირველესად განკუთვნილია რუსთველოლოგთა, ძველი ქართული მწერლობის მკვლევართა და რამდენადმე, საერთოდ, ამ საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ეს წიგნიც, ნოგორც წინა ორი, გამოდის ჩემთვის მარად დაუვიწყარი ბიძაშვილისა და ბავშვობის მეგობრის ომარ ილიას მე დარჩიას (1935–1999) ვაჟის ილო (ილია) დარჩიას დახმარებით. ჩემი ეს დიდი მოამაგე ორ წელზე მეტია, უმუშევარია, მაგრამ დიდად დამფასებელი და მოსიყვარულეა ქართული კულტურის, მეცნიერების... ახლობლისა და ნათესავისა და ეს საქმეც შეძლო.

**რედაქტორი – მურმან თავდიშვილი**

© ბ. დარჩია, 2010

გამომცემლობა „UNIVERSAL“, 2010

თბილისი, 0179, ი. შავეჩაძის ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-046-1



წიგნში შესული ნარკვევები (გარდა ბოლო, მეოთხე, თავისა) შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში წლიური თემატიკური გეგმებით არის შესრულებული და დიდი უმრავლესობა ადრე სტატიებადაა გამოქვეყნებული (თუ როდის და სად, იქვეა აღნიშნული).

წიგნის სიდიდისა და შესაბამისად გამოცემის ხარჯების გამო ამჯერად გვერდზე ვტოვებთ ჩვენს როგორც ზოგიერთ დაბეჭდილ, ისე გამოუქვეყნებულ ნაშრომებს<sup>1</sup>. გვაქვს

<sup>1</sup> გამოქვეყნებული გვაქვს და აქ არ შემოგვიტანია შემდეგი სტატიები:

1. პოეტს არ დასჭირდა... (იხსენიება თუ არა ჭადრაკი „ვეფხისტყაოსანში“?) – გაზ. „ლელო“, 29 იანვარი, 1966, № 20, გვ. 3.
2. სიცილი ვეფხისტყაოსანში – კრებ.: ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, თბ., 4, 1968, გვ. 199–212.
3. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოქვეყნების გამო – ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, IV, თბ., 1973, გვ. 102–122.
4. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა პ. კარბელაშვილისეული პუბლიკაციის რედაქციული სახის დადგენისათვის – ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, V, თბ., 1973, გვ. 16–27.
5. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის ორი ფურცელი – ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VI, თბ., 1974, გვ. 108–113.
6. „ვეფხისტყაოსნის“ თავნაკლული პროლოგის წარმოშობის შესახებ – ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII–VIII, თბ., 1976, გვ. 157–170.
7. ხატაელთა ამბის ხელნაწერის ფრაგმენტი – „მაცნე“ (ელს), № 4, 1980, გვ. 47–53.
8. ვეფხისტყაოსნის გამოცემები მშობლიურ ენაზე – ალმანახი „მწიგნობარი–82“, თბ., 1983, გვ. 21–39.
9. მეცნიერებას სიზუსტე უყვარს – გაზ. „დილის გაზეთი“, 14 მარტი, 1996, № 3, გვ. 6.
10. ყუთლუ–არსლანი და რუსთველი – „დილის გაზეთი“, 1996, № 220, გვ. 11.
11. „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტთა ჩვენების წესების გამო – გაზ. „კალმასობა“, იენისი–ივლისი, 2002, № 6, გვ. 11.
12. უმართებულო ბრალდების გამო (პ. მურადიანს მიაჩნია თუ არა „ვეფხისტყაოსანი“ სომხურ ძეგლად) – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 იანვარი, 2003, № 25, გვ. 6.

დასამუშავებელი საკითხებიც, თუ შევძელით მისი განხორციელება. თუო იმიტომ ვამბობთ, რომ, გარდა ნაირნაირი სიძნელეებისა, საქართველოში გაბატონებული ანტიერონული ორგანიზაციებისა და ფონდების მიერ აღზევებულმა და ლიტერატურის ინსტიტუტში ერთმანეთისთვის მხარიმხარმიცემულმა ანტიმეცნიერულმა დაჯგუფებამ ირმა რატიანის, ელგუჯა ზინთიბიძის, რევაზ სირაძისა და მათი ამფსონების შემადგენლობით მეცნიერებას მეც ჩამომაშორეს და „ჩამრეცხეს“. თუ რატომ და როგორ, ამაზე ჩემს წიგნებში მაქვს საუბარი – „უეიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ (თბ., 2008, 330 გვ.) და „იაკობ შემოქმედელი“ (თბ., 2009, 575 გვ.).

---

13. ვაი, ჩვენს თავს! (გამოხმაურება „ვეფხისტყაოსნის“ რ. სტურუასეულ შეფასებაზე) – „მწერლის გაზეთი“, 23–29 ოქტომბერი, 2003, № 33, გვ. 2.

14. ერთი ჩვენი თვალსაზრისის სწორად გაგებისათვის – გაზ. „კალმასობა“, დეკემბერი, 2003, № 9, გვ. 11.

15. შოთა რუსთველი თუ სულხან-საბა ორბელიანი – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 13 ოქტომბერი, 2003, № 274, გვ. 3.

16. „ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეული ხელნაწერის რედაქციული დახასიათება – პირველი ნაწილი, კრებული, „რუსთველოლოგია“, III, თბ., 2004, გვ. 19–46; მეორე ნაწილი, „რუსთველოლოგია“, IV, თბ., 2005–2006, გვ. 192–221.

17. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები – „მწიგნობარი–06“, თბ., 2006, გვ. 93–100.

18. ვის გამოექცა ტარიელი? – „ლიტერატურული ძიებანი“, № XXVIII, თბ., 2007, გვ. 74–79.

19. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებები – „მწიგნობარი–07“, თბ., 2007, გვ. 52–72.

20. კომიკური „ვეფხისტყაოსანში“, – „რუსთველოლოგია“, V, თბ., 2008–2009, გვ. 32–87.

21. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერის პუბლიკაციის გამო – „მწიგნობარი–09“, თბ., 2009, გვ. 192–215.

22. ორი იოვანე – გურამ კარტოზია – 75, თბ., 2009, გვ. 179–186.  
მაქვს რამდენიმე დაწერილი და გამოუქვეყნებელი სტატია.

ვიბრძვი ყოველმხრივ გაუსაძლის პირობებში მიგდებული  
– უსახსროდ, 108-ლარიანი სტიპენდიის ამარა, დარჩენილი;  
როდესაც ჩემს ბინაში, ზედიზედ ოთხი ზამთარია, არავითარი  
გათბობა არ ყოფილა; სხვას რომ თავი დავანებოთ, ეროვნულ  
ბიბლიოთეკაში წასასვლელად თვეში, სულ ცოტა, 30 ლარი  
მჭირდება; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ყველა არქივი  
და მუზეუმი ფასიანია და ა. შ. ვნახოთ, ამ უბედურებაში  
მარტო ენთუზიაზმით რას მივალწევ!



ლიტერატურა, მცირე გამონაკლისის გარდა, აღნიშნული  
გვაქვს იმ გამოცემებით, რომლებიც სტატიის დაწერისა და  
პირველი პუბლიკაციისას გამოვიყენეთ. ციტატებში, სადაც  
მითითება არ არის, დაყოფა (ხაზგასმა) ჩვენია. ავტორები  
წიგნში დასახელებული გვყავს სამეცნიერო წოდებებისა და  
ხარისხების მიუთითებლად.

წიგნი თავიდან ბოლომდე ძველ და ნათხოვარ კომპიუ-  
ტერზე ჩემ მიერაა აწყობილი.

უღრმეს მადლობას მოვახსენებ ამ წიგნის ცალკეული  
ნაწილების ამობეჭდვაში დახმარებისთვის მერაბ ცინცაძეს.

უღრმესი მადლობით უნდა აღვნიშნო რედაქტორ მურმან  
თავდიშვილის მიერ ამ წიგნზე გაწეული უდიდესი შრომა და  
ამაგი. მის მიმართ მთელი სიამაყით უნდა გავიმეორო  
„ვეფხისტყაოსნის“ ოდნავ გადაკეთებული სიტყვები: „ვთქვა:  
ჩემებრი რედაქტორი, ნამღევი ვარ, ვისმცა ჰყავსა“.

ნაშრომი პირველწყაროებსა და მათ ანალიზს ეყრდნობა. სტროფთა ნუმერაცია, ხელნაწერთა ლიტერები და პირობითი აღნიშვნები აღებულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა<sup>1</sup> და ძირითად გამოცემათა<sup>2</sup> ვარიანტების წიგნებიდან. ამასთან ერთად, მიღებულია ის ცვლილებები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის ვარიანტებიან გამოცემაში<sup>3</sup> განხორციელდა. გარდა ამისა, აქ დამატებულია ის ხელნაწერები, რომლებიც ბოლო დროს გამოავლინეს სარგის ცაიშვილმა და სხვებმა და რომლებიც თავის დროზე არ შესულა დასახელებულ წიგნებში. ესენია: Y' – ბორჯომის მუზეუმის ხელნაწერი, Z' – Q 1075, W' – Q 1335, B<sup>2</sup> – Q 768, F<sup>2</sup> – H 422, V<sup>2</sup> – Q 279, a –ახალციხური ფრაგმენტი.

ა) „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და მათი ლიტერები

A- H 757	A' – K 383
B- H 54	B' – H 964-ა
C- H 2074	C' – S 1675-ა
D- Q 1082	D' – H 1839
E- H 599	E' – Q 483
F- S 2829	H' – S 1727
G- S 4988	I' – H 412

<sup>1</sup> ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები ოთხ ნაკვეთად, თბ., გამოსაცემად მოამზადეს: ნაკვ. პირველი სოლომონ ყუბანეიშვილმა (1960). ნაკვ. მეორე ლიანა კეკელიძემ (1961), ნაკვ. მესამე პერიგუგუშვილმა (1962) და ნაკვ. მეოთხე ივანელოლაშვილმა (1963).

<sup>2</sup> ვეფხისტყაოსნის ძირითად გამოცემათა ვარიანტები, გამოსაცემად მოამზადა ვახტანგ ბაკაშვილმა, სტროფთა საძიებელი შეადგინა ბორის დარჩიამ, თბ., 1964.

<sup>3</sup> ვეფხის ტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, I, შოთა რუსთველი, ტექსტი და ვარიანტები, თბ., 1966.

H- H 2610	J' - H 783
I- Q 261	K' - G 2315
J- H 461	L' - ვ. ასლანიშვილის
K- S 4499	ხელნაწერი
L- A 363	M' - A 1143
M- Q 779	N' - H 66
N- S 3077	O' - Q 799
O- K 205	P' - S 2525
P- S 1418	Q' - C 10768/191
Q- K 215	R' - D 12904/190
R- Q 930	S' - M 48
S- H 3249	T' - H 248
T- W 17	U' - A 654
U- S 5006	V' - ი. გრიშაშვილის
V- H 3061	ხელნაწერი
W- ვახტანგ VI-ის 1712 წლის	X' - S 5207
გამოცემა	Y' - ბორჯომის მუზეუმის
X- P 10	ხელნაწერი
Y- H 740	Z' - Q1075
Z- W 27	W' - Q 1335
a - ახალციხური ფრაგმენტი	B <sup>2</sup> - Q 768
F' - S 4527	F <sup>2</sup> - H 422
G' - Q 796	V <sup>2</sup> - Q 279

## ბ) ხელნაწერთა სამუზეუმო ფონდები

A - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის<sup>4</sup> ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდი.

S - იმავე ინსტიტუტის ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი.

<sup>4</sup> 2007 წლიდან ამ ინსტიტუტს ეწოდება „საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაწესებულების თანამშრომლებმა ბევრი იბრძოლეს, „ცენტრს“ კორნელი კეკელიძის სახელი შენარჩუნებოდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მათი თხოვნა და მუდარა არად ჩააგდო.

H – იმავე ინსტიტუტის ყოფილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდი.

Q – იმავე ინსტიტუტის ახალი ფონდი.

K – ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი.

C – გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერი.

D – იმავე მუზეუმის ხელნაწერი.

M – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ს. - პეტერბურგის განყოფილების ხელნაწერი.

W – ოქსფორდის ბოღლის ბიბლიოთეკის უორდროპის კოლექციის ხელნაწერი.

P – პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი.

### გ) პირობითი ნიშნები

... მრავალწერტილი ვარიანტებში ნიშნავს: ხელნაწერში აღნიშნული ადგილი მოხეულია ან არ იკითხება.

– ხელნაწერი მოცემულ წაკითხვას აკლებს. მაგალითად: „ცილობა – T“ ნიშნავს: „ცილობა“ არ არის T ხელნაწერში.

+ ტექსტს ემატება. მაგ.: „ყოველთა + მითვე T“ ნიშნავს: ძირითადი ტექსტის „ყოველთა“-ს ხელნაწერი უმატებს სიტყვას „მითვე“.

~ სიტყვები გადაადგილებულია. მაგ.: „ძალი მომეც ~ T“ ნიშნავს: ხელნაწერში „ძალი მომეც“-ის ნაცვლად წერია „მომეც ძალი“.

] ნაცვლად. მაგ.: „მეფისა] ღიდისა T“ ნიშნავს: T ხელნაწერში „მეფისა“-ს ნაცვლად წერია „ღიდისა“.

0 სათაურია. მაგ.: „1861, 0“ ნიშნავს: 1861-ე სტროფის წინ არსებული სათაური.

არ იცნ – არ იცნობს. ნიშნავს: სტროფი არ მოიპოვება, თუმცა ხელნაწერი ამ ნაწილში დაზიანებული ან ფურცელდაკარგული არ არის.

აკლ – აკლია. იგულისხმება, რომ ფურცელი, რომელზედაც უნდა ყოფილიყო სტროფი, აკლია ხელნაწერს.

აღღ - აღღგენილია სხვა პირის მიერ სხვა ქალაღღზე.

აღღიღის მოღების მიზნით ვარიანტები, საღაც შესაღღ-ღებელია, შემოკლებით არის მოტანიღღი: ნაღვენებია განმას-ღვაღებელი ნაღიღები თავში, შუაში ან ბოლოში.

ღანსღვაღება თავში: „საღამღისინ (სასა- T)“ ნიშნავს: T-ში არის „სასამღისინ“; შუაში: „ღათურაკი (-თარ- T)“ ნიშნავს; T-ში არის „ღათარაკი“; ბოლოში: „წავიღღა (-ღეს T)“ ნიშნავს: T-ში არის „წავიღღეს“.

ვარიანტების ზენებისას სტროფთა სტრიქონები დანომ-რიღია ქართული ასოებით: ა, ბ, გ, დ. ბოლოს, რამღენიღე აღღიღას, იღიღე ასოები ღამოყენებული ღვაქეს აღრეთეე ძირი-თაღი რეღაქციული ჯღუფების აღმნიშენეღაღაც, როღორც ეს მოცემულია ზენს წიღნში: „ვეფხისტყოსნის ზენაწერთა რეღაქციები ღაღრღეღების მიხეღვით“ (თბ., 1975).

## „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაგებისა და დადგენის საკითხები

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაგებისა და დადგენის საკითხებს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მუდამ პრიორიტეტული ადგილი ეჭირა და დიდი წარმატებებიც იქნა მოპოვებული. ბოლო ორი ათეული წელია, ინსტიტუტში რუსთველოლოგია თანდათანობით კნინდება, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში ინსტიტუტის გადასვლის შემდეგ, რასაც ე. წ. რეფორმა მოჰყვა, აღნიშნული კვლევა-ძიება, ეს უდიდესი ეროვნული საქმე, თითქმის მივიწყებულია და მხოლოდ თითო-ოროლა მკვლევრის ერთუზიაზმის ანაბარაა დატოვებული. ინსტიტუტის სათავეში მოქცეულ „გლობალისტებზე“ (ინსტიტუტის დირექტორი ირმა რატიანი) ითქმის გენიოსი შოთას სიტყვები: „სხვაგან ქ ნ ი ს მისი გონება, მისმა თავისა წონამან“. მათ კიდევ უფრო შეესაბამება „ქნის“ მაგივრად ერთ ხელნაწერში გაჩენილი და გამოცემებში გამრავლებული ვარიანტი – „ქრის“!

ვისია აფორიზმი? –

„სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა  
მამაცისაგან!“<sup>1</sup>

ეს აფორიზმი, რომლის „სადაც“ ფორმას ზოგჯერ „საცა“ ენაცვლება, ჩვენში ფართოდ გავრცელებული და პოპულარულია. წერილობით წყაროებში ვხვდავთ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. თავიდან ავტორის განუსაზღვრელად, ზოგადად, „ქართულ ანდაზად“ ან „საანდაზო ლექსად“ იხსე-

<sup>1</sup> გამოქვეყნებულია კრებულში: რუსთველოლოგია, II, თბ., 2002, გვ. 236–243.



ნიება, შემდეგ და შემდეგ შოთა რუსთველს მიეწერება, ბოლო ხანს ხალხურადაც არის სახელდებული.

„ქართული ანდაზები“ - ამ სათაურით შესულია დავით ჩუბინაშვილის ქართული ქრესტომათიის 1863 წლის მეორე გამოცემაში<sup>2</sup>, სადაც ხალხურთან ერთად დაბეჭდილია ლიტერატურული შეგონებანი. ამგვარივე ხასიათისაა 13 წლის შემდეგ პეტრე უმიკაშვილის მიერ გამოქვეყნებული „ქართული ანდაზები“. აქაც იგი ავტორგანუსაზღვრელად არის წარმოდგენილი<sup>3</sup>. იგივეა გამეორებული მომდევნო საუკუნეში, 1955 წელს, დაბეჭდილ „ქართულ ანდაზებში“ (შემდგენელი თამარ ს ვ ი ნ ი ტ ი ძ ე, გვ. 153).

XIX საუკუნის 80-იანი წლებისა და მომდევნო დროის პუბლიკაციებში მას უკვე შოთა რუსთველისეულად მიიჩნევენ. 1884 წელს ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ჟურნალ „ივერიაში“ მოთავსებულია „საანდაზო ლექსებში“ და ახლავს განმარტება - „ვეფხვის ტყაოსნიდამ“ (№ V-VI, გვ. 75). ორი წლის შემდეგ იმავე ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“, ამჯერად გახეთად გადაკეთებულში, იბეჭდება რუბრიკით „დამაკვირდი“ და ქვეშ აქვს წარწერა - „რ უ ს თ ა ვ ე ლ ი“<sup>4</sup>. ერთი წლის შემდეგ „დამაკვირდი“ ცალკე წიგნად გამოდის და იქაც იგივე ვითარება გვაქვს - შოთა რუსთველის აფორიზმები ცალკეა

---

<sup>2</sup> ქართული ქრისტომატია, ან გამოწერილნი სტატიები სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან, ნაწილი II, ქართული ლექსები, ახლად დაბეჭდილი დავით ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი ს ა გ ა ნ, სანკტ-პეტერბურლი, 1863, გვ. 174. ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიის დედნები (S 2724, შავად ნაწერი გვ. 62r - 79v, გადართებული 81r-93r), მაგრამ ჩვენი საკვლევი თემისათვის საყურადღებოს ვერაფერს წავაწყდით.

<sup>3</sup> ქართული ანდაზები, ტფ., 1876, გვ. 30. ჩვენი აფორიზმი უშენიშვნოდ არის გადაბეჭდილი ავტორის თხზულებათა კრებულში: პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I, ლექსები, ანდაზები, გამოცანები; რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი (ს ა), თბ., 1937, გვ. 470.

<sup>4</sup> 29 იანვარი, 1886, № 22, გვ. 3.

გამოყოფილი და ეს ბრძნული გამონათქვამი იქვეა მოთავსებული<sup>5</sup>.

იმავე საუკუნის 70-90-იან წლებში ამ აფორიზმს თავის მხატვრულ, პუბლიცისტურ და ეპისტოლურ ნაწერებში იყენებს ი. ჭავჭავაძე. პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებულში“ იკითხება მისი პირველი ნაწილი:

„ღმერთს აცადეთ... დეე იქმნას,  
რაც ჩემს თავზე განგებულა!  
საცა არ სჯობს, გაცლა სჯობსო,-  
ბრძენთაგანა ასე თქმულა“<sup>6</sup>.

სხვაგან მწერალი მას სრული სახით იყენებს. „ოთარაანთ ქვრივში“ გიორგისა და დედის დიალოგია:

„ - წავიდეთ, ესლა კი ძილის დროა: «შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო», შენგან გამიგონია, დედი!

-«სადა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგანაო», მაშ, ესეც გაიგონე, ჩემო კარგო! - უთხრა დედამ“<sup>7</sup>.

ილია პუბლიცისტურ წერილში „ქუთაისის ბანკის საქმესთან“ დაკავშირებით ჩიკვაძეზე წერს: „უშჯობესი იყო თავის შეცდომა ეცნა, წერილები დაენებებინა და გასცლოდა ამ საქმეს, იმიტომ რომ «სადა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან»“<sup>8</sup>.

---

<sup>5</sup> „ღამაკვირდი“, აფორიზმები ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილთა კაცთა მიერ თქმული, დაბეჭდილი „ივერიის“ რედაქციის მიერ, ტფ, 1887, გვ. 54.

<sup>6</sup> ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო რუსულან კუსრაშვილმა, თბ., 1987, გვ. 248.

<sup>7</sup> იგივე გამოცემა, ტ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ეთერ შარაშვილმა და ლეილა სანაძემ, თბ., 1988, გვ. 261.

<sup>8</sup> ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. VII, თბ., 1956, გვ. 468.

სტატიაში „გიორგი თუმანოვისა და მისი ამქრის აზრები“ ვკითხულობთ: „რა ვუყოთ, რომ გამოვიქცეო, «საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო», იმახდა ჩვენი თ. გ. თუმანოვი...“<sup>9</sup>.

იქვე: „სხვა, მართლის გულით მქადაგებელი მძობისა და ერთობისა, ამის თანა საბჭოს ზურგს შეაქცევდა, არც კი მიეკარებოდა და ნამდვილი «საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან» ეს იქნებოდა. მაგრამ თ. გ. თუმანოვისათვის საქმე სხვაა, სიტყვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“ (გვ. 287).

ილია თავის „წერილს პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისადმი“ ასე აბოლოებს: „უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ქვეყანას, არ ამოგიფრთხობდით გულიდგან მაგ ჰატიოსან გულთა-თქმას. შიში განსაცდელისა აქ საბუთია და საქართველიანი. გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ უველაფერი. «სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან»... ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა“<sup>10</sup>.

ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე თავის ამ ნაწერებში, როგორც ამას ხშირად „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების მიმართაც აკეთებს, არ ასახელებს, თუ ვის ეკუთვნის ჩვენი საძიებელი აფორიზმი, მაგრამ მწერალს რომ იგი რუსთველისეულად მიაჩნია (კარგა ხანს მაინც), ამას „ივერიის“ (ჟურნალის, გაზეთის, ცალკე წიგნად) პუბლიკაციებთან ერთად ადასტურებს 1873 წლის 3 დეკემბერს მეუღლის, ოლღა გურამიშვილისადმი გაგზავნილი მისი ბარათი, სადაც იკითხება: „ოჰ, რა რიგად ამოვიფრთხობდი იმ ჯავრს, რომელიც ესლა სულს მიგუბებს და რა ნეტარებას მივეცემი, როცა შენთან მოვალ და შენ გადამეხვევი. მაშინ ვილას ესსომება წარსული მწუხარება: ერთის წუთის სიამოვნება მორევად გახდება და იქ დაინთქმება ექვსის თვის მოწყენილობა, ურვა და წუხილი. ვა სოფელო! რაშიგან ხარ,

<sup>9</sup> ი გ ი ვ ე გამოცემა, ტ. VIII, თბ., 1957, გვ. 285.

<sup>10</sup> ი გ ი ვ ე გამოცემა, ტ. X, თბ., 1961, გვ. 144.

რას გვაბრუნებს, რა ზნე გჭირსა! ვინ იცის? იქნებ დრო მოვიდეს, ჩვენი ბედი ჩვენვე დავატრიალოთ. ჯერ ხანად კი აუვევთ ამ ცხოვრების უგემურ ქამთა დენასა. «საცა არა ჰსჯობს, დაცლა ჰსჯობს კარგისა მამადისაგან». არ ეგონოს ჩემს დას ნინოს, არ ვიცოდე, რომ დაცლის მაგიერ რ უ ს თ ვ ე ლ ი გაცლას ამბობს. მეც ვიცი ვეფხვის-ტუაოსანი, მაგრამ ჩვენს ესლანდელს მდგომარეობას დაცლა უფრო უხდება, ვიდრე გაცლა“<sup>11</sup>.

მეორეც: აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ი. ჭავჭავაძის ფონდში დაცულია ილიას ხელით ნაწერი „დამაკვირდი“ (№74), სადაც მწერალი ჩვენს აფორიზმს რუსთველისეულად იხსენიებს.

„ივერიაში“ დაბეჭდილი „საანდაზო ლექსები“ და შემდეგ ამავე რედაქციის მიერ ცალკე წიგნად გამოცემული „დამაკვირდი“ გასულ საუკუნეში თავ-თავიანთი რედაქციით გამოაქვეყნეს იოსებ გ რ ი შ ა შ ვ ი ლ მ ა და ალექსანდრე ს ი გ უ ა მ და მათაც ჩვენთვის საინტერესო აფორიზმი შოთა რუსთველის კუთვნილად გამოაცხადეს<sup>12</sup>.

ამ შეხედულებას სხვა ავტორთა ნაშრომებშიაც ვაწყდებით.

ათონის მთაზე ივერიის მონასტრის ქართველ ბერ-მონაზონთა უუფლებო მდგომარეობის საჩვენებლად პეტრე კონჭოშვილი წერს: „ერთხელ, ნება გამოსთხოვეს ქართველთა მხათ შეშის მოჭრისა და დაამზადეს შეშა ჩამოსატანად. ამ დროს მოცვივდნენ ივერიის მონასტრის ბერძენთა მონაზონნი, მორეკეს 12 ჯორი, დატვირთეს და წაიღეს თავის სასარგებლოდ. ქართველთა ხმა ვერ გასცეს, რადგანაც ისინი რიცხვით მცირედნი არიან და სულგრძელად მოითმინეს, ხმაც არ ამოუღიათ და სავანეს ეზოდგან გარედ არავინ მათგანი არ გასულა, უკვდავ

<sup>11</sup> ი ქ ვ ე, გვ. 327-328.

<sup>12</sup> საანდაზო ლექსები. ვეფხისტყაოსანი, ქილილა და დამანა, გურამიანი, ილია ჭავჭავაძის ამოკრეფილი, წინათქმა და შენიშვნები ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს ა, თბ., 1935, გვ. 124. დამაკვირდი, აფორიზმები და სენტენციები, „ივერიიდან“ ამოკრეფა, შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ალ. ს ი გ უ ა მ, თბ., 1987, გვ. 175 (ასევეა წინა გამოცემებშიც).

პოეტის რუსთაველი სიტყვისაგებ, «სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციხაგანაო»<sup>13</sup>.

გელა ბანძელაძის წიგნში „ეთიკა“ (თბ., 1980) წერია: „როცა მტერი გაცილებით ძლიერია და დამარცხება გარდუვალია, მაშინ ჭკვიანი სარდალი თავს არიდებს ბრძოლას და უკან იხევს, ასეთს შემთხვევაში ოდნავადაც არ იჩრდილება ჯარისა და სარდლის სიძაბაცე. «სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციხაგან» - ამბობს რუსთაველი“ (გვ. 540).

დღესაც ამგვარად ფიქრობს, თურმე, მწერალი ოტია იოსელიანი. ახლახან გამოქვეყნებულ ინტერვიუში კორესპონდენტის კითხვაზე - „კეახი რომ მოგყავთ და წითელი ლობიო, მაგით არაფერს აშავეთ, მაგრამ «დამოუკიდებლობას» რომ აცხადებთ, შუა გზაში გეტოვებთ? თქვენი ცხოვრება გაქცევას ხომ არ ჰგავს!“ - მწერლის პასუხია: „...ჩემი ცხოვრება კი ჰგავს გაქცევას, მაგრამ მე არსად გაქცეულვარ, რა უფლება მაქვს, ან სად წავიდე. იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო... სავარძლებში რომ სხედან და აქცევენ ქვეყანას, იმათ ახლოს ვერ ვივარკებ. «სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო», ხომ ამბობს რუსთაველი, თან განმარტავს, «კარგისა მამაციხაგანო». გაქცევა უოველთვის არ არის სიმსდალე. არ უნდა გაჩერდე იქ, სადაც შენი ადგილი არ არის“<sup>14</sup>.

იმავე აზრს ო. იოსელიანი იმეორებს სხვა ინტერვიუშიც<sup>15</sup>.

ამჟამად, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერი დამოუშავებულია, სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ საძიებელი აფორიზმი ამ პოემაში არ მოიპოვება.

ლევან მენაბდე წერს: „აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია «დამაკვირდისა» თუ «საანდაზო ლექსებში» ზოგჯერ რუს

<sup>13</sup> მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ დეკანოზის პეტრე დავითის ძის კონჭოშვილისა..., ტფ., 1901, გვ. 171.

<sup>14</sup> გაზ. „კვირის (წლის) პალიტრა“, 24-30 დეკემბერი, 2001, № 52, გვ. 19.

<sup>15</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 15-21 მარტი, 2002, № 11, გვ. 4.

ს თ ვ ე ლ ს მიაწერდა ისეთ გამოხატუებას, რომელიც «ვეფხისტყაოსანში» არ არის“. უპირველეს მაგალითად ასახელებს ჩვენს აფორიზმს და იქვე მიუთითებს, რომ „ეს გამოხატუებაში ხშირად მეორდება ილიას ნაწერებში ავტორის დაუსახელებლად“<sup>16</sup>.

ალექსანდრე ბ ა რ ა მ ი ძ ე განიხილავს ზემოთ დამოწმებულ „ოთარანთ ქერივის“ დედა-შვილის საუბარს და აღნიშნავს: „ერთი შეხედვით ამ საოცარი ჰაექრობის სიმძაფრეს აძლიერებს თითქოს სწორედ რუსთველის კარგად შერჩეული აფორიზმები. ვიმეორებ, ასეა ერთი შეხედვით. საქმე ისაა, რომ ოთარანთ ქერივის მიერ მოხმობილი შესანიშნავი აფორიზმი («საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან») არ არის რუსთველის კუთვნილება, თუმცა საფსებით რუსთველურად ედერს და სწორად გამოხატავს ვეფხისტყაოსნის აზრობრივ სულისკვეთებას, იგი ვეფხისტყაოსნის შემოქმედების შედეგად უნდა იყოს წარმომობილი“<sup>17</sup>.

საკვლევი აფორიზმი ბოლო დროს ხალხურადაც იქნა გამოცხადებული, თუ რატომ? - საბუთს არავინ ასახელებს. ეს, ალბათ, იმის გამოა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არ დასტურდება და სხვა წყაროც არ გამოჩნდა. ასეა იგი მიჩნეული „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ტ. II, თბ., 1951), სადაც დამოწმებულია „გაცლა“ სიტყვის საილუსტრაციოდ. ამავე ლექსიკონის მეორე ადგილას მოყვანილია „სადაც“ სიტყვის სამაგალითოდ (ტ. VI, თბ., 1960), მაგრამ მის წარმომავლობაზე ამჯერად არაფერია ნათქვამი და მხოლოდ ის არის მითითებული, რომ არის „ანდაზა“.

როგორც ხალხური შემოქმედება, შეტანილია „ხალხური სიბრძნის“ მეხუთე ტომში (შემდგენელი ლია ლ ე ყ ა ვ ა, თბ., 1965, გვ. 368, № 5660) და შესადარებლად მოხმობილია

---

<sup>16</sup> ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973, გვ. 144.

<sup>17</sup> ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IX, თბ., 1997, გვ. 133.

ჭეშმარიტი ხალხური გამოთქმა - „ზოგჯერ გაქცევაც კარგი ბიჭობააო“ (გვ. 83).

ჩვენთვის საინტერესო აფორიზმის შინაარსის მსგავსი შეგონებანი ძველ ქართულ მწერლობაში მოიპოვება. „ქილილა და დამანას“ სულხან-საბა ორბელიანის ეულ ვერსიაში ერთგან იკითხება:

„გაცლა ხამს სამკვიდროსაგან, თუ ღვომა არ ეგებოდეს,  
გული რა ნავლლის მორევსა არ ოდეს გაესვლებოდეს.  
თუცა მგზავრობა ძნელია, რაზომცა კაცი კვდებოდეს,  
მაგრამ შინ ჭირსა ისი სჯობს, გარ ალი მოედებოდეს“<sup>18</sup>.

მეორე ადგილას:

„სადა დაღვომა არ ვარგა, გაცლა სჯობს გარიღებითა:  
იქითგან წასვლა არ უთქვამთ სასირცხოლ მიმოდებითა.  
თუ ვერ დასდგები, რასა იქ უღებებისა დებითა?  
ქვეყანა ყოვლგნით ფართოა, წადი ღმრთის იმედებითა“<sup>19</sup>.

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ „ქილილა და დამანას“ სხვა ქართული რედაქციები, მაგრამ საძიებელ აფორიზმთან არც ერთს საერთო არაფერი აღმოაჩნდა.

შინაარსობრივი მსგავსების თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს აგრეთვე დავით გურამიშვილის ლექსი:

„ვინც შეინანებს, შეუნდობს უფალი თავის ცოდვასა;  
წადი და მასვე ევედრე, დაეკსენ ცუდსა ბორგვასა!  
ნებით სჯობს გაცლა მძლავრთაგან ქვა-კრებით გამოლოდვასა.  
ვერა გთნევ, თუ ტანტს არ დასცლით, მივხვდებით ჭრა და  
კოდვასა“<sup>20</sup>.

---

<sup>18</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, II, აღ. ბარამიძისა და ე. მ. ტრეველის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 209. ქილილა და დამანა, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალითო ღუამ, თბ., 1975, გვ. 385.

<sup>19</sup> იქვე, ტ. II, გვ. 35. მ. თ. ღ. უ. ა. ს. გამოცემა, გვ. 692.

მაგრამ დასმული საკითხის გადასაჭრელად ვერც ეს გეშველის.

თავისთავად გამორიცხული არ არის, თავიდან ეს ბრძნული გამონათქვამი მოკლედ, მისი პირველი ნაწილის სახით შექმნილიყო – „სადაც (საცა) არა სჯობს, გაცლა სჯობს!“ მაგრამ, რადგან მას ახლავს გაურითმავი შესიტყვება „კარგისა მამაციისაგან“, ეს ცხადად და გარკვევით გვიჩვენებს, რომ ამ სიტყვებთან ერთად მთლიანი აფორიზმი ლექსის ნაწილია, რომლის ბოლო სარიტმო სიტყვა უნდა იყოს „მამაციისაგან“.

მართლაც, მოიპოვება 16-მარცვლოვანი ლექსი, სადაც ჩვენი აფორიზმი მთლიანი სახით დასტურდება. ეს გახლავთ აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული (Q-408), ცალფეხა გიორგი ლომთათიძის<sup>20</sup> მიერ ჩაწერილი, ხელის საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი და 1937 წელს მისგან შექმნილი თქმულება შოთა რუსთველზე, რომელიც ამ ნუსხის აღწერილობაში მთლიანად გამოქვეყნებულია<sup>22</sup>. აი, ისიც:

„შოთას შაირი

---

<sup>20</sup> დავით გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 66, სტროფი 286.

<sup>21</sup> ეს არ გახლავთ ცნობილი არქეოლოგი გიორგი ალექსანდრეს ძე ლომთათიძე (1914–1971). ამ თქმულების ჩამწერი გიორგი ლომთათიძე საუკუნის 20–30-იან წლებში ქართული ზეპირსიტყვიერების აქტიური შემკრებია და მის მიერ მოპოვებულ მასალებში მისი სახელი და გვარი „ცალფეხას“ ზედწოდებით იხსენიება.

<sup>22</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, შედგენილი ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს ა და ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ი ს მიერ ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით, თბ., 1957, გვ. 411–412.



შ. რუსთველი ბაღში ერთ ქალთან ქეიფობდა: იჯდა ვაზით შეფოთლილ კარაუში, სვამდა და მიჯნურობდა. ბაღის გვერდით ვიღაცა ახმაურდა: ჯავრობდა, სწურებოდა, ილანძვებოდა. ლანძვვა შოთას მისამართით მოდიოდა, თუმცა იგი შოთას ჰიროქნებას ვერ იცნობდა. შეურაცხყოფილი შოთა შევლივით წამოიჭრა, ისარს ხელი დაავლო, ჩონა გადიკალთავა და გარეთ გამოვარდა. გასწია იქით, საიდანაც ლანძვვის ხმა მოდიოდა. დაინახა ვიღაც ჭახუკი. შოთას მასთან შებმა ჭკუაში არ დაუჯდა, დაბრუნდა უკანვე. აიღო ჩანგური და დაამღერა:

ნადიმსა მჯდომსა რუსთველსა

ხმა შესმა ვინმე უმისაგან.

ავდექ და გაველ. რა ვნახე?

უოფილა მოვაჭრისაგან.

ვთქვი: «მოკვლავ! - მან რომ მომასწროს!...

მოკლული ვიყო ვისაგან!...

სადაც არა სჯობს, - გაცლა სჯობს  
კარგისა მამაცისაგან»“.

გ. ლომთათიძე იქვე გვამცნობს, ეს თქმულება თუ ვისგან და რა ვითარებაში ჩაუწერია: „ზუბალაშვილის სახელობის სახეიბრო სახლში თავშეფარებული იყო სამეგრელოს დიდი მემამულე, უოფ. თავადი როსტომ ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი. მამულების ჩამორთმევის შემდეგ ეს თავადი შეეფარა ზუბალაშვილის სახეიბრო სახლს. იყო ღრმად მოხუცებული, ნაკითხი, წერა ესერსებოდა, მაგრამ იყო მეტისმეტად ზარმაცი. ბევრი რამ იცოდა სამეგრელოს წარსულიდან, განსაკუთრებით დადიანების სასახლის ცხოვრებიდან. გადავწყვიტე მესარკებლნა ამ შემთხვევით და ჩამეწერა ის მასალები, რაც მის თავში დაგროვილიყო, მაგრამ ეს კაცი იმდენათ ხარბი და უხანსათო აღმოჩნდა, რომ საამისოდ არაფერს გაიმეტებდა. მლივს მოვასხერსე და დავაწერინე მოგონებანი ნიკო დადიანსე.“

აქ მოუვანილი შაირიც მისგან გავიგონე. მისი აზრით, ეს შაირი შოთასეულია, აფორიზმიც «ვეფხის ტეაოსნური» ეკონა.

მან «ამის» გარდა ბევრი სხვა აფორიზმები (!) იცოდა «ვეფხისტუაოსანი»-დან, რომელსაც წამმღვარებული ჰქონდა ასეთივე მოხდენილი ხალხური კომენტარები შაირით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე ჩამეწერა და... მისმა სიხარბემ და სიხარმაცემ საფლაუში ჩაატანინა ისინი.

გ. ლომთათიძე“.

სხვათა შორის, ყველაფერი ეს ხელნაწერის სახით, რომელიც გ. ლომთათიძის მიერ არის შესრულებული, მოიპოვება აგრეთვე იმავე ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ივანე ჯავახიშვილის არქივში - № 2924.

რამდენად ძველია და პირველ სახეს გვიჩვენებს ეს მასალა?

როგორც ზემოთ ვთქვით, შესაძლებელია, ცალკე შეიქმნა აფორიზმი „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს!“ და, რადგან იგი რუსთველისეულად უღერდა, ამის ნიადაგზე შეთხზულიყო შოთაზე აღნიშნული თქმულება. მაგრამ, რადგან ამ აფორიზმს ემატება სიტყვები „კარგისა მამაციისაგან“, ვფიქრობთ, ნაკლებ სავარაუდოა, ჩვენს აფორიზმს ასე გავრცობილი სახით ხორცი შეესხა დამოწმებული თქმულებისათვის, ანუ თქმულება შეექმნა. უფრო მოსალოდნელია, ორივე ერთი ავტორის ნახელავია. ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ჯერჯერობით სხვა ხელჩასაჭიდი წყარო არ გაგვაჩნია, უნდა მივიღოთ, რომ შოთაზე ხსენებული თქმულება XIX საუკუნის შუა წლებში არსებობდა და საძიებელი აფორიზმი მისგან იღებს სათავეს.

აქვე დავძენთ: ვინაიდან აღრინდელ მასალებში - დ. ჩუბინაშვილისა და პ. უმიკაშვილის პუბლიკაციებში, ი. ჭავჭავაძის მიერ მეუღლისადმი გაგზავნილ პირად წერილში - და, რაც მთავარია, შოთაზე თქმულებაში გაბატონებულია „სადაც“ ფორმა, უპირატესობა მას უნდა მიენიჭოს („ვეფხისტყაოსანშია“ „სადაცა“, ვარიანტი - „სადაც“).

ამრიგად: განთქმული აფორიზმი „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან!“ არ განეკუთვნება „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორს, მომდინარეობს შოთა

რუსთველზე შექმნილი ერთ-ერთი ხალხური თქმულებიდან და ამდენად ისიც ხალხურია.

„ზმა“ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობისათვის  
„ვეფხისტყაოსანში“<sup>1</sup>

მხედველობაში გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ პირველი საიუბილეო (1937 წ.) და მისგან მომდინარე გამოცემათა 69.2-ე სტროფი.

„იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზ მ ი დ ე ს“.

ზუსტად ასეთივე ან ოდნავ განსხვავებული სახით ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ არაერთხელ იხმარება:

„...არ ბეღითად ჰაის ზ მ ი დ ე ს“ (28. 2).

„განსოვს, ოდეს «ჰაის» ზ მ ი დ ი...“ (526. 1).

„...მათსა ეგრე ქცევა-ზ მ ა ს ა“ (223. 4).

„...ყოფა-ქცევისა და ზ მ ი ს ა“ (1519. 3).

„...ზარი ჩნდა, რომე ზ მ ი დ ი ა ნ“ (620. 1).

„...მენავენმან მნაზა ზ მ უ ლ ი“ (586. 4).

„...აღარა ხანსა ზ მ უ ლ ი ა“ (1567. 1) და სსვა<sup>2</sup>.

საზოგადოდ, „ზმა“ ახალსა და, განსაკუთრებით, ძველ ქართულ ენაში რამდენიმე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება. ასევეა „ვეფხისტყაოსანშიც“. ამასთან დაკავშირებულ მასალათა გაცნობა

---

<sup>1</sup> წაკითხულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიაზე 1966 წლის 22 მარტს (თეზისები, გვ. 12-14). სრულად დაიბეჭდა კრებულში: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, III, თბ., 1968, გვ. 67-85.

<sup>2</sup> იხ. ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შ ა ნ ი ძ ი ს ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1956, გვ. 124.

გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ ბევრი რამ ბუნდოვანი და გასარკვევია არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“, არამედ სხვა ძეგლების მიმართაც. შესასწავლია, რა მიმართება არსებობს ამ ფორმებს შორის, რა და რა მნიშვნელობის მატარებელი არიან ისინი საერთოდ და კონკრეტულ შემთხვევებში.

დასმული ამოცანისათვის აუცილებელი არ არის აგრეთვე ჩამოთვლა და გაანალიზება ყველა იმ მნიშვნელობისა, რომელთაც მკვლევარები მას მიაწერენ „ვეფხისტყაოსანში“. აღვნიშნავთ მხოლოდ, როგორ ესმით იგი ჩვენთვის საინტერესო სტროფში.

თეიმურაზ ბაგრატიონი: „კარგად ზმიდეს - ზ მ ა ზომიდამ არის გამოსული. ეს ლექსი ნიშნავს სწორის საზომით საუბარსა და სიტყვისა სჯასა“<sup>3</sup>.

დავით ჩუბინაშვილი: „კარგად ზმიდეს - რივიანად იქცეოდეს“<sup>4</sup>, „რივიანად ფიქრობდეს“<sup>5</sup>.

იუსტინე აბულაძე: „საყვარლად და კარგად ზმიდეს აშიკობდენ, კონტაობდენ“<sup>6</sup>. შესადარებლად მიუთითებს 1077.1-ე სტროფს<sup>7</sup>.

დავით კარიჭაშვილი: „ზმა - თქმა“. ამავე რიგისადაა მიჩნეული 28.2, 526.1 და 620.1-ე სტროფები<sup>8</sup>.

სოლომონ იორდანიშვილი: „Смеялись, шутили (ребячились), приятно и любезно обращались друг с другом“<sup>9</sup>.

---

<sup>3</sup> თეიმურაზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსანისა, გაიბო ი მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, გამოკვლევიითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 20.

<sup>4</sup> ვეფხისტყაოსანი, სპბ, 1860.

<sup>5</sup> დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ., 1887.

<sup>6</sup> იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს მიერ შედგენილი ლექსიკონები, - ძველი საქართველო, 1, 1909, გვ. 173, და ვეფხისტყაოსანი, თბ., 1914, ოლონდ მისეულ შემდეგდროინდელ ლექსიკონებში (იხ. ვეფხისტყაოსნის 1927, 1937 და 1951 წლების გამოცემებში) ეს სტროფი აღარაა დამოწმებული.

<sup>7</sup> ნუმერაცია აქ და ქვევითაც ყველგან პირველი საიუბილეო გამოცემის (1937 წ.) სათვალავზე გვყავს გადაყვანილი.

<sup>8</sup> ვეფხისტყაოსანი, თბ., 1903 და 1920 წწ.

სხვები ამ სიტყვის განმარტებისას, ჩვეულებრივ, ნიშნულ-შისათვის მიუთითებენ თითო-ორი სტროფს, ჩვენს სტროფს კი არ ასახელებენ. ასეთი განმარტებისას ყოველთვის ნათელი არ არის, დანარჩენ შემთხვევაში რომელი მნიშვნელობითაა გაგებული ან გათვალისწინებულია თუ არა ესა თუ ის ადგილი.

დასახელებული და ყველა სხვა, ზოგადად, სტროფის დაუმოწმებლად მოცემული განმარტებები 69-ე სტროფისათვის მეტ-ნაკლებად ხელოვნური და ნაძალადევი ჩანს. მათგან არა უშავს და რამდენადმე კონტექსტსაც უდგება ქმნა, შერება მ ო ქ ც ე ვ ი ს მნიშვნელობით, როგორცაა ზმნა-ს (ვიზამ, იზამ, იზამს) ჩვეულებრივი გაგება. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ერთგვარი შინაარსობრივი ნაძალადეობისა, მსგავსად 28. 2, 223. 4, 526. 1 და 1519. 3 სტროფებისა, ეს ადგილი შეიძლებოდა ასე ახსნილიყო, მაგრამ გამორიცხული არაა და, ჩვენი აზრით, კონტექსტს უფრო შეესაბამება ძველსა და ახალ ქართულში ისე გაერცელებული მნიშვნელობა ამ სიტყვისა, როგორცაა ორაზროვნად, გადაკრულად თქმა, კალამბური.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ასეთი გაგება არ მოგვეპოვება. ზოგიერთი საარქივო მასალის გაცნობა კი გვიჩვენებს, რომ ცდები ამგვარი ახსნისა ყოფილა, კერძოდ, ისეთ დიდ და ცნობილ მკვლევართა მხრიდან, როგორიც ნიკო მ ა რ ი და მოსე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი იყვნენ.

---

<sup>9</sup> ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის სიტყვასიტყვითი თარგმანი რუსულ ენაზე. შრომა მანქანაზე გადაბეჭდილი დაცულია შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. ამავე ნაშრომის 1966 წლის გამოცემაში იკითხება: „Смеялись, шутили молодечески, были обходительны и любезны друг с другом“.

ბ. მარი: „ჰშიდეს – კალამბურილი (გადალი? სრ. სი-ჰმ-არი), საუვარლად და კარგად ჰშიდეს – Они мило и удачно каламбурили“<sup>10</sup>.

მ. ჯანაშვილი: „ჰმა - ... გ. ლექსთ მაეგობა, ჰმობა: იცინოდეს, უმაწვილობდეს, საუვარლად და კარგა ჰშიდეს - კაი ჰმათა თქმითა ერთობოდნენო“<sup>11</sup>.

ამასთანავე, ამ სიტყვას ძველ ქართულში ჰქონდა აგრეთვე ასეთივე, ოღონდ გადატანითი, ზოგადი მნიშვნელობაც – საერთოდ, ხუმრობა, გართობა. რადგანაც ჰმები თავისი ბუნებით თითქმის მუდამ კომიკური ხასიათისაა და უპირატესად იგი ასეთივე მიზნით ღზინს, ნადიმსა და სხვა ამგვარ თავყრილობებში გამოიყენებოდა, ჩანს, მისი შინაარსი გაფარდოვდა: „ჰმა“, „ჰმობა“ ეწოდა ისეთ ურთიერთობებსაც – ხუმრობას, ლაღობას, იუმორისტულ პაექრობას..., – რომლებშიაც საკუთრივ ჰმას, ლექსთმაეგობას, წამყვანი ადგილი არც ეჭირა.

ჩვენს მაგალითში კიდევ უფრო ადვილი მოსალოდნელია, ამ აზრით იყოს იგი ნახმარი.

ორივე მნიშვნელობა რომ გავრცელებული იყო ძველ ქართულ ენაში, – შოთა რუსთველის ეპოქიდან მაინც, თავი რომ დავანებოთ უფრო ადრინდელს, – მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. ვინაიდან ზოგიერთ მათგანში რომელი – კონკრეტული თუ ზოგადი – ნიუანსითაა გამოყენებული, ამის გარკვევა ჭირს, მათ არც ჩვენ დავაცალკევებთ.

1. „ვისრამიანი“<sup>12</sup>:

---

<sup>10</sup> Архив Академии Наук ССР, фонд 800, опись I, № 72/1, გვ. 101. ახლა ეს ტექსტი გამოქვეყნებულია: ნიკო მ ა რ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები და შენიშვნები დაურთეს მერი გ უ გ უ შ ვ ი ლ მ ა ლა ლა ი ძ ო წ ე ნ ი ძ ე მ, თბ., 1965, გვ. 30.

<sup>11</sup> მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, ხელნაწერი, ინახება დასახელებულ ინსტიტუტში.

<sup>12</sup> ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გ ვ ა ხ ა რ ი ა მ და მაგალითო დ უ ა მ, თბ., 1962, გვ. 36.

„კუირასა ერთსა გაისარნა დიდითა სისარულითა. რაცა მას სუმიისა და სისარულისა მეჯლიშში თუალი, მარგალიტი და საჭურჭლე იყო, უეულა კასცა. აავსო დიდი და ჰატარა, არავინ დარჩა იქი უშოვარი. ამაზედა ჰირშუენვარემან შაჰრომ მოციინარის ჰირითა ზ მ ა უთსრა შაჰი მოაბადს. რა ესე ესმა შაჰროსავან შაჰი მოაბადს, ეგრე არქუა...“

ს. იორდანიშვილის რუსული თარგმანით: „...Он одарил великих и малых, и никто не был обойден. По этому поводу прекраснеликая Шахро, улыбаясь, сказала к а л а м б у р шаху Моабаду, на который он ей ответил...“<sup>13</sup>

2. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი“<sup>14</sup>: „იყო ზ მ ა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭურეტელნი იყო რაზმთა სიმრავლე“ (47. 14).

მაშინ ითხოვეს ჰური და შემდგომად ჰურობისა დაიდვეს ნადიმი, სიკეთე და სიტურფე გამოუთქმელი. იყო სისარული და ზ მ ა მგოსანთა და მოშაითთა“ (66, 17).

3. „რუსუდანინი“<sup>15</sup>: „...ამაზედა შეიქნა ზ მ ა დიდი და სიმხიარულე“ (122 .34).

---

<sup>13</sup> Висрамиани, перевод с древнегрузинского С. И о р д а н и ш в и л и, თბ., 1960, გვ. 8.

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1959.

ქ. კეკელიძეს ამ ძეგლში „ზმა“ „მოქმედება, საქციელის“ გაგებით ესმის (მ ი ს ი გამოცემა, 1941). რუსულად კი ზოგადად აქვს ნათარგმნი. პირველი: „и было состязание певцов“ (История и восхваление венценосцев, Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил акад. К. С. К е к е л и д з е, Тб., 1954, ст. 47). მეორე – „начались действия певцов“ (გვ. 59).

ეს განმარტება სარწმუნო არ უნდა იყოს. ჩვენი აზრით, სწორია ს. ყაუხჩიშვილის ახსნა: „კართობა, შეჯიბრება, ლექსებით ზაქრობა“.

<sup>15</sup> რუსუდანინი, ილია ა ბ უ ლ ა ძ ი ს ა ლა ივანე გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1957.

„შეიქნა ლაღობა და ზ მ ა ეკეთი, რომე ეოველსა ღზინსა და ნადიმსა მათი ზ მ ა და ღზინი სჯობდა“ (137. 1).

„მას უკან ამაყოლებდა ემაწვილთა კაცთა და ისწავლეს ჩემგან ზოგი რამ მეჯლიმზე გამოსადეგი, ღზინის საფერი ლექსთა თქმა, შაირთა შეწეობა, ზ მ ა და ხუმრობა“ (254. 22).

„წლისა რომ გათავდა, ასე კი გახდა, სიმღერისა, ხუმრობისა, ზ მ ი ხ ა არა აკლდა რა“ (257. 14).

„დაუწეეთ ზ მ ა და ხუმრობა“ (281. 5).

„გაიცინა ხოსრო, შეგვექნა ჩვენცა არა გულითა, არამედ ჰირითა სიხარული. დაეწეეთ ზ მ ა“ (281. 27).

„შეიქნა ლაღისა თასითა ხომეკარისა ღზინისა სმა და მეჩანგეთაგან ამოსა ხმისა თქმა და ასეთი ღზინი, რომე უკეთესობა აღარ იქნებოდა. გავრძელდა ნადიმი და ზ მ ა შეიქნა“ (477. 20).

აქვე ეს სიტყვა გვხვდება ზუსტად იმავე, უწყვეტლის, ფორმით, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“<sup>16</sup>:

„მასზე ვხუმრობდი და გ ზ მ ი დ ი, ხელმწიფესა შევაქცევდი“ (251. 28).

„ჩვენთვის მოვედით მხიარულნი და გამარჯვებულნი, გ ზ მ ი - დ ი თ და შევექცეოდით“ (192. 37).

„... ჩვენ ამასე გ ზ მ ი დ ი თ და შევექცეოდით“ (286. 7).

4. ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“<sup>17</sup>:

„არცა მეწუალვის მეფობა, ... გამოჩუენებით ღზინნი და მხიარულთა ჰირითა მეტყუელებანი, ზ მ ა ნ ი და მღერანი...“ (399. 8).

---

გამომცემლების განმარტებით, აქ „ზმა“ ნიშნავს „შექცევა, ვართობა, ხუმრობა, ლაღობა“-ს. მაგრამ, შესაძლებელია, ზოგიერთ მაგალითში საკუთრივ „ზმას“ (კალამბურს) ნიშნავდეს.

<sup>16</sup> ამ სიტყვის ზოგიერთი ფორმის შესახებ იხ.: ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 200-201.

<sup>17</sup> ქართლის ცხოვრება, დასახელებული გამოცემა.



„რამეთუ ივენეს მოუვარე ღვინისა და ზ მ ი ს ა და შუეებისა და განცხრომისა, უმღერდენ ურთიერთას სიმვა-მრუშებასა...“ (425. 10).

#### 5. თეიმურაზ მეორე<sup>18</sup>:

„დღისით იქნების განცხრომა, ლხინი და ნადირობანი, გაღმა-გამოღმა თქართქარი, ლიზლობა, კარგი ზ მ ო ბ ა ნ ი“.

#### 6. დავით გურამიშვილი<sup>19</sup>:

„კარგი იყვის აღდგომასა მეფეთაგან მეჯლიშობა, ზ მ ა, შაირი, გალობანი, ჩანგთ კვრა, მღერა, თამაშობა“.

სხვა დამატებითი მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ იმისათვის, რისთვისაცაა მოხმობილი, ესენიც საკმარისია.

ახლა მივხედოთ კონტექსტს:

თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით დიდი ლხინი და ნადიმი გაიმართა. ახალმა მეფემ, თანახმად მამის დარიგებისა, „გასცა უზომო, უანგარიშო, უღევი“ (54. 4) საბოძვარი. იმდენი –

„რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა“ (53. 2),

„არ დაარჩენს ცალიერსა არ ყმასა და აცა ქალსა“ (55. 4).

ყველა კმაყოფილი და მხიარული იყო. ზეიმობდა და იღვინდა მოხუცი მეფეც. მაგრამ მეორე დღეს, როდესაც ღრეობა კვლავ გრძელდებოდა, მოულოდნელად მოიწყინა. ყველა შეაწუხა ამ ამბავმა. ავთანდილმა და სოგრატმა მოიფიქრეს, ოხუნჯობით გაემხიარულებინათ იგი. გონებამახვილურად მიმართა სოგრატმა:

„დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიციინის პირიო, მართალ ხარ; წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო,

---

<sup>18</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ II, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1939, სტრ. 437. 2.

<sup>19</sup> დავით გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 940, სტრ. 476.

ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირიო:  
ყოლამცა მეფედ ნუ დასვი, თავსა რად უგდე ჭირიო?“<sup>20</sup> (60).

როსტევანმა შესანიშნავად გაიგო სოგრატის ხუმრობის დანიშნულება; ხუმრობაც მოეწონა:

„რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოხედნა, ...  
ქარგა ჰქმენო, – დაუმაღლა, წყალობანი უიმედნა“.

მაგრამ მოწყენილსა და ხასიათწამხდარს უცებ გადაჭარბებულად მოეჩვენა თავისი ვაზირის საქციელი და

„გაუკვირდა: ვიო მკადრაო, ან სიტყვანი ვით გაბედნა?!“ (61).

შემდეგ, როგორც შეეფერებოდა მის დარბაისლურ მეფურ ბუნებას და დაღვრემილი კაცის ხასიათს, სერიოზულად გასცა პასუხი: ეს არ არის ჩემი მოწყენის მიზეზი. ის მაწუხებს, რომ,

---

<sup>20</sup> ეს ეპიზოდი წააგავს „ვისრამიანის“ ზემოთ დამოწმებულ ადგილს. ორივე შემთხვევაში ლაპარაკია დიდძალი საჩუქრის გაცემაზე. ეს ამბავი სოგრატმა აქ იუმორისათვის გამოიყენა. „ვისრამიანშიც“ წერია, ა შ ა ზ ე შაპრომ ზ შ ა თქვაო. შემდეგ აღარაა მოცემული, რა თქვა. შეიძლებოდა გვეფიქრა, შაპრომაც, მსგავსად სოგრატისა, გადაჭარბებულ საბოძვარზე რაღაც სახუმარო უთხრა მოაბადს. მაგრამ მკვლევარები ქართულ ტექსტს უდარებენ რა სპარსულსა და არჩილის მიერ გალექსილ რედაქციას, ვარაუდობენ, რომ ქართული „ვისრამიანი“ ამ მონაკვეთში შერყვნილი სახითაა მოღწეული (Н. Я. М а р р, Из грузино-персидских литературных связей, Записки Коллегии Востоковедов, т. 1, Л-д, 1925, გვ. 133; იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, „ვისრამიანის“ ტექსტისათვის, ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1, თბ., 1935, გვ. 289; ინგა კ ა ლ ა ძ ე, ვისრამიანის პოეტური რედაქციის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., 1962, № 99, გვ. 138; ვ ი ს რ ა მ ი ა ნ ი, 1962, გვ. 464). ამიტომ, შეიძლება, „ზმა“ საჩუქრის გაცემას კი არა, არამედ სხვა რამეს ეკუთვნოდეს.

ამჟამად, როდესაც ცნობილი არაა სპარსული რედაქცია, რომლისაგანაც ქართული მოდის, და არ ვიცით, როგორ ითარგმნა ამ ნაწილში, შეუძლებელია ქართული ტექსტის იმ ზომით გათვალისწინება, რამდენადაც იგი ამ შემთხვევისთვისაა საჭირო.

ერთი სათუთად გაზრდილი ასულის გარდა, არავინ მყავს. მე დაებერდი და

„კაცი არ არის, სითგანცა, საბრძანებელი ჩვენია,  
რომე მას ჩემგან ესწაულნეს სამამაცონი ზნენია;  
ანუმცა მგევანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა“ (62-63).

მხოლოდ ეს არის, „ცოტასა შემწევს აეთანდილ“-ო.

კოტექსტიდან ჩანს, ეს სიტყვები აეთანდილისათვის დამამცირებელი გახლდათ, მაგრამ სიტყვით ვერაფერი ჰკადრა მეფეს, მხოლოდ „თავმოდრეკით გაუღიბნა“. ეს ღიმილი კი მრავლისმეტყველი იყო. მასში გამოვლინდა დარცხვენა, ერთგვარი უკმაყოფილება და რამდენადმე როსტევანის დაცინვაც<sup>21</sup>. ყოველივე ეს კარგად შენიშნა მეფემ და პირდაპირ უთხრა:

„რას იცინი, ანუ ჩემგან რა შეგრცხვენდა?“ (64. 4).

შემდეგ:

„კვლა უბრძანა: თავსა ჩემსა რას იცინი, რად დამგმეო“ (65. 1).

როსტევანის სწორი შემჩნევა კიდევ უფრო დაადასტურა აეთანდილის პასუხის პათოსმა. ის დიდი ტაქტით, იუმორით, თავშეკავებულად, მაგრამ საკმაო გზნებით შეეპასუხა პატრონს და შეჯიბრებაში გამოიწვია:

„ნუ მოჰკევხ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა“ (66. 1).

„ნამღვეი დავდვით, მოვასხნეთ მოწმად თქვენნივე ყმანია“ (67. 2).

რაკი როსტევანმა დაინახა, რომ მისმა სიტყვებმა აეთანდილის ერთგვარი წყენა გამოიწვია და შეიძლებოდა, კამათს სხვანაირი, ცუდი ტონი მისცემოდა, თვითონვე გადავიდა

---

<sup>21</sup> შდრ.: კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, რუსთაველის გარშემო, თბ., 1928, გვ. 33-34.

იუმორზე და კამათიც მთლიანად კომიკურ კალაპოტს დაუბრუნა. თანაც, პაექრობამ და, განსაკუთრებით, ავთანდილის დაჯერებულმა, შეუპოვარმა თავდაცვამ, რომლის ვაჟკაცობასა და გმირობაში, ალბათ, არც ისე ეპარებოდა ეჭვი, როგორც ეს უხასიათობის დროს თქვა, – იგი გაახალისა და ჩინებულ გუნებაზე დააყენა. ახლა თვითონვე შეუტევეს ხუმრობით:

„მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა“;  
შევეჯიბროთო?! – ეგრე იყოს,

„მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა!“ (68).

სანაძლეოც საკმაოდ კომიკური დადეს:

„ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკენიდეს;  
ვინცა იყოს უარესი, თავშიშეული სამ დღე ვლიდეს!“ (69).

აქ ერთმანეთშია გადახლართული ხუმრობა და სერიოზულობა. სწორედ ამ „შეხლა-შემოხლის“ შედეგად არის ნათქვამი: „*იციროდეს, ყმწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმ-ი დ ე ს*“-ო.

როგორც ვხედავთ, ამბავს ამთავრებს, სიუჟეტურ რკალს ჰკრავს ჩვენი სტროფი. თვით ამბავი კი თავიდან ბოლომდე იუმორისტული ტონით მიმდინარეობს. თუმცა შიგადაშიგ მან რამდენადმე სერიოზული სახეც მიიღო, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი წუთით, ან კიდევ – გარეგნული, ფორმალური ხასიათისა. არსებითად, ერთხელ აღებული იუმორისტული ტონი არამცთუ დამცხრალა, არამედ თანდათან გაძლიერდა და ბოლოს მხიარულ სიცილ-ხარხარში გადაიხარდა.

უფრო ბუნებრივი იქნებოდა, ამ შემაჯამებელ სტროფში ავტორს მოეღენა განზოგადებულად, მაგრამ ზუსტად და პირდაპირ დაეხასიათებინა, – ასეთად და ასეთად **ლ ა ლ ო ბ დ ნ ე ნ, ხ უ მ რ ო ბ დ ნ ე ნ, ე რ თ ო ბ ო დ ნ ე ნ ო**, ვიდრე ცალმხრივად ეთქვა, – **მ ო ქ მ ე დ ე ბ დ ნ ე ნ, ი ქ ც ე ო დ ნ ე ნ ო**. დასკვნით ნაწილში ასეთი სახის შენიშვნა თითქოს აუცილებელიცაა,

რადგანაც ამ პატარა ეპიზოდის შინაარსი, მეტადრე მისი კომიკური მხარე, აუხსნელად, უკომენტაროდაა გადმოცემული. უფრო უპრიანია სწორედ იმის ახსნა, რომ ისინი კი არ ჩხუბობდნენ, სერიოზულად კი არ კამათობდნენ, არამედ ხ უ მ რ ო - ბ დ ნ ე ნ, თ ა ვ ს ი ქ ც ე ვ დ ნ ე ნ. მეგობრულად და კარგად ი ქ ც ე - ო დ ნ ე ნ ო, — მარტო ამის აღნიშვნა, ვიმეორებთ, ცოტაა.

ეფიქრობთ, კონტექსტი იმის უფლებასაც იძლევა, ამ ეპიზოდში საკუთრივ ზ მ ე ბ ი ს მონაწილეობაც ვიგულისხმოთ.

მონადიმეთა შორის, გარეგნულად მაინც, ნამდვილი მოტივი-რებული პაექრობა მიმდინარეობდა. მის გაღვივებაში გარკვეული წვლილი შეჰქონდა ზემორე აღნიშნულ სერიოზულ კილოს. იგი, ერთის მხრივ, ამწვაკვებდა და ბუნებრივ იერს აძლევდა კამათს, ხოლო, მეორეს მხრივ, ხელს უწყობდა იუმორის გაძლიერებას.

ამგვარი სახის კამათისათვის ზედგამოჭრილი იყო ზმები. იგი, კომიკურის გარდა, განსაკუთრებით ასეთ ურთიერთობებში, მძლავრად შეიცავს პოლემიკურ ტონსაც. სწორედ ნართაულობაა, მას ერთსა და იმავე დროს კომიკურსა და პოლემიკურ იერს რომ აძლევს.

მაგრამ რატომ მაინცაღამაინც ზმები, კომიკური პაექრობა განა სხვაგვარი სახისა არ შეიძლებოდა? დიახ, შეიძლებოდა, მაგრამ აქ უფრო სავარაუდებელია, გადამწყვეტი როლი შეესრულებინა მეფისადმი დამოკიდებულების ეთიკეტს. რად-განაც უქეიფოდ მყოფ როსტევეანთან მთლიანად თავისუფლად ვერ იქცეოდნენ და სათქმელსაც პირდაპირ ვერ უბედავდნენ, ორაზ-როვანი იუმორისტული თქმები უფრო მოსახერხებელი იქნებოდა. ამ სახით ბევრად იოლად შეძლებდნენ მეფესთან გამოლა-პარაკებას. ჯერ-ერთი, და რაც მთავარია, ამით გააცინებდნენ მას და გაჯავრების სურვილს თუ არ დააკარგვინებდნენ, შეუმცი-რებდნენ მაინც. მეორეც, თუ ხუმრობა თავის მიზანს ვერ მიაღწევდა, უკანდასახვეი გზა რჩებოდათ, — ასე არ გვითქვამსო. სოგრატის ხუმრობა ხომ დაახლოებით ასეთი (ნართაული) ხასიათისა იყო, ხოლო ავთანდილმა, როგორც უკვე ვთქვით, სხვა ვერაფერი მოახერხა, გარდა იმისა, რომ თავმოდრეკით, მორ-ცხვად, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა. ამას შეეძლო

მიეცა ბიძგი, შემდგომ ნამდვილ, სრულყოფილ ზმებზე გადასულიყვნენ.

„ვეფხისტყაოსანში“ ვხედავთ, საერთოდ, და მით უფრო, კარგი განწყობილების დროს როსტევეანს თავისუფლად ეხუმრებიან. მაგალითად, ნადირობაში შეჯიბრებისას ავთანდილი და როსტევეანი ბევრს ოხუნჯობდნენ ერთმანეთში (სტრ. 79). როსტევეანი არამცთუ ავთანდილისა და ვაზირებისაგან, სოციალურად, თანამდებობრივად ბევრად დაბლა მდგომთაგან შუბლგახსნილი ისმენდა საოხუნჯო სიტყვებს. იმავე ნადირობისას იგი სიცილით შეხვდა მომსახურე, — ისრების მომწოდებელსა და ნადირობის შედეგების აღმრიცხველ „მონებს“, რომელთაც საკმაოდ თამამი იუმორით მოახსენეს მას შეჯიბრის შედეგები, — მისი დამარცხება და ავთანდილის გამარჯვება (სტრ. 80—81).

მაშასადამე, ის გარემოება, რომ მოცემული ეპიზოდისათვის ზმები არამცთუ შეუფერებელი, არამედ ნიშანდობლივი ჩანს, გვაფიქრებინებს, „ზმიდეს“ რეალურ მოქმედებას, — ზმებით ლაპარაკს აღნიშნავს<sup>22</sup>.

თუ ეს ვარაუდი სწორია, რა ფორმისა შეიძლებოდა ყოფილიყო იგი, — გალექსება-გაშაირების?

ზოგიერთ ლექსიკონში „ზმები“ რატომღაც მხოლოდ გალექსილი ფორმისადაა წარმოდგენილი. მაგალითად, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ტ. IV, 1955 წ.) ის ასეა ახსნილი: „გ ა ლ ე ქ ს ი ლ თ ქ მ ა შ ი შერჩეული ორი ისეთი მოსაზღვრე სიტყვა, რომ მათი (ან მათი ნაწილების) შეერთებით შეიძლებოდა ახალი სიტყვის მიღება“.

---

<sup>22</sup> საინტერესოა, რომ ავთანდილისა და როსტევეანის კამათი ზმებით ესაზება იმ ინტერპოლატორსაც, რომელიც 64-ე სტროფის შემდეგ უმატებს:

„მეფემან ბრძანა სიცილით, კვლა მოლიზღარედ ზ მ ე ბ ი ა; ავთანდილ ქვეშ-ქვეშ იცინის, არა აუად პირ-აღრებია...“

„ზმის“ ზუსტი, ამომწურავი განსაზღვრება არ მოგვეპოვება<sup>23</sup>. მაგრამ მაგალითები გვიჩვენებს, რომ არც ახალსა და არც ძველ ქართულში მისი ლექსად გაწყობა სრულებითაც არ იყო აუცილებელი. შესაძლებელია, ჩვენში იგი უმეტესად გალექსილი სახით იხმარებოდა, მაგრამ მისი გამოყენება თავისუფლად შეიძლებოდა აგრეთვე ჩვეულებრივ გაბმულ მეტყველებაშიაც, როგორც ესაა, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ერთ-ერთ არაკში:

„ეროსა მონასა ოქროს კროჭითა რაღაც დაქონდა და იტყოდა: რომელიცა ამას გამოიცნობს, ამას შიგან რა მეს, იგი ჰოებს თვალსა მასო.

შეიქმნა თქმულობა: ზოგმან თვალი თქვა, ზოგმან მარგალიტი, ზოგმან სხვა რამე. რა მას ახალს მისანთან მივიდა, მან საწუალმან არა რა იცოდა რა, ამოიოხრა და თქვა: ვაი, ჩემო რძალო, რა უბრალოდ მომკალიო.

მან გულის მართლით თქვა და მეფეს გაეცინნეს: იგავით თქვაო! შიგ თურე მ კ ა ლ ი იჯდა და ზ მ ა დ ჩამოართვეს კაცსა მას“<sup>24</sup>.

---

<sup>23</sup> ზოგიერთი ნიშნის შესახებ იხ.: ბ. ფ. ო. ჩ. ხ. უ. ა., ომონიმია და პოლისემია, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბ., IX – X, 1958, გვ. 13, 29–30, 33.

<sup>24</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., I, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ., 1959, გვ. 57.

სხვათა შორის, აღსანიშნავია, საბას ლექსიკონის ერთ-ერთ ნუსხაში „ზმა“ ასეა ახსნილი: „ზმა – იგავით გასაღიმებელი“ (თხზ., IV, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ). ქართულ ენაზე ეს პირველი განსაზღვრებაა, სადაც „ზმის“ კომიკური ბუნებაა აღნიშნული. „ზმის“ ეს ნიშანი შემდგომ მითითებული აქვთ სხვებსაც. დიმიტრი ორბელიანი თავის „ელისაბედიანში“ წერს: „მუტრიბ-მგოსანად, ღხინთა საკმარად, შაირთა მთქმულად, მ. ო. ხ. უ. მ. ა. რ.–მ. ზ. მ. ე. ლ. ა. დ...“ (დ. ბ. ა. გ. რ. ა. ტ. ი. ო. ნ. ი, დიმიტრიანი, ლექსები და პოემები, გამოსაცემად მოამზადა რარა ნაკაშიძემ, თბ., 1978, გვ. 53). იგივეა აღნიშნული მის „ღამის ალერსში“: „მერმე იტუვიან დარბაზისა ერთა

აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ მეორესთან საგანგებოდაა გამოყოფილი „ლექსად თქმული“ ზმები. „სარკე თქმულთა“-ს ერთ-ერთ თავს, რომლებიც კალამბურებითაა შეზავებული, ჰქვია: „აქა ზ მ ა ლ ე ქ ს ა დ თქმული“ (გვ. 62). მეორეგან არის: „ყუმარზედ ზ მ ა ლ ე ქ ს ა დ თქმული“ (გვ. 137). რასაკვირველია, თეიმურაზ მეორე იცნობს გაულექსავ ზმებსაც, ამიტომ აწერს ლექსებს ასეთ სათაურს.

„ვეფხისტყაოსანში“ კამათი საკმაოდ საკმიანად მიმდინარეობდა და, უნდა ვიფიქროთ, ისინი კი არ ლექსობდნენ, არამედ ჩვეულებრივ კამათობდნენ და მხოლოდ აქა-იქ ჩაურთავდნენ ხოლმე ზ მ უ რ გამოთქმებს.

საინტერესოა, ამავე მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება კიდევ ეს სიტყვა?

ამთავითვე უნდა ვთქვათ, ჩვენ არ გვეგულება! ხოლო მკვლევართაგან, გარდა ნიკო და დავით ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა, ამაზე არავინ არაფერს ამბობს. ამათ კი ასეთად მიაჩნიათ 1519 .3-ე სტროფი<sup>25</sup>:

„ჭკრეტა ახელებს მჭკრეტელთა ყოფა-ქცევისა და ზ მ ი ს ა“.

ოღონდ, იგივე დავით ჩუბინაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ თავისი გამოცემის განმარტებებში ამის შესახებ არაფერს წერს. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ახსნის ხასიათიდან ჩანს, ამ ნაწილში დავითს თავისი ბიძის, ნიკოს, ლექსიკონით უსარგებლია, ეს საილუსტრაციო მაგალითიც მისგან აუღია, რაც მის შემდეგდროინდელ ლექსიკონშიაც გავრცელდა.

---

წვევასა..., ზნეობისა გამოჩენასა, ნადიმთა ზედა ზ მ ა ს ა და შაირსა, ლაღობასა და ხ უ მ რ ო ბ ა ს ა...“ (იქვე, გვ. 115).

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე: იოსებ ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს, დ. ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი ს და ნ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1928, სიტყვაზე „კალამბური“.

<sup>25</sup> ნიკო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. დ ლ ო ნ ტ ი ს რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961; დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ლ ი, ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, სპბ., 1840; მ ი ს ი ვ ე, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ., 1887.



ისე კი, ვისიც უნდა იყოს ეს განმარტება, სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს.

საქმე ისაა, რომ პოემაში ეს ნათქვამია ტარიელზე, რომელიც როსტევანს ესაუბრება, როგორც ავთანდილის მოციქული. შეუძლებელია, თუ ეს სტროფი და, საერთოდ, ეს ადგილი რუსთველისეულია და შერყვნილი არ არის შემდეგდროინდელ ინტერპოლატორთაგან, გენიოს პოეტს დაეშვა, მხცოვან მეფესთან სტუმრად მოსულ ახალგაზრდა, უცნობსა და უცხო რაინდს ზმებით ელაპარაკა ისე სერიოზულ ვითარებაში, ისე მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც ავთანდილის მეფესთან შერიგება და მისთვის თინათინის მითხოვება იყო. ტარიელი წყლის პირას, ნადირობის დროს მომხდარი ინციდენტის შემდეგ პირველად ხვდება როსტევანს და თავი თუშტა ღირსეულად, მაგრამ საკმაოდ მოკრძალებით უჭირავს. ჯერ კიდევ აღრე, არაბეთის საზღვრებს რომ უახლოვდებოდნენ, ტარიელმა მას ბოდიშით შეუთვალა:

„მე შენთა სპათა ვაჩვენე ნიშანი რამე წყენისა,  
დავზოცე მონა მრავალი, მსახური სრისა თქვენისა“.  
„აწ ამად მოვალ წინაშე, დავყარენ ჩემნი გზანია,  
შემინდეთ, რაცა შეგცოდე, ჰქმნეთ გაწყრომისა კმანია“  
(1505–1506).

ახლაც, შეხვედრისას, დინჯად, მორიდებით, პირდაპირ მოახსენა თავისი სათქმელი და ბოლოს მორჩილებით დააყოლა:

„ამის მეტსა არას გადრებ, არ მოკლესა, არცა გრძელსა“ (1523. 1).

თავის მხრივ, ამგვარივე პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობოდა როსტევანიც ტარიელს. აშკარაა, ამ შემთხვევაში, წინააღმდეგ ზემოთ განხილული ადგილისა, არავითარი საჭიროება არ იყო ზმათა გამოყენებისა. „ზმა“ აქ, როგორც აქვე სხვაგან, ქ ც ე ვ ა ს, მ ო ქ მ ე ღ ე ბ ა ს უნდა ნიშნავდეს.

მაშასადამე, „ზმა“ კლამბურის მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგან არ არის. მაგრამ ეს ხომ ეჭვის ქვეშ არ აყენებს ჩვენს მტკიცებას?

უთუოდ არა!

ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, „ზმა“ განხილული მნიშვნელობით ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებული იყო. მოყვანილ მაგალითებში აღწერილია ისეთივე ლხინი და ქეიფი, როგორიც, საერთოდ, იმართებოდა ძველ საქართველოში, განსაკუთრებით, მეფე-დიდებულთა კარზე და როგორიც მოცემულია „ვეფხისტყაოსანში“.

შოთა რუსთველს, სიტყვის ამ უბადლო ოსტატსა და საკარო ცხოვრების შესანიშნავ მცოდნეს, შეუძლებელია, ასეთი მკვიდრი სიტყვა არ სცოდნოდა.

მეორეც, „ვეფხისტყაოსანში“ ბევრია ისეთი სიტყვა, რომლებიც თითოჯერაა გამოყენებული. ხოლო ისეთები, რომლებიც მრავალჯერაა გამეორებული და რომელთაც ჩვეულებრივ თითო გაგება აქვთ, აქ მრავალმხრივი მხატვრული და აზრობრივი ნიუანსებითაა მოცემული<sup>26</sup>.

ამათ რომ თავი დაეანებოთ, თვით „ზმა“ სხვებისაგან განსხვავებული მნიშვნელობით პოემაში კიდევაა ერთხელ ნახმარი. ესაა:

„ფატმან-ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მ ზ მ ე ლ ი“  
(1077. 1).

ამ სტრიქონში ამ სიტყვის განმარტებას საგანგებო გამოკვლევა უძღვნა ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ<sup>27</sup>. მისი შეხედულებით, „მზმელი“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „ზმნა“, რომლის პირველადი მნიშვნელობაა „მომაჯლის შემტობი თუ წინასწარმეტყველი მრჩეველ-

<sup>26</sup> დაწერილებით იხ.: შ. დ ლ ო ნ ტ ი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961.

<sup>27</sup> ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან, მზმელი, სმგ მოამბე, 1960, № 1, გვ. 190-193. შესულია ავტორის „შრომების“ მეორე წიგნში (თბ., 1976, გვ. 78-81).

მარჩიელი, ხოლო გადატანით: მ ო მ ხ ი ბ ლ ა ვ ი, მ ო მ ა ჯ ა დ ო ე ბ ე ლ ი, ანუ ჯ ა დ ო ქ ა რ ი“. ავტორის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ 1077.1-ე სტროფში მას სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ილ. აბულაძის მოსაზრება გაიზიარა ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა, რომელმაც ერთგვარი პარალელი გაავლო „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტრიქონსა და ე. წ. „აბდულმესიანის“ 84. 1 სტროფს შორის<sup>28</sup>.

ივ. ლოლაშვილის გამოკვლევას გამოეხმაურა შ. ლ ო ნ ტ ი. რომელმაც არ გაიზიარა ილ. აბულაძისა და, ამდენად, არც ივ. ლოლაშვილის განსაზღვრება. მისი სიტყვით, „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტრიქონში „ფატმან ხათუნი რომ მომაჯადოებელია, ამასვე მითითებულა ტაჟის დასაწყისში («თვალად მარჯვე»)». შემდეგ მოცემულია მისი სხვა ნიშნებით დახასიათება: ის ემაწვილი არ იყო, მაგრამ მშემელი იყო. «მშემელი» აქ მ ო ქ მ ე დ ს, ე ნ ე რ გ ი უ ლ ს უნდა ნიშნავდეს (მშემელი, - ზამ) და არა ჯ ა დ ო ქ ა რ ს<sup>29</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ ეს სტრიქონი გაცილებით ადრე შ. ლლონტისებურად ახსნილი ჰქონდა ვიკტორ ნოზაძეს<sup>30</sup>.

ჩვენი აზრით, აქ მართლაც შეიძლება მ ო ქ მ ე დ ი-ს (=ენერგიულის) მნიშვნელობის ჩადება, ისე როგორც, თუნდაც, ჩვენი გაგებისა, - მ ხ ი ა რ უ ლ ი, გ ა რ თ ო ბ ი ს მ ო ყ ვ ა რ უ ლ ი. მაგრამ ის საბუთი, რომ ფატმანის სილამაზის შესახებ სტრიქონის დასაწყისშია აღნიშნული და შემდეგ მისი გამეორება მოსალოდნელი არააო, - ილ. აბულაძისეული ახსნის უარყოფისათვის საკმარისი არ არის. საქმე ისაა, რომ აქვე მეორე სტრიქონში, კვლავ ლაპარაკია ფატმანის სილამაზეზე:

„ნაკთად კარგი, შავგვრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი“.

<sup>28</sup> ძველი ქართველი მეხოტბენი, II, იონანე შ ა ვ თ ე ლ ი, აბდულმესიანი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1964, გვ. 241.

<sup>29</sup> გამოკვლევა შავთელის „აბდულმესიაზე“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 12 მარტი, 1965, № 11, გვ. 2.

<sup>30</sup> ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება, ბუენოს აირესი, 1953, გვ. 161.

პოეტს თავისუფლად შეეძლო ეთქვა, რომ ფატმანი იყო თვალად მარჯვე (თავისი სილამაზით თვალში მოსახვედრი), თუმცა ასაკში შესული, მაგრამ მაინც მომხიბვლელი (მომაჯადოებელი), კარგი ტანისა და ნაკეთების მქონე და ა. შ.

ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ პირველ ორ სტრიქონში სახისა თუ ტანის პორტრეტული ნიშნებია ჩამოთვლილი, ქცევების შესახებ მერეა ნათქვამი:

„მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი...“

ასე რომ, სამივე მნიშვნელობა, – ე ნ ე რ გ ი უ ლ ი, მ ხ ი ა რ უ ლ ი, მ ო მ ხ ი ბ ა ვ ი, – გადატანითია და თავიანთი ძირითადი შინაარსით არც ერთი არ უდგება მას. მაგრამ მათგან, ჩვენი აზრით, კონტექსტს ყველაზე უფრო მაინც უკანასკნელი, ილ. აბულაძისეული ახსნა შეესაბამება.

გამოსარკვევია და შესაძლებელია ამგვარივე ვითარება იყოს 586. 4-ე სტროფშიაც:

„ზღვის პირს მივე, ნავი დამხვდა, მენავემან მნახა ზ მ უ ლ ი“.

აქ შეუძლებელია, „ზმა“ „ხანის დაყოფას“, „დახანებას“ ნიშნავდეს. ტარიელი არსად არ შეჩერებულა. როგორც კი გაიგონეს ტანის დაკარგვის ამბავი, მყისვე გამოემართა:

„შევე, ფიცხლად შევეკაზმე, ცხენსა შევჯე შეკაზმული“.

ლოდინი არც ზღვის პირას დასჭირვებია, ნავი იქვე დახვდა.

ხომ არა არის აქ „ზმა“ იმავე გაგებით, როგორც ეს არის „ამირან-დარეჯანიანში“? –

„ზ მ ა იუო ქალაქსა შინა, ლოცვა და ტირილი ჩემთვის. იტეოდეს მოქალაქენი: თუ სვალე ისი იმღევისდა, სრულიად თურე გაუწირავართ ღმერთსო. მოვიდა უოველი ქალაქი და მნახვიდიან. დილასა გამოვიდა ამირა და დაჯდა ბანთა ზედა. წამოდგეს მებუკე-

მედაბდაბენი. ზ მ ა იუო ქალაქსა შინა. ეგრეთვე არაბთა მეფე მოვიდა და ზედა წამოდგეს მისი მეუბუკე-მედაბდაბენი, სცემდეს ბუკსა და დაბდაბსა და ზ მ ა იუო<sup>31</sup>.

მკვლევარები ამ სიტყვას აქ თითქმის ერთნაირად ხსნიან: დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი – „ხმაურობა, ჩოჩქოლი“ (ქართულ-რუსული ლექსიკონი), ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე – „ხმაურობა“ (მისი გამოცემა, თბ., 1939), ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი – „ეიჟინა, ქრიაშული, დიდი ხმაური“.

თუ ეს ახსნა და ვარაუდი სწორია, გამოდის, მენავეს ტარიელი უნახავს მ ყ ვ ი რ ა ლ ი, ა ბ ო ბ ო ქ რ ე ბ უ ლ ი. ხოლო „კეფხისტყაოსანში“ ერთხელ იქნება ეს მნიშვნელობა გამოყენებული, თუ ასე არაა კიდევ 620. 1-ე სტროფში:

„მოვედით, მოქალაქეთა ზარი ჩნდა, რომე ზ მ ი ღ ი ა ნ“.

დასასრულ, ერთი გარემოება კიდევაა აღსანიშნავი.

ჩვენი სტრიქონის გავლენას ამჟღავნებს „შაკ-ნამესა“ და მის მიმბაძველთა ქართული გალექსილი ვერსიები<sup>32</sup>.

სერაპიონ ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი:

„მერაბს ხელთა ვარდის კონა ჰქონდა, ლხინსა ვინ დასთვლიდა?!“

პირ-მზეს ქალსა ხელი მიჰყო, ელვარესა ღაწვს კოცნიდა.

მან დალოცა, ვით მართებდა, ს ა ყ უ ა რ ლ ა დ და კ ა რ გ ა დ ზ მ ი დ ა:

მოშურნე და ავი თვალი მოაშოროს, – ინატრიდა!...“ (1262).

გავლენა უნდა იყოს სხვა შემთხვევებშიაც:

„წავიდეს პირ-მოცინარნი, გულმხიარულნი ვლიდესა, ...“

მათ მხიარულთა კარავნი დადგიან, ა მ ო ლ ზ მ ი დ ე ს ა“ (1226).

---

<sup>31</sup> ეუთითებთ ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემით, „ჩვენი საუნჯე“, II, 1960, გვ. 377. კიდე: 297. 30; 298 .11; 319 .9; 327 .37; 375 .39; 395 .11; 421 .5; 439 .13; 441. 33; 445 .13; 448 .15; 448 .27 და სხვა.

<sup>32</sup> შაკ-ნამეს ქართული ვერსიები, I, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1916, ტ. II, იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე ს, აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს, პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს, კ. კ ე ე ლ ი ძ ი ს და აკ. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, თბ., 1934.

„მერაბ შინა რა მივიდა, მხიარული კარგა ზმიდა“ (1258 .3).  
 „თავადნი და ფალავანნი საამს გვერდით კარგა<sup>33</sup> ზმიდეს“ (1481 .1).  
 „ერანელნი ფალავანნი შეიყარნეს კარგად ზმითა.  
 ტუსი, ზაალ, მილად, ყარან – ქოსითა და ნალარითა“ (2046).  
 „თავს დაირქვა მუზარადი, ხელმწიფურად კარგა ზმიდა“ (2405 .3).  
 „თეთრი სპილო დანახა, როსტომ მაზედ წამოვიდა,  
 ტახტი იღვა იმაზედა, ჟამად ხაყან კარგად ზმიდა“ (3690).  
 „ბრძანებს: «აქ მოვისვენოთ, ჩვენ შევექცეთ კარგა ზმასა»“ (4844.1).  
 „წინა სპანი გააგება, ვინცა ახლავს კარგა ზმიდა“ (4853 .3).  
 „შეჯდა, თვითონ გაემართა, ვითა მართებს, კარგა ზმითა“ (4874.3).  
 „მერმე დაჯდა ტახტსა ზედა, ხელმწიფურად კარგა ზმიდა“  
 (4922 .3).

ბარძიმ ვაჩნაძე:

„ტახტიდალმა ჩამოვარდა, ხელმწიფესა მიაქვს ხმანი;  
 თავსა მიწა გარდიყარა, მოსთქმიდიან მისი ყმანი;  
 საყელონი გარდიხია, აღარ უნდა ტკბილად ზმანი;  
 გრგვინვა შექნეს ლაშქარშიგან, დაიგლიჯეს ყოველთ თმანი“<sup>34</sup>.  
 „ქიშვად, მილად, ამაქ მოზღვეს, მხიარულად კარგა ზმიდეს“  
 (358 .3).  
 „ბურთობდის და ნადირობდის, არ აკლია კარგი ზმანი“ (1078 .2).

მამუკა თაკვაქარაშვილი:

„გამოისვენეს ლხინითა; ამოდ და ტკბილად ზმიდია“ (87 .4).

რომელი მნიშვნელობით ხმარობენ ეს ავტორები აქ „ზმას“?  
 როგორ გაუგიათ ის „ვეფხისტყაოსანში“?<sup>35</sup>

<sup>33</sup> ზოგიერთ ხელნაწერშია „კარგად“.

<sup>34</sup> საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, H-61, გვ. 59.

<sup>35</sup> მოსალოდნელია, ბარძიმსა და მამუკაზე გარკვეული გავლენა სერაპიონის ტექსტმაც მოახდინა, მაგრამ მთავარი შთამაგონებელი, მოქმედი მაინც რუსთველი იქნებოდა.

ამის დადგენა საკმაოდ რთულია, არა ნაკლებ, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, საგანგებო, მრავალმხრივ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

მეტი სიძნელეა სერაპიონთან. მასთან, გარდა დასახელებულისა, „ზმა“ კიდევ მრავალჯერაა გამოყენებული: 1232. 1, 1237. 2, 1441. 1, 1582. 3, 1690. 4, 1760. 1, 1778. 3, 2097. 2-3, 2329. 4, 2406. 2, 3201. 3, 3285. 2, 4065. 1, 4427. 3, 4451. 2, 4815. 1 და სხვა. ზოგიერთ მათგანში საგულეებელია კიდევ იყოს ჩვენი სტროფის გამოძახილი.

მთელი ამ მასალის გაცნობა გვიჩვენებს, რომ პოეტი „ზმას“ მრავალი მნიშვნელობით იყენებს. უდავოა, ბევრჯერ აღნიშნავს „მოქმედებას“, „ქცევას“, „საქციელს“. მაგალითად:

„მეფე მალვით ეუბნების ვეზირთა და მოაბადთა:

«სიკეთე და კალიობა მომწონს ყოფა-ქცევა-ზმათა»<sup>36</sup> (1690).

„იგ შეუყვარდა ლაშქართა, ზაალ მოსწონდათ ჭკვაზედა, აგრევე ზნე-კეთილობით, ყოფა-ქცევასა-ზმაზედა“ (1778).

„ყველგან იყენეს მოსვენებით, ნადიმობდეს, ღვინოს სმიდეს, ძალოვანი უსუსურთა უსამართლოს ვერ უზმიდე, კარგნი ჟამნი წაიარეს, მოსვენებით ასრე უზმიდე ს<sup>37</sup>, ასსა წელსა იტახტოსნა, მისნი მტერნი მინატრიდეს (2097) და სხვა.

იმათშიაც, რომლებიც 69.2-ე სტროფის გავლენად მივიჩნით, ასეთივე უნდა იყოს 1481.1 და 2405.3-ე სტროფები. პირველში ის გვაფიქრებინებს, რომ წინ გარკვეულ თავდაჭერასა და ქცევაზეა ლაპარაკი:

---

<sup>36</sup> ამასა და მომდევნო სტროფში „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენ მიერ განხილული მეორე სტროფის – „ჭვრეტა ახელებს მჭვრეტელთა ყოფა-ქცევისა და ზმისა“ (1519.3) – გავლენა უნდა იყოს.

რაკი სხვა გავლენაზეა საუბარი, ბარემ იმასაც აღვნიშნავთ, რომ „როსტომიანში“ „ვეფხისტყაოსნის“ 69-ე სტროფის შესაძენ სტრიქონის – „ნაძლევიცა გააჩინეს, ამაპირსა დაასკვნიდეს“ – გავლენაც ჩანს:

„ორნი ომსა აპირებდეს, ამაპირსა დაასკვნიდეს“ (3515.3).

„ღმერთი აღარ მოიგონეს, ესეპირი დაასკვნესა“ (3565.4).

<sup>37</sup> აქ „ხუმრობა-გართობის“ შინაარსიც ესადაგება.

„ნავზარ გავიდა ქალაქით ხ ე ლ მ წ ი ფ უ რ ი თ ა წ ე ს ი თ ა;  
გვერცა ახლავან თავადნი შემკულნი ოქროს ფესითა.  
საამ ცნა, წინ მოეგება ყოფ ა-ქ ც ე ე ი ს ა წ ე ს ი თ ა,  
ბაგით ჰკოცნიდეს ხელებსა შაქრისა უტკბილესითა“ (1480).

კანონზომიერი იქნებოდა, ავტორს ამის შემდეგ საპასუხოდ საამის მხლებლების საქციელის შესახებაც ეთქვა, – კარგად იქცეოდნენო.

საძიებელი მნიშვნელობა (ლხინი, გართობა, ხუმრობა) აშკარად მხოლოდ 4844,1 სტროფში უნდა გვექონდეს. აქ აღწერილია გამარჯვებული ქაიხოსროს ზეიმი:

„ქაიხოსრო მას ღამესა მხიარული ღვინოს სმიდა,  
რა გათენდა, ლაშქართ ცალკე სალოცავად გამოვიდა;  
გამარჯვება უხაროდა, ღმერთსა მადლსა შესწირვიდა,  
დაკოდილნი დაიურვა, ქანგ სამოთხეს წამოვიდა.  
ბრძანებს: «აქა მოვისვენოთ, ჩვენ შევექცეთ კ ა რ გ ა ზ მ ა ს ა,  
ძველი საქმე გარდაეუშვათ, ჩამოვეხსნათ ავის ქნასა»“.

ღანარჩენებში (მხედველობაში კვლავ გავლენად მიჩნეულები გვაქვს) „ხუმრობა-გართობისა“ თუ „ქცევა-საქციელის აზრითა“ ნახმარი, გადაჭრით თქმა ძნელია. კონტექსტს თითქოს ერთნაირად შეესაბამება ორივე შინაარსი.

ყველაფერი ნათელი არც ბ. ვაჩნაძესთანაა, მაგრამ კონტექსტი ამ მხრივ უმეტეს შემთხვევაში გაცილებით მეტყველია მასთან, ვიდრე სერაპიონთან.

ბარძიმიც მრავალი მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვას (გარდა დასახელებულისა, იხ. ხსენებული ინსტიტუტის H-61 ხელნაწერი: გვ. 44, 134, 208, 225; გამოცემული: სტროფები – 272.2, 379.4, 381.4, 805.1, 971.3 და სხვა). მაგალითად, „მოქმედება-საქციელის“ მნიშვნელობითაა:

„მე გიჩვენო, ვისცა გინდა, მეომართა ქ ც ე ე ა-ზ მ ა ნ ი“<sup>38</sup>  
(H-61, გვ. 208).

<sup>38</sup> აქაც უშუალოდ „ვეფხისტყაოსნის“ 223, 4 ან 1529. 3 სტროფის გამოძახილია?



„ხუმრობა-გართობის“ მნიშვნელობით კი დიდ უმრავლესობაშია:

მანუჩარმა სალიმისა და თურის წინააღმდეგ პირველი ლაშქრობისას ბრძოლის წინ მტრის პირისპირ კარვები დადგა და თავის ფალანგებთან ნადიმი გამართა:

„მოვიდეს, დასხდეს თავადნი, მებრძოლთა შემაზარაენი.  
ოქროს სელზედ დაიწვიეს საამ გმირი პილოტანი;  
ქიშვად, ყარან, აშაქ, მილად, ყუბად დასხდეს, გპირნი სხვანი;  
მუნით სალიმ-თური დასხდეს, გაარიგეს მათნი სპანი;  
ვისი, ფირან, თურქი, თურაზ, შანშე, შედოშ შექნეს ზ მ ა ნ ი.  
მას ლამეს ორთავე ნადიმი დაიდევს, შექმნეს მზადება...“ (380-382).

მანუჩარის დროსტარება:

„დასხდეს, დაიდევს ნადიმი, ვითა მათ სწადდა, სმიდიან;  
ტყბილად იძღერდეს მუტრიბნი, ამოსა ხმასა ჰკურიდიან,  
არავინ იყო შემცილვე, ბურთობდიან და ზ მ ი დ ი ა ნ,  
აწ ჰხადეს ხელი სოფელსა, მინდორს ნადირსა სრვიდიან“ (971) და  
სსვა.

ამავე გაგებითაა იმ სტროფებშიც, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ გავლენას განიცდიან. პირველში („ტახტიდალმა ჩამოვიდა...“) აღწერილია უთრუთ ფალანგის ღალატით მოკვლის გამო გამოწვეული გლოვა და მწუხარება. ნათქვამია, რომ ხელმწიფეს აღარ უნდა ღხინი, მხიარულება, გართობაო. 1078.2-ე სტროფშიც „გართობა-ღხინი“ უნდა იყოს ნაგულისხმევი, რადგან წინ ბურთობასა და ნადირობაზეა საუბარი.

ოღონდ ასე დაბეჯითებით ვერ ვიტყვით 358.3-ე სტროფზე. მასში ასევე წარმატებით შეიძლება ჩაისვას „მოქმედება-ქცევის“ მნიშვნელობაც. ქართულ პროზაულ რედაქციაში, რომელიც საფუძვლად დაედო პოეტურს, მოგვეპოვება ამ ადგილის შესატყვისი ტექსტი, მაგრამ დასმული საკითხის გადაწყვეტაში ვერ გვშველის:

„ფრიდონ დაჯდა ტახტსა ზედა, თავს გვირგვინი დაიბურა,  
ნალარასა აკრევიანა, ბედსა აღარ დაემდურა,  
ვითამ ერაჯე გაუცოცხლდა, თქვა: თუ «ლხინი მომეწურა!»  
ეს ამბავი ყველაკასა მიუწერა, ადასტურა.  
თავადთა და ფალავანთა რა სცნეს, ფიცხლავ წამოვიდეს;  
საამ წინა მიუძღოდა, სარავს ქალაქს შემოვიდეს,  
ქიშუად, მილად, აშაქ მოზღვეს, მხიარულად კარგა ზმიდეს,  
შევიდეს და მეფე ნახეს, დაშრტეს, — რომე ცეცხლი სწვიდეს.  
მადლი ჰკადრეს შემოქმედსა, გააერთეს მიწას პირი“.

პროზაული:

„ხელმწიფემან გაიხარნა, ვითამცა ერაჯი გაცოცხლებულიყო და იგი გაემანწვილებულიყო. მერმე აკრევიანა ქოსსა, ნალარასა. აგრე ფრიდონ ხელმწიფე ტახტზედა დაჯდა ქუდოსან, გვირგვინოსან, საყუროსან, (...)ტავაყოსანი. მერმე გაისმა ეოველთა ალაგთა მანუხარის დაბადებისა ხმა და შეიუარა, რაცა სადა ფრიდონის საბრძანებელი იყო, ფალავანნი დიდებულნი და თავადნი. აგრე მოვიდეს ერთგან შეერილნი. და საამ ფალავანი დიდი მთა ვითა წინა მიუძღვებოდა. აგრევე — მას გვერდის ქიშუადი და მისი ძმა აშაქ (მამისა სახელი დაურქმევიანა) და მისთანავე — მილად. აგრე ფიცხლა დარბაზის კართა მოვიდეს, ჩამოხდეს ფიცხლად და შევიდეს, და ხელმწიფესა წინაშე დამბადებლისა სახელი ასსენეს და ჰირი მიწასა გააერთნეს“<sup>39</sup>.

---

39 ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა H-921, გვ. 109V.

ეს შედარება უფრო იმითაა საყურადღებო, რომ გვიჩვენებს, ქართულ თარგმანში სიტყვა „ზმის“ არსებობა განპირობებული არ არის ორიგინალით. ანალოგიურ ვითარებას უნდა ველოდეთ დანარჩენ შემთხვევაშიც. „როსტომიანის“ 1178-ე სტროფი და ის ადგილი, რომელშიც ეს სტროფი შედის, სპარსულთან შედარებული აქვს ალ. ბარამიძეს (ნარკვევები..., II, 1940, გვ. 54). მისი ცნობით, ის, რაც სპარსულში ორიოდე სტრიქონითაა ნათქვამი, ქართულში რამდენიმე სტროფითაა გავერცობილი. უნდა ვიფიქროთ, ამაში წვლილი მიუძღვის არა მარტო ქართულად პროზით მთარგმნელს, არამედ აგრეთვე ს. საბაშვილსაც (განსაკუთრებით „ზმის“ ხმარებაში).

ასევე ითქმის მამუკაზეც, თუმცა უფრო მაინც ჩვენი მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები ბევრ შემთხვევაში ბუნდოვანია და ორიოდ აღვიღას საწინააღმდეგოც, საბოლოო ანგარიშით ჩვენს დასკვნებს ხელს არ უშლის. ამჯერად მთავარი ისაა, რომ საძიებელი მნიშვნელობა („გართობა-ხუმრობა“) უცხო არ არის მათთვის და მისი არსებობა დასტურდება როგორც სხვა, ისე იმ სტროფებშიაც, რომლებიც განხილული სტროფის გავლენას განიცდის. რაც შეეხება საკუთრივ „ზმას“ (კალამბურს), რომელიმე სტროფში მისი გულისხმობა კიდევ უფრო ძნელია.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს: გამორიცხული არაა (განსაკუთრებით ამას ზოგიერთი მაგალითი გვაფიქრებინებს), რომ დასახელებული პოეტები ამ სიტყვას ყოველთვის ბოლომდე გააზრებულად, დიფერენცირებული მნიშვნელობით არ იყენებდნენ და ამგვარივე დამოკიდებულებას „ვეფხისტყაოსნის“ მიმართაც იჩენდნენ.

ამრიგად: 1. იმის გამო, რომ კონტექსტს უფრო შეესაბამება და სხვა მონაცემები ხელს არ უშლის, „ვეფხისტყაოსნის“ 69-ე სტროფში ზ მ ი დ ე ს უნდა ნიშნავდეს ზოგადად ხ უ მ რ ო ბ დ ნ ე ნ, ლ ა ლ ო ბ დ ნ ე ნ, ე რ თ ო ბ ო დ ნ ე ნ..., ან, როგორც ეს ნ. მ ა რ ს ა და მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ესმით, კონკრეტულად – საკუთრივ ზ მ ე ბ ს, კ ა ლ ა მ ბ უ რ ე ბ ს ამბობდნენ.

2. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგან არ გვხვდება.

„ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე, ჩანართ-დანართე-ბიანად, 16-მარცვლოვანი შაირითაა დაწერილი. ერთადერთი გამონაკლისია 771-ე სტროფი<sup>2</sup>, რომელიც რიგ ხელნაწერებსა და გამოცემებში შესრულებულია 20-მარცვლოვანი საზომით – ფისტიკაურით. თუმცა ხელნაწერთა უმრავლესობაში და აქედან რამდენიმე გამოცემაში ეს სტროფი 16-მარცვლოვანი შაირითაცაა წარმოდგენილი, გამოცემებში ის უფრო 20-მარცვლოვანი ფორმით გავრცელდა. ასეა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს (1712), მ. ბ რ ო ს ე ს (1841), დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს (1860), ი უ ს ტ . ა ბ უ ლ ა ძ ი ს ორივე (1913 და 1926), პირველ საიუბილეო და მასზე დამყარებულ (1937, 1951, 1953, 1957) გამოცემებში; შაირით – ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს ორივე<sup>3</sup> (1913 და 1927) და კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამოცემებში. პირველ საიუბილეო და მისგან მომდინარე პუბლიკაციებში ეს სტროფი ასე იკითხება:

„შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან,  
სამასი თავი სტავრა-ატლასი უხემან, ნიადაგ მიუმცდარომან,  
სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი ფერად მართ ვითა მიუმხვდარომან.  
კაცი გაგზავნა ვაზირისასა, ესე ყველაი მისთვის არო მან“.

---

<sup>1</sup> გამოქვეყნებული იყო წიგნში: შ ო თ ა რ უ ს თ ვ ე ლ ი , საიუბილეო კრებული, „მეცნიერება“, თბ., 1966, გვ. 368–390. ბოლო ნაწილი – „მინაწერი“ დაიბეჭდა: ლიტერატურული ძიებანი, 2006, № XXVII, თბ., 2006, გვ. 71–79.

<sup>2</sup> სტროფთა სათვალავი აქაც პოემის პირველი საიუბილეო (1937) და მისგან მომდინარე (1951, 1953, 1957 წწ.) გამოცემების მიხედვითაა მითითებული.

<sup>3</sup> თუმცა პირველ პუბლიკაციაში მეორე სტრიქონი 20-მარცვლიანად გაპარულა.

ამ სტროფის ფისტიკაურის<sup>4</sup> ფორმით დამკვიდრება ბოლო ხანებში, რა თქმა უნდა, ხელნაწერებზე დაყრდნობით მოხდა, მაგრამ, თუ ადრეულ გამოცემებშიაც ასეა, უპირველესად ვახტანგისეული ტექსტის გავლენის შედეგი უნდა იყოს. რადგან ვახტანგისეულ გამოცემაში 20-მარცვლოვანი სახით იყო დაბეჭდილი, იგი მაშინვე მოექცა ყურადღების ცენტრში. ერთადერთმა განსხვავებულმა მეტრმა იმთავითვე გამოიწვია გაკვირვება და ეჭვი აღძრა, – ამ სახით და, საერთოდ, მთლიანად სტროფი რუსთველურია თუ არა, რაც დღემდე არ არის დადგენილი.

მიუხედავად იმისა, აღნიშნული სტროფი რუსთველისეულია თუ ნართაული, ჯერ გასარკვევია, თავიდან რა სახით შეიქმნა იგი, – შაირით თუ ფისტიკაურით? როგორც ვთქვით, არც აქ არსებობს თანხმობა: თუმცა გამომცემელთა უმეტესობა მას ფისტიკაურის სახით ბეჭდავს, ნაწილი მაინც შაირს აძლევს უპირატესობას.

---

<sup>4</sup> ვახტანგ მეექვსე ამბობს: „ჩ ა ხ რ უ ხ ა მ ე ს რომ ჩახრუხაული უთქვამს, ეს იმიტოვის დაუწერია [რუსთველს], რომე ესეც ვიცოდით“ (ვეფხისტყაოსანი, 1712, გვ. ტლე). გამოდის, ვახტანგი „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტროფს ჩახრუხაულს უწოდებს. სინამდვილეში მას ჩახრუხაულისათვის აუცილებელი შინდა რითმები არ მოეპოვება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მეორე სტრიქონში რითმის მსგავს ბგერათა ურითმო გამეორებას: „სამასი თავი სტავრა ატლასი...“.

ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი ყურადღებას აქცევს, რომ პირველი და მეორე სტრიქონები შეიძლება 10-მარცვლოვან ჯვარედინ რითმიან სტროფად წარმოვიდგინოთ:

შეკრა წითელი ასი ათასი  
პირად მზემან და ტანად ს ა რ ო მ ა ნ,  
სამასი თავი სტავრა-ატლასი  
უხვმან, ნიადაგ მიუმცდ ა რ ო მ ა ნ“.

(ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ზოგიერთი საკითხი რითმის ისტორიიდან, „მნათობი“, 1959, № 1, გვ. 143).

„ვეფხისტყაოსანში“ მსგავსი ე. წ. შიდა რითმები, როგორც აკხინთიბიძემ გამოავლინა, საკმაოდ უხვად მოიპოვება (აკაკი ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის პოეტიკიდან, თბ., 1969); მაგრამ ისინი უფრო პოეტის ქვეცნობიერი მუსიკალობის მაჩვენებელია, ვიდრე შეგნებული, საგანგებო ცდისა.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი საიუბილეო ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე ვუკოლ ბერიძე წინადადებას იძლეოდა, სტროფი 16-მარცვლოვნად დაბეჭდილიყო<sup>5</sup>. ფისტიკაურის პირველადობას იზიარებს აკაკი შანიძე: „ზოგიერთი ხელნაწერი – წერს იგი, – მას გადაკეთებულად წარმოგვიდგენს შაირის სახით (...). გადაკეთებისას ზოგ ხელნაწერში დარჩენილა კვალი იმისა, რომ ის 20-მარცვლოვანი ფისტიკაურიდან მომდინარეობს“<sup>6</sup>. სამწუხაროდ, არც ერთ მხარეს თავიანთი მოსაზრების დამტკიცება არ უცდია.

აი, როგორ იკითხება ეს სტროფი ხელნაწერებსა და გამოცემებში<sup>7</sup> (გვ. 49-50):

როგორც ვხედავთ, ერთსულოვნებაა იმ ნუსხებში, რომლებშიც ეს სტროფი 20-მარცვლიანადაა წარმოდგენილი, კერძოდ, – ABCDLMQUVXD'I'R'–ში. ამათგან განსხვავდება მხოლოდ გვიანდელი F'L'Q' ნუსხები. დანარჩენი ხელნაწერები სხვადასხვანაირ სახეს გვიჩვენებს, ოღონდ 16-მარცვლოვანობით აღბეჭდილს, თუმცა ზოგიერთს 17 და 18-მარცვლოვანი სტრიქონიც გამოორევია.

---

<sup>5</sup> კომისიის სხდომათა ოქმი: № 122, 22 ნოემბერი, 1935 წ. ოქმების თითო ცალი რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ინახება.

<sup>6</sup> აკ. შანიძე, ფისტიკაურის ისტორიისათვის, ლიტერატურული ძიებანი, II, 1945, გვ. 7.

<sup>7</sup> ლიტერებში აქ „იუბ“ აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის პირველ საიუბილეო და მისგან მომდინარე (1951, 1953, 1957 წწ.) გამოცემებს.

თითოეული ხელნაწერის ჩვენება მოცემულია ABC... ნუსხების წაკითხვებთან, ანუ პირველ სტრიქონთან, მიმართებით: ბრჭყალი (,) ნიშნავს, რომ ესა თუ ის ნუსხა იმეორებს ABC-ს ვარიანტს, ხოლო ტირე (-) გვიჩვენებს, ეს ხელნაწერი ABC-ს ვარიანტს არ იცნობს.

ცალკეულ რედაქციათა შიგნით არის ოდნავ განსხვავებული წაკითხვები: შეკრა/შეჰკრა, სტაერა/სტაერი, ვაზირისასა/ვეზირისასა/ვეზირისთანად, უხუმან/უხმან, ყოველი/ყველა და სხვა. მაგრამ მათ ამჯერად ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელობა არა აქვთ და არც ჩვენ აღვნიშნავთ.

არ ვაჩვენებთ აგრეთვე იმ ხელნაწერებს, რომლებიც ამ ნაწილში ვახტანგის გამოცემას იმეორებენ.

ა. შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან ABCDLQVUWXD'I'R' ბ აბ<sup>1-2</sup> იუბ

"	"	ოც	"	"	"	"	"	"	F'L'Q'
"	"	ოც	ათსი	პირ	"	-	"	"	G
"	"		ას	ათას	პირ	"	-	"	Y
"	"	"	"	პირ	"	-	"	"	KOG'
"	"	-	"	"	"	-	"	"	I
"	"	-	"	"	მზემ	-	"	"	EZ
"	"	-	"	პირ	"	-	"	"	FA' კაკ <sup>1-2</sup> ჭ

ასი ათასი წითელი შეკკრა - მზემ - " [სა] " R  
- ასი ათასი წითელი პირ " - " " JT  
" ასი ათასი წითელი პირ " - " " Hღა-ი'

ბ. სამასი თავი სტავრა ატლასი უზემან ნიადაგ მიუმცდარომან ABCDLMQUWwXD'I'R' ბ ჩ აბ<sup>1-2</sup> იუბ

"	"	"	"	"	"	არ ყველა მიუმბდარომან	F'L'Q'
"	"	-	"	"	ღა	"	A'
"	-	"	"	"	ღა	"	EIZკაკ <sup>2</sup> ჭ
"	-	"	"	"	არ (ღა FR) მიუმბდარომან	FGHJKORTYG'	
"	"	"	"	"	ღა მიუმბდარომან	კაკ'	

მიუმცდარომან ABCA', მიუმცდარომან ბ ჩ, მიუმბდარომან YG'; სტავრა] სტევირი X.

გ. სამოცი თვალი ღალ იაგუნდი ფერად არ მათმან სასურომან ABCDLMQVWXD'I'R' ბ ჩ აბ  
1,2

"	"	"	მართ	კითა	მიუმზვდარომან	FL'Q'	იუბ
"	"	"	მართ	—	მიუმზვდარომან	G	
"	და ღალ	—	მართ	—	მიუმზვდარომან	F კაკ'	
"	"	"	—	"	"	A'	
"	"	"	"	"	საუმან	E კაკ <sup>2</sup>	
"	"	"	"	"	სარომან	HIZY	
"	"	"	"	"	"	R	
ათასი	—	"	"	კარდისა	დარომან	JKOTG'	
"	"	"	"	—	"	ჭ	

იაგუნდი] მარგალიტი L; სასურომან] სასურომან ვ ბ ჩ აბ ', სასურომონ აბ 2; მიუმზვდარო მან კაკ'.

დ. კაცი გაგზავნა ვაზირისასა ესე ყველაი მისთვის არო მან ABCDLMQVWXD'I'R' ბ ჩ აბ 1,2 იუბ  
" " ვაზირთან ეს ყველა " " " EFHIKOYZG' კაკ' 1,2 ჭ  
" " ვაზირთვე — ყოველი " " " A'  
მიგზავნა კაცი ვეზირსა ეს ყველა " " " JT  
— ვეზირისასა გაგზავნა ეს ყველა " " " G  
— ვეზირისასა ესე გაგზავნა ყველა მისთვისევე ესე " " FL'Q'  
ხელნაწერთა დეფექტურობის გამო ეს სტროფი აკლია NPSC'PT"-ს. ბ. გ. ~ GJKOTG'LQ'.



პირველ სტრიქონში ერთნაირად არ მოიპოვება მხოლოდ ერთი მარცვალი – „და“. დანარჩენი სამი დაკლებულია სხვადასხვანაირად: EFIZA'-ში დარჩენილი სამიდან ერთნაირადაა დაკლებული ორი: არ იკითხება „ასი“. მესამის დაკლებისას იყოფიან: „პირად მზემან“-დან FA'-შია „პირ მზემან“, ხოლო – EZ-ში „პირად მზემ“. I-ში ფრაზა უცვლელია და სტრიქონი 17-მარცვლოვანი გამოდის.

R-ში (გარდა იმისა, რომ სიტყვები გადაადგილებულია) არ არის „პირად“, ხოლო „მზემან“-ის ნაცვლად, მსგავსად EZ-ისა, იკითხება „მზემ“.

G-ში 7-მარცვლოვანი „ასი ათასი პირად“ ფრაზის მაგივრად იკითხება 4-მარცვლიანი „ოც ათასი პირ“.

HKOG'-ში (მათ შორის განსხვავება ისაა, რომ H-ში, მსგავსად JT-სა და R-ისა, სიტყვათა წყობა შეცვლილია), გარდა „და“-სი, დაკლებულია მხოლოდ ერთი მარცვალი – „პირად“-ის ნაცვლად წერია „პირ“ და სტრიქონი 18-მარცვლოვანია.

ასევეა JT-ში, ოღონდ აქ მდგომარეობა იმითაა „გამოსწორებული“, რომ, ყველასგან განსხვავებით, არ იკითხება 2-მარცვლოვანი „შეკრა“, ერთადერთი ზმნა სტრიქონისა.

Y-ში „პირად“-ის მაგივრად, სხვა ხელნაწერების დარად, იკითხება „პირ“, ხოლო განსხვავებით ყველასგან, 5-მარცვლოვანი „ასი ათასი“-ს ნაცვლად გვაქვს 3-მარცვლოვანი „ას-ათას“.

მეორე სტრიქონში, პირველთან შედარებით, განსხვავება და დარღვევებიც უმნიშვნელოა. ყველაში, გარდა A'-ისა, ორი მარცვალი დაკლებულია „თავი“-ს ამოღებით, ხოლო მეორე ორი – 3-მარცვლოვანი „ნიადავ“-ის 1-მარცვლოვანი „და“-თი, ან „არ“-ით შეცვლის მეოხებით. ეს უკანასკნელი ასევეა A'-ში, ოღონდ წინ „თავ“-ის მაგივრად არ მოიპოვება ამდენივე მარცვლის შემცველი სიტყვა „სტავრა“.

მესამე სტრიქონში ყველგან, გარდა F-სა, ორი მარცვალი დაკლებულია ერთნაირად, – არ იკითხება „თვალი“. დანარჩენი ორი – კვლავ სხვადასხვანაირად: A'-ში არ არის „ფერად“.

EHIYZ-ში 5-მარცვლოვანი „საურომან“-ის ნაცვლად არის 3-მარცვლოვანი „სარომან“, ან „საურმან“. ალბათ, ასევე იყო R-შიც, რომელშიც ღაზიანების გამო სტრიქონის მეორე ნახევარი დღეს აღარ იკითხება.

JKOT-ში 8-მარცვლოვანი ფრაზის – „არ მათმან საურომან“-ის ადგილას არის 6-მარცვლოვანი „კარდისა დარომან“. G-ში ამავე ფრაზის ნაცვლად გამოყენებულია ნაწილობრივ მეორე სტრიქონში ნახმარი 6-მარცვლოვანი – „მართ მიუზხედარომან“. სტრიქონის მეორე ნახევარი ასევეა F-შიც, ოღონდ წინ, განსხვავებით ყველასაგან, იკითხება „თვალი“, ხოლო მის მაგივრად არ მოიპოვება „იაგუნდი“. პირველი 2-მარცვლიანია, უკანასკნელი – 4-იანი. დაკლებული ორი მარცვალი მიმატებული აქვს „ლალ“-ს, წერია – „და ლალი“.

მეოთხე სტრიქონში, გარდა G და A'-ისა, თითქმის ერთნაირადაა დაკლებული ოთხივე მარცვალი. ორი დაკლებულია იმით, რომ 5-მარცვლიანი „ვაზირისასა“-ს ნაცვლად წერია 3-მარცვლიანი „ვაზირთან“ ან „ვეზირსა“. მეორე ორი – 5-მარცვლოვანი „ესე ყველაი“-ს მაგივრად წერია 3-მარცვლოვანი „ესე ყველა“ ან მისი ოდნავ სახეცვლილი ფორმა. G და A' ნაწილობრივ მიჰყვება ამ ნუსხებს. კერძოდ, ეს უკანასკნელი ასევეა G-შიც, ოღონდ წინ „ვეზირისასა“ შეუშოკლებლადაა დატოვებული, სამაგიეროდ ამოღებულია „კაცი“. A'-ში „ვეზირისასა“-ს ცვლის „ვაზირთან“, მაგრამ 2-სიტყვიანი 5-მარცვლოვანი „ესე ყველაი“-ს მაგივრად არის ერთი 3-მარცვლოვანი სიტყვა – „ყოველი“.

ყველა ხელნაწერის მონაცემების გვერდიგვერდ დაყენების შემდეგ მათი ზოგადი განხილვაც გვიჩვენებს, რომ თავიდან ეს სტროფი ფისტიკაურის ფორმით შექმნილა და შაირად შემდეგ გადაკეთებულა. სხვა მონაცემების, სახელდობრ, ხელნაწერთა აკარგვიანობისა და რედაქციული თავისებურებების გათვალისწინებით, ეს აზრი კიდევ უფრო უეჭველი ხდება.

პირველი. დავიწყოთ იმით, რომ მთელი პოემა ჩანართ-დანართებიანად შაირითაა დაწერილი. რ უ ს თ ვ ე ლ ი ს შემდეგ ძველად ამ საზომს ჩვენში გაბატონებული ადგილი ეჭირა. ამ

დროს ნაკლებად მოსალოდნელია, პოემაში 16-მარცვლოვანი სტროფი 20-მარცვლოვნად გადაკეთებულიყო.

მეორე. ხელნაწერების ნაწილს, რომლებშიც ჩვენთვის საინტერესო სტროფი შაირის სახითაა წარმოდგენილი (ისედაც და უფრო იმ ნუსხებთან შედარებისას, სადაც ფისტიკაურითაა მოცემული), ემჩნევა გადაკეთების კვალი. ამ მხრივ უპირველესად აღსანიშნავია ის ხელნაწერები, რომლებშიც სტრიქონები 17 და 18-მარცვლოვანია. ასეთია პირველი სტრიქონი HIKO-ში. როგორც სწორად მიუთითებს ა. შანიძე, ეს უთუოდ 20-მარცვლოვანების ნაშთია.

დაახლოებით ამგვარივე რიგისაა ის დამახინჯებული ფორმებიც, რომლებიც ამ ხელნაწერებში შეიმჩნევა. მით უფრო, ჩანს, დამახინჯება გამოწვეულია მარცვალთა დაკლების მიზნით სიტყვის გადაკეთებისას. მაგალითად, თუ ამას დაბეჯითებით ვერ დავიჩემებთ მესამე სტრიქონში JKOTG'-ის მიმართ, სადაც „არ მათმან საჯარომან“-ის ადგილას შენიღბულად წერია „ვარდისა დარომან“, ბევრ სხვა შემთხვევაში გადაკეთებისა და დამახინჯების მიზეზი აშკარაა. ასეთია:

პირველ სტრიქონში: 1. თუ კი „სარომან“-ში მოთხრობითი ბრუნვის ძველი ნიშანი „მან“ იყო საჭირო, ასევე საჭირო უნდა ყოფილიყო „მზე“-შიც, — „მზემან“ და არა ახალი „მზემ“. 2. „შეკა“-ს (წინადადების ერთადერთი ზმნის) ამოღებით JT-მ უცილობლად დაამძიმა და შერყვნა არა მარტო სტრიქონი, არამედ მთელი სტროფიც. 3. რას ჰგავს G-ში „ასი ათასი“-ს ნაცვლად „ოც ათასი“!

მესამე სტრიქონი არც ერთ ნუსხაში ჯეროვნად გამართული ვერ არის, მაგრამ არაფერ შუაშია HIZY-ის „სარომან“. ცხადია, ის „საჯარომან“-ის შემოკლებაა. ეს კიდევ უფრო გამჭვირვალეა E-სთან — „საჯრმან“.

მეოთხე სტრიქონში გადაკეთებისას ტექსტს ამახინჯებს JT, როცა „კაცი გაგზავნა ვ ა ზ ი რ ი ს ა ს ა“-ს მაგივრად წერს „მიგზავნა კაცი ვ ე ზ ი რ ს ა“. „ეეზირთან“ რომ დაეწერა, როგორცაა გადაკეთებულ ხელნაწერთა უმრავლესობაში, წინადადება გამართული იქნებოდა. მაგრამ ჩანს, შემსწორებელმა

მონინდომა სიტყვის დედნისეული ფორმის (დაბოლოება - სა), ან შინაარსის (ვაზირისასა = ვაზირის შინ, სამყოფელში) რამდენადმე შენარჩუნება. ამ მიზნით წინა სიტყვებიც შეცვალა, მაგრამ გამართული ქართულით თქმა მაინც ვერ მოახერხა.

მესამე. დიდად მეტყველია შეუთანხმებლობა რედაქციულ ჯგუფებს შორის. „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხებში რამდენიმე რედაქციული ჯგუფი გამოიყოფა. ამ მხრივ ჯერჯერობით ყველაფერი დაზუსტებული არ არის, მაგრამ ისინი დაახლოებით ასე ლაგდებიან<sup>6</sup>: ABCMX, DUV, EFIRZ, GHJKOTG' და სხვა. ნაწილობრივ სხვებიც, მაგრამ განსაკუთრებით უკანასკნელნი ქვეჯგუფებად იყოფიან - JT, KOG', G, H, რომლებიც მეტნაკლებად საერთოს ამჟღავნებენ სხვთა რედაქციებთან. მაგალითად, JT და KOG' უფრო უახლოვდება EFIRZ-ს, G და H ნუსხები - DUV-ს. საინტერესოა და რამდენადმე დამოუკიდებელ რედაქციულ სახეებს გვიჩვენებენ L და Y, რომლებიც შედგენილობით უფრო EFIRZ-ს მიჰყვებიან. მაგრამ ამ შემთხვევაში პირველი ABC... და D... ხელნაწერებთან აღმოჩნდა<sup>7</sup>.

თუ რამდენიმე რედაქცია (ABCMX, DUV და L) ჩვენს სტროფს ფისტიკაურის სახით სრული ერთიანობით წარმოგვიდგენს, სხვა რედაქციები შაირის ფორმას სხვადასხვაგვარად აღწევენ. ამ დაშორებისას კი ხშირად ფისტიკაურის რედაქციის კვალი ჩნდება ხოლმე. მაგალითად, პირველ სტრიქონში EFIZ-ში არ არის „ასი“, JT-ში ეს სიტყვა არის, მაგრამ სამაგიეროდ არაა „შეკრა“. EFIRZ და HJKOTG' რედაქციათა ნუსხებში მეორე სტრიქონში არ იკითხება ABCMX, DUV და სხვებში დაცული „თავი“, A'-ში ის შემორჩენილია და მის ნაცვლად გამქრალია

---

<sup>6</sup> უკანასკნელი გამოკვლევებიდან იხ.: ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963, ტაბულა; ც. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიის ზოგიერთი საკითხი, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXIV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1964, გვ. 20-21.

<sup>7</sup> ამჯერად არაფერს ვამბობთ სხვა, გვიანდელ ნუსხებზე.

„სტავრა“. მეოთხე სტრიქონში G-ში „ვეზირისასა“ უცვლელადაა, სამაგიეროდ ამოღებულია „კაცი“.

ეს იმითაა გამოწვეული, რომ თითოეული რედაქცია დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდა, საფუძვლად კი ედო ისეთი დედანი, რომელშიც ჩვენი სტროფი ფისტიკაური ფორმისა იყო.

მეოთხე, და რაც მთავარია, შეუთანხმებლობა არსებობს თვით რედაქციულ ჯგუფებს შიგნით. თუმცა თითოეული ჯგუფის ნუსხები ერთმანეთის მიმართ სრულად იდენტური არ არის, მათ მოეპოვებათ ისეთი ნიშნებიც, რომლებიც საკუთრივ ხელნაწერის ან რედაქციული ჯგუფის დამახასიათებელ ნიშანთა ფარგლებს სცილდება, მაგრამ ასეთები უმნიშვნელოა. ამასთანავე, მათ იმდენად ბევრი და ძირითადი საერთო აქვთ, რომ მათი რედაქციული ერთიანობა უეჭველია. აქაც, ცალკეული რედაქციული ჯგუფის შიგნით დაშორებისას, ფისტიკაურის რედაქციის ტექსტი გამოჩნდება ხოლმე. ამისი მაგალითები კიდევ უფრო მეტია:

როგორც ვნახეთ, EFIRZ ჯგუფიდან პირველ სტრიქონში EFZ მეოთხე მარცვლის დაკლებას „პირად მზემან“-ის სხვადასხვანაირი შეკვეცით აღწევს, I-ს კი ეს ფრაზა უცვლელად შემოუნახავს. აქვე, ამავე რედაქციის R ნუსხაში, ამოღებულია არა „ასი“, არამედ – „პირად“. მეორე სტრიქონში ამ რედაქციას შორდება ამჯერად F. თუ სხვები იღებენ სიტყვას „თვალი“, F ამას სტოვებს და მის მაგიერად იღებს „იაგუნდი“-ს. დაკარგული ზედმეტი მარცვლის კომპენსაციას სხვაგან ახდენს. ამავე რედაქციას სხვაგან მიჰყვება A', მეორე და მესამე სტრიქონებში კი შორდება: მეორეში, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამოიღო არა „თავი“, არამედ – „სტავრა“, მესამეში „საუარომან“ შემოკლებლად შემოგვინახა, სამაგიეროდ ამოიღო „ფერად“.

ასევე შეგვეძლო განგვეხილა GHJKOTG' ნუსხებიც. ესენი, როგორც საერთოდ ახასიათებს მათ და ამ სტროფშიც გამოჩნდა, სიახლოვეს ამჟღავნებენ სხვა რედაქციის ჯგუფებთან, თავის მხრივ, ხან ერთად არიან და ხან ერთმანეთს შორდებიან. უკვე ვაჩვენეთ, სხვა ჯგუფებსა და ერთმანეთთან დაცილებისას ჩნდება ხოლმე მისი პირველი სახე – A...D... L რედაქციის ტექსტი.

მეხუთე. „ვეფხისტყაოსნის“ მრავალი ათეული წლის ტექსტოლოგიური შესწავლისას ცალ-ცალკე ბევრ ხელნაწერს მისცემია უპირატესობა. უკანასკნელ ხანს, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ახლანდელი მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი ჯგუფის (ა. შ ა ნ ი ძ ე , ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე , ი . ლ ო ლ ა - შ ვ ი ლ ი ...) მუშაობისას აღმოჩნდა, რომ პოემის ტექსტი სხვა რედაქციებთან შედარებით უკეთესად შემოუნახავს ABCMX ხელნაწერებში დაცულ რედაქციას. ეს ჩვენს მაგალითშიც გამოჩნდა. ამ რედაქციას აქ მხარს უჭერს სხვა ჯგუფის ხელნაწერებიც – DUV, L...

ამრიგად, თვალნათლივია, რომ განხილული სტროფი თავდაპირველად ფისტიკაურის ფორმითაა შექმნილი და 16-მარცვლოვნად შემდეგ გადაკეთდა.

აქედან გამომდინარე, სწორად არ იქცევიან ის გამომცემლები, რომლებიც ამ სტროფს შაირის სახით ბეჭდავენ (მიუხედავად იმისა, სად მოათავსებენ მას, ძირითად ტექსტში თუ ნართაულში). არ არიან მართალი ისინიც, რომლებიც სტროფს თუმცა ფისტიკაურის ფორმით ბეჭდავენ, მაგრამ მას ასწორებენ იმ ნუსხებით, რომლებიც ნაკეთებია.

ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს 1937 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარე გამოცემებში წარმოდგენილი მესამე სტრიქონი. აქ მოცემული წაკითხვა – „სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი ფერად მართ ვითა მიუმხვდარომ“ – დასტურდება მხოლოდ გვიანდელ ხელნაწერებში – F'L'Q'-ში (F' გადაწერილია 1805 წ., L' – 1860 წ., Q' უთარილოა. ხელის მიხედვით ისიც XIX საუკუნის პირველი ნახევრისა უნდა იყოს).

მისი შინაარსია: ა ვ თ ა ნ დ ი ლ მ ა დასახელებული განძეული გაუგზავნა მ ა რ თ ლ ა ც, ს წ ო რ ე დ, რ ო გ ო რ ც მ ი უ მ ხ ვ დ ა რ მ ა .

რატომ უნდა ყოფილიყო ავთანდილი მის მიერ შერჩეული საჩუქრების მიუმხვდარი, შეუცნობელი? ჯერ ერთი, არსად და არასდროს ის არ ამჟღავნებს რაიმეს, მეტადრე, ძვირფასი ნივთების არცოდნას, და, მეორეც, რა უჭირდა ისეთი, რომ

ვაზირისათვის რაღაც შეუცნობელი საჩუქარი გაეგზავნა? განა მას მართლა სესხი და ვალი ჰქონდა მისთვის გადასახადი?!

საქმეს ვერც ის შევლის, რომ „ვითა“ „ვითომ“-ის მნიშვნელობით გავიგოთ. რა საჭირო იყო იმის თქმა, რომ ავთანდილმა გაგზავნა ესა და ეს, ვითომდა მიუმხვდარმა? ვის ეძალებოდა ან ვის რას უძალავდა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ?!

არც ის ვარგა, რომ „მიუმხვდარო მან“ ორ სიტყვად გავიგოთ, როგორც ესაა ს. კაკაბაძის 1913 წლის გამოცემაში – მიუმხვდარო მან. ამის მიხედვით გამოდის, მ ი უ მ ხ ვ დ ა რ ო ა, შეუცნობელია არა ავთანდილი, არამედ – ლალ-იაგუნდი. მაგრამ ამ აზრის გამოხატვას ხელს უშლის „მართ“ და „ვითა“. ამ მხრივ უკეთესი ვითარებაა FG-სა და ს. კაკაბაძის დასახელებულ გამოცემაში, სადაც „ვითა“ არ იკითხება. ამ ხელნაწერთა მიხედვით გამოდის: მან, ავთანდილმა, ვაზირს გაუგზავნა სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი ფ ე რ ი თ მ ა რ თ (მართლაც, სწორედ) მიუმხვდარო, შეუცნობელი. ოღონდ ძვირფას თვალთა პირველი ღირსება მისი ფერია და გაუგებარია, ამ მხრივ მიუმხვდარობა რისთვის დასჭირდა ავტორს? მით უმეტეს, მის რაიმე სხვა ღირსებაზე სხვაგან არაფერია აღნიშნული.

კონტექსტს არ უდგება აგრეთვე „მიხვდომის“ სხვა შინაარსიც – მ ი ს ვ ლ ა / მ ი ლ წ ე ვ ა, შეხვდომ ა / რ გ ე ბ ა.

შედარებით აზრიანია იმ ხელნაწერთა (GHJROTG) ვარიანტი, სადაც „ნიადაგ“-ისა და „და“-ს მაგივრად წერია „არ“ – არ მიუმხვდარო მან. ამის მიხედვით, ავთანდილია ა რ ა მ ი უ მ ხ ვ დ ა რ ი, ანუ მიმხვდარი, შემცნობელი.

ერთი სიტყვით, წ ა რ მ ო ღ გ ე ნ ი ლ ი წ ა კ ი თ ხ ვ ა ა რ ც დასახელებული საჩუქრების განსადიდებლად აკარგი და არც ავთანდილის დასახასიათებლად.

ზემოთ ვნახეთ, მხოლოდ სამი – FL'Q' ხელნაწერია, რომლებშიც ჩვენი სტროფი, თუმცა 20-მარცვლიანია, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული იმ ხელნაწერებისაგან, რომლებშიც ეს სტროფი ამავე ზომითაა და თანაც სხვა მხრივ ერთნაირი.

რამდენად ავთენტური შეიძლება იყოს მოცემული სტროფის წაკითხვები ამ გვიანდელ ხელნაწერებში?

მათი რედაქციული სახე, რომლებიც პოემის სხვა ნაწილებშიაც ერთნაირია, რუსთველოლოგიაში განსაზღვრულია<sup>10</sup>. ისინი ძალიან ახლოს დგანან G ნუსხასთან და უშუალოდ მ ი ს გ ა ნ ა რ ა, მაგრამ ე რ თ-ე რ თ ი რედაქციულად ძალიან მსგავსი ნუსხიდან კი მომდინარეობენ.

კონკრეტულად ძნელია თქმა, როგორ, რატომ, რა ვითარებაში? მაგრამ, თუ დავუკვირდებით, აქაც ჩანს, ამ ხელნაწერებში ეს სტროფი G ნუსხის რედაქციიდან იღებს სათავეს, მისი გავრცობილი, 20-მარცვლიანად გადაკეთებული, სახეა.

ამის დამამტკიცებელია შემდეგი სპეციფიკური ნიშნები:

1. პირველ სტრიქონში მხოლოდ G-სა და ამ ხელნაწერებშია „ოცი ათასი“, ნაცვლად „ასი ათასი“-სა<sup>11</sup>.

2. ბოლო სტრიქონში მხოლოდ G-სა და ამ ხელნაწერებში არ იკითხება პირველი სიტყვა „კაცი“ და სტრიქონი იწყება „ეეზირისასა“-თი<sup>12</sup>.

3. ამავე სტრიქონში მხოლოდ G-სა და ამ ხელნაწერებშია გადასმული სიტყვები „ეეზირისასა“ და „გაგზაენა“. განსხვავება მხოლოდ ისაა, F'L'Q'-ში გავრცობის მიზნით ჩამატებულია „ესე“.

F'L'Q' ხელნაწერები G-ს ემთხვევა ყველა მისი დამახასიათებელი ნიშნით, რომლებიც მათთვის სპეციფიკური არ არის. მაგალითად:

1. G-ში, მის მოსაზღვრე ნუსხებსა (JKOTG') და F'L'Q'-შია მეორე და მესამე სტრიქონები ადგილშენაცვლებული.

2. მეორე და მესამე სტრიქონებში ორივეგან მხოლოდ G, F-სა F'L'Q'-ში იკითხება „მიუზხდარომან“.

3. მესამე სტრიქონის „მართ“ მხოლოდ ამავე ხელნაწერებში წერია. და სხვა.

მაშასადამე, F'L'Q' მთლიანად მიჰყვება G-ს. შორდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი აღადგენენ იმ მარცვლებს,

<sup>10</sup> ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული წიგნი, გვ. 71-75.

<sup>11</sup> თუმცა G-ში წერია „ოც ათას“, მაგრამ ვხედავთ, ეს გამოუწვევია შაირად გადაკეთებისას ერთი მარცვლის დაკლებას.

<sup>12</sup> F'-შია „ეეზირის სახა“, მაგრამ ეს მექანიკური შეცდომის შედეგია.



რომლებიც G-ში 16-მარცვლოვნად გადაკეთებისას არის დაკარგული.

აღდგენისას გადამწერს, ეტყობა, რამდენადმე უსარგებლია A...D...L... ხელნაწერთა რედაქციით, ოღონდ არა მთლიანად. A...D... L-ისებურადაა აღდგენილი პირველ სტრიქონში „პირად“ და „და“, მეორეში – „თავი“, მესამეში – „თვალი“. დანარჩენი თავისებურად დაუწერია. ესენია: მესამე სტრიქონში „არ“-ის შემდეგ დამატებული „ყველა“; საძიებელ, მესამე, სტრიქონში – „მართ“-ის შემდეგ „ვითა“ და მეოთხეში – სიტყვათა ოდნავი ცვლილებები, „ესე“-ს ჩამატება და გადაადგილება. ამ განსხვავებათა წყარო არ ვიცით. ადვილი შესაძლებელია და ჩვენ უფრო ეს გვგონია, ზეპირად უნდა იყოს შეთხზული.

მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, 771-ე ს ტ რ ო ფ ი F'L'Q'-ში რ ა ი მ ე უ ც ნ ო ბ ი რ ე დ ა ქ ც ი ი დ ა ნ კ ი ა რ მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს, ა რ ა მ ე დ ი ს ე თ ი რ ე დ ა ქ ც ი ი დ ა ნ, რ ო გ ო რ ი ც დ ა ც უ ლ ი ა G-ში. G კი, რაც არის, ზემოთ ვნახეთ.

სიტყვა „მიუმხდარომან“, რომელიც მეორე და მესამე სტრიქონებში ორგანვე მხოლოდ FG-სა და F'L'Q'-შია, როგორც აღვნიშნეთ, მესამე სტრიქონში კონტექსტს შინაარსობრივად არ ეგუება.

ამ ხელნაწერებზე იგივე უნდა გავიმეოროთ მეორე სტრიქონის მიმართაც – „არ ყველა (ან „და“) მიუმხდარომან“. პოემის მიხედვით, ავთანდილი არის ნიადაგ, მუდამ მიუმცდარი, უცთომელი, უტყუარი (სიტყვის შინაარსისათვის შდრ.: „ნაკრავ-ნასროლსა სთვალვიდენ უტყუერად, მიუმცდარებლად“) და არსად – მ ი უ მ ხ ვ დ ა რ ი. ეს სიტყვა უთუოდ ნებით თუ უნებლიეთ FG-სა და აქედან F'L'Q'-ში მეორე სტრიქონიდან უნდა იყოს გადმოტანილი. მათში ის მეორე სტრიქონშიაც ასევე წერია.

მეორე სტრიქონში რამდენადმე აზრიანია GHJKOTG'-ის ვარიანტი, სადაც „ნიადაგ“-ისა თუ „და“-ს ნაცვლად წერია „არ“ – „არ მიუმხდარომან“. ამის მიხედვით, ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი გა მო დ ის ა რ მ ი უ მ ხ ვ დ ა რ ი, ე. ი. მ ი მ ხ ვ დ ა რ ი,

შემცნობელი. მაგრამ რადგან ვხედავთ, სტრიქონი რამიზნითაა ხელოვნურად შემოკლებული, ამ დაღვლარჭნილი გამოთქმის ავთენტიკურობა ძნელი დასაჯერებელია.

მაშასადამე, 1937 წლის საიუბილეო დამასხედაყრდნობილი გამოცემების მესამე სტრიქონისეული წაკითხვა „*ჩიუმხედარომან*“ შინაარსობრივი შეუსაბამობისა და მისი ნაგვიანევი, ხელოვნური წარმოშობის გამო მიუღებელია.

მესამე სტრიქონში აზრობრივად უარსაყოფია აგრეთვე დანარჩენ გადაკეთებულ ხელნაწერთა სხვა ვარიანტებიც, გარდა JKOTG'-ისა. ჯერ-ერთი, HIZY-ის წაკითხვა „სარომან“ პირველ სტრიქონშია გამოყენებული და, მეორეც, არაფერს ნიშნავს „*ფერად არ მათმან სარომან*“. კიდევ მეტი უაზრობაა F-ის ვარიანტი – „*ფერად არ მათმან საურმან*“.

შინაარსის მხრივ არა უშავს JKOTG'-ის წაკითხვას – „*ფერად ვარდისა დარომან*“. ავთანდლი ახალი ეპითეტიტაა მოხსენიებული. მაგრამ, რაკი ვიცით ამ ჯგუფის საერთო გადაკეთებულობის ხასიათი, მეორე ის, რომ ამ სტროფში მისი მოსაზღვრე GH ნუსხები ამჟღავნებენ იმას, თუ საიდან მოდის ის, ამ შემთხვევაშიც ყოვლად შეუძლებელია მისი ავთენტიკურობა ვიწამოთ. თავიდან, დედანში, რომ ამ ნუსხებისებურად ყოფილიყო, ის ისე არ გადაკეთდებოდა და დამახინჯდებოდა, როგორც დღეს გვაქვს სხვა ხელნაწერებში.

ამრიგად: თუნდაც გადაკეთებულ ხელნაწერთა მონაცემები აზრობრივად უკეთესი იყოს, იმის გამო, რომ ისინი მოდიან **A... D... L** ტიპის ნუსხებიდან და მათი წაკითხვები ამ რედაქციის გადაკეთება არის, – ავთენტიკური ტექსტი უნდა ვეძიოთ სწორედ **A... D... L** ნუსხების რედაქციაში არა მარტო ფორმის (ზომის), არამედ წაკითხვების მხრივაც<sup>13</sup>.

---

<sup>13</sup> ამ მხრივ აღსანიშნავია კ. ჭიჭინაძის დამოკიდებულება მესამე სტრიქონისადმი. ის თუმცა მთელ სტროფს 16-მარცვლოვანი შაირით ბეჭდავს, მაგრამ მისი გამართვისათვის იყენებს არა რომელიმე იმ ნუსხას, რომელშიც ის შაირითაა წარმოდგენილი, არამედ ოცმარცვლიანის

ამ ხელნაწერებში მესამე სტრიქონი ბუნდოვანია. ქართულში მოთხრობით ბრუნვაში დასმული სიტყვა ყოველთვის ქვემდებარეა. ამის მიხედვით აღნიშნულ წინადადებაში გამოდის, „ფერად არ მათი საუარო“ ავთანდილია, რაც უხერხული შედარებაა. შინაარსობრივად უკეთესი იქნება, თუ მას ისე გავზიგებთ, როგორც ეს კ. ჭიჭინაძეს ესმის<sup>14</sup>: *ავთანდილმა ისეთი კარგი ლალ-იაგუნდი გაუგზავნა ვაზირს, რომ ის მასზე უარს ვერ იტყოდა, ს ა უ რ ო, ს ა უ რ ე ბ ე ლ ი არ იყო.* ამის გამოხატვას ხელს უშლის, ერთი, ის, რომ „მათი“ და „საუარო“ მოთხრობით ბრუნვაშია და, მეორე, — კარგად არ ჩანს, რას ნიშნავს „ფერად“, ნიშნავს ფ ე რ ი ს მიხედვით თუ შ ე ს ა ფ ე რ ს? „ლალ-იაგუნდს“ უკავშირდება უშუალოდ თუ „არ მათმან საუარომან“-ს? ლალ-იაგუნდის ფ ე რ ე ბ ზ ე ა საუბარი თუ ვაზირისადმი მის შ ე ს ა ფ ე რ ი ს ო ბ ა ზ ე?

ვახტანგის, ბროსეს, ჩუბინაშვილისა და აბულაძის (ორივე) გამოცემებში „საუარომან“-ის მაგივრად არის „საუარომან“. ეს ცვლილება წინადადების გამართვას ვერაფერს შველის, მაგრამ აზრს კი ცვლის. ამის მიხედვით (ესეც მიხვედრილობით), გამოდის: *ავთანდილმა ლალ-იაგუნდი გაუგზავნა არა როგორც ს ა უ რ ა ო, ს ა უ რ ა ვ ი.* ეს თითქოს კიდევაც უდგება კონტექსტს. წინ აღწერილია, რომ, როდესაც ავთანდილი ვაზირთან მარტო დარჩა, სანამ თავის სათქმელს ეტყოდა, მანამ უთხრა:

„რაცა გწადღეს ს ა უ რ ა ვ ი, მეფე იქმს და შენ გეთნების“ (732. 3).

შემდეგ მოახსენა, რისთვისაც იყო მოსული, — მეფესთან შუამდგომლობა სთხოვა და სამაგიეროდ „ასი ათასი წითელი“ ქრთამად შეაძლია. მეფისგან გამოსული გაწბილებული ვაზირი ავთანდილს ხუმრობით „ქრთამსა სთხოვს“ და ავტორიც დასძინს:

„ვინ არ მისცემს ქადებულსა, მ ო უ რ ა ვ ს ა მოიმდურვებს.

თქმულა: «ქრთამი ს ა უ რ ა ვ ს ა ჯოჯოხეთსცა და ი უ რ ვ ე ბ ს»“

---

დამკველ A... D... L რედაქციას და მას 16-მარცვლოვნად თავისებურად ამოკლებს (მისი გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, 1934).

<sup>14</sup> იქვე, გვ. 280.

შთაბეჭდილება იქმნება, ვითომც ჩვენი სტრიქონი ამ ადგილს ეხმაურებოდეს; თითქოს ავტორს სურდეს მიგვანიშნოს, რომ ეს „ასი ათასი წითელი“, რომელსაც ავთანდილი შეჰპირდა ვაზირს და ახლა უგზავნის, მართლა ქრთამი, ის ს ა უ რ ა ვ ი, კი არ არის, ვაზირი რომ თხოულობდა, არამედ ჩვეულებრივი საჩუქარიაო.

სინამდვილეში ეს მართლაც ასე იყო. თუმცა ასი ათას წითელს გასამრჯელოდ ავთანდილი დაჰპირდა ვაზირს, მაგრამ პირველად ამ უკანასკნელმა, გარდა ჩვეულებრივი გულუხვი მასპინძლობისა, დიდძალი და ძვირფასი ძღვენი უძღვნა როგორც ავთანდილს, ისე მის თანმხლებლებს პირებსაც:

„... ვაზირმა ქმნა ჭამა-სმანი მათნი ფერნი,  
უმასპინძლა, ძღვენი უძღვნა შვენიერსა შვენიერნი,  
მისნი მყოლნი აღ-ვე-აქსნა, მოყმენიდა თუნდა  
ბერნი“ (770).

კონტექსტის მიხედვით, ავთანდილის გაგზავნილი საჩუქრები, ისე, როგორც პირველად ვაზირის ეს ძღვენიც, ჩვეულებრივ რაინდულ მიკითხვ-მოკითხვად უნდა ცნოთ, რომელიც ხშირადაა „ვეფხისტყაოსანში“, და არა მართლა ქრთამად ან გასამრჯელოს ანაზღაურებად.

დამთხვევა თუმცა ეფექტურია, მაგრამ აღნიშნულ ვარიანტს ვერ გაამართლებს. ვერ გაამართლებს თუნდაც იმიტომ, რომ სტროფში რითმია არომან და ამ წაკითხვით ეს ირღვევა. ხოლო ის სიძნელებები, რაც ტექსტის გამართვის მხრივ არის, უცვლელი რჩება.

მაშ, როგორ უნდა ყოფილიყო თავიდან?

დასაშვებია, დედნისეული იყოს A...D...L-ის წაკითხვა, სადაც „მათმა საუარომან“ ავთანდილი იქნება. მაგრამ, ამასთან ერთად, ჩვენი ფიქრით, შესაძლებელია, თავიდან იყო არა „მათმა საუარომან“, არამედ – „მათმა საუარომან“ და „საუარო“-ში იგულისხმებოდეს დამატება, – ს ა ჩ უ ქ ა რ ი, ხოლო ქვემდებარეში „მან“ – ავთანდილი. „მათმა“ ადვილად

გადაკეთდებოდა „მათმან“-ად ბ-სა და მ-ს გრაფიკული აღრევის ნიადაგზე. გადაკეთებას ისიც შეუწყობდა ხელს, რომ მომდევნო სიტყვა მოთხრობით ბრუნვაში იდგა (ხელნაწერებში სტრიქონის ბოლო, სარიტმო სიტყვები დაყოფით და გადაბმულად იწერებოდა და სიტყვათა დანაწევრება ხშირად მოშლილია. ე. ი. „საუარო“ და „მან“ ხელნაწერებში ერთმანეთისაგან გაყოფილი არ იქნებოდა) და ეს მოთხოვნილებას ქმნიდა წინ მდგომი ნაცვალსახელი მას ბრუნვაში შეთანხმებოდა. თანაც, თვით სტროფის წყობა, რომ დანარჩენი სამი სტრიქონის ბოლო სიტყვებში ყველგან ქვემდებარედ ავთანდილი იგულისხმება, ეს კიდევ, ალბათ, ინერციას იძლეოდა, სიტყვები „მათგან საუარო მან“ ბრუნვაში შეთანხმებულ სინტაგმად – „მათმან საუარომან“-ად გაგებულყო.

რაც შეეხება „ფერად“-ს, ის „საუარო“-ს უნდა უკავშირდებოდეს და ნიშნავდეს ფ ე რ ი თ, როგორცაა, მაგალითად, ამავე თხზულების 1157. 4-ე სტროფში:

„რას შეუქმნიხარ ზაფრანად შენ ფ ე რ ა დ მსგავსი ლალისა“.

მაშასადამე, ჩვენი ვარაუდით, განსახილველი სტრიქონი შეიძლება დაიწეროს და გავიგოთ ასე: „სამოცი თმალნი ლალ-იაგუნდი ფერად არ მათგან საუარო მან“, ანუ მან (ავთანდილმა) ჩამოთვლილ საჩუქრებთან ერთად ვაზირს გაუგზავნა სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი, რომელიც ფ ე რ ი თ მ ა თ გ ა ნ (მისგან, ვაზირისაგან. *Pluralis majestatis*) არ საუარო (უარი რომ არ ითქმებოდა, ისეთი) იყო.

ამ სახით სტრიქონი მნიშვნელოვნად გაიმართება. უხერხულობას ქმნის მხოლოდ ის, რომ „მან“-ი ერთგვარად ზედმეტი ჩანს, მისი დაწერა სავალდებულო არ იყო, აზრობრივად ის თავისთავად იგულისხმებოდა. თანაც, ამავე ფორმით ავთანდილი მოხსენებულა მეოთხე სტრიქონში. აგრეთვე, მოუხერხებლად დგას წინადადებაშიც, – არა აქვს საკუთარი შემასმენელი.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ჩრდილს აყენებს ჩვენეულ წაკითხვას. მაგრამ ამ სახით ის ყველა ავტორს შეეძლო დაეწერა,

მათ შორის რუსთველსაც (მსგავს მოვლენას „ვეფხისტყაოსანში“ ქვემოთ ვუჩვენებთ).

თუ კიდევ სხვა უკეთესი წაკითხვაა მოსალოდნელი, ის მაინც არჩეულ ხელნაწერთა მონაცემებს უნდა უახლოვდებოდეს და ჩანდეს, რომ A...D...L ნუსხათა წაკითხვა მისი დამახინჯებული სახეა.

ახლა ამ სტროფის წარმომავლობის შესახებ.

ბევრად უფრო რთული საკითხია იმის გარკვევა, რუსთველისეულია ეს სტროფი თუ ჩანართი. ამის თაობაზე მუდამ აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა, რაც დღემდის გრძელდება. მაგრამ მისი საგანგებო განხილვა არვის უცდია.

ასე, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე ქართველიშვილის (1888 წ.), კარიჭაშვილის ორივე (1903 და 1920 წწ.) და წერეთლის (პარიზი, 1961 წ.) გამოცემებიდან ეს სტროფი ამოღებულია, ხოლო კაკაბაძის პირველ (1913 წ.) და აბულაძის ორივე (1914 და 1926 წწ.) გამოცემებში, როგორც ჩანართი, სქოლიოშია ჩატანილი. ჩანართად მიიჩნევენ მას სხვებიც:

აღ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი: „ამ ხანის სიუალებე მეტად აშკარაა და სურათებიან ვეფხისტყაოსნის რედაქციამ (იგულისხმება 1888 წლის გამოცემის მომამზადებელი კომისია, — ბ. დ.) დიად სამართლიანად განდევნა ტექსტიდან ეს ტლანქი ოცმარცვლიანი სიცრუე“<sup>15</sup>.

აკ. შ ა ნ ი ძ ე: ეს სტროფი რომ განსხვავებული ფორმისაა, „ეს გამოჩანისი ალბათ იმით აიხსნება, რომ მოუვანილი სტროფი რუსთველის კალამს კი არ ეკუთვნის, არამედ მეზმინდელი ჩანართია. შეიძლება ამითვე აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ეს სტროფი მრავალ ვარიანტს გვაძლევს ხელნაწერებში, როგორც ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის (1935–1936 წლების საიუბილეო კომისია, — ბ. დ.) ნაშრომიდან ჩანს“<sup>16</sup>.

<sup>15</sup> აღ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები, „მოამბე“, 1897, № V, გვ. 3.

<sup>16</sup> აკ. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული გამოკვლევა, გვ. 6.

მეუთითებს რა გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ცნობაზე (1887 წ., № 87), რომ არსებობს ციციშვილების საგვარეულო სიმღერა „შეკრა წითელი“ და „სხვაგან ამ სიმღერის მღერა არ იციან“, გიორგი ლ ე ო ნ ი ძ ე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აღნიშნული სტროფი „ვეფხისტყაოსანში“ ნანუჩა ციციშვილის მიერაა ჩამატებული, ამიტომ ქცეულა იგი მათ საგვარეულო სიმღერად<sup>17</sup>.

მეორე მხრივ, ეს სტროფი რუსთველისეულადაა მიჩნეული დანარჩენ მეცნიერულ პუბლიკაციებში, როგორცაა ვახტანგის, ბროსეს, ჩუბინაშვილის, კაკაბაძის მეორე, ჭიჭინაძის, 1937 წლის საიუბილეო<sup>18</sup> და მასზე დამყარებული გამოცემები.

ერთგან ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე შენიშნავს: ამ სტროფის „ლექსი დაქვევას არ იწვევს. კონტექსტის მიხედვით შინაარსობრივად ის აუცილებელია. ასეთი გამოწვევები (ლაპარაკია მეტრის შეცვლაზე, — ბ. დ.), ჩანს, დასაშვებია უოფილა კლასიკური ჰეროდის ქართულ ჰოესიაში. მაგალითად, «თამარნიანი» გაწეობილია 20-მარცვლოვანი ჩასრუსაული სასომით, მაგრამ ამ მეკლში მოიპოვება შაირის რამდენიმე სტროფი“<sup>19</sup>.

რომელ მხარესაა სიმართლე?

როგორც ჩანს, ამ სტროფისადმი ეჭვის აღმძვრელი მიზეზი ძირითადად მისი ფორმაა. უპირველესად ყურადღებას იპყრობს ის

---

<sup>17</sup> „მნათობი“, 1960, № 8, გვ. 91.

ამ სტროფს ჩანართად მიიჩნევენ მაგალით ო დ უ ა ც („ქილილა და დამანა“, მ ი ს ი რედაქციით, თბ., 1975, გვ. 107).

<sup>18</sup> აღსანიშნავია, რომ ამ გამოცემის მომზადებელი კომისიის ერთ-ერთ სხლომაზე (22/ I — 1935, ოქმი № 22), რომელსაც კომისიის ყველა წევრი არ ესწრებოდა (ესწრებოდნენ: აკ. შანიძე — თავმჯდომარე, იუსტ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ვუკ. ბერიძე, ს. იორდანიშვილი), ეს სტროფი ჩანართად იქნა მიჩნეული. მის ჩანართობას ამტკიცებდნენ: აკ. შანიძე, იუსტ. აბულაძე, ს. იორდანიშვილი, ნამდვილობას — ალ. ბარამიძე, ვუკ. ბერიძე.

<sup>19</sup> ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, თბ., 1958, გვ. 285.

ამ სტროფის განსხვავებული მეტრით დაინტერესებულა ნიკო მ ა რ ი. იხ.: ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმღწერა (1888—1931 წწ.), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კ ა ვ ი ლ ა ძ ე მ და მ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1991, გვ. 163-164.

გარემოება, რომ მას უშუალო კავშირი აქვს მომღვენო, 772-ე, სტროფთან:

„შესთვალა, თუ: «რაცა გმართებს, ვით მოგცე და ვით გაქონო, ვალთა შენთა გარდსახდელად რა ნაცვალნი მოვიგონო? თულა დაერჩე, შენთვის მოვკვდე, თავი ჩემი დაგამონო, სიყვარული სიყვარულსა შეგიცალო, შეგიწონო»“.

წინა, 770-ე სტროფში ლაპარაკია, ვაზირმა როგორ უმასპინძლა და ძვირფასი საჩუქრებით გაისტუმრა ღირსეული სტუმარი:

„... გაიყარნეს, ყმა (ე. ი. ავთანდილი) წავიდა, სახლად ჩადგეს მზისა წვერნი“.

ამჟამად, ამ სტროფიდან 772-ე სტროფზე გადასვლა შეუძლებელია, თუ კი შუაში არ იქნება ჩვენი სტროფი. ეს იმდენად მისახვედრია, რომ შეუმჩნეველი არ დარჩენია მარჯორი უორდროპს, რომელსაც თარგმნისას დედნად ჰქონდა ისეთი (ქართველიშვილის) გამოცემა, რომელშიც ჩვენი სტროფი არ მოიპოვება. ის აღნიშნავს, რომ 772-ე სტროფი („შესთვალა, თუ...“) ჩანართია, ან წ ი ნ გ ა მ ო ტ ო ვ ე ბ უ ლ ი ა ს ტ რ ო ფ ი, რომელიც ამის შინაარსს ნათელს გახდიდა<sup>20</sup>.

ამგვარია ამ სტროფთა ურთიერთმიმართება და ამ დროს ქართველიშვილის, კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი ს (ორივე), კაკაბაძის პირველ და აბულაძის (ორივე) გამოცემებიდან ჩვენი, 771-ე, სტროფი ამოღებულია, მიმყოლი, 772-ე, სტროფი კი დატოვებული. ცხადია, ჩვენი სტროფი განდევნილია მხოლოდ თავისი ფორმის გამო.

ამ მხრივ ბევრად თანმიმდევრული არიან ალ. სარაჯიშვილი და მ. წერეთელი. მათ ნართაულად მიაჩნიათ არა მარტო ჩვენი, ფისტიკაური, სტროფი, არამედ მომღვენო ორიც. ალ. სარაჯიშვილი ცდილობს, შინაარსობრივი შეუსაბამობით დაასაბუთოს

<sup>20</sup> ე ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი, ინგლისურად, 1912, გვ. 120, შენ. 6.



772-ე სტროფის ნართაულობა. ამავე თვალსაზრისით რამდენად-მე ეხება 771-ე სტროფსაც. ის ასე მსჯელობს:

772-ე სტროფში „ავთანდილის შეუფლილობაში უწინარეს საოცარია მისი უ დ რ ო ბ ა...“ („მოამბე“, გვ. 2). ვაზირთან „ავთანდილმა რომ ჯერ ილაპარაკა, ჭამა-სუა, საჩუქარი მიიღო და შინ წავიდა (ლაპარაკია 770-ე სტროფზე, - ბ. დ.) და მას შემდეგ ვეზირს მოციქულობისათვის მადლობა გადაუხადა, - საკითხავია: აქამდის მადლობას რაღას აგვიანებდა? ნუთუ მაგისთვის წასვლამდის ვერ მოიცალა?...“

771-ე სტროფი „რ ო მ ე ო ფ ი ლ ი ე ო, მ ა შ ი ნ ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ე ქ ნ ე ბ ო დ ა, ს ა ჩ უ ქ რ ი ს გ ა გ ს ა ვ ნ ი ს თ ა ნ ა ვ ე მ ა დ ლ ო ბ ა შ ე ე თ ვ ა ლ ა“, მაგრამ ეს სტროფი ხომ ჩანართიაო!

„... მაგრამ, ვთქვათ, იმ არაბეთში, სადაც ავთანდილ და სოგრატი (რომელი ვაზირია, სოგრატი თუ სხვა, ტექსტში არ ჩანს. - ბ. დ.) ცხოვრობდნენ, ისეთი ზრდილობა იყო, რომ დავალებისათვის მადლობას იქვე, მის მიღების დროს და ჰირისპირკი არ გადისდიდნენ, არამედ, ჯერ შინ წავიდოდნენ და მერე შინიდან შეუთვლიდნენ. თუ მადლობის ასეთს ფორმას მაინცა და მაინც არ ვიუცხოებთ, თ ი თ ო ნ მ ა დ ლ ო ბ ა ი მ დ ე ნ - ა დ გ ა დ ა ჭ ა რ ბ ე ბ უ ლ ი ა, რ ო მ დ ა ვ ა ლ ე ბ ი ს დ ი რ ს ე ბ ა ს ა ღ ა რ შ ე ე ფ ე რ ე ბ ა.“

[772-ე] ხანაში, ავთანდილი სოგრატის «ვალთა» იმდენად აწვიადებს, რომ გარდასახედელი ვითომც ვერა მოუგონებია და სამაკვიროდ სიეპარულსა, თავის დამონებას და მისთვის თავის დადებას ჰპირდება...“ (გვ. 3). „მერმე რისთვის უძღვნის ავთანდილ ამოდენა მადლობას? - იმისათვის, რომ ვეზირმა საქმე ვერ გაურია? ნეტა, მეფეს რომ სოგრატის მეოხება შეეწინარა და ავთანდილისათვის წასვლის ნება მიეცა, მაშინ რითიღა გადაუხდიდა სპასპეტი სამსახურსა? ან რად ეძნელება ესლა ვალთა სამაკვიროს მოპოვება, როდესაც სოგრატის სამსახური წინადგე ღირსეულად დააფასა (მხედველობაშია «ასი ათასი წითელი»). - ბ. დ.). ე ს

ქ რ თ ა მ ი, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, ვ ე ზ ი რ ს  
მ ა შ ი ნ ე რ გ ე ბ ო დ ა, თ უ მ ე ჟ ე ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს  
«ა მ ო დ გ ა უ შ ვ ე ბ დ ა», ე ს ე ი გ ი, თ უ ვ ე ზ ი რ ი ს  
თ ს ო ვ ნ ა გ ა ს ჭ რ ი დ ა. ე ს ლ ა კ ი, რ ო დ ე ს ა ც  
ს ო გ რ ა ტ მ ა ვ ე რ ა უ შ ვ ე ლ ა-რ ა, რ ო გ ო რ დ ა  
ჰ ჰ ი რ დ ე ბ ა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი თ ა ვ ი ს დ ა მ ო ნ ე ბ-  
ა ს ?! გამოდის, რომ ავთანდილი თავის თავს ასიათას წითელზე  
ნაკლებ აფასებს. აი, სადამდის მიიუვანს კაცს უზომო სიტყვის  
გაზვიადება და გადაჭარბება!“ (გვ. 4) და სხვა.

ამავე პოზიციიდან აფასებს ის 773-ე სტროფს, მაგრამ,  
რადგან მას ჩვენ სტროფთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, მასზე  
სიტყვას აღარ გაუვარძელებთ.

აღ. სარაჯიშვილის მსჯელობიდან გამოდის:

1. 771-ე სტროფის ჩანართობა თავისთავად ჩანს, რადგან ა) ის  
განსხვავებული ზომისაა – „ტლანქი ოცმარცვლიანი სიცრუე“, და  
ბ) ავთანდილს აღარ სჭირდებოდა ვაზირისათვის დაპირებული  
თანხის გაგზავნა, ვინაიდან მისმა შუამდგომლობამ შედეგი ვერ  
გამოიღო.

2. ჩანართია მომდევნო 772-ე სტროფიც, რადგან ა) ის  
უკავშირდება წინა (ჩვენ), ნართაულ სტროფს და ბ) ავთანდი-  
ლისაგან შეთვლილი მადლობა იმდენად გადაჭარბებულია, რომ  
არ შეესაბამება ვაზირის დამსახურებას.

ახლა, თავი რომ მოუყაროთ ყველა მოსაზრებას, რომლებიც  
ამ სტროფის ნართაულობის დასამტკიცებლად გამოთქმულა,  
ასეთია:

1. განსხვავებული ფორმა,

2. საგვარეულო სიმღერა,

3. ვარიანტთა სიმრავლე,

4. ავთანდილი მოვალე არ იყო, ვაზირისათვის დაპირებული  
თანხა გაეგზავნა.

5. მომდევნო სტროფი, რომელიც უკავშირდება ჩვენს  
სტროფს, ჩანართია, რადგან მასში ვაზირის დამსახურება  
გადაჭარბებულადაა შეფასებული.

რამდენად გამოსადეგია ეს საბუთები? მივყვეთ ბოლოდან:

772-ე სტროფში გამოთქმული მადლობა ცალკე აღებული, მართლაც, გადაჭარბებულად შეიძლება მოგვეჩვენოს. მაგრამ, საერთოდ, „ვეფხისტყაოსანსა“ და, კერძოდ, მოცემულ კონტექსტში ის არავითარ უხერხულობას არ ქმნის. ღირსი იყო თუ არა ვაზირი დიდი მადლობისა და დიდი პატივისცემისა?

პოემაში ისეა წარმოდგენილი, რომ როსტევეანისგან ტარიელთან ავთანდილის მეორედ წასვლისათვის ნებართვის მიღება დიდზე დიდი საქმეა. იმდენად დიდი და საშიში, რომ მეფისთვის თხოვნის თქმაც კი ვერ გაუბედნიათ. როსტევეანთან სათქმელად ვერ შედის ავთანდილი და ეხვეწება ვაზირს, გამოიჩინე გმირობა და მიშუამდგომლე მეფესთანო:

„მიაჯე ამოდ გაშვება და თ ა ვ ი გ ა ი გ მ ი რ ე ო“ (741. 3).

ვაზირმაც კარგად იცის, რა მოელის მეფისაგან ამ ამბის მთხრობელს და უარს ეუბნება:

„თაემან მისმან, მუნვე მომკლავს, ვეჭვ, წამიცა არ წამაროს!  
არ ითქმის და ვერცა ვიტყვი, რა გინდა ვინ მისაგმაროს“ (743, 1,4).  
„ამიკლებს და ანუ მომკლავს: «ეგე სიტყვა ვითა სთქვიო?!  
რად არ მუნვე გაიგონე, რად ხარ შმაგი აგეთიო?!»“ (744. 2,3) და  
სხვა.

დიდხანს იკამათეს და ბოლოს რაინდულად მოსთხოვა ავთანდილმა:

„თქვი: რა გინდა წაგეკიდოს, თავი დაღევ საწამებლად!“ (750. 4).

ვაზირმა უპასუხა:

„ვიტყვი: მოვკვდე, არა მგამა, ჩემი მზემცა თქვენ მოგხედების“  
(751. 4).

ვაზირი შევიდა როსტევეანთან. ისე დიდი იყო მისი განცდები და შიში, რომ პირველად ხმის ამოდებაც ვერ მოახერხა. შემდეგ, როგორც იქნა, „*კადრა მოშიშრად ენითა*“.

მართლაც უზომო გამოდგა როსტევეანის რისხვა:

„რა მეფემან მოისმინა, გაულისდა, გაავცნობდა,  
ფერი ჰკრთა და გასაშიშრდა, შემხედველთა შეაშთობდა,  
შეუზახნა: «რა სთქვი, შმაგო, მაგას სხვამცა ვინ მითხრობდა!  
ავსა კაცსა ურჩეენია, ავსამცა რას ადრე სცნობდა! (756).  
ვითამც რამე სახარული საქმე მითხარ ვითა ადრად.  
მაგის მეტი რა ვინ მიყოს, თუ არ მომკლას მუხთლად, ღაღრად!  
შმაგო, ენა ვით იხმარე აწ მაგისად ჩემად კადრად!  
აგრე შმაგი არ ვაზირად, არად ვარგ ხარ არცა სხვად რად! (757).  
შენ თუ მოკლა, სისხლნი შენნი ჩემმან ქედმან მიიქედნეს! (758. 4).  
წა, უკუდეგ! ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, წბილი!» (759. 3).  
ღადრკა, სკამი შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეალეწნა;  
დააცთუნნა, მაგრა მისთვის აალმანსა, არ აძეწნა:  
«ვით მიაძბე წასლვა მისი, ვინ ალვისა მორჩი ხე წნა! »  
ვაზირისა ცრემლმან ცხელმან ღაწენი თეთრნი აახეწნა“. (760).

მეტი რაღა უნდა ყოფილიყო!

საწყალმა „*ვაზირმან, გლახ, გამოჰრიდნა*“ და ძლიეს „*გამოდ-  
რწა და გამოძელდა*“ (761. 1-2). სიმართლეს არ იყო მოკლებული,  
რომ თქვა:

„მე თვით კაცად აღარ ვარგ ვარ, აღარა მიც თავსა ცნობა“ (765. 3).

ამის შემდეგ ვაზირი არ იყო მადლობისა და დიდი მადლიერების ღირსი?! მთავარი ის კი არაა, რომ მისმა შუამდგომლობამ შედეგი ვერ გამოიღო. სხვას ის არც ელოდა. აღრევე ამბობდა:

„მე აგრე არ იქნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ!“ (745. 4).

მთავარი აქ ისაა, რომ მან, ყოველ შემთხვევაში, საქმე მოსინჯა, ავთანდილისათვის თავი გამოიღო და უდიდესი უსიამოვნება გადაიტანა.

საგულისხმოა, რომ გადაჭარბებულია თვით ამბავი ამ ეპიზოდისა. კაცმა რომ თქვას, ისეთი რა უსაშველო იყო ტარიელთან ავთანდილის მეორედ წასვლა, კიდევ უფრო – ამაზე თხოვნა, რომ ვერც ავთანდილსა და ვერც ვაზირს მეფესთან შესვლა ვერ გაუბედათ, ან „მოსამართლე და მოწყალე“ როსტევეანი ასე საშინლად რომ ბრახდება და კარგავს წონასწორობასა და აზრს?!

ნუთუ როსტევეანი მთლიანად დაკმაყოფილდა ავთანდილის მოტანილი ამბით და არ დაინტერესდა ტარიელის შემდგომი ბედით ან არ აღეძრა სურვილი, თავის მხრივ დახმარებოდა ასეთ რაინდს?! აკი, ავთანდილის დაბრუნებისას „უტარიელოდ ხსენება არვისგან იკადრებოდა“ (723. 4).

მართალია, პოემაში მინიშნებულია, რომ ხანდაზმულ როსტევეანს ხანგრძლივი განშორების შემდეგ უჭირს, ისევ დაცილდეს ავთანდილს – თავის გაზრდილ-ნაამაგარს, იმედს, სათაყვანებელ ადამიანს, და შიშობს, ვაითუ, მის დაბრუნებამდე მოეკვდეთ (სტრ. 822–824); აწუხებს ისიც, რომ ავთანდილი სპასპეტია და

„შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დაგვთამამდენ, გაგვისწორდენ“ (745. 3).

მიუხედავად ამისა, მაინც დასაშვებია, ამგვარი აურზაურისა და ვნებათა ღელვის აუცილებლობას მკითხველი ვერ ხედავდეს. როგორც პირველი წასვლისას, ახლაც შეიძლებოდა უამისოდ მოგვარებულიყო საქმე. მაგრამ, თუ კი პოემაში ასეა (როგორც არის), რასაკვირველია, ასეა გარკვეული მოსაზრებით. სახელდობრ, იმისათვის, რომ გვიჩვენოს, ავთანდილში რამდენად მტკიცეა „ზნე არ გატეხა ფიცისა“, რამდენად ძლიერია მასში მეგობრობის გრძნობა, – ტარიელთან მეორეჯერ წასვლაზე მწერალმა მას (ავთანდილს) გარკვეული დაბრკოლებები შეუქმნა

და გადაალახვინა<sup>21</sup>. თუმცა ავთანდილისათვის თინათინთან განშორება „ათასჯერ ვა“ იყო, მაგრამ თავი და თავი როსტევეანისაგან გათავისუფლება აღმოჩნდა. ცხადია, რამდენადაც ძნელი იყო როსტევეანთან შესვლა და დალაპარაკება აღნიშნულ საკითხზე, იმდენად დიდ დამსახურებად ეთვლება ვაზირს თავისი შუამდგომლობა (მიუხედავად მისი შედეგისა). და, რა გასაკვირიცა, როგორც გადაჭარბებულადაა დახატული „საშუამდგომლო საქმე“, ასევე გადაჭარბებულად იყოს ნათქვამი მადლობა მისი შესრულებისათვის.

გარდა ამისა, არ შეიძლება ავთანდილის სიტყვებში ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ. სავსებით სწორია ვ. ნოზაძე, როდესაც ავთანდილის სიტყვებს – „თულა დაჯრე, შენტვის მოვეკდე, თავი ჩემი დაგამონო“ უკავშირებს „ვეფხისტყაოსნის“ გამოთქმებს –

ფატმანი უთვლის ავთანდილს:

„სიცოცხლე, ანუ სიკვდილი გარდმიწყდეს, ნეტარძი, ოდეს!“ (1088. 4).

ასმათი ეუბნება ნესტანს:

„სიკვდილიცა სიცოცხლედ მიჩს, ოდეს განახენ მხიარულნი“ (1453. 3).

ფრიდონის დიდებულები – ტარიელს:

„თქვენთვის სიკვდილი დია სჯობს მიწათა ზედა რებასა“ (1458. 2).

თინათინი – ნესტანს:

„ღმრთისაგან დღეთა თხოვისა ნაცვლად სიკვდილი ვინები“ (1572, 3)  
და სხვა. –

---

<sup>21</sup> მეორეც, როსტევეანის რეაქცია გვიჩვენებს ავთანდილისადმი მის დიდ სიყვარულსა და შეუღებლობას.

და დაასკვნის: „ვევლგან აქ გამოთქმანი - «შენთვის სიკვდილი», «სიკვდილამდე სამსახური», «სიკვდილამდე ზღება» და სხვა ამგვარი სინამდვილეს არ გამოსახავენ, არამედ არიან საზოგადოებრივი ზნეობისა და ზრდილობის სიტყვანი“. შინ თვით ვაზირი ეუბნება ავთანდილს:

„შენთვის სიკვდილი ღზინად მიჩს, ჭირი არ გამცუდება“ (766. 4).

მაგრამ „უეჭველია, - განაგრძობს ვ. ნოზაძე, - ვაზირი ავთანდილისათვის თავს არ მოიკლავს; არც სიკვდილი მიაჩნია მას ღზინად; ოღონდ აქ აღნიშნული გამოთქმები ვეფხისტყაოსანშიდაც და ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც, ჩვენში და სხვაგანაც ზრდილობის წესია, საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის ჩვეულებრივი“<sup>22</sup>.

ა რ ა ფ ე რ ი ა მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ი, რ ო მ ვ ა ზ ი რ ი ს ა მ თ ა ვ ა ზ ი ა ნ ს ი ტ ყ ვ ე ბ ზ ე ა ს ე ვ ე ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი თ ა ვ ა ზ ი ა ნ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ ე ქ ა ს უ ხ ა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს!

არ იქნება მართებული აგრეთვე ის, რომ პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ 741-ე სტროფში ავთანდილის მიერ დაპირებული „ქრთამი“ და 771-ე სტროფში მოთხრობილი ამბავი მის ასრულებად მივიჩნიოთ. თუმცა ტექსტში არ არის მინიშნებული, ავთანდილი რა კილოთი ლაპარაკობს „ქრთამზე“, მაგრამ ვაზირის რეაქცია უფრო იმას გვაფიქრებინებს, რომ ავთანდილი „ქრთამს“ სთავაზობს ხუმრობით, ვაზირის, ასე ვთქვათ, გამოსაჯავრებლად, „დასაგეშავად“. ვაზირი სიცილით შეხვდა ავთანდილის სიტყვებს და მზიარული იუმორით „უმტკიცებს“, ისე კარგ საქმეს მავალეხ, ქრთამი რა საჭიროა, წყალობად, საშოვრად ესეც კმარაო:

„ვაზირმან უთხრა სიცილით: «ქრთამი შენ გქონდეს შენია! შენგან კმა ჩემად წყალობად, რომე გზა გაგიჩენია. მაგას რა ვაქადრებ მეფესა, რაცა აწ თქვენგან მსმენია, ვიცი, უცილოდ ამავესებს, შოება არ-საწყენია»“ (742).

<sup>22</sup> ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 287.

„თავმან მისმან, მუნვე მომკლავს, ვეჭვ, წამიცა არ წამაროს!  
შენი ოქრო შენვე და გრჩეს, მე, გლახ, მიწა  
მესამაროს“.

ვფიქრობთ, ჩანს, ვაზირი მიხვდა აეთანდღილის სახუმარო კილოს და ამიტომაც ასე მხიარულად, სიცილით, ხალისიანი ხუმრობითვე გაეპასუხა. სერიოზულ ნათქვამად რომ მიედო, საერთოდ ყველა პატიოსან კაცს, და მათ შორის ვაზირსაც, წყენა უნდა დასტყობოდა. არ არიან მართალნი, როდესაც ზოგიერთებს ვაზირი მექრთამედ და ოქროს მოყვარულად რომ ესახებათ<sup>23</sup>. ეს დასკვნა გამოაქვთ იქიდან, რომ 741. 4 და 771. 1 სტროფებში მართლა ქრთამზე ჰგონიათ საუბარი და, განსაკუთრებით, 764-ე სტროფში ვაზირის მოთხოვნას სერიოზულად ღებულობენ:

„ქრთამსა სთხოვს და ამხანაგობს, თუცა ცრემლსა ვერ  
იწურვებს:  
– მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა  
შეიურვებს! –  
ვინ არ მისცემს ქაღებულსა მოურავსა  
მოიმღურვებს,  
თქმულა: «ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა და  
იურვებს»“.

მაგრამ ამას რომ ვაზირი ხუმრობით ამბობს<sup>23-1</sup>, ეს ისედაც მისახვედრია, თანაც, ავტორის რემარკებშია მითითებული: „ვეფხისტყაოსანში“ ყველგან (79. 2; 1407. 1; 1497. 3) და აქაც „ამხანაგობა“ ნიშნავს ამხანაგურად, მეგობრულად გაშინაურებას, შეთამამებას, რომელიც უფრო მეტად იუმორის ტული ხასიათისაა. ასევე, „წყლიანობაც“ პოემაში ხშირად იუ-

<sup>23</sup> შდრ.: ნ. ნათამე, ობიექტური მეცნიერება და სხვისი კლასიკოსების შეფასება, „ციცკარი“, 1963, № 8, გვ. 124.

<sup>23-1</sup> ასე ესმის იგი ვ. ნოზაძესაც (ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, გვ. 311–312).



მორიხტულ მჭევრმეტყველებას აღნიშნავს (სტრ. 59. 4; 1099. 1). მოყვანილ სტროფებში კი, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონებში<sup>24</sup> ახსნილი, იგი ნიშნავს პირდაპირ ხ უ მ რ ო ბ ა ს. ე. ი. მწერალს შენიშნული აქვს, ვაზირი ეხუმრება ავთანდილს და იმ დიდი რისხვის შემდეგ, რაც როსტევეანმა მას თავს დაატეხა, მიკვირს, როგორ ახერხებენ ამასო.

მეორეც, ვაზირი რომ ოქროს მოყვარული, ხარბი იყოს, რატომ მისცემდა ავთანდილსა და მის მხლებლებს იმდენ საჩუქარს (სტრ. 770)?

თუნდაც 741-ე სტროფში ავთანდილის შეძლეული ფული პირდაპირი აზრით, გ ა ს ა მ რ ჯ ე ლ ო დ, ქ რ თ ა მ ა დ ი ქ ნ ე ს გაგებული, სავალდებულო მაინც არ იქნება ასეთად, მის ასრულ ე ბ ა დ მივიჩნით 771-ე სტროფში ავთანდილისაგან დასახელებული თანხის გაგზავნა. ვფიქრობთ, შეგვიძლია, ასეც დაეუშვათ: ავთანდილმა ვაზირს პირველად მართლაც ქრთამი შეაძლია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვაზირმა სასაცილოდ მიიღო ეს და როსტევეანთან შესვლით და შემდეგ გულუხვი მასპინძლობით „დაუმტკიცა“, „საქრთამო“ კაცი არა ვარო, — ავთანდილმაც თავის მხრივ რაინდულ წესზე კარგი საჩუქრები გაუგზავნა მას, მათთან ერთად, ს ხ ე ა თ ა შ ო რ ი ს, დაპირებული თანხაც, — ასი ათასი წითელი და ამით მან ვაზირის დაწყებული ხუმრობა იუმორისტული მუხტით გააძლიერა. ყოველ შემთხვევაში ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს ა და ვ ა ზ ი რ ს შ ო რ ი ს ა რ ს ე ბ უ ლ ი მ ე გ ო ბ რ უ ლ ი, შ ე ხ უ მ რ ე ბ უ ლ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა, ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს მ ი მ ა რ თ გ ა გ ზ ა ვ ნ ი ლ ი ფ უ ლ ი ს ა და ნ ი ე თ ე ბ ი ს ს ი უ ხ ვ ე და ხ ა რ ი ს ხ ი უ ფ ლ ე ბ ა ს ვ ე რ მ ო გ ე ც ე მ ს, ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ე ს მ და ბ ა ლ, ვ ა ჭ რ უ ლ მ ო რ ი გ ე ბ ა დ და ვ ს ა ხ ო თ და ა რ ა რ ა ი ნ დ უ ლ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა დ, რ ო მ ე ლ ი ც ა გ რ ე რ ი გ ა დ და მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი ა „ვეფხისტყაოსნის სათვის“.

რაკი 771-ე სტროფი ლოგიკურად პირდაპირ არ უკავშირდება 741-ე და 764-ე სტროფებს, არ წარმოადგენს მათში

<sup>24</sup> იხ. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებზე დართული ლექსიკონები იუსტაბულაძისა (1951 წ.) და ა. შანიძისა (1957 წ.).

წამოყენებული დაპირებისა და მოთხოვნის შესრულებას, არ იქნება მართებული ვამტიციოთ, რომ ის, 771-ე სტროფი, კონტექსტისათვის აუცილებელიაო. როგორც ალ. სარაჯიშვილი და სხვები ამბობდნენ, თავისუფლად შეიძლებოდა მოცემული ეპიზოდი 770-ე სტროფით, ვაზირის მასპინძლობით დასრულებულიყო. რომ არ ვიცნობდეთ 771-772-ე სტროფებს, მათზე მოთხოვნილება, ან რაიმე ნაკლულობის შეგრძნება სრულებითაც არ გვექნებოდა. მაგრამ, ამასთან ერთად, არც ის იქნებოდა სამართლიანი, არ აღინიშნოს, რომ დასახელებული სტროფები არამცთუ არ შეესაბამება კონტექსტს ან ზედმეტი ჩანს, არამედ ერთგვარად ავსებს და ამდიდრებს ეპიზოდის შინაარსს.

„ასი ათასი წითელის“ ამბავი ჩვენ ასე გვესახება: ავთანდილმა დასახელებული თანხა ვაზირს შესთავაზა სერიოზული სახით, მაგრამ ხუმრობით. ვაზირმა კარგად შენიშნა იუმორი და მანაც ეს „ქრთამი“ იუმორისათვის გამოიყენა. ბოლოს, ავთანდილმა, მიღებული წესის თანახმად, საჩუქრები რომ გაუგზავნა ვაზირს, შიგ „დაპირებული“ ასი ათასი წითელიც შეურია. ამას გარკვეული იუმორი და ჯანსაღი დამოკიდებულება შეეძლო შეეტანა მათ ურთიერთობაში.

ერთი სიტყვით, ზუსტად ასეა თუ არა, ის საბუთი, რომ ავთანდილი არ იყო ვალდებული ვაზირისათვის დასახელებული თანხა გაეგზავნაო, სრულებითაც არ გამოდგება ამ სტროფის ჩანართობის დასამტკიცებლად.

რაც შეეხება ვარიანტთა სიმრავლეს, ჩვენ ვნახეთ, რისგან იყო ეს გამოწვეული. მნიშვნელოვან განსხვავებებს იძლევა მხოლოდ ის ნუსხები, რომლებიც სტროფს შაირად ასწორებს. ხოლო, რომლებშიც სტროფი ფისტიკაურის ზომისაა, მცირე გამოწვევის გარდა, მათში სრული ერთსულოვნება სუფევს.

მთავარი, თავდაპირველი ეჭვების აღმძვრელი ამ სტროფის ნამდვილობის თაობაზე, როგორც ვთქვით, მისი ფორმაა. დანარჩენი საბუთები მხოლოდ შემდეგაა დაძვნილი. იგი რომ ყველა ხელნაწერში შაირის სახისა ყოფილიყო, ვიმეორებთ, საკითხი მის ნართაულობაზე, ალბათ, არ დადგებოდა.

მართლაც, უცნაური გარემოებაა, რატომ უნდა იყოს ერთადერთი სტროფი განსხვავებული ზომისა?

არა გვგონია, ეს იყოს მისი ჩანართობის უტყუარი ნიშანი.

როგორც თავიდანვე აღენიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ არც ჩანართ-დანართებშია მეტრის შეცვლის შემთხვევა. ყველანი, ძველი ნართაული იქნება თუ ახალი, 16-მარცვლოვანი შაირითაა დაწერილი. „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის შემდეგ ძველ ქართულ პოეზიაში ისე დამკვიდრდა და ნორმატულ ფორმად იქცა რუსთველური შაირი, რომ სხვანაირი ლექსი ე. წ. აღორძინების ხანამდე თითქმის აღარ ჩანს. ჩახრუხაული გავრცელების მხრივ მასთან ვერ მივა. რუსთველისადმი მიბაძვა საკუთარ, დამოუკიდებლად არსებობისათვის შექმნილ ლექსებშიც აუცილებელ მოთხოვნად იქცა, თორემ, რომლებიც რუსთველის პოემის ამა თუ იმ კონკრეტული ადგილისათვის ჩასართველად იწერებოდა, ისინი, რუსთველისად რომ მიელო მკითხველს, ყოველნაირად და, უწინარეს ყოვლისა, ფორმის მხრივ უნდა დამსგავსებოდა და შეხამებოდა პოემას. ჩვენ გვგონია, ა ს ე თ ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი თ უ ვ ი ნ მ ე გ ა ბ ე დ ა ვ დ ა მ ე ტ რ ი ს შ ე ც ვ ლ ა ს, უ ბ ი რ ვ ე ლ ე ს ა დ ა ვ ტ ო რ ი, ვ ი ნ ე მ ი ნ ტ ე რ პ ო ლ ა ტ ო რ ი.

ეს სტროფი არარუსთველისად შეიძლებოდა მიგვეჩნია იმ შემთხვევაში, თუ დავუშვებდით, რომ არსებობდა სრულიად დამოუკიდებელი ლექსი (ვთქვათ, ნან-ურა ციციშვილისა), რომელიც იმავე ან იმის მსგავსი სიტყვებით იწყებოდა, როგორითაც იწყება დღეს ფისტიკაური სტროფი, დაუკავშირეს ის „ვეფხისტყაოსნის“ და შემდეგ კიდევაც შეიტანეს შიგ მთლიანად ან კონტექსტისათვის საჭირო ცვლილებებით. დასაკავშირებელი მიზეზი კი მოეპოვებოდა: პოემაში ადრე „ასი ათას წითელზე“ იყო საუბარი (სტრ. 741). თუ ასე წარმოვიდგენთ, მაშინ გამოდგება ამ სტროფის ჩანართობის დასამტკიცებლად „ივერიის“ ცნობა „ციციშვილების სიმღერის“ შესახებ. მაგრამ ამგვარი ვარაუდის დაშვებას მრავალი წინააღმდეგობა ახლავს.

ჯერ-ერთი, ჩვენ არ ვიცით, ზუსტად ის ტექსტი, რომელსაც ციციშვილები თავიანთ სიმღერაში იყენებდნენ. ამ სიმღერის

დღეს-დღეობით ცნობილი ტექსტი, რომელიც გრიგოლ ჩხიკვაძეს „ქართული ხალხური სიმღერების“ პირველ ტომში (1961 წ.) აქვს დაბეჭდილი, ეყრდნობა კომპოზიტორ ია კარგარეთელის ჩანაწერს, მაგრამ კომპოზიტორს ის ციციშვილებისაგან არ ჩაუწერია. ამის თაობაზე ია კარგარეთელი წერს: „ამ სიმღერას დახელოვნებით მღერიან ციციშვილები; შემთხვევა არ მომეცა ჩამეწერა იმათი კილო. ხოლო მე მომეყავს ისე, როგორც ჩვენი ოჯახი იმღერის“-ო<sup>25</sup>. მართალია, აქ მხოლოდ მელოდიაზეა ლაპარაკი, მაგრამ რა უფლება გვაქვს, განსხვავება არ ვეძიოთ ტექსტის მხრივაც. მით უფრო, თვით ია კარგარეთელი სხვადასხვანაირად წარმოგვიდგენს მას. დასახელებულ კრებულში სიმღერას ჰქვია „შ ე ვ ს ვ ა თ წითელ-წითელი“. ხოლო ნოტებისა და ბოლოს თანმხლებ ტექსტში წერია „შევეკრათ...“. მეორე გამოცემაში (1909 წ.) „შევეკრათ“ აღარსად იხსენიება და ყველგანაა „შეესკათ“.

ერთნაირად არ იხსენიება იგი არც „ივერიის“ ცნობებში, რომლებიც ციციშვილების სიმღერას ეხება. ზოგში წერია როგორც „ვეფხისტყაოსანშია“, - „შეკრა წითელი“ (1887, № 22; 1989, № 43), ან კიდევ უფრო ახლოს მდგომი, - „შეჰკრა წითელი, სტავრა ატლასი ათი ათასი..“ (1887, № 87), ზოგში, როგორც ეს ია კარგარეთელის გამოცემის ტექსტშია, - „შევეკრათ წითელ-წითელი“ (1888, № 59, 64).

რატომაა ასეთი სიჭრელე? საერთოდ, ციციშვილებში ამ სიმღერას არ ჰქონდა მტკიცედ ჩამოყალიბებული ტექსტი? რატომ გადააკეთა ია კარგარეთელმა „შეკრა“ (თუ „შევეკრათ“) „შეესკათ“-ად? ნუთუ არ იცოდა, რომ ის „ვეფხისტყაოსნისეული“ იყო ან არ ესმოდა მისი შინაარსი?

გრ. ჩხიკვაძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ციციშვილების სიმღერა შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ ფისტიკაურ სტროფზე, უკეთ, მისი დასაწყისის სიტყვებზე, მაგრამ შემდეგ

---

<sup>25</sup> ია კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი, ქართული ხალხური სიმღერები, თბ., 1899, გვ. 60.

ვერ გაიგეს, რაზე იყო საუბარი და „შეკრა წითელი“ გადააკეთეს „შევსვათ წითელ-წითელ“-ად ღვინის გაგებით<sup>26</sup>.

ეს, რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია. მაგრამ მასთან ერთად, ჩვენი აზრით, გამორიცხული არაა, ეს პირიქითაც მომხდარიყო. იქნებ, ია კარგარეთელმა ამ შეგნებით შეცვალა (ალადგინა) იგი!

მეორე. თუნდაც დამტკიცდეს, რომ ციციშვილების სიმღერა ნამღვილად „ვეფხისტყაოსნის“ სტროფზეა შექმნილი, რომ „ივერიის“ ცნობა გადაჭარბებული არაა და დასახელებული სიმღერა მართლაც ციციშვილების კუთვნილი საგვარეულოა, — ყოველივე ეს მაინც არ ნიშნავს საძიებელი სტროფი უცილობლად ჩანართია ან ნანუჩას ნახელავი. ასეთად, ე. ი. საგვარეულო სიმღერად, თავისუფლად შეიძლებოდა ქცეულიყო იგი მელოდიის გამო. საერთოდ, ცნობილია, რომ ძველად „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების მიხედვით არაერთი ხალხური სიმღერა შექმნილა.

მესამე, და რაც მთავარია, არსებობს იოსებ თბილელის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ (Q-1082), რომლის დ ა მ კ ვ ე თ ი და პირველი მ ფ ლ ო ბ ე ლ ი იყო სარდალი და სახლთუხუცესი ზაზა ციციშვილი. გადამწერს პოემაში მის მიერ ჩამატებული სტროფები უკლებლივ აღუნიშნავს, გვერდზე მიუწერია „ტ“, ან „ტფი“ (=ტფილელი). ამასთანავე, ტექსტის ხელით ზოგ სტროფს არშიაზე მიწერილი აქვს „ნ“. რუსთველოლოგიაში დამკვიდრებულია შეხედულება (ერთ-ერთმა პირველმა იგი თვით გ. ლეონიძემ წამოაყენა<sup>27</sup>), რომ ეს ასო ნიშნავს ნ ა ნ უ ჩ ა ს და იმ სტროფებს, რომლებსაც ამ ნუსხაში იგი უზის, გადამწერი ნანუჩას კუთვნილად მიიჩნევს. ფ ი ს ტ ი კ ა - უ რ ს ტ რ ო ფ ს კ ი ა რ ა ვ ი თ ა რ ი ა ღ ნ ი შ ვ ნ ა ა რ მ ო ე პ - ო ვ ე ბ ა<sup>28</sup>. ცხადია, XVII საუკუნეში, როდესაც ეს ნუსხა გადაიწერა, ნანუჩა ციციშვილის ინტერპოლატორული მოღვაწეობა ყველაზე უკეთ

<sup>26</sup> გაზ. „თბილისი“, 24/III — 1966, გვ. 3.

<sup>27</sup> გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1949, გვ. 316—317.

<sup>28</sup> ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი, ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ღ ლ ი ს გამოცემა, თბ., 1956, გვ. 11, სქოლიო.

ციციშვილებს ეცოდინებოდათ. თუკი მათ საჭიროდ დაინახეს თავიანთი თანამოგვარის ნალეაწი აღენიშნათ, პირველ ყოვლისა, განსხვავებული ფორმის გამო ჩვენთვის საინტერესო სტროფი უყურადღებოდ არ უნდა დაეტოვებინათ, მეტადრე, თუ იგი მათი საგვარეულო სიმღერის ტექსტიც იყო და მას ასე მოწიწებით ეპყრობოდნენ.

მნიშვნელობას არაა მოკლებული ისიც, რომ ეს სტროფი ყველა დაუზიანებელ ხელნაწერში მოიპოვება. ფაქტია, XVII საუკუნის პირველ ნახევარში (და მოსალოდნელია, უფრო ადრეც) ყურადღება მიუქცევიათ მისი ფორმისათვის, არ მოსწონებიათ იგი; მაგრამ სხვა ვერაფერი მოუხერხებიათ, გარდა იმისა, რომ 16-მარცვლოვნად გადაუკეთებიათ. მაშინ, და მით უფრო ადრე, გაცილებით მეტი ეცოდინებოდათ „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი სტროფების შესახებ და საამისოდ რომ ეცნოთ, ალბათ, რომელიმე რედაქტორი მის მიმართ რაღაც რეაგირებას გამოიჩინდა, რომ არ ვთქვათ, ამოიღებდაო. მეფე-პოეტი არჩილი ხომ ინტერპოლატორობისთვის ნანუჩას უარყოფითად იხსენიებს!

დიდად საგულისხმოა ის სინამდვილეც, რომ ფისტიკაური საზომი უცხო არაა რუსთველამდელი და მისდროინდელი ძველი ქართული პოეზიისათვის<sup>29</sup>. მეორეც, როგორც ალ. ბარამიძის ზემოთ მოყვანილ შენიშვნაშია მითითებული, მეტრის შეცვლა, გამონაკლისის სახით, მაგრამ მაინც, კლასიკური ხანის ქართულ პოეზიაში დასაშვები ყოფილა.

ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ პოემაში მოსაზღვრე სტროფებთან ფისტიკაური უხეშ კონტრასტს, რიტმულ უხერხულობას არ ქმნის (რიტმის მხრივ ის დაბალ შაირს უახლოვდება). თუ არ დაუკვირდება კაცი, მეტრის ცვლილებას ადვილად ვერც კი შეამჩნევს.

---

<sup>29</sup> პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, თბ., 1938, გვ. 52, 76-79; აკ. შ ა ნ ი ძ ე, დასახელებული გამოკვლევა; ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, რუსთაველის ეპოქის ჩვენამდე არმოდწეული სალიტერატურო მემკვიდრეობის გარშემო, თბ., 1965, გვ. 12-13.

ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, განსხვავებული მეტრი, ისე როგორც მისი სასიძღვრო ტექსტად გამოყენება, ამ სტროფის ჩანართობის განმსაზღვრელად ვერ ჩაითვლება.

იქნებ, ამ სტროფის ხარისხსა ან სტილში ჩანდეს მისი წარმომავლობა?

ვერ ვიტყვით, რომ ეს სტროფი ხარისხით ბრწყინვალე იყოს (ისე როგორც ვერ ვიტყვი, ცუდიყო). ის გარემოება, რომ ყველა სარიტმო სიტყვა მოთხრობით ბრუნვაშია და მათში ერთი ქვემდებარე, — ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი, იგულისხმება, თუმცადა ის სხვადასხვანაირი ეპითეტიტაა მოხსენიებული, მაინც შეიძლება, აღნიშნული გამეორება ერთგვარ ხელოვნურობად მოგვეჩვენოს და ნაკლად მივიჩნიოთ.

ვერც ეს მიზეზები გამოდგება ჩანართობის განმსაზღვრელად.

დავიწყოთ იმით, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სარიტმო სიტყვებად თითქმის ყველა ბრუნვაა გამოყენებული, მათ შორის საკმაოდ ხშირია მოთხრობითი ბრუნვაც. ასეთებია: 43-ე, 89, 266, 315, 333, 358, 449, 576, 660, 689, 730, 738, 802, 894, 1244, 1295, 1324, 1340, 1487, 1536 და 1562-ე სტროფები<sup>30</sup>. მაგალითად, 1244-ე სტროფი თითქმის ისეთივე აგებულებისაა, როგორც ჩვენი:

„ესე ამბავი ავთანდილ ჰ ი რ-მ ზ ე მ ა ნ, მ ა გ ა რ-ვ ა დ ა მ ა ნ,  
რ ა მოისმინა, ე ა მ ა, ს ხ ვ ა დ არ ა გაუცხადა მ ა ნ,  
შ ე სწ ი რ ა ღ მ ე რ თ ს ა მ ა დ ლ ო ბ ა ტ უ რ ფ ა მ ა ნ დ ა ნ ა ბ ა დ ა მ ა ნ:  
«ამბავი ჩემი სალხინო მითხარო ვისმანღა დამან!»“.

აქ პირველი სამი სტრიქონის ბოლო სიტყვებში, რომლებიც, ერთის გარდა, ეპითეტიტითაა წარმოდგენილი, იგულისხმება ავთანდილი. აქაც, როგორც ჩვენი სტროფის პირველ სტრიქონში, ის მოხსენიებულია ერთნაირი ეპითეტიტით „ჰირ-მზე“. ყველგან ასე

---

<sup>30</sup> იხ. აგრეთვე: ზ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მოთხრობითი ბრუნვა ვეფხისტყაოსანში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 5, 1957, მაისი, გვ. 632.

მთლიანად და ფართოდ არა, მაგრამ მსგავსი აგებულებისაა სხვა სტროფებიც:

„მეფემან ქალს უსალამა, მან შორით გ ა რ დ ა ხ დ ო მ ი ლ მ ა ნ.  
დაუყვნა თვალნი ელვამან, მისთა ღაწვთაგან კ რ თ ო მ ი ლ მ ა ნ;  
გამოეგება, აკოცა კუბოსა შიგან ჯ დ ო მ ი ლ მ ა ნ,  
დაუწყო ქება მეფემან, თვით ვერას ვ ე რ - მ ი ხ ვ დ ო მ ი ლ მ ა ნ“  
(1536).

„წიგნი და კიდე რიღისა იცნა და გა-ცა-შალა მ ა ნ,  
პირსა დაიდვა, დაეცა, ვარდმან ფერითა მ კ რ თ ა ლ ა მ ა ნ,  
სულნი გაიქნეს, მოღრიკა თავი გიშრისა ტ ა ლ ა მ ა ნ...“ (1340).

რაც შეეხება ჩვენს კონიექტურას, სადაც რითმაში „მან“ ნაცვალსახელი მეორდება და ტავტოლოგიურ რითმას ქმნის, „ვეფხისტყაოსანში“ ასეთი სტროფებიც მოიპოვება.

„ვეფხისტყაოსნის“ რითმის მკვლევარი რიმა ფირცხალაიშვილი წერს: „რუსთველთან, ისე როგორც შაველსა და ჩახრუხაძესთან, შედგენილი რითმების მოჭარბებული ხმარებისას ზოგჯერ ხდება ისე, რომ რითმის შედგენილობაში შემავალი ბოლო სიტყვები ერთმანეთს ემთხვევა ფორმითაც და შინაარსითაც...“ „ამგვარი შემთხვევები, რომლებიც თანამედროვე ქართულ ლექსებში უთუოდ რითმულ ნაკლად ჩაითვლებოდა, კ ლ ა ს ი კ უ რ ი ჰ ე რ ი ო დ ი ს მ ე გ ლ ე ბ შ ი თ ი თ ქ მ ი ს კ ა ნ ო ნ ი ზ ე ბ უ ლ ი ა“<sup>31</sup>.

კანონიზებულიაო, ეს გამოთქმა, შეიძლება, გადაჭარბებული იყოს, ისე როგორც იმის თქმა, თითქოს ტავტოლოგიური რითმები მხოლოდ „შედგენილი რითმების მოჭარბებული ხმარებისას“ გვქონდეს. მაგრამ ტავტოლოგიური რითმები რომ დასახელებულ პოეტებთან და, სახელდობრ, „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება, ეს უდავოა. აი, „მან“-ის ერთი და იმავე შინაარსით გამეორების შემთხვევები:

<sup>31</sup> რ. ფ ი რ ც ხ ა ლ ა ი შ ვ ი ლ ი, ტავტოლოგიური რითმის შესახებ ვეფხისტყაოსანში, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, 1964, გვ. 284-285.



„ესე უსტარი დაწერა, შეკრა და წა-ცა-ხვია მ ა ნ, მისცა ფრიდონის მონათა ვარდმან და ვითა იამან; შესთვალა ზეპირ, რაცა ხმდა სრულად, მართ ვითა ჰვია, მ ა ნ, მათ მარგალიტი უჩვენის ძოწისა კარმან ღიამან“ (1324).

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ აქ „მან“-ს საკუთარი შემოსმენელი ორივეგან აქვს.

ჩვენი საკვლევი სტროფის მახლობლად არის სტროფი, სადაც „მან“ ქვემდებარე ისეა თავის წინადადებას დაშორებული, როგორც ჩვენს სავარაუდო წაკითხვაში – „არ მათგან საუარო, მ ა ნ“:

„ჰკადრე: «ვინ გაქოს ყოველმან პირმან არ-შეუზრახემან? ვითა ვიშიშვი, გაცნობოს ღმერთმან, ნათელთა მსახემან! მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწვა, ალვისა სახემან, გული წამსავე წამილო, – ვერათ ვერ შევინახე, – მ ა ნ»“ (738).

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ მიერ შესწორებულ სტრიქონს იმ სახით (უცვლელად) მივიღებთ, როგორცაა A...D...L ხელნაწერებში („არ მათმან საუარომან“) და პოეტურ ლიცენციად შევაფასებთ მას, – ამ სტროფის ჩანართობის თაობაზე გადამწყვეტს ვერაფერს გვეტყვის. „ვეფხისტყაოსანში“ საკმაოდ მოიპოვება სიტყვათა და წინადადებათა თავისებური გაბედული წარმოებანი და შედგენა, გრამატიკული ნორმებიდან გადახვევები.

მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ფ ო რ მ ი ს ს ხ ვ ა მ ხ ა რ ე ე ბ ი ს ( ა გ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ) მ ი ხ ე დ ვ ი თ ა და ს ტ ი ლ ი თ ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი ს ტ რ ო ფ ი ა რ ა მ ც თ უ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა „ ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს “ ს ტ რ ო ფ ე ბ ი ს ა გ ა ნ, ა რ ა მ ე დ, პ ი რ ი ქ ი თ, ზ ო გ ი ე რ თ თ ა ნ ნ ი შ ა ნ ღ ო ბ ლ ი ე მ ს გ ა ვ ს ე ბ ა ს ა ც კ ი ა მ ჟ ღ ა ვ ნ ე ბ ს.

ჩვენი საბოლოო დასკვნები ასეთია:

1. 771-ე სტროფი თავიდან ფისტიაკაურის ფორმით შეიქმნა და ზოგიერთ ხელნაწერში შაირის სახით შემდეგ გადააკეთდა.

2. ა) ამ სტროფის ავთენტურობის ტექსტი უნდა ვეპიოთ იმ ხელნაწერებში, რომლებიც უისტიკაურის საჯომით წარმოგვიდგინეს მას.

ბ) მიუღებელია 1937 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარე გამოცემებში არსებული მესამე სტრიქონის მეორე ნახევრის წაკითხვა: „... შერად მართ ვითა მიუახვდაროვან“.

მის ნაცვლად უნდა იყოს: ან „... შერად არ მათგან საუაროვან“, რაც ავთანდილის გამოცხად-ველი იქნება, ან – „... შერად არ მათგან საუარო, – მან“, რაც ნიშნავს: *მან, ავთანდილმა, ვაჭირს ისეთი სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი გაუზგავნა, რომ შერით მათგან (მისგან, ვაჭირისგან) არ საუარო (უარო რომ არ ითქმებოდა, ისეთი) იყო.*

3. წამოყენებული საბუთები განხილული სტროფის ჩანართობის დასამტკიცებლად საკმარისი არ არის.

მინაწერი: ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ რამდენიმე საგანგებო გამოკლევა დაიბეჭდა, სადაც გრძელდება კამათი საძიებელი სტროფის ძირითად საკითხებზე და კვლავაც ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანია გამოთქმული.

რიმა ფირცხალაიშვილი განიხილავს<sup>32</sup> ორ საკითხს: თავიდან როგორი საზომით შეიქმნა ეს სტროფი და რა სახისა იყო მესამე სტრიქონი. ისიც აღნიშნავს, რომ ამ „სტროფის უ ა ლ ბ ა დ მ ი ჩ ნ ე ვ ი ს ს ა ფ უ მ ვ ე ლ ი მ ი ს განსხვავებულ საზომსა და დამახინჯებულ ტექსტშია საქმიებელი. მაგრამ რუსთველოლოგიის დღევანდელ დონეზე აღნიშნული სტროფის რ უ ს თ ვ ე ლ უ რ ო ბ ა შ ი ე ჭ ვ ი ს

---

<sup>32</sup> რიმა ფირცხალაიშვილი, ორიოდ შენიშვნა ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემისათვის, კრებ.: ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, V, თბ., 1973, გვ. 3-15.

შ ე ტ ა ნ ა გ ა მ ა რ თ ლ ე ბ უ ლ ი ა რ ი ქ ნ ე ბ ო დ ა“  
(გვ. 8).

მისი აზრით, „ა რ ც ი ს ა ა გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი,  
რომ შაირის სტროფი იმ სახით, როგორსაც ჩვენ დღეს ვიცნობთ,  
მართლაც ო ც მ ა რ ც ვ ლ ო ვ ა ნ ი ს გ ა დ ა კ ე თ ე ბ ა ს  
წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ე ს, მაგრამ თავის მხრივ  
ოცმარცვლოვანის ამოსავალი ეოფილიუო აუთენტიკური, შაირით  
გამართული სტროფი“ (გვ. 12).

ავტორი გეთავაზობს მის მიერ დადგენილ ტექსტს, რომელიც  
შაირითაა გაწყობილი და ერთ რომელიმე ხელნაწერს ან  
რედაქციულ ჯგუფს კი არ ასახავს, არამედ სხვადასხვა  
სტრიქონში სხვადასხვა ნუსხას ეყრდნობა. მისი სიტყვებით,  
„ე რ თ ა დ ე რ თ ი გ ზ ა ტ ა ე პ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი ს ა და მსატკრული  
ფორმის მართებულად წარმოდგენისა მისსავე ლექსიკის საფუძველზე,  
კონიექტურების გარეშე, შეიძლება იყოს მ ს ო ლ ო დ შ ე რ წ ე ე -  
მ ა ს ს ვ ა დ ა ს ს ვ ა ვ ა რ ი ა ნ ტ უ ლ ი მ ო ნ ა ც -  
ე მ ე ბ ი ს ა“ (გვ. 12).

რ. ფირცხალაიშვილი პირველ სტრიქონს ამგვარად ბეჭდავს:  
„წითელი ასი ათასი პირ-მზემან, ტანად სარომან“, რომელიც  
უფრო მიჰყვება JT-ს. განსხვავება მხოლოდ ისაა, ამ ნუსხებში  
სტრიქონი ასე იწყება: „ასი ათასი წითელი“. „წითელი ასი  
ათასი“ არც ერთ ხელნაწერში არ მოიპოვება.

მეორე სტრიქონია: „სამასი სტავრა-ატლასი უხვმან და  
მიუმცთარომან“, რომელსაც იძლევა სამი ნუსხა – EIZ.

მესამე სტრიქონი: „სამოცი ლალ-იაგუნდი არ მათმან  
მიუმხვდარომან, –“. აქ, გარდა ბოლო სიტყვისა, გამეორებულია  
A'-ის წაკითხვა. ბოლო სიტყვა („მიუმხვდარომან“) გვაქვს  
FGF'L'Q' ხელნაწერებში.

ბოლო სტრიქონი „კაცი გაგზავნა ვაზირთან, ეს ყველა  
მისთვის არო მან“ არის EFHIKOYZG' ნუსხებში.

სიტყვას არ გავაგრძელებთ იმაზე, რომ აქ ერთმანეთისგან  
გარჩეული არაა ნუსხათა რედაქციულობა, რამდენად სანდოა ესა  
თუ ის რედაქცია ან ხელნაწერი, როგორ სხვადასხვაგვარად

ამოკლებენ ისინი სტრიქონებს, როდესაც დედნის კვალი ჩანს და ა. შ. გადაჭრით ვიტყვით: ამ სტროფის ვარიანტებიც გვიჩვენებს და ტექსტოლოგიურ მეცნიერებაში მიღებული წესითაც ავთენტიკური ტექსტის ამგვარი „შერწყმით“ დადგენა ყოვლად გაუმართლებელია.

საძიებელ სტროფს ჩანართად მიიჩნევს მაგალი თოდუა და მისთვისაც მიზეზი განსხვავებული საზომია. ის ასე მსჯელობს: „არაფრითაა დამტკიცებული, ეს სტროფი რუსთველს ეკუთვნოდეს. ის ჩანართი ჩანს. უველაზე მეტად მაინც ისაა დამაეჭვებელი, რომ მთელი ჰოემა შაირითაა გაწეობილი, ათას შვიდასამდე შაირის სტროფში რაღა ერთი სხვა საზომით გაწეობილ სტროფს გაურევდა ავტორი. ასეთი აღრევა არ შეინიშნება იმ დროის არც არაბულ, არც სპარსულ, არც ქართულ ჰოეზიაში. ვფიქრობთ, ეს სტროფი ვიღაცამ მიაწერა რომელიღაც ნუსხის ამიაზე, სოლო გადაძწერმა რუსთველის სტრიქონად მიიჩნია და ტექსტში შეიტანა“<sup>33</sup>.

ავტორს მხედველობიდან რჩება, რომ აღრევის შემთხვევა გვაქვს ჩახრუხადის „თამარიანში“.

ჩვენსა და რ. ფირცხალაიშვილის ნაშრომებს გამოეხმაურა ალექსი ჭინჭარაული და ფრიად საყურადღებო აზრები გამოთქვა<sup>34</sup>. მან არ გაიზიარა ჩვენი კონიექტურა. მისი აზრით, შედარება „... არ მათმან საუარომან“ დედნისეულია, ოღონდ არარუსთველისეული, მთელი სტროფი ჩანართია, სადავო ტექსტი კი ნიშნავს: „ავთანდილი ფერად არ მათი (ლალ-იაგუნდის)სააუარო, ანუ (სახის) ფერით ლალ-იაგუნდის მსგავსი“ არის (გვ. 43). ალ. ჭინჭარაულსაც ეს დაბალი ღირსების შედარებად მიაჩნია და მას იმით ხსნის, რომ სტროფი მიმბაძეველის ჩანართია. ის ასე მსჯელობს: „ინტერპოლატორი აქ «ვეფხისტყაოსნის» ტექსტს ბამავს, რუსთველის მანერას ბამავს -

<sup>33</sup> ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა და ლექსიკონი დაურთო მაგალითოდუამ, თბ., 1975, გვ. 106-107.

<sup>34</sup> ალ. ჭინჭარაული, ვეფხისტყაოსნის ენისა და ტექსტის საკითხები, თბ., 1982, გვ. 38-50.

იგი შედარების რუსთველურ ხერხს მიმართავს, ხერხს, როცა რა-  
ჯგუფის საგანი ჰგავს ან არა ჰგავს ადამიანს. აი, ასეთი  
შედარების რამდენიმე ნიმუში «ვეფხისტყაოსნიდან»:

ასმათი ნესტანის მოტაცების ამბავს უამბობს ტარიელს და  
დასძენს:

«ესე ვნახე და არ მოვკეე, არა მგავს არცა სიპია» (584.4).  
ავთანდილი ეუბნება ტარიელს:

«აწ გამომეზავნა, რომელსა ვერ მზე ჰგავს, ვერ ეთერია» (291.4).  
ავთანდილსუა ნათქვამი:

«ვის ბადასში არა ჰკვანდეს და ლერწამი ტანად ეზროს,  
იგი სადმე გაღარიბდეს, სამეოფთავან იაბეზროს» (178.3).  
ასმათი ამბობს ტარიელის შესახებ:

«აწ ზაფრანია, ვის წინას ვერ ვარდი ჰკვანდის, ვერ ია» (855.3).  
ფატმანი ასე ახასიათებს ნესტანს:

«მზესა სიტურფით ეეოფის, იეოს მისითა გვანითა» (1131.4).

თანმიმდევრობით რომ მივჰყუთ: სიპი ასმათივით მაგარი არ  
არის, მზე და ეთერი თინათინს ვერა ჰგავს, ბადასში ავთანდილს  
არა ჰგავს, ლერწამი ავთანდილის ტანი (ზრო) არის, ვარდი და ია  
ნესტანს ვერ ჰგავდა, მზე თუ ნესტანს დაემსგავსება, ეეოფა სი-  
ტურფედ.

ასევე იქცევა ინტერპოლატორი, როცა ამბობს: ავთანდილი  
მისგან გაგზავნილი ლალ-იაგუნდის საუარო, (ფურად) მისგან  
დასაწუნებელი არ იყოო, ანუ ლალ-იაგუნდის ფერი ავთანდილის  
(სახის) ფერს ჰგავდაო“ (იქვე).

ეს სტრიქონი ამავე შინაარსით ესმის ივანე გიგინეიშვილ-  
ს ა ც. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი  
კომისიის 1977 წლის 24 ივნისის ოქმში ვკითხულობთ: „ი.  
გიგინეიშვილი: მესამე ტაქვის მეორე ნახევარი რიგ ხელნაწერებსა

და გამოცემებში ასე იკითხება: ფ ე რ ა დ ა რ მ ა თ მ ა ნ  
ს ა უ ა რ ო მ ა ნ. ეს უნდა იყოს ჰირვანდელი წაკითხვა. ტაეპის  
აზრია: სამოცი თვალი ღალ-იაგუნდი შეკრა ავთანდილმა,  
ფერად მათზე (ღალ-იაგუნდებზე) უარესად (უარედ) არმისაჩნევმა<sup>35</sup>.

უნდა ვადიაროთ, ხატვის ეს მსგავსება და ერთობა მართლაც  
ნიშანდობლივი ჩანს და ამის მიხედვით ტექსტის გაგება,  
რომელსაც ალ. ჭინჭარაული და ი. გიგინეიშვილი გეთავაზობენ,  
ბევრად უფრო მისაღებია, ვიდრე ჩვენი, ახალგაზრდობისდრო-  
ინდელი, კონიექტურა. ოღონდ ამ შინაარსითაც მისი დაბალი  
მხატვრული დონე ჩანართობის უცილობელი ნიშანი არ უნდა  
იყოს. თუ ამგვარი აზროვნება და ხატვა, როგორც ალ.  
ჭინჭარაული წერს, „რუსთველის მანერა“, „შეღარების რუსთვე-  
ლური სერსია“, რომელიც პოემაში არც ისე გავრცელებული და  
თვალში საცემია, რომ ის მისაბაძი გამზდარიყო, იქნებ ეს გამორ-  
ჩეული, თავისებური ხელწერა პირუკუ მაჩვენებელია და მის  
ორგანულობაზე მიგვანიშნებდეს?!

გარდა ამ სტრიქონისა, ალ. ჭინჭარაული სტროფის  
ჩანართობის მაჩვენებლად ასახელებს იმ გარემოებას, რომ მასში  
ნახმარია ისეთი სიტყვები და ფორმები, რომლებიც „ვეფხის-  
ტყაოსანში“ სხვაგან არ გვხვდება. ესენია: 1. „თავი“ ც ა ლ ი ს  
მნიშვნელობით, 2. კომპოზიტი „სტაჯრა-ატლასი“, 3. სიტყვა  
„მიუმცდარებელი“, 4. „თვალი“, „თავის“ მსგავსად, ც ა ლ ი ს  
მნიშვნელობით, 5. კომპოზიტი „ღალ-იაგუნდი“, 6. „ვაზირისასა“  
– გავრცობილი ნათესაობითი, 7. „ესე ყველაი“ ზედმეტია, 8.  
„არო“ გ ა გ ზ ა ე ნ ი ს მნიშვნელობით.

შალვა ღ ლ ო ნ ტ მ ა აღრიცხა ის სიტყვები (სახელები,  
ზმნები, უდეტრები), რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელაა  
გამოყენებული და მიიღო ორ სვეტად აწყობილი 54-ზე მეტი  
ნაბეჭდი გვერდი<sup>36</sup>.

ასე რომ, საკითხისადმი მიდგომა, თითქოს მხატვრულ  
თხზულებაში სიტყვის ან რომელიმე ფორმის ერთხელ ხმარება

<sup>35</sup> მაცნე (ელს), 1978, № 4, გვ. 184.

<sup>36</sup> შალვა ღ ლ ო ნ ტ ი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის  
სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961, გვ. 174-228.

მის დედნისეულობას საეჭვოს ხდიდეს, ძირშივე მცდარი და მიუღებელია.

უფრო მეტიც, ამ მეთოდის ნაკლი და უვარგისობა ცალკეულ შემთხვევებში პირდაპირ და ნათლად ჩანს. ალ. ჭინჭარაული თავად მიუთითებს, „ვეფხისტყაოსანში“ „სტავრა“ და „ატლასი“, „ლალი“ და „იაგუნდი“ გვერდი-გვერდ იკითხება:

„ხარაჯა დასდევს, შეკვეთეს დრაჰკანი ასჯერ ასია,  
კვლა ხატაური ათასი, სხვა სტავრა, სხვა ატლასია“ (471. 1–2).  
„მუნ იღვის გორი ლარისა, სტავრისა და ატლასისა“ (1438).  
„სამიათასსა აკიდე მარგალიტი და თვალეზი,  
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები“ (1426. 2–3).

ნაწილ ხელნაწერებსა და გამოცემებშია:

„ქვად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა ლალისა“  
(329.2).

ჩვენთვის გაუგებარია, როცა პოეტი სიტყვებს გვერდიგვერდ ასახელებს, რაა იმაში მოულოდნელი და საჩოთირო, რომ მან ისინი კომპოზიტების სახითაც მოიხსენიოს! განა ამავე პრინციპით არაა შედგენილი კომპოზიტი:

„ვეფხისა ტყავი აცვია, ცუდად უჩს სტავრა-ნახლები“  
(690.3).

სტავრა, ატლასი და ნახლი, სამივე, ძვირფასი ქსოვილების სახეობაა.

ალ. ჭინჭარაული „ლალისა“ და „იაგუნდის“ თანმიმდევრობის შესახებ წერს: პოემაში „ეოველთვის «იაგუნდი» უსწრებს «ლალს»“ (გვ. 45) და ზემორე მოყვანილ ნიმუშებთან ერთად ასახელებს 282.4-ე სტრიქონს:

„ქარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს“.

საერთოდ, და, კერძოდ „ვეფხისტყაოსანში“, ამ ძვირფას თვლებს რაიმე ისეთი შინაგანი ან თავისებური ნიშანი არ მოეპოვება, რომ მათ თანამიმდევრობით ხმარებას განსაზღვრავდეს. ზემორე სტრიქონებში (1426.2-3 და 329.2) „ლალი“ მეორე ადგილას იმიტომ არის, რომ იგი სარიტმო სიტყვაა, ხოლო 282,4-ე სტრიქონში მისი ადგილი წინადადების შინაარსმა განაპირობა.

შემდეგი ნიშანი: გარდა იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „თავი“ ც ა ლ ი ს მნიშვნელობით სხვაგან არ დასტურდება, ალ. ჭინჭარაულს სტროფის ჩანართობის მაჩვენებლად ამ სიტყვის ამ შინაარსით ხმარებაც ესახება, რადგან მის არსებობაში ეჭვი შეაქვს. „ძველი ქართულის ლექსიკონებში – წერს იგი, – «თავი»-ს ასეთი მნიშვნელობა (მატერის, ქსოვილის რაოდენობის განსასაზღვრად) არა ჩანს. ახალ ქართულში ქსოვილის გორგალს – «თოფ»-ს ეძახიან“ (გვ. 44). სინამდვილეში, ეს სიტყვა ამ გაგებით შოთა რუსთველამდე არსებობდა. XI საუკუნის ისტორიკოსების ჯუანშერის (თუ ლეონტი მროველის) საისტორიო თხზულებაში „თავი“ საზომის გაგებით სწორედ ს ტ ა ვ რ ა ს მიემართება: „და განვიდეს მეოფნი ქალაქისანი, მიწვეწულნი სიკუდილად, და მისცეს მადლი ვახტანგს, და მისცეს ძღუენი ათასი ლიტრა ოქრო და ხუთასი თ ა ვ ი ს ტ ა ვ რ ა, და განვიდა ერი იგი მძვდობით სავაჭროსათუს და საკმარისა“<sup>37</sup>.

ალ. ჭინჭარაული მთელ სტროფს იწუნებს იმის გამოც, რომ „თვალი“ ესმის როგორც საზომი ერთეული. „სადავო კონტექსტში – წერს იგი, – «თვალი» ისეა გამოყენებული «ლალ-იაგუნდის» მიმართ, როგორც «თავი» «სტავრა-ატლასის» მიმართ წინა სტრიქონში – იგი თითქოს «ცალის» შემცვლელად გვევლინება. «თვალი»-ს ასეთი მნიშვნელობით გამოყენების სხვა შემთხვევა ვეფხისტყაოსანში არ იცის, «ლალ-იაგუნდიც» თვალთა და სამოცი «თვალი თვალი» უხეირო ტავტოლოგიაა“ (გვ. 44-45).

---

<sup>37</sup> ქართლის ცხოვრება, I, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1955, გვ. 170, 16. მკვლევრის საპასუხოდ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს მაგალითი აღნიშნულია და ეით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ (თბ., 1984, გვ. 539).



დიახ, „თვალი“ არის ზოგადი სახელი ძვირფასი ქვებისა. როგორც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია“ აღნიშნული, „ბრილიანტის თვალი იგივეა, რაც ბ რ ი ლ ი ა ნ - ტ ი, ძვირფასი თვალი, ჰატიოსანი (კეთილშობილი) თვალი იგივეა, რაც თ ვ ა ლ ი“ (ტ. IV, გვ. 391).

ასევეა „ვეფხისტყაოსანშიც“. ამიტომაა მასში ერთად ნახმარი „თვალ-მარგალიტი“, რაც ნიშნავს მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ს კ ა ტ ი ო ს ა ნ ქ ვ ა ს :

„შევე საჭურჭლეს, რომელსა ფასი არ დაედებოდა,  
თ ვ ა ლ - მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ავიღე, რაც ოდენ ამეღებოდა“ (1177. 1-2).  
„თ ვ ა ლ - მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ღარიბი უძღვნა ოქროსა გობითა“  
(1385.4).

სხვაგან, როგორც „მარგალიტის“ გვერდით, ასევე „იაგუნდისა“ და „ლალის“ გვერდითაც იკითხება „თვალი“ ზოგადი მნიშვნელობით:

„უთხრა დიდმან ხელმწიფემან უჭკუოსა უსენს, მთვრალსა:  
«დია მიკვირს, საძღვნოდ ჩვენად სით მოიღებ ამა თ ვ ა ლ ს ა,  
მ ა რ გ ა ლ ი ტ ს ა დიდროვანსა, უმსგაუსოსა ჰპოვებ ლ ა ლ ს ა?  
ვერ გარღვიხდი, თავმან ჩემმან, ძღვენთა შენთა ნაათაღსა»“  
(1167).

„მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვინ პოვეს მალეხი,  
სამიათასსა აჰკიდეს მ ა რ გ ა ლ ი ტ ი და თ ვ ა ლ ე ბ ი,  
თ ვ ა ლ ი ყველაი დათლილი, ი ა გ უ ნ დ ი და ლ ა ლ ე ბ ი,  
იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები“ (1426).

რას ვხედავთ? პირველ შემთხვევაში ჯერ ნათქვამია, რომ უსენმა თავის მეფეს მარგალიტი და ლალები მიართვა: „უსენ ტაბაქსა დააწყო მ ა რ გ ა ლ ი ტ ი და ლ ა ლ ე ბ ი“ (1164.1). მეფე კი ჯერ მათ აღსანიშნავად იყენებს ზოგად სიტყვას – „თვალს“, მერე ასახელებს ამ თვლებს, – მარგალიტსა და ლალებს. მეორე სტროფში საზიდრებზე აჰკიდეს მარგალიტი და

(სხვა ძვირფასი) თ ვ ლ ე ბ ი, ღათლილი (ძვირფასი) თ ვ ლ ე ბ ი, (მათ შორის), ი ა გ უ ნ დ ი და ლ ა ლ ე ბ ი.

რატომ არ შეიძლება, ტავტოლოგიად კი არა, ამგვარად გავიგოთ საძიებელი სტრიქონი: აეთანდღილმა ვაზირს გაუგზავნა სამოცი (პატიოსანი) თ ვ ა ლ ი, (მათ შორის) ი ა გ უ ნ დ ი და ლ ა ლ ე ბ ი? წინადადებაში ეს აზრი გამოვს, თუ „თეალის“ შემდეგ ღაწერთ ორწერტილს ან ტირეს.

აღ. ჭინჭარაული საკვლევი სტროფის რუსთველურობას უარყოფს იმითაც, რომ მასში იკითხება ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილი ფორმა – „ვაზირისასა“. მისი აზრით, „როცა ნანათესაობითი მიცემითთ ვინმესთან ვინმეს სახლში მისვლის გამოხატვა უნდა, რუსთველი ნათესაობითის გავრცობებელ ფორმას ხმარობს“ (გვ. 45). ნიმუშად ასახელებს: „მივლენ სრასა ფ რ ი დ ო ნ ი ს ს ა“ (990.1), „რა ფ ა ტ მ ა ნ ი ს ს ა შევიდა...“ (1118.1). მისი დასკვნით, „საკუთარ სახელებში ასეთი ფორმა ძველი ქართულის ნორმა“. „პოემაში ერთადერთი შემთხვევაა, – განაგრძობს ავტორი, – როცა საკუთარ სახელთან გავრცობილი ნათესაობითი დასტურდება: «გარდახდეს ფ რ ი დ ო ნ ი ს ა ს ა, სრა ნახეს მოსაწონები (1461.1)»“, მაგრამ მას ეს სტროფიც სანდოდ არ მიაჩნია. წერს: „თვითონ ამ სტროფის (...) რუსთველისეულობაც ჩვენთვის საეჭვოა“ (იქვე).

სინამდვილეში ეს ასე მარტივად არ არის. უმეტეს, ძველ და შედარებით სანდო ხელნაწერებში და აქედან გამოცემებში დაწუნებული ფორმა არის 951-ე სტროფის წინ არსებულ სათაურში: „წასლვა აეთანდღილისაგან ფ რ ი დ ო ნ ი ს ა ს ა“. ხელნაწერთა მეორე ნაწილში არის გავრცობილი ფორმა „ფრიდონისას“ და არსად – „ფრიდონისას“.

969-ე სტროფის წინ მდებარე სათაურში – „აეთანდღილისაგან ფ რ ი დ ო ნ ი ს ა ს მისლვა“ – ორიოდე ნუსხაშია „ფრიდონისას“, ღანარჩენებში – „ფრიდონისას“ და არც ერთხელ – „ფრიდონისას“. სამაგიეროდ, 1374-ე სტროფის წინა სათაურში ამ სიტყვის გავრცობილ ბრუნვის ფორმას მხარს უჭერს ხელნაწერთა და გამოცემათა აბსოლუტური უმრავლესობა: „ტარიელისა და აეთანდღილისაგან წასლვა ფ რ ი დ ო ნ ი ს ა ს მისლვა“.

ონისასა“. იმ ორიოდ გამოჩაკლის ნუსხაში გვაქვს გაუვრცობელი ბრუნვა „ფრიდონისას“ და სულ არა – „ფრიდონისსა“.

1428-ე სტროფის წინა სათაურში „ტარიელისაგან ზღვათა მ ე ფ ი ს ა ს მისლვა“ ხელნაწერთა უმრავლესობაში გაუვრცობელი ფორმაა – „მეფისას“, ნაწილ ხელნაწერებში – „მეფისასა“, არც ერთში – „მეფისსა“.

როგორც ვხედავთ, ს ა თ ა უ რ ე ბ შ ი, რომლებიც, ლექსისგან განსხვავებით, მარცვალთა რაოდენობითა და რიტმით შეზღუდული არაა, ხელნაწერები უფრო იცავენ -სასა, -სას და არა -ისსა ფორმებს.

ს ტ რ ო ფ ე ბ შ ი ასეთი ვითარებაა:

990-ე სტროფის პირველ სტრიქონში – „ცხენთა შესხდეს, გაეპართეს, ფ რ ი დ ო ნ ი ს ს ა მივლენ სრასა“ – «ფრიდონისას» წარმოგვიდგენს სამი D...F... K... რელაქციული ჯგუფის ნუსხები.

იგივეა შემდეგ სტროფებშიც:

„რა ფ ა ტ მ ა ნ ი ს ს ა შევიდა ლომი, მზე, მოყმე წყლიანი“ (1118.1).

„წამ-ერთ მიჰხდა ფ ა ტ მ ა ნ ი ს ს ა, დღე იარა არ მრავალი“

(1311.2).

ორივეგან აღნიშნულ რელაქციულ ჯგუფებშია „ფატმანისას“. აღარაფერს ვამბობთ 1080.2-ე სტროფზე, რადგან ჩვენთვის საინტერესო სიტყვა სარიტმობა:

„ზოგჯერ უხმის ფატმან მისსა, ზოგჯერ იყვის ფ ა ტ მ ა ნ ი ს ს ა“.

რაც შეეხება 1462-ე სტროფს, – „გარდახდეს და ფ რ ი დ ო ნ ი ს ს ა, სრა ნახეს მოსაწონები“ – რომლის ავთენტიკურობაში ალ. ჭინჭარაულს ეჭვი შეაქვს, ხსენებული სამი რელაქციული ჯგუფის ნუსხები აღნიშნულ სიტყვას „ფრიდონისასა“ ფორმით წარმოგვიდგენს.

ასე რომ, თავისუფლად შეიძლება ვიფიქროთ, სამივე ფორმა -ისსა, -სას და -სასა რუსთველისეულია.

ჩვენთვის გაუგებარია, როცა „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს სიტყვა „მიუძტარებლად“ (70.4), რაც ნიშნავს შეუცდომლად, უშეცდომოდ, რატომ გამორიცხავს ამავე შინაარსის „მიუძდარომან“ (შეუცდომელმა) ფორმის დენისიულობას? ან რატომაა „უბვი“ და „შეუცთომელი“ ისეთი „უცნაური“ და „შორი შორი ეპითეტები“, რომ სტროფის რუსთველურობას გამორიცხავდეს?

ერთი სიტყვით, არც ალ. ჭინჭარაულის მოხმობილი საბუთებია ისე წყალგაუვალი, რომ საძიებელი ფისტიკაური სტროფის არარუსთველურობას უცილობლად ამტკიცებდეს!

ალ. ჭინჭარაულს გამოეხმაურა მურმან თავდიშვილი და ამ სტროფის ჩანართობაზე მისი თვალსაზრისი გადაჭრით უარყო<sup>38</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ინტერპოლატორი თავის ვინაობასა და ნასაქმს სრულებითაც არ მალავს, ჩვენც ასე ვფიქრობდით და ახლაც მიგვაჩნია, განსხვავებული მეტრის თაობაზე მ. თავდიშვილის მსჯელობა ამ შემთხვევაში სამართლიანია: „სწორედ ინტერპოლატორი ვერ მოიძარჯვებდა განსხვავებულ, არარუსთველურ ოცმარცვლიან საზომს, რა არის, ადვილად შენიშნავენ ჩანართის არარუსთველურობასო. ვფიქრობ, ამდენი გონიერება კი უნდა შევარჩინოთ ინტერპოლატორს“ (გვ. 62).

მკვლევრის აზრით, ორგანული ერთიანობა სუფევს საძიებელსა და მის წინა და მომდევნო ხუთ სტროფს შორის. ესენია: 741-ე („კვლა პირ-მზე ეტყვის ვაზირსა...“), 742 („ვაზირმან უთხრა სიცილით...“), 743 („თავმან მისმან, მუნვე მომკლავს...“), 764 („ქრთამსა სთხოვს და ამხანავობს...“) და 772-ე („შესთვალა, თუ რაცა გმართებს...“). აქედან გამომდინარე, ავტორი შორს მიმავალ დასკვნებს აკეთებს. „თუ ალ. ჭინჭარაულის მოსაზრებას გავიზიარებთ, — წერს იგი, — მაშინ უნდა გამოვემშვიდობოთ კარის ექვს სტროფს. ეს ექვსი სტროფი ავთანდილის ვეზირთან ვიზიტის საკვანძო საკითხებს ეხება. ამიტომ, თუ ამ ექვს სტროფს შეველევი, მაშინ მთლიანად ამ თავს უნდა შეველიოთ, რადგან

<sup>38</sup> მურმან თავდიშვილი, ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები, თბ., 1991, გვ. 60-73.

იმსხვრევა მისი კომპოზიცია: აუთანდილი იმიტომ იპარება არაბეთიდან, რომ მეფემ არ გაუშვა; რომ არ გაუშვა, ეს აღნიშნულ კარშია ნაჩვენები. ამიტომ, თუ ამ თავს შეველევით, მაშინ აუთანდილი როსტანს არ უნდა გაეპაროს, ხოლო, თუ არ უნდა გაეპაროს, მაშინ ანდერძიც აღარ უნდა დაიწეროს. ხოლო უანდერძო «ვეფხისტყაოსანი» «ვეფხისტყაოსანი» აღარაა!» (გვ. 67).

ეს შეხედულება უთუოდ გადაჭარბებულია. გამოკვლევაში გვიწერია და აქ უნდა გავიმეოროთ: „არ იქნება მართებული ვაპტიცოთ, რომ ის, 771-ე სტროფი, კონტექსტისათვის აუცილებელია... თავისუფლად შეიძლება მოცემული ეპიზოდი 770-ე სტროფით, ვაზირის მასპინძლობით, დასრულებულიყო. რომ არ ვიცნობდეთ 771-772-ე სტროფებს, მათზე მოთხოვნილება, ან რაიმე ნაკლებობის შეგრძნება სრულებითაც არ გვექნებოდა. მაგრამ, ამასთან ერთად, არც ის იქნებოდა სამართლიანი, არ აღინიშნოს, რომ დასასრულებელი სტროფები არამცთუ არ შეესაბამება კონტექსტს ან ზედმეტი ჩანს, არამედ ერთგვარად ავსებს და ამდიდრებს ეპიზოდის შინაარსს“.

სარწმუნოდ არ გვესახება აგრეთვე პოემაში განსხვავებული მეტრის გაჩენის მკვლევრისეული ახსნა: „... რუსთველმა მშვენივრად იცის ადამიანის ფსიქიკის უჩვეულო თვისება. ავტორი გრძნობს, რომ, რაკილა მანამ უამრავჯერ აფრქვია ოქრო-ვერცხლი და თვალ-გოვარი აქეთ-იქით, ამ ხერხით (ესე იგი, რიცხვისა და ციფრის დასახელებით) საოცარი სიუსხვის განცდას მკითხველს ვეღარ აღუძრავდა. ასლა საჭირო გახდა რაღაცა სხვა, უფრო ეფექტური, არაორდინალური, მოულოდნელი ხერხი, რაც წარმოუდგენელი, საამქამოდ საჭირო განსაკუთრებული სიუსხვის განცდას გამოიწვევდა. და ასეთი ხერხი - განსაკუთრებული სიუსხვის შთაბეჭდილების შემქმნელი ხერხი ავტორმა იპოვა არა ჰიპერბოლის, არა მეტაფორის, არა რიცხვის გადიდება-გაზრდის ხელოვნებით, არამედ სტრიქონის საზომის, მეტრის გადიდება-გაფართოების ხარისხით“ (გვ. 69-70. ხაზგასმა ავტორისაა - ბ. დ.).

და ბოლოს: ჩვენს საძიებელ სტროფს საგანგებო ნაშრომი უძღვნა აგრეთვე აკაკი ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე მ<sup>39</sup>. მას თავისი შეხედულება საბოლოოდ ასე აქვს ჩამოყალიბებული: „სადავო სტროფი რუსთველისეულ ტექსტში შაირის სახით უნდა ეოფილიყო, მისი 20-მარცვლიან ფისტიკაურად გადაკეთება ციციშვილთა საკვარეულო სიმღერის ჰანგის მემკობით უნდა მომხდარიყო და ეს გადაკეთებული ტექსტი «ვეფხისტყაოსანში» ნანუჩა ციციშვილს უნდა შეეტანა“ (გვ. 94).

პირდაპირ უნდა ვთქვათ, ეს არის ავტორის ისეთი ვარაუდი, რომლის რაიმე დამადასტურებელი ნიშანი არ არსებობს და ვერც მას მოჰყავს, ისე როგორც ყოვლად თვითნებური და მიუღებელია მისი განცხადება: „თუ მოკლე საზომის გაგრძელება ჩვეულებრივი რამ არის, გრძელის დამოკლება რთულია და, თითქმის, შეუძლებელი“ (გვ. 87). შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენ მიერ მოყვანილ ვარიანტებში თვალნათლივანა ნაჩვენები, თუ სხვადასხვა რედაქციის ნუსხებში ფისტიკაურის 20-მარცვლოვანი სტრიქონები როგორ სხვადასხვაგვარადაა დამოკლებული 17-მარცვლიან სტროფად.

რ. ფირცხალაიშვილის მსგავსად, ბატონი აკაკიც ყოვლად უსაფუძვლოდ, ტექსტოლოგიის ანბანური ჭეშმარიტების უგულებელყოფით იძლევა სადავო სტროფის თავდაპირველ სახეს: პირველ სტრიქონში უპირატესობას აძლევს JT-ს ვარიანტს: „ასი ათასი წითელი პირ-მზემან, ტანად სარომან“, მეორეში – A'-ს: „სამასი სტავრა-ატლასი უხვმან და მიუმცდარომან“, მესამეში – G-ს: „სამოცი ლალ-იაგუნდი ფერად მართ მიუმხდარომან“, მეოთხეში – არც ერთ ნუსხას: „ძღვნად გაუგზავნა ვაზირსა – ესე ყველაი არო მან“. სიტყვები „ძღვნად გაუგზავნა“ პირადად მისი გამოგონილია.

არასწორია ა. ხინთიბიძის ცნობა, თითქოს „ხ ო გ ი ე რ თ ხ ე ლ ნ ა წ ე რ ს ა და გამოცემაში ეს სტროფი საერთოდ ა რ გ ვ ხ ვ დ ე ბ ა“ (გვ. 83). გამოკვლევაში აღნიშნული გვაქვს,

<sup>39</sup> აკაკი ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ვერსიფიკაციული ნარკვევები, თბ., 2000, გვ. 81-94.

„რომ ეს სტროფი ეველა უნაკლო სელნაწერი მი  
მთიჭოვება“ (გვ. 388). „უნაკლო“ მიღებული  
ტერმინოლოგიით ნიშნავს დაუზიანებელს.

ამ ნაშრომში არის სხვა ცალკეული უზუსტობანიც, მაგრამ  
მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მთავარი და მიუღებელი  
უკვე ვაჩვენეთ.

ჩვენი დასკვნებია: 1. სწორი ჩანს მოსაზრება, რომ მესამე  
სტრიქონში დედნისეული წაკითხვა უნდა იყოს: „ფერად არ  
მაჟმან საუაროჟან“.

2. არც აქ მოხმობილი მასალები გვიჩვენებს იმას, რომ ა)  
განხილული სტროფი ჩანართად ვცნოთ და არც იმას ბ) თითქოს  
თავიდან იგი შაირის ფორმით შეიქმნა.

ჯ

—

—

# თანინანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა „ვეფხისტყაოსანში“<sup>1</sup>

თანინანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა ძველი ქართული ენის ერთ-ერთი საინტერესო მოვლენაა. ამ გრამატიკულ ფორმას ადრე გაკვირით შეეხნენ ნიკო მარი<sup>2</sup> და აკაკი შანიძე<sup>3</sup>. საგანგებო ნარკვევი უძღვნა თინათინ შარაძენიძემ<sup>4</sup>; ზოგიერთი ნიშნის მიხედვით განიხილა ივანე იმნაიშივილმა<sup>5</sup>. სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ეხებიან მას სხვებიც. მიუხედავად ამ კვლევა-ძიებისა, აღნიშნული ენობრივი მოვლენა ყოველმხრივ შესწავლილი მაინც ვერ არის. კერძოდ, ბევრ შემთხვევაში დასადგენია, ამა თუ იმ ადრეულ ძეგლში, რომლებიც მხოლოდ გვიანდელი ხელნაწერებითაა შემონახული, ეს ფორმა დედნისეულია თუ შემდგომაა მასში შესული. ამ მხრივ შესასწავლია „ვეფხისტყაოსანიც“.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებსა (და აქედან გამოცემებში) დასახელებული გრამატიკული ფორმა მოიპოვება გამოცვლითი (დაწყებითი) ფუნქციით (მაგ: თვალ-თა-დთ → თვალ-თა-თ = თვალებიდან). თანინანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვის მკვლევარები ამ ფუნქციის განხილვისას მაგალითებს იმოწმებენ „ვეფხისტყაოსნიდან“ (ნ. მარი, ა. შანიძე, თ. შარაძენიძე).

<sup>1</sup> გამოქვეყნებული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეში“ (1970, № 6, გვ. 185–210).

<sup>2</sup> Н. М а р и, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, ст. 38 – 39.

<sup>3</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა (წიგნში: ა. შ ა ნ ი ძ ე, აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 1939, გვ. 286; ბოლო, მე-14 გამოცემა, თბ., 1955, გვ. 286).

<sup>4</sup> თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, -თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითა და ვითარებითს ბრუნვებში, თსუ შრომები, 1942, ტ. XXIV, გვ. 129–144. გადაბეჭდილია კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956, გვ. 271–285; მ ი ს ი ვ ე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, იგივე კრებული, გვ. 410–433.

<sup>5</sup> ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 207–219, 275–276.



„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და გამოცემები კი აღნიშნული ფორმის შესახებ ერთნაირ სურათს არ იძლევა. მართალია, ძველ ხელნაწერთა დიდზე დიდ უმრავლესობაში იგი დასტურდება (თითო-ოროლა სტროფში მაინც), მაგრამ არის ერთი თუ ორი ხელნაწერიც (მაგალითად, F), რომელიც საძიებელ ფორმას საერთოდ არ იცნობს. ამგვარივე ვითარებაა გამოცემებში: იგი ყველა გამოცემაში მოიპოვება, მათ შორის 1951 და 1957 წლებისაშიც (რედ.: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე). არ არის მხოლოდ 1966 წლის ვარიანტებიან გამოცემაში (რედ.: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე). ამ წიგნში -თათ ფორმა ძირითადი ტექსტიდან ყველგან ამოღებულია და ვარიანტების განყოფილებაშია ჩატანილი. ჩვენ პატივი გვკონდა, ამ გამოცემის ტექსტის დადგენას დავსწრებოდით. მაშინ -თათ ფორმის შესახებ აღინიშნა, ის საგანგებო შესწავლას მოითხოვსო.

დასმული საკითხის თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და გამოცემები კიდევ უფრო განსხვავდება ერთმანეთისაგან სტროფთა მიხედვით.

დასახელებულ გრამატიკულ ფორმას „ვეფხისტყაოსანში“ საგანგებოდ არვინ შეხებიდა. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში მასზე მხოლოდ აქა-იქ, ზოგიერთი სტროფის მიხედვით არის მსჯელობა და ისიც გაკვრით. ნათქვამიდან კი ჩანს, რომ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს და გამოსარკვევია საკითხი: რუსთველი იყენებდა თუ არა, საზოგადოდ, ონიანი მრავლობის მოქმედებით ბრუნვას, და, თუ იყენებდა, პოემაში რომელ ადგილას არის ის ავტორისეული.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა და გამოცემათა მონაცემები ასეთია<sup>6</sup>:

---

<sup>6</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს და მათ ლიტერებს, რომლებიც გამოყენებულია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების ოთხ ნაწევრად განხორციელებულ გამოცემასა (1960-1963 წწ.) და ძირითად გამოცემათა ვარიანტების წიგნში (1964 წ.), აქ ემატება: ხელნაწერები: W'-Q 1335 და Z'-Q 1075.

— გამოცემები: 37 — „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო გამოცემა.

77 ბ. ღახოცეს და ამოწყვილეს, ც ა თ ა / თ ღმერთი  
შეარისხეს.

ცათათ მხ. JR'.

84 დ. ც რ ე მ ლ / ს ა / თ ა / თ ვარდი დაეთრთვილა,  
გულსა მღულრად ანატირისა.

ცრემლთათ ABCDD'W', ცრემლთა XE'კაკ', ცრემლსა  
EFGHIJKO(აღღ)RT(აღღ)UVW F'G'L' O'R'T'Z' ბ ჩ ქ კარ კაკ აბ ჭ  
37 51 ინ 57 66'-3.

აკლ LMNPQSYZA'C'I'.

89 დ. არცა გახლიჩა ბ ა გ ე / ნ ი / თ ა / თ თავი ვარდისა  
კონამან.

ბაგეთათ (-ად Z') ABCDVD' E' W'Z', ბ ჩ ქ კარ' კაკ აბ ჭ 37  
51 ინ 57 66'-3, ბაგეთა (კონიქტ) კარ<sup>2</sup> წ 66', ბაგენი EFGHIJ-

---

51- „ვეფხისტყაოსნის“ 1951 წლის გამოცემა (რედ.: ალ. ბარამიძე, კ.  
კეკელიძე, აკ. შანიძე).

66' - „ვეფხისტყაოსნის“ ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით  
1966 წელს გამოსული ვარიანტებიანი გამოცემა.

66<sup>2</sup> - „ვეფხისტყაოსნის“ გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის  
რედაქციით გამოსული 1966 წლის გამოცემა (ტექსტი მოამზადეს გ. წერ-  
ეთელიძე, ს. ცაიშვილი და გ. კარტოზიაშვილი).

66<sup>3</sup> - „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემა (სარედაქციო  
კოლეგია: ი. აბაშიძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ.  
წერეთელი).

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტექსტისა და „ხატაელთა ამბის“  
სტროფთა ნუმერაცია მითითებულია პოემის პირველი საიუბილეო (1937 წ.)  
და მისგან მომდინარე გამოცემების (1951, 1953, 1957 წწ.) მიხედვით.  
ჩანართი და „ხვარაზმელთა ამბის“ სტროფები კი - „ვეფხისტყაოსნის“ ს. ყ  
უბანიძის ცაიშვილის ე 1956 წლის ვრცელი გამოცემის სათვალავის  
მიხედვით, რომელიც გამოორებულია „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა  
ვარიანტების“ წიგნში.

სტრიქონთა სხვა ვარიანტების შესახებ იხ. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნა-  
წერთა და ძირითად გამოცემათა ვარიანტების წიგნები და პოემის 1966  
წლის ვარიანტებიანი გამოცემა.

KOTUXD'F'G'L'O'R'T (D'-ში თავიდან ყოფილა „ბაგეთათ“, რომელიც შეუცვლიათ ფორმით „ბაგენი“).

აკლ LMNPQSYZA'C'I'.

129 გ. ვიცი, რომე გაუწყვეტლად თ ვ ა ლ თ ა / თ ღისეტყვია  
ლაწვი

თვლათ (-ად B) ABCEJE' W', კარ<sup>2</sup> კაკ<sup>2</sup> აბ ჭ 37 51 ინ 57 66<sup>2-3</sup>, თვალთა FGHIKO(აღლ)RUVWXD'F'G'I'L'O'Q'Z' ბ ჩ ქ კარ' 66', ცრემლთა T(აღლ); თვალთათ ღაწვი] ღაწვი ცრემლით R', ღაწვთა ვარღი T'.

აკლ DLMNPQSYZA'C'I'.

136 დ. თეთრთა კ ბ ი ლ თ ა / თ გამოჰკრთების თეთრი ელვა  
ვითა ჭვირი.

კბილთათ ABW', კარ<sup>2</sup> აბ ჭ 37 51 ინ 57 წ 66<sup>2-3</sup>, კბილთა CEFHGHIJKO(აღლ)T(აღლ)UVWX B'D'E'F'G'I'L'O'Q'R'T'Z' ბ ჩ ქ კაკ 66', ღაზ R; აკლ DLNPQSA'C'I'.

160 ბ. თ ვ ა ლ თ ა / თ ვითა მარგალიტი, ცრემლი ცხელი  
გარდმოღვარა.

თვალთათ ABMTW', ქ კარ აბ ჭ 37 51 ინ 57 წ 66<sup>2-3</sup>, თვალთა C(აღლ)EFGHIJKOUVWX B'D'E'F'G'I'L'O'Q'R'T'Z' ბ ჩ კაკ 66', ღაზ R; აკლ DLNPQSA'C'I'.

376 ბ. მოეწერა მზისა შ უ ქ თ ა / თ : „ნუ დაიწენ, ლომო,  
წყლულსა...“

შუქთათ მზ A'.

ბ. თ ვ ა ლ თ ა / თ, ვითა საგუბარი, ცრემლი ცხელი  
გარდმოძჩქეფდა.

თვალთათ ABMYA' D' W' აბ ჭ 37 51 ინ 57 წ 66<sup>2-3</sup>, თვალთა CDE(აღლ)FGHIJKLNOTUVWXZE' F'G'O'Q'R'T'Z' ბ ჩ კაკ კაკ 66'.

დაზ R; აკლ PQSC'U'.

411 გ. გაგსჯილა ღენა ცრემლისა, ნ ა რ გ ი ს თ ა /თ  
ნაგუბარისა.

ნარგისთათ (-თად GUVFL'Q', -ზთ X) ABDE (აღლ) GJMTU-  
VWXYA' D'E'F'L'O'Q'R' W' ბ ჩ ქ კარ' კაკ აბ ჭ 37 51 ინ 57 66  
2-3, ნარგისთათა T', ნარგისთათა C(აღლ)FIKOG' კარ2 წ 66', ნარგიშ-  
თათა HZZ'.

არ იცნ R; აკლ LNPQSC'U'.

გ. შენ სინათლედ თ ვ ა ლ თ ა დ /თ ჩ ე მ თ ა დ /თ  
მიჩნდე მზეებრ სანახველად.

თვალთად B 66', თვალთათ AIMXYD'W', თვალთათ C (აღლ)  
DFGHJKLOTUVZA'E'F'G'L'Q'Z' ყვ. დანარჩ. გამოცემა,  
თვალად R'; ჩემთად BR' 66', ჩემად DKOVG'Z', ჩემთათ  
AMXA'D'W', ჩემთათ C(აღლ)FGHIJLTUYZE'F'Q' ბ კაკ ჭ 37 51  
662-3.

დაზ R; არ იცნ E(აღლ)WT' ჩ ქ კარ აბ წ; აკლ NPQSC'U'.

გ. ყოლა სიტყვა არ მომიგო, ო დ ე ნ ცრემლთა  
გარდმოსწვიმდა.

ოღენ] თვალთათ T', თვალთათ GJF'L'Q'.

630 დ. თ ვ ა ლ თ ა /თ, ვითა მარგალიტი, ცრემლი ცხელი  
გარდმოთოვა.

თვალთათ ABCMXYA'E'W' კარ2 აბ ჭ 51 ინ 57 წ 66 2-3,  
თვალთათ (ვალთათ G) DEFGHIJKLORTUVWZD'F'G'U'L'O'Q'R' ბ  
ჩ ქ კარ' კაკ 37 66'.

აკლ NPQSC'Z'.

ბ. ნუღარ უჭვრეტთ ცრემლთათ ცხელთათ, თვალთათ ჩ ე მ თ ა /თ  
მონადენთათ.

ჩემთათ ABMXW' 37 51 ინ 57 66 <sup>2-3</sup>, ლაწეთა L, ჩემთა ყვ. დანარჩ. ხელნაწერი და გამოცემა; ცრემლთა ცხელთა თვალთა ჩემთა] თვალთა ჩემთა ცხელთა ცრემლთა R', ესოდენტა ცრემლთა ჩემთა (ჩემგან T) JT.

დაზ R; აკლ NPQSC'Z'.

723 ბ. ბ ა გ ე თ ა /თ გასჭვირს ბროლ-ლალი და კ ბ ი ლ თ ა/თ  
გელვა ჰკრთებოდა.

ბაგეთათ (-თად UV R') ABCDEGKMOUVXYA'D'E'I'Q'R'W' აბ ჭ, ბაგეთა FHILWZF'G'L'O' ბ ჩ ქ კარ კაკ 37 51 ინ 57 66<sup>1-3</sup>; კბილთათ (-თათა B) ABMXE'W' 66 <sup>2-3</sup>, კბილთაგან CGLRF'L'Q', კბილთა DEFHIKOUVYWZA'D'G'I'O'R' ბ ჩ ქ კარ კაკ აბ ჭ 37 51 ინ 57 66<sup>1</sup>.

დაზ R; არ მცნ JT; აკლ NPQSC'Z'.

949 გ. თ ვ ა ლ თ ა /თ, ვითა წყაროს თვალნი, ცრემლნი ველთა  
მოადინნეს.

თვალთათ ABCDMXD'W' აბ 57 წ 66 <sup>2-3</sup>, თვალთა (თვალთ I) EFGHIJKLORTUVWYZ A'E'F'G'I'L'Q'R'Z' ბ ჩ ქ კარ კაკ ჭ 37 51 ინ 66<sup>1</sup>; თვალნი] თვალთათ წ, თვალით 57.

აკლ NPQSC'.

დ. ბ ა გ ე თ ა /თ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა.

ბაგეთათ ABCDHIJMWXD'W' ბ ჩ ქ კარ აბ 37 51 ინ 57 66 <sup>2-3</sup>, ბაგესა Z, ბაგეთა EFIKOUVYA'E' F'G'I'L'O'Q'R'Z' კაკ ჭ 66<sup>1</sup>.

დაზ RT; არ იცნ Gწ; აკლ LNPQSC'.

967 ბ. მისვე ხმისა სიტკბოსაგან წ ყ ლ ი თ ქვანიცა  
გამოსხდიან.

წყლით] წყალთათ YZ, წყალთა N, წყლითა F, წლით D', ზღვით E; ქვანიცა] ქვანიც Y..., თევზნი Z...

986 ბ. თ ვ ა ლ თ ა /თ ცრემლნი გარდმოსცვივდეს, გული  
უფრო აუჩუქდა.

თვალთათ JT 57, თვალთა ყვ. დანარჩ. ხელნაწერი და  
გამოცემა.

გ. რა ტარიელ მეფე იცნა, მუნდა დაჰკრთა მ ა თ თ ა  
ზრმალთა.

მათათ მხ X.

1016 ა. მართალ-ა, შენი გამყრელი თ ვ ა ლ ი თუ ცრემლსა  
ღვრიდესა.

თვალთათ (-ად R') VR' კარ<sup>2</sup> აბ ჭ 51 ინ 57 წ , თვალთა ქ კარ<sup>2</sup>,  
თუცა H, თვალთა ყვ. დანარჩ. ხელნაწერი და გამოცემა.

1102 გ. ცრემლთა მ ი ს თ ა /თ შეეყარნეს, წყაროსაებრ  
ისმნეს წკარნი.

მისთათ ABXY.

ა. მე ს ა რ კ მ ე ლ თ ა /თ გარდავაღეგ. რა შევიგენ, არ  
მიჰყიდეს...

სარკმელთათ EGTZ', სარკმლითა JKLO კარ<sup>2</sup>, სარკმელით  
HR', სარკმელთა ყვ. დანარჩ. ხელნაწერი და გამოცემა.

1146 გ. მელნისა ტ ბ ა თ ა /თ იღვრების სავსე სათისა  
რუბები.

ტბათათ (-ად R') ABCDEMTUVWXYA'E'R'W' ყვ. გამოცე-  
მა, გარდა 66'-ისა, ტბათა IKLOZG'I'O' 66', ტბითა FGHRF'L'Q';  
მელნისა ტბათა] მუნ ვარდის წყლითა Z'.

აკლ JNPQSC'.

1176 ა. თ ვ ა ლ თ ა /თ, ვითა მარგალიტი, გარდმოყარა  
ცრემლი ხშირი.

თვალთათ ABCDJMTXYA'W' კარ<sup>2</sup> აბ ჭ 37 51 ინ 57 წ 66 2-<sup>3</sup>,  
თვალთა EFGHIKLNOPUVWZE'F'G'I'L'O'Q'R' Z'. ბ ჩ ქ კარ'  
კაკ 37 66'.

დაზ R;აკლ QSC'.

1212 გ. კვლა იტყვის ფატმან ტირილით, კვლა თ ვ ა ლ თ ა /თ  
ცრემლი სდენოდეს.

თვალთათ ABCMXYA'D'W', თვალთა DEFGHLUVWE'F'-  
O'L'Q'Z' ყვ. გამოცემა; კვლა თვალთა] თვალთაგან KOZI',  
თვალთაცა R', და კვლავე JT; თვალთა ცრემლი] ცრემლი თვალთა I.  
დაზ R;აკლ NPQSC'.

1214 დ. ვერ გავახში წყარო ცრემლთა, თ ვ ა ლ თ ა /თ ჩემთა  
გარდამღვრელთა.

თვალთათ ABCMXD'W' კარ<sup>2</sup>, თვალთა DEFGHJKLOTU-  
VWE'F'G'I'L'Q'R'Z' ბ ჩ ქ კარ' კაკ ჭ 37 51 ინ 57 66'-<sup>3</sup>; თვალთა  
ჩემთა ცრემლთა წ; გავახში...გარდამღვრელთა] ვახმარე (გავახმე  
I) თვალთა ჩემთა მონადენთა წყარო ველთა IYA'.

დაზ R;აკლ NPQSC'.

1310 დ. ალვისაგან სული მოქრის, ყორნის ფ რ თ ა თ ა /თ  
მონადენი.

ფრთათათ ABCMUWYA'W' ყვ. გამოცემა, ფრთეთა E,  
ფრთათა ID'E'I'O'R' 66', ფრთითა DEFGHJKLOTVXZF'G'L'Q'.

დაზ R;აკლ NPQSC'Z'.

1320 გ. ნ ა რ გ ი ს თ ა /თ წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი  
ნაწვიმარია.

ნარგისთათ (-ად JKLOVG', -ზთ- LQ') ABCDGIJKL-  
MOTUVXYA'E'G'Q'W' კარ<sup>2</sup> ჭ 37 51 ინ 57 წ 66 2-<sup>3</sup>, ნარგისთა (-  
ზთ- HNF'L', -შთა R) EFHNRWZ (აღდ) F'L'I'O'R' ბ ჩ ქ კარ'  
კაკ აბ 66'.

აკლ PQSC'Z'.

1339 გ.გამოიღო რიდე, მისცა, ვინ ბ ა გ ე თ ა / თ ვარდი  
ვარდა.

ბაგეთათ (-ად JRV) ABCDGMTRVXYD'E'Q'W' 66 2-3,  
ბაგეთა EFHIKLO (აღლ)UWF'G'I'Q'R'Z' ბ ჩ ქ კარ კაკ აბ ჭ 37  
51 ინ 57 66'.

აკლ NPQSA'C'.

დ. დამწყვიტე დენა ცრემლისა, ნ ა რ გ ი თ ა / თ ნაგუბარისა.

ნარგისთათ (-ად V, -ზთ- IMX) ABCDIMTVXYA'W' 66 2-3,  
ნარგისთა (-შთა R, -ზთა KD'E'F'Q'R') EFGHIJKLO  
(აღლ)UWZD'E'F'G'I' L'O'Q'R' ბ ჩ ქ კარ კაკ აბ ჭ 37 51 ინ 57 წ  
66'.

დაზ R; აკლ NPQSC'Z'.

1422 ბ. კვლა შეეწებნეს ხშირ-ხშირად ვარდნი ბ ა გ ე თ ა / თ  
პობილნი.

ბაგეთათ (-ად TVA'R') ABCDE (აღლ) MQTUVWXA'D'R'-  
W'Z' ბ ჩ ქ კარ<sup>1</sup> კაკ აბ ჭ 37 51 ინ 57 წ 66 2-3, ბაგეთა  
FGHIJKLNOZE'F'G'L'O'Q' კარ<sup>2</sup> 66'; ხშირ-ხშირად ვარდნი  
ბაგეთა] ბაგეთად (-თა J) ვარდნი (ვარდი J) ხშირ-ხშირად JT.

აკლ PRSYC'I'.

1448 დ. ბ ა გ ე თ ა / თ შუქი შეადგის ზელა ბროლისა  
ფიცართა.

ბაგეთათ (-ად JRR') ABCDGMQRTUWXZD'F'Q'R'W'  
ბ ჩ ქ კარ კაკ აბ ჭ 37 51 ინ 57 წ 66 2-3, ბაგეთა EFHIKO-  
VE'G'O'Z' კაკ<sup>2</sup> 66'.

აკლ LNPSYA'C'I'.

დ. ნ ა რ გ ი ს თ ა / თ იძრვის ბორიო, ვარდსა ძრავს იანვარია.



ნარგისათ (-ზღათ V,-ად ILT, -ზთ- XQ'Z') ABCDEGIL-  
MQUVWXZD'F'Q'R'W'Z' ბ ჩ ქ კ არ ა ბ ჳ 37 51 ი ნ 57 წ 66 <sup>2,3</sup>,  
ნარგისად J, ნარგისთა (-ზთა KNOG') FHKNOE'G'L'O' კ ა კ 66'.  
ღ ა ზ R, ა კ ლ PSYA'C'I'.

1461 ა. შ უ კ ა თ ა /თ მოღგეს ვაჭარნი, ყოვლგნით  
მჭვრეტელთა ჯარია.

შუკათათ ABCELMXYZD'E'W', შუკათა (შუათა J, მუშაკათა  
N, შეკათა R, შუკათა Q') DFGHIJKONQRTUVWG'O'R'Q'Z' კ ა კ  
66' ყვ. გამოცემა, მოვიღნენ F'L'.

აკლ PSA'C'I'.

როგორც ვხედავთ, -თათ ფორმას განსაკუთრებით იცავს  
ABC და მის მიმყოფ ხელნაწერებში დაცული რედაქცია. შემდეგ  
მოდის რედაქციულად ამ ჯგუფთან ახლო მდგომი D და მისი  
მიმდევარი ნუსხები. EFIRZ რედაქციული ჯგუფიდან საძიებელ  
ფორმას უფრო ხშირად წარმოგვიდგენს ამ ჯგუფის ყველაზე  
ძველი E ხელნაწერი. საზოგადოდ, არ არის „ვეფხისტყაოსნის“  
ხელნაწერთა რომელიმე რ ე დ ა ქ ც ი ა, განსახილველ ფორმას  
არ იცნობდეს. უნდა აღინიშნოს, რომ ის უფრო დაცულია პოემის  
ძველ, XVII საუკუნის ნუსხებში. შედარებით ნაკლებია მომდევნო  
საუკუნეებისაში. ქვემოთ საგანგებოდ იქნება მითითებული,  
მაგრამ აქვე წინასწარ გვინდა შევნიშნოთ, რომ საკმაოდ ბევრ  
შემთხვევაში -თათ ფორმა ხელნაწერებში არასწორადაა  
გამოყენებული. რაც უფრო გვიანდელია ნუსხა, აღრევა მით უფრო  
ღიღია.

ყოველივე ეს თავისთავად საინტერესო და სათანადოდაც  
გამოსაყენებელი ფაქტებია, მაგრამ დასმული საკითხისათვის  
გადამწყვეტი ვერ იქნება. ვერ იქნება იმიტომ, რომ  
„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები ძალიან გვიანდელია. თუ არ  
მივიღებთ მხედველობაში ორიოდე უმნიშვნელო ფრაგმენტს, მათ  
შორის XVII საუკუნეზე აღრინდელი არც ერთი არაა.

ჯერჯერობით საბოლოოდ დადგენილი არ არის, ჩვენს  
თემასთან კი პირდაპირი კავშირი აქვს საკითხს, - თანინანი  
მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა რომელ საუკუნეებშია

ცოცხალი. ზოგადად ცნობილია, რომ გავრცელებული იყო ე. წ. საშუალ ქართულში. საჭიროა კი ვიცოდეთ, იგი პირველად როდის ჩნდება და რა ფორმით, და რომელი საუკუნიდან გადავარდა.

რუსთველის შემდეგროინდელი ლიტერატურის გაცნობიდან ირკვევა, რომ -თათ ფორმა დასტურდება როგორც XIV-XVI, ისე XVII-XVIII საუკუნეთა ძეგლებშიც. მაგალითები:

ჟამთააღმწერელი<sup>7</sup>:

„ხოლო აღიუარა სარგის კ ე ვ თ ა თ და წარავლინა წინამბრძოლნი, კაცი რჩეული და გამოცდილი წყობათა შინა ათას ხუთასი მკედარნი“ (გვ. 240, 18).

„ლუკა იერუსალიმელის წამება“<sup>8</sup>:

„ესე ნეტარი ლუკა იყო ნათესავით ქართველი, ნ ა თ ე ს ა ვ თ ა დ თ და მ შ ო ბ ე ლ თ ა დ თ ჰატიოსანი და წარჩინებული მუხაისძე“ (გვ. 346).

სერაპიონ საბაშვილის „როსტომიანი“<sup>9</sup>:

„მის წ ე ლ თ ა თ გამოსრული ვარ, რა მძეს ჰატივი შობისა“ (1375. 2).

„ჰა ე რ თ ა თ მოვლენ ფრენითა, ვით ნაბერწყალნი კომლთანი“ (1496. 4).

„შუუძახე, თავსა დავჰკარ, ტვინი ც ხ ვ ი რ თ ა თ წამოსდიან“ (1614. 2).

„ლულად რაშით არ გავლახო, - ძ ვ ა ლ თ ა თ ტვინი გამოვხადო“ (2208. 4).

„იოსებ ზილიხანიანი“, ანონიმური ვერსია<sup>10</sup>:

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1959.

<sup>8</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1968.

<sup>9</sup> შაკ-ნამეს, ანუ მეფეთა წიგნის, ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1916.

<sup>10</sup> გ. ჯ ა კ ო ბ ი ა, იოსებ-ზილიხანიანი, ქართული ვერსიები, I, ტექსტები, თბ., 1927.

„კვლავ საბრალოდ აუტირდა, თ ვ ა ლ თ ა თ ცრემლი ვარდზე  
ყარა“ (472. 1).

„ხილი ხ ე ლ თ ა თ დასცვიოდათ, ზოგთა თითი ძირად იჭრეს“ (482. 2).

„მას ქალსა თ ვ ა ლ თ ა თ ცრემლი სდის, სისხლითა ზღვასა  
ერევის“ (539. 1).

„წამართვეს ხ ე ლ თ ა თ შარბათი, მომცეს სხნაკეთა თასები“  
(541. 3).

„ბარამგურიანი“<sup>11</sup>:

„ატირდა და თავსა იცა, თ ვ ა ლ თ ა თ ცრემლი გარდმოჰქუხდა“  
(26. 2).

„კვლა ცრემლთა ნაცვლად ნ ა რ გ ი ს თ ა თ სისხლი მდის ლაწითა  
ალებად“ (648. 3).

„ოდეს გახდა უიმედოდ, ღ ა წ ვ თ ა თ ცრემლებს სისხლი მიღდა“  
(1195. 3).

აღნიშნული სიტყვები -თათ დაბოლოებით გამეორებულია  
შემდეგ სტროფებში: 46. 3; 97. 1; 168. 4; 185. 2; 229. 3; 280. 4;  
300. 2; 323. 3; 332. 4; 335. 3; 349. 1; 358. 2; 377. 2; 390. 4; 408. 1;  
416. 2; 456. 1; 475. 2; 489. 2; 501. 4; 507. 2; 643. 3; 659. 3; 667. 3;  
704. 2; 705. 1; 736. 3; 741. 3; 780. 3; 815. 4; 838. 3; 962. 2; 1070. 3;  
1256. 2; 1298. 2; 1478. 2; 1479. 2; 1487. 1; 1493. 4; 1533. 3; 1554. 3;  
1576. 2; 1605. 2; 1621. 3; 1642. 2; 1646. 2; 1656. 4; 1658. 1; 1788.  
4; 1815. 1; 1838. 3.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტი<sup>12</sup>:

„ბრძანა ღმერთმან და წარმოავლინა დიდითა ჰატივითა სულ-  
ტანმან კოსტანტინე და წარმოატანა თანა მსეჭაბუკცა; და მოვიდა  
კოსტანტინე თ ა თ ა რ თ ა თ, ეუენისავან შეწეალებული“ (გვ.  
479, 33).

წინ კი ნათქვამი იყო:

„გარდახდეს მცირე რამე ხანი და წარვიდა კოსტანტინე  
თ ა თ ა რ შ ი გ ა ნ“ (გვ. 479, 6).

<sup>11</sup> ნოდარ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, შვიდი მთიები, ბარამ-გური, კ. კეკელიძის  
რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონითურთ, თბ., 1930.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, II, დასახელებული გამოცემა.

-თათ ფორმა დასტურდება თვით „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართსა და დანართებში.

## I. ჩანართები:

43 გ. მას ესეა ქალი მნათობი თ ვ ა ლ თ ა /თ თუთია დენისა. თვალთათ (თვალთათა X) ABCXE'R'W', თვალთა DGRD'F-'L'Q'.

არის ABCDGRXD'E'F'L'Q'R'W', არ იცნ EFIJOTUVW-G'H'J'S'T'U'V'.

247 ა. შერმადინ უთხრა: „მართალ ხარ, თუ ცრემლი

თ ვ ა ლ თ ა/თ დაჰმიღდეთ...“.

თვალთათ (-ად Y) ABCMYD'W', თვალთა DGHJKTUV E'F'I'O'R'Q', - FZ.

არის ABCDEFGHJKMTUYZD'E'F'IL'O'Q'R'W', არ იცნ IO (აღლ) RXWA' (აღლ)G'H'J'K'M'N'S' T'U'V'Z'.

## II. დანართები:

### 1. ხ ა ტ ა ე ლ თ ა ა მ ბ ა ვ ი:

1629 ბ. ვარდსა დაუტყლეს ბ ა გ ე თ ა /თ, გახდა ალვისა

მთხელეები.

ბაგეთათ (-ად TVF'J'L'R'SV'X') ABCDEKOTQUVXA'F'G'-J'L'R'S'X'W', ბაგეთა JLRD'E'M'U'V', ბაგითა FGHIH'K'N'Q'P' ჭ 37 51 ინ 57, კოცებით S (თავიდან იყო „ბაგეთად“).

1663 გ. ბრძანებისა შემცილენი მათთა ხ რ მ ა ლ თ ა /თ

და-ვე-წყლულდეს.

ხრმალთათ (-თად კარ' აბ ჭ) ABCUXD'W' კარ აბ ჭ, ხრმალთა/ხმალთა DHJKNOTVWE'F'G'J'L'P'R'U'S'X' ბ ჩ ქ კაკ 37 51 ინ 57 66<sup>1-3</sup>, ხრმლითა/ხლმითა FGILZQ'Z'; მათთა ხრმალ-თა] მათით ხელით E, მათითავე R.

2. ხ ვ არ ა ზ მ ე ლ თ ა ა მ ბ ა ვ ი:

1908 ა. ნესტ-დარეჯანის წ ა მ წ ა მ თ ა/თ ბუქისა ფიფქმან  
დამზრომან.

წამწამთათ (წამთათ XD'E'X'W') ABCUXA'D'E'X'W',  
წამწამთ FL, წამწამთა ყვ. დანარჩ. ხელნაწერი.

1909 გ. ვიხმნეთ ძმათ-ფიცნი ა რ ა ბ თ ა/თ, მათი აბჯარი  
შუბია.

არაბთათ ABCDQUXD'W', არაბთა GVE'K'Q'X', არაბნი  
F'J'L', უმრავნი M', ორნივე HJKOTG'P', სპა მრავლნი (მრავნი  
A'V', მრავლად U') NA'U'V'.

დ. ავთანდილს, ფრიდონს სურვილი ჰკლავს, ჩვენთვის  
თ ვ ა ლ თ ა/თ გუბია.

თვალთათ ABCDQUVXA'D'F'L'W', თვალთა ყვ. დანარჩ.  
ხელნაწერი.

1916 დ. ერთად სხდიან ტახტსა ზედან, მათ ბ ა გ ე თ ა/თ  
ვარდი ვარდის.

ბაგეთათ ARCDQUXD'E'W', ბაგეთად IRVF'L', ბაგეთა ყვ.  
დანარჩ. ხელნაწერი; მათ ბაგეთად] ბაგეთაგან მათთა X'.

1943 ბ. ღმერთსა მადლი აქვს, არ ვნახეთ ტარიელ თ ვ ა ლ თ  
ა/თ ლებული.

თვალთათ ლებული ABCUXD'E'X'W', თვალდაფახული  
(-ლნი F') DGKLOVF'G'J'K'L'M'Q'S'U', თვალფახებული T,  
თვალთაფახული HJ, ვაგლახებული NV'.

1977 ბ. ზ ლ უ დ ე თ ა/თ კარგი მესროლი, ჩაბალახ-  
ჩამოხურვილი.

ზღუდეთათ BCDKOTXA'D'E'W', ზღუდეთად ARVF'L',  
ზღუდეთა ყვ. დანარჩ. ხელნაწერი.

3. ტ ა რ ი ე ლ ი ს ა ნ დ ე რ ძ ი:

2028 ბ. ზოგთა მზირ მიყავთ ე რ დ ო თ ა/თ, სარკმლით და  
მომე კარენით.

ერდოთათ BC.

III. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა გაგრძელება —  
„ომიინიანი“:

„არ გიზსთათ წვიმა ბროლისა სდის, თოვლი  
გაუთხრელია“.

(ქ ა ი ხ ო ს რ ო, ომანიანი..., გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რედაქციით,  
ტფ., 1937, სტრ. 369. 3).

გამორიცხული არაა, რომ იმხანად, როდესაც ეს ტექსტები იქმნებოდა, აღნიშნული ფორმები საკუთრივ „ვეფხისტყაოსანშიც“ შეეტანათ. ამგვარად ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, აღნიშნულ თხზულებებში – თათ ფორმის არსებობა ცოცხალი, მოქმედი ენობრივი ნორმის გამოხატულებაა თუ ხელოვნური, არქაული ფორმა, მიღებული წინარე საუკუნეების თხზულებათა ნაკითხობის შედეგად, ან კიდევ – მომდინარე უშუალოდ რომელიმე ძველი ძეგლიდან. ტექსტის არქაიზაციის მიზნით ან თვით „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ სტრიქონის გავლენით – თათ დაბლოება პოემის ხელნაწერებში XVIII– XIX საუკუნეებშიც შეიძლებოდა გაჩენილიყო ისეთ ადგილას, სადაც თავიდან ის არ იყო.

დასმული საკითხის გარკვევისათვის განსაკუთრებულ სირთულეს ის ქმნის, რომ ომანიანი მრავლობითის მოქმედებით ბრუნვას ზოგჯერ ისე ენაცვლება ამავე მრავლობითის მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვები (იშვიათად – ვითარებითი და მოთხრობითიც), რომ კონტექსტის მიხედვით მათი გარჩევა შეუძლებელია. ასეთ კონტექსტებში ომანიანი მრავლობითის ნათესაობითს ან მიცემითში დასმულ სიტყვას ნებისთ ან უნებლიეთ თუ დაემატა ო, ან კიდევ ვითარებითის ღ გადაკეთდა ო-დ, ის უკვე აღიქმება მოქმედებით ბრუნვად და მასში პირველადი ბრუნვის დანახვა და შესაბამისი შინაარსის ამოკითხვა შეუძლებელი ხდება. საპირისპირო შედეგი გვექნება, თუ აღნიშნული მრავლობითის მოქმედებითს დააკლდება ბოლო ო, ან იგი გადაკეთდება ღ ასოდ. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კონტექსტი იმდენად ზუსტი და ნათელია, რომ, სათანადოდაც რომ არ იყოს გაფორმებული, აღნიშნული მოქმედებითი ბრუნვის გამორჩევა სხვა ბრუნვათაგან არ ჭირს. ამგვარი მაგალითები არის „ვეფხისტყაოსანშიც“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ საკითხის გადასაწყვეტად, იყენებდა თუ არა

თათ-იანი ბრუნვის ფორმას, სხვა საბუთებთან ერთად უპირველესად ამგვარ შემთხვევებს უნდა დავეყრდნოთ. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანში“ აღსანიშნავია შემდეგი სტროფები<sup>13</sup>:

„აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია,  
მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია,  
ვიცი, რომე გაუწყვეტლად თ ვ ა ლ თ ა თ ლაწვი გისეტყვია,  
შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია“ (129).

„ველს მაშინ მხეცნი ძღებოდეს სისხლითა მუნ ნატირითა:  
ვერ დაივსებდა სახმილსა, იწვის ცეცხლითა ხშირითა;  
კვლა თინათინის გონება ავსებს უფრო-რე ჭირითა;  
ბ ა გ ე თ ა თ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა“ (953).

„შინა შევედი, მის შინა ედგის ცრემლისა გუბები,  
შიგან სისხლისა მორევსა ეყრდნის გიშრისა შუბები,  
მელნისა ტ ბ ა თ ა თ იღვრების საესე სათისა რუბები,  
შუა ძოწსა და აკიკსა ჭვირს მარგალიტი ტყუპები“ (1146).

ამგვარაა, ამ სტროფებში აღნიშნული სიტყვები გაგებული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ თანინანი მრავლობითის მოქმედებით ბრუნვად გამოსვლითის ფუნქციით. სხვაგვარად მათი გაგება გამორიცხულია<sup>14</sup>.

---

<sup>13</sup> რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო სიტყვები ძირითადად ამ შინაარსით არის გაგებული. 129-ე სტროფის შესახებ იხ.: ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, შოთა რუსთველი, ქუთაისი, 1921, გვ. 122. 953-ე სტროფის შესახებ – ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, იგივე წიგნი, გვ. 128; ვ. ნ ო ზ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება, ბუენოს-აირეს, 1953, გვ. 109. 1146-ე სტროფის შესახებ – ალ. ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსანის ყალბი ადგილები, „მოამბე“, 1899, № 1, გვ. 15; H. M a p p, TP, II, 1910, გვ. 25; ალ. ბ ა რ ა შ ი ძ ე, ნარკვევები, III, 1952, გვ. 189; მ ი ს ი ვ ე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 246; ვ. ნ ო ზ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანის საზოგადოებამეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1958, გვ. 113.

<sup>14</sup> ანგარიშგასაწევი არ არის პირველ სტროფში გვიანდელი ხელნაწერების R' და T'-ის წაკითხვები – „თვალთათ ლაწვი“-ს ნაცვლად „ლაწვი ცრემლით“ (R'), „ლაწვთა ვარდი“ (T'). ეტყობა, ამ ნუსხების გადაძწერ-რედაქტორთათვის გაუგებარი თუ საჩოთიროა ფრაზა „თვალთათ ლაწვი გისეტყვია“, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ნახსენები არ

## იგივე ვითარება გვაქვს შემდეგ სტროფებშიაც:

„რა შერმაღინ მოისმინა, გაუკვირდა, შეეზარა,  
თ ვ ა ლ თ ა თ, ვითა მარგალიტი, ცრემლი ცხელი გარდმოღვარა,  
მოახსენა: «უშენომან გულმან რამცა გაიხარა!  
ვიცი, რომე არ ღადგები, მაგრა გიშლი ამაღ არა!»“ (160).

„ესე ჩემგან გაუკვირდა ფრიღონს, უცხოდ ეუცხოვა,  
მაგრა მეტად შევებრაღე, ტირიღითა მესათნოვა;  
ვითა შვიღი ღამადღუმა, მემუღარა, შემეპოვა,  
თ ვ ა ლ თ ა თ, ვითა მარგალიტი, ცრემღი ცხელი გარდმოთოვა“ (630).

„ცისკრად ადგეს გასაყრელად, ერთმანერთსა მოეხვიენეს;  
მაშინ მათგან ნაუბარნი, ღადღეს, ვინცა მოისმინეს;  
თ ვ ა ლ თ ა /თ, ვითა წყაროს თვალნი, ცრემღი ველთა მოადინეს,  
ღიდხან ღგანან შეჭელიღნი, მკერდი მკერღსა შეარკინეს“ (949).

„თ ვ ა ლ თ ა/თ, ვითა მარგალიტი, გარდმოყარა ცრემღი ხშირი,  
ადგა ასრე გულ-უშიშრად, ვეფხი იყო ანუ გმირი,  
ღხინი ღხინად არა უჩნღა, მართ აგრევე ჭირად ჭირი.  
მთხოვა, გარე აჯიღითა მოიბურა ტანი, პირი“ (1176).

ვინაიღან ამ სტროფებში შემასმენღებია მეორე სერიასში (წყვეტიღღში) მღღომი მოქმეღებითი გვარის ზმნები „გარდ-მოღვარა“ (ზოგიერთ ხელნაწერში – „გარდმოყარა“), „გარდ-მოთოვა“<sup>15</sup>, „მოადინეს“, „გარდმოყარა“ – ჩვენთეის საინტერესო ფორმის სიტყვა თუ მოქმეღებითი ბრუნვისად არ იქნებოღა გაგებ-

---

არის „ცრემღი“. ამითივე უნღა აიხსნას ის გარემოებაც, რომ აქვე ზოგიერთ ხელნაწერში „ღაწვის“ მაგივრად წერია „ცრემღი“.

–თათ ფორმის უცოღინარობის ნიაღაგზე ჩანს გაჩენიღი მომღვენო სტროფში შემღღევი ვარიანტები: ვარღსა] ვარღი FKOR'კაკ; ბაგესა ვარღთა Z; ანათებს FR კკარ.

ამის გამო უნღა იყოს, რომ ბოღო სტროფში „ტბათათ“ ფორმის ნაცვღად ზოგიერთ ნუსხასში გვაქვს „ტბათა“.

<sup>15</sup> „გარდმოთოვღა“ არის Z-ში, „გარდმოთოვღა“ – F-ში. ორივე ნასწორებია.



ული, ბოლოკიდური ო-ს გარეშე შეიძლება მიჩნეულიყო მხოლოდ და მხოლოდ მოთხრობით ბრუნვისად და ქვემდებარედ. მაგრამ ეს გამორიცხულია. კონტექსტებიდან ნათელია, რომ „თვალთ“ სიტყვა არც ერთ სტროფში არ არის ქვემდებარე. პირველ შემთხვევაში ქვემდებარეა შერმადინი, მეორე სტროფში – ფრიდონი, მესამეში – ტარიელი და ავთანდილი, ბოლო სტროფში კი – ნესტანი. ზღნიშნული სიტყვა რომ ქვემდებარე ყოფილიყო (თ ვ ა ლ თ ა, ანუ თვალებმა), მასთან მე-160, 630-ე და 1176-ე სტროფებში შემასმენელი შეთანხმებული იქნებოდა რიცხვში. ასე: თვალთა... გარდმოღვარეს, გარდმოთოვეს, გარდმოყარეს. ამგვარი, მრავლობითის ფორმით ეს ზმნები არც ერთ ხელნაწერში არ არის და პირველ ორ სტროფში, სადაც ისინი სარითმო სიტყვებია, არც შეიძლება იყოს.

ამრიგად, ზემორე მოყვანილ სამ სტროფთან ერთად ამ ოთხ სტროფშიაც<sup>16</sup> ოსანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვის არსებობა გამოსვლითის ფუნქციით უცილობელია.

ამ დასკვნას მხარს უჭერს ისტორიული მონაცემები. ეს ფორმები საკმაოდ ხშირად გვხვდება რუსთველის ეპოქისა და უფრო ადრინდელ ძეგლებში. ვნახოთ ეს ნიმუშები:

„ვისრამიანი“<sup>17</sup>:

„რა უგულო-ქმნილსა რამინს ესეთი საუბარი ესმა, ცრემლისაგან მიწა დაატალახა. სიუვარულისა ცეცხლი ფ ე რ კ თ ა თ ტუინამდინ გაუკდა, საუელონი გარდაიხივნა...“ (გვ. 78. 29).

---

<sup>16</sup> მივუთითებთ ზოგიერთ ლიტერატურას, სადაც ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ოსანიანი მრავლობითის მოქმედებით ბრუნვად არის გაგებული: 160-ე სტროფის შესახებ – დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, მისი რედაქციით გამოსული „ვეფხისტყაოსანი“, 1903, გვ. 270, შენ, 60; ნ. მ ა რ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები და შენიშვნები დაურთეს მ. გ უ გ უ შ ვ ი ლ მ ა ლ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე მ, თბ., 1965, გვ. 42; ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, შოთა რუსთველი, გვ. 125. 630-ე სტროფის შესახებ: ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ო ს ა ნ ი, სახელგამი, 1951, გვ. 406; კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1960, გვ. 163, 169.

<sup>17</sup> ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გ ვ ა ხ ა რ ი ა მ და მ. თ ო ლ უ ა მ, თბ., 1962.

„მოხად რა გარე გავიდა, ვისი ვააცხროა რამინიხ კიდევანობისათვის, სულნი ჰირთამდის მოუვიდეს; გული ესრე უფუთქდა, ვითა კაკაბი შავარდნისა ჭანგთა ქვეშე; ცივნი ოფლნი სდიოდეს, ვითა ღამისა ნამი ვარდსა ზედა; ნ ა რ გ ი ს თ ა თ ი ა გ უ ნ დ ს ა ზ ე დ ა ც რ ე მ ლ თ ა ა დ ე ნ დ ა . . . “ (196.15).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“<sup>18</sup>:

„... აჰა მოაწია ეამი ჯოჯოხეთად ტვირთვად სამოკლ მკლველისა ჩუენისა და თვთ თავისა მკლველისა, ცით ც ა თ ა თ უფსკრულად ქუესკენელსა შთასრულისა...“ (გვ. 23. 9).

ბასილი ეზოსმოდღვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარი-ნი“:

„მოიწინეს ოდესმე ჩვეულებისაებრ ქველის-მოქმედებათათვს ამისთა მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კვპრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ა დ გ ი ლ თ ა თ “ (იქვე, გვ. 142. 10).

„მატიანე ქართლისა“<sup>19</sup>:

„... და წარვიდა ქ ვ ა კ ვ რ ე ლ თ ა თ მსწრაფლ, და მოგუარნეს ჰერობილნი კლდე-კართა ქვეშე“ (გვ. 307. 8).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი<sup>20</sup>:

---

<sup>18</sup> ქართლის ცხოვრება, II, დასახელებული გამოცემა.

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1955.

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება, I, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს დასახელებული გამოცემა.

ბოლო გამოცემა: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შ ა ნ ი ძ ე მ, თბ., 1992 (ამ გამოცემის გვერდებს კუთხოვანი ფორხილებით დავიმოწმებთ). აქ საძიებელი ფორმები მზ. შანიძეს საგანგებოდ აქვს განხილული (გვ. 52-57) და მათ დ-ით წარმოგვიდგენს (-თაღთ).

„ესოდენ ადვილად და მოსწრაფედ კელთ უხსნა ღმერთიან საკრველებათამან, რომელ ერთი ათასთა არა თუ სდევდა, არამედ კელითა იპურობდა, და ორთა არა თუ წარეკცივნეს ბევრნი, არამედ სანთლითა თვთ მათვე ტ ე ე თ ა თ და მ თ ს რ ე ბ ე ლ თ ა თ ტუეედ მოჰუხანდეს ეოველნი ქრისტიანენი“<sup>21</sup> (გვ. 328. 18).

„და მუნვე შემოკრიბნა კაცნი ჰატოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ეოვლითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა ჰოვნილნი, არამედ ქუეყანისა კ ი დ ე თ ა თ<sup>22</sup>, სადათცა ესმა ვითმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსაუსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანა და დაამკვდრნა მას შინა“ (გვ. 330. 12).

„და აღაუსო ლაშქარმან მითთ მტკუარამდე და გ ა გ თ ა თ ბერდუჯამდე“ (გვ. 340. 1 ხ189. 13). შდრ.: „და მეის აღისრბოლა ვითარცა არწიუმან, და მაისსა აღიხუნა ციხენი სომხითისანი: გ ა კ ნ ი, ტერონა კალი...“ (გვ. 344. 15).

„... შენ თუ გენებოს, ძლუენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ ვინდა ს ა მ ა ლ ა ვ თ ა თ გამოვედ და მნახე“ (გვ. 343. 5 [194. 3]).

„და ეუწუა რა სულტანსა ზედა-მისლვა და ძალი სიმრავლე სხათა მისთა, და განკრთა, აიუარა ვ ე ლ თ ა თ, სადა დვა, და მსწრაფლ შევიდა ქალაქად“<sup>23</sup> (გვ. 343. 9 [194.10]).

---

<sup>21</sup> მზ. შანიძის გამოცემაში „სანთლითა“-ს მაგიერად აღდგენილია სა[მალაუთაფთა] გამოსვლითი ბრუნვის შინაარსით, მაგრამ „ტყუთათ“ ვირიანტებშია ჩატანილი და ძირითად ტექსტში უპირატესობა ეძლევა „ტყუთა“ ფორმას (გვ. 172. შდრ. გვ. 56).

<sup>22</sup> მზ. შანიძის გამოცემაში „კიდეთათ“ ვარიანტებშია ჩატანილი (გვ. 189).

<sup>23</sup> ამავე ტექსტში ყურადღებას იპყრობს შემდეგი ადგილი: „წარმოვიდა ქართლს და მსწრაფლ შეკრიბა სხა, და ჩავიდა შარვანს, მაისსა შვდსა, არბია ლ ა ე თ ა თ ვიდრე ქურდევანამდე და ზიშტალანთამდე, და საუსენი, ალაფითა მოვიდეს ქართლს“ (გვ. 339.3 [137.13]). ხაზგასმული სიტყვა ხელნაწერებში სხვადასხვაგვარად იკითხება. თუ რომელი ადგილი იგულისხმება მასში, ჯერჯერობით დადგენილი არაა. ს. ყაუხჩიშვილი პირდაპირ წერს: „თუ რა არის «ლაეთთი» დღესაც გაურკვეველი რჩება“

იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბე“<sup>24</sup>:

„და ვითარ კოცთათ შობილი, შიშულად განვალს აქადთ ცხოვრებით ნეტარსა ცხოვრებასა“ (15. 4).

„გული ფიცხელი სადთ მოვალს, გაიგონე, რომელთა გუართათ აღმოსცენდა უღმობი“ (181. 2).

„მოუეასთა ზედა წარბის აძლები მაღლად და სიმალღეთათ დაკუეთებული ქუეანად“ (220. 5).

მღრ.:

„... მტერი, ზუაფი, ამჰარტავანი, რომელი ზეცით ქუენად დაეკუთა“ (225. 5).

-თათ დაბოლოებიანი სიტყვები აქ არის აგრეთვე 63-ე და 112-ე სტროფებში, მაგრამ ისინი იმ ტიპის არიან თუ არა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, კარგად არ ჩანს.

თეოფილაქტე ბულგარელის „სახარებათა თარგმანების“ იოანე ჭიმჭიმელისეული (პეტრიწის?) თარგმანი<sup>24</sup>:

---

(იქვე, გვ. 042). აღნიშნული სიტყვა ტექსტში მოქმედებითი ბრუნვის ფორმით და გამოსვლითი შინაარსით რომ არის ნახმარი, ვფიქრობთ, საეჭვო არ უნდა იყოს. მაგრამ ის ონიანი მრავლობითია თუ არა, ნათელი არ არის. ი. ჯავახიშვილი კითხულობს „ლიჟათით“ (ქართული ერის ისტორია, II, 1965, გვ. 201). ჩვენი აზრით, სავსებით დასაშვებია, ის სწორედ ონიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა იყოს. ასეთ გაგებას მხარს უჭერს ამ ტექსტის ძველი სომხური თარგმანი, სადაც აღნიშნული სიტყვა წარმოდგენილია „ზ-ლაიშქ-ნ“ ფორმით, ფუძეში ო-ს გარეშე (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევისა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1953, გვ. 246).

<sup>24</sup> იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილიმ, თბ., 1968.

<sup>24</sup> ივ. ლოლაშვილი, იოანე პეტრიწი-ჭიმჭიმელი, ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევი (წიგნში: იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, დასახელებული გამოცემა).

„და იუო შაბათსა მეორე ჰირველსა, განვიდოდა იგი თ ე ს უ ლ თ ა დ თ და მოსრვდეს მოწაფენი კუვილთა და ჭამდეს, რამეთუ ქუცენვდეს კელითა“ (გვ. 112).

მდრ.: გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი:

„... განვიდოდეს თავადი თ ე ს უ ლ ი ს ა გ ა ნ უანისა, ხოლო მოწაფენი მისნი მოსჭრიდეს თავსა კუვილისასა“ (იქვე, გვ. 112).

გულანდუხტ სპარსის მარტვილობის მეტაფრასული რედაქცია:

„ხოლო შეწუდეულთა სასრდელნი საჭირონი და სიცოცხლისადმი ხოლო კმანი იწროთა რათმე ს ა რ კ უ მ ე ლ თ ა დ თ დაწესებულთა დღეთა მიეცემოდეს“ (გვ. 238).

სამწუხაროდ, ყველა ეს ძეგლი ჩვენამდე გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული. ამიტომ მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ვერ მიეცემა. ამ თხზულებებში მათი დედნისეულობა ისევე საძიებელი და დასამტკიცებელია, როგორც „ვეფხისტყაოსანში“. მაგრამ ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფორმა ამ ხანის თხზულებებში დასტურდება, ვფიქრობთ, დასმული საკითხისათვის უმნიშვნელო არ არის.

X-XIII საუკუნეების ქართულში ონიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა გამოსვლითის მნიშვნელობით ნამდვილად რომ იხმარებოდა, როდესაც იგი არაა მართული მსაზღვრელი და უშუალოდ დაკავშირებულია ზმნასთან, — ძველ ხელნაწერებში ამისი მაგალითებიც გვაქვს.

ებრაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეს ერთ რედაქციაში, რომელიც X და მომდევნო საუკუნეთა ხელნაწერებშია დაცული,

<sup>25</sup> კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ეტიუდები..., III, თბ., 1955.

კ. კეკელიძის გამოკვლევით, ეს თხზულება ქართულად ნათარგმნია XII საუკუნის მეორე ნახევარში (გვ. 228), „თარგმანი გამოსულია პეტრიწონული ლიტერატურული სკოლიდან“ (გვ. 231), მისი შემცველი ერთადერთი ნუსხა გადაწერილია XVI საუკუნეში გელათის მონასტერში (გვ. 228).

წერია<sup>26</sup>: „და განათავისუფლნეს ესენი, რომელნი შიშითა სიკუდილისადთა მარადის ცხოვრებად თანა-მდებ იევნეს კირთებასა. რამეთუ არასადა ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა დ თ იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო“ (2.15-16). მეორე რედაქციაში, რომელიც ასევე ძველი ხელნაწერებითაა წარმოდგენილი, ეს სიტყვა ბრუნვაში შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის წერია: „... რამეთუ ა რ ა ს ა დ ა დ თ ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა დ თ იწყო, არამედ ნათესავისაგან აბრაჰამისა იწყო“.

პირველი რედაქციისებურადაა დამოწმებული ეს სიტყვა აგრეთვე პავლეს ამ ეპისტოლეს იოანე ოქროპირის განმარტებათა ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში, რომლის შემცველი ხელნაწერი XI/X საუკუნის დამდეგს განეკუთვნება<sup>27</sup>.

გრიგოლ ნოსელის „თარგმანება ქება-ქებათაის“ – გიორგი მთაწმიდელისეულ თარგმანში ეკითხულობთ<sup>28</sup>:

„მსგავს არს მძისწული ჩემი ქურციკსა ანუ ნუკრსა ირმისასა მათა ზედა ბეთელისათა. აჰა ესერა ესე დგას უკუნა ზღუდესა ჩუენსა, და იხედავს სარკუმლით გამო და გარდამოხედავს არღაბა გ თ ა დ თ“ (გვ. 165).

ეს ტექსტი გადმობეჭდილია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A-55 ნუსხიდან, რომელიც XI-XII საუკუნეებით თუ XII საუკუნის დასაწყისით თარიღდება<sup>29</sup>.

---

<sup>26</sup> პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1974, გვ. 349.

<sup>27</sup> პავლეს ეპისტოლეთა განმარტება გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2003, გვ. 259.

<sup>28</sup> გ. კ. ი. კ. ნ. ა. ძ. გიორგი მთაწმიდელის ერთი თარგმანის კიმენი და ლექსიკა (კრ.: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, X-XII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, თბ., 1965).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „არღაბაგი“ არის „ხარისი, გინა ფანჯარა“. „არღაბაგი არს ერდოსა ზედა, გინდა გარდასაჭრელთა ადგილთა ხარისი მოაქლო, რათა კაცნი არ გარდაიჭრანს...“. იხ. აგრეთვე სიტყვასთან „ფანჯარა“.

ბიზანტიურ ტრაქტატში, რომელიც სოფიის ტაძრის შენებას ეხება და ქართულად ნათარგმნი უნდა იყოს XI თუ XII საუკუნეში, ხოლო ჩვენამდე მოღწეულია XIII საუკუნის ნუსხით<sup>30</sup> (A-70), წერია: „ხოლო მათ ... იწეეს მიებად და ჰპოვებდეს ტაძარსა შინა კერძთასა ძულელთა აბანოებსა და სასლებსა ჰირველ ყოფილთა მთავართასა, შეჰკრებდეს უოველგნით და წარსცემდეს ქალაქად სამეუფოდ მეფისა იუსტინიანესა, და მოსწრაფებითა დიდითა უოველთაგან თემთა და კიდეთა, აღმოსავლით და დასავლით, ჩრდილოდთ და ბღუარით, და ჯ ა ლ ა კ თ ა დ თ და კუნძულთა ზღვსათა“<sup>31</sup>.

წმინდა ბარბარეს წამების მეტაფრასული რედაქციის XII-XIII საუკუნეთა ნუსხებში გვაქვს: „... და მამად, დამვიწყებელი მამობისად, მძლავრ დამკლველ წადიერ იყო ეოფად, და მახვლისდ, რომელი ევიდა, ბ ე ჯ თ ა დ თ აღმომედელი თვისითა კელითა ისწრაფდა მოკლვასა ბარბარადსასა“<sup>32</sup>.

თანინი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვის რუსთველის ეპოქაში გავრცელებულობას ამტკიცებს აგრეთვე იმ პერიოდის ძეგლებში ამ ბრუნვის თანდებულიანი ფორმის არსებობა.

---

<sup>29</sup> თ. ყო რ დ ა ნ ი ა, Описание рукописей Тифлисского Церковного Музея, I, 1903, გვ. 32-46; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, შეადგინეს და დასაბუჭდავად მოამზადს თ. ბ რ ე გ ა ძ ე მ, მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა მ და ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე მ, თბ., 1973, გვ. 147.

მეორე, A-108 ხელნაწერში, რომელსაც XII-XIII საუკუნეებით ათარი-ლებენ (თ. ყო რ დ ა ნ ი ა, დასახელებული აღწერილობა, გვ. 123), სათანადო აღგილი (გვ. 538, მეორე პაგინაციით - 268) გადასულია და არ იკითხება.

<sup>30</sup> A კოლექციის აღნიშნული აღწერილობა, გვ. 243.

<sup>31</sup> ბიზანტიური ტრაქტატი სოფიის ტაძრის აშენების შესახებ და მისი შუასაუკუნეობრივი ქართული თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ო. ბ ე რ ი ძ ე მ, თბ., 1982, გვ. 22.

<sup>32</sup> ეკატერინე ჩ ი კ ვ ა ი ძ ე, „წმინდა ბარბარეს წამების“ ძველი ქართული მეტაფრასული რედაქციები, ფილოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ზარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2005, გვ. 11.

მაგალითად, ბოლოკ-ბასილის მშენებლობასთან დაკავშირებულ 1233 წელს აბუსერიძე ტბელის მიერ დაწერილ საბუთში ვკითხულობთ<sup>33</sup>:

„ხოლო ბასილი, მწუსარებითა შეპწრობილმან და ზარგანკილმან, თხარა ეგეოდენი სიღრმე ქვეშე მიწასა, ვითარცა ჩანს ზედათ ტაძარი ესე. და მათ ს ი ღ რ მ ე თ ა დ თ გ ა ნ იწ-  
ეო შენებად და ესრეთ განასრულა ტაძარი ესე საკვრველი წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი მარტოებით...“ (გვ. 62).

ჩვენი საკითხისათვის ეს მაგალითები, ვფიქრობთ, საკმარისია.

ამრიგად, წინამდებარე წერილში აღძრულ პირველ კითხვას – შოთა რუსთველი იყენებდა თუ არა ოსიანიანი მრავლობითის მოქმედებით ბრუნვას – დადებითად უნდა ვუპასუხოთ.

მეორე და უფრო რთული საკითხია – „ვეფხისტყაოსანში“ ეს ფორმა კიდევ რომელ ადგილას არის დედნისეული?

ამ საკითხის გარკვევას განსაკუთრებით ის ართულებს, რომ პოემაში ზოგჯერ კონტექსტს მოქმედებით (გამოსვლით) ბრუნვასთან ერთად იმდენად წარმატებით ესადაგება მიცემითი, ნათესაობითი და ხან კიდევ ვითარებითი ბრუნვები, ძალიან ჭირს რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება. რადგან მივიღეთ, რომ ოსიანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა „ვეფხისტყაოსანში“, საზოგადოდ, რუსთველისეულია, ასეთად შეიძლება იხილოს ის მიგვეჩინა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მას რომელიმე ხელნაწერი წარმოგვიდგენს და კონტექსტს არ ეწინააღმდეგება. ბევრჯერ იძულებული ვართ, რამდენადმე ასეც მოვიქცეთ; მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ დროს შეცდომისაგან დაზღვეული არა ვართ. საქმე ის არის, რომ, ირკვევა, ზოგჯერ ხელნაწერებში, მათ შორის ABC რედაქციის ნუსხებში, –თათ დაბოლოება ანალოგიით, გავლენითაც ჩნდება ხოლმე. ასე მაგალითად, არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც –თათ ფორმას

<sup>33</sup> ა ბ უ ს ე რ ი ძ ე ტ ბ ე ლ ი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთან, 1233 წლ. ტექსტი, გამოსცა ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1941.



ყველა რედაქციის ხელნაწერი იცავს, მაგრამ შინაარსობრივად იგი მოცემულ კონტექსტს არ შეესაბამება. თუ ასეთ წინადადებაში გაჩნდა საძიებელი დაბოლოება, რა პირობა გვაქვს, ამავე გზით არ გაჩნდებოდა ის იმ კონტექსტებში, რომელთაც შინაარსობრივად ეგუება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ პოემაში -თათ დაბოლოება მოუდის რამდენიმე ერთსა და იმავე სიტყვას.

ერთი სიტყვით, საკითხი, - „ვეფხისტყაოსანში“ რომელ ადგილას არის -თათ ფორმა გამოსვლითის მნიშვნელობით დედნისეული და რომელ ადგილას არა, - უნდა გადავწყვიტოთ მხოლოდ კონტექსტისა და ხელნაწერთა რედაქციული მაჩვენებლების, მათი აკარგვიანობის მიხედვით. სხვა საშუალება ჯერ-ჯერობით არ არსებობს. ეს მონაცემები არაა იმდენად მყარი და ობიექტური, რომ სრული ჭეშმარიტება მოგვცეს, მაგრამ დასმულ საკითხზე მიახლოებით წარმოდგენას მაინც შეგვიქმნის.

-თათ დაბოლოება დედნისეული უნდა იყოს უპირველესად 1320.3-ე და 1456.4-ე სტროფებში:

„იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთს პატიმარია,  
მუნ მისლვა მიმიჩს თამაშად, თუცა გზა საომარია.  
ნ ა რ გ ი ს თ ა თ წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია,  
ჯერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა უამარია“ (1320).

„«თუცა მე მათი დახოცა მტკივის და სატკივარია,  
მაგრა მათ მიჰხვდა უკვდავი მუნ ღიდი საჩუქარია».  
ასე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,  
ნ ა რ გ ი ს თ ა თ იძერის ბორიო, ვარდსა ძრავს, იანვარია“ (1456).

ამ სტროფთა შინაარსი საკმაოდ ნათელია. აღნიშნული სიტყვები ბოლოკიდური *თ* ასოს ჩამოშორების შემდეგ შეიძლებოდა გაგებულყო ნათესაობით ბრუნვად: *ნ ა რ გ ი ზ ე ბ ი ს* (ე. ი. თვალების) *ბ რ ო ლ ი ს წ ვ ი მ ა წ ვ ი მ ს* და *ნ ა რ გ ი ზ ე ბ ი ს* (თვალების) *ბ ო რ ი ო (ქარი) ქ რ ი ს ო*. უნდა ითქვას, რომ თავისთავად ასეთი ახსნა გამორიცხული არ არის. მაგრამ ხელოვნურობისა და გარკვეული ნაძალადეობის კვალი უთუოდ

ამჩნევია. ორივე შემთხვევაში კონტექსტს ყველაზე მეტად შეესაბამება „ნ ა რ გ ი ს თ ა თ“ – მოქმედებითი ბრუნვა<sup>34</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ 1320.3-ე სტროფში ისედაც არის ერთი ნათესაობითში დასმული განსაზღვრება – „ბ რ ო ლ ი ს ა“.

უთუოდ იგივე ვითარება გვაქვს 1448.4-ე სტროფში:

„გამოვლნეს ზღვანი სამთავე, ერთგან ძმათ შენაფიცართა,  
კვლა ამტკიცებდეს სიტყვათა, მათ პირველ დანამტკიცართა,  
ჰშვენის მღერა და სიცილი მათ, მისთა არ-უიცართა;  
ბ ა გ ე თ ა თ შუქი შეადგის ზელა ბროლისა ფიცართა“.

აქ, რასაკვირველია, ლაპარაკია არა ბ ა გ ე ე ბ ი ს შუქზე, არამედ ბ ა გ ე ე ბ ი ღ ა ნ გამომავალ კბილების შუქზე (სითეთრეზე). „ვეფხისტყაოსანში“ „ბაგეთა შუქი“, საერთოდ ბაგეების ბრწყინვალეობა, არსად არაა აღნიშნული, მაშინ როდესაც ბაგეებიდან გამომავალი კბილთა ელვარების ჩვენება ჩვეულებრივი ამბავია. მაგალითად:

„ვარდსა ხლეჩდეს, ბ ა გ ე თ ა გ ა ნ კ ბ ი ღ ნ ი თ ე თ რ ნ ი  
გამოსჭვირდეს“ (282.2).

ასეთივეა ზემორე განხილული 953.4-ე სტროფი: „ბ ა გ ე თ ა თ ვარდსა ანათობს ბროლი მოწისა ძირითა“.

სხვაგვარად ესმის 1448.4-ე სტროფი ვ. ნოზაძეს. მისი აზრით, მეტაფორული გამოთქმა „ბროლის ფიცარი“ აღნიშნავს კბილებს. იგი წერს: „ბაგეებს კბილთაგან შუქი შეადგა, მიეფინაო: ბროლის ფიცარი – კბილთა რივი“<sup>35</sup>. ამ გაგებით, „ბაგეთა“ მიცე-

<sup>34</sup> ამ სტროფებში ეს სიტყვა ასეა გაგებული შემდეგ ნაშრომებში: 1320-ე სტროფის შესახებ: კ. ჭ ი ჳ ი ნ ა ძ ე, რედაქტორის შენიშვნები (წიგნში: ვეფხისტყაოსანი, 1934, გვ. 288); 1456-ე სტროფის შესახებ: ალ. ბარამიძე ნარკვევები, III, გვ. 187; მ ი ს ი ვ ე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 312; ვ. ნ ო ზ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება, გვ. 149.

<sup>35</sup> ვ. ნ ო ზ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ. 44.

მითი ბრუნვა იქნება. მაგრამ არა გვეგონია, ასეთი გაგება სწორი იყოს. წინადადების აგებულება, განსაკუთრებით, თანდებული „ზედა“ მიუთითებს, რომ შუქი შეადგა არა „ბაგეებს“, არამედ „ბროლის ფიცრებს“. მეტაფორა „ბროლის ფიცარი“, რომელიც პოემაში მხოლოდ ერთხელ, ამ სტროფში იხმარება, უფრო შეესაბამება პირისახეს, ლოყებს, ვიდრე კბილებს. საერთოდ კი, ცნობილია, „ვეფხისტყაოსანში“ ბროლი აღნიშნავს, როგორც კბილებს (სტრ. 953.4, 1292.4, 1445.2...), ისე სახეს – ლოყებს, ყელს (სტრ. 138.3, 1252,2), ცრემლებსა (1330.3...) და ა. შ.

მაშასადამე, განხილულ სტროფში აღნიშნული სიტყვა მანინი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა არის. სხვაგვარად მისი გაგება ხელოვნურია.

კონტექსტის მიხედვით ირკვევა, რომ მოქმედებითი ბრუნვა არის გამოყენებული 1461.1-ე სტროფშიაც:

„შ უ კ ა თ ა თ მოდგეს ვაჭარნი, ყოვლგნით მჭვრეტელთა ჯარია;  
შორს უარებდეს სარანგნი, ხელთა აქვს მათ აბჯარია:  
მოიჯრებოდეს ჯალაბნი, სარანგთა დამსაჯარია,  
მათად საჭვრეტლად მიშვება მუნ მათგან ნააჯარია“.

ამ სტროფში აღწერილია გამარჯვებული რაინდების მულ-ღაზანზარში მისვლა. ჩვენთვის საინტერესო სტრიქონი თუ ცალ-კე იქნებოდა განხილული, „შუკათა“ შეიძლებოდა გაგებულიყო მიცემით ბრუნვად. ე. ი. შ უ კ ე ბ ს, შ უ კ ე ბ შ ი (ქუჩებში) მო ა დ გ ე ს (გამოვიდნენ) ვ ა ჭ რ ე ბ ი ო. მაგრამ მოყვანილი და წინარე სტროფებიდან ჩანს, რომ ტარიელისა და მის მხლებელთა სანახავად ხალხი უბრალოდ ქუჩაში კი არ გამოსულა, არამედ პირდაპირ მოაწყდნენ, ყ ო ვ ე ლ ი მ ხ რ ი დ ა ნ მოდიან, მათ შორის ბაზრებიდანაც, და ცდილობენ, რაც შეიძლება, ახლოს იხილონ სტუმრები. წინა სტროფში ნათქვამია:

„მოატყდეს მოქალაქენი, დააგდეს მუნ ბაზარია“ (1460.4).

საძიებელ სტროფში ამ ამბის თხრობა გრძელდება. ვფიქრობთ, ამ კონტექსტში უფრო მოსალოდნელია, რომ

ვაჭრების შესახებ ავტორს ეთქვა შ უ კ ე ბ ი ლ ა ნ მოვიდნენ, ვიდრე შ უ კ ე ბ შ ი მოვიდნენ, გამოვიდნენო.

საქმის ვითარება ნათელია 415.3-ე სტროფში. ოღონდ აქ გვაქვს არა მოქმედებითი ან ნათესაობითი ბრუნვა, არამედ – ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი, როგორც ეს პირველად ალაღვინეს ა. შანიძემ და ალ. ბარამიძემ პომეს თავიანთ 1966 წლის გამოცემაში:

„მოვახსენე: «არ მეწყალვის თავი შენთვის დასაწველად,  
მაგრა რადგან დამარჩინე, არ გამოსჩნდი ჩემად მკლველად,  
შენ სინათლედ თ ვ ა ლ თ ა დ ჩ ე მ თ ა დ მიჩნდე მზეებრ  
სანახველად,  
აწ შევება ხატაელთა, მუნ გამოეჩნდე ლომი ქველად»“.

როგორც ცნობილია, ვითარებითი ბრუნვის ნიშნის დ-ს გადაკეთება *თ*-დ ჩვეულებრივი მოვლენაა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში.

სხვა, დარჩენილ სტროფთაგან საკითხის გარკვევა, ვფიქრობთ, შედარებით უფრო მოსახერხებელია 405-ე, 411-ე და 1353-ე სტროფებში:

„შინა მოვე, დაღრეჯილსა გულსა სევდა მიიფუდა,  
თ ვ ა ლ თ ა /თ, ვითა საგუბარი, ცრემლი ცხელი გარდმოძქეფდა.  
«ბედი ჩემი უბედური, – ვთქვი, თუ – ჯერთცა ვერ გამეფდა!  
ხელმან ვარდი რად იხელთა, რათგან ასრე ვერ მოჰკრეფდა?»“ (405).

„მიმბრძანა: «ძოღან გეწყინა გაგზავნა უუბარისა,  
მზემან გაყრითა დაგაჭნე, ვითა ყვავილი ბარისა:  
გაგსჯიდა დენა ცრემლისა, ნ ა რ გ ი ს თ ა თ /თ ნავუბარისა,  
მაგრა ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა»“ (411).

„ავთანდილს მადლი უბრძანა, ქმნა იყო საუბარისა:  
მე შენი ქება ვითა ვთქვა ბრძენთაგან საქებარისა!  
ვითა ზე-მთისა წყარომან, მომრწყე ყვავილი ბარისა,  
დამწყვიდე დენა ცრემლისა, ნ ა რ გ ი ს თ ა /თ ნავუბარისა“ (1353).

ამ სტროფებში საძიებელი საკითხის გადასაწყვეტად შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვები „საგუბარი“ და „ნაგუბარი“. ჩვენი აზრით, 405-ე სტროფში, რადგან იქ არის „საგუბარი“, კონტექსტს უფრო შეესაბამება „თვალთათ“, მოქმედებითი ბრუნვა: თ ვ ა ლ ე ბ ი დ ა ნ, როგორც ს ა გ უ ბ რ ი დ ა ნ, და არა თ ვ ა ლ ე ბ ს (თვალებზე) როგორც ს ა გ უ ბ ა რ ს (საგუბარზე) ცხელი ცრემლი გ ა რ დ მ ო მ ჩ ქ ე ფ დ ა ო. კიდევ უფრო უცხოა ნათესაობითი ბრუნვა – თ ვ ა ლ ე ბ ი ს ცრემლი. შდრ.:

„ვარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია“ (244.3).

„მუნ ვარდსა წყლითა ცხელითა რწყვენ ტევრთა საგუბარითა (1005.4)“.

ასეთ გაგებას რამდენადმე ხელს უშლის ის გარემოება, რომ ხელნაწერთა დიდზე დიდ უმრავლესობაში „საგუბარი“ წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით. როგორც ა. შანიძე მიუთითებს, თუ ტექსტში იქნება „თვალთათ“, „საგუბარი“ უნდა იდგეს მოქმედებით ბრუნვაში – ს ა გ უ ბ ა რ ი თ<sup>36</sup>. ამ სახით ეს სიტყვა არის მხოლოდ ორ და ისიც ნასწორებ T-სა და R' ხელნაწერებში. თუმცა, მეორეს მხრივ, „საგუბარი“ სახელობითი ბრუნვის ფორმით კონტექსტს არც სხვა გაგებით შეესაბამება. მაგალითად, თუ მივიღებთ, რომ პირველადია „თვალთა“ (მიცემითი ან ნათესაობითი ფორმა), მაშინ „საგუბარიც“ მიცემით ან ნათესაობით ბრუნვაში უნდა იდგეს – „საგუბართა“ ან „საგუბარსა“. ასეთი ფორმით კი ეს სიტყვა არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება.

ჩვენი მოსაზრებით, შეცდომა ნაკლებ არის მოსალოდნელი, თუ დაუშვებთ, რომ თავიდან იყო „საგუბარით“<sup>37</sup> და ბოლო M,

---

<sup>36</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის (წიგნში: ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შ ა ნ ი ძ ი ს ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1956, 025).

<sup>37</sup> რამდენიმე ხელნაწერში, სახელდობრ FILR-ში, „საგუბარის“ ნაცვლად წერია „მარგალიტი“. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს იყოს

მსგავსად „თვალთათ“-ისა, ხელნაწერთა მრავალგზისი გადაწერისას დაიკარგა. უპირველესად, ალბათ, ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პოემის გვიანდელი ხანის კალიგრაფებმა გადაწერის პროცესში კარგად ვერ გაითვალისწინეს „თვალთათ“ ფორმის შინაარსი და მასთან „საგუბარით“ სიტყვის კავშირი. მათ ეს უკანასკნელი ნებსით თუ უნებლიეთ დაუკავშირეს და შეათანხმეს სახელობითში დასმულ მომდევნო სიტყვებს – „ცრემლი ცხელი“.

ერთი სიტყვით, 405.2-ე სტროფში ყველა სხვა ვარიანტსა და გაგებას შორის, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად სარწმუნოა აღნიშნული სიტყვების გამოსვლითი ფუნქციით მიღება: „თვალთათ, ვითა საგუბარით“.

საპირისპირო მდგომარეობა უნდა გვექონდეს 411.3-ე და 1353.4-ე სტროფებში. მათში კონტექსტს ბევრად უფრო უდგება მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვები, ვიდრე მოქმედებითი. შდრ.: ნ ა რ გ ი ზ ე ბ ს, ნ ა რ გ ი ზ ე ბ შ ი ან ნ ა რ გ ი ზ ე ბ ი ს ნ ა გ უ ბ ა რ ი ცრემლი და ნ ა რ გ ი ზ ე ბ ი დ ა ნ ნ ა გ უ ბ ა რ ი ცრემლი. უპირატესობა უნდა მიეცეს უთუოდ პირველ გაგებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ სტროფებში ჩვენთვის საინტერესო

---

დენისეული წაკითხვა. ჯერ-ერთი, ამ ვარიანტს ერთხმად ეწინააღმდეგება ყველა სხვა რედაქციის ხელნაწერი. მეორეც, იგი ნაკლებად ესადაგება კონტექსტს. რადგან ტექსტში არის „გარდმომჩქეფდა“, ხოლო მოყვანილი და წინა სტროფიდან ჩანს, რომ ავტორს სურს გვიჩვენოს ტარიელის მძიმე სულიერი ტკივილები, უფრო მოსალოდნელია, მან ხაზი გაუსვას ცრემლების რაოდენობას, მოზღვავენას, ვიდრე მის ფერსა და სილამაზეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „საგუბარის“ შეცვლა „მარგალიტით“ გამოიწვია, ერთი მხრივ, იმ გრამატიკულმა უხერხულობამ, რომელიც შექმნა სიტყვა „საგუბარის“ მოქმედებითი ბრუნვის ფორმის („საგუბარით“) სახელობითი ბრუნვის ფორმისად გადაკეთებამ. მეორე მხრივ, კი – იმ გარემოებამ, რომ პოემაში მსგავს გამოთქმაში ცრემლები შედარებულია მარგალიტთან. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტირილი პოეტს სურს ლამაზი ფერებით წარმოგვიდგინოს:

„*ცრემლსა, ვითა მარგალიტსა, სწვიმს ვარდისა დასანაზოდ*“ (141.2).  
ასევეა ზემოთ მოყვანილ 160.2-ე, 630.4-ე და 1176.1-ე სტროფებში.

სიტყვას -თათ დაბოლოებით ძალიან ბევრი ხელნაწერი წარმოგვიდგენს. გაცილებით მეტი, ვიდრე ზოგიერთ ისეთ სტროფში, სადაც მოქმედებითი ბრუნვა უცილობელია.

-თათ ფორმა მეორეული მოვლენა უნდა იყოს 1135.1 სტროფშიაც:

„მე ს ა რ კ მ ე ლ თ ა გარდავადეგ, რა შევიგენ არ მოჰყიდეს, შეეუზახენ: «დახოცენით», დაიჰყრნეს და თავსა სჭრიდეს...“.

„ვეფხისტყაოსანში“, სადაც კი არის ზმნა „გარდამოღა“, ყველგან - სულერთია, ის ერთპირიანია თუ ორპირიანი - „სარკმელთა“ ტიპის სახელი მასთან ყოველთვის მიცემით ბრუნვაში დგას. მაგალითები:

„ქ ე დ ს ა გარდავდეგ, ლომ-ვეფხნი მოვიდეს ორგნით რეხული“ (908.1).

„ქ ე დ ს ა გარდადგეს, აქლემნი აუჩნდეს ლარ-კიდებულნი“ (1028.3).

„ქ ე დ ს ა რასმე გარდავადეგ, მინდორს მტვერი დავინახე“ (439.1).

„მას ზ დ უ დ ე ს ა გარდავადეგ, მინდორთაჲ რომე ვაგე“ (567.3).

„ქ ე დ ს ა რასმე გარდაადგა, ველნი აჩნდა მზიან-ჩრდილი“ (866.2).

„იმა ქ ე დ ს ა გარდავადეგ, შამხნი ისი მომეარნეს“ (907.1).

ამიტომ მიგვაჩნია, რომ 1135.1-ე სტროფში თავიდანვე უნდა ყოფილიყო „სარკმელთა“, მიცემითი ბრუნვა.

როგორც ზემოთ წინასწარ შევნიშნავდით, 136.4-ე და 723,2-ეა ის სტროფები, სადაც კონტექსტს იმდენად ერთნაირად ესადაგება როგორც მოქმედებითი, ისე მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის შინაარსი, რომ თითქმის შეუძლებელია რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება:

„კვლა შეჰფიცეს ერთმანერთსა, დააპირეს ესე პირი;

გასაღდეს და გაამრავლეს საუბარი სიტყვა-ხშირი.

გაადვილდა, აქანამდის გარდეხადა რაცა ჭირი;

თეთრთა კ ბ ი ლ თ ა/თ გამოჰკრთების თეთრი ელვა ვითა ჭვირი“ (136).

„ყმა ახლოს უჯდა მეფესა, ჰკითხვიდა, ეუბნებოდა;

ბ ა გ ე თ ა / თ გასჭვირს ბროლ-ლალი და კ ბ ი ლ თ ა თ / თ ელვა  
ჰკრთებოდა.

ახლოს სხდეს ღირსნი, ისმენდეს, შორს ჯარი დაიჯრებოდა,  
უტარიელოდ ხსენება არვისგან იკადრებოდა“ (723).

კ რ თ ე ბ ი ს/კ რ თ ე ბ ო დ ა თავისუფლად შეიძლება  
გავიგოთ როგორც ერთპირიან, ისე ორპირიან ზმნად. შინაარ-  
სობრივად კონტექსტს ერთნაირად ეწყობა როგორც კ ბ ი ლ ე ბ ს  
გ ა მ ო ჰ კ რ თ ე ბ ი ს/ჰ კ რ თ ე ბ ო დ ა, ისე კ ბ ი ლ ე ბ ი დ ა ნ  
გ ა მ ო ჰ კ რ თ ე ბ ი ს/ჰ კ რ თ ე ბ ო დ ა ელვა. მაგალითად, თუ  
„ვეფხისტყაოსანში“ ერთგან არის :

„მ ა ს რომე ელვა ჰ კ რ თ ე ბ ო დ ა, ფერნიმცა ჰვეანდა რისანი“  
(626.3).

მეორეგან ვკითხულობთ:

„გალიმდის, ძოწი გააპის, კ ბ ი ლ თ ა გ ა ნ ელვა ჰ კ რ თ ე ბ ო დ ა“  
(1337.2).

ასე ნათელი არაა, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას 723.2-ე  
სტროფზე „ბაგეთა“-ს შესახებ. ავტორს ეს სიტყვა თავისუფლად  
შეიძლებოდა გამოეყენებინა როგორც მიცემითი, ისე მოქმედებითი  
ბრუნვის ფორმით. ეთქვა როგორც ბ ა გ ე ბ ს (ბაგეებში) გასჭვირს  
(ატანს, აპობს)..., ასევე ბ ა გ ე ე ბ ი დ ა ნ გ ა ს ჭ ვ ი რ ს  
(გამოდის, გამოკრთის) სხივი, ციმციმი. შდრ.:

„შუა ძოწსა და აკიკსა ჭვირს მარგალიტი ტყუბები“  
(1146.4).

სამი ბრუნვა – მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი –  
ერთნაირად ეწყობა კონტექსტს 651.2-ე სტროფში:

„აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა,  
ნულარ უჭვრეტთ ცრემლთა ცხელთა, თვალთა, ჩ ე მ თ ა/თ  
მონადენტა!„



რა ესენი მოისმენდეს საუბართა ესოდენთა,  
მითხრეს: «ჰად-ჰად, რასა ბრძანებ, ნუ მოასმენ ყურთა ჩვენთა!»<sup>38</sup>

ნ. მარს კი უპირატესობა მოქმედებითის, გამოსვლითისათვის მიუცია. მისი თარგმანია: „Не глядите на горячие слезы, стекающие с моих очей“<sup>38</sup>. ზუსტად ანალოგიური ვითარება გვაქვს 1212.3-ე სტროფშიაც:

„იგივე მითხარ, მას აქათ, ქალი გაგზავნე შენ ოდეს,  
რაცალა გეცნას ამბავი, ანუ რა მისი გსმენოდეს».  
კვლა იტყვის ფატმან ტირილით, კვლა თ ვ ა ლ თ ა /თ ცრემლი  
სდენოდეს:  
წახდესო შუქნი, რომელნი მზისაებრ ველთა ჰფენოდეს!“

„ვეფხისტყაოსანში“ თუ, ერთის მხრივ, გვაქვს:

„მაგრა სდის ცრემლი თ ვ ა ლ თ ა გ ა ნ მსგავსად დიჯლისად  
დენისად“ (832.2),  
„მას წყაროსაებრ თ ვ ა ლ თ ა გ ა ნ ცრემლი სდის გაფიცებულნი“  
(869.3),  
„დიჯლადცა კმარის, მას რომე თ ვ ა ლ თ ა გ ა ნ ცრემლი სდენა“  
(850.3).

მეორე მხრივ, არის ასეთი წაკითხვაც:

„მათ თ ვ ა ლ თ ა ცრემლი სდიოდეს, მინდორთა მოსალამენი“  
(218.3).

აქ არც ერთ ხელნაწერში არ არის „თვალთათ“.

ძნელია ერთი რომელიმე ფორმისათვის უპირატესობის მინიჭება 1339.3-ე სტროფში:

---

<sup>38</sup> Н. Я. М а р р, Об истоках творчества Руставели и его поэме, Подготовка сборника к печати, редакция текста, комментарии и примечания И. В. М е г р е л и д з е, Тб., 1964, стр. 201.

„რა ტარიელ არ შესჯერდა, ავთანდილცა არ დაწყნარდა, მის ამბვისა დაყოვნება ველარ გასძლო, აუჩქარდა, გამოიღო რიდე, მისცა, ვინ ბ ა გ ე თ ა /თ ვარდი ვარდა.“  
რა ტ ა რ ი ე ლ ნახა, იცნა, გამოულო, შემოვარდა“.

აქ შესამე სტრიქონი თავისთავადაც რამდენადმე ბუნდოვანია. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ნათესაობით ბრუნვადაც შეიძლება გავიგოთ და მოქმედებითადაც: ტარიელს რიდე მისცა მან (ავთანდილმა), ვინც ბ ა გ ე ე ბ ი ს ვარდი ან ბ ა გ ე ე ბ ი დ ა ნ ვარდი გაავარდა, ვარდად აქცია.

აღსანიშნავია, რომ ეს სტრიქონი პარალელს პოულობს „ხვარაზმელთა ამბავში“:

„ერთად სხლიან ტახტსა ზედა, მათ ბ ა გ ე თ ა /თ ვარდი ვარდის“  
(1916.4).

აქ სტრიქონიც უფრო ნათელია და ხაზგასმული სიტყვაც რომ გამოსვლითი ბრუნვით არის ნახმარი, ვფიქრობთ, ესეც აშკარაა.

მოქმედებით და ნათესაობით ბრუნვათა<sup>39</sup> შინაარსი ერთნაირად თავსდება 1310.4-ე სტროფში:

„ესე წიგნი, საყვარელსა მისსა თანა მინაწერი,  
რა დაწერა, გარდაჰკვეთა მათ რიდეთა ერთი წვერი.  
თავ-მოხდილსა დაუშვენდა სისხო, სიგრძე, თმათა ფერი,  
აღვისაგან სული მოქრის, ყორნის ფ რ თ ა თ ა/თ მონაბერი“.

განსხვავება არაა იმ მხრივაც, თუ როგორ გავიგებთ „ყორნის ფრთებს“, – წამწამებად (როგორც ეს არის 46.4-ე სტროფში), თუ თმებად (უფრო ეს უნდა იყოს).

შინაარსობრივად ამავე რიგისაა 986.2-ე სტროფი:

„რა «ტარიელ» მოისმინა, ფრიღონს ჭირი უსუბუქდა,

---

<sup>39</sup> ნათესაობითი ბრუნვის შინაარსით არის გაგებული ვ. ნოზაძის წიგნში: ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება, გვ. 228.

თ ვ ა ლ თ ა / თ ცრემლი გარდმოსცვიდეს, გული უფრო აუჩქარდა, მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამწამთაგან ბუქი ბუქდა; შეიყარნეს, ერთმანერთი მათგან იქო, არ გაუქდა“.

განსხვევება მხოლოდ ის არის, რომ, თუ ზემოთ განხილულ სტროფებში -თათ ფორმას უპირატესად წარმოგვიდგენს ABC რედაქციის ხელნაწერები და მას მხარს უჭერს სხვა რედაქციის ნუსხებიც, 968-ე სტროფში აღნიშნულ ფორმას იძლევა JT. ესენი, რომლებიც ზედმიწევნით მიჰყვება ერთმანეთს, ძლიერ ნასწორებიან. ამდენად, მათი ავთენტურობა ძნელი დასაჯერებელია, მეტადრე ამ შემთხვევაში, როდესაც მათ ეწინააღმდეგება თავისივე რედაქციის KO ნუსხები.

იგივე უნდა ითქვას იმ ხელნაწერთა შესახებ, რომლებიც -თათ ფორმას იცავს შემდეგ სამ სტროფში:

„იგი ვნახე დაღრეჯილი, ესე მეტად დამიმძიმდა.

ვითა წინას შემომცინის, აღარ ეგრე გამიღიმდა.

ყოლა სიტყვა არ მომიგო, ო დ ე ნ / თ ვ ა ლ თ ა თ ცრემლთა/სა  
გარდმოსწვიმდა,

ამით უფრო დამაწყულულა, არა წყულულთა მიაქიმდა“ (519).

„რა ესოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,

მასვე ხმისა სიტკბოსაგან წ ყ ლ ი თ / წ ყ ა ლ თ ა თ  
ქვანიცა/ქვანიც/თევზნი გამოსხდიან,

ისმენდიან, გაჰკვირიდინ, რა ატირდის, ატირდინ;

იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“ (967).

„მართალ-ა, შენი გამყრელი თ ვ ა ლ ი / თ ვ ა ლ თ ა თ თუ  
ცრემლსა ღვრიდესა,

დღეს წაუვალი ვერა ვარ, მით ცეცხლი სხვატა მწვიდესა;

დგომა მგზავრისა ცთომაა, კარგსა იქმს, თავსა სწვრთიდესა;

სადა გინახავს იგი მზე, წამომყევ ზღვისა კიდესა“ (1016).

თქმა არ უნდა, რომ ამ სტროფებში -თათ დაბოლოებიან სიტყვებს შინაარსობრივად წუნი არა აქვს. პოეტს ასეც შეეძლო ეხმარა და ისეც, როგორც ხელნაწერთა უმრავლესობაშია. საეჭ-

ვოა მხოლოდ ის, რომ -თათ ფორმის დამცველი RTYZV ნუსხები გვიანდელია, ნასწორებია და მათ ეწინააღმდეგება თავისივე და სხვა რედაქციების უფრო ძველი და სანდო ხელნაწერები.

ამრიგად: თუ ხელნაწერთა აკარგიანობისა და მათი რედაქციული ერთიანობის მიხედვით ვიმსჯელებთ, 136.4-ე, 651.2, 723.2, 1310.4-ე და 1339.3-ე სტროფებში -თათ ფორმა შეიძლება დედნისეულად მივიღოთ, ხოლო 519.3-ე, 967.2, 986.2-ე და 1016.1-ე სტროფებში, პირიქით, დასახელებულ ან მათ წინარე ხელნაწერთა რედაქტორების ნახელავად ვცნოთ.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ 77.2-ე, 376.2 და 995.3-ე სტროფების შესახებ. გარდა იმისა, რომ ამ სტროფებში -თათ ფორმა თითო-ოროლა გვიანდელი ხელნაწერთაა წარმოდგენილი, მოცემულ კონტექსტებში იგი შინაარსობრივადაც უცხოა.

-თათ ფორმა შემდგომ უნდა იყოს გაჩენილი აგრეთვე 89.2-ე სტროფში:

„სხვაგან ქმნის მისი გონება, მისმან თავისა წონამან!  
ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა მონამან.  
არცა დაავლო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,  
არცა გახლიჩა ბ ა გ ე თ ა /თ თავი ვარდისა კონამან“.

ჩვენთვის საინტერესო მეოთხე სტრიქონის შინაარსი გასაგებია. აქ მეტაფორულად ნათქვამია, რომ ტ ა რ ი ე ლ მ ა ხ მ ა რ ა მ ი ლ ო, ბ ა გ ე არ გახსნა, ტ უ რ ი ტ უ რ ს სა ლ ა პ ა რ ა კ ო დ არ მოამორა<sup>40</sup>. ჩანს, შინაარსის გამო „ბაგე“ გაგებულ იქნა პირდაპირ დამატებად და იგი ჩასვეს სახელობით ბრუნვაში. ზოგიერთ ხელნაწერში ამ ნიადაგზე უნდა იყოს მიღებული „ბაგენი“, რამაც თავის მხრივ შემდგომ შემასმენელში გამოიწვია ნარის გაჩენა - „გახლიჩნა“. სინამდვილეში, ამ წინადადებაში ქვემდებარება „ვარდის კონა“. რაც აღნიშნავს ტარიელს, მის პირისახეს, ხოლო

---

<sup>40</sup> შდრ.: დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი ს განმარტება (წიგნში: ვეფხისტყაოსანი, 1903, გვ. 268, შენ. 40); ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, შოთა რუსთველი, გვ. 120.

პირდაპირი ღამატება არის „თავი“. სხვაგვარი გაგება, ვფიქრობთ, გამორიცხულია.

მაშასადამე, „ბაგენი“ სახელობითი ბრუნვის ფორმით მიუღებელია. კონტექსტს არ უდგება ეს სიტყვა არც გამოსვლითი ბრუნვის ფუნქციით. გამოთქმა *ბ ა გ ე ე ბ ი დ ა ნ ვარდის კონამ თავი არ გახლიჩაო*, მეტისმეტად ხელოვნურია<sup>41</sup>. შეიძლებოდა ეს სიტყვა მიგველო ვითარებითი ბრუნვის ფორმად – „ბაგეთად“: *ვარდის კონამ თავი ბ ა გ ე ე ბ ა დ არ გახლიჩაო*. მაგრამ არც ეს იქნებოდა კარგი ვარიანტი. ვფიქრობთ, კონტექსტს ყველაზე მეტად შეესაბამება „ბაგეთა“, ნათესაობითი ბრუნვის გაგებით<sup>42</sup>. *ვარდის კონამ ბ ა გ ე თ ა (ბაგეების) თავი არ გახლიჩაო*.

ამ სტროფს რამდენადმე ჩამოჰკავს 1422.2-ე სტროფი<sup>43</sup>:

„მათ ერთმანერთსა აკოცეს, დგანან ყელ-გარდაჭლობილნი.  
კვლა შეეწებნეს ხშირ-ხშირად ვარდნი ბ ა გ ე თ ა / თ პობილნი.  
აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი,  
მას მზესა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა ხმობილნი“.

აქაც შინაარსი ნათელია: აღწერილია ტარიელის შეხვედრა ქაჯეთის ციხიდან ახალგამოხსნილ ნესტანთან და მათი ხვევნა-კოცნა. „ვარდნი“ აქ ბაგეებია. მკაფიოდ არა ჩანს მხოლოდ, რა ფორმითა და ფუნქციით იყენებს ავტორი თვით სიტყვას „ბაგე“. ამ სტრიქონში იგი შეიძლება გაგებულ იქნეს ნათესაობით ბრუნვად: *შეეწებნეს ბ ა გ ე თ ა (ბაგეების მიერ) პობილნი ვარდნი, ან პობილნი ბ ა გ ე ე ბ ი ს ვარდნი*. როგორც წინა სტროფშია,

---

<sup>41</sup> ნ. მარი ამ სტროფში „ბაგეთათ“ ფორმას არ ეწინააღმდეგება (მ ი ს ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გვ. 41–42).

<sup>42</sup> იუსტ. აბულაძე 89-ე სტროფს ჩანართად მიიჩნევს, რის საბუთადაც, სხვათა შორის, ასახელებს მეოთხე სტრიქონს, რომელიც თითქოს ყურადღებას იპყრობს თავისი ბუნდოვანებითა და გრამატიკული ფორმების უკანონობით (ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. 329).

<sup>43</sup> ამ სტროფს ჩანართად მიიჩნევს ი. ფანცხავა, რადგან ის წინა, 1421-ე სტროფის, გამეორებად ესახება (მ ი ს ი, ვეფხისტყაოსნის ავტორის საკითხის შესახებ, საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XI-B, 1941, გვ. 219).

კონტექსტს რამდენადმე უღგება ვითარებით ბრუნვის შინაარსიც – „ბაგეთად“: კვლა შეეწებნეს ბ ა გ ე ე ბ ა დ პობილნი ვარლნი. ვიმეორებთ, ასეთი გაგება თავისთავად გამორიცხული არაა. მაგრამ, ჩვენი აზრით, კონტექსტს ყველაზე უკეთ შეესაბამება ოსანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა, ოღონდ არა გამოსვლითი, არამედ ინსტრუმენტალისის ფუნქციით: კვლა შეეწებნეს ხშირ-ხშირად ბ ა გ ე თ ა თ პობილნი ვარლნი (ბაგეები).

იგივე ვითარებაა 84.4-ე სტროფში:

„ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,  
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,  
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.  
ც რ ე მ ლ ს ა / თ ა / თ ა თ ვარდი დაეთრთვილა, გულსა  
მღუღრად ანატირსა“.

ჩვენთვის საინტერესო მეოთხე სტრიქონს დ. ჩუბინაშვილი ასე თარგმნის: „Слезы кипящего сердца убили инеем цвет его розы, т. е. лица“<sup>44</sup>. ს. ხუნდაძის ახსნით: „მღუღრად (მწარედ) ანატირები გულიდან მონადენ ცრემლს ვარდი (ღაწვები) დაეთრთვილა“<sup>45</sup>. ეს განმარტებები ზოგადად სწორია, მაგრამ ზუსტი არ არის. კერძოდ, მათ მიხედვით არ ჩანს, „ცრემლსა“ უნდა თუ „ცრემლთათ“ ან „ცრემლთა“. კონტექსტს მეტ-ნაკლები წარმატებით უღგება ყველა ფორმა. პერმუტაცივის გაგებით თავისუფლად თავსდება მიცემითი ბრუნვა: ც რ ე მ ლ ს (ც რ ე მ ლ ს ა) ან ც რ ე მ ლ ე ბ ს (ც რ ე მ ლ თ ა) და მღუღრად ანატირებ გულს ვარდი (ღაწვები) დაეთრთვილა. მაგრამ კონტექსტს აქაც, ვფიქრობთ, ყველაზე უკეთ ესადაგება „ცრემლთათ“ ინსტრუმენტალისის გაგებით: მღუღრად ანატირებ გულს ც რ ე მ ლ ე ბ ი თ ვარდი (ღაწვები) დაეთრთვილა.

<sup>44</sup> Д. Ч [у б и н а ш в и л и], Замечания на перевод "Барсовой кожи", газ. "Кавказ", 1846, № 27, стр. 2(106).

<sup>45</sup> ს. ხუნდაძე, შოთა რუსთველი, გვ. 120.

„ვეფხისტყაოსნის“ ამ ორ სტროფში კონტექსტის მიხედვით ასეა, მაგრამ ესაა ნამდვილი, დედნისეული გაგება თუ შემთხვევითი დამთხვევა, — ამას შემდგომი კვლევა სჭირდება. საქმე ის არის, რომ მოქმედებითი ბრუნვისათვის ინსტრუმენტალისის ფუნქცია მხოლოდით რიცხვში ჩვეულებრივი ამბავია, ოღონდ ეგვე ვრცელდება მრავლობით რიცხვში თუ არა, — ჯერჯერობით შესწავლილი არ არის<sup>46</sup>. სანამ ძველი ქართულის, კერძოდ, რუსთველის ეპოქის ძეგლებში, არ დადასტურდება —თათ ბრუნვის ფორმები ინსტრუმენტალისის ფუნქციით, მანამ პოემის 84.4-ე და 1422.2-ე სტროფებში მისი პირველადობის აღიარება სამართლიანი არ იქნება. აქ კი უნდა აღინიშნოს, ბევრად უფრო ნათლად, ვიდრე „ვეფხისტყაოსანში“, —თათ ბრუნვის ფორმა ინსტრუმენტალისის ფუნქციით იხმარება ხატაელთა ამბავში:

„გარდაუკონა პირი და ბაგეთა ვარდი თხელები,  
ვარდსა დაუტყლუეს ბ ა გ ე თ ა თ, გახდა ალვისა მთხელები,  
დარეჯანს ეტყვის: «რალა ვთქვათ სიტყვები ბელით ხელები?  
ჩვენ ყოვლთა გემართებს ნეტარძი ათასი, არ ერთხელები!» (1629).

„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,  
ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს,  
ბრძანებისა შემცილენი მათთა ხ რ მ ა ლ თ ა თ  
და-ვე-წყულდეს,  
მოიმატეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორჭმულდეს“ (1663).

აქაც არის ვარიანტები „ბაგეთა“ და „ხრმალთა“, მაგრამ ისინი არც ერთი გაგებით არ შეესაბამებიან თავიანთ კონტექსტებს. აღნიშნული სიტყვები მოყვანილ სტრიქონებში თავსდებიან მხოლოდ ინსტრუმენტალისის გაგებით. მეორე საკითხია, თავდაპი-

<sup>46</sup> მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციის შესახებ იხ.: დ. ჭ ა ნ ტ უ რ ი ა, მოქმედებითი ბრუნვის ზოგიერთი ფუნქციისათვის ძველ ქართულში, კრებული: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, გვ. 409; თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, იგივე კრებული, გვ. 413-420; ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული წიგნი, გვ. 198-268, 721-730.

რველად ეს სიტყვები მხოლოდით რიცხვში იღვანე თუ მრავლობითში? ხელნაწერთა რედაქციული მონაცემები გვიჩვენებს, რომ პირველადი უნდა იყოს სწორედ მრავლობითი.

განსაკუთრებით რთული ვითარება გვაქვს 1102.3-ე და 1214.4-ე სტროფებში:

„ესე თქვა და კაცმან წვერთა მოიზიდნა, გავლნა კარნი, ფატმან შექმნა თავსა ცემა, ღაწვნი ესხნეს ნახოკარნი; ცრემლთა მ ი ს თ ა /თ შეეყარნეს, წყაროსაებრ ისმნეს წყარნი; თქვა: «დამქოლეთ, მოდით, ქვითა, მომადეგით მომაკარნი!» (1102).

„ფატმან იტყვის: «მომეშორვა მზე, მნათობი სრულად ხმელთა, სიცოცხლე და სულ-დგმულობა, მონაგები ჩემთა ხელთა; მას უკანით გაუწყვედლად დება მჭირდის ცეცხლთა ცხელთა, ვერ გავახში წყარო ცრემლთა თ ვ ა ლ თ ა /თ ჩემთა გადამღვრელთა“ (1214).

დასმული საკითხის კვლევას ამ სტროფებში ის ართულებს, რომ ბუნდოვანია და გაუმართავი თვით ის სტრიქონები, რომლებშიაც საძიებელი ფორმის სიტყვები შედის. 1102.3-ე სტროფში სულერთია, „მისთა“ იქნება თუ „მისთათ“, გამოთქმა „ცრემლთა მ ი ს თ ა /თ შეეყარნეს...“ ყოველნაირად მიუღებელია. თუ აქ არის პოეტური ლიცენცია და იგულისხმება „ცრემლთა მ ი ს თ ა შეეყარნეს (სისხლნი) ან (თაფნი)“, მაშინ უნდა, რასაკვირველია, „მ ი ს თ ა“. „მ ი ს თ ა თ“ მხოლოდ მაშინ იქნებოდა გამართლებული, და, ისიც პოეტური ლიცენციის გაგებით, თუ „შეეყარნეს“ ნაცვლად ეწერებოდა ან იგულისხმებოდა „შეიყარნეს“. მაგალითად, ასეთი შინაარსით: *მ ი ს ი ც რ ე მ ლ ე ბ ი დ ა ნ შეიყარნეს (გუბნი)* და ა. შ.

1214.4-ე სტროფის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: თუკი დაუშვებთ, რომ პოეტმა „გადამღვრელთა“ (აქტიური ფორმა) იხმარა რითმის გამო, ხოლო სინამდვილეში იგი უნდა გავიგოთ პასიური ფორმით – „გადმოღვრილთა“, მაშინ სავსებით მისაღებია და კონტექსტს ყველაზე უფრო შეესაბამება „თვალთათ“ გამოსვლითი ფუნქციით: *ვერ გავახმე (დავაშრე) ჩემი თ ვ ა ლ ე ბ ი*



და ნ გ ა დ მ ო ლ ვ რ ი ლ ი ც რ ე მ ლ ე ბ ი ს წყ ა რ ო . ამ სტრუქტურაში „თვალთათ“ ფორმა იმ შემთხვევაშიაც გამართლებული იქნება, თუ პოეტურ ლიცენციად მივიღებთ არა სიტყვას „გადამღვრელთა“, არამედ – „წყაროს“. რომ პოეტმა ეს სიტყვა მარცვლისა და რითმის გამო იხმარა მხოლოდით რიცხვში და არა მრავლობითში („წყარონი“), როგორც ამას მოითხოვს „გადამღვრელთა“ სიტყვასთან მისი შეთანხმება. ამ გაგებით შინაარსი იქნება: *ვერ გავახმე ჩემი თ ვ ა ლ ე ბ ი დ ა ნ ც რ ე მ ლ ე ბ ი ს გა დ ა მ ღ ვ რ ე ლ ნ ი წყ ა რ ო ნ ი .*

აქ ერთი გარემოება კიდევ არის აღსანიშნავი: „ვეფხისტყაოსანში“ და, საერთოდ, ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, რომლებიც ჩვენ შევისწავლეთ, ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულთან, – სულერთია, იგი პრეპოზიციული წყობით იქნება თუ პოსტპოზიციურით, – –თათ დაბოლოებას ჩვეულებრივ ღებულობს ბოლოს მდგომი სიტყვა. აქ კი ის მოუდის პირველ სიტყვას. თუმცა აქა-იქ, ზოგიერთ თხზულებაში, უფრო სწორად, ზოგიერთ ხელნაწერში –თათ დაბოლოება წინა მდგომ სიტყვასაც ერთვის. არის ბრუნვაში სრული შეთანხმების მაგალითებიც. მაგრამ, ვიმეორებთ, ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათია. ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულში ონიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვის დროს სინტაქსური კავშირი ჯერჯერობით შესწავლილი არ არის. ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ 1214.4-ე სტროფში –თათ დაბოლოების რაობის შესახებ გადაჭრით რაიმეს თქმა მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვევა. ამჯერად პოემის აღნიშნულ სტროფში ონიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვის რუსთველურობის თაობაზე მხოლოდ ეჭვის გამოთქმა შეიძლება.

ახლა მოკლედ –თათ ფორმის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართსა და დანართ სტროფებში.

პოემის ჩანართსა და დანართებში ჩვეულებრივი მოვლენაა გაუმართავი და ბუნდოვანი ფრაზები. სამწუხაროდ, ასეთივე გაუმართავი და ბუნდოვანია პოემის იმ ჩანართ-დანართების სტროფთა ფრაზების უმრავლესობა, სადაც –თათ დაბოლოებიანი სიტყვები დასტურდება:

„აწყა დავიწყით ამბავი მის ხელმწიფისა ზენისა:  
არაბეთს როსტენ პატრონი, მპყრობელი სპა-მოსპენისა,  
მას ესვა ქალი მნათობი თ ვ ა ლ თ ა /თ თუთია დენისა,  
შემხედთა სულის წამლები, ვერ მხედთა ამაგ ზენისა“ (43).

„შერმადინ უთხრა: «მართალ ხართ, თუ ცრემლსა თ ვ ა ლ თ ა /თ  
დაკმეილდეთ,  
მაგრა გიჯობს, რომე მისსა ბრძანებასა დაემორჩილდეთ;  
არა გავერყნათ სამსახური, მის წინაშე არ დავსწიბილდეთ,  
ცხადად გვიჩნდეს სიხარული, სიმძიმელსა გარდავსცილდეთ»“ (247).

ამ ჩანართ სტროფებში ძნელია იმის მტკიცება, თუ რამდენად შეესაბამება ან ეწინააღმდეგება აღნიშნული ფორმა მოცემულ კონტექსტებს. ჩვენი აზრით, საეხებით შესაძლებელია იგი გამოსვლითი შინაარსით ორივე შემთხვევაში დედნიესული იყოს.

ასევე ითქმის ხვარაზმელთა ამბის შესახებაც. იქ მისი პირველადობა კიდევ უფრო საეჭვოა:

„ჯავრნი ხვარაზმთა ჩვენზედა მით გარეშემო გუბია;  
ჩვენზედა სპანი იხმარნა, რაცა ალაში უბია,  
ვიხმნეთ ძმად-ფიცნი არაბთათ, მათი აბჯარი შუბია,  
ავთანდილს, ფრიდონს სურვილი ჰკლავს, ჩვენთვის თ ვ ა ლ თ ა  
/თ გუბია“ (1909).

„კვლა მოიკითხეს ასმათი, ნამსახური და ხლებული;  
«ღმერთსამც მალლი აქვს, არ ვნახეთ ტარიელ თ ვ ა ლ თ ა თ  
ლებული;  
მოვასხით, ზედ დავაყენოთ მკურნალნი ხელოვნებული.  
აღრე ვჰკურნებთო, იტყვიან, ამას ვართ იმედებული»“ (1943).

ამ სტროფებში ხაზგასმული სიტყვები რა გაგებითაც უნდა მივიღოთ, ფრაზა ყოველნაირად გაუმართავია<sup>47</sup>. კონტექსტს

---

<sup>47</sup> არაფერს ვამბობთ ვარიანტების შესახებ, რადგან ისინი აშკარად სწორების შედეგია.

თითქოს უფრო ესადაგება „თვალთა“ მიცემითი ბრუნვის გაგებით: აეთანდილსა და ფრიდონს ჩვენთვის თ ვ ა ლ ე ბ შ ი (ცრემლთა) გუბე (აქეს) და მადლობა ღმერთს, არ ვნახეთ ტარიელი თ ვ ა ლ ე ბ ზ ე ლებული (დაღურჯებული). მაგრამ, ვეფქრობთ, არც ის არის გამორიცხული, ავტორს აღნიშნული სიტყვა ორივეგან გამოსვლითი ბრუნვით ეხმარა (თვალთათ), მაგალითად, ამგვარი გაგებით: აეთანდილსა და ფრიდონს ჩვენთვის თ ვ ა ლ ე ბ ი დ ა ნ (მონადენი ცრემლების) გუბე (აქეს დაყენებული) და მადლობა ღმერთს, არ ვნახეთ ტარიელი თ ვ ა ლ ე ბ ი დ ა ნ (მონადენი ცრემლებით) დაღურჯებული.

ხვარაზმელთა ამბის სხვა შემთხვევებში გამოსვლითი ბრუნვის შინაარსი უფრო რეალური ჩანს. იგივე უნდა ითქვას ტარიელის ანდერძის შესახებაც.

ხატაელთა ამბავში -თათ ფორმა ორჯერ გვხვდება: 1629-ე სტროფში „ბაგეთათ“ და 1663-ე სტროფში „ხრმალთათ“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორივე ადგილას ეს სიტყვები კონტექსტს ყველაზე მეტად ერგება ინსტრუმენტალისის გაგებით, სულერთია, ისინი მრავლობით რიცხვში იქნებიან დასმული თუ მხოლობითში. უკეთესი ხელნაწერები უფრო მხარს უჭერენ მრავლობით რიცხვს.

ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივად არც ხატაელთა ამბავია უზადო. გრამატიკული და სტილისტური დარღვევა აქაც ბევრია. თუ ამას გავითვალისწინებთ, შეუძლებელი არ იქნება დაეუშვათ, რომ აღნიშნული სიტყვები ხატაელთა ამბის ავტორს -თათ დაბოლოებით გამოსვლითი შინაარსითაც ეხმარა: ბ ა გ ე ე ბ ი დ ა ნ ვარდს (ლოყებს ან თვით ბაგებს) დაუტყლოეს (დაუჭყლოეს, დაუყეყავს). მეორე შემთხვევაში: ბრძანების შეძცილენი მათი ხ მ ლ ე ბ ი დ ა ნ ე ე დაწყულულდეს. ვიმეორებთ, ასეთი გაგება ძალიან ხელოვნურია, მაგრამ გამორიცხული არაა. უფრო სარწმუნო კი არის, აღნიშნული სიტყვები ნახმარი იყოს ინსტრუმენტალისის ფუნქციით.

ამით დამთავრდა „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებში იმ სიტყვა-თა განხილვა, რომლებსაც ხელნაწერები -თათ დაბოლოებით

წარმოგვიდგენენ<sup>48</sup>. საკითხავია, ზომ არ არის კიდეც ამავე თხზუ-  
ლებაში შიანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა დედ-  
ნისეული, რომლებიც პოემის მოღწეულ ხელნაწერებში სათანა-  
დოდ არ ასახულა და აღდგენას საჭიროებს?

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ გამოცემაში აქა-იქ იკითხება -  
თათ დაბოლოებიანი სიტყვები, რომლებიც ამგვარი სახით არც  
ერთ ხელნაწერში არ დასტურდება. ესენია:

64 გ. თეთრთა კ ბ ი ლ თ ა /თ გამომკრთალსა შუქსა ველთა  
მოაფენდა.

კბილთათ კარ<sup>2</sup> აბ ჭ 37 51 ინ 57 წ 66 2-3.

787 დ. ამას ზედა იტირებდი, დაიდებდი თ ვ ა ლ თ ა/თ  
მილსა.

თვალთათ ჭ.

1140 გ. ბროლ-ლალსა ღვარი ნ ა რ გ ი ს თ ა/თ მოსდის  
გიშრისა ღართა.

ნარგისთათ 51 ინ 57 წ 66 2-3.

დ. აღარა ვსტირთ სატირალსა, აღარ დავსდებთ თ ვ ა ლ თ  
ა/თ მილსა.

---

<sup>48</sup> როგორც ვნახეთ, პოემის ხელნაწერებში ეს ბრუნვა წარმოდგენილია  
დ-ის გარეშე (-თათ). ასეთივე გამარტივებული სახითაა ეს ბრუნვა  
მოცემული ე. წ. აღორძინების ხანის ძეგლებში და ბევრ აღრინდელი  
ძეგლის ამავე ხანის ხელნაწერებში, განსაკუთრებით, საერო ხასიათის  
თხზულებებში. ძველ და უფრო საეკლესიო ნაწარმოებებში, როგორც წესი,  
მას ახლავს დ (-თადთ). „ვეფხისტყაოსანში“ აღნიშნული ფორმა დ-ით უნდა  
დაიწეროს თუ გამარტივებული სახით, - ეს საკითხი შიანიანი მრავლობითის  
მოქმედებითი ბრუნვისათვის ცალკე ვერ გადაწყდება. იგი უკავშირდება,  
საერთოდ, პოემის ორთოგრაფიის ძირითად საკითხებს და, კერძოდ,  
„ვეფხისტყაოსანში“ დ-ის ხმარების სხვა შემთხვევებს, რაც, თავის მხრივ,  
დაკავშირებულია XII საუკუნის პოეტურ ქმნილებათა ორთოგრაფიის  
შესწავლასთან. სანამ ყოველივე ეს არ დამუშავებულა, მანამ პირობითად,  
ხელნაწერთა მონაცემების თანახმად, „ვეფხისტყაოსანში“ შესაძლებელია  
მივიღოთ -თათ ფორმა გამარტივებული სახით.

თვალთათ ჭ.

ა. ტარიელს უგავს სიცილი ბროლისა ვ ა რ დ თ ა / თ  
ფრქვევასა.

ვარდთათ ჭ 37 51 ინ 57.

მიხეილ წერეთლის მიერ გამოსაცემად მომზადებულ ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტშია დაცული, -თათ დაბოლოებით არის აგრეთვე წარმოდგენილი „თვალთა“ 110.1 სტროფში:

„მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თ ვ ა ლ თ ა თ ცრემლნი მოიზონა“.

ამ სტროფებში აღნიშნული სიტყვები გამოსვლითი ბრუნვის შინაარსით კონტექსტისათვის უცხო, მართლაც, არ არის, განსაკუთრებით 64.3-ე და 1140.3 სტროფებში, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ საძიებელი გრამატიკული ფორმა რომელიმე მათგანისათვის უცილობელი იყოს. გამოყოფილი სიტყვები მოცემულ კონტექსტებს თავისუფლად (ზოგი კიდევ უფრო მეტად) ეწყობა ნათესაობითი (სტრ. 64.3, 1140.3, 1566.1) და მიცემითი ბრუნვის (სტრ. 110.1, 787.4, 1459.4) გაგებით.

მსგავსი შემთხვევები „ვეფხისტყაოსანში“ სხვაც ბევრია. ჩვენი აზრით, როდესაც თანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა კონტექსტისათვის აუცილებელი არაა და მას არც იცავს რომელიმე ხელნაწერი, ამ შემთხვევებში ტექსტში მისი შეტანა გამართლებული არ არის. ასევე უნდა იქნეს შეფასებული -თათ დაბოლოების აღდგენა მოყვანილ სტროფებშიაც.

თუ ყოველივე ზემოთ თქმულს თავს მოუყრით, დასკვნების სახით უნდა ითქვას:

1. „ვეფხისტყაოსანში“ თანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა გამოსვლითი ფუნქციით, საზოგადოდ, ავტორისეული მოვლენაა. ა) ასეა: 129.3-ე, 160.2, 630.4, 949,3, 953.4, 1146.3-ე და 1176.1-ე სტროფებში. ბ) დედნისეული უნდა იყოს აგრეთვე 136.4-ე, 405.2, 651.2, 723.2, 1212.3, 1310.4, 1320.3, 1339.3, 1448.4, 1456.4-ე და 1461.1-ე სტროფებში.

2. საკითხი ისტორიული თვალსაზრისით შემდგომ კვლევას მოითხოვს, ადვილი შესაძლებელია კი თათ-იანი ბრუნვა ინსტრუმენტალისის ფუნქციით დედნისეული იყოს 84.4-ე და 1422.2-ე სტროფებში. იგივე ვითარება უნდა გვექონდეს ხატაელთა ამბის 1629.2-ე და 1663.3-ე სტროფებში.

3. მთლიანი სტრიქონებია ბუნდოვანი და ამის გამო -თათ დაბოლოების დედნისეულობის საკითხი გაურკვეველია 1102.3-ე და 1214.4-ე სტროფებში.

4. -თათ ფორმა პოემის ხელნაწერების გადამწერ-რედაქტორთა ნახელავი უნდა იყოს 77.2-ე, 89.4, 376.2, 411.3, .3, 5 9.3, 967.2, 986.2, 995.3, 1016.1, 1135.1 და 1353.4-ე სტროფებში.

5. „ვეფხისტყაოსანში“, სადაც თათ-იანი ბრუნვა ხელნაწერებით არ დასტურდება, მისი აღდგენა არ არის საჭირო.

6. „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართთა, ხვარაზმელთა ამბისა და ტარიელის ანდერძის ხელნაწერებით დამოწმებულ სტროფებში - თათ ფორმა გამოსვლითი ფუნქციით ყველგან დედნისეული უნდა იყოს. საეჭვოა მხოლოდ ხვარაზმელთა ამბის 1909.4-ე და 1943.2-ე სტროფებში.

მ ე ო რ ე თ ა ვ ი  
„ვეფხისტყაოსნის ბიბლიასთან  
მიმართების საკითხები

შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის კვლევა-ძიებას რუსთველოლოგიაში თავიდანვე (ვახტანგ მეექვსიდან დაწყებული) და შემდგომ მუდამ განსაკუთრებული და შეუწელებელი ყურადღება ექცეოდა და ექცევა. ცნობილია, რომ ამ მხრივ უამრავი ერთმანეთის საპირისპირო და საკმაოდ ხშირად კურიოზული შეხედულებაც გამოთქმულა. ამჟამად ცალკეული გამოკვლევების, უფრო კი კორნელი კეკელიძისა და ვიკტორ ნოზაძის ნაშრომების შედეგად მტკიცედ არის დადგენილი, რომ გენიოსი შოთა ქრისტიანულ გარემოში, ქრისტიანულ კულტურაზე აღზრდილი და ამ რელიგიური აღმსარებლობის მქონე პიროვნებაა. მაგრამ, ამავე დროს, ისიც თვალნათლივია, იგი ამ რელიგიის პრინციპული, დოგმატური შეხედულებების გამზიარებელი და მქადაგებელი არ არის. უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „სამება“ სახელდებით არსად იხსენიება. არსად ჩანს არც განკაცებული და ჯვარცმული ღმერთი, არც ღვთისმშობელი, არც ჯვარი და არც ათი მცნება. პოემა ისეა დაწერილი, რომ მასში ყველა რელიგიის მიმდევარი თავის ღმერთს დაინახავს. ამდენად, ეს მსოფლიო შედევრი თავისი რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისითაც მსოფლიოს ყველა დროის, ყველა რელიგიური მრწამსის ცივილიზებული ადამიანისათვის მიმზიდველი და მისაღები იყო და არის.

ასე რომ, „ვეფხისტყაოსანში“ ქრისტიანობის კვლევა-ძიება და მიგნება არასდროს ყოფილა იოლი საქმე და ასე რჩება დღესაც, მიუხედავად იმისა, რუსთველის რელიგიურ-მსოფლმხედველობის ძირეული და ამოსავალი დებულება, მისი ქრისტიანობა, საკამათო და საჭოჭმანო აღარ არის.

სამწუხაროდ, დღეს რუსთველოვიაში ეს საქმე ძალიან გაიოლებულია და ხშირად ამ პრობლემისადმი მეცნიერულ მიდგომას შიშველი რწმენა ენაცვლება!...

## „მარგალიტის“ ერთი სიმბოლური მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანში“<sup>1</sup>

„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმი „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად!“ რამდენიმეჯერ იყო რუსთველოლოგთა მსჯელობისა და განხილვის საგანი. იგი ცილობას იწვევს ტექსტის როგორც დადგენის, ისე გაგების მხრივ.

ამ შეგონებას ავთანდილი ეუბნება შერმადინს უცხო მოყმის საძებრად წასვლის წინ. როდესაც ავთანდილმა „გამზრდელი მისი შერმადინ დაისვა საკაზიროსა“<sup>2</sup> (150.4), გაანლო თავისი საიდუმლო, რომ მიემგზავრება „ძებნად მის ყმისა დაკარგულისა“ (154.1) და ავალებს - „ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა“-ო (156.3), „თანა-შეზრდილი, ერთგული და მისთვის თავ-დადებული“ (151.2) შერმადინი დიდად შეწუხდა. ხიფათიან გზაზე პატრონის მარტოკა გაშვება უჭირს და ევედრება:

„სჯობს ორნივე დავიკარგეთ, წამოგყვები, წამიტანე!“ (162,4).

---

<sup>1</sup> ამ მხრივ ზოგიერთი ნიმუში ნაჩვენები გვაქვს ჩვენს წიგნში: „უეციობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოვიაში“ (2008). ამასვე ვეხებით ქვემოთ, მეოთხე თავში.

<sup>2</sup> წაკითხულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოსა და რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1985 წლის 25 დეკემბერს. დაბეჭდილია თეზისები (გვ. 17). მთლიანად გამოქვეყნდა წიგნში: შოთა რუსთაველი, სამეცნიერო შრომების კრებული, I, 2000, გვ. 132-153.

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, სტროფთა სათვალავი დამოწმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად ა. შ ა ნ ი ძ ი ს ა და ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, I, თბ., 1966.



მაშინ ავთანდილმა „ყოელთა პატრონ-ყმათასა“ „უმოყვრეს“ „მონას“, შერმადინს, აუხსნა და დაუსაბუთა, რომ მისი შინ დატოვება აუცილებელი გარემოებებითაა გაპირობებული. კერძოდ, არავინ ეგულება ისეთი, საქმეებს მასავით რომ გაუძღვება:

„უშენოსა პატრონობა ვის მივანდო, ვინ ქნას კარგა?...“ (164.2).

ხოლო გაყოლა არავითარ შედეგს არ იძლევა:

„განგებაა, სწორად მოკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი;  
მარტოება ვერას მიზამს, მცაეს თუ ცისა ძალთა დასი...“ (165.1-2).

ერთი და უპირველესი მიზეზი გაყოლაზე უარის თქმისა ჩვენთვის საინტერესო აფორიზმის შემცველ სტროფშია დასახელებული:

„ყმამან უთხრა: მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად;  
რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად.  
მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად.  
კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“ (163).

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ აფორიზმს და, საერთოდ, ამ სტროფს პირველად ვახტანგ მეექვსე შეეხო. მან, თანახმად პოემის სიყვარულის მისეული ახსნისა, ეს სტროფიც ქრისტიანული მისტიკური ალეგორიის გამოხატულებად მიიჩნია და „მარგალიტი“ ც ა თ ა ს ა ს უ ფ ე ვ ლ ი ს მნიშვნელობით განმარტა. მისი სიტყვებია: „ამას იგავსავით ეუბნება: ქ რ ი ს ტ- ე ს ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ს მ ა რ გ ა ლ ი ტ ს უ დ რ ი ს და ამას ამბობს, ის ამ სოფლის გაუჭრელად არ იშოვებაო. მარტო უნდა გაჭრა ს ა ს უ ფ ე ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს. ვითამ ცოლ-ქმრობა რომ უცოდველია, მეც ამ მარგალიტისათვის მარტო გაეიჭრებიო. ბოლოს ამბობს: სიცრუე და ღალატობა არც სამღვთოსა და არც საეროში არ ვარგა, თუ არ ლახვრით დასაჭრელად“<sup>3</sup>.

<sup>3</sup> შ ო თ ა რ უ ს თ ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა, 1712 წ., აღდგენილია ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ 1937 წ., ფო-

თანამედროვე რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ვახტანგის ამ განმარტებას ანგარიში აღარ ეწევა. ჩანს, იგი ისევე იქნა შეფასებული და უარყოფილი, როგორც, საზოგადოდ, მისი თვალსაზრისი პოემაში ასახული სიყვარულის თეოლოგიური ალეგორიულობის შესახებ<sup>4</sup>.

ბოლოდროინდელი გამოკვლევებით, ამ აფორიზმის გენეზისისა და მისი შინაარსის გაშიფრვისას ეყრდნობიან რეალურ ვითარებას, რომელიც მარგალიტის მოპოვებას უკავშირდება.

ეს სტროფი და აფორიზმი 1961 წლის 3 ივლისს ვრცლად განიხილა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან არსებულმა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენმა კომისიამ<sup>5</sup>. წერილობითი მოხსენება გააკეთა ივანე გიგინეიშვილმა<sup>6</sup>, რომლის ტექსტი შევსებული სახით ორჯერ გამოქვეყნდა<sup>7</sup>.

---

ტორეპროდუქციული გამოცემა, თბ., 1975, გვ. ტიდ. პუნქტუაცია ჩვენია. და-  
ყოფა აქ და ქვემოთ, სადაც მითითება არ არის, ყველგან ჩვენია.

<sup>4</sup> უკანასკნელ ხანს ვახტანგ მეექვსის კონცეფცია „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულის ქრისტიანულ მისტიკურ-ალეგორიული გაგების თაობაზე გაიზიარა და მის დასაბუთებას ვრცელი წიგნი მიუძღვნა ზვიად გამსახურდიაშვილმა (ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1991). ეს თვალსაზრისი ასევე გაზიარებულია ამ წიგნის შემდეგ გამოსულ ბევრ ნაშრომში.

<sup>5</sup> ამ კომისიის მუშაობის შესახებ იხ.: ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, V, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თბ., 1986, გვ. 235-253.

<sup>6</sup> ამ სხდომის ოქმი, რომელიც შეადგინა მამია ებრალიძემ, ისე როგორც სხვა სხდომების ოქმები, ვითარცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, გადაეცა გიორგი წერეთელს და, ალბათ, მის პირად არქივში ინახება. ჩვენ კი პატივი გვქონდა, ამ სხდომებს დავსწრებოდით და ვიყენებთ მაშინდელ საკუთარ ჩანაწერებს.

<sup>7</sup> ივანე გიგინეიშვილი, სიტყვათა წყობის ზოგიერთი თავისებურება რუსთაველის ლექსში და მასთან დაკავშირებული საკითხები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა, საიუბილეო კრებული, ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძეს დაბადების სამოცდაათი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავზე, თბ., 1974, გვ. 71-102. გადაბეჭდილია წიგნში: ივ. გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის

ივ. გიგინეიშვილი თავის მოხსენებაში იძოწებოდა და ეყრნობოდა ილია აბულაძის გამოკვლევას „ვაჭარ“ სიტყვის შესახებ.

ილ. აბულაძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნულ სტროფში „უვაჭრელად“ უნდა ნიშნავდეს „გაუტანჯველად“, „თავის გაუწირველად“, „თავგანწირვის გარეშე“<sup>8</sup>. ის, გარდა პოემის კონტექსტისა, ეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ, მსგავსად სომხური ენისა, ძველ ქართულ ენაშიაც სიტყვები განვაჭრა, განფრდა და განწირვა ზოგჯერ სინონიმური მნიშვნელობით იხმარება. მაგალითად, მცხეთურ ბიბლიაში ერთ ადგილას იკითხება: „განვიფრდეთ მე და ერი ჩემი წარწყმედულად“<sup>9</sup>. იგივე ადგილი ოშკურ ბიბლიაში ასეა წარმოდგენილი: „განვიწირეთ მე და ნათესავი ჩემი საყცხელად“.

მისივე დამოწმებით, „ჰაბო ტფილელის წამებაში“ წერია: „ხოლო ცრუ მოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტკუვდ რომელნიმე რეცა სიტკუთა ლიქნისაჲთა: შვილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განვაჭრე ქრისტიანედ და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განემორბები, რაჲთა არა შეამთხვო ძვრი თავსა შენსა და შეგუაწუსნე ჩუენ უოველნი“<sup>10</sup>.

---

კრიტიკის საკითხის შესახებ, თბ., 1975, გვ. 335-377. ქვემოთ გვერდები მითითებულია ამ უკანასკნელი გამოცემის მიხედვით.

<sup>8</sup> ილ. აბულაძის ეს მოსაზრება მოგვეყვას ივ. გიგინეიშვილის დასახელებული (გვ. 46-47, 369-370) და გ. წერეთლის დამოწმებული („მნათობი“, № 962, № 2, გვ. 131) ნაშრომების მიხედვით. იხ. აგრეთვე: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, სიტყვებზე: განფრდა, განფრდილი, განწირვა და სხვა.

<sup>9</sup> მცხეთური ხელნაწერი (ტობის, ივლითის, ესთერის, იობის წიგნები, ფსალმუნის, იგავთა წიგნი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1983, ესთერ, 7.4.

<sup>10</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბუჯდავად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 66.

ამ მაგალითების მიხედვით, ილ. აბულაძე აღგენდა, რომ „განვაჭრა“ სიტყვას ძველ ქართულში შეესაბამება მნიშვნელობები: განწირვა, გატანჯვა, გაწვალება, გაწამება.

1961 წლის 16 სექტემბერს „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომაზე 1961 წლის 3 ივლისის სხდომის ოქმის განხილვა-დამტკიცებისას ილ. აბულაძემ აღნიშნა, რომ სიტყვა „ვაჭარი“ სომხურსა და ქართულში შემოსული ჩანს ფალაურიდან. სომხურიდან ქართულად ნათარგმნ ძეგლებში ამ სიტყვას ენაცვლება ოთხი სიტყვა: განყიდვა, განფრდა, განწირვა, მუქთი. აქედან ის ასკენიდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ საანალიზო სტროფში „უვაჭრელად“ შეიძლება ნიშნავდეს - „მუქთად“.

ივ. გიგინეიშვილმა ახალი მაგალითებით დაადასტურა ილ. აბულაძის თვალსაზრისი „ვაჭრობა“ სიტყვის მნიშვნელობათა შესახებ (გვ. 47-50). ამავე დროს, აჩვენა, რომ ძველ ქართულ მწერლობაში ფართოდ არის გამოთქმა „უსასყიდლო მარგალიტი“. ავტორი მიუთითებს, რომ „უსასყიდლო“ ნიშნავს აგრეთვე „უფასო“-ს და ორივე სიტყვას „ქართულში ძველთაგანვე მეორე, გადატანითი მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი აღნიშნავდა მალღიან მვირფასს, ფასღაუღებელს, ფასის თქმა შეუძლებელს“ (გვ. 365). ამასთანავე, „ერთიც და მეორეც, უფასოც და უსასყიდლოც, ქართულში მსაზღვრელ სახელად არის გამოყენებული გარკვეული შეზღუდული წრის სიტყვებისათვის, როგორცაა: მარგალიტი, თვალღი, გუარღი (გოარღი, გვარღი), სპეკალი და ზოგი სხვა“ (გვ. 365).

თვით „უსასყიდლო მარგალიტი“ ძველ ქართულ მწერლობაში იხმარება გადატანითი მნიშვნელობით და დასახელებულია მაგალითები, სადაც იგი აღნიშნავს ფსალმუნს, იოსებ მშვენიერს, ღვთისმშობელს, მიემართება ქეთევან დედოფალს (გვ. 365-369).

ავტორის დასკვნით, „უველა შემთხვევაში ეს უპითეტი („უსასყიდლო მარგალიტი“ - ბ. დ.) გამოხატავს დიდი სიუვარულის, პატივისცემისა და მოწიწების გრძნობას მისამართი საგნისა თუ პიროვნებისადმი. სრულიად ასეთივე სურათია ვეფხისტყაოსნის საანალიზო სტ-

როფში, სადაც ეპითეტი უსასყიდლო მარგალიტი თინათინის ეკუთვნის“ (გვ. 369).

ამ მონაცემის საფუძველზე ივ. გიგინეიშვილმა სწორად მიიჩნია პოემის 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის წაკითხვა, სადაც „უსასყიდლო“ „ღ“-ს გარეშე, სახელობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი:

„მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლო, უვაჭრელად“<sup>11</sup> (სტრ. რდ)

ეს სიტყვა ამგვარივე (სახელობითის) სახით იკითხება რამდენიმე ხელნაწერსა და ზოგიერთ ადრინდელ გამოცემაში.

მაშასადამე, ივ. გიგინეიშვილის თვალსაზრისით, საანალიზო აფორიზმში „უსასყიდლო“ (სახელობითი ბრუნვის ფორმით) დედნიეულია და შესიტყვება „უსასყიდლო მარგალიტი“ არის ერთმანეთთან სიტყვებით დაშორებული შებრუნებული წყობის მსაზღვრელ-საზღვრული - „მარგალიტი... უსასყიდლო“. მკვლევარი სამაგალითოდ პოემის ამგვარივე წყობის მსაზღვრელ-საზღვრულის სხვა შემთხვევებსაც ასახელებს. მისი განსაზღვრით, აფორიზმის შინაარსია: „თუ თავი არ გაეწირე, ჭირი არ კნახე, ტანჯვა-წვალება არ განვიცადე, ისე უსასყიდლო მარგალიტი - თინათინის მოპოვების დირსი ვერ გავხდები“ (გვ. 371).

კომისიის უმრავლესობამ ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა<sup>12</sup>. აკაკი შანიძემ აღნიშნა: აქ რომ მსაზღვრელ-საზღვრული იყოს, ტექსტში იქნებოდა „უსასყიდლო მარგალიტი არვის მიხვდეს უვაჭრელად“ ან „მარგალიტი უსასყიდლო არვის მიხვდეს უვაჭრელად“ და არა ისე გადასმულად, როგორც ახლა გვაქვს.

ალექსანდრე ბარამიძემ გამოთქმა „უსასყიდლოდ, უვაჭრელად“ სინონიმურ პარალელიზმად მიიჩნია, როგორც სხვა შემთხვევებშიაც საკმაოდ ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“.

---

<sup>11</sup> ვახტანგისეულ გამოცემაშია „უაჭრელად“. ივ. გიგინეიშვილი წერს: „უაჭრელად ერთი შეხედვით შეცდომა ჩანს, მაგრამ სავსებით შესაძლებელი ფორმაა და ერთ ძველ ხელნაწერშიაც გვხვდება (თარხანმოურავისეულში)“ - გვ. 362.

<sup>12</sup> შეადარე: ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., VII, თბ., 1978, გვ. 102-103.

ამ აფორიზმის შესახებ თავისი მოსაზრება გიორგი წერეთელმა ჩამოაყალიბა საგანგებო ნაშრომში - „ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“, რომელიც 1962 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა (№ 2, გვ. 125-138).

მანაც, რომელიც ეყრდნობოდა პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებსა და სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებებს, უკუაგლო ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის თვალსაზრისი და არსებითად იგივე არგუმენტები წარმოადგინა, რაც კომისიის სხდომაზე ითქვა<sup>13</sup>:

1. „ტექსტში რომ «უსასყიდლო მარგალიტზე» იუოს ლაპარაკი, მაშინ თანამიმდევრობა სხვა იქნებოდა: «მარგალიტი უსასყიდლო არვის მიჰხვდეს უვაჭრულად», რაც არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება. ამიტომ კომისიამ უპირატესობა მისცა სიტყვის დაწერილობას ვითარებით ბრუნვაში, რომელსაც საუკეთესო ხელნაწერთა უმრავლესობა იძლევა“ (გვ. 131).

2. „ილია აბულაძის აზრით, «უვაჭრულად» უნდა ნიშნავდეს «თავგანწირვის გარეშე» ... კომისია არ იზიარებს ამ მოსაზრებას, ვინაიდან «ვაჭრობა» რამდენჯერმე გვხვდება ვეფხისტყაოსნის ტექსტში, მაგრამ არც ერთხელ არაა ნახმარი «თავგანწირვის» მნიშვნელობით. თანაც, მარგალიტის შექმენისათვის აუცილებელი არაა თავგანწირვა“ (იქვე).

გ. წერეთელი აფორიზმის შინაარსს ასე აყალიბებს: „მარგალიტი არვის შეხვდება, მარგალიტს ვერავინ შეიძენს უსასყიდლოდ, უფასოდ, მუქთად; იმისათვის, რომ იგი შეიძინოს კაცმა, საჭიროა განსარჯოს (ივაჭროს) და საფასური, სასყიდელი გაიღოს“ (იქვე).

ივ. გიგინეიშვილმა, როცა თავისი ნაშრომი გამოაქვეყნა, პასუხი გასცა და არ მიიღო ეს საწინააღმდეგო მოსაზრებანი. უპირველესად ისინი დაიწუნა აფორიზმის კონტექსტთან მიმართების გამო. „რაც შეეხება გ. წერეთლის წერილში წარმოდგენილ

---

<sup>13</sup> გ. წერეთლის ამ ნაშრომის შესახებ იხ. ა. შანიძის დასახელებული წიგნი, გვ. 239-240.

კომენტარს ამ ტაქისას, - წერს მკვლევარი, - იგი არ შეეფერება სტროფის შინაარსს. სტროფის მეორე ტაქში ნათქვამია: «რა მიჯნური ველად რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად»; მეოთხეში - «ცრუ და მოღალატე ხამს ლახურითა დასაჭრელად». მესამე ტაქის - მარგალიტს ვერვინ შეიძენს უსასუილოდ, უფასოდ, მუქთად - ამას არ ეგუება. თანაც გაუგებარია, რას ნიშნავს უ ფ ა ს ო დ, უ ს ა ს ე ი დ ლ ო დ, მ უ ქ თ ა დ შეძენა. შეძენა შეიძლება მხოლოდ ფასის, სასუილის კაღებით» (გვ. 372-373).

ივ. გიგინეიშვილი გ. წერეთლისეულ განმარტებას უარყოფს იმ დამოკიდებულების გამოც, რასაც რუსთველი ვაჭართადმი ამჟღავნებს. იგი იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს - „თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი“ (1040.1), „აწ ნახეთ მთერალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი“ (1165.4), სადაც ვაჭრები უარყოფითად არიან მოხსენიებული, და აღნიშნავს: „რაც შეეხება ვაჭრობას, იგი აღმოსავლეთში შეიძლება მართლაც მეტად მძიმე და რთულ საქმედ ითვლებოდა, მაგრამ «ვეფხისტყაოსანში» გადმოცემული დამოკიდებულება ვაჭრებისადმი და ჰომეის ავტორის შეხედულება მათზე გამოირიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მას ავთანდილისათვის თინათინის შესახებ ვაჭრობასთან დაკავშირებული სიტყვები ეთქმევინებინა“ (გვ. 373).

კომისიის სხდომაზე ნათქვამის და გ. წერეთლის წერილში მოყვანილი არგუმენტების თაობაზე ივ. გიგინეიშვილი წერს: „ის ფაქტი, რომ რომელიმე წაკითხვას ხელნაწერთა უმრავლესობა უჭერს მხარს, არასკნით არ შეიძლება ამ წაკითხვის სისწორის დამატკიცებელ საბუთად გამოდგეს. გვაქვს აგრეთვე არაერთი შემთხვევა, როცა ხელნაწერთა დიდი უმრავლესობა, ზოგჯერ თითქმის ეველა ხელნაწერიც კი, ერთნაირ, მაგრამ უმართებულო წაკითხვას გვაწვდის, ხოლო ორიოდ (ზოგჯერ ერთადერთ) ხელნაწერს ერთადერთი მართებული წაკითხვა აქვს დაცული. ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა არც ერთ ხელნაწერს არა აქვს დაცული მართებული წაკითხვა“.

ნიმუშებად დასახელებულია რუსთველოლოგიაში კარგად ცნობილი კითხვა-სხვაობანი: ხელნაწერებშია ს ა ხ ი თ ა, ს ა რ ა-

თანისა, ხენია, უნდა იყოს - ხასითა, სარატანიისა, ჩხნდენია.

„საქმის ფაქტობრივ ვითარებას - განაგრძობს მკვლევარი, - არც ეს მოსაზრება შეესაბამება: ტექსტში რომ «უსასყიდლო მარგალიტზე» იყოს ლაპარაკი, მაშინ სიტყვათა თანამიმდევრობა სხვა იქნებოდაო... ჩვენ ზემოთ არაერთი მაგალითი განვიხილეთ ისეთი, როცა მსაზღვრელი ამკვარი სახით გადაადგილებულია. საანალიზო ტექნი (ჩვენი წაკითხვით) მსაზღვრელის გადასმის ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს“ (გვ. 373-374).

დასასრულს დამოწმებულია სპეციალური ლიტერატურა, სადაც ნაჩვენებია, „რომ მარგალიტის მოპოვება ეოველთვის უდიდეს რისკთან, თავგანწირვასთან და უდიდეს ფიზიკურ შრომასთან იყო დაკავშირებული“ (გვ. 374-376).

მაშინ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენმა კომისიამ ხმათა უმრავლესობით უარყო ივ. გიგინეიშვილისეული თვალსაზრისი, მაგრამ მანვე შემდგომ, საკმაოდ შეცვლილი შემადგენლობით, იგი მიიღო. პოემის 1988 წლის გამოცემაში, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერაა განხორციელებული, გვაქვს „უსასყიდლო“ (სახელობითი ბრუნვის ფორმა).

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები და მათ დასამტკიცებლად მოხმობილი თითქმის ყველა საბუთი თავისთავად სწორი და უტყუარია, მაგრამ, ჩვენი აზრით, საძიებელი აფორიზმის შინაარსის გარკვევისათვის გამოსადეგი არ არის. ვფიქრობთ, ამ აფორიზმს საფუძვლად უდევს არა სინამდვილე, რაც მარგალიტის შეძენითა თუ მოპოვებით განისაზღვრება, არამედ მარგალიტის სხვა, სიმბოლური მნიშვნელობა, რაც მას ქრისტიანულ თეოლოგიურ ლიტერატურაში აქვს.

ცნობილია, სიტყვა „მარგალიტი“ ძველად, მათ შორის ქართულ მწერლობაში, სხვადასხვა გადატანითი შინაარსით იხმარებოდა. როგორც ზემოთ მივეუთითეთ, ზოგიერთი მათგანი აღნიშნული აქვს ივ. გიგინეიშვილს. ვიკტორ ნოზაძე უჩვენებს



ს ი ლ ა მ ა ზ ი ს, ქ ა ლ წ უ ლ ო ბ ი ს, მ ე უ ლ ე ო ბ ი ს  
ნართაული შინაარსით გამოყენების შემთხვევებს<sup>14</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრჯერ არის აღნიშნული, რომ „მარგალიტი“ აგრეთვე ღვთის, ქრისტეს ეპითეტური სიმბოლური სახელია. თვით ილ. აბულაძე მიუთითებს, რომ ამგვარად არის იგი წარმოდგენილი ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ნაწარმოებში - იოვანე საბანის ძის „აბო თბილელის წამებაში“ და ნათარგმნ ძეგლში - ეპიფანე კვიპრელის თხზულებაში „აღვსებისათვის“<sup>15</sup>.

„აბო ტფილელის წამებაში“ ვკითხულობთ: „რამეთუ საძინელ და წმიდა არს და უოვლად ძლიერ და საკვრველ, და უფალ და უოვლისა მჰყრობელ არს სახელი მისი; ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწდომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა, არამედ უძღურებისა-მებრ ჩემისა და გულს-მოდგინებისა თქუენისა ვიწყო თხრობად თქუენდა, საუერულნო: კარ, გზა, ტარივ, მწუქმს, ლოდ, მ ა რ გ ა ლ ი ტ, უუაილ, ანკელოზ, კაც, ღმერთ, ნათელ, ქუეანა...“ და ა. შ. მერმე განმარტებულია, თუ რატომ მიიღო ღმერთმა ეს სახელები. „მარგალიტზე“ ნათქვამია: „მ ა რ გ ა ლ ი ტ ეწოდა, რამეთუ იგი ვითარცა მარგალიტი შორის ორთა მათ ფიცართა, სულისა და კორცთადასა, ღმრთეებით გამობრწყინდების, რომელსა ღ მ რ თ ი ს-მ ო უ უ ა რ ე ნ ი ი გ ი ვ ა ჯ ა რ ნ ი ს ა ს უ ფ ე ე ლ ი ს-ა ნ ი, ვითარცა ღმერთსა არა შიშუელსა და კაცსა არა ლიტონსა, არამედ ვითარცა ღმერთსა და კაცსა სარწმუნოებით ეძიებნ და მ ო ი ე-ი დ ი ა ნ მ ს ო ლ ო ს ა მ ა ს მ რ ა ვ ა ლ ს ა ს ე ი დ-ლ ი ს ა ს ა ს ო ფ ლ ი ს ა წ არ კ ე ბ ი თ ა და ს ის ხ ლ თ ა თ ვ ს თ ა ც ა და თსუეითა“<sup>16</sup>.

საყურადღებოა, რომ „მარგალიტის“ ამ სიმბოლური სახის განმარტებისას ვ ა ჯ ა რ ზ ე, ვ ა ჯ რ ო ბ ა ს ა და ყ ი დ ვ ა ზ ე არის საუბარი. მსგავსი ვითარება გვაქვს სხვაგანაც. აი,

14 ვ. ნ ო ზ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება, ბუენოს აირესი, 1953, გვ. 122-136.

<sup>15</sup> ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე, შრომები, III, თბ., 1982, გვ. 130-134.

<sup>16</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 52-53.

რამდენიმე ნიმუში ჰიმნოგრაფიიდან. ღვთისმშობლისადმი მიმართვაში ნათქვამია:

„მეუფისა საუნჯე ხარი შენ,  
დედოფალო დაბადებულთაო,  
რომელმან იტკრთე მარგალიტი წმიდამ,  
განმადიდრებელი ყოვლისა სოფლისაჲ,  
რამეთუ დიდებულ არს“<sup>17</sup>.

„მოვედით, მორწმუნენო,  
და ვადიდებდეთ ქალწულსა,  
მტკრთველსა მარგალიტისა  
სამეუფოჲსა,  
მრავლისა მას სასყიდლისასა,  
განვეიდნეთ მონაგებნი ჩუენი  
და იგი მოვიყილოთ განმადიდრებლად“ (იქვე, გვ. 158, № 296)

დავით გურამიშვილი:

„საყვარელო, სახით თქმულო უსასყიდლო მარგალიტო!  
ვის გადარო, ჩემთვის მკვდარო, მზევე, მზეთა-მზის მაგალითო!  
გევედრები, შემიბრალო, თავს მომჭრიან მანგალითო...“<sup>18</sup>

ერთი სტროფის შემდეგ პირდაპირ არის დასახელებული მიმართვის ობიექტი - ქრისტე:

„შენ, იესო, მწყემსო ჩვენო, ჩვენთვის სისხლის დამანთხეო!...“

„მარგალიტით“ გამოხატულია მოციქულები. იოვანეს გამოცხადებაში“ წერია: „და ათორმეტნი ბჭენი იყვნეს ათორმეტთა

---

<sup>17</sup> ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1971, გვ. 61 (№ 61), იხ. აგრეთვე: გვ. 7 (№ 9) და სხვა.

<sup>18</sup> დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 73, სტრ. 334.1-3.

მარგალიტისანი, თითოეული ბჭყ - ერთისა და ერთისა მარგალიტისად“ (21.21).

ანდრია კესარია-კაბადუციელი განმარტავს: „ვერეთე ქ რ ი ს-ტ უ ს მ ო ც ი ქ უ ლ ნ ი მ ა რ გ ა ლ ი ტ ნ ი არიან ერთისა მის მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ს ა ქ რ ი ს ტ უ ს გ ა ნ განშუენებულნი“<sup>19</sup>.

როგორც ვხედავთ, მოციქულებთან ერთად აქაც მარგალიტად ქრისტეა დასახელებული. ეს სახელი მოციქულებს ქრისტეს მეოხებით აქვთ მინიჭებული.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ „მარგალიტის“ სხვა მნიშვნელობებზე. პირდაპირ გადავალთ ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობის განხილვაზე.

კარგად არის ცნობილი, რომ „მარგალიტი“ ერთ-ერთი სიმბოლური სახელია ც ა თ ა ს ა ს უ ფ ე ვ ლ ი ს ა. როგორც მივუთითეთ, ეს არის ნათქვამი ვახტანგ მეექვსის დამოწმებულ სიტყვებში. ასევეა აღნიშნული თანამედროვე გამოკვლევებში, სახელდობრ, ლაურა გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ს ნაშრომში - „დროისა და სივრცის პოეტიკისათვის ქართულ ჰიმნოგრაფიაში (ათონელ მოღვაწეთა პოეზიის მიხედვით)“<sup>20</sup>.

ისიც ცნობილია, რომ ეს სიმბოლური სახე მომდინარეობს სახარებიდან, სადაც იგავურად მოთხრობილია, თუ როგორ უნდა მოვიაზროთ და წარმოვიდგინოთ, რას უნდა ვამსგავსოთ ცათა სასუფეველი, სამოთხე. ერთ-ერთ იგავში ვკითხულობთ: „ქრძე: მ ს გ ა ვ ს ა რ ს ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ც ა თ ა დ კ ა ც ს ა ვ ა ჭ ა რ ს ა, რომელი ეძიებნ კეთილთა მ ა რ გ ა-ლ ი ტ თ ა და ჰოვის რად ერთი მ ა რ გ ა ლ ი ტ ი მ რ ა-ვ ა ლ-ს ა ს უ ი დ ლ ი ს ა დ, წარვიდა და გ ა ნ უ ი დ ა

<sup>19</sup> იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანები, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილ-მ ა ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, წიგნში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ., 1961, გვ. 109-110.

<sup>20</sup> ივირონი-1000, თბ., 1983, გვ. 111-112.

ყოველივე, რადცა ედვა, და მ ო ი ე ი დ ა ი გი“ (მათე, 13.45-46).

ზოგიერთი გაგებით, აქაც „მარგალიტი“ ქრისტეა. მაგალითად, აპოკრიფულ კრებულში „მარგალიტი“ ვკითხულობთ: „იგავი: მსგავს არს სასუფეველი ცათა ვაჭარსა, რომელნი ე მ ი ე ბ ე ნ კეთილთა მ ა რ გ ა ლ ი ტ თ ა და ჰპოვა ერთი მ რ ა ვ ა ლ ს ა ს ე ი დ ლ ი ს ა. ვინ არს ვაჭარი იგი? - წმიდა მოციქული ჰაუღე. ვ ი ნ ა რ ს მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ი გ ი მ რ ა ვ ა ლ ს ა ს ე ი დ ლ ი ს ა? - უ ჟ ა ლ ი ჩ უ ე ნ ი ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე“ (A 1064, გვ. 77r; A 1369, გვ. 151r; H 1296, გვ. 204; S 3529, გვ. 11).

სასუფეველის მნიშვნელობით „მარგალიტი“ ძველ ქართულ მწერლობაში ბევრჯერ გვხვდება. რამდენიმე ივ. გიგინეიშვილისა და ლ. გრიგოლაშვილის დასახელებულ გამოკვლევებშიაც არის მოყვანილი.

იოვანე ზედაზნელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „ენება წმიდასა მამასა ჩუენსა იოვანეს, რადთამცა მარტოდ იყოფოდა, წადიერ იყო თვისსა საუოფლად ქალაქსა მას, რომლისა ხუროთმოძღვარ და შემოქმედ ღმერთი არს, ზ ე ც ი ს ა ი ე რ უ ს ა ლ ე მ ს, განმცხრომელსა მათ თანა დღესასწაულსა შერთვად კეთილთა ვ ა ჭ ა რ თ ა ზ ე ც ი ს ა მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ს ა მემიებელი. აქა მოიკუდინა თავი თვისი, რა[დ]თა ჰოვოს ცხორებად საუკუნოდ“<sup>21</sup>.

„გალობანი წმიდისა ილარიონისნი“: „ეტრფიალუ შენ, მამაო, მ ა რ გ ა ლ ი ტ ს ა მ რ ა ვ ა ლ ს ა ს ე ი დ ლ ი ს ა ს ა, რომლისა ძებნად განხუედ სიჩხო[დ]თვან, ნეტარო, და აზოენითა სულითა უვარჰევე ეოველივე სოფლისად მონაცემნი და თვისნი და იგი მ ო ი ე ი დ ე დიდებით დიდებულ“<sup>22</sup>.

<sup>21</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 202. შტრ. გვ. 229.

<sup>22</sup> ათონის კრებული, აღ. ც ა გ ა რ ე ლ ი ს გამოცემა, 1901, გვ. 178.

„მარტვილობად აბიბოს ნეკრესელიისად“: „ხოლო ნეტარმან შიო მღვმესა მას შინა ჰოვა ზ ე ც ი ს ა ი გ ი მ ა რ გ ა ლ ი ტ ი და მოიღო თავსა შინა თვისსა და დაამკვიდრა, და ისწრაფდა მისლვასა მის წინაშე, რომელი-იგი მოიქუა მან, მიიუვანა ადგილსა მას, საცა სუროდა და შეისუენა დიდითა განცხადებულებითა. და შეკრბა მუნ სიმრავლე მონაზონთად, მსგავსად ჩუეულებისა დაჰმარხნეს კორცნი მისნი მას ადგილსა და განაწესეს მის ნეტარისდ მესუთესა სატიკსა, დღესა კვრიაკესა“ (იქვე, გვ. 248).

„გალობანი წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ქართველისა“: „ღირსო მამაო იოანე, ტრფილ იქმენ უფლისა და აღიღე ჭუარნი მისი და მოსწრაფედ შეუდგე კუალსა მისსა სურვილით და ნებად კორცთად სრულიად გ ა ნ ჰ ე ი დ ე და მ ო ი ე ი დ ე მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ი გ ი უ ს ა ს ე ი დ ლ ო დ და აწ წინაშე მისსა მდგომარე ხარ, მეოს გუეევე სულთა ჩუენთათვის, სამკაულო მოღვაწეო!“ (იქვე, გვ. 187-188).

ჟამთა აღმწერელი: „მათ ჟამთა მოიწია მთაწმიდით ბასილი მონაზონი... წინაშე დიმიტრი მეფისა... და ვითარცა მოციქული ძლიერად ამხილებდა და წინააღმდეგებოდა მეფესა უწესოსა მისთვის ქორწინებისა, და ასწავებდა სიწმიდესა, და მოაკსენებდა ტამარ ღმრთისა ეოფასა ჩუენსა, და სხეულთა განუხრწნელობისათა, ხოლო ტამრისა ღმრთისა განუხრწნელისა სიძეათა შინა ს ა ს უ ფ ე ე ლ ი ხ ა ღმრთისა დამკვდრებასა და უპოვართა მათ უ ს ა ს ე ი დ ლ ო მ ა რ გ ა ლ ი ტ თ ა მოპოებასა ლოცვასა, მარხვასა, კლასაკთ მოწყალებასა, და ღმობიერებასა და უხუებასა, მდინარეთა თანა მწკრიანთა და უეიანთა ღიამჰალთა არა თანაშერთვად“<sup>23</sup>.

<sup>23</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი ს მიერ, II, თბ., 1959, გვ. 282-283; ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატრიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლეუა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ ე ვ ა ზ კ ი კ ნ ა ძ ე მ, თბ., 1987, გვ. 173.

სულხან-საბა ორბელიანი: „ნეტარ ხართ მსახურნი სნეულთანი! ნეტარ ხართ, რომელთა ესე ადვილად მ ო ი ვ ა ჯ რ ე ნ ი თ ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ღმრთისა!“<sup>24</sup>.

„აწ გვედრებით, საუვარელხო: რომელი ხართ მოღვაწენი უძღურთანი, ნუ მოაკლებთ მადლსა ამას ჰატიოსანთა და... ისწავლეთ მსახურება სნეულთა და ნუ იტყვიეთ, რამეთუ: სნება იგი გარდამდებ არს და, უკეთუ შემედვა, მომკლავს ანუ მრავალსან უძღურ მეოფს», ვინადგონ სიკვდილსა ვერასადა განვევრებით და ამა ჰატიოსანთა ს ა ვ ა ჯ რ ო თ ა ც ა უღირს ვექმებით, რამეთუ: ქრისტესა მცნებისათვის მომკვდარი ქრისტეს მიერ აღდგების და ცხოვრებასა საუკუნოსა დაიმკვიდრებს“ (იქვე, გვ. 127).

„ნუ, საუვარელხო, გულსმოდგინედ მირბიოდეთ მოკითხვად სნეულთასა, რამეთუ დიდ არს ს ა ს ე ი დ ე ლ ი მისი და არა არს ს ა ვ ა ჯ [რ] ო ესე განსარევენელ მდილთა და მჰარაუთა, რომელთათვის ოქრო და ვეცხლი წოდებულ არს, არამედ არს ს ა ვ ა ჯ რ ო ამისი მოგებად სახლ ღმრთისა, დიდება უფლისა, წელობა მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი“ (იქვე, გვ. 127).

მაშასადამე, ქრისტიანული თეოლოგიის თვალსაზრისით, მ ა რ გ ა ლ ი ტ ი არის ცათა სასუფეველი, სამოთხე, რომელიც მოიპოვება, ასევე თავისებური ნართაული შინაარსით გაგებული, ვ ა ჯ რ ო ბ ი თ, ყ ი დ ვ ი თ. ამდენად, სასუფეველი ს ა ვ ა ჯ რ ო, ს ა ს ყ ი დ ე ლ ი ა. რადგანაც ის ყველაზე ძვირფასი და სანუკვარია, ამიტომაც, ფასდაუდებელი, უ ს ა ს ყ ი დ ლ ო ა.

იმ შემთხვევაშიაც, როცა მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ქრისტეს აღნიშნავს, როგორც ვნახეთ, ისიც „სასყიდელია“, რომელიც უნდა „მოვიყიდოთ“. ქრისტესა და სასუფეველის ეს ერთნაირი გაგება არათუ არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება ერთმანეთს, პირიქით, მათ შორის სრული თანხვედნილობა სუფევს. სერგეი ავერინცევის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ეს ინტერპრეტაციები კი არ გამოირიცხავენ ერთმანეთს, რადგან მოპოვება ჭეშმარიტებისა,

<sup>24</sup> ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, III, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1963, გვ. 126.

რომელიც არის ქრისტე, მორწმუნეთათვის არის მოპოვება მარადიული სასუფეველისა“<sup>25</sup>.

აქედან გამომდინარე, „ვეფხისტყაოსნის“ საძიებელი აფორიზმის ვახტანგ მეექვსისეული განმარტება, ვფიქრობთ, მისაღებია. მას სწორედ ეს ქრისტიანულ-თეოლოგიური გაგება უნდა ედოს საფუძველად. მისი თავდაპირველი შინაარსი იქნება: ც ა თ ა ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ი ა რ ვ ი ს შ ე ხ ვ ე დ ე ბ ა, მ ა ს ვ ე რ ვ ი ნ დ ა ი მ კ ვ ი დ რ ე ბ ს ვ ა ჭ რ ო ბ ი ს, ყ ვ ე ლ ა ა მ ქ ვ ე ყ ნ ი უ რ ი ს ა ფ ა ს უ რ ი ს გ ა ც ე მ ი ს გ ა რ ე შ ე.

როდესაც ასეთ გაგებას ვღებულობთ, ისმის კითხვები: ნიშნავს თუ არა ეს, ჭეშმარიტად ვაღიაროთ ვახტანგ მეექვსის თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ საღვთო მიჯნურობის თაობაზე? ან ამავე შინაარსის შემცველად მოვიჩინოთ განსახილველი სტროფის მეორე სტრიქონში ნახსენები მიჯნურობა („რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად“), რომელსაც აზრობრივად უნდა უკავშირდებოდეს, მისგან გამომდინარეობდეს ჩვენთვის საინტერესო აფორიზმი?

ამ საკითხის პირველი ნახევრის შესახებ ვრცლად მსჯელობის დრო და საშუალება აქ არ არის. მოკლედ, პირდაპირ და გადაჭრით კი უნდა ვთქვათ, რომ არც ჩვენ მიგვაჩნია სარწმუნოდ ვახტანგისეული ახსნა „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობის ორპლანინანობის თაობაზე, რომელიც რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში, ბოლოდროინდელი რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მტკიცედ არის უარყოფილი და რომლის სისწორეში, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, არც თვითონ ვახტანგ მეექვსე იყო მთლად დარწმუნებული<sup>26</sup>.

---

<sup>25</sup> ვიძოწმებთ ლ. გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ს დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 111-112.

<sup>26</sup> მხედველობაში გვაქვს ვახტანგის სიტყვები, რომელიც თავისი შეხედულების ბოლოს, დასკვნით ნაწილშია გამოთქმული: „... მაგრამ თუ უნდა ესეც არ იუოს და ისე იუოს, თარგმანი ხომ ახრე სჯობს. დ(მ)რთისა და კაცს წინ მე ასე მიჯობინებია და ამას იქით მკითხველთ იცით. მე უბრალო ვიეაუ და კიდევ უფრო უბრალო ვარ. ქვეყნის უფროსი ავის

რაც შეეხება საკითხის მეორე ნაწილს, არა გვერნია, დამოწმებულ სტრიქონში - „რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად“ - მიჯნურობას ქრისტიანულ-თეოლოგიური გაგება ჰქონდეს, როგორც ამას ვახტანგ მეექვსე გეთაყვაზობს.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნისათვის“ მიჯნურის ველად გაჭრა ჩვეულებრივი და დამახასიათებელი ამბავია:

„აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხედომია ველთა რბენა“ (10.2).

„მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს...  
მისთვის დასთმოს ყველაკაი, მისთვის ველთა გამოვარდეს...“  
(26.1,3).

„თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების,  
სიარული, მარტოება ჰშვენის, გაჭრად დაეთვლების“ (31.1-2).

პოემაში მიჯნურის ხელობა, სიშმაგე ასევე ჩვეულებრივ და დამახასიათებელ მოვლენად არის წარმოდგენილი:

„ვარ მიჯნური, ხელი ვინმე, გაუძლებლად სულთა დგმისად“  
(250.1).

„სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი მინდორს თავსა ვარებ...“  
(281.2).

„ვეფხისტყაოსანში“ ისიც კარგად ჩანს, მიჯნურის ველად გაჭრა სწორედ მიჯნურობის სიშმაგით არის გამოწვეული:

„ჰმართებს ამისთა მიჯნურთა, ხელი თუ რბოდეს, ახ, ველად!“  
(1180.4).

აღნიშნული თეზა განსაკუთრებით სისრულითა და ნათლად გამოთქმულია შემდეგ სტროფში:

---

დამშლელი ხამს და აჰად დაუშეურ“ (გვ. სპკ). ამ საკითხზე იხ.: ალ. ბ ა რ ა -  
მ ი ძ ე, ნარკვევები..., IV, თბ., 1964, გვ. 32.



„თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მინდოთა მე რებად, არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად? გაჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად! ასრეა ესე სოფელი, შესჯერდი კვლა შეჯერებად!“ (786)

აქ, გარდა იმისა, რომ აღნიშნულია, ველად გაჭრა სიყვარულის სიშმაგით არის გამოწვეული, ამასთან ერთად დადასტურებულია სამიჯნურო წესი - ველად გავარდნა და ხეტიალი საჭიროა მარტოდმარტო!

სადაურია ამგვარი სამიჯნურო წესი?

რუსთველოლოგიაში სწორად არის მითითებული, რომ მიჯნურის ხ ე ლ ო ბ ა და გ ა ჭ რ ა აღმოსავლურია და დასავლეთის მრავალი ხალხისა და ლიტერატურისთვის არის ცნობილი და დამახასიათებელი, მაგრამ ეს არ ითქმის იმ ერთიანობასა და სპეციფიკურ გაგებაზე, რომელიც მათ, საზოგადოდ, „ვეფხისტყაოსანში“ და, კერძოდ, განხილული სტროფის მეორე-მესამე სტრიქონებში აქვს<sup>27</sup>. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ძველი ქართული სასულიერო მწერლობისათვის „სიყვარულის“, „სტროფის“ აღნიშვნა სიტყვით „მიჯნურობა“ უცხოა<sup>28</sup>. ასევე, ქრისტიანულ თეოლოგიური აზროვნებისათვის უცხოა მიჯნურის სიშმაგე და ველად გაჭრის მოტივი, მაშინ როდესაც ის ტიპური და ნიშანდობლივია აღმოსავლური ლიტერატურისათვის.

რა თქმა უნდა, სულ სხვა მოვლენაა ქრისტიანული ასკეტობა, საზოგადოებისაგან მოშორება და უღაბნოში განმარტობა. „ვეფხისტყაოსნიდან“ კარგად ჩანს, პროლოგში ნათქვამს „კარგი მიჯნურო იგია, ვინ ი ქ მ ს ს ო ფ ლ ი ს ა თ მ ო ბ ა ს ა“ (27.4) მიჯნურის ხელობასა და ველად გაჭრასთან არაფერი აქვს საერთო. ამ სტრიქონს ვ. ნოზაძე ასე განმარტავს: „ვინ არის კარგი მიჯნური? ის, ვინც სოფლის თობას იქმნო. ესე იგი, სოფელს მოითმენს, მას გაუძღვება. სოფელი არის ეს ქვეყანა თავისი მაცდურობით,

<sup>27</sup> ვიკტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება, პარიზი, 1974, გვ. 137-161.

<sup>28</sup> შდრ.: იქვე, გვ. 90-115.

მიწრიელობით, ცდუნებით, შეცდენით და ეოველი ცოდვით. აი, ვინც ამას დასთმობს, ვინც ამას გაუძლებს და სხვა დედაკაცს არ გადაეკიდება, სხვაზე თავის სატრფოს არ გაცვლის, - იგი იქნება კარგი მიჯნური!“<sup>29</sup>

აღნიშნულს ხომ არ ეწინააღმდეგება ქართული საისტორიო თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, სადაც ხ ე ლ ო ბ ი ს ა და გ ა ჭ რ ი ს ნიმუშებად დასახელებულია ზოგიერთი ბიბლიური ამბავი? თამარის საქმროს ძებნასთან დაკავშირებით ნათქვამია: „... შეიყარეს შემჭირნენი და ზრახვა ეკვს ძებნა წადმართისა და მოყვანა ქმრისა. რომლისათვის კამდა თუძცა ეოფილიეო ქაში გპირთა და გოლიათთა ეოფისა, ანუ-მე კარეშედ წოდებულთა ელინთა სისხლისა დათხევისა, ანუ-მე გ ა ჭ რ ა ნ ი მ ი ჯ ნ უ რ თ ა ც ო ფ - ქ მ ნ ი ლ თ ა ნ ი :

ვითარ თამთა თუმიანისთვის,

ვითარ ამირან სორაშნისთვის,

ვითარ ხოსრო-შანშა ბანუისთვის,

ვითარ მსეჭაბუკ მზისათვის საზარათასა,

ვითარ იაკობ რაქელისთვის და

იოსებ ასანეთისთვის,

დავით ბერხაბესთვის და აბისაკისთვის,

ვითარ ჰელოპი მკნედ მბრძოლი იპოლამისთვის, ონოპაოს ასულისა,

ვითარ ჰლუტონ ჰერსეფონისთვის,

ვითარ რამინ ვისისთვის,

ვითარ ფრიდონ შაჰრინოს-არნაჟაზისთვის,

ვითარ შადბერ აინლიეთისთვის“<sup>30</sup>.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>30</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს დამოწმებული გამოცემა, II, გვ. 35-36. შდრ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კორნ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 80.

ამ პერსონაჟთა სათავგადასავლო მიზნულებათა უმეტესში, არათუ აღნიშნული მძაფრი ხასიათის მიჯნურობა, საერთოდ, სამიჯნურო ურთიერთობაც არ არის აღწერილი. ვ. ნოზაძე ცალ-ცალკე და საგანგებოდ მიმოიხილავს ყველა აქ დასახელებულ წყვილთა ერთმანეთისადმი დამოკიდებულებას. ბიბლიური იაკობ-რაქელის, იოსებ-ასანეთის, დავით-ბერსაბესა და დავით-აბისაკის ურთიერთობის თაობაზე გაკვირვებით წერს: „განა ამ ამბავში არის მიჯნურობის შექმნევა?“ „განა ამ ამბავში არის მიჯნურობა-სიუყარული? ცხადია: არა!“ „ეგ არის მიჯნურობა-სიუყარული? - არა!“<sup>31</sup>

საერთოდ კი „ისტორიანი და აზმანის“ ამ ტექსტს ვ. ნოზაძე ასე აფასებს: „ქართლის ცხოვრებაში ჩამოთვლილ წყვილთა ამბავი ჩვენ თითქმის დაწვრილებით გავიცანით. მაგრამ ვერც ერთი წუვილის თავგადასავალში ჩვენ მიჯნურობის ამბავი ვერ ვიპოვეთ... ისტორიკოსის, ან ჩამმატებლის მიერ წარმოჩენილნი შედარებანი წუვილთა არ გამოხატავენ მიჯნურობას, არც სიუყარულის თავგადასავალს გვიჩვენებენ. იქ სრულებით არ არის მიჯნურობა, ჩვეულებრივი მნიშვნელობით...“ (გვ. 167).

ცხადია, ჩვენ მიერ წამოჭრილი საკითხის გადასაჭრელად ისტორიკოსის აღნიშნული ტექსტი არ გამოდგება.

დიდად და განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ თვით რუსთველის განმარტებით, სიტყვა „მიჯნურობა“ არაბულია და ნიშნავს შ მ ა გ ს, გ ა ხ ე ლ ე ბ უ ლ ს:

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,  
მით რომე შმაგობს მისისა ვერ მიხელომისა წყენითა...“ (22.1-2)

ამ მონაცემების მიხედვით, უფრო სავარაუდებელია: როდესაც რუსთველი განსახილველ და სხვა სტროფებში გახელებული მიჯნურის ველად მ ა რ ტ ო დ-მ ა რ ტ ო გ ა ჭ რ ი ს წესზე ლაპარაკობს, მისი საფუძველი და ერთადერთი წყარო აღმოსავლური, არაბულ-სპარსული ლიტერატურა იყოს.

<sup>31</sup> ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება, გვ. 162-163.

რუსთველისათვის უცნობი არ იქნებოდა დაუკმაყოფილებელი სიყვარულის, შმაგობის, ველად გაჭრის, ტანჯვის გზით ღმერთამდე ამაღლების სუფიური იდეა, როგორც არის, მაგალითად, ნიზამის „ლეილი და მაჯუნში“<sup>32</sup>.

ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, არც ის უნდა იყოს გამოსარიცხავი, რომ გენიოსი პოეტის გონებაში ერთმანეთს გადაჯაჭვოდა ქრისტიანული და სუფიური შეხედულებანი ცათა სასუფეველის მოპოვების შესახებ და ამ ცნობიერი თუ ქვეცნობიერი აზროვნული სინთეზის გზით მიგველო ერთი მეორესთან დაკავშირებული სტრიქონები:

„რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად,  
მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“.

ამ რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა ერთმანეთთან დაკავშირებასა და, ღიდად არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვი, გაიგივებას ისიც შეუწყობდა ხელს, რომ ქრისტიანული დოგმატიკით, ცათა სასუფეველის მოპოვების ერთი უმნიშვნელოვანესი გზა სოფლის, ამქვეყნიურის თმობა და უკუგდებაა. ზემოთ ვნახეთ, „ჰაბო ტფილელის წამებაში“ „მარგალიტის“ სიმბოლურად ახსნიას ალნიშნული იყო, რომ „ღმრთის-მოყუარენი სასუფეველისანი... ეძიებენ და მოიყიდიან მხოლოსა მას მრავალ-სასყიდლისასა ეოვლისა სოფლისა წარკეებითა“.

„ილარიონის გალობანში“ ავტორი ილარიონს მიმართავს: შენ ზეციური მარგალიტის მოპოვებისათვის „უვარჰეაჰეოველივე სოფლისა დმონაგებნი და თუსნი“. ახლა მოვუსმინოთ, როგორ განმარტავს იოანე ოქროპირი სახარების ზემოთ დამოწმებულ იმ ტექსტს, რომელიც მარგალიტის სიმბოლურ სახეს ეხება: „პატიოსან არს და მრავალსასყიდლისა უფროდს მარგალიტისა. არამედ სოფლისა საქმეთაგან არარად იპოვა ჰასაკისა და საზომისა მისისად უპატიოსნეს მისსა, ამისთვის იგი შემოიღო სახედ. ხოლო შეუნიერ არს და განმამდიდ“

<sup>32</sup> იქვე, გვ. 119-121.

რებელ, ვითარცა საუნჯე დიდძალი, ამისთვის არა ამას ხოლო მოასწავებს, ვითარმედ ჯერ-არს ე ო ვ ლ ი ს ა ვ ე დ ა ტ ე ვ ე ბ ა დ და მისა გამოჩინვად, არამედ რადთა სიხარულითცა ვიქმოდით ამას და უწუოდით, ვითარმედ დ ა ტ ე ვ ე ბ ა დ ე ო ვ ლ ი ს ა ვ ე ს ო ფ ლ ი ს ა დ ვ ა ჭ რ ო ბ ა დ ა რ ს და არა დაჭირვებად... ხოლო შენ, კაცო, უკეთუ არა უოველივე განჰვიდო, მას ვერ მოიუიდი და უკეთუ არა გაქუნდეს სული ფრთხილი და მკურვალედ მეძიებელი, ვერ ჰპოვებ. აწ უკუე, რომელსა ენებოს საუნჯისა მის ჰოვნად, ორი საქმე უკამს: უ ა რ ე ო ფ ა დ ე ო ვ ლ ი ს ა ვ ე ს ო ფ ლ ი ს ა დ დ ა ს ა ქ მ ე თ ა მ ი ს თ ა ბ ო რ ო ტ თ ა დ და ძიებად საუნჯისა მის და მარგალიტისად მკურვალედ... რამეთუ ჭემძარიტებად ერთ არს და არა მრავალფერ; და ვითარცა რომელსა აქუნდეს მარგალიტი მრავალსასუიდილისად, დაღაცათუ სხუანი არა ხედვიდენ, რამეთუ სიმცირისა მისთვის გუამსა შიგან თვსა აქუნ...<sup>33</sup>

მეორე მხრივ, რადგანაც საანალიზო სტროფის მეორე-მესამე სტრიქონები ერთი და იგივე რელიგიური მსოფლმხედველობრივი სისტემით არ იხსნება, არ გამოვრიცხავთ, ორივე მათგანი რელიგიური გაგებისაგან დაცლილი იყოს. სახელდობრ, პირველი სტრიქონი არ გამოხატავდეს სუფიური მისტიკის აღნიშნულ სიღრმეებს და მწერალი უბრალოდ, მის გარეშე იმეორებდეს აღმოსავლურ ლიტერატურაში ფართოდ მიღებულ და გავრცელებულ მიჯნურის მარტოკა გაჭრის წესს. ასევე, ადვილი შესაძლებელია, საძიებელი აფორიზმის მხატვრული სახე ეყრდნობოდეს დასახელებულ ქრისტიანულ ალეგორიას, მაგრამ მას აღარ ახლდეს მისი რელიგიური შინაარსი და ავტორი იყენებდეს მას გადატანითი მნიშვნელობით: ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა, ნ ე ტ ა რ ე ბ ა ა რ ვ ი ს შ ე ხ ვ დ ე ს უ ვ ა ჭ რ ე ლ ა დ, მ თ ე ლ ი მ ო ნ ა გ ე ბ ი ს, ძ ვ ი რ ფ ა ს ე უ ლ ო ბ ი ს გ ა ც ე მ ი ს გ ა რ ე შ ე.

<sup>33</sup> წმ. იოანე კროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისად, თარგმანი წმ. ეფთვიმე მოაწმიდელისა, III, თბ., 1998, გვ. 16-17.

ისე, როგორც ძლიერ მოსაწონი ადგილისა და გარემოს შესახებ ვიტყვი ხოლმე: სამოთხეა, სამოთხეში მოვხვდითო.

ამ გაგებით, ორივე სტრიქონის ნართაულად გამოთქმული ერთიანი აზრი იქნება: მიჯნურის ბედნიერების მოსაპოვებლად საჭიროა ამ გრძნობას მთელი არსებით მიეცე. კონკრეტულად კი, სულერთია, მარგალიტი სასუფეველსა თუ ზოგადად, ბედნიერებას, ნეტარებას აღნიშნავს, - საბოლოო ანგარიშით მასში თინათინი იგულისხმება, როგორც ეს რუსთველოლოგიურ ლიტერატურაშია მიღებული.

ამრიგად: ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ი ს ა და ჩვენი აზრით, აფორიზმის „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრულად!“ შექმნისას რუსთველი ეყრდნობოდა არა რეალურ სინამდვილეს, რომელიც მარგალიტის მოპოვებას უკავშირდება, არამედ მარგალიტის სიმბოლურ გაგებას, რომელიც სახარებაშია მოცემული და მისი მეშვეობით შუა საუკუნეების ქრისტიანული საზოგადოების აზროვნებისათვის იყო დამახასიათებელი.

ასეთი აზრით, „უსასყიდლოდ“ (ვითარებითი ბრუნვის) ფორმა აღარ იძლევა იმ შეუსაბამობას, რასაც ივ. გიგინეიშვილის ეული განმარტებისას „მარგალიტი“, ანუ თინათინი, ღებულობს. აი, მკვლევარის ერთი საბუთი, რითაც „უსასყიდლოდ“ (დონიან) ფორმას უარყოფს: „სანალიზო სტროფის შესაბამე ტაქში რაცაა ნათქვამი, ეს მხოლოდ თინათინს შეიძლება ეხებოდეს. მარგალიტის შესახებ რასაც ამბობს ავთანდილი, ამ მარგალიტში იგი მხოლოდ თინათინს შეიძლება გულისხმობდეს, ეს მარგალიტი მხოლოდ თინათინია.“

შეიძლებოდა ავთანდილს თინათინი ეგულისხმებინა იმ მარგალიტში, რომლის მოსაპოვებლად საჭიროა სასყიდლის გაღება (პირდაპირი მნიშვნელობით), ფასის მიცემა, რომლის შესაძენად საჭიროა ვაჭრობა? ზასუსი მხოლოდ უარყოფითი შეიძლება იყოს. უარყოფითი ზასუსი კი ნიშნავს ხელის აღებას ამგვარ წაკითხვაზე, რადგანაც სხვაგვარი გაგება და განმარტება ამგვარი წაკითხვისა შეუძლებელია“ (გვ. 364).

ჩვენი განმარტების მიხედვით, იკარგება აგრეთვე ის შეუსაბამობაც, რომელიც საძიებელი ტექსტის პირდაპირი

გაგებისას არის მასა და წინა სტროქონს შორის. „ამას ვეველაფერს, - აგრძელებს ივ. გიგინეიშვილი მსჯელობას, - ემატება სხვა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტიც: სტროფის მესამე ტაეპს თუ ამკვარად („უსასყიდლოდ, უვაჭრელად“ - ბ. დ.) გავიგებდით, მაშინ შეუძლებელი გახდებოდა, ლოგიკური კავშირი გვეპოვა მასა და წინა ტაეპს შორის. წინა ტაეპში ხომ ისაა ნათქვამი: თუ მიჯნური ველად იეოს გაჭრილი, მარტო უნდა იეოს გაჭრილიო, ე. ი. მიჯნურმა ველად გაჭრის მთელი სიმწვავე, გაჭირვება, განსაცდელი მარტომ უნდა გამოისცადოსო. ახლა რა კავშირში შეიძლება აღმოჩნდეს ამასთან მესამე ტაეპის ასეთი შინაარსი - მარგალიტს ვერავინ იშოვნის ისე, თუ სასყიდელი, ფასი არ მისცა, არ ივაჭრაო“ (გვ. 364).

ივ. გიგინეიშვილი უპირველესად ამ ორი მიზეზის გამო უარყოფდა ტრადიციულ წაკითხვას - „უსასყიდლოდ“ და უპირატესობას აძლევდა სახელობითი ბრუნვის ფორმას - „უსასყიდლო“, რომელიც ვახტანგისეულ გამოცემასთან ერთად დასტურდება შემდეგ ხელნაწერებში: C - H 2074 (აღდგენილია მოგვიანო ხელით), G - S 4988, H - H 2610, J - H 461, T - ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკის № 17, U - S 5006, Z - ბოდლის ბიბლიოთეკის № 27, I' - H 12 და R<sup>1</sup> - გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის № 12904/190.

ეს ფორმა ვახტანგისეული გამოცემიდან შესულია მ. ბროსეს (1841 წ.), დ. ჩუბინაშვილის (1860 წ.), გ. ქართველიშვილისა (1888 წ.) და მისგან მომდინარე გამოცემებში. როგორც ვთქვით, იგი შეტანილია აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებულ 1988 წლის პუბლიკაციაში.

მოსალოდნელია, ეს სიტყვა თავის დროზე ამგვარადვე ყოფილიყო წარმოდგენილი ზოგიერთ იმ ხელნაწერშიც, რომლებიც დაზიანებულია და ამის გამო მათში ეს სიტყვა არ მოიპოვება. თუმცა ეს სავალდებულო არ არის, რადგან ერთი წაკითხვაც („უსასყიდლოდ“) და მეორეც („უსასყიდლო“) ისეთია, რომლებიც

ნებისმიერ ხელნაწერში დამოუკიდებელივ, სხვა წყაროს გარეშეც, ადვილად შეიძლება გაჩენილიყო.

რაც შეეხება ხელნაწერთა ავკარგიანობის მიხედვით ამ ვარიანტთა შეფასებას, დასახელებული ნუსხები არც სიძველითა და არც რედაქციული მონაცემებით რაიმე უპირატესობით არ გამოირჩევა. პირიქით, ზოგიერთი მათგანი განეკუთვნება იმ რედაქციულ ჯგუფებს, რომლებშიც შედიან უფრო ძველი და საიმედო ხელნაწერები და რომლებიც ერთხმად უპირისპირდებიან მათ. მაგალითად: J და T ერთ რედაქციულ ჯგუფს ქმნის K - S 4499 და O - ქუთაისურ № 205 ნუსხებთან, ხოლო Z შედის E - H 599, F - S 2829, I - Q 261 ხელნაწერთა ჯგუფში<sup>35</sup>. ამ ნუსხეში კი, ვიმეორებთ, იკითხება „უსასყიდლო“.

ასე რომ, „უსასყიდლო“ ფორმის ავთენტურობა არც ხელნაწერთა რედაქციული მონაცემებით მართლდება.

როცა ხელნაწერთა სიავეკარგეზე ვმსჯელობთ, უყურად-ღებოდ არ უნდა დაგვრჩეს შემდეგი ვარიანტი:

„მარგალიტი აღარ მომხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“.

„აღარ მომხვდეს“ წაკითხვას იძლევა ორი რედაქციული ჯგუფის ნუსხები. ერთია - A - H 757, B - H 54, M - Q 779, X - პარიზული<sup>36</sup> № 10 და მეორე - დასახელებული K, O და აღდგენილი C. დაბეჭდილია ს. კაკაბაძის მეორე გამოცემაში (1927 წ.).

ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, მიჩნეულია, რომ აქედან პირველი ჯგუფის ნუსხები წაკითხვების მიხედვით

---

<sup>35</sup> ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, წერილები და გამოკვლევები, I, თბ., 1984; მ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის, თბ., 1977; ბ. დ ა რ ჩ ი ა, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით, თბ., 1975; მ ი ს ი ე, ვეფხისტყაოსნის ნაკაშიძისეული ხელნაწერის ტიპის რედაქციის თავისებურებანი და მისი შექმნის დრო, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 3, გვ. 42-52 (დაბეჭდილია აქვე).

<sup>36</sup> ამ ხელნაწერშია „აღარ მომსახვდეს“.



გაცილებით უფრო სანდოა, ვიდრე სხვა ჯგუფის, მათ შორის, მოკლე შედგენილობის ნუსხები<sup>37</sup>. ეს კიდევ უფრო ითქმის მაშინ, როდესაც მას მხარს უჭერს სხვა რედაქციის ხელნაწერებიც, როგორც ამ შემთხვევაში გვაქვს.

ამ მონაცემის მიხედვით, თავისუფლად შეიძლება ეს ვარიანტი დედნისეულად მიგვეჩნია, მით უფრო, როცა „ვეფხისტყაოსანში“ პირველ-მეორე პირით გადმოცემული აფორიზმები საკმაოდ გვაქვს:

„არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა!“ (797.1)

„არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა!“ (800.1)

„კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!“ (1175.3)

და სხვა.

მაგრამ სათანადო ანგარიში კონტექსტსაც უნდა გაეწიოს. ივ. გიგინეიშვილი ამ ვარიანტს სწორედ კონტექსტთან შეუსაბამობის გამო უარყოფს. „ეს წაკითხვა მისაღები არაა, - წერს იგი, - რადგანაც არღვევს სტროფში წარმოდგენილ ხერხს აზრის გადმოცემისას: სტროფში განზოგადებულად, მესამე პირის ფორმითაა ლაპარაკი იმაზე, რომ ველად გაჭრილი მიჯნური მარტოდ უნდა «რბოდეს ველად», რომ ცრუ და მოღალატე კაცი ღირსია ღახვრით დაჭრისა და შუა ტაქში პირველი პირის ფორმითა შემოტანა არაფრით არაა გამართლებული“ (გვ. 363).

გ. წერეთელი „ალარ“ წაკითხვის შესახებ წერს: „გაუპართლებელია შინაარსობლივად“ (გვ. 130).

ვერ ვიტყვით, ეს ვარიანტი იმგვარი იყოს, დამოუკიდებელი, რაიმე წყაროს გარეშე რომ ჩნდება ხოლმე. არც ე. წ. „რთულ წაკითხვად“ ჩანს, რომელიც, ტექსტოლოგიის კანონის თანახმად, „მარტივ ვარიანტად“ შეიძლება გადაკეთდეს და არა პირიქით.

---

<sup>37</sup> ა. შ ა ნ ი ძ ი ს (გვ. 244-245, 327-328), მ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა და ჩ ე ე ნ ი დასახელებული წიგნები. შდრ.: ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, წერილები და გამოკვლევები, I, გვ. 302-303.

თუ ამ აფორიზმში აზრი თავიდანვე მესამე პირით იყო გადმოცემული, ასახსნელია, რამ გამოიწვია მისი პირველი პირით შეცვლა, მეტადრე მაშინ, როდესაც წინა და მომდევნო სტრიქონებში, ორივეგან, მსჯელობა მესამე პირით მიმდინარეობს?

ვფიქრობთ, უფრო ახლოს ვიქნებით სიმართლესთან, თუ დავუშვებთ: თავდაპირველად აზრი აქ ზოგადად, განყენებულად იყო გადმოცემული. შემდეგ გადამწერ-რედაქტორმა, თანამედროვე მკვლევართა დარად, „მარგალიტი“ თინათინის პირდაპირ გამოხატულებად მიიჩნია და მისი მოპოვების სურვილი რომ უფრო ნათლად გამოჩენილიყო, ზმნა პირველ პირში გადაიყვანა.

ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ მესამე პირის ფორმით, განზოგადებული შინაარსით აფორიზმი ბევრად უფრო მაღლამდგომი და შთაბეჭდავია.

ამრიგად, დასმულ საკითხზე ჩვენი დასკვნები ამგვარი იქნება:

1. „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმის ტრადიციული ტექსტი - „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად!“ - სანდო და დედნისეული უნდა იყოს.

2. მართებული არ არის თანამედროვე რუსთველოლოგთა (ილ. აბულაძის, ივ. გიგინეიშვილის, გ. წერეთლის და სხვათა) მიერ ამ აფორიზმის შინაარსის განმარტებანი, რომლებიც რეალურ ვითარებას - მარგალიტის მოპოვებას ემყარება.

3. სარწმუნო არაა ვახტანგ მეექვსის თვალსაზრისი, თითქოს აღნიშნული აფორიზმის შემცველი სტროფის მეორე სტრიქონში მოცემული მიჯნურობა ქრისტიანული მისტიკური ხასიათისა იყოს. იგი აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციას ასახავს და მისგან მომდინარეა.

4. სამაგიეროდ. გასაზიარებელია „მარგალიტის“ მისეული ახსნა. განხილული აფორიზმი მართლაც უნდა ეფუძნებოდეს საზარებასა (მათე, 13.45-46) და ქრისტიანულ თეოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ „მარგალიტის“ იმ ალეგორიულ მნიშვნელობას, რომელიც ც ა თ ა ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ ს, ს ა მ ო თ ხ ე ს გამოხატავს.

5. დასაშვებია ისიც, დასახელებული მხატვრული სახე წარმოშობით აღნიშნულ ალეგორიას ეყრდნობოდეს, მაგრამ პოემაში იგი დაცლილი იყოს რელიგიური შინაარსისაგან და მას რუსთველი გადატანითი აზრით, ზოგადად, ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს, ნ ე ტ ა რ ე ბ ი ს მნიშვნელობით იყენებდეს.

### ნება-სურვილისა და მისი შესრულების საკითხი „ვეფხისტყაოსანსა“ და ბიბლიაში<sup>1</sup>

„ვეფხისტყაოსანსა“ და ბიბლიაში ვხვდებით გამონათქვამებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანის ისეთი ქმედება, რაც მისი შინაგანი წადილის, სურვილის, განზრახვის საწინააღმდეგოდ სრულდება, მისთვის (ადამიანისათვის) არა მარტო მიზანშეწონილად და სასარგებლოდ, არამედ აუცილებელ საჭიროებადაც არის მიჩნეული.

„ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილი უმძიმეს ფსიქოლოგიურ შეჭირვებაში ჩავარდნილ, სასოწარკვეთილ ტარიელს მოუწოდებს: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!“<sup>2</sup>

რომაელთადმი მიმართულ პავლეს ეპისტოლეში<sup>3</sup> კვითხულობთ: „ხოლო უკუეთუ რომელი-იგი არა მნებავს, და მას ვჭოფ, თანა-მოწამე ვარ შჯულისა, რამეთუ კეთილ არს“ (7.16). თანამედროვე ქართული თარგმანით: „ხოლო თუ იმას ვაკეთებ,

---

<sup>1</sup> გამოქვეყნებული იყო: „ლიტერატურული ძიებანი“, 2002, XIII, გვ. 215-232.

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტს ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შ ა ნ ი ძ ი ს ა და ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, I, თბ., 1966, სტროფი 881.3.

<sup>3</sup> პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ აკაკი შანიძის რედაქციით, თბ., 1974.

რაც არ მსურს, ვეთანხმები რჯულს, რომ ის კეთილია“<sup>4</sup>. მაშასადამე, რასაც ვაკეთებ ისეთს, რაც არ მსურს, კარგია, ქრისტიანულია.

ზომ არ არის მსგავსება ან რაიმე კავშირი „ვეფხისტყაოსნისა“ და პავლეს ეპისტოლეს ამ გამონათქვამებს შორის?

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ტარიელისადმი მიმართული ავთანდილის დამოწმებული შეგონების გვერდით, მასთან კავშირში, როგორც განსხვავებული, შემავსებელი თუ დაპირისპირებული თეზა, მოყვანილია ტარიელის პასუხი: „ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!“ (884.4).

ვლადიმერ ნორაკიძე ამ ორ შეგონებას განიხილავს, როგორც თანასწორ, ერთნაირ სიბრტყეზე მდგომ, ერთმანეთის შემავსებელ ცხოვრებისეულ სამოქმედო შეხედულებას. იგი წერს: „რუსთველისთვისაც არსებობს მოქმედების მამოძრავებელი განსხვავებული იმპულსები - გულის სწვადასწვა გამოვლენანი... გულის ამგვარი გაგების ნიადაგზე «ვეფხისტყაოსანში» წამოუყენებელია ადამიანის ნებელობითი ქცევის ორი ჰრინციპი, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. ეს ჰრინციპებია: 1. «რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა»; 2. «ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს». ჰირველი ასახავს ნებელობის მოქმედების ნეგატიურ ასპექტს, ბრძოლას გულის ეთიკურად გაუმართლებელ ზრახვებთან; მეორე კი - პოზიტიურ, საკუთარ, მაღალ მისწრაფებებზე, მაღალ გრძნობებზე დამყარებით გონიერი გადაწყვეტილების შესაძლებლობას...“<sup>5</sup>

მწერალი და მკვლევარი რამაზ (ნუკრი) კობიძე საგანგებო წერილში „ეს ალბათ ასეა“, რომელიც მისი გარდაცვალების ჟამს, მასზე დაწერილ ნეკროლოგთან ერთად

<sup>4</sup> ახალი აღთქმა და ფსალმუნები, გადამუშავებული გამოცემა, სტოკჰოლმი, 1991.

<sup>5</sup> ვლადიმერ ნორაკიძე, ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1966, გვ. 99.

გამოქვეყნდა<sup>6</sup>, განიხილავს ამ ორ შეგონებას და მათ რუს-თველის ცხოვრებისეულ ფილოსოფიურ თვალსაზრისებად მიიჩნევს. პოეტიკისათვის პირველი დევიზის შთამაგონებლად და გამოხატულებად მკვლევარს სინამდვილიდან თამარ მეფის გათხოვების, ხოლო პოემიდან თინათინისა და ავთანდილის შეუღლების ამბები ესახება. მხედველობაში აქვს რა საისტორიო თხზულებაში, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“, მოცემული თამარის განცხადება - „მოწამე არს ჩუენდა ღმერთი, აროდეს უოფილა გული ჩემი მოწადინე ქმროსნობისა, არცა ჰირველ, არცა აწე“<sup>7</sup>, რ. კობიძე აღნიშნავს: „ისტორიამ შემოგვინახა თამარ მეფის ნათქვამი, ოჯჯერ გაუთხოვდი, მაგრამ არც ერთხელ გათხოვება არ მნდომებიაო...“, ართუ ძნელად ასახსნელი ამბავია. თვალით უნახავ მამაკაცზე გათხოვება სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემაა ქალწულისთვისაც და ახალგაზრდა ქალისთვისაც, რომელ სოციალურ ფენასაც უნდა ეკუთვნოდეს ეს ქალი, დედოფალი იქნება იგი თუ უბრალო მხევალი. ამ ფსიქოლოგიური პრობლემის წინაშე იდგა თამარ მეფეც თავის ორგზის გათხოვებისას და ორივეჯერ მან ეს ბარიერი დინასტიური მოსაზრებების კარნახით გადალახა. ფეოდალურ სახელმწიფოში დინასტიური მოსაზრებები ემთხვევა სახელმწიფოებრივს. ასე რომ, თამარ მეფემ ორივე ეს ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის გადადგა და მისი ბრალი არ არის, რომ მას მხოლოდ ერთ შემთხვევაში გაუმართლა, - როცა ხელი დავით სოსლანს გაუწოდა. ასე იყო თუ ისე, ორივე შემთხვევაში თამარმა საკუთარი ქალური ბუნების პროტესტი უურად არ იღო და საქართველოს კეთილდღეობისათვის იზრუნა. არც ისაა გამორიცხული, რომ, ქალური ბუნების გარდა, იყო რაიმე სხვა მიზეზებიც, რომელთა გამო თამარს გათხოვება არ უნდოდა“. მკვლევარი ამ მსჯელობას ასეთი დასკვნით ამთავრებს:

<sup>6</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2-9 აპრილი, 1999, № 14, გვ. 13.

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1959, გვ. 47.

„რუსთველის ენაზე ეს ასე გამოითქმის: «რაც არა გწადდეს, იგი ჰქენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა»“.

რ. კობიძე ამგვარადვე აფასებს ავთანდილის მიერ „უცხო მოყმის“ საძებრად წასვლის გამო მისი და თინათინის ქორწინების გადადებას. „ეს ორი ადამიანი, - აგრძელებს მკვლევარი მსჯელობას, - უდიდესი ჰირადი ბედნიერების ზღურბლზე დგას. მათ ერთმანეთი უევართ და ქვეყნად არ არსებობს ძალა, რომელიც მათ შეუღლებას ხელს შეუშლიდა. მაგრამ ჩნდება «უცხო მოყმე ვინმე», რომელიც თავხედურად არღვევს არაბეთის სასხელმწიფოს მშვიდ, ღზინითა და ნადირობით აღსავსე ცხოვრებას... თინათინი და მასთან ერთად ავთანდილი შორი და გაურკვეველი მომავლისათვის გადასდებენ თავიანთ შეუღლებას, რაც ამ ქვეყნად ეველაფერზე უფრო სწადიათ... ავთანდილმაც იცის, თუ რა მძიმე და სასიფათოა თინათინის ნაბრძანების შესრულება. მაგრამ უმაც ერევა თავის ბუნების პროტესტს და შორეულ, უცნობ, სიფათით სავსე გზას ადგება“. მკვლევარი ასკვნის: „ისევ იგივე ჰოზიციაა, - «რაც არა გწადდეს, იგი ჰქენ»“.

რ. კობიძე ერთმანეთს ადარებს თამარისა და თინათინის ქმედებებს და აღნიშნული თვალსაზრისით მათ შორის იგივეობას ხედავს: „ეჭვს კარეშეა, - წერს იგი, - თინათინი არა მხოლოდ თავისი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი მომენტით - ტახტზე ასვლით და გამეფებით იმეორებს თამარ მეფის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტს - ტახტზე ასვლას და გამეფებას, არამედ ზედმიწევნით ერთგულია მეფის მორალური პრინციპისა, მისი ცხოვრებისეული ფილოსოფიისა. თამარი (ცხოვრებაში) და თინათინი (პოემაში) საკუთარი ქალური ბუნების უპირველეს მოთხოვნას - სატრფოსთან შეერთების სურვილს (თინათინი) და თვალთ უნახავ მამაკაცთან შეერთების მძიმე გრძნობას (თამარი) უყოყმანოდ (ან, იქნებ, ეოყმანის შემდეგ, მაგრამ საბოლოოდ) უმორჩილებენ საზოგადოებრივად უფრო მნიშვნელოვან მოსაზრებებს, - თამარი - საქართველოს სამეფოს ინტერესებს, ხოლო თინათინი - არაბეთის სასხელმწიფო ინტერესთა ხელშეუხებლობას“.

ავტორი, რომელიც კვლავ დაბეჯითებით იმეორებს თინათინისა და ავთანდილის ქმედების აღნიშნულ შეფასებას, მიიჩნევს, რომ ამ გმირთა ეს ზნეობრივი დათმობა თამარ მეფის ცხოვრებით არის შთაგონებული და მისგან მომდინარეობს. მისი სიტყვებია: „«რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ» ესაა ამ ორი პერსონაჟის, თინათინისა და ავთანდილის, ცხოვრების დევიზი. თვალსაჩინოა, რომ იგი შთაგონებულია რეალური პიროვნების, თამარ მეფის, ცხოვრებით, ფილოსოფიით, მორალური პრინციპებით“.

რ. კობიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ სხვა შეხედულებებისა და დევიზის მიმდევარნი არიან ნესტან-დარეჯანი და ტარიელი. ესაა ავთანდილის აღნიშნულ მოწოდებაზე ტარიელის პასუხი: „ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისა...“ მოვუსმინოთ ავტორს: „მორალური პრინციპების თვალსაზრისით ჰოემის ამ ორ პერსონაჟს (თინათინს და ავთანდილს - ბ. დ.) რადიკალურად უპირისპირდება პერსონაჟების მეორე წყვილი - ნესტან-დარეჯანი და ტარიელი. ამ უკანასკნელთა მთელი ბიოგრაფია გულისთქმას აუოლილი ადამიანების ცხოვრებას. მათი დევიზი რუსთველს ტარიელის სიტყვებით აქვს გადმოცემული - «ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისა». საუურადღებოა, რომ ტარიელი ამ პრინციპის ერთგული რჩება მაშინაც კი, როცა თვალნათლივ ხედავს, თუ რამდენი სიაყუ და უბედურება მოუტანა გრძნობების აუოლამ: მოაკვლევინა ხვარაზმშას უდანაშაულო მე, თვალთავან დაჰკარგა ნესტან-დარეჯანი, აღარავითარი საშუალება აღარ გააჩნია მისი ჰოვნისა და ისღა დარჩენია, რომ «ხელად გაჭრილი» უსაზღვრო მწუხარებას მიეცეს“.

მკვლევარის ფიქრით, ტარიელისა და ნესტანის უპირველესი და უმთავრესი გულის წადილი, რომელსაც ყოველთვის ემორჩილებიან ისინი, სიყვარულია. წერილში ვკითხულობთ: „ტარიელი დარწმუნებულია, რომ სიყვარული უზენაესი, მძლეთამძლე გრძნობაა, რომლის წინაშეც უნდა დაიხიონ ყოველგვარმა სხვა მიწიერმა მოთხოვნილებებმა, თვით სახელმწიფოს ინტერესების ჩათვლით“.

რ. კობიძე ამგვარადვე უყურებს ნესტან-დარეჯანსაც და ცდილობს დაგვარწმუნოს, ტარიელი და ნესტანი იმდენად არიან თავიანთი სიყვარულის გულისთქმას აყოლილი, რომ მათი „ინდოეთის სამეფოზე ზრუნვა მოჩვენებითია“. საბუთი კი ასეთია: „ტარიელმა და ნესტან-დარეჯანმა უნდა იცოდნენ და იციან კიდევ, რომ ზვარაზმშას მის მოკვლა ინდოეთს აუცილებელ უბედურებას უქადის. მიუხედავად ამისა, ტარიელი უყოქმანოდ კლავს ბედუკუდმართ სასიძოს. მოხდა ორი მეზობელი სახელმწიფოს ურთიერთობაში სრულიად არასასურველი, გაუძარტლებელი ამბავი, მოჰკლეს კეთილი განზრახვით მოსული სტუმარი. ამან მკითხველში პროტესტის გრძნობა უნდა გამოიწვიოს. მაგრამ ბრძენმა რუსთაველმა უკვე მანამდე მოასწრო მკითხველის დარწმუნება იმაში, რომ ნამდვილი სიყვარული-სათვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, მას წინ ვერაფერი დაუდგება“.

რ. კობიძის შეჯამებით, „ვეფხისტყაოსანი“ ძირითადად ამ ორ ცხოვრებისეულ პრინციპზეა აგებული. წერილის ბოლო სიტყვებია: „ერთის მხრივ, თინათინისა და ავთანდილის ფილოსოფია და ზნეობრივი ჰოზიცია «რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა» (რომელიც, რა თქმა უნდა, მხოლოდ კრიტიკული სიტუაციებისთვისაა ნაჯარაუდვეი), და, მეორეს მხრივ, ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ფილოსოფია და ზნეობრივი ჰოზიცია «ჰკითხე ასსა, ქმენ გულისა» (რომელიც, რა თქმა უნდა, აგრეთვე კრიტიკული სიტუაციებისთვისაა ნაჯარაუდვეი), - ამ ორი წვეილის ჰოზიციათა რადიკალური სხვაობა უძვეეს საფუძვლად «ვეფხისტყაოსნის» სიუჟეტურ განვითარებას, ცხოველმყოფელობას ანიჭებს ჰოემის მთელს ჰათოსს და ჰოზიციათა რადიკალური სხვაობის გარეშე არც არაბეთში, არც ინდოეთში არაფერი მოხდებოდა და ჰოემა არ შეიქმნებოდა“.

„ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი ტექსტი დასახელებულ პერსონაჟთა ზრახვებსა და ქმედებებზე აღნიშნული განზოგადებული დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. ერთადერთი ყოვლისშემცველი უმაღლესი კანონი, რომელიც



პოემაში ადამიანთა წადილსა და მის შესრულებას განსაზღვრავს, უზენაესი ძალა, ღმერთია. ამას აღნიშნავს ყველა მოქმედი პირი.

დავარი ნესტანს ეუბნება:

„აწ, ღმერთსა უნდეს, ვერ მიჰხვდე, ვის ესე დააშლევინე!“  
(581.4).

ასმათის რწმენაა:

„არს უკეთესი, რაცალა სწადს განგებასა ზენასა“ (304.4).

ის ახალგაცნობილ ავთანდილს ტარიელის გამოჩენაზე ეუბნება:

„ქალმან უთხრა. ყმაო, ღმერთმან მოგცა ჟამად, რაცა გინა“  
(265.1).

ფატმანი ნესტან-ღარეჯანს სწერს:

„ღმერთსა უნდა, მოყვარენი შესაფერნი შეგაზავნე!“ (1274.4).

ფრიდონის სიტყვებია:

„აწ იგი იქნას, რაცალა ენებოს ღმრთისა წადილსა!“ (611.1).

როსტევეანი უცხო მოყმის გამოჩენის გამო თავის დანაღვლიანებას ასე აფასებს:

„ბრძანა: ღმერთსა მოეწყინა აქამდისი ჩემი შვება...  
მასვე მადლი! ესრე იყო წადილი და მისი ნება“ (100.1,4).

ხოლო თავის ხალხს ავთანდილის გამეფების თაობაზე უცხადებს.

„ესეაო მეფე თქვენი; ასრე იქმნა ღმრთისა ნება“ (1545,4).

ტარიელი როსტევეან მეფეს ემშვიდობება:

„ადრე კვლა განხნე მორჯმულნი; ინებოს ღმრთისა ნებაჲმან“  
(1561.4).

აღნიშნული იდეა ყველაზე ვრცლად და რელიეფურად ავთანდილის პირით არის გამოთქმული. მას ტარიელის მიგნება ღვთის ნების შესრულებად მიაჩნია:

„ავთანდილს ღმერთმან წადილი მისცა; გულისა ღზინება“  
(249.4).

„მერმე ჰკადრა, საწადლისა ღმერთმან პოვნა ვით აღირსა“  
(700.2).

ტარიელის დასახმარებლად წასვლისას ავთანდილი როსტევეანს ვაზირის პირით უბარებს:

„თავსა ჩემსა გაგებული იქმნას, რაცა ღმერთსა უნდეს;  
მანვე ქმნას და გაგიმარჯვდეს, თქვენი თქვენკე და-ვე-  
ბრუნდეს“ (742.2-3).

დატოვებულ ანდერძში კი წერს.

„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“ (795.1).

ტარიელს არიგებს:

„არ თუ იცი, უგანგებოდ არათ კაცი არ მოკვდების...  
ბელი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გვხვდების“  
(904. 2,4).

ავთანდილი თინათინზე დაქორწინების თაობაზე ტარიელს ეუბნება.

„ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის, მორჭმული ღმრთისა ნებითა“  
(1473.1).

„რა მოვა ჩემთვის განგება, ზეცით მოსრულნი ზენანი,  
ღმერთი იწადებს; მომივლენ გულსა სახმილთა ლხენანი“  
(1474.1-2).

რუსთველი თინათინისა და ნესტან-დარეჯანის დაშორე-  
ბაზე აღნიშნავს: როგორც მთვარე ცისკრის ვარსკვლავს

„არა თუ იგი მოშორდეს, მათ ცამან მოაშოროსა“ (1568.3).

ასევე:

„მათთავე სახედ, რომელსა ესენი დაუბადიან,  
იგივე გაპყრის, სიშორე არა თუ ნებით სწადიან“ (1569.1-2).

როგორც ვხედავთ, თინათინისა და ნესტანის სურვილები  
ერთნაირია, დაშორება არც ერთს სწადია, მაგრამ მათი  
ქმედებანი უზენაესით არის გაპირობებული და ერთმანეთს  
ემშვიდობებიან.

„ვეფხისტყაოსნის“ ყველა მოქმედი პირი მიისწრაფვის  
და თავისი ახლობლების გულის ნადების, სურვილების  
განხორციელებისაკენ და მათი ასრულება თითოეულ მათგანს  
უდიდეს კმაყოფილებასა და სიამოვნებას ანიჭებს.

„მონა გრძნეული“ ფატმანს ჰპირდება: „... ზვალე  
მოგართვა ყოველი ამბავი ნებისა“ (1269.4). ქაჯები

„სწადდეს - დღესა ბნელად იქმან, სწადდეს - ბნელსა  
ანათლობენ“ (1248.4).

გულანშაროში ვაჭრები

„მათ მაშინვე ააზატეს, ვითა სწადდეს, დაჰყიდიან“ (1069.4).

ფატმანი ავთანდილს მიმართავს:

„რაცა გწადდესო, ჩაიცვი, მე ნურას ნუ მერიდები“ (1255.4).

ხოლო ნესტან-დარეჯანს სწერს:

„ორნივე მიჰხედეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე“ (1271.4).

„სრულნი ინდონი აეთანდილს და ფრიდონს“

„ვითა პატრონსა სჭვრეტდიან, რაც სწადდეს, მას იქმოდინ“  
(1582.3).

ასმათი თავის ნებას უპირისპირებს ჯერ კიდევ უცნობ აეთანდილს და არ უმხეღს ტარიელის ვინაობას:

„ვერასათვის ვერ გაამბობ, რაცა გინდა, იგი ქმენო!“ (238.4).

რამაზი ტარიელს მზაკვრულად უთვლის:

„...მწადსო სიახლე შენ ლალისა და ჯანისა“ (431.3).

სარიდანმა ფარსადანს შეუთვალა:

„აწ მე მწადს; თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა...“  
(316.3).

ტარიელმა იცოდა, რომ ფარსადანს, რომელიც ნესტანს განცალკევებით კოშკში ზრდიდა,

„...სწადდა არვისგან ნახვა მის მზისა დარისა...“ (346.1).

როსტევეანი დიდ ანგარიშს უწევს ტარიელის ნება-სურვილებს. თინათინის აეთანდილზე დაქორწინების შუამდგომლობაზე მას ეუბნება:

„ვით ეგების, რაცა გწადდეს, რომე კაცი არ მოგთმინდეს“  
(1524.1).

როსტევეანი ასევე ეპყრობა ტარიელის თხოვნას ინდოეთში წასვლაზე:

„რაცა გიჯობდეს, იქმოდეთ, გასჭერეტლით, გაიცდიდითა“  
(1562.2).

ფრიდონი ტარიელს უყვება:

„ღლე ერთ მწადლა ნადირობა, შევჯე ამა ჩემსა ცხენსა...“  
(626.2).

ავთანდილი ფრიდონს სწერს:

„რაცა მოვინდეს, უცილოდ იქმთ, იგი არ აგცილდების“ (1321.3).

ავთანდილი „თავის ყმებს“ იმიტომაც აფასებს, რომ ისინი მისი ნების შემსრულებლები არიან:

„თქვენ ჩემისა საწადლისა მიდგომილნო, ვითა ჩრდილნო“  
(166.3).

წადილის, დასახული მიზნის შესრულება იმდენად ტკბილი და სანეტაროა, რომ მისთვის გადატანილი ტკივილები და ტანჯვა დავიწყებას ერთბაშად ეძლევა:

„კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ეძებდეს, მისი პოვნა,  
მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა“  
(212.3-4).

„ჰკადრა: რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა.  
ხსოვნა არა ჰხამს ჭირისა, ვით დლისა გარდასულისა“  
(698.1-2).

წადილის შესრულება იოლი საქმე არ არის. რუსთველი თავის თავზე გულისტკივილით ამბობს:

„რომე მწაღდეს, ვერ დავწერენ მე სიტყვანი ნაათაღნი“  
(1572.4).

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, არსებობს უარყოფითი სურვილები და ქმედებანი, რომლებიც ღვთისგან არ მომდინარეობენ, სატანის ნახელავი არიან და მათ ადამიანები უნდა გაერიდონ. შეჭირვებულ ტარიელს, რომელსაც სიცოცხლეზე ხელი აუღია, ავთანდილი ერთგვარი საყვედურით ეუბნება:

„ყამამან უთხრა: «რას შიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა? ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა სწვაესა? ვის უქნია შენი მსგავსი სხვასა კაცთა ნათესავსა? რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?»“ (875).

იქვე უმეორებს:

„ნუ იქმ, არა სჯობს საქმითა, ნუ ხარ თავისა მტერითა!“ (888.3).

აღრე ტარიელი ამბობს:

„კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ წახლების“ (435.1).

გაურკვეველ ვითარებაში ასმათის მიღებისას მისი ფიქრებია:

„გული მივეც თმობა-ქმნათა აუგისა საკრძალავად“ (374.4).

პოემაში, მართლაც, არის შემთხვევები, როცა ავთანდილი და თინათინი თავიანთი ნება-სურვილის წინააღმდეგ მიდიან, მაგრამ ეს მათი წინასწარ, განყენებულად შემუშავებული სამოქმედო პრინციპის გამო კი არ ხდება, არამედ შექმნილი გარემოებანი აიძულებენ, ასე მოიქცნენ.

ავთანდილი თინათინისადმი სიყვარულს მანამდე არ ამხელს, ვიდრე თვით სატრფომ მას თავისი შესაბამისი გრძნობები არ გაუძევავენა. ავთანდილი ვაჭირს ეუბნება:

„მაგრა არ იცი აქამდის, რანიცა ცრემლი მდენიან!“ (152.3).  
„ვერ ვაჩენდი აქანამდის ჭირსა ჩემგან დაფარულსა“ (153.3).

ავთანდილი დიდი სიამოვნებით მიდის თინათინის დავალების შესასრულებლად, უცხო მოყმის საძებნელად, მაგრამ აწუხებს:

„თქვა: მზეო, ვარდსა სიშორე შენი დააჩნდეს ეს ადრე...  
ბროლი და ლალი გასრულ ვარ ქარვისა უყვითლესად-რე.  
მაშინ რაღა ვქნა, ვერ ჭვრეტა რა მომხვდეს კვლა  
უგრძესად-რე!“ (140.1-3).

ავთანდილი ტარიელის დასახმარებლად წასვლის წინ თინათინს უძევავენებს:

„თუ გეახლო, ერთხელ ვა და, რა მოგშორდე, ათასჯერ  
ვა!“ (709.4).  
„მალვა მწადს, მაგრა გარდახდა ჟამი პატიჟთა სამალი!“  
(710.4).

დასმული საკითხის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო ნიშანდობლივია ავთანდილის ურთიერთობა ფატმანთან. როდესაც მან ფატმანის სამიჯნურო ბარათი მიიღო, აღშფოთდა:

„თქვა: ყვავი ვარდსა რას აქმნევს, ანუ რა მისი ფერია!...  
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“ (1090.1,4).

მაგრამ, როდესაც თავისი მიზნები გაითვალისწინა, საპირისპიროს ამბობს და აკეთებს:

„მიუწერა: «წავიკითხე შენი წიგნი, ჩემი ქება.  
შენ მომასწარ, თვარა შენგან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება;

შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწყველლად შენი ხლება,  
შეყრა არის პირიანი, ორთავეა რათგან ნებაა» (1095).

ავთანდილი ასევე თავისი განწყობილების საპირისპიროდ  
იქცევა, როდესაც ფატმანის სარეცელს იზიარებს:

„ემა ნამუსსა ინახვიდა, სიყვარულსა იფერებდა...“ (1251.9).

„ემა უნდო გვარად ეხვევის ყელსა ყელითა ბროლითა,  
ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იღუმლითა ძრწოლითა...“  
(1252.2-3).

„ავთანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა  
შესართავისად...  
იტყვის, თუ: «მნახეთ, მიჯნურნო, იგი, ვინ ვარდი-ა ვისად,  
უმისოდ ნეხვთა ზელა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად!»“  
(1253.1,3-4).

თინათინი ადრე ავთანდილს გამოუტყდება:

„მწაღდა არა-თქმა, რომლისა ღონე არა მაქვს თმობისა“  
(126.2).

სხვა უამრავ შემთხვევაში კი ავთანდილი და თინათინი  
თავიანთი ნება-სურვილის მიმყოფნი და გამტარებელნი არიან.  
სამ მონადირე ძმას ავთანდილი აღფრთოვანებით ეუბნება:

„ვითა მე მივჰხვდი წადილსა, ჩემის გულისა ნებასა.  
აგრემცა ღმერთი ნურას იქმს ძმისა თქვენისა ვნებასა“  
(214.1-2).

ტარიელთან მეორედ შესაყრელად წასვლის წინ ავთან-  
დილი ვაზირს ეუბნება:

„მკლავს სურვილი და ვერ-ნახვა ჩემისა სასურველისა“  
(735.2).



ავთანდილს მეკობრეებთან

„გაუმარჯვლა ომი მათი, ვითა სწაღდა მისსა გულსა“ (1045.1).

გულანშაროში მებაღეს

„ავთანდილ უთხრა: წადიო, აგრე ქმენ, რაცა გწადიან“ (1072.1).

ამავე ქვეყანაში ნესტან-დარეჯანის ასავალ-დასავლის  
გაგებასთან დაკავშირებით

„რა ავთანდილს გაუსრულდა საქმე მისი სასურველი,  
ხელ-აპყრობით ღმერთსა ჰმადლობს ცნობა-სრული, არა  
მთრვალი“ (1311.3-4).

აქვე ავთანდილმა

„ფატმანს უთხრა: გამისრულდა ჟამად საქმე საწადელი“  
(1312.1).

ავთანდილი ტარიელს ნესტანზე დასაქორწინებლად ეუბ-  
ნება:

„ესუა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე...“ (1477.1).

„რა გამისრულდეს ესენი ჩემნი გულისა ნებანი,  
მაშინდა მივალ არაბეთს...“ (1478.1-2) და სხვა.

ამგვარივე ვითარება არის თინათინთანაც. იგი ავთანდილს  
ეუბნება:

„... მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა,  
მოხვიდე, სრულ-კქმნა მაშინდა შენი საწადი გულისა“ (154.1-2).

როცა ავთანდილმა ეს დავალება შეასრულა, თინათინზე  
ნათქვამია:

„ქალსა რა ამა ამავე, მიჰხვდა წადილი ნებისა,  
განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა“ (703.1-2).

„მზე იტყვის: მომხვდა ყოველი ჩემი წადილი გულისა...“ (706.1)

თინათინმა ავთანდილის თხოვნაზე – „სიცოცხლისა საი-  
მედო ნიშანი რამ წამატანე“,

„ქალმან მისცნა მარგალიტნი, სრულ-ქმნა მისი საწადელი“  
(712.3).

ახლა მოვუსმინოთ ტარიელსა და ნესტანს. ტარიელი თავის და სხვების მიზნებსა და მათ შესრულებას ისევე უყურებს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ სხვა გმირები - ბევრჯერ „სდევს“ თავისსა და თავისიანთა „წადილის ნებას“ და მიღწეული შედეგები დიდ ნეტარებას ჰკვრის. ერთიანი მიზნის შესრულება ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა ერთნაირად გამოხატეს:

„მათ სამთავე გოლიათთა მზისა ფერად ღაწვნი ღებნეს,  
მიჰხედეს მათსა საწადელსა, იგი პოვეს, რაცა ძებნეს“ (1534.2-3).

ნესტან-დარეჯანის კვალის მიგნება ტარიელმა და ავთანდილმა ასმათს „სიცილით და კბილთა ჩენით“ ახარეს:

„ვპოვეთ მთვარე და კარგული, რაცა გვწადდა, იგი ვქმენით“  
(1357.3).

ნესტან-დარეჯანის პირველი ნახვით ელდაცემული ტარიელი, როგორც კი მომჯობინდა, მეფეს უცხადებს:

„ცხენსა შეჯდომა მწადიან, ენახნე წყალნი და ეელია“ (359.3).

ხატაეთში გამარჯვების შემდეგ ტარიელი ამბობს:

„მოვირჭვენ და მოვივლინე, რაცა მწადლა, აგრე ვყავ-რე“  
(467.4).

ტარიელი ავთანდილს ეუბნება:

„თუ არ მოგყვეს საყვარელი, შენ მას მიჰყევ, რაცა სწადღეს“  
(940.3).

ავთანდილის დახასიათებით, ტარიელს

„კლავს სურვილი და ვერ-ჭვრეტა მისისა დამმარხველისა“  
(1000.4).

ტარიელი ზღვათა მეფეს უთვლის:

„მწადიან, გნახნე პატივით, ვითა მამა და მშობელი“ (1427.4).

ტარიელი ავთანდილ-თინათინის დაქორწინების თაობაზე თავის გადაწყვეტილებას ფრიდონს ასე ანდობს:

„ავთანდილისგან შენც იცი ჩემთვის თავისა დადება,  
აწ მე მაქვს ნაცვლად მისისა მოხმარებისა წადება...“ (1469.1-2).

და ფრიდონს ავთანდილთან აბარებს:

„თუ ვერა ვიქმ საწადელსა შენსა, შენთვის გაზრახულსა,  
არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულსა“ (1470.3-4).

ხოლო ავთანდილი ტარიელის ამ განზრახვას ასე ახასიათებს:

„გებრძანა: «შეყრა მწადიან საყვარელისა შენისა».  
ეგ არის მსგავსი გულისა ლმობიერისა თქვენისა“ (1476.1-2).

მას შემდეგ, რაც ფრიდონმა ტარიელსა და ნესტანს ქორწილი გადაუხადა, ავთანდილმა მოინდომა ახალდაქორ-

წინებულთა ინდოეთში წაყვანა, ტარიელს კი პირიქით სურს - ჯერ არაბეთში წავიდნენ და იქ ავთანდილი დააქორწინონ. ამიტომ არის, ტარიელი ავთანდილის შემონათვალს მტკიცედ უარყოფს:

„მან ბრძანა: „მაგას არა ვიქმ, ამას არ უნდა მისანი!“ (1479.2).

ტარიელი თინათინს ავთანდილზე დაქორწინების შემდეგ ეუბნება:

„ქმარი შენი ძმაა ჩემი, მწადს ეგრევე თქვენი დება,  
ორგულთა და შემცილეთა თქვენთა მე ვქმნა გაფლიდება“  
(1547.3-4).

ტარიელი ასევე გაგებით ეპყრობა ავთანდილის განზრახვას, - წაჰყვეს ტარიელს ინდოეთში და ადვილად ეთანხმება მას:

„რადგან გწადიან, წამომყევ, დამწამებ ნურას თნევასა“ (1565.3).

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ, ავთანდილისა და თინათინის მსგავსად, ტარიელსაც აქვს ცხოვრებაში შემთხვევები, როდესაც იგი „ვერ სდევს წადილის ნებასა“, ვერ ასრულებს დევიზს „ჰქმენ გულისა“, იძულებულია უკან დაიხიოს და თავისი სურვილების წინააღმდეგ იმოქმედოს.

ნესტან-დარეჯანთან უსიტყვო შეხვედრიდან დაბრუნებული „ხელ-ქმნილი“ ტარიელი გვიმხელს:

„ღამე მერჩია, მეწადა არ გათენება ღილისა“ (402.2).

როდესაც ნესტან-დარეჯანის სიყვარულით დაბნედილ და ოღნავ მომჯობინებულ ტარიელს „ასმათის მონა“ ეახლა და „სააშიკო წიგნი“ გადასცა, ფიქრებს მიცემული რაინდი დაიბნა. ვინც „სევდად აწვა გულსა“, „მისგან ეჭვი არა ჰქონდა“ და ეგონა, სამიჯნურო ბარათი ასმათისა იყო. ტარი-

ელი მთელი არსებით ნესტან-დარეჯანს ეკუთვნოდა და ას-  
მათთან სააშვიკო ურთიერთობა ოდნავადაც არ სურდა, მაგრამ  
გარკვეული მოსაზრებით იგი მაინც თავისი ნების წინააღმდეგ  
მიდის:

„მე გამიკვირდა: «სით ვუყვარ ანუ ვით მკადრებს თხრობასა?  
მიუყოლობა არ ვარგა, დამწამებს უზრახობასა,  
ჩემგან იმედსა გარდასწყვედეს, მერმე დამიწყებს გმობასა».  
დავწერე, რაცა პასუხად ჰმართებდა აშვიკობასა“ (363).

იგივე მეორდება მაშინაც, როდესაც „ასმათის მონამ“  
მეორეჯერ მოაკითხა:

„გულსა შინა დავუზრახე: რა მპოვო ანუ ვინ-ა?!“ (366.4).

„ასმათის წიგნი მომართვა, მე წავიკითხე ნებასა;  
წიგნსა შევატყე, ლამოდა შეყრისა მოსწრაფებასა;  
პასუხად გავეცე: «ჟამია, მართალ ხარ გაკვირვებასა;  
მოვალ, თუ მიხმობ, მე ნუ მეჭვ მოსლვისა დაზარებასა»“  
(367).

ასევე ამ ეპიზოდში ტარიელი უკვე მესამეჯერ მიდის თა-  
ვისი სურვილის წინააღმდეგ, როდესაც მას თავად ასმათი  
გამოეცხადა:

„ვარქვი: საწოლს წაიყვანე, ჩემგან არის ნახმობარი“ (373.4).

„კარსა შევდეგ, ქალი წინა მომეგება, თაყვანის-მცა...  
გამიკვირდა, მიჯნურისა თაყვანება ექმნა ვისმცა?  
ვთქვი: «არ იცის აშვიკობა; თუ-მც იცოდა, წყნარად ზისმცა»“  
(375).

„შევე, დავვე ტახტსა ზედა; ქალი მოდგა ნოხთა პირსა,  
ჩემსა ახლოს დასაჯდომლად თავი მისი არ აღირსა;  
ვარქვი: «მანდა რად ჰზი შენ, თუ სიყვარული ჩემი გჭირსა?»“  
(376.1-3).

ხვარაზმშას ძის სასიძოდ მოყვანასთან დაკავშირებით ნესტან-დარეჯანთან შეხვედრისა და მძიმე თათბირის შემდეგ ტარიელს ძალიან სწაღდა მასთან დარჩენა და ალერსი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ სატრფო კიდევაც მიანიშნებდა, იგი ვერ სძლევს მოკრძალებას და თავის გრძნობას თრგუნავს:

„მერმე ავდეგ წამოსავლად, მან დამიწყო ქვექვე წვევა,  
მწაღდა, მაგრა ვერ შევკმართე შეჭილება, შემოხვევა“ (549.3-4).

„მერმე წასლვა არა მწაღდა, ამაღ მივალ არ ფიცხელი“ (550.4).

ტარიელი, საპირისპიროდ თავისი სურვილისა, იძულებულია, სასიძოდ მოსულ ხვარაზმშას ძეს პატივით შეხვედრა მოუწყოს. ფარსადანის ბრძანებას - „კაცნი გავგზავნეთ, მოვიღოთ ყოვლგნით საჭურჭლე სრულია“ (552.3) და „მოკაზმეთ კარვითა მოედანია“ (554.1), იგი ერთგულად ასრულებს:

„მე გავგზავნენ ყოვლგან კაცნი საჭურჭლეთა წამომხმელნი“  
(553.1).

„მოედანს დავდგით კარვები წითლისა ატლასებისა...“ (555.1).

„მე დავშვერ, ვითა წესია საურავ-გარდახდილისა...“ (556.1).

დასმული თვალსაზრისით, ხვარაზმშას ძის მოკვლასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ტარიელის სიტყვები:

„უსისხლოდ მოვკალ იგი, გლახ, თუცა ხმდა სისხლთა დადენით“ (560.4).

ტარიელს უჭირს ფრიდონთან განშორება, მაგრამ მდგომარეობა უკარნახებს, თავისი გზით წავიდეს:

„ეგრე ვუთხარ: «თქვენი გაყრა მეცა ღია მემძნელების...  
ნუვინ მიშლით, არ დავდგები, არცა ვისგან დამეშლების»“  
(649.1,4).

მძაზე მეტი რთული ვითარება რა შეიძლებოდა ტარიელს შეხვედროდა, ვიდრე ეს ნესტან-დარეჯანის გათხოვების თაობაზე მეფის დარბაზობა იყო, სადაც მას რჩევას ეკითხებიან, სასიძოდ მოიწვიონ თუ არა ხვარაზმშას ძე! ტარიელმა მაშინ უდიდესი გონიერება და სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა და თავისი სასიცოცხლო სურვილი დროებით გვერდზე გადადო:

„დავიწყევთ რჩევა საქმისა, გული მიც, თუცა მეღია;  
ეთქვი: ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, არ საქმნელი!“ (514.1-2).

„რომე პირველვე დაესკვნა მათ ესე შეეტყვებოდა...  
ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბვად არ ეგებოდა,  
ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა“ (515).

„შეცილებაცა ვინ ჰკადრა, რადგან თვით იყო მნდომელი!  
მოწმობა დავპრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდომელი“  
(516.3-4).

ტარიელის სიტყვიერი თანხმობა თავისი ჭეშმარიტი წადილის შესაბამისი რომ ყოფილიყო, მართალი იქნებოდა ნესტან-დარეჯანის განაჩენი:

„შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება;  
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება!“ (528.2-3).

ტარიელი ნესტანს და ამით ერთხელ კიდევ მკითხველს უხსნის, რომ მისი თანხმობა იძულებითი იყო:

„მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა.  
მათ წინასვე დაეპირა იმა ყმისა შენი ქმრობა.  
დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა;  
თავსა ვუთხარ: მიემოწმე, ჟამად გიჯობს გულ-მაგრობა“ (536).

სინამდვილეში კი მისი განწყობილება ასეთი იყო:

„მედვა გული მხეცისაებრ, ათასჯერცა მინდორს ვარო“ (538.3).

ალარაფერს ვამბობთ აბჯარასხმული ტარიელის სიტყვებზე, რომელიც მან ხვარაზმშას ძის სიკვდილის შემდეგ ფარსადანს შეუთვალა:

„მე, თქვენმან მზემან, მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა!“ (566.4).

„შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე!“ (569.1).

ნესტან-დარეჯანიც ტარიელისებრ ბევრჯერ გამხდარა იძულებული, დაეთრგუნა თავისი სურვილები და განწყობილება. სატრფოს გვიან გაუმხილა:

„შენგან ჩემისა ქრობისა წინასცა ვიყავ მნდომია“ (381.1).

ქალს გრძნობების გამხელას უბორკავს სირცხვილის გრძნობა. ასმათმა ტარიელს აუხსნა:

„სირცხვილი აქვს საუბრისა, მერმე თავსა ჰკრძალავს ლალი“ (400.4).

ამასვე ადასტურებს თვით ნესტანი:

„მაგრა ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა“ (414.4).

რადგან ნესტან-დარეჯანი ქალია და „ჰმართებს დედაკაცსა მამაციისა დიდი კრძალვა“ (415.1), ის გარკვეულ დრომდე ძლიერი შინაგანი დაძაბულობისა და ტკივილების ფასად უმაღლავს ტარიელს მისადმი აღძრულ სასიყვარულო განცდებს:

„მე თუ ზეპირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იღუმალ ვა“ (415.3).



ნესტან-დარეჯანი ტარიელს ავალებს ხატაელების წინააღმდეგ საომრად წასვლას და ესეც საკუთარი წადილის უარყოფის ხარჯზე ხდება:

„მაგრა რა ვქნა, კვლაცა ნახვა მომხვდებოდეს შენი ვირე!“ (417.3).

ნესტანისათვის უტარიელოდ სიცოცხლე გაუსაძლისია. ქაჯეთის ციხეში გამომწვევდელი ფატმანს სწერს:

„უმისოდ ჩემი სიცოცხლე, ვადმე, რა დიდი ბრალია!“ (1288.4).

ამასვე იმეორებს ტარიელისადმი მიწერილ წერილშიაც:

„უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვადმე, რა დიდი ძნელია!“ (1294.4).

„ნეტარ,რა ქმნას უშენომან გულმან შენგან დალახერულმან!“  
(1295.3).

„არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა...“ (1302.3).

მიუხედავად ამისა, იგი თავისი სამიჯნურო გრძნობების დაკმაყოფილებაზე მაღლა სატრფოს სიცოცხლეს აყენებს. ფატმანს უთვლის:

„გეხვეწები, საყვარელსა შემახვეწე, შემიბრალე,  
ნუ წამოვა ძებნად ჩემად, მიუწერე, შე-ცა-სთვალე“ (1289.1-2).

როცა საჭიროა, ნესტან-დარეჯანი გულისთქმაზე უფრო გონებას ემორჩილება. ტარიელი ჰყვება: ნესტანმაო

„მიბრძანა, თუ: გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს,  
რაცა სჯობდეს, მოაგეაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს“  
(542.1-2).

როგორც ვხედავთ, სურვილთა და მათი შესრულებისადმი „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა, სახელდობრ ავთანდილ-თინათი-

ნისა და ტარიელ-ნესტანის, დამოკიდებულება ერთნაირია, მათ შორის რაიმე სხვაობა არ შეიმჩნევა.

ახლა კონტექსტის მიხედვით განვიხილოთ ავთანდილის გამონათქვამი - „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!“ და ტარიელის პასუხი - „ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!“

ეს არის ეპიზოდი, სადაც აღწერილია არაბეთიდან დაბრუნებული ავთანდილის „შევ შამბთა პირას“ დაბნედილ ტარიელთან შეხვედრა. ტარიელს სიცოცხლის ნიშანწყალი წართმევი:

„ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაებლნიჯა...  
მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებიჯა“ (869.2,4).

„თვალთა ახმაღცა ზარ-ედვა, სრულად მიჰხდიდა ცნობასა,  
მიახლებოდა სიკვდილსა, მოშორებოდა ნობასა...“ (871.1-2).

რა ხერხსა და მეთოდს, რა ბრძნულ იგავ-არაკებსა და შეგონებებს მიმართავს ავთანდილი, რომ ძმადნაფიცი სიკვდილს გამოსტაცოს, ფეხზე დააყენოს და შინ (გამოქვამულში) წაიყვანოს. ტარიელს კი სიცოცხლეზე ხელი ჩაუქნევია. უფრო მეტიც, სიკვდილს ნატრობს და მასზე ოცნებობს, რადგან, შემდეგ ირკვევა, ნესტან-დარეჯანთან შეხვედრის ერთადერთ იმედად საიქიო ესახება:

„აწ დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტირო და თავსა ვიციე,  
მაგრა გვედრებ დამარხვასა, მხეტთა საჭმლად არ მივიციე“ (874.3-4).

„ამას მოკვდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ, ენით:  
აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,  
მუნ ერთმანერთი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიზარენით!  
მოღ, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!“ (883).

ავთანდილის სიტყვით, ეს ის შემთხვევაა, როცა „თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“ (876.4) და მისი შეგონებაც ამ კერძო გარემოებით არის გამოწვეული,

ტარიელის ამ კერძო გადაწყვეტილების წინააღმდეგ არის მიმართული:

„ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯე, წავიდეთ ნებასა,  
ნუ მიჰყოლიხარ თავისსა თათბირსა, გაგონებასა,  
რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევე წადილთა ნებასა,  
ასრე არ სჯობდეს, არ გეტყვი, რად მეჰყვ რასაცა თნებას!“ (881).

ტარიელის ჩვენთვის საინტერესო გამონათქვამი ამ შეგონებათა პასუხია, რომლითაც ბოლოვდება მისი მსჯელობა სატროფოსთან იმქვეყნად შეხვედრის შესახებ:

„საყვარელმან საყვარელი ვით არ ნახოს, ვით გაწიროს?  
მისკე მივალ მხიარული, მერმე იგი ჩემკე იროს,  
მივეგებვი, მომეგებოს, ამიტირდეს, ამატიროს.  
ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!“ (884).

აქ ეს სიტყვები განზოგადებული შინაარსის შემცველ აფორიზმად წარმოგვიდგება. როგორ უნდა გავიგოთ იგი - მარტო, გულისმიერ, ანუ გრძნობის, წადილად თუ გულისა და გონების, ცნობიერების ერთიან გადაწყვეტილებად?

„ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს გამოთქმები „გულის წადილი“, „გულის ნება“<sup>8</sup>:

„ჰკადრა: რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა...“ (698.1).  
„მზე იტყვის: მომხვდა ყოველი ჩემი წადილი გულისა“ (706.1).  
„რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი“ (1478.1).

„ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს აგრეთვე გამოთქმები, ერთის მხრივ, „გულითა ზელითა“, მეორეს მხრივ, „გულითა ბრძენითა“ და „გონიერი გული“. ავთანდილის ანდერძი:

---

<sup>8</sup> „გულის“ შესახებ „ვეფხისტყაოსანში“, ვ. ნ. ო რ ა კ ი ძ ი ს დასახელებული წიგნის გარდა, იხ.: ა. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ხალხსურობის საკითხისათვის, თბ., 1968.

„აჰა, გამზრდელი, მოგ შორდი, წავე გულითა ხელითა“ (809.2).

ტარიელი ჰყვება ლომ-ვეფხვის დახოცვის ამბავს:

„ვეღარ გაუძულ, იგიცა მოვკალ გულითა ხელითა“ (912.4).

იმავე ტარიელსა და ავთანდილს ეკუთვნით აგრეთვე „გულითა ბრძენითა“ გამოთქმა. ტარიელი ავთანდილს ეუბნება:

„მერმელა გაბრჭე მართალი მაგა გულითა ბრძენითა“ (907.2).

ახლა ავთანდილი მიმართავს ტარიელს:

„გწადღეს - გულითა ბრძენითა, გწადღეს - ცნობითა შმაგითა“ (936.2).

როსტევანზე კი ნათქვამია:

„როსტან მისთვის (=ავთანდილისათვის) აატირა  
გონიერი გული ლბილი“ (147.4).

ამ მონაცემების მიხედვით, შეიძლება გვეფიქრა, რომ დასახელებულ აფორიზმში მარტო გრძნობაზე, განწყობაზე იყოს საუბარი. მაგრამ, რადგან მასში საგანგებოდ არის აღნიშნული - „ჰკითხე ასთა“, ეს უთუოდ იმის მანიშნებელია, გულის გადაწყვეტილებაში გონების, ცნობიერების სრული მონაწილეობაც იგულისხმება<sup>9</sup>. ეს მიმანიშნებელი სიტყვებიც

---

<sup>9</sup> ვ. ნ. რ. ა. კ. ი. ძ. ე. წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველამდე არც ჰლატონთან და არისტოტელთან, არც სტოელებთან, არც საშუალო საუკუნეების ცნობილ ანტროპოლოგებთან (გ. ნოსელი, ნემესიოს ემესელი, დამასკელი) ნებულობა («წადიერებითი ძალები») არ იყო აღიარებული გონებისაგან დამოუკიდებელ ფსიქიკურ მოქმედებად, ისე როგორც ეს ესპინ თანამედროვე ფსიქოლოგიას“ (ადამიანობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 96-97).

(„ჰკითხე ასთა“) რომ არ იყოს, კარგად არის ცნობილი რუსთველისეული შეხედულება გულის, ცნობიერებისა და გონების ერთმანეთთან განუყრელ კავშირზე. მწერალი ასმათს ათქმევინებს:

„გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან,  
რა გული წავა, იგიცა წაველენ და მისკე მიდიან“ (849.1-2).

ტარიელი აღნიშნულ აფორიზმს, ამ უნივერსალური გაგებით, საჭიროებისამებრ კიდევაც ასრულებს. მაგალითად: ქაჯეთის ციხის აღების წინ გამართულ თათბირზე მან ბოლომდე მოისმინა ფრიდონისა და ავთანდილის წამოყენებული გეგმები, მაგრამ მიიღო და შეასრულა საკუთარი გადაწყვეტილება.

მთელი ნაწარმოების მანძილზე ვხედავთ, ტარიელის „ქმნა გულისა“ ჩვეულებისამებრ მძლავრი, სწორუპოვარი გონებით არის განპირობებული და გულისა და გონების ეს კავშირი მხოლოდ განსაკუთრებულ ვითარებაში ირღვევა, კერძოდ, როგორშიც ის ზემორე დასახელებულ ეპიზოდში ლომ-ვეფხის დახოცვის შემდეგ აღმოჩნდა. ტარიელის მაშინდელი სიტყვები – „ბრძენი? ვინ ბრძენი, რა ბრძენი? ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?“ (887.1) ზუსტად შეესაბამება ზემორე აღნიშნულ რუსთველისეულ კონცეფციას.

ტარიელი, საერთოდ, ისე როგორც პოემის სხვა გმირები, ცდილობს, თავისი სურვილები ღვთის ნებას დაუმორჩილოს:

„ვთქვი, თუ: ღმერთსა ვერას ვჰკადრებ, რაცა სწადდეს,  
აგრე ვყო-ცა“ (591.4).

ზემოთ ვნახეთ, ტარიელი რთულ ვითარებაში განსჯის შესანიშნავ უნარს ამჟღავნებს და ძალა შესწევს – საკუთარი წადილი, რაგინდ მძაფრი და არსებითი იყოს, გვერდზე გადადოს ან სულაც უარყოს. ასეთივეა ნესტან-დარეჯანიც.

ზემოთ ნაჩვენები იყო ისიც, რომ ავთანდილი და თინათინი ადამიანური სურვილებისადმი დამოკიდებულების, მათი შესრულებისადმი სწრაფვის თვალსაზრისით ტარიელ-

ნესტანისაგან არაფრით განსხვავდებიან. ამ მაგალითებიდანაც ნათელია, რომ ავთანდილის სიტყვები - „რაც არა გწადღეს, იგი ქმენ...“ არც მისთვის და არც თინათინისათვის *ყოველთვის ზოგადი* სამოქმედო პრინციპი არ არის. ეს სიტყვები რომ მხოლოდ *ერთი, კერძო* შემთხვევისათვის, - ძალაწართმეული ტარიელის ასამოდრავებლად, მისი ცხენზე შესმისათვის იყო გამიზნული, - ეს კონტექსტიდან გარკვევით ჩანს. როცა ამ თხოვნისგან არაფერი გამოვიდა, შემდეგ და შემდეგ ავთანდილი მას არათუ იმეორებს, პირიქით, ტარიელს ყველა მისი ნება-სურვილის შესრულებისაკენ მოუწოდებს:

„მერმე უთხრა: «აჰა, რადგან არ მომისმენ არას, არა, აღარ გაწყენს ენა ჩემი, აქამდისცა ცუდად მცთარა; *თუ სიკვდილი გიჯობს, მოკვე*, ვარდი დაჭნეს და-ცა-მჭნარა! ერთსა რასმე გეაჯები, მიყავ!» - ცრემლი ამღულარა“ (889).

„ნუ გამგ ზავნი გულ-მოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი, ერთხელ შეჯე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მხდელი, ნუთუ მაშინ მოვიქარვო სეედა ესე აწინდელი; მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი საქადელი!“ (891).

ამასვე კიდევ უფრო მძაფრი სახით უმეორებს ავთანდილი ტარიელს, როდესაც მას სთხოვს გამაგრდეს და „წელიწადსა ერთსა მსგეფსსა“ ქვაბში დაელოდოს:

„მაგ საუბარსა ესე სჯობს, ისმინე ჩემი თხრობილი...“ (935.1).

„სადაცა გწადღეს, მუნ იყავ მითვე წესითა მაგითა, გწადღეს - გულითა ბრძენითა, გწადღეს - ცნობითა შმაგითა...“ (936.1-2).

„ამა დროსა გარდავსცილდე, აქავ ქვაბსა არ მოვიდე... მაშინ გწადღეს - *იხარებდი*, გწადღეს - *ჭმუნვა გაიდიდე*“ (938.1,4).

ღვეიზი „რაც არა გწადლეს, იგი ქმენ, ნუ სლევ წადილთა ნებასა!“, ასე პირდაპირ და ნათლად ნათქვამი, აღნიშნული კერძო შემთხვევის გარდა, „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგან არსად გვხვდება. ხოლო, როცა მისი გმირები ამგვარად იქცევიან, მათთვის ეს იძულებითი, უსიამოვნო ქმედებანია.

ეს, ერთი შეხედვით, პარადოქსული აფორიზმული მოწოდება, როგორც *ცხოვრებისეული თვალსაზრისი და სამოქმედო კრედიო*, გვაქვს ზემოთ დამოწმებულ პავლეს ეპისტოლეში: კეთილია, კარგია ის, რაც არა მსურს და ვაკეთებ.

ამ ეპისტოლეში ერთმანეთთან დაპირისპირებულია ადამიანის ორი მხარე<sup>10</sup>, ორი ბუნება - სულიერი, ანუ სჯულიერი (სარწმუნოებრივი), და ხორციელი. პირველს ეწინააღმდეგება მეორე, რადგან იგი ამქვეყნიური ცოდვებით არის სავსე. ეპისტოლეში წინ აღნიშნულია: „ესე უწყით, რამეთუ შჯული სულიერ არს, ხოლო მე კორციელ ვარ და განფრდილ ცოდვასა შინა“ (7.14).

პავლეს ეპისტოლეს კირილე ალექსანდრიელისეულ კომენტარებში, რომელიც ეფრემ მცირეს მიერაა თარგმნილი<sup>11</sup>, განმარტებულია, თუ ადამიანში როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს, ერთის მხრივ, ბუნებრივი, ღვთისგან ბოძებული, ჭეშმარიტი, ბედნიერების მომტანი და, მეორეს მხრივ,

---

<sup>10</sup> პავლეს ამ ეპისტოლეს განმარტებას ეხება მაია ნ ა ს რ ა შ ვ ი ლ ი თავის სტატიაში - „გულის დანიშნულება რელიგიაში“ (ეურ. „რელიგია“, 1999, № 1-2, გვ. 59-64).

<sup>11</sup> რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეთა შესწავლას დიდი ამაგი დასდო თამაზ (ექვთიმე) კოჭლამაზაშვილმა. გამოაქვეყნა კირილე (კვრილე) ალექსანდრიელისა და იოანე ოქროპირის განმარტებათა ეფთვიმე მთაწმიდისეული თარგმანი (პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფთვიმე ა თ ო ნ ე ლ ი ს მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 2003). დასაბეჭდად მომზადებული აქვს კირილე ალექსანდრიელის ეფრემ მცირისეული თარგმანი, რომლის ერთი მნიშვნელოვანი ნუსხა დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში - Q 1158. უღრმესი მადლობით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ დამოწმებული ტექსტი მის მიერაა მოწოდებული.

შემდგომ შეიქმნილი, დამლუპველი ნება-სურვილები. ზემორე დამოწმებული ტექსტის გამო ნათქვამია, რომ ადამიანი ცოდვილი გახდა, ბოროტებას მიეყიდა მას შემდეგ, რაც ცხოვრებისეულ წარმავალ ღირებულებებს გამოედევნა, ანუ თავის გულისთქმას, გულის წადილს მიჰყვა. მოვუსმინოთ კომენტატორს: „სულიერად უწოდს შჯულსა მას, ვითარცა მასწავლელსა სათნოებისასა და მბრძოლსა შეცოდებისასა. ხოლო თავისა მიერ თვისსა უოველსა კაცებასა შეასმენს. არა ვითარი იგი არს ბუნებით (=წარმოშობით, თავისი თვისებით, აგებულებით), არამედ ვითარ-იგი იქმნა გულისთქუმათაგან (=სურვილის, წადილის), მიდევნებითა ვნებულთა (=ვნების, ზიანის მიმყენებელი) გჳოთაჲთა. რამეთუ კორციელ ეწოდების ეოველთა მშვნვიერთა (=ცოცხალ არსებათა) და ქუეყანად დამზიდველთა (=ჩამომწევთა) საქმეთა, ვინადგან მოკუდავებასა თანა შემოკდა ბანაკებიცა ვნებათა ჰირად-ჰირადთაჲ, ვითარ რისხვაჲ და მწუხარებაჲ, გულისთქუმაჲ ბოროტი, რომლითა კორციელი იგი კაცი მიეიდა ცოდვასა. რამეთუ ესრეთ გულისკმა-იოფების განფრდილობაჲ, რაჲჲს მიევიდოს ვინ ცოდვასა“ (120v).

ამავე ავტორის ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „... რამეთუ ესრეთ ვუკენით თავნი ჩუენნი კაცთა, უვნებელად დაბადებულთა და დავემორჩილენით ვნებათა კორციელთა და განვიფრთენით ცოდვათა შინა, რამეთუ სიკუდილსა თანა ვნებანიცა შემოვიდეს (ვითარ: რისხვაჲ, მწუხარებაჲ, გულისთქუმაჲ ბოროტი). ამათ შინა შთავვარდით ადამის ცდომისაგან“ (გვ. 93).

პავლეს ეპისტოლეს მომდევნო მუხლში აღნიშნული აზრი დაკონკრეტებულია: რომ ადამიანის ამქვეყნიური ქმედება გაუცნობიერებელია - აკეთებს იმას, რასაც არ უნდა აკეთებდეს, რაც უნდა სძულდეს: „რამეთუ რომელსა-იგი ვიქმ, არა ვიცი; რამეთუ არა რომელი-იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი იგი მძულს, მას ვჰყოფ“ (7.15).

კირილე ალექსანდრიელის ეფრემისეულ თარგმანებაში საკითხი უფრო ფართოდ და ხელშესახებადაა წარმოდგენილი:



„არა ამას იტყვს, ვითარმედ უმეცრებით (=უცოდინარობით, უვიცობით) ვცოდავ, არამედ აღტაცებით (=უნებური გატაცებით, მიყოლით, გამოდევნებით). რამეთუ ჰირველ დაბადებითგან არავინ უოფილ არს ესრეთ, რომელსამცა არა ჰქონებოდა მცირე გინა დიდი მხილებაჲ სუნდისისად, არამედ რომელიმე წარმდებებით (=ურცხვობით, თავხედობით) ცოდავს და რომელიმე აღტაცებით (=აყოლით, მიღევნებით), თანა-მიყოლითა ბილწისა მის გემოდსადთა, რომელი შეარევეს კეთილისა მისგან ნებისა, და საძულელსა მას ესრეთ აქმნევს, ვითარცა საუარულსა. ამისთვის აწ არა ესრეთ იტყვს, ვითარმედ არა ვიცი, თუ ბოროტ არს და უმეცრებით ვცოდავ, არამედ: არა ვიცი, თუ ვითარ წარვიტაცები (=მიყვები, მივსდექ) და ნებისაგან კეთილისა შევირევეი, ვითარცა მიმძლავრებული ჰირველთა ჩუქულებათა-გან“ (იქვე).

ეფთვიმესეული თარგმანი: „არა თუ ესრეთ იტყვს თუ - «უნებლიეთ მაქმნევს ცოდვად», - არამედ მაცთურებასა მისსა ეამოაჩინებს, და ვითარ მისითა მით სიტკბოებითა წარიტაცებს კაცსა, ვიდრელა მრავალგზის, რომელნი სძულნ, იგი ქმნის მის ქამისა გემოდსათვს“ (გვ. 93).

იოვანე ოქროპირის მიხედვით, ადამიანს ამ ცოდვას ბოროტება აკეთებინებს: „... ვნებაჲ ჩემ თანა დამკვდრებულ არს. დამაბნელებს და წარმიტაცებს, და არა უწეი, თუ ვითარ დამცემს. ხოლო რომელ იტყვს, ვითარმედ: «არა რომელი მე მნებავს, მას ვიქმ», ეს იგი არს, ვითარმედ: რომელი-იგი არა სათნო-უჩნს შინაგანსა გონებასა ჩემსა და ვიცი, ვითარმედ ბოროტ არს, მას ვიქმ ჩუეულებისა და წესისა მის ბოროტისა მძლავრებითა“ (გვ. 225).

კირილე ალექსანდრიელი, ეფრემის თარგმანის მიხედვით, შემდგომ ერთად ეხება პავლეს ეპისტოლეს ჩვენთვის საინტერესო ტექსტს - „ხოლო უკუეთუ რომელი-იგი არა მნებავს, და მას ვჭოფ, თანა-მოწამე ვარ (=ვეთანხმები) შჯულისა, რამეთუ კეთილ არს“ და მომდევნო, მე-17, მუხლს,

სადაც ნათქვამია, რომ ადამიანს უგუნურებას ჩაადენინებს ის ცოდვა, რომელიც მასში ბუდობს: „აწ უკუე არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი-იგი დამკვდრებულ არს ჩემ თანა ცოდვად“. აი, ეს თარგმანებაც: „ბუნებითიცა და წერილისადაცა შჯული დიდად აქებენ მას, რომელი-იგი დაღაცათუ ჩუჰსულე-ბათაგან იძლეოდის ცოდვად, არამედ არცა ეგრეთ განიმარ-თლებდეს თავსა მაქებელობითა ცოდვისადათა. უფროდსა განაქი-ქებს ძლეულებასა თვსსა ბილწად და უნებელად ქადაგებითა მისითა, რასა-იგი იქმს. ამას თანა განამართლებდესცა შჯულსა ღმრთივ-მოცემულსა, ვითარმედ არარად დაუკლიეს მას ეოფად და სწავლად ჩუენდა ჯეროვნისა, რომლისათვს აღვიარებ, ვითარ. მედ მეცნიერებით (=ცოდნით, შეგნებულად) ვცოდე გარეგან ეოფითა თავისა ჩემისადათა და მძლავრ დამონებითა ბილწთა ჩუჰსულებათადათა“ (121r).

ეფთვიძემს თარგმანში ეს მუხლები ცალ-ცალკეა გან-ხილული და იგივე თვალსაზრისია წარმოდგენილი, რაც ზემორე ტექსტებში. ჩვენთვის საინტერესო მე-16 მუხლის კომენტარი: „... რომელი არა სათნო-უჩნს შინაგანსა გონებასა ჩემსა, და ვიცი, ვითარმედ ბოროტ არს, მას ვიქმ ჩუეულებისა და წესისა ბოროტისა მძლავრებითა. ხოლო ესე არა მცირე ქებად არს შჯულისად, რომელ მარადის არა-ქმნასა ცოდვისასა ასწავლის“. მე-17 მუხლის კომენტარი: „...გარნა ესე იგი არს, ვითარმედ გემოსა მას ცოდვისასა წინა-მიუოფსო და ესრეთ მაცთუნებს და მიმდრეკს კეთილისაგან“ (გვ. 94).

პავლეს ეპისტოლეს მომდევნო მუხლებშიც გრძელდება ამავე თემაზე მსჯელობა. რომ ადამიანს სურს კეთილის კეთება, მაგრამ მისდა უნებურად აკეთებს ბოროტს, რაც მის სურვილს ეწინააღმდეგება. ამ ბოროტებას კი, გამეორებულია, მას აკეთებინებს მასში დამკვიდრებული ცოდვა: „რამეთუ უწეო, ვითარმედ არარად დამკვდრებულ არს ჩემ თანა, ესე იგი არს, კორცთა შინა ჩემთა კეთილი, რამეთუ ნებად იგი წინა მიც მე, ხოლო საქმედ კეთილისა მის არა ვჰპოვებ. რამეთუ არა რომელი-იგი მნებავს კეთილი, მას ვჰყოფ, არამედ რომელი-იგი არა მნებავს

ბოროტი, მას ვიქმ. ხოლო უკუეთუ რომელი-იგი მე არა მნებავს და მას ვჭყოფ, არღარა მე ვიქმს მას, არამედ რომელი-იგი დამკვდრებულ არს ჩემ თანა ცოდვა“ (7.18-20).

კირილე ალექსანდრიელის კომენტარების ეფრემისეულ თარგმანში ახსნილია, რომ ადამიანთა მოდგმამ ის თავდაპირველი, ღვთისაგან ბოძებული სიკეთე და ჭეშმარიტად ღირებული სურვილები მაშინ დაკარგა, როცა ევამ შესცოდა. ამის შემდეგ წარიტაცა იგი სიბილწემ: „არა ბუნებით უკეთურად უწოდს გუამსა (=ხორცს, სხეულს), არამედ ამას ცხად-ჭყოფს, ვითარმედ გარდასლვამან სამოთხეს შინა მცნებისამან, უოველთა კეთილთაგან ცალიერ-მეო მე. ვიდრემდის არა თუ მას, რომელსა ვერ გულისკმა-ვჭყოფ, და არცა მნებავს, არამედ, რომელი რად გულისკმა-ვჭო და მენებოს კეთილი, ვერცალა მას ვჭყოფ, მიდრეკილი და თანა-წარტაცებული ბილწთა მიმართ გულისთქუმათა, გემოვნებითა ცოდვისადათა. ამათ სიტყუათა ზედა ნუმცა ვინ ბოროტად უწოდს კორცთა, რეცა თანა-მოწამებითა მოციქულისა მიერ თქუმულისადათა, ვითარმედ არარად დამკვდრებულ არს მათ შინა კეთილი, რამეთუ არა რაქამს ცალიერ არიან კეთილისაგან, აღსავსეცა არიან ბოროტითა, არამედ ორღანონი ოდენ არიან მათ შორის მეოფისა მის სულისანი, და სულსა ზედა არს კეთილად გინა ბოროტად კმარებად მათი“ (121r).

აქვეა გამოყოფილი „სხუად თარგმანი კკუმენისი“: „მნებავს, რადთა თვთმფლობელობად ჩუენი აჩუშნოს, ვითარმედ კაცი თვთ უფალ არს კეთილისა და ბოროტისა. ამისთვის იტევს, ვითარმედ არარად დამკვდრებულ არს ჩემ-თანა, ესე იგი არს კორცთა შინა ჩემთა, კეთილი; რამეთუ უიმულებულ არს სათნობად, და ნებასა ოდენ კეთილისა წინა-უეოფს კაცთა, ვითარცა თვითმფლობელთა აღრჩევად კეთილისა და ბოროტისა. ხოლო იგინი მასცა განისაკუთრებენ თვსად, რომელი აღრჩევითა გულისადათა და მიმოვრებულითა მოქმედებითა შეითვსონ, ვითარ ესე აწ მოციქულმან დაღაცათუ კეთილისადა არა თქუა, არამედ ცოდვისასა იტევს მკვდრობასა კორცთა შინა თვსთა. ესე ამისთვის, რამეთუ ვინადთგან

შემდგომად გარდასლვისა მის ადამისისა, ეუფლა კაცთა ცოდვისად იგი სიბოროტე. არამძლავრებით, არამედ მრავალჯამეულითა მიღევნებულებითა გულისთქემისადათა. ეოუელთა კაცთა შორის განამლიერებდა გემოსა სიბოროტისა თვისისასა. ამისთვის აწ მოციქული ვითარცა ზოგადისა კაცთა ბუნებისა მაგიერ იტევს, მის თანა მკვდრობასა ცოდვისასა, რომელი-იგი მრავალჯამეულითა ჩუპულე-ბითა ბუნებად შეექმნების. უფროდსლა ამას ცხად-ჰყოფს, ვითარმედ ზოგად ორთავე მკვდრობად კორცთა შინა უღონო არს, რამეთუ, რომელსა ერთსა მათგანსა მოუწოდოს კაცმან, მეორესა განამებს, ცოდვად სათნოებასა, და სათნოებად - ცოდვასა. ხოლო მოწოდებად ვიტევ მრავალჯამეულსა მკვდრობასა და მიმოუვრებულსა მოქმედებას თითოეულისა მათგანისასა“ (121r).

კირილე ალექსანდრიელის ნაშრომის დამოწმებულ მუხლთა ეფთვიმისეულ თარგმანშიაც გრძელდება საუბარი ადამიანთა მოდგმაში დასაბამიდანვე დამკვიდრებულ ბოროტებაზე, სულიერისა და ხორციელის ერთმანეთთან შეუთავსებლობაზე, მის წარმომშობ მიზეზებსა და ადამიანთა საჭირო გონიერული მოქმედების, საკუთარი ხორციელი ნება-სურვილების დათრგუნვის აუცილებლობაზე. აქედანაც ამოვიწეროთ ზოგიერთი გამო-ნათქვამი.

მე-18 მუხლზე: „თვთმფლობელობასა კაცისასა გამოაჩინებს და ვითარმედ კაცი უფალ არს ორკერძოვე მიდრეკასა ზედა, გინა თუ კეთილისა მიმართ, გინა თუ ბოროტისა, და ამისთვის იტევს ვითარმედ: არა თუ ესე დამკვდრებულ არს ჩემ თანა კეთილი, თუმცა მინდა, თუ არა, - ვიქმოდე-მცა მას იძულებით. რამეთუ ნებად წინა მიც, რადთა, სადადთცა ვინებო - მივდრკე და ესე ბუნებითად მაქუსო ნებად კეთილისად, ხოლო ქმნად არღარა იძულებით არს, არამედ თვთმფლობელობასა ზედა ჩემსა“.

შემდეგ: „არა თუ კორცთა შეასმენს ამით სიტევთა, არამედ განუო კაცი ორად: სულად და კორცად...“ (გვ. 94).

კიდევ: „... ნებად კეთილისად მაქუს, გარნა ჩვეულებათათვს ცოდვისათა და მძლავრებისა მისთვის მივიტაცები, და ვერ ვჰპოვებ

ჩემ თანა საქმესა კეთილსა, რომელი ჰნებავს შინაგანსა გონებასა, არამედ - რომელი სძულს, და მამხილებს მისთვის“.

მე-19 მუხლზე: „გამოაჩინებს ცთუნებასა მას ცოდვისა მიერსა, რამეთუ იტევს, ვითარმედ: ბუნებით მნებავს ქმნად კეთილისად, გარნა მოვალს გულის-თქუმად და დამარწმუნებს ქმნად ბოროტისა, რომელი-იგი არა ჰნებავს გონებასა მას შინაგანსა, არამედ სძულს“.

შემდეგ: „სულიცა და კორცნიცა კიდე-განიუყანნა და უოველი ბრალი ბოროტსა ჰროგრისინსა ზედა (რომელ არს ნებად) და ბოროტსა ჩუეულებასა ზედა ემპაქსა ზედა დადვა...“ (გვ. 95) და სხვა.

ამავე მუხლების შესახებ არსებითად ამასვე ამბობს იოვანე ოქროპირი (გვ. 225-226).

მაშასადამე: პავლეს ეპისტოლეში ერთმანეთისაგან გარჩეულია ორგვარი სურვილი: ერთი, სულიერი, ანუ სჯულიერი, მარადიული, რომელსაც ადამიანისათვის ბედნიერება მოაქვს და მეორე, შეძენილი, ხორციელი, მაცთუნებელი და წარმავალი, რომელიც პირველს უპირისპირდება და კაცობრიობისათვის უბედურება მოაქვს. ამიტომ ადამიანმა ეს უკანასკნელი უნდა უარყოს, ანუ მან უნდა აკეთოს ის, რაც მას ყოველდღიურ ცხოვრებაში არ სურს. თანაც, რაც მთავარია, ყოველივე ეს კაცობრიობისათვის დროებითი მოვლენა კი არა, ყოველდღიური და სამუდამო შესასრულებელი საქმეა.

პავლეს ეპისტოლეს ეს თვალსაზრისი გამოყენებულია ქართულ ორიგინალურ მწერლობაში. „იონე ზედაზნელის ცხოვრებაში“, როდესაც იონე თავის მოწაფეებს ქრისტიანულ შეხედულებებს აცნობს, იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ „არა არს კაცი იგი ანგელოზ, არცა ჰირუტეუ, არამედ შორის მათსა“, საუბრობს სულიერისა და ხორციელის შესახებ და ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ განიხილავს ადამიანთა ორგვარ ნებას: „ბუნებასა სულიერებრივსა მიიუყანოს, კორცთა მათ ნება დაამორჩილა, რომელი უკუდავებასა და ცხოვრებასა მოატეუებს. და უკუეთუ მოდრეკს და სული იგი მიიუყანოს ნებასა კორციულებრივსა, დაამონოს სიკუ-

დილსა და სრწნილებასა. ეს[კ] ორნი ნებანი ერთიერთსა წინააღ-  
მდგომნი გუქონან, ვითარცა მოციქული იტევს“. იოანე ზედაზნელს  
სანიმუშოდ მოჰყავს ტექსტები პავლეს ეპისტოლედან  
გალატელთა (5.17) და ზემორე დამოწმებულ რომაელთა მიმართ  
(7.15-17). „სედავ, - აგრძელებს იოანე მსჯელობას, - ვითარ  
განცხადებულად გვთხრობს ჩუენ მოციქული ორთა მათ ნებათა  
ერთიერთისა წინააღმდგომთა, მბრძოლთა მათ: ერთსა ნებასა ბუნე-  
ბითსა დაბადებულსა, რომელი იყო. ადამისთვის ჰირველ გარდა-  
სვლისა მცნებისა სამოთხესა შინა, ვიდრე სულიერდა იყო და ნათა-  
ნაელ (?); ხოლო ერთსა მას, რომელი შემდგომად ცთომისა დაემკვ-  
დრა ჩუენ შორის არა ბუნებითა, არამედ შემუსრვილი გარეშე  
გულისა მის მზაკ[უ]ვარებითა... გულისკმა-ეავთ, მმანო, სიტყუათა  
ამათგან, უკუეთუ ვინმე მიერჩდეთ წინაგანწუობილთა მათ,  
წარტუენულ არს იგი სამუღელისა მისგან ნებისა. ხოლო  
უკუეთუ არა კორცთა საქმესა მოაკუდინებს, ჰკიეს იგი სულიერი  
უნებელად აწ გამოჩინებულ არს, ვითარმედ კელმწიფებასა  
ჩუენსა აქუს ორივე ესე ნებად, დაღათუ ვშმაკისა იგი ნებად  
დაუცხრომელად მ[ი]შიდავს ნებასა მას თვისსა ბოროტსა კორ-  
ციელთა მათ გულისთქ[უ]მასა...“<sup>12</sup>

საკუთარი ნება-სურვილის აკრძალვაზე საუბარია აგრეთვე  
პატერიკების ძველ ქართულ თარგმანში, რომელსაც ყურადღება  
მიექცია ქეთევან ბეზარაშვილმა და ისინი „ვეფხისტყაოსნის“  
საძიებელი აფორიზმის წყაროდ მიიჩნია.

აღნიშნულ თარგმანში ერთ ადგილას იკითხება: „ჰრქუა  
მამამან მაკარი მამასა ზაქარიას: მითხარ მე, რად არს საქმს  
მონაზონისად? ხოლო მან ჰრქუა: და შენ მკითხავა, მამაო? და  
მამამან მაკარი ჰრქუა მას: დამიჯერებიეს შენი, შვილო ზაქარია,  
რამეთუ არს, რომელი მაიძულებს მე კითხვად შენდა. მაშინ ჰრქუა მას

<sup>12</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1,  
დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიძემ, ი. ა.  
ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჯანკიეშვილმა  
და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და  
რედაქციით, თბ., 1963, გვ. 204-205.

ზაქარია: მე ესრეთ მგონიეს, მამაო, რომელი აიძულებდეს თავსა თვისსა უოველსა შინა, ესე არს მონაზონებაჲ“<sup>13</sup>.

მეორე ტექსტი მოკლეა: „თქუა მამამან ჰიმენ: აიძულებდ თავსა თვისსა, რადთა არა დაამტკიცო ნებაჲ შენი და გაქუნდეს განსუენებაჲ“ (იქვე, გვ. 198).

ქ. ბეზარაშვილი იკვლევს „ვეფხისტყაოსანსა“ და სასულიერო მწერლობას შორის მსგავსებას და „ბრძნობასა“ და „საღვთო ბაძეაზე“ წერს: „ავთანდილი ტარიელს გამუდმებით ახსენებს ბრძენთა შეგონებებს“, სქოლიოში კი აგრძელებს: „მრავალი ასეთი აფორიზმის წყარო ქრისტიანულ მწერლობაში იძებნება“. მაგალითებად დასახელებულია „ვეფხისტყაოსნის“ „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ...“ და პატერიკის - „რომელი აიძულებდეს თავსა თვისსა...“ და „აიძულებდ თავსა თვისსა...“<sup>14</sup>

რამდენად სამართლიანია ეს მოსაზრება და, საერთოდ, არის თუ არა კავშირი ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ მითითებულ გამონათქვამებს შორის?

ზემოთ მოცემული მასალებიდან და მსჯელობიდან, ვფიქრობთ, პასუხი ნათელია: ორგანული კავშირი მათ შორის არ არის! უპირველესად ამის მაჩვენებელია ის, რომ პავლეს ეპისტოლეში ჩამოყალიბებული და მასზე დამყარებული ქრისტიანული შეხედულება ხორციელთან შედარებით სულიერის პრიმატის თაობაზე ზოგადი მსოფლმხედველობრივი მრწამსია<sup>15</sup>, ავთანდილის შეგონება კი ერთი კონკრე-

<sup>13</sup> შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, თბ., ანბანურ-ანონიმური პატერიკები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა დვალაძე, თბ., 1974, გვ. 66.

<sup>14</sup> ქ. ბეზარაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ საღვთო სიყვარული და „ტურფა საჭვრეტელი“, წერილი პირველი, კრებ.: შოთა რუსთველი, სამეცნიერო შრომების კრებული, I, თბ., 2000, გვ. 122.

<sup>15</sup> ამ შეხედულებას ძველ ქართულ მწერლობაში ბევრგან ვხვდებით, მათ შორის საერო ნაწარმოებებშიც. მაგალითად: „აპოფთეგმატას“ ქართულ თარგმანში წერია: „პლატონ იუო კაცი კეთილი, უოველთვის უოველი თავის თვისისა ზორცთ ნება მოჲკლა და ესრეთ ისწაულებოდა: (...) თავისი სიბრძნით კაცმან უოველი თვისის ზორცის ნება და გემოყნება მოჲკლან და თვისგან შორად განაგდოს“ (სიტყვის-გება სოგრატისი და სხვათა

ტული მიზნის მისაღწევად ნათქვამი და მას აღნიშნული რელიგიური განმარტებელი გაგება არა აქვს. თუ დამოწმებულ სასულიერო თხზულებათა გამონათქვამები წმინდა რელიგიურია, ათვალწუნებით უყურებს ხორცის მარგებელ სიამტკბილობას და ასკეტური თავშეკავებისაკენ მოგვიწოდებს (მათივე აღიარებით, „რომელი აიძულებდეს თავსა თვსსა ეოველსა შინა, ეს არს მონაზონებაჲ“) „ვეფხისტყაოსანი“, პირიქით, საერო, ლაღ ცხოვრებას - ნადირობას, ნადიმობას, სმა-ჭამას, თამაშსა და დროსტარებას აიდეალებს.

ავთანდილის შეგონება რომ პავლეს ეპისტოლეს ეხმიანებოდეს, მოსალოდნელია, რუსთველს, ავთანდილს ეს ავტორიტეტი დაემოწმებინა კიდევ, როგორც პოემაში სხვაგან გვაქვს:

„მეშინიან, თუცა შიშსა მოციქული არ დაპრიდობს“ (756.2).

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?“  
(793.1).

„მართლად იტყვის მოციქული: შიში შეიქმს სიყვარულსა“  
(1045.4).

ისიც სათქმელია, მწერალს ავთანდილის შეგონებისათვის მეტი ძალა რომ მიეცა, ამ კერძო შემთხვევის გამოც შეიძლებოდა პავლეს ეპისტოლეს მოშველიება, როგორც ეს სასულიერო თხზულებაში, „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“, გვაქვს. მაგრამ, თუ ავტორი ამას არ მიმართავს, ეს, ალბათ, უფრო ქრისტიანული და, საზოგადოდ, რელიგიისადმი იმ დამოკიდებულებით უნდა აიხსნეს, რასაც იგი მთელი პოემის, ვითარცა საერო ეპოსის, მანძილზე ამჟღავნებს: გაურბის ქრისტიანული რელიგიური დოგმების წარმოჩენას! ამიტომაც „ვეფხისტყაოსანში“ ეს მხარე მიჩქმალული და

---

ფილოსოფოსთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ლალი ძოწენიძე, თბ., 1978, გვ. 29).



რუსთველის რელიგიური აღმსარებლობის მაჩვენებელი ნიშნები სანთლით საძებარი, საგანგებო ძიების შემდეგ მისახვედრი, ხოლო თვით პოემა სხვა რელიგიის მიმდევართათვის ახლობელი და მისაღები.

თუ დაეუშვებთ, რომ ავთანდილის შეგონება პავლეს ეპისტოლეს, საერთოდ, ქრისტიანული სასულიერო მწერლების, მიერ არის შთაგონებული, ის მაინც აშკარაა, აღნიშნული სიტყვები, ისე როგორც ავთანდილის და „ვეფხისტყაოსნის“ სხვა პერსონაჟთა ქმედებანი, ამ რელიგიური გაგებისაგან დაცლილია.

როდესაც პავლეს ეპისტოლეს დამოწმებული ტექსტის „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებას ვიკვლევთ, ყურადღებას იპყრობს ავთანდილის ლოცვა:

„ილოცავს, იტყვის: «მაღალო, ღმერთო ხმელთა და ცათაო,  
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,  
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,  
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!»“  
(811).

რა სურვილები შეიძლება იგულისხმებოდეს ამ თხოვნაში? ავთანდილის სურვილი და მიზანი იმ ხანად (თანაც როგორი? – უსაშველოდ მძაფრი და ძლიერი!) ტარიელის დახმარება არის. ცხადია, ამ სურვილისა და მიზნის დათმობას, ხელის აღებას იგი ღმერთს არ შეეხვეწება. ხომ არ შეიძლება აქ ვიფიქროთ, ეს ისეთი სურვილებია, რომლებიც ადამიანს სამუდამო ბედნიერების მოპოვებაში ხელს უშლის, რაზედაც ბიბლიაში, კერძოდ, პავლეს ეპისტოლესა და ქრისტიანულ ეგზეგეტიკურ ლიტერატურაშია საუბარი?

ამგვარ გაგებას რამდენადმე მხარს უჭერს ღმერთზე ნათქვამი – „მფლობელო გულის-თქმათაო“. სიტყვა „გულის-თქმა“ „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ აქ, ერთხელ, იხმარება და ძველ ქართულში მას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ახალ ქართულში – *სურვილი, მისწრაფება, ზრახვა, გულის წადილი* (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II, თბ., 1951).

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით - „გონებით ნდომა“, „გულის ნდომა“<sup>16</sup>. მისი ახსნით, „ფიქრი არაბთა ენაა, ქართულად საგონებელი, განზრახვა, გულის-თქმა, წვლილ მოგონება ჰქვია“. „წადილი განიუოფების სამად: გულის-თქმად, გულის-წერომად და განზრახვად“<sup>17</sup>.

ნიკო ჩუბინაშვილი: „გულით ნდომა, სურვილი...“<sup>18</sup>

დავით ჩუბინაშვილი: „გულთ-ნდომა, სურვილი...“ მითითებულია „ვეფხისტყაოსნის“ დამოწმებული სტროფი და ახსნილია: „ძლიერი სურვილი რისამე“<sup>19</sup>.

ილია აბულაძე: „გულის-თქმა «გულის-მთქმელობა», «თნევა», სურვილი, ნატვრა, «გულის-სიტყვა», გულის-კმა“<sup>20</sup>.

ზურაბ სარჯველაძე: „გულის სათქმულობა-მ- სურვილი“<sup>21</sup> და ა. შ.

მაშასადამე, ღმერთი არის *სურვილების, განზრახვის, გულის წადილის მფლობელი, მეუფე გამგებელი*<sup>22</sup>. ამიტომ, ვფიქრობთ, შეიძლება დავუშვათ, ავთანდილი ღმერთს სთხოვდეს მავნე სურვილების, გულის წადილის დათმობას, უარყოფას, როგორც ეს პავლეს ეპისტოლეშია. მაშინ ამ

<sup>16</sup> სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია ა ბ უ ლ ა ძ ე მ, IV, სიტყვაზე „გულის-თქმა“.

<sup>17</sup> იქვე, IV, სიტყვებზე: „ფიქრი“, „წადილი“.

<sup>18</sup> ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.

<sup>19</sup> დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შ ა ნ ი ძ ე მ, თბ., 1984.

<sup>20</sup> ილია ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბ., 1973.

<sup>21</sup> ზურაბ ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, 1995.

<sup>22</sup> ვ. ნ ო ზ ა ძ ე აღნიშნულ ფრაზას ასე განმარტავს: „ღმერთო, მომეც ძალა, რათა გავუძლო სურვილთ, მოვითმინო სურვილნი, აიტიანო დ გადავითანო ჩემი უღრმესი და უძღვივესი ს ი ე ვ ა რ უ ლ ი (...). ღმერთი არის მფლობელი კანცის გულის თქმათა“ (ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963, გვ. 187).

სტრიქონში სიტყვებს „ღათობა“ და „სურვილი“ პირდაპირი გაგება ექნებათ.

მაგრამ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ამავე დროს, პოემაში დასახელებული სიტყვები გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება. კერძოდ, ლექსიკონებშია მითითებული: *სიყვარული*. როგორც ვნახეთ, ამავე გაგებას მხარს უჭერს ვ. ნოზაძე. განხილული სტროფის „სურვილი“ ზოგჯერ განმარტებულია „*ენებად*“. ნ. მარი სტრიქონს ასე თარგმნის: „*Даруй мне страстей украшение, хозяин сердец желаний (сказании)*“<sup>23</sup>.

სოლომონ იორდანიშვილის თარგმანით: „*Дай овладеть мне страстями, ты, влади́ка страстей*“<sup>24</sup>.

ნოე ჟორდანიას აზრით, აქ სურვილთა ღათობა ნიშნავს „*მტკიცე ნებისყოფის შენახვა*“-ს<sup>25</sup>.

ნოდარ ნათაძე ფართო მნიშვნელობით განმარტავს. „*სურვილთა - სურვილების, ვნებების, სწრაფების*“<sup>26</sup>.

„*ვეფხისტყაოსნის*“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას სტრიქონის შინაარსი ასე ესმის: „*შემაძლებინე სურვილების (ენებების) მოთმენა, გულისტქმის გამკებელო!*“<sup>27</sup>

ნესტან სულავა ავთანდილის ლოცვის „სურვილის“ გაგების ნათელსაყოფად იშველიებს პოემის პროლოგში ნახსენებ „*მიჯნურთა სურვილს*“. მისი სიტყვებია: „*ავთანდილის ნათქვამის - «მომეც ღათობა სურვილთა»-ს ასახსნელად ვეფხის-*

---

<sup>23</sup> Н. Я. М а р р, Об истоках творчества Руставели и его поэме, Подготовка сборника к печати и примечания И. В. М е г р е л и д з е, Тб., 1964, გვ. 202.

<sup>24</sup> Ш о т а Р у с т а в е л и, Витязь в тигровой шкуре, Подстрочный перевод с грузинского С. И о р д а н и ш в и л и, Тб., [1966], გვ. 169, სტროფი 800.4.

<sup>25</sup> ნ. ჟორდანიას, ვეფხის-ტყაოსანი, პარიზი, 1930, გვ. 58.

<sup>26</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მეხუთე სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ბოლო სიტყვა დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1996, გვ. 266.

<sup>27</sup> მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 1, გვ. 187.

ტეაოსნის პროლოგის შემდეგი სიტყვები გვეხმარება: «მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილდე გასატანისა». შოთა რუსთველი ღმერთს სთხოვს მიჯნურთა სურვილის მომადლებას, რათა სულიერად განწყენილი წარსდგეს მის წინაშე<sup>28</sup>. ავტორს მოჰყავს ვიკტორ ნოზაძის შეხედულება, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანისეული განმარტება („ნდომა, შეყრის წადილი“) სრულყოფილად არ მიაჩნია, და ეთანხმება მის მიერ დაზუსტებულ მნიშვნელობას - ვნება. ვ. ნოზაძეს უწერია. „სურვილი არის ეველა ის გრძნობადი და სულიერი მისწრაფება, რაც კაცის ნდომაზეა დამყარებული... აქ (პროლოგში - ბ. დ.) «სურვილი» არის არა უბრალოდ მიჯნურთა შეყრის წადილი, არამედ ვნება, «ჰასიონ», სიუვარული უშრეტი, რომელიც შეუვარებულს სიკვდილამდე უნდა ეახლოს, კუბომდე გაჰყვეს“<sup>29</sup>.

წინ ნ. სულავა იმავე სტროფის „სურვილის“ ასახსნელად პარალელს ავლებს ჩვენს ძირითად საკვლევ ტექსტთან - „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ“. ეს ასეა აღნიშნული: „ავთანდილის ზემოხსენებული სიტყვები (მეორე სტრიქონი - ბ. დ.) უშუალოდ უკავშირდება ლოცვის ჰირველი სტროფის ბოლო ტაქსნაც: «მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო» (809). აქვე უნდა დავიმოწმოთ ავთანდილის ნათქვამი ტარიელთან, როდესაც ამ უკანასკნელს მეორედ შეხვდა შამბნარში: «... რაც არა გწადდეს, იგი ქმენ...» (გვ. 210).

თუ რა აზრობრივი თანხვედრა ან განსხვავებაა ამ ტექსტებს შორის, ავტორი არაფერს გვეუბნება. იგულისხმება, ისინი ერთმანეთთან მსგავსების გამოა დაკავშირებული. ჩვენ ამ მსგავსებას ვერ ვხედავთ. ავთანდილის ლოცვის „სურვილის დათმობასაც“ განზოგადებული შინაარსი აქვს, მაშინ როდესაც, ვიმეორებთ, ავთანდილის მიმართვა კერძო სურვილს ეხება.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონებში ნაჩვენებია, რომ გადატანითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე „დათმობა“ სიტყვასაც.

<sup>28</sup> ლიტერატურული ძიებანი, XX, თბ., 1999, გვ. 211.

<sup>29</sup> ვ. ნ. ზ. ა. ძ. ე, ვეფხისტყაოსანის ღმერთისმეტყველება, გვ. 187.

სახელდობრ, მას აქვს „გაძლების“, „მოთმენის“ შინაარსობრივი ნიუანსიც:

„უთხრა: დათმე, ნუ მოკვდები, გულსა სრულად ნუ დასჭრი, და-“ (914.2).

„მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია“ (966.4).

ავთანდილის ლოცვაში ნახმარი „დათმობა“ ამგვარად აქვს ახსნილი იუსტ. აბულაძეს - „ჭირის ატანა, თქენა“<sup>30</sup>, ნ. ნათაძეს - „მოთმენა“<sup>31</sup>.

რა თქმა უნდა, ავთანდილის ლოცვის განხილული სტრიქონის რუსთველოლოგიაში გამოთქმული ეს მეორენაირი გაგებაც სავსებით დასაშვები და მისაღებია, რაც საშუალებას არ გვაძლევს, მასში თამამად დავინახოთ პავლეს ეპისტოლესეული თვალსაზრისი, მეტადრე მას შემდეგ, როცა უფრო შესაფერის ადგილას, ავთანდილის მიერ ტარიელის დამოდვრის განხილულ ეპიზოდში, იგი გამოყენებული არ არის.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ: მიუხედავად იმისა, რომ, შეიძლება, ზოგიერთი აზრობრივი დამთხვევა არსებობდეს, პავლეს ეპისტოლეს გამოძახილი არ უნდა იყოს აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ის სტროფი, სადაც გულის, ანუ წადილის, სიხარბეზე გაუძღომლობაზე, სიბრძავესა და ხედვის სიურჩეზეა საუბარი:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,  
გულია ჟამ-ჟამ ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მნდომელი,  
გული - ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,  
ვერცა პატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი!“  
(720).

<sup>30</sup> „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარე გამოცემებზე დართული ლექსიკონი.

<sup>31</sup> „ვეფხისტყაოსნის“ მითითებული სასკოლო გამოცემა, გვ. 266.

აქ არ ჩანს აზრის ის თვისებებურება, რაც პავლეს ეპისტოლეში გვაქვს. ის უფრო ხალხურ შეხედულებას მიესადაგება.

ამრიგად: 1. არ არის სამართლიანი რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ ასახული იყოს, ერთმანეთს ავსებდეს ან უპირისპირდებოდეს შოთა რუსთველის ცხოვრებისეული სამოქმედო ორი ტოლფარდი ფილოსოფიური თვალსაზრისი, დევიზი: „რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“ და „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!“ მით უმეტეს, ვერსად ვხედავთ, ქმედებით ამ მხრივ ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ პოემის პერსონაჟები, სახელდობრ, პირველის მიმდევარი იყოს ავთანდილი და თინათინი, მეორისა - ტარიელი და ნესტან-დარეჯანი. „ვეფხისტყაოსნის“ ყველა პერსონაჟი თავისი ნება-სურვილების შესრულებისათვის თავგამოდებით, მთელი არსებით იღვწის. ასევე, დიდ ანგარიშს უწევენ ისინი ახლობელთა, მოკეთეთა მიზნებს და არაფერს იშურებენ მათი განხორციელებისათვის.

პოემაში გარჩეულია კეთილი და ბოროტი ზრახვები. ადამიანთა მისწრაფებებსა და ქმედებებს განსაზღვრავს უზენაესი ძალა, ღმერთი, ამავე დროს, აღიარებულია ეშმაკისეულიც, რომელიც ყოველთვის საშინელი და დამღუპველია.

შეგონება „რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!“ პოემაში კერძო შემთხვევისთვისაა ნათქვამი. თუ რუსთველისეული გმირები ზოგჯერ ასეც იქცევიან, თავიანთი ნება-სურვილების წინააღმდეგ მიდიან, ყველგან ეს იძულებითი ნაბიჯებია, უსიამოვნო ქმედებანია, გამონაკლისია და მას არა აქვს მუდმივმოქმედი ყოვლისმომცველი, განმაზოგადებელი, ცხოვრებისეული მიზანდასახული გამოხატულება, მეტადრე რელიგიური შინაარსი, როგორც რომაელთადმი გაგზავნილ პავლეს ეპისტოლეშია. თხზულებაში ის იმ სიმალლეზე აყვანილი არ არის, რომ უპირისპირდებოდეს პოემისეულ მეორე თეზას - „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!“

2. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ გასამაგრებლად დებულებისა „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა!“ რუსთველი არ იყენებს, არ იმოწმებს პავლეს მიერ გამოთქმულ და ქრისტიანობაში დამკვიდრებულ განზოგადებულ მოძღვრებას - „რომელი არა მნებავს და მას ვკყოფ, თანა-მოწამე ვარ შჯულისა, რამეთუ კეთილ არს“.

ეს უკანასკნელი რელიგიური შეხედულება, შეიძლებოდა გვეფიქრა, ასახული იყოს ავთანდილის ლოცვაში - „*შომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!*“, მაგრამ, რადგან „სურვილი“ სხვანაირადაც შეიძლება გავიგოთ და საამისოდ რაიმე სხვა დამადასტურებელი პოემაში არაფერი ჩანს, ამის დაბეჯითებით თქმა ძნელია.

როცა რუსთველი პირდაპირ არ ასახელებს და არ იყენებს პავლეს აღნიშნულ შეხედულებას, უფრო მოსალოდნელია, ეს იმით კი არ აიხსნებოდეს, რომ ის არ იცნობს ამ დებულებას ან პოემის წერისას არ აგონდება, ან კიდევ მხედველობაშიც აქვს და ეფუძნება მას, მაგრამ საჭიროდ არ მიიჩნევს დასახელებას, არამედ განპირობებული იყოს გენიოსი, რენესანსული მოაზროვნე პოეტის, საზოგადოდ, რელიგიისადმი დამოკიდებულებით - შეგნებულად გვერდს უვლის, გაურბის სარწმუნოების, ქრისტიანული რელიგიური დოგმების წარმოჩენას და ქმნის ისეთ საერო თხზულებას, რომელიც ყველა რელიგიური აღმსარებლისათვის მისაღები იქნება.

ფელეტონი

ოჰ, ეს სიმბოლო-ალეგორიები!  
(ოთარ ჩხეიძის „ღვინია გადაიჩეხას“ გაგრძელება)<sup>1</sup>

დიდი და უზარმაზარი კი არა, ენით უთქმელი, ფანტასტიკური აღმოჩენები გადაულოცა XX საუკუნემ XXI-ეს ფიზიკის, ტექნიკის, კოსმოლოგიის, ბიოლოგიისა და

<sup>1</sup> დაიბეჭდა გაზეთ „კალმასობაში“ (იენის-ივლისი, 2003, № 6, გვ. 16 - 17).

მეცნიერების სხვა მრავალ დარგში, მაგრამ ამათ, ყველას, ჯიბეში ჩაისვამს ის მიღწევა, რაც ლიტერატურისმცოდნეობამ მოიპოვა. თუ აღრე თავს ქვას ვახლიდით მხატვრული ნაწარმოების შინაარსის გაგებისათვის, მწერლის ნაფიქრის, ნააზრევისა და იდეის შეცნობისა და დადგენისათვის, გაირკვა, ყველაფერი ეს ფუჭია, წყლის ნაყვია. საკმარისია დავაფიქსიროთ, როგორ წარმოგვიდგება ესა თუ ის სიტყვა-კაზმული ქმნილება, ამა თუ იმ ხასიათზე ყოფნისას რას ვხედავთ მასში, მორჩა და გათავდა, რის დასაბუთება, რა დასაბუთება, რამდენიც უნდა იხტუნოს ავტორმა და აპროტესტოს, ასე არ მითქვამსო, ვინ ეკითხება მას! ბოლოს და ბოლოს, ყველამ უნდა შეიგნოს ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ, რამდენი მკითხველიცაა ქვეყანაზე, ნაწარმოებიც იმდენია. აი, რა კოხტად არის ეს ბაჯალლო სიმართლე გამოთქმული ერთ-ერთ ბოლოდროინდელ მეცნიერულ-ესეისტურ სტატიაში: „ლიტერატურული ინტერპრეტაციებიც ზომ იმითაა საინტერესო, რომ ამგვარი ვარაუდების დაშვების შესაძლებლობას, წაკითხვათა ნაირგვარობას იძლევა. ეს სძენს სწორედ აზრსა და ლაზათს ესეისტისა თუ ლიტერატურათმცოდნეობას. სხვაგვარად არცთუ ისინი, არამედ მხატვრული ქმნილებებიც კი შეწვეტიდნენ არსებობას. ლიტერატურული კლასიკის ძალმოსილება და ცხოველყოფილობაც იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა დონისა თუ ინტელექტის მკითხველი განსხვავებულ შინაარსს დებს და კითხულობს მხატვრულ ქმნილებაში. თორემ იმის თქმა, ზუსტად რა იგულისხმამწერალმა, არა მარტო ჭირს, არამედ არცაა საინტერესო, რამეთუ არაფერს ჰმატებს ნაწარმოებს“<sup>2</sup>.

ამ მეთოდმა ჩვენში განსაკუთრებული ნოყიერი ნიადაგი და ფართო ასპარეზი პოვა მხატვრულ ძეგლთა ქრისტიანულ-თეოლოგიური ინტერპრეტაციის დროს, უფრო სიმბოლო-ალეგორიების ძიებისას, სულერთია, ეხება ის ძველ, ახალ თუ უახლეს ქართულ ლიტერატურას. ამ დროს მთავარია, იყო

<sup>2</sup> გაზ „ლიტერატურული საქართველო“, 2003, № 22, გვ. 4.



მორწმუნე (სიტყვით და სხვის დასანახავად მაინც, საქმით სავალდებულო არ არის) და გქონდეს „ღვთაებრივი ხილვები“, დანარჩენი – კვლევა-ძიება, აზროვნება, ლოგიკა, ნიჭი და ცოდნაც კი სრულიად ზედმეტია, რასაც მოისურვებ, ყველაფერს დაინახავ!

ამ მხრივ უდიდესი მიღწევები გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისას. რად ღირს, თუ გნებავთ, იმის ამოცნობა, რომ სტრიქონში „ერთსა მიჰხედეს საზიაროდ, ღიღებანი იასოცნეს“, აქამდე რომ ხაზგასმული სიტყვის შინაარსი „გაიასოცეს“ გვეგონა, სინამდვილეში, თურმე, მასში სახელი „იასო“ და ზმნა „ცნეს“ გამოიყოფა, რაც ნიშნავს: ქაჯეთის ციხის აღებისას დაღუპულებმა „იასოს - იესეს - ქრისტეს დიდებანი ცნესო, იასოს ქრისტეს ქართული სახელია“<sup>3</sup>. უფრო ნათლად ამ ნაშრომის ახლახან გამოქვეყნებულ გაგრძელებაში იკითხება: „სიტყვაში «იასოცნეს» ასოცი კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება იასოს-იასოს-იესოს იდენტიფიკაცია, თითოეული ეს სიტყვა მაცხოვრებელი შუქის სახელდებაა და მაცხოვრებად განიმარტება“<sup>4</sup>.

კიდევ რამდენი ამგვარი აღმოჩენაა საღისერტაციდ გამიზნულ ამ ნაშრომებში, ახლა ვინ მოთვლის!

სულ ახლახან გავიგეთ, რომ „რუსთაველი ჰროლოგში ახსენებს სამ გშირს, სამ მნათობს, რომელთაც «სჭირს ერთ-მანერთის მონება»», ეს სამი გშირი ალგორითმად ს ა მ ე ბ ა ს განასახიერებს“<sup>5</sup>.

გარკვევით ჩანს, ფართალი უკვე ნაყიღია და სულ მალე არაბეთისა თუ ინდოეთის სამეფოებს „ზეციური იერუსალიმის“ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილს ვიზილავთ.

ადვილი წარმოსადგენია ნიკოლოზ ბარათაშვილის აღტაცება, როცა ის იმ მეცნიერულ-ესეისტურ სტატიას

<sup>3</sup> „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 2000, № 1-4, გვ. 58.

<sup>4</sup> კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, 2002-2003, № 5-6, გვ. 91.

<sup>5</sup> გაზ. „კალმასობა“, 2003, №2, გვ. 13.

გაეცნობა, რომლის თეორიული ნააზრევი ზემორე დავი-  
მოწმეთ, და გაიგებს, რომ მისი „მერანიც მაცხოვრის სახე-  
სიშობლოდ აღიქმება“. თუმცა (გრძელდება ციტატა), „სამწუ-  
ხაროდ, ქართული თეოლოგიური სახისმეტყველებითი აზროვნება  
არ ასახელებს მერანს მაცხოვრის სახე-სიშობლოდ. არადა,  
მერანიც ქ რ ი ს ტ ე ს ისეთივე სიშობლოა, როგორც,  
ვთქვათ, კრაფი ან მარტორქა“.

რატომღაც აქ გვახსენდება ქართლოს კასრადის ადრინ-  
დელი სკეტჩი: *მომილოცეთ, მომილოცეთ, ბიჭი შეშეძინა! ოპ,  
როგორ გაუხარდება ჩემს ცოლს, ამას რომ გაიგებს!*

უაღრესად შთამბეჭდავია აღნიშნული თვალთახედვით  
ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლის შედეგები.  
მაგალითად: „გლახის ნაამბობში“ მღვდლის ნათქვამსა –  
„კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო, ხომ გაგიგონია?“  
და ამაზე გაბრიელის პასუხში – „კლდის გამრღვევ კაცს სხვა  
ფერიც აძევს, შენი ჭირიმე“ – აღმოჩენილია „კლდის“  
ქრისტიანულ-ეგზეგეტიკური მნიშვნელობა, რომ „აქ მინიშ-  
ნება უნდა იყოს მოსე წინასწარმეტყველის მიერ კვერთხით  
კლდის გაჭობაზე“. განმარტების მიზნით იქვე მოყვანილია  
კორინთელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეში ნათქვამი: „ხოლო  
კლდე იგი იყო ქრისტე“<sup>6</sup>.

ამას რაიმეთი არ ჩამორჩება იქვე მოცემული სხვა  
აღმოჩენა: „ოთარაანთ ქვრივში“ ნახსენები *კიღობნისა* და  
*„კიღობანთან თაგვი აფხაკუნდას“* საზარებისეული „პური  
ცხოვრებისა“-სთან დაკავშირება (გვ. 105–106).

არანაკლებ და კიდევ უფრო მასშტაბურია სხვა ნაშრომი,  
რომელიც გაზეთ „კალმასობაშია“ გამოქვეყნებული (№ 4, 1998,  
გვ. 6) და სათაურად აქვს: „ორი დღის ბიბლიური სიმბოლიკა  
ილია ჭავჭავაძის «სარჩობელაზედ» მიხედვით“. იქ უხვი მასა-  
ლებით დასაბუთებულია, რომ „სარჩობელაზედ“ „სახის-  
მეტყველების ელემენტებით დატვირთული მოთხრობაა“. არაერთ-

<sup>6</sup> წიგნი: „მადლის წყარო“, 1997, გვ. 89.

გზის არის ნათქვამი, რომ იგულისხმება „ბიბლიური სიმბო-  
ლიკის ელემენტები“. უპირველესად საუბარია „ორის ბიბ-  
ლიურ“ სიმბოლიკაზე, რაც იმით ვლინდება, რომ ჩამოხრჩობა  
პეტრეს ქალაქში ჩამოსვლის მეორე დღეს ხდება. „ეს, –  
ვკითხულობთ გამოკვლევაში, – მხოლოდ მეორე დღეს ხდება  
(იგულისხმება ოთხი წლის შემდეგ დამდგარი მეორე დღე, რაც  
კამოიხატება დროისა და სივრცის ბიბლიურ აღქმაში)“. იქვე  
გარკვეულია: პეტრეს „პიროვნული პორტრეტი მხოლოდ  
სახისშეტყველებითი ქარვითაა აჭრილი და სამი ძირითადი  
სიმბოლური მახასიათებლითაა მოწოდებული: დროულობა, ღვი-  
ნით ვაჭრობა და თავად სახელი პეტრე“. „დროულობის“  
სიმბოლიკაზე, ალბათ, იმიტომ, რომ ისედაც ნათელია,  
ნაკლებადაა მსჯელობა, მაგრამ ის კი თვალნათლივად არის  
ახსნილი, რომ ღვინით ვაჭრობაში „იგულისხმება ღვინის  
სახარებისეული სიმბოლიკა“ და სახელში „პეტრე“ „ერთგვარი  
სიმბოლიკაა ჩადებული, კერძოდ სახარებისეული სიმბოლიკა“.

როცა მწერალს თავისი თავი ათეისტად მიაჩნია, ჩვენ  
უნდა შეგვწევდეს ძალი, მისივე თხზულებების მიხედვით  
დავუმტკიცოთ მას, რომ ცდება. ამის საუკეთესო ნიმუშია  
დავით კლდიაშვილი. ის, ერთი ლიტერატურული სტატიით  
აღშფოთებული, 1900 წელს პეტრე (ჰმ, ისევე პეტრე! ნეტავი, აქ  
რა სიმბოლური დატვირთვა აქვს!?) უმიკაშვილს სწერდა:  
„...სიცოცხლით აღვსილი ნაწარმოები ცოცხლად ინახება,  
ხნოვანების მიუხედავად, ინტერესი არ აკლდება. ეს საუურად-  
ღებოა ჩვენი იმ კრიტიკოსებისათვის, რომელნიც გვიქადაგებენ  
რადაც უცნაურ მიმართულებას, – «რეალურს იქით მივხვას»...  
ვერ წარმოიდგენთ, ძვირფასო ბატონო პეტრე, რა რიგად  
გამაოცა ამ სტატიის წაკითხვამ, ეგ რაღაც უიმედოთა მალღა  
აუვანა, ქადაგება რაღაც ნირვანასი, დიდების შესხმა მათი, ვინც  
«რეალური ქვეყნის იქით დამალულის» საიდუმლოს მაძიებელია  
და ამ მიმართულების დროის შესაფერ მიმართულებად აღიარება,  
ეს რაღაც საშინელებაა, ეს «რეალური ქვეყნის» განშორების,  
არიდების ქადაგება ჩვენს მდგომარეობაში მეოფთათვის საზარ-

ლობა, სხვა არაფერი... ამ დროს ტაშს უკრავენ რეალურ ქვეყნის იქით საიდუმლოს მიებას და თაუვანი ეცითო. ამის ქადაგება და მთაყარ მიმართულებად აღიარება ჩვენი თვით არსებობის თანასწორია... რა დამამცირებლად გაისმის... რეალურ ქვეყნის იქით დამალული საიდუმლოს მიება“.

სამწუხაროდ, აქამდე გამოქვეყნებულ ნაშრომებში დავით კლდიაშვილის მკვლევარებიც ეთანხმებოდნენ მწერალს და მისი ნათქვამისებურად აფასებდნენ მის მსოფლმხვედლელობასა და შემოქმედებას, რა თქმა უნდა, ასე იქცეოდა „წითელი პროფესურა“, მაგრამ, დახეთ საოცრებას, თურმე, მათგან არც კიტა აბაშიძე, ტიცციან ტაბიძე და გერონტი ქიქოძეც არ გამოირჩეოდნენ! „ტიციან ტაბიძე ხაზგასმით შენიშნავდა, მის შემოქმედებაში არაფერია მისტიკური“. გერონტი ქიქოძეს უწერია: „დავითის ნაწარმოებებიდან არ ხჩანს, რომ მას რაიმე მეტაფიზიკური საშუალოს არსებობა სწამდეს, ან რელიგიური რწმენისა თუ ურწმუნობის საკითხი ქენჯნიდეს. ის პოზიტივისტურად აზროვნებს, ხოლო, როგორც მხატვარი, ემპირიულ მოვლენათა ქვეყანას არ შორდება“.

... მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ერთბაშად სხვას ვიგებთ: დ. კლდიაშვილის შემოქმედების გაცნობისას „წამკითხველს შესაძლოა, განსხვავებული წარმოდგენა შეექმნეს“. თუ რა და როგორ, ცხადი გახდება, როცა წავიკითხავთ ნარკვევს: „დავით კლდიაშვილი - შორეული ახლობელი. «სინამდვილის ფანტიკოსის» მისტიკური წიაღსვლები“, საიდანაც ამოღებულია დამოწმებული ციტატები და სადაც მწერალი დიდებულადაა გამტყუნებული<sup>7</sup>.

თუ აღნიშნულ მეთოდს კარგად მოვიმარჯვებთ, ეჭვიმუტანლად შეგვიძლია დავასკვნათ: „არ არის შეუძლებელი, რომ ფშავ-ხევსურული ტრადიცია, რომელსაც წაწლობა ჰქვია, სათავეს ე. წ. «სადგეთო სიუჟარულიდან» იღებდეს, მის სახეშეცვლილ ფორმას წარმოადგენდეს“<sup>8</sup>.

<sup>7</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2001, № 19, გვ. 5. № 20, გვ. 7.

<sup>8</sup> გაზ. „კალმასობა“, 2002, № 10, გვ. 7.

ასევე, ამავე ძალისხმევით ვიგებთ, ოთარ ჭილაძის ლექსი „დეპეშები სასტუმროდან“ „ორჰლანინანია. მასში უოფითი დეტალების აღწერისას ასოციაციების საშუალებით ირეალური ხამუარო იხატება“. ნუ გაუკვირდება ეს პოეტს – ბატონ ოთარს, რადგან „ავტორს ხშირად არც აქვს ზოლმე გაცნობიერებული, თუ როგორი ემოციები შეიძლება აღძრას მისმა ლექსმა. ეს ლექსი თავისი შექმნელისაგან დამოუკიდებლად იწეებს სიტოცხლეს და ისეთ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, ავტორს აბსოლუტურად რომ არ ჰქონია გაცნობიერებული“ (გაზ. „კალმასობა“, 2002, № 5, გვ. 15).

როცა ამ მშენიერ თვალსაზრისს გაეცნობა, არც შოთა რუსთველს არ უნდა გაუკვირდეს ან ეწყინოს, თუ რამაზისადმი ტარიელის შენათვალს – „ლაშქართა დავარი, ცოტათა წამოვალ, შენ კერძ ვირები“ – „იასოცნეს“ განმარტების მსგავსად, ასე გავიგებთ: შენკენ წამოვალთ ცოტანი, ვინც ვირები (ანუ მუტრუკები) ვართო. ამასვე დაადასტურებს ავთანდილის ნათქვამი ტარიელისადმი: „აკლა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო“. თუ მძიმეს დავსვამთ „შენთვის“ შემდეგ (მძიმის გადატანა არც ისე მძიმე ფიზიკური საქმეა!), მივიღებთ: ავთანდილი ტარიელს ვირს უწოდებს (ალბათ, მისი სიჯიუტის გამო).

თუ დემოკრატია და ადამიანთა და სიტყვის თავისუფლებაა, ეს ასეა!

ღიან, ყველაფერი ეს (და უამრავი სხვა, რომელთა სრულად ან მიახლოებით ჩამოთვლა შეუძლებელია) ძალიან კარგია. მაგრამ, თუ ადამიანურად და შინაურულად განვსჯით, ერთი რამ გულსატკენია: რამდენ მწერალს ავუხილეთ თვალი და თავიანთი ნაწარმოებები სიღრმისეულად გავაგებინეთ (ამაში ლომის წილი ჩვენს თანამშრომლებს უძევს) და, ამ დროს, ერთხელაც არ გაგვხსენებია ჩვენივე თანამშრომელი – პოეტი და რედაქტორი შარლოტა კვანტალიანი, რომელიც თავის გაზეთში „კალმასობა“ აღნიშნულ წიაღსვლებს უმტკივნეულოდ, უპრობლემოდ, მგონი, წაუკითხავადაც

ბეჭდავს. ცოდვა არ არის ის?! სამაგიერო პატივისცემა არ ეკუთვნის მას?!

ჰოდა, ამ ნაკლის გამოსწორებას ჩვენ ვიწყებთ და მივაწვდით ავტორს მისი ერთი ნაწარმოების სიღრმისეულ, სწორ, „ინტერტექსტუალურ“, „ინტერდისციპლინარულ“, „კულტუროლოგიურ“, „რეცეფციულ“, „ინოვაციურ“ გააზრებას. ესაა პატარა ლექსი „ამი“.

ავტორს მოეხსენება და ბევრ მის მკითხველსაც, რომ ეს მშვენიერი ლირიკული თხზულება თავისი მეუღლის – ამირან ლაბაძისადმი მიძღვნილი. „ამი“ „ამირანის“ შემოკლებული, მოფერებითი სახელია. ბატონი ამირანი რომ ქალბატონ შარლოტას კანონიერი მეუღლეა, ამას ყველაზე მეტად ამტკიცებს მათი შვილების – ლუკას, ლაშასა და სალომეს (ანუ, როგორც როლანდ ბერიძემ თქვა – „ორი ღოძი და ერთი სალომე“) გვარი, სამივე ლაბაძეა. გავიხსენოთ ეს ლექსი:

### ამი

ვერასოდეს გაეფრინდები, ამი,  
ვერასოდეს გაგექცევი შორს,  
შენ შემშიშრე თვალზე თბილი ნამი,  
ახლაც აძლევ ჩემს ცხოვრებას შნოს.

ამიტომაც ვერასოდეს წავალ,  
შენზე ლექსი ძველებურად მწვავს,  
შენ მომიტან უკვდავების წამალს,  
სიხარულის უსასრულო წამს.

მე მოვკვდები სიყვარულით, ვიცი,  
შევერთვები ცად მიმავალ ქარს,  
ცოტა სითბო, თუნდაც ყალბი ფიცი,  
სხვა რა უნდა ჩემებრ სულელ ქალს.

ვერასოდეს გაეფრინდები, ამი,  
ვერასოდეს გაგექცევი შორს...

დავიწყით იმით, რომ დაუუკვირდეთ გამოთქმებს: ვინ არის ის მეუფე, ვისაც შეუძლია „თვალბზე თბილი ნამის (ანუ ცხარე ცრემლების) შეშრობა“, ვინც იძლევა „ცხოვრების შნოს“, „უკვდავების წამალს“, ვისაც „ვერასოდეს გაექცევი შორს“, ვისთანაც უნდა „აფრინდე“ და „შეუერთდე ცას“? რა თქმა უნდა, ასეთი უზენაესი ძალა ღმერთია. თუ არა, მაშინ მეტს არ ვითხოვთ, დაგვისახელეთ ერთი რომელიმე ქმარი მაინც, ვინც ცოლს უკვდავება მიანიჭა!

მეორე და, რაც მთავარია, ქრისტიანული მოძღვრებით, ღვთის სიმბოლური სახელებია სიძე და ქმარი, ხოლო, ვინც მას უნდა შეუერთდეს – სძალი, ანუ რძალია, სასძლო – რძლის ადგილია სასუფეველში. ნიმუშად დავიმოწმებთ ერთ ჰომილიას: „ცრუ არს სოფელი ესე, აჩრდილი არიან ეოფელნივე და ამო და ითმინე მცირედლა, განმლიერდი სიუვარულითა ღმრთისათა უკვდავისა ხ ი მ ი ხ ა დ მ ი, ჰ ხ მ ლ ა დ ქ მ რ ი ხ ა თ ვ ი ს, ბრძენთა თანა ქალწულთა შესლვად განსასვენებელსა ზეციერსა“<sup>9</sup>.

გრიგოლ ნაზიანზელის ნაწარმოების ბერძნულიდან თანამედროვე ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანში, რომელიც სიმონ ყაუხჩიშვილს ეკუთვნის, იკითხება: „ქალწულო, ქ რ ი ს ტ ე ს ს მ ა ლ ო, ადიდე შენი ხ ა ქ მ რ ო! მუდამ წმინდად დაიცავ შენი თავი სიტყვითაც და სიბრძნითაც, რათა ბრწყინვალესა შ ვ ე უ ლ ლ ო საუკუნოდ: რამეთუ ეს შეუღლება ბევრად უფრო მტკიცეა, ვიდრე ხრწნადი შეუღლება“<sup>10</sup>.

არც ისე ძნელად მისახვედრი ტეშმარიტებაა, რომ, ვინც ქმარია, ის აუცილებლად სიძეცაა და, პირიქით: ვინც სიძეა, უცილობლად ქმარიცაა. ვინც ცოლია, ის უეჭველად სძალი,

---

<sup>9</sup> ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ ბ ე გ ი, ქართული ვერსია გრიგოლ პართელის სახელობის აპოკრიფული ჰომილიისა, რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1945, გვ. 48–49.

<sup>10</sup> ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, III, თბ., 1963, გვ. 99.

ანუ რძალიცაა. სხვა თუ არა, საძიებელი ლექსის ავტორი მაინც დაგვეთანხმება, რომ ბატონი ამირან ლაბაძე სხვაზე ნაკლები არც ქმარია და არც სიძე. ასევე, პოეტი, ქალბატონი შარლოტა, მეუღლესაა და სძალიც.

ვფიქრობთ, დაწერილებითი ანალიზი საჭირო არ არის, ამ მასალათა თავმოყრიდანაც ნათელია, რომ განზილული ლექსი ორპლანიანია. პირდაპირი, ემპირიული მნიშვნელობით ცოლი, მეუღლე მიმართავს და ესიყვარულება საკუთარ ქმარს, გადატანითი და ძირითადი მნიშვნელობით, სძალი, წმინდანი, აქებს და აღიღებს ღმერთს, ქრისტეს.

სხვათა შორის, ამის დამადასტურებელია აგრეთვე გამოთქმა „ამი“. რატომ შეამოკლა პოეტმა მაინცადამაინც ამგვარად და არა სხვაგვარად (ვთქვათ, ამიკო, ამუ) ქმრის სახელი? ცხადია, იმიტომ, რომ ილუზია და ალუზია შეექმნა სიტყვისა „ამინ!“, რაც ნიშნავს: *ყველაფერი ეს ჭეშმარიტია!*

რაკი ესეც გავარკვიეთ, ბოლოს ისღა დაგვრჩენია, მოვუწოდოთ ყველას: ნუ დავტოვებთ რომელიმე ხელოვნების ძეგლს ამგვარი ახსნის გარეშე! ამასთანავე: შევესიოთ მთებსა და ველებს, ტყეებსა და მდელოებს, ჩავწვდეთ და საზოგადოებას ვაჩვენოთ, თუ რა მისტიკური ამბები იმალება იქ. ამა თუ იმ ბუჩქსა და გორაკს რა სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატულება აქვს და ა. შ.

სამკალი ფრიად არს, მომკელნი კიდევ მეტი! <sup>11</sup>

---

<sup>11</sup> როცა ეს წერილი გაზ. „კალმასობაში“ დაიბეჭდა, ბოლოს დართულ „რედაქტორის მინაწერში“ შარლოტა კვანტალიანი ავტორს იუმორით მიმართავს: „...რაც შეეხება ჩემს ლექსს «ამი», იგი ნამდვილად ჩემს მეუღლეს ეძღვნება... შავრამ თქვენ უდავოდ მადლობას იმსახურებთ იმის გამო, რომ ჩემს სულში «ასე ღრმად ჩაიხედეთ» და დამანახეთ ის, რაც არასოდეს მომხვლია აზრად და რომ «მეცნიერულად» დაასახუთეთ ჩემი ლექსის ორპლანიანობა“.



ავტორთა საძიებელი:

1. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2003, № 22 – ამირან გომართელი. შეადარე: რ. სირაძე, სახისმეტყველება, 1982, გვ. 98.

2. „მაცნე“, ელს, 2000, № 1-4; კრებული „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“, 2002-2003, № 5-6 – მაგდანა კობეშავიძე.

3. გაზ. „კალმასობა“, 2003, № 2 – თამარ მანგოშვილი,

4. წიგნი „მადლის წყარო“, 1997 – მაია ნინიძე.

5. გაზ. „კალმასობა“, 1998, № 4 – ქეთევან ელაშვილი. ავტორმა იგი შეიტანა თავის წიგნში „სიტყვით თრობა“ (2009), რომელსაც ზაზა აბზიანიძე იწონებს და მაღალ შეფასებასაც აძლევს. წერს: „კოლიზიები და ჰერსონაქები. სწორედ ასეთია მისი «ორი დღის ბიბლიური სიმბოლიკა», რომელსაც საფუძვლად დაედო ილიას «სარჩობელაზედ»“ (ეურ. „ჩვენი მწერლობა“, 19 თებერვალი, 2010, № 4, გვ. 43).

6. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2001, №19, № 20 – ლალი ავალიანი.

7. გაზ. „კალმასობა“, 2002, № 10, № 5 – გოჩა კუჭუხიძე.

## „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების ტექსტები საკმაოდ ჭრელ სურათს იძლევა. გარდა იმისა, რომ მათ აქვთ ინდივიდუალური თავისებურებანი, ისინი ნიშანდობლივ მსგავსებას იჩენენ სხვა ნუსხებსა და ნუსხათა ჯგუფებთან. რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, როდესაც საუბარია ამა თუ იმ ხელნაწერის ან ხელნაწერთა ჯგუფის აეკარგიანობზე, იშვიათად არის გარჩეული, ხელნაწერის რომელი მხარე აქვთ მხედველობაში: ეხება იგი სპეციფიკურ რედაქციულ ნიშნებს თუ სხვა ხელნაწერებსა ან ხელნაწერთა ჯგუფებთან მათ დამაკავშირებელ ფენას. მაგალითად, როდესაც E-ს რედაქციულ სიძველეს განიხილავენ, სათანადოდ არ მიუთითებენ, რომელია მასში უფრო ძველი და სანდო – ის საერთო, რომელიც მას აქვს ABC და მათ მიმყოფ ხელნაწერებთან თუ EFIRZ ჯგუფთან; ან როგორ უნდა შეფასდეს მისი სპეციფიკური მონაცემები.

ადრე ამ თვალსაზრისით ხელნაწერთა შესწავლისათვის სათანადო პირობები არ არსებობდა. ამჟამად, როდესაც გამოქვეყნებულია „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“, ს. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის სტროფთა შედგენილობა“ და ცალკეული გამოკვლევები პოემის ხელნაწერებისა და რედაქციების შესახებ, დღის წესრიგში გადაუდებელ ამოცანად დგება რედაქციათა ურთიერთმიმართების გარკვევა.

# „ვეფხისტყაოსნის“ ნაკაშიძისეული ხელნაწერის ტიპის რედაქციის თავისებურებანი და მისი შექმნის დრო<sup>1</sup>

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში, – პოემის როგორც ძირითად ნაწილში, ისე გაგრძელებებში, – ერთმანეთთან განსაკუთრებულ მსგავსებასა და სხვებისგან განმასხვავებელ გარკვეულ რედაქციულ თავისებურებებს ამჟღავნებს მ. ნაკაშიძისეული K (S-4499), რ. ლათეშიძისეული O (K-205) და ქავთარაძისეული G' (Q-796) ხელნაწერები<sup>2</sup>.

წინასწარ უნდა ვთქვათ, რომ ამ ნუსხათა ჯგუფის სრულყოფილად შესწავლა დამოკიდებულია სხვა რედაქციული ჯგუფების შესწავლაზე. კერძოდ, სანამ არ იქნება

---

<sup>1</sup> წაკითხულია ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს VII სამეცნიერო სესიაზე 1973 წლის 26 დეკემბერს (თეზისები, გვ. 24). დაიბეჭდა მხოლოდ ერთი ნაწილი: „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1975, № 3, გვ. 42-52.

<sup>2</sup> ამ ხელნაწერთა მოპოვებისა და აღწერილობათა შესახებ იხ.: K-ს შესახებ: გაზ. „ივერია“, 10. I, 1888, № 189, გვ. 1; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Описание, 1908, გვ. 564-565 (გადაბეჭდილია მ ი ს ს ა ვ ე კ რ ბ უ ლ შ ი: რჩეული ნაშრომები, I, 1968, გვ. 25-26); მ ი ს ი ვ ე ე, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 168 (რჩეული ნაშრომები, I, გვ. 319); ს. ყ უ ბ ა ნ ე ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, გვ. 304-305; ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, V, თბ., 1967, გვ. 310-311; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, თბ., 1970, გვ. 35-36.

O -ს შესახებ: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1953, გვ. 378-380; ს. ყ უ ბ ა ნ ე ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, გვ. 306; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, გვ. 71-72.

G'-ს შესახებ: ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, II, თბ., 1958, გვ. 227; ს. ყ უ ბ ა ნ ე ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, გვ. 316; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, გვ. 43-44.

გარკვეული EFIRZ ხელნაწერთა ურთიერთმიმართება ან G, H და მათ მიმყოფ ნუსხათა რედაქციული სახე, მანამ საჭირო სისრულით პასუხი არ გვექნება KOG'-ის ტექსტის წარმომავლობაზე

აქ შემოვიფარგლებით მხოლოდ შემდეგი საკითხებით: რითი განისაზღვრება და როდის არის შექმნილი KOG' ჯგუფის სპეციფიკური რედაქციული თავისებურებანი, უშუალოდ რომელი რედაქციიდან მომდინარეობს იგი და, ნაწილობრივ, რა კავშირი აქვს მას, ერთი მხრივ, ABCM და მათ მიმყოფ, ხოლო, მეორეს მხრივ, EFIRZ ხელნაწერთა ჯგუფებთან, განსაკუთრებით F-თან.

K და O ერთი პირის მიერ არის გადაწერილი<sup>3</sup>. ამ ფაქტსა და ამ ნუსხათა ტექსტების განსაკუთრებულ სიახლოვეზე აღრე მიუთითებს სარგის კაკაბაძემ და იუსტინე აბულაძემ. ს. კაკაბაძე წერდა: „უნდა აღინიშნოს, რომ ... ხელნაწერები K და O გადაწერილი არიან ერთი და იმავე პირის მიერ ერთი და იმავე დენიდან“. „ეს ორი ხელნაწერი თითქმის ასოგამოუკლებლივ მისდევს ერთმანეთს“<sup>4</sup>. იუსტ. აბულაძე O-ს შესახებ აღნიშნავდა: O-ს „ქაღალდის ფილიგრანი სრულიად იგივეა, რაც F და K-ების... იგი, როგორც ხელით, ისე შედგენილობით, ძალიან გვაგონებს K ხელნაწერს და უნდა იყოს გადაწერილი ან ერთი და იმავე პირის, ან სხვა იმავე წარმოადგენელის ხელით. ეს არის K ხელნაწერის პირი“<sup>5</sup>. ესვე გამეორებულია შემდეგაც: „ეგვევ ითქმის O ხელნაწერის

---

<sup>3</sup> რასაკვირველია, მხედველობაში არა გვაქვს ამ ნუსხათა აღდგენილი ნაწილები.

<sup>4</sup> ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის მეორე გამოცემა, თბ., 1927, გვ. I, აგრეთვე გვ. V.

<sup>5</sup> ვეფხისტყაოსანი, იუსტ. აბულაძის მეორე გამოცემა, თბ., 1926, გვ. VII (გადაბეჭდილია კრებულში: იუსტ. აბულაძის რუსთველოლოგიური ნაშრომები, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ი. მ. გ. რ. ე. ლ. ი. ძ. ე. მ., თბ., 1967, გვ. 144).

შესახებაც, რომელიც, როგორც შემორე აღვნიშნეთ, ... K ჰირს წარმოადგენს<sup>6</sup>.

სტროფული შედგენილობის მხრივ, K, O და G' ხელნაწერთა შორის ზოგიერთი მსგავსება აღნიშნა სარგის ცაიშვილმა<sup>7</sup>.

ამ ხელნაწერთა ტექსტების იდენტურობას არაერთხელ უსვამს ხაზს მარიამ (ციალა) კარბელაშვილი. ერთგან იგი წერს: „KO ერთი ჰირის გადაწერილია (კალმისმიერი ცდომილებანიც კი ერთგვარია ამ ხელნაწერებში), ტექსტი იდენტურია. მცირეოდენი შინაგანი განსხვავებანი აიხსნება მექანიკური შეცდომით ან დედნის ურიგო ამოკითხვით, რაც საერთო სტილზე გავლენას არ ახდენს. ამიტომ ეს ორი ნუსხა უნდა განვიხილოთ როგორც ერთი ხელნაწერი“<sup>8</sup>. „G' ხელნაწერი ვარიანტების მიხედვით KO-ს იდენტურია (თითქმის ასლი)“<sup>9</sup>.

მ. კარბელაშვილის დაკვირვებაზე დაყრდნობით G' არ ასახულა „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის ვარიანტებიან გამოცემაში. წინასიტყვაობაში აკაკი შანიძე წერს: „ამ გამოცემის ვარიანტებში არ არის გათვალისწინებული F'G'L'Q', რადგანაც, როგორც ც. კარბელაშვილმა გამოარკვია, ერთი მათგანი, G', იმეორებს, უმნიშვნელო გადახვევების გარდა,

---

<sup>6</sup> ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. IV; რუსთველოლოგიური ნაშრომები, გვ. 152.

<sup>7</sup> ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963, გვ. 43-44, 86-89, 130-133 (მცირეოდენი დამატებით გადაბეჭდილია მ ი ს ს ა ვ ე წიგნში: ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, 1970, გვ. 188-189, 230-233, 271-274, 288-290).

<sup>8</sup> ც. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის საკითხები (ხელნაწერი). ახლა გამოცემულია: მარიამ კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისთვის, თბ., 1977, გვ. 50.

<sup>9</sup> ც. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის მუხბათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგისათვის, „მაცნე“ (ელს), 1973, № 2, გვ. 44-45.

KO-ს ტექსტს, დანარჩენი სპი (F'L'Q') კი - G ხელნაწერისას. ოღონდ ხელნაწერებს თავში აკლია ცოტა და მხოლოდ ამ ნაკლის ფარგლებშია გამოყენებული მათი ტექსტის შეპცველი F'G'L'Q' ხელნაწერები<sup>10</sup>.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ისიც არის აღნიშნული, რომ KOG' ხელნაწერები დამოუკიდებელ რედაქციას ქმნის. მაგალითად K და O ნუსხების შესახებ ს. კაკაბაძე წერდა: „ორივე ხელნაწერი დაწერილია მე-17 საუკუნეში (...) ერთი და იგივე ჰირის ხელით. ტექსტი ორივე ხელნაწერისა საერთოდ მისდევს ერთი მეორეს და ერთი და იგივე კატეგორიისაა. ასე რომ ჩვენ საქმე გვაქვს ჰომიოს ერთ ცალკე რედაქციასთან“<sup>11</sup>. ამასვე აღნიშნავს იუსტ. აბულაძე: „ეს ორი ხელნაწერი ავსებენ ერთი მეორეს ხარვეზებს და ამნაირად იძლევიან სრულსა და სწორ წარმოდგენას იმ განსხვავებულ(ი) რედაქციის შესახებ, რომლის ჰირსაც ისინი წარმოადგენენ“<sup>12</sup>.

KOG'-ს ცალკე რედაქციულ ჯგუფად გამოყოფს მ. კარბელაშვილი<sup>13</sup>. ეს ხელნაწერები ასევე ცალკე რედაქციად არის წარმოდგენილი ერთ-ერთ სქემაზე ს. ცაიშვილის წიგნში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ (ტ. I, სქემა № 2, გვ. 289).

---

<sup>10</sup> ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად ა. შანშიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, I, შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები, თბ., 1966, გვ. 019.

<sup>11</sup> ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, „საისტორიო მოამბე“, I, 1924, გვ. 126.

<sup>12</sup> ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. VII, რუსთველოლოგიური ნაშრომები, გვ. 145.

<sup>13</sup> ც. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხი, წიგნში: შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, თბ., „მეცნიერება“, 1966, გვ. 339-350 და სხვა.

ამ ავტორთა შრომებში მოყვანილი და გაანალიზებულია KOG'-ს თავისებურებათა მხოლოდ ცალკეული შემთხვევები. არ მოგვეპოვება და საჭიროა კი გვექონდეს ისეთი ნაშრომი<sup>14</sup>, სადაც ნაჩვენებია იქნება ხელნაწერთა ამ ჯგუფის თავისებურებათა მასშტაბი.

წინამდებარე ნარკვევის მიზანია, აღვსახოთ იმ ძირითად თავისებურებათა მხოლოდ ცალკეული შემთხვევები, რითაც KOG' „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებიდან გამოიყოფა.

KOG' ჯგუფი გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებს მთელი „ვეფხისტყაოსნის“ მანძილზე როგორც სტროფული შედგენილობის, ისე სათაურების ადგილისა და საერთო ტექსტის წაკითხვების მხრივ.

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ტექსტში KOG' უმატებს ორ სტროფს<sup>15</sup>: 379<sup>2</sup> („*მოახსენა ვჰპოვე ვინმე...*“) და 1322<sup>2</sup> („*ჰკითხეს: გინახავს იგი მზე...*“) სტროფებს (უკანასკნელი K-ში მიწერილია). ხატაელთა ამბავში უმატებს 7 სტროფს (1812<sup>1</sup>-1812<sup>7</sup>), ხვარაზმელთა ამბის შემდეგ – 18 სტროფისაგან შემდგარ ტარიელის ახალ ანდერძს (სტრ. 2024<sup>1</sup>-2024<sup>18</sup>). სხვა ხელნაწერები ამ სტროფებს არ იცნობს.

KOG' გამოირჩევა სტროფული თანმიმდევრობის მხრივაც. მათში ერთმანეთს ენაცვლებიან: 1598 (1404) და 1599

---

<sup>14</sup> საჭიროა გვექონდეს ისეთი ნაშრომიც, სადაც დეტალურად იქნება გამოვლენილი ამ ხელნაწერთა ურთიერთმიმართება. ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა შესწავლამ გვიჩვენა, რომ K და O-ს საერთო პროტოგრაფი აქვს; ხოლო G' გადაწერილი უნდა იყოს O-დან. მაგრამ, ცხადია, ამ საკითხის გადასაწყვეტად პოემის დანართები საკმარისი სრულებითაც არ არის; საკითხი მთლიანი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით უნდა იქნეს შესწავლილი და გადაჭრილი.

<sup>15</sup> სტროფთა ნუმერაციაც აღებულია „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ წიგნიდან, სადაც დიდი ციფრი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი გამოცემის (1956 წ.) სტროფთა სათვალავს, ხოლო მცირე, ფრჩხილებში მოთავსებული ციფრი, – პოემის 1937 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარე გამოცემათა (1951, 1953, 1957 წწ.) სტროფთა სათვალავს.

(1405)-ე სტროფები. 1490 (1304)-ე სტროფი გადასმულია 1488 (1302)-ე სტროფის წინ.

მხოლოდ KOG'-შია სათაური 382 (281)-ე, 651 (508), 667 (522), 704 (553), 1758 (1557), 1789 (1588) და 1908-ე სტროფების წინ.

KOG' გადასმულია მეორე და მესამე სტრიქონები 443 (326), 525 (391), 1722 (1525) და 1890-ე სტროფებში, მესამე და მეოთხე სტრიქონები – 1376 (1191)-ე სტროფში.

წაკითხვები<sup>16</sup>:

ხელნაწერთა უმრავლესობის, მათ შორის F და JT-ის, წაკითხვები:		KOG- ის , წაკითხვები:
102 (73)	დ. ერთგან	მხეტთა
139 (94)	გ. დახოცნა	დაცვიედეს
141 (95)	ბ. უჭკერიტა	უყურა
224 (157)	დ. არ მოვებრუნდე მომიგლოვე	აქა სამ წელ არ მოვიდე
310 (223)	გ. ხმას//კვლა//დიდსა	მათ
312 (225)	ა. რითა; ფერიტა	ვითა; შავით
332(241)	დ. ჩემითა	ადვილად (ათ-k)
	დ. ადვილად	ფიცხლადვე
387 (286)	დ. არ-საპყრებია //მკლავ- მაგრებია	გულმაგრებია
442 (325)	ბ. ჰგვანდა იგი	ამეტებდა
446 (329)	ბ. ფაზარი სხდა კუბო დგა	ფაზარია სხვად კუბო
457 (338)	გ. ურჩ	უარ
491 (362)	ბ. ცხელსა//ხელისა	მწველისა
536 (402)	ბ. ეარსკვლავთა	ლაშქართა
569 (430)	გ. მოზიდვიდესა	მოგზავნიდესა
628 (486)	გ. აწ	შენ
641 (499)	ა. შემოსჭკერიტნა	შემოსტირნა
642 <sup>1</sup>	ბ. შეუპყრა	შეუყრა
645	დ. სხვადლა//არცა	რადლა
664 (519)	გ. გარდმოსწვიმდა	გარდმოღვრიდა
718 (570)	ბ. კვლავ//მართ	მათ

<sup>16</sup> K და O დასაწყისში ნაკლულია. K-ს აკლია: 1-15 (12)-ე, 34 (26)-48 (36), 62 (45)-92 (67), 105 (75)-118 (82)-ე სტროფები. O-ს აკლია (აღდგენილია): 49 (37)-68 (51), 118 (82)-129 (88), 164 (113)-220 (154), 240 (169)-297 (213)-ე სტროფები.



866 (707)	გ. ქვეით	შორით
867 (708)	დ. მალვა მწაღს	ვიშიშივი
868 (709)	ა. მესმა თქვენი ნაუბარი	კვლაცა ჰკადრა
	გავიგონე	გავიგონე შენ ამბავი
	გ. დააგვანე	დავადარნე
886 (722)	ბ. შეიტანეს	შეიყვანეს
891 (725)	ა. წევს	ტირს
893 (727)	ა. იტყვის გული	გულსა ეტყვის
911 (745)	ბ. რად	ვით (თვით ც')
927 (760)	დ. ვაზირისა ცრემლმან ცხელმან	ვით ფრინველთა
	ლაწენი თეთრნი (ვარდი T)	მხარნი ჩემნი მაგ
	აახეწნა	სიტყვამან
929 (762)	დ. ვითა (მან რა JT)	ამან
955 (784)	დ. კვლავ (-JT)	ხამს
962 (790)	ბ. უმტკიცესი	უმჯობესი
976	ა. მრავალი	ყოველნი
987 (812)	გ. მონა	ყმა
991 (815)	გ. ესეგვარსა ნუოდის იქ	არვის მართებს
	(ნუოდეს იქ ამას იქით T)	სამძიმარი
995 (819)	დ. ვაზირი	იაზრა
1012 (835)	ბ. ეთხზნა	ზღვა
1027 (850)	ბ. სასჯელი	სახელი
1028 (851)	გ. გაცუდებულსა	მოსურეებულსა
1035 (856)	გ. ღმრთისა სწორნი//მეფე	ჩემი მზრდელი
	ჩვენი//დიდებულნი	
1038 (859)	ბ. გავადარო//გვადარო/ /და-	დავადარო
	ვიქარდო	
1062 (881)	გ. მოთმენა	მოსმენა
1068 (887)	ბ. სიტყვითა//საქმითა	ქცევითა
1099 (918)	დ. ბრალი	გაყრა
1106 (925)	დ. გაუგონნეს//გაუთავენს	გაუსრულეს
1121 (939)	ა. გამეტადდეს	გადიადდეს
1125 (943)	გ. აღამნი//ელვანი	ნადენი
1145 (962)	დ. წერილსა	ჩემსა
1147 (964)	დ. უშენოდ	რაზომცა
1158 (975)	გ. მიუბნობს	მიიმღერს
1166 (983)	გ. სარო	ალვა
1188 (1005)	ბ. საქებარითა	შვენიერთა
1196 (1013)	დ. დაუდებელი	თქვეს უთქმელია
1231 (1047)	დ. მისად//მისი	სრული
1243 (1059)	ა. საქმე	სიტყვა

1256 (1072)	დ. მისთა მჭვრეტელთა; მზედ//მზებრ	ვინმე ვაჭარი (-რნი G'); ძლივ
1294 (1110)	დ. მამიტადე მოგანახვებ // მოგახსენოს მოიცა	მოგანახვებ მამიტადე
1296 (1112)	ბ. ქვითა//წითელ	ტურფად (-ფა K)
1303 (1118)	ა. ლომი; მოყმე	მოყმე; უხვი
1322 (1137)	დ. ღვარმან	ღაწვთა
1343 (1158)	დ. ზედა რადმცა	რადმცა ზედა
1359 (1174)	ა. ტურფა	მთვარე
1381 (1196)	ა. მონათა	ხადუმთა
1386 (1201)	გ. ლომსა	ცხენსა
1399 (1214)	ა. სრულად	ცისა
1419 (1234)	დ. ღაწვსა	ჩარეცხს (ჩარცხისK)
1421 (1236)	დ. მსგავსი	წონა
1424 (1239)	ა. ფიცხლა ებიჯა ბ. მეფისა ზღვათ იქით	ებიჯა ფიცხლა ზღვას იქით მეფისა
1442 (1257)	ა. შეეკაზმა ბ. მხიარული გ. ფატმან ნახა გაუკვირდა	მოემზადა თვალად ტურფა გაუკვირდა დანახა
1444 (1259)	დ. უხმო	უთხრა
1454 (1269)	გ. მიზეზი	ამბავი
1470 (1284)	ა. მემართლების	მენიშნების
1473 (1287)	დ. არ ეგების	ნუ წამოვა
1483 (1297)	ბ. დადაგულისად გ. დაკარგულისად	დაკარგულისად დადაგულისად
1510 (1323)	ა. გულია	ვალთა
1511 (1324)	ბ. თმითა/სრულად	ვითა

1513 (1325)–1587 (1394)–ე სტროფები O-ს აკლია (აღდგენილია).

1593 (1400)	ა. არ ვარგა	არა ხამს
1595 (1402)	ა. მეტი	უფრო
1608 (1414)	დ. ნობსა; ბუკთა	ბუკსა; ქოსთა
1629 (1433)	გ. იარა	იახლა
1637 (1441)	გ. აგვავსენ	აგრევე (აგრეთვე K)
1642 (1446)	ა. მშობელი//იმელი	მოყვარე
1657 (1461)	გ. სარანგთა	მუნ ხასთა
1677 (1481)	ა. ჩემგან	ჰკადრე
1697 (1501)	ა. ჰკადრა მადლი	მადლი ჰკადრა
1725(1528)	ბ. მდაბლად	მძიმედ

1758 (1557)	გ. არცა ნათლისა	ჩუქებისა ღალისა
1759 (1558)	დ. ათასი//ხუთასი	ცხრაასი
1760 (1559)	ბ. ძვირფასისა	არაბული
1777 (1576)	გ. გელმისო (გელისო F) საომრად (სალამად F) და თავი შენ (-F) მას ალაშე	გაყრასა გვილამის თვალთა წყარო სდის ხოლმე და სხვა.

„ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებები<sup>17</sup>:

1791 (1590)	გ. ვარდი; ღალი	ღალი; ვარდი
1792 (1591)	ბ. ცრემლი	წყალი
1817 (1612)	გ. დაყუნებით	დაყოვნებით
1818 (1613)	გ. ნაცარსა	ნაზარსა
1831 (1626)	გ. რისხვა	წყრომა +J'
1832 (1627)	ა. მხურვალის	მტირალმან
1840 (1635)	გ. დამოსოა და	ტანს დამოსა
1874	გ. და დაახშევს	ზედა დახშევს
1877	დ. შვიდთა	მშვილდთა
1883	გ. თქვენ	აწ
1889	ბ. წესისა//წესია	გვირგვინი
	დ. მიინდობს	მბრუნავი
1890	დ. მე ამის	ღალსა ბრძნად
1902	გ. გამეხებული//აკიდებული	გახარებული
1909	გ. მათი აბჯარი // მათ მრავლად მოჰყვეს // მოჰყვეს მათ მრავლად	მათ მოიხმარონ
	დ. აეთანდილს ფრიდონს სურვილი უთქს ჩვენთის თვალთა	ჩვენთეის ფრიდონ და აეთანდილ შექნან სისხლისა
1910	დ. აეთანდილს წვრილად აცნობა	წვრილად აცნობა ძმადფიცსა
1916	ა. თანა	გვერცა
1925	ბ. კარგთა	მათთა (მათდა G')
1929	ა. და	აწ
	გ. ხელისა	ხლებისა

<sup>17</sup> იმის გამო, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებში KOG'-თან ყველაზე უფრო ახლო არის H ხელნაწერი, შესაძარებლად ძირითადად მას მივმართავთ, რომელსაც მოტანილ წაკითხვებში, მცირე გამოწკლისის გარდა, სხვა ხელნაწერებიც მიჰყვება.

1940	ა. სვამ დამწვენ გლახ ცეცხლი	ვსვამ და ცეცხლი მწვავს
1945	დ. მიდგეს შორით	ყოველთავე
1947	ა. ხმა ბუკთა	ბუკთა ხმა
1975	დ. ასრე/ესრე	ადრე
1982	ბ. მწყრომელნი	მსწრომელნი
1985	ა. მრგვლივ სპანი ზედ // ჯარი ზედან	გარე ჯარსა
1997	ბ. იყო	შენცა
2000	დ. გონიერო//შენიერო	შენ მეცნიერო
2013	დ. ძნელსა	ბრძენსა
2018	ა. მოყვრითა//მოყვსითა	მოყმითა
2036	გ. ატლასა შინა დახევედეს	ატლას არ შეინახევედეს
2039	დ. სრულობით	სრულობით
2046	დ. წითლობს	წიფობს
2064	ბ. რავის/არვის	რასთვის
2067	დ. ამ სოფელსა/სოფლისაგან; წიგნი/სიტყვა	საწუთროსა; წინა
2068	ბ. სოფლისა შევენებითა	პირველნი შევენებანი და სხვა.

ნანუჩასეული ავთანდილის ანდერძის (სტრ. 2070–2078, 2050–2056) 250-ე სტროფის შემდეგ K-ს აკლია, OG' ხელნაწერები ამ ანდერძს არ იცნობს. ეს უკანასკნელნი ასეთი სტროფული შედგენილობით მთავრდება: 2069, 2069<sup>1-2</sup>, 2109–2114. შემდეგ აკლია.

სათაურები:

694 (548)	0. აქა; შვილის მოსვლა	+ მოსლვა (მოსლვა); შვილისა საქორწილოდ ინდოეთს
1269 (1085)	0. წიგნი	+ სააშვიკო
1946	0. ხუარაზმს წასვლა და დიდი ომი	წასვლა და ხუარაზმთ ომი
2025	0. აქა	+ კიდეუ

KOG' ხელნაწერებში, მცირე გამონაკლისის გარდა, სათაურები იწყება სიტყვით: „აქა“.

KOG' ზოგჯერ გამოიყოფა იმ სტროფებშიც, რომლებიც მხოლოდ KOG'-სა და JT-შია:

**JT-ს წაკითხვები:**

- 294<sup>1</sup> დ. მტერად მიგრაცხენითა  
 642<sup>1</sup> ბ. შეუპყრა  
 791<sup>2</sup> ა. ფრიდონ  
 791<sup>3</sup> ბ. საროსა  
 1185<sup>2</sup> ა. ეპკადრე  
 1204<sup>2</sup> ბ. რას; და  
 1322<sup>1</sup> გ. სამისოდ  
 1450<sup>4</sup> დ. გვანისა

**KOG-ის წაკითხვები:**

- შეგერა მტერად ცხენითა (O-ს აკლია)  
 შეუპყრა  
 კაცნი  
 შორსა  
 ეპკითხე  
 არ; —  
 სამუნოდ  
 გამირისა  
 და სხვა.

KOG'-ისთვის სპეციფიკურად უნდა ჩაითვალოს ის ვარიანტებიც, როდესაც მას ემთხვევა გვიანდელი R' და T' ხელნაწერები<sup>18</sup>:

114 (80) გ. ვერა ჰგავ] ტყუვილად OG'T' (K-ს აკლია).

130 (89) დ. თავი] ლაწვმან KOG'T'.

137 (93) ა. მოწურნა] მოიხოცნა KOG'T'.

151 (102) ა. მივიდა] მიუღგა KOG'T'.

163 (112) გ. მინეტარნეს] გამახარნეს KOG'R'T'.

დ. გამახარნეს] უკუმყარნეს (-რეს T') KOG'T',  
 მინეტარნეს R'.

962 (790) დ. შერთვა] წესია KOG'R'; მწყობისა] ცნობისა  
 KOG'R'.

1451 (1266) გ. კაცი ყველაი] ყოვლი (ყოველი G')  
 სულდგმული KOG'R'.

1469 (1283) დ. დამვედრეს] მივლია KOG'R'.

<sup>18</sup> R'-ისა და T'-ის KOG'-თან მიმართება ცალკე შესწავლას მოითხოვს.

იმ სტროფებში, რომლებიც K-ს აკლია, აქა-იქ გამოიყოფა OG', ხოლო, რომლებიც O-ს აკლია, - K. მაგალითები: ამქამად მხოლოდ O-ში დასტურდება<sup>19</sup> 7' სტროფი („შენ გევედრები, ძაღლო...“). 69-ე სტროფში OG'-ში ერთმანეთს ენაცვლებიან მეორე და მესამე სტრიქონები.

ხელნაწერთა უმრავლესობის წაკითხვები:

OG'-ის წაკითხვები:

1	ა. ნათქვამია იგ გ. საეროა არ ახსენებს სამებასა ერთ არსულად	ეგრე ნათქვამი. სასმენელი შვენიერი გათარგმნული მით ქართულად.
2 <sup>2</sup>	ა. გვირგვინი	მეფობა O (არ იცნ. G').
7	ბ. ძალი მომეც	მომეც ძალი O (არ იცნ. G').
21	გ. საუბარი გაასრულოს	გააგრძელოს არ ამრავლოს
47 (35)	ა. საქმესა	+ და
69	გ. იზახოდეს	იმღეროდნენ
77 (58)	გ. სოგრატ ვჰკითხოთ	ვჰკითხოთ სოგრატ
107 (76)	ბ. მინდორი სისხლთა	სისხლსა ველთა
110 (78)	დ. მაშვრალნი ორნივე	ორნივე გარდახდეს
2111	გ. მეტად	დიდად და სხვა.

იმ სტროფებში, რომლებიც O-ს აკლია (აღდგენილია), აღსანიშნავია შემდეგი: K-ში ერთმანეთს ენაცვლებიან 1554 (1362) და 1555 (1363)-ე სტროფები. მხოლოდ K-შია სათაური 201 (138)-ე სტროფის წინ. 1561 (1369)-ე სტროფის მეორე სტრიქონი K-ში ბოლოს არის გადასმული.

<sup>19</sup> პროლოგში O-საგან რამდენადმე განსხვავებულია G' (ც. კარბელ-აშვილი, ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგისათვის, გვ. 44-45).

ხელნაწერთა უმრავლესობის

K-ს წაკითხვები:

წაკითხვები:

291 (208)	დ. კიდენით	დადენით
1515	დ. გულითა არს ღმრთისა	ადიდებს ღმერთსა გულ
1517	ა. ღრუბელი ცროდეს ბროლისა	ქვეყანა ღრუბელი ცროდეს
1520 (1332)	გ. იგონებდა	უკულმავე
1521 (1333)	დ. მომახულითა	გამოწვდილითა (თავიდან „მომახულითა“ ყოფილა)
1523 (1335)	გ. ჰგვანან	ღვანან
1527 (1338)	გ. წამალი	ამბავი
1528	დ. ნახა; გამოულო	რიდე; გამოიქცა
1531 (1342)	ა. ტირს ხმითა	ხმითა მით
	ბ. აფრთხობს; ბროლისა	აკრთობს; გიშრისა
1544 (1352)	გ. ლალსა	ვარდსა
1549 (1357)	დ. ჭირთა ლხენით	ცრემლთა დენით
1562 (1370)	ბ. აბჯარი	ზარდახშა (თავიდან ყოფილა „აბჯარსა“)
	გ. ხრმალი რკინისა	რკინასა ხმალი
1570 (1378)	დ. შეიყარნეს	საშინელი და სხვა

თუმცა აქა-იქ არის შემთხვევები K და OG'-ს შორის განსხვავებისა, მაგრამ იგი იმდენად მცირეა, რომ, ვფიქრობთ, ამ მაგალითთა უმრავლესობაში თავის დროზე KOG' ერთად იყო.

აი, ეს არის ძირითადად ის თავისებურებანი<sup>20</sup>, რომლითაც KOG' წარმოგვიდგება როგორც ორიგინალური რედაქციის დამცველი ხელნაწერები.

როდის შეიქმნა ეს რედაქციული თავისებურებანი, ეს სტროფები, ეს ვარიანტები?

ამ ხელნაწერთა რედაქციული წარმომავლობის დასადგენად ს. კაკაბაძე ერთ დროს იშველიებდა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ჩანართ სტროფებს:

<sup>20</sup> მხედველობაში არაა მიღებული ორთოგრაფიული, გრამატიკული და სხვა ამგვარი ხასიათის წაკითხვები.

„შენ შექმენ დავით მაღალი, თვით მეფე დავითიანად, გონება ღიდად მოწყალე, მართ ერთობ გულ-მოწყლიანად, მნათობთა ყოვლთა მხედველთა, ვითა მთა სანათიანად, უმისოდ ზეცა ვერ ნათობს, ვერც ლომი არს ნაკვითიანად.

გვირგვინი, ტახტი, პორფირი ღმრთისგან გაქვს, სკიპტრა პირველი, ერთგულთა ღიდად მოწყალე, ორგულთა რისხვით მჭირველი. შენდა სამონოდ მეფენი მოვლენ, სხვაგნისა მირ-ველი, ხამს, თუმცა ჰაპი პრომისა რომ შენთვის იყოს მწირველი“ (2<sup>1</sup>-<sup>2</sup>).

ამ სტროფების მიხედვით ს. კაკაბაძე KO ხელნაწერებს მე-14 საუკუნის ნუსხის პირად თვლიდა. იგი წერდა: „ჰომის შესავალში ხელნაწერი წარმოადგენს ნართაულ ტაეპებს დავით მეფის შესხმით. ეს დავით მეფე, ჩვენის აზრით, უფრო უნდა იყოს მე-14 საუკუნის ნახევარში მცხოვრები საქართველოს მეფე დავითი, გიორგი ბრწყინვალის შვილი. ხოლო თუ ეს ასეა, ჩვენ მაშინ დასახელებულ(ი) ორი ხელნაწერის (K და O) მივიღებთ წარმოჩენილად ვეფხისტყაოსნის მე-14 საუკუნის ხელნაწერს - არხიგეტს. რადგანაც ხსენებული ორი ხელნაწერი თითქმის ასოვამოუკლებლით მისდევს ერთმანეთს, ამიტომ მათი დახმარებით ჩვენ საშუალება გვქმდევს სრული სისწორით წარმოვიდგინოთ ჰომის მე-14 საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერი - არხიგეტი“<sup>21</sup>.

როგორც აღრე კ. კეკელიძემ შენიშნა, ამ სტროფებიდან სრულებითაც არ ჩანს, რომელ დავით მეფეზეა საუბარი. თანაც, აქ შეიმჩნევა პერიფრაზი თეიმურაზ პირველის ლექსისა „თამარის სახე დავით გარეჯას“<sup>22</sup>.

<sup>21</sup> ვეფხისტყაოსანი, 1927, გვ. 1.

<sup>22</sup> კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ე, კიდევე ვეფხისტყაოსნის გარშემო, „მნათობი“, 1927, № 5-6, გვ. 173-174 (გადაბეჭდილია ავტორისავე კრებულებში: ეტიუდები, IX, 1963, გვ. 236-238; რუსთველოლოგიური ნარკვევები, 1971, გვ. 46-47).



ჩვენი მხრივ უნდა დავუმატოთ, რომ ეს სტროფები არ არის მხოლოდ O-ს კუთვნილება. ისინი მოიპოვებიან აგრეთვე I-სა და F'L'Q' ხელნაწერებში<sup>23</sup> და არსაიდან ჩანს, რომ ისინი O-ს პროტოგრაფისა თუ არქექტიპის რედაქტორს ეკუთვნოდეს.

საერთოდ, რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში KOG' ერთ-ერთი ძველი რედაქციის დამცველ ნუსხებადაა მიჩნეული. ამ დასკვნის საფუძველია სტროფული შედგენილობის მხრივ მათი სიმოკლე და ამ მხრივ FIRZ ხელნაწერებთან მსგავსება.

ამ უთუოდ საყურადღებო და ანგარიშგასაწევი საბუთით შემუშავებული შეხედულება ზოგჯერ უყოყმანოდ ვრცელდება მთელ ხელნაწერზე, მის ყველა მონაცემზე. უპირველესად ამის გამოა, რომ, არც ისე იშვიათად, KOG'-ის თავისებურებანი დედნისეულად არის მიჩნეული. მაგალითად, მიხეილ მახათაძის აზრით, ხატაელთა ამბავი სრული, დედნისეული სახით KO-შია დაცული. კერძოდ, ხატაელთა ამბის ავტორს მიაწერს 1812<sup>1</sup>-1812<sup>7</sup> სტროფებს, რომლებიც მხოლოდ KOG'-ში დასტურდება. იგი წერს: „ფიქრობთ, რომ ინდოხატაელთა გაგრძელება კ. ჭიჭინაძისა და საიუბილეო (პირველი, 1937 წლისა - ბ. დ.) გამოცემებში წარმოდგენილია რედაქციულად შემოკლებული სახით, ხოლო მისი ავტენტური, სრული სახე წარმოდგენილია ხელნაწერებში K, O“<sup>24</sup>.

KOG' ხელნაწერების რედაქციულ თავისებურებათა შექმნის დროის განსაზღვრისათვის უტყუარ საბუთს იძლევა იოსებ თბილელის მიერ შეთხზული ტარიელისა და ნესტანის ანდერძი (სტრ. 2063<sup>1</sup>-2063<sup>34</sup>), რომლის დედანია თავად იოსებ თბილელისავე გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ზაზასეული ნუსხა, - D. ეს ანდერძი შესულია პოემის რამდენიმე

<sup>23</sup> ამ ნუსხებთან ახლო მდგომი K, G და R ნაკლულია.

<sup>24</sup> მ. მ ა ხ ა თ ა ძ ე, რუსთველოლოგიური საკითხები, თბ., 1966, გვ. 270, აგრეთვე გვ. 295-296.

ხელნაწერში, მათ შორის KOG'-შიც. ამ ანდერძშიაც KOG' ერთად არის და, რაც მთავარია, წაკითხვებით აქაც ისევე გამოიყოფა, როგორც პოემის სხვა ნაწილებში. მაგალითები:

**D-ს წაკითხვები:**

- 2063<sup>1</sup>    0. და სოფლის გმობა ტარიელისა  
და ნესტან-დარეჯანისა  
ტფილელის იოსების ნათქვამი  
დ. ძერისანი
- 2063<sup>2</sup>    გ. როსტევანს უნდა
- 2063<sup>3</sup>    გ. წაუხვენ
- 2063<sup>5</sup>    დ. დაღნა
- 2063<sup>6</sup>    ა. გამწირა
- 2063<sup>8</sup>    დ. მგოდებდით
- 2063<sup>9</sup>    დ. ვის მართლ მჭკრეტლად გაქვს
- 2063<sup>13</sup>    ბ. რამაზ  
გ. ძეთ ჩემთ რამე
- 2063<sup>15</sup>    ა. წყლულები  
გ. რჯანი
- 2063<sup>17</sup>    დ. როგორც მე იკითხე მექნას
  
- 2063<sup>21</sup>    დ. მივლე
- 2063<sup>30</sup>    დ. წამლებელთა
- 2063<sup>34</sup>    ბ. მზებისა

**KOG'-ის**

**წაკითხვები:**

- ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისაგან სოფლის გამო
- თქმისანი
- როსტენს უნდოდა
- წავართვი
- ღანა
- გამწარა
- მოგდებით
- მართლად უჭკრეტლეთ
- რაზომ
- ძეთა ჩემთა
- წყულმან
- ჯარანი
- როგორც მე მექნას (-ქმნ-  
G') კითხე
- გასწი
- წამებულთა
- გზნებისა
- და სხვა

ცხადია, KOG'-ის მთელი თავისებურებანი ამ დანართ ეპიზოდსა და პოემის სხვა ნაწილებში ერთდროულად ერთი და იმავე რედაქტორის მიერ არის შექმნილი და შექმნილია მას შემდეგ, რაც დაიწერა და KOG'-ის პროტოგრაფში შევიდა ეს ანდერძი.

იოსებ თბილელის ამ ანდერძის დაწერის ზუსტი თარიღი არ ვიცით. არც ისაა ცნობილი, იგი KOG'-ში უშუალოდ D-დან თუ რომელიმე ადრინდელი ან გვიანდელი ნუსხიდან შევიდა. ერთი ცხადია: D გადაწერილია მე-17 საუკუნის 60-

იან წლებში<sup>25</sup> და ეს ანდერძიც ამ ახლო ხანში უნდა იყოს შეთხზული.

K ნუსხისა და KOG'-სეული ტარიელის ანდერძის (სტრ. 2024<sup>1-18</sup>) დასათარილებლად იოსებ თბილელისეული ტარიელის ანდერძი პ. ინგოროყვასთან კამათის დროს მოხმობილი აქვს ს. ცაიშვილს.

იმის გამო, რომ KOG'-ისეულ ტარიელის ანდერძში ტარიელი ანდერძს უტოვებს თავის შვილს ს ა რ ი დ ა ნ ს, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა გაგრძელებაში, „ომანიანიში“, მთავარი მოქმედი გმირია ამ ს ა რ ი დ ა ნ ი ს ძე ომანი, პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ ტარიელის ეს ანდერძი შეთხზულია „ომანიანიზე“ ადრე, 1600 წლამდე<sup>26</sup>.

ს. ცაიშვილმა მიუთითა, რომ სახელი „სარიდან“ იხსენიება იოსებ თბილელისეულ ტარიელის ანდერძში (ჩვენი მხრივ უნდა დაეუმატოთ, რომ, რომ ეს სახელი იხსენიება აგრეთვე GQ'U' ხელნაწერებში ტარიელისა და ნესტანის გარდაცვალების ამბავშიც, სტრ. 2069.2). მისი აზრით, რაც ჩვენ სარწმუნოდ გვეჩვენება, „სარიდანი“ პირველად უნდა ეხსენებინა „ომანიანის“ ავტორს და აქედან უნდა აეღო იოსებ თბილელს<sup>27</sup>.

პ. ინგოროყვას ამ საბუთის გაბათილების შემდეგ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ K-ში შესულია იოსებ თბილელის ტარიელის ანდერძი, ს. ცაიშვილი მიიჩნევს: „K-ს დასასრული ძირითადად ზაზასეული ხელნაწერის მიხედვითაა ჩამოყალიბებული (...). იგი დასასრულით ამავე (D-ს – ბ. დ.) ჯგუფის

---

<sup>25</sup> გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935, გვ. 30-33 (გადაბეჭდილია ავტორისაკვე კრებულში: ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1949, გვ. 317-321). იოსებ თბილელი თბილისის კათედრაზე ჩანს 1661-1686 წლებში (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 526).

<sup>26</sup> პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, 1926, გვ. 22-24; მისივე თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 25-26.

<sup>27</sup> ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, გვ. 247-249.

ხელნაწერებში შედის და თავის მხრივ უმატებს 18 სტროფისგან შემდგარ ანდერძს“ (გვ. 246-247).

ეს საბუთი სავსებით გამოსადეგია ამ ხელნაწერის დასათარიღებლად, მაგრამ იგი იმ სახით, როგორც მოყვანილია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს KOG'-სეული ტარიელის ანდერძის (სტრ. 2024<sup>1-18</sup>) შეთხზვის დროის განსაზღვრისათვის, როცა ცნობილი არაა, რომ იგი ეკუთვნის K-ს გადამწერს ან მის რედაქტორს. ეგევე ითქმის K-სა და მის მიმდევარ OG'-ის სხვა საერთო თავისებურებათა შესახებ.

საქმე ის არის, K-ს დასასრული D-ს მიხედვით ჩამოყალიბებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ KOG'-ში შესულია იოსებ თბილელის ერთი ანდერძი, ამ ხელნაწერთა რედაქციული სახე ამით არ შეცვლილა. ხელნაწერთა ეს ჯგუფი D-სა და მის მიმდევარ ნუსხათაგან განსხვავებულია და თავის ძირითად ჯგუფს მიჰყვება როგორც ამ ანდერძის წინა, ისე მომდევნო ეპიზოდებშიაც. მსგავსი ვითარებაა AU ხელნაწერებში.

მეორეც, K და მისი მიმყოლი ხელნაწერები ბოლოს D-საგან რომც მომდინარეობდეს, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ რომელიმე რედაქციას ამა თუ იმ ხელნაწერში სხვა რედაქციის ნუსხებიდან მექანიკურად დამატებოდა ესა თუ ის ეპიზოდი. როგორც ვთქვით, ასეა შესული AU-სა და KOG'-ში იოსებ თბილელის ანდერძები და თავისთავად დაუშვებელი არაა, რომელიმე D-ზე ძველი, შემდგომ დაკარგული ნუსხიდან ასევე დამატებოდა KOG'-ის პროტოგრავს ამჟამად მხოლოდ ამ ნუსხებისათვის ცნობილი ტარიელის ანდერძი (სტრ. 2024<sup>1-18</sup>). ჯერჯერობით ერთადერთი, რითაც იოსებ თბილელის ხსენებული ანდერძი უტყუარ საბუთს იძლევა KOG'-ის სპეციფიკური ანდერძისა და სხვა მის თავისებურებათა დასათარიღებლად, ის არის, რომ ხელნაწერთა ეს ჯგუფი იოსებ თბილელის ამ ანდერძშიაც იმგვარ თავისებურებებს ამჟღავნებს, რასაც

მთელი „ვეფხისტყაოსნის“ მანძილზე, ამ ანდერძის წინა და მომდევნო ეპიზოდებში.

მაშასადამე, ვიმეორებთ, KOG'-ისთვის ცნობილი იოსებ თბილელის ტარიელის ანდერძი შექმნილი უნდა იყოს მე-17 საუკუნის 60-იან წლებში.

KOG'-ის თავისებურებათა შექმნის უგვიანესი თარიღის დასადგენად გამოგვადგება K-სა და O-ს გადაწერის თარიღები. ორივე უთარიღოა. ქალაქისა და ხელის მიხედვით მიღებულია, რომ ისინი მე-17 საუკუნის ბოლოს უნდა იყოს გადაწერილი. ამას კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის F ნუსხა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, F, K და O ერთი და იმავე ხელით არის შესრულებული. ს. კაკაბაძის<sup>27</sup> და იუსტ. აბულაძის<sup>28</sup> თანახმად, F-ისა და K-ს ჭვირნიშნები ერთია<sup>29</sup>. F თარიღიანია; გადაწერილია 1688 წელს. K და O-ც ამ ახლო ხანს უნდა იყოს გადაწერილი.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ KOG' ხელნაწერთა ჯგუფის რედაქციული თავისებურებანი შექმნილია მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო 70-90-იან წლებში.



ამის შემდეგ გავარკვიოთ საკითხი: რომელი უახლოესი რედაქციიდან მომდინარეობს KOG' ხელნაწერთა ჯგუფი.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, კარგა ხანია, შენიშნულია KOG' ნუსხათა კავშირი JT ხელნაწერებთან. ადრე, KO-სა და J-ის<sup>30</sup> მსგავსებაზე საუბარია ს. კაკაბაძისა

<sup>27</sup> ვეფხისტყაოსანი, 1913, გვ. 11.

<sup>28</sup> ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. X, XVII; რუსთველოლოგიური ნაშრომები, გვ. 138, 144.

<sup>29</sup> რ. პატარიძის მიხედვით, განსხვავება არის ლიტერში, ოღონდ სამივეს ქალაქი უახლოეს ხანში უნდა იყოს გამოშვებული (მრავალთავი, V, 1976, გვ. 66).

<sup>30</sup> T, რომელიც ინგლისში, ოქსფორდშია დაცული, ჩვენი მკვლევარებისათვის ხელმისაწვდომი გვიან გახდა.

და იუსტ. აბულაძის გამოკვლევებში, რომლებიც მათ მიერ მომზადებულ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს ერთვის. JKOTG', როგორც ერთიანი და დამოუკიდებელი რედაქციული ჯგუფი, პოემის შუა მონაკვეთის<sup>31</sup> სტროფული შედგენილობის მიხედვით გამოყო ს. ცაიშვილმა<sup>32</sup>. ცალკეული ადგილების ანალიზის შემდეგ ამ რედაქციულ ჯგუფს გამოყოფს მ. კარბელაშვილი<sup>33</sup>.

JKOTG' ხელნაწერთა ჯგუფს კიდევ მეტი თავისებურებანი ახასიათებს, ვიდრე ცალკე KOG'-ს.

მხოლოდ JKOTG' ნუსხებშია შემდეგი სტროფები:

176<sup>1</sup> – მეფე დაამდა ქალისა... (არის JK, აკლ OT).

418<sup>1</sup> – კმარის ღმრთისაგან ჩემზედა...

791<sup>2</sup> – მოასხნა კაცნი, გაგზავნა...

791<sup>3</sup> – სხვანი წამოდგეს მისისა...

793<sup>1</sup> – ზღვათა და ხმელთა არ მორჩა...

837<sup>1</sup> – ფიცხლა გაგზავნეს მეფესა...

838<sup>1</sup> – რა მოისმინა მეფემან...

1185<sup>1</sup> – პირველად ძებნად წამოსლვა...

1185<sup>2</sup> – მოვბრუნდი, ვჰკადრე ყოველი...

1185<sup>3</sup> – მეფეთა ღია იამა...

1204<sup>1</sup> – ფრიღონ მიუძღვა მას გორსა...

1204<sup>2</sup> – ავთანდილ უთხრა: ნაღველი...

1208<sup>1</sup> – გამოესალმნეს, აკოცეს...

1303<sup>1</sup> – ესე ფატმან მოისმინა...

---

<sup>31</sup> მ. კარბელაშვილმა ნათელყო, რომ ხელნაწერთა ეს ჯგუფი ასევე გამოიყოფა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშიაც („მაცნე“, ელს, 1973, № 2).

ძირითადად იგივე ვითარება არის „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებშიაც. ეს აღნიშნული გვაქვს ჯერ კიდევ 1968 წელს (იხ. ჩ ვ ე ნ ი ს ტ ა - ტია: ვეფხისტყაოსნის რედაქციები „ხვარაზმელთა ამბის“ მიხედვით, კრებ.: ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968, გვ. 196-205).

<sup>32</sup> ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, 1963, გვ. 82-89; ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, გვ. 226-233.

<sup>33</sup> ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის საკითხები, გვ. 57-84, 219-250.

- 1303<sup>1</sup> – ჩვენთვის მოილე ანაზლად... (K მიწ).  
 1322<sup>1</sup> – ფატმან რა ნახა ავთანდილ... (K მიწ; არ იცნ T).  
 1450<sup>1</sup> – ფატმან უთხრა: არ ვიცოდი...  
 1450<sup>2</sup> – ავთანდილ თავი დადრიკა...  
 1450<sup>3</sup> – ვითაც დაეღვა იმედი...  
 1450<sup>4</sup> – უამბო ყველა არაბთა...  
 1450<sup>5</sup> – იამა პირ-მზისა სახელი...  
 1450<sup>6</sup> – ქალსა შენ აქებ, გინახავს...  
 1450<sup>7</sup> – ფატმან შეწუხდა მათისა...  
 1577<sup>1</sup> – კვლა ფრიდონ ჰკადრა... (აკლ O, არ იცნ G').  
 1643<sup>1</sup> – ფატმან ავთანდილს თვალითა... (+ მიწ L).  
 1643<sup>2</sup> – კვლა ფატმან ჰკადრა სამთავე... (+ მიწ L).  
 1643<sup>3</sup> – ტარიელ ბრძანა: ჰე, ფატმან... (+ მიწ L).  
 1701<sup>1</sup> – მე ვით ვიმართლო თქვენს წინა...  
 1714<sup>1</sup> – კვლავ მეფე ჰკითხავს... (+ H).  
 1723<sup>1</sup> – ქალსაცა ჰკითხეთ, აცნობეთ... (+ H).  
 1723<sup>2</sup> – თინათინს ჰკადრეს ყოველი... (+ H).  
 1723<sup>3</sup> – ქალმან ჰკადრა, თუ: მეფეო... (+ H).

### ხატაელთა ამბავი

- 1855<sup>1</sup> – მოახსენა: ხელმწიფეო... (+ HP').  
 1855<sup>2</sup> – კვლავცა უბრძანა ტარიელ... (+ HP').  
 1855<sup>3</sup> – დამორჩილდა, მოახსენა... (+ HP').

და სხვა.

ს. ცაიშვილი, ამ სტროფებს გარდა, ასახელებს შემდეგ სტროფებს<sup>34</sup>:

<sup>34</sup> ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, გვ. 227-228.

ს. კაკაბაძე JK-სთვის სპეციფიკურად „ვ“ რუბრიკით ასახელებს შემდეგ სტროფებს (ეუფითებთ „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ სტროფთა სათვალავის მიხედვით): 217<sup>1</sup>, 294<sup>1</sup>, 418<sup>1</sup>, 472(346), 793<sup>1</sup>, 837<sup>1</sup>, 838<sup>1</sup>, 1185<sup>1-3</sup>, 1204<sup>1-2</sup>, 1208<sup>1</sup>, 1303<sup>1</sup>, 1305<sup>1</sup>, 1450<sup>1-7</sup>, 1643<sup>1-3</sup>, 1701<sup>1</sup>, 1714<sup>1</sup>, 1723<sup>1-3</sup>, 1855<sup>1-3</sup> (ვეფხისტყაოსანი, 1913, გვ. 7).

- 47<sup>1</sup> – „(თვალის) უმზეოდ ბრალია...“  
 59<sup>1</sup> – „(კვლავ) მოახსენებს; მეფეო...“  
 65<sup>1</sup> – „მერმე მოვიდეს ლაშქარნი...“  
 66<sup>1</sup> – „უთრუთ, საამ, ზაალ, როსტომ...“  
 68<sup>1</sup> – „(აწ) ნახეთ მეფე თინათინ...“  
 77<sup>1</sup> – „(თინათინ)ს ჰკადრეს იღუმალ...“  
 139<sup>1</sup> – „მეფეს უანბეს, რაც იქნა...“  
 149<sup>1</sup> – „შინა მოვიდა ხელმწიფე...“  
 184<sup>1</sup> – „ავთანდილ ჰკადრა: მეფეო...“  
 217<sup>1</sup> – „პირველად მქონდა მე მისი...“  
 294<sup>1</sup> – „ვეფხისა ტყავი ენიშნა...“  
 458<sup>1</sup> – „ავთანდილ ყურსა უპყრობდა...“  
 458<sup>2</sup> – „რალა იგი სიცოცხლე...“  
 458<sup>3</sup> – „კვლავ ასმათ ჰკადრა...“  
 458<sup>4</sup> – „ტარიელ დენად ცრემლისა...“  
 643<sup>1</sup> – „მოეგონა სიყვარული...“  
 790<sup>1</sup> – „კვლავ მოგახსენებ, მეფეო...“  
 791<sup>1</sup> – „ტარიელ, გვითხარ სიმღერა...“  
 799<sup>1</sup> – „ღმერთი მყავს მოწმად...“  
 1322<sup>2</sup> – „ჰკითხავს: გინახავს იგი მზე...“

ამ სტროფების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: 47<sup>1</sup>, 59<sup>1</sup>, 65<sup>1</sup> და 68<sup>1</sup>, როგორც იქვე სწორად არის მითითებული (გვ. 230), ამჟამად დასტურდება მხოლოდ J-ში, KOT ნაკლულია. ამიტომ არ ვიცით, რომელია აქედან მთლიანი JKOTG'-ის კუთვნილი, და რომელი – მისი ქვეჯგუფისა. ასევეა 66<sup>1</sup>, რომელიც, გარდა J-ისა, მოიპოვება აგრეთვე GFL'Q' ხელნაწერებში. 77<sup>1</sup> არის JR'-ში, აკლია KT-ს, არ იცნობს OG'. 139<sup>1</sup> და 149<sup>1</sup> არის მხოლოდ J-ში, T-ს აკლია, ხოლო KOG' არ იცნობს. 184<sup>1</sup> არის მხოლოდ J-ში, აკლია OT-ს, არ

---

იუსტ. აბულაძე წერს: K „ხელნაწერს აქვს 39-მდე J-თან საერთო ხანები, რომლებიც სხვა ხელნაწერებმა არ იციან“ (ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. XI, XVIII; რუსთველოლოგიური ნაშრომები, გვ. 138, 146).



იცნობს K. 217<sup>1</sup> და 294<sup>1</sup> არის მხოლოდ JK-ში, O-ს აკლია, T არ იცნობს. 458<sup>1-4</sup>, 643<sup>1</sup> და 799<sup>1</sup> არის მხოლოდ JT-ში, KOG<sup>1</sup> არ იცნობს. 791<sup>1</sup> კი იგივე სტროფია, რაც 1542, რომელიც, გარდა JKOTG<sup>1</sup>-ისა, მოიპოვება აგრეთვე AA'-ში. 1322<sup>2</sup> სტროფს არ იცნობს JT.

ამრიგად, თუ 47<sup>1</sup>, 59<sup>1</sup>, 65<sup>1</sup>, 66<sup>1</sup>, 176<sup>1</sup>, 217<sup>1</sup>, 294 და 1322<sup>1</sup> სტროფები სხვადასხვა პირობით შეიძლება მივიჩნიოთ JKOTG<sup>1</sup> ჯგუფისთვის სპეციფიკურად<sup>35</sup>, ეს არ შეიძლება ითქვას 77<sup>1</sup>, 139<sup>1</sup>, 149<sup>1</sup>, 184<sup>1</sup>, 458<sup>1-4</sup>, 643<sup>1</sup>, 790<sup>1</sup>, 791<sup>1</sup>, 799<sup>1</sup> და 1322<sup>2</sup> სტროფთა შესახებ.

JKOTG<sup>1</sup> ხელნაწერთა ჯგუფი ზოგიერთ თავისებურებას ამჟღავნებს სტროფული თანამიმდევრობისა და სათაურების ადგილის მიხედვით. მაგალითად: ამ ხელნაწერებში 472(346) სტროფი („სამათბან წყალი დაასხა...“) განმეორებით იკითხება 642(500)-ე სტროფის შემდეგ (J-ში მიწერილია). მხოლოდ ამ ხელნაწერებშია სათაური 389(288)-ე და 1137(955)-ე სტროფების წინ.

JKOTG<sup>1</sup> ხელნაწერთა ჯგუფი ყველაზე მეტ თავისებურებებს წაკითხვების მხრივ გვიჩვენებს. მაგალითები:

**ხელნაწერთა უმრავლესობის წაკითხვები:**

- 59 გ. სოგრატი მოახლე
- 75 (56) ბ. ლაშქართა
- 77 (58) გ. გვითხრობს რამცა შეგვეცილა
- დ. რასათვისმცა

**JKOTG -ის წაკითხვები:**

- ბერი სოგრატი JK (აკლ OT)
- თავადთა + R' (აკლ KT)
- რასათვისმცა გაგვიწილა
- აქა ვინმცა შეგვეცილა (აკლ

<sup>35</sup> ამ მხრივ საეჭვო არ არის 1643<sup>1-3</sup> სტროფები, რომლებიც L-ში გვიანდელი ხელით არის მინაწერი. JKOTG<sup>1</sup> ხელნაწერთა რედაქციისათვის სპეციფიკურად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე 1714<sup>1</sup>, 1723<sup>1-3</sup> და 1855<sup>1-3</sup> სტროფები, რომლებიც დამატებით მოიპოვება H და P'-ნუსხებში. საქმე ის არის, რომ H და მისი მიმყოფი P' ხატაელთა ამბავსა და მომდევნო ეპიზოდებში (ნაწილობრივ წინაე) JKOTG<sup>1</sup> ხელნაწერთა ჯგუფს განეკუთვნება.

	გაგვაწბილა	თანა ზლებოდეს + T' (აკლ KT)
112(79)	გ. უკან ჰყვებოდეს	სიდიდე JK (აკლ OT)
168 (114)	ბ. ბრძანება	ხმელთა JK (აკლ OT)
172 (115)	ა. ცისა	ამაზედა შემოვიდა JK (აკლ OT)
178 (120)	გ. შემოვიდა მის წინაშე	მჭმუნვარედ JK (აკლ OT)
183 (124)	ა. ღარდუჯით	სევდიანსა JK (აკლ OT)
204 (140)	ა. ტირს მტირალსა	ფიცხლა + R' (-აე J, -ად KR')
212 (147)	ბ. ოც დღე	რაგინდ გზა ჰქონდის სავალი + FR'
	დ. მისი მას ვისგან სწვაავ ალი	სალისა + R'
214 (149)	ბ. გიამბობ	ცრემლითა სველია
226 (158)	ბ. მართ ვითა მთვრალია	სახელმწიფო ანუ; - (აკლ O)
248 (176)	ბ. საჯდომი და; მისი	სრულად მოვლის ზედა (ზედან K). (აკლ +O)
257 ა.	ა. ერთობ მოვლის სრულად	დაუყოვნებლად მავალნი არა არ საჭმელი
304 (218)	ბ. ღლისით და ღამით მაშვრალნი არ საჭამადთა	იფაჩონდა (-ჩვიდა T) ჯართა (ჯერეთ JT) კიდა ბარგი მძიმედ (მძიმე J) აეკიდა გულისა კრულისა + R' არა ვჰკადრე წამოუველ (წამოგიველ JT) +R' რა შევხედენ (-ენ TR) შეეშინა (შეშეშინა J) + R' შენ მტერნი გიჩანს სურვილი +R' ჩვენ მიგვიბამს +R გმართებს მგ ზავსი (მგ ზავს J, მსგავს T) ჰყვის (იყვენს JT) ცოტად (ცოტა H) +H, ტკბილად T
370 (270)	გ. ბარგი მძიმე აეკიდა	
	დ. დაეფანჩა მარეკი და	
374 (274)	ა. შენისა გულისა	
395 (294)	ბ. შემებრალნეს	
	გ. გამოგექეც	
492 (362)	ბ. შევხედენ თუ თქვას რა მინა	
509	დ. თუ მისი თავი	
510 (377)	ა. სიკვდილი	
561 (422)	გ. მით გვაბია	
614 (472)	გ. შემცა	
620 (478)	დ. მართლად არს	
649 (506)	ა. ამოდ	
763 (611)	გ. იხოკდეს	
788 (636)	გ. ამისთვის	
804 (651)	გ. ესენი	
815	ბ. ანუ ნახვა	
826(669)	ბ. აკოცა და	
		იციმდეს ღირსებად მონანი ან (აწ G', მართ JT) იმედი თავსა ზრიდა (აკო... T)

	გ. ტარიელს თუ ვით ეწყინა რა ქნას ამას ვერ მიმხვდარა	ტარიელსა გაეყრა JT) მისთვის (მისი JT) გულსა დანა (ვითა დანა გულსა JT) სჭრიდა (ჭრიდა G')
	დ. აეთანდილცა ჩატიროლა შამბი შიგან ჩაიარა	მოყმე შეჯდა მოსწრაფებით მივიღოდა მართ მიქროლა
827 (670)	ბ. თითითა ეხვეწებოდა	ყელზედა (-დან O, ხელზედა JT) ეკონებოდა
832 (675)	ბ. ჭირად	სრულად (+ JT)
	დ. თუნდა	ანუ
838 (681)	დ. ბრძანა ეცან ჩემი	მიბრძანა ეპოვე
843 (685)	ბ. მუნ	ლალ
850 (692)	ბ. სმისა და ჭამისა	გულ ამოდ ღზინისა
851 (693)	ბ. მინდორს რული	მოარული + R'
	დ. გულსა	მისთვის
852 (694)	ბ. რგული ალვა	ზრდილი (ზდილი J) ტანი
855 (697)	ა. ვარდისა	ძეწნისა (ძეწისა J)
	ბ. ბროლი	ვარდი (-დნი TR') + R'
860 (701)	გ. იტყვის რა უთხრა პასუხი მას სათნებლისა თნებისა	უბრძანა რა ექნათ რა ვარგოთ მის ჭირთა
861 (702)	ა. მინდობა	წამალი
880	ა. ბროლი	ია
901 (735)	გ. ნათელსა	წამალსა
907 (741)	ბ. ესე	მიღი
911 (745)	ბ. დაღორდნენ	მოტყუედნენ (მოსტ - J)
924 (758)	ბ. უმეცრულად	უალაგოდ
928 (761)	გ. ენა ასრე	ენით თავსა
929 (762)	დ. რაძი	ვერცა
933(766)	გ. რისზვასა	საქმესა
939 (770)	ა. სმანი	ღზინი
945 (776)	დ. ჰკრთების კუშტობს უშობს	ერიდების კრთების შუობს (ქსუობს JT)
949 (778)	ბ. ხლებისა	დაწყლულებისა
950 (779)	ბ. უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე	უშურობით (უშურვობით J) მებეგრეცა (ააზატე T)
955 (784)	გ. თავისა	ღლეთა
972 (800)	გ. ერთგან	ბერი
973 (801)	დ. სიცოცხლე/მშვი- დობამცა/სიკვდილი	ყოფაცა (-მცა J)

974 (802)	გ. ღაზრდილთა	მოყვასთა (მოყვისთა KO)
980 (806)	გ. წყალობით	პატივთა (პატივით JT)
987 (812)	ბ. თუმცა ვამნი ადიაღნა	საბრალომან ცრემლი ღვარანა
	გ. საბრალომან ცრემლნი ღვარანა	სისხლმან (სისლმან J) მისმან კლდენი ღარანა
1002 (825)	ბ. ღარბაზს ხასთაგან ჯარია	შეიქნა ღარბაზს ხასთაგან
1023 (846)	გ. რად	ვით
2038 (859)	ღ. თვარა ბედი აზომ თურმე მიკვეთს	ბედი მიზამს ეზომ (ეგ ზომ J) თურმე მეტი
1050 (869)	ბ. მკვლარი ქვე	მიწასა
1063 (882)	გ. კვლა რამე	ნახვითა
1066 (885)	ღ. მიწად სად გამდის	მირწყავს (მიწყიე KO) მიწა (მიწად KG') და
1075 (894)	ა. ცნობიერი; უცნობისა	შენიერი; საუბრისა
1147 (964)	ა. მმოწმობენ ვარსკვ- ლაენი შვიდნივე	ვარსკვლაენი შვიდნივე შეამას
	ბ. ოტარიდი	მთვარე ოტრიდ
	გ. მთვარე ასპიროზ	ასპიროზ (ასპეროზ T) ზოპრა (ზოარ J, ზორა G')
1158 (975)	ღ. ცრემლსა; ბროლსა	ბროლსა; ლალსა
1161 (978)	ბ. ისი ვისია	იგი ვინ არის
1162 (979)	ღ. მჭვრეტელთა	მეტად
1168 (985)	გ. იგიცა	ერთობით
1178 (995)	ა. ცნეს მეფეთა	ჩვენ გვიამბეს (გვიანბეს T, ჯანბეს G')
	გ. მუნღა დაჰკრთა მათთა	არ (არა G') მიიყო (მიყო G') ხელი
1182 (999)	გ. მიაართმევს	მოუტანს
1193 (1010)	ღ. გულითა	ჭვრეტითა
1199 (1015)	ბ. სიკვდილად მიჩს და მით თავსა ვევენები	ეგრე მჩანს გამრავლდებოდეს (გამმრ- T) სენები
1200 (1016)	გ. კარგსა იქს თავსა სწრთენიდესა	ავსა (ავს OG') კარგს (-სა OG')
203 (1019)	ბ. საკაცო	ერთად
1204 (1020)	ა. საგებელი	საკარგემო
	გ. აწ; მომლოდნესა	სრულად ოქრო
1218 (1039)	გ. ძალი	მართ (მათ J) მგონებელთა
	ღ. ღონე	ღონე
1222 (1038)	ღ. იმ ყველასა	ძალი
		განგებითა

1225 (1041)	ბ. ხელთა	დიდი უშიშრად
1233 (1049)	გ. გულითა	მორიდებით (მორიგებით KO)
1444 (1060)	ა. თავსა პირსა	პატრონსა + H
1251 (1067)	ბ. ტაროსა	ამა ქნითა მოიგებენ
	ა. ამისებრსა ვერ კპოვებენ	
	ბ. მოიგებენ	არ თუ ცუდად გამოჩვენება
1254 (1070)	დ. თქვენი ქენება	ხმა + H
1274 (1090)	ბ. ჯერთ	გამავალ (მამავალ J)
1276 (1092)	გ. რაზომცა ცეცხლი მწევს ალთა	შემომავალთა (-შემამა- J)
	დ. ნუთუ რა მარგოს მე მისი გარდახდა ჩემგან ვცნა ვალთა	პირველვე ვათქმევ პირითა (ამბავთა J) თავისა გარდასავალთა (გარდავალთა)
1288 (1104)	ა. ამას ყველასა ავთანდილ ისმენდა	რომე გექადა (გეტყოდა N) მესმოდა ვიყავ მართ (მეტ N) + HN
1290 (1106)	გ. გეტყვი	გესმის + H
1291 (1107)	დ. მოვითმითხრა	მე რად ვიყავ + H
1293 (1109)	დ. მისებრსა	ქვეყანად
1296 (1112)	გ. ტურფითა	მრავლითა
1302 (1117)	დ. წელან/უწინ	პირველ
1303 (1118)	ა. მზე	მხნე
1326 (1141)	დ. თუ	სხვა
1331 (1146)	გ. რუბები/რუები	გუბები (აკლ J)
1334 (1149)	დ. ნაქსოვისა	ყარყუმისა (აკლ J)
1345 (1160)	გ. დავადუმეთ	შევეხვეწეთ
1359 (1174)	დ. გითხრეს	გისმობს + HR'
1366 (1181)	დ. დაღრეჯით	მოწყენით
1398 (1213)	ბ. სიმუხთლე	სიცრუე (-უვე T)
1414 (1229)	ბ. მონა	მოყმე
1425 (1240)	დ. ერთაი	მრავალი (-ლნი JT)
1442 (1257)	გ. რა რეგენად და რაგვარ ხმობდა	ეგრე ვითა ყოვნდებოდა (ჰყ- KOG')
1468 (1282)	ბ. შენართევია	შემატებია
	დ. მას აქათ ტირილი არ დალევია	ტირილი აროდეს დაგვდუმებია (დადუმებია J)
1606 (1412)	ბ. სამასი	ას-ასი
1622 (1426)	გ; თვალი ყველაი დათლილი იაგუნდი და	ლალ (ლალი T) იაგუნდი

	ლალები	ზურმუხტი ფირუზ
1629 (1433)	ბ. არ სილიადე	თვალ-მარგალიტი (-თა JT)
1636 (1440)	ბ. თვითო	ცხრა-ცხრა
1637 (1441)	ა. სიტყვითა	ტებილისა (-თა T)
1638 (1442)	დ. საჭვრეტელად	ყოველთათვის
1659 (1463)	გ. ყვითელი და შავი	ზურმუხტი ფირუზი (-ზა O)
	დ. დასხდა; ვცან მათი	ნახეს (ენახეთ J, ენახე T); ჭვრეტითა

აქედან JKOTG' ხელნაწერთა ჯგუფს სისტემატურად მიჰყვება H ნუსხა:

1674 (1478)	ბ. საჯდომთა	და ტახტსა
1710 (1513)	დ. მისრული	გაჩენით
1746 (1548)	ა. გათავება/გადიდება	თავსა ღება
1753 (1552)	ბ. და ბადახშისა	ლალ (თვალ J) მარგალიტი (- ტთა JT, -ტა H, მარგარიტი G')
1765	ა. უთხრა	ჰკადრა
	დ. მაგითა შენგან არ	სიტყვითა არვისგან
1778 (1577)	დ. ღია	მრავლით (-ლის H) და სხვა <sup>36</sup> .

„ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ნაწილში, მსგავსად H-ისა, JKOTG' ხელნაწერებთან გარკვეულ კავშირს ამჟღავნებს G და მისი მიმყოფი F'L'Q' ნუსხები<sup>37</sup>. მაგალითები:

242 (171)	დ. მისად	ჰქონდის (ქონდის F'L'Q') + R'
303 (217)	დ. მუნალა	ნუთუ შენ
379 (278)	დ. არ სავენებლისა	არას (არა R', არცა J) მისისა + R'
392 (291)	ბ. ქურდნი	ძმანი
	დ. ძმა რომელთა სულ მობრძავი სამე გლახა	რომე ერთმან დაკოდლმან (-მა G) კენესა ნახა
442 (325)	ბ. ნასამალსა	ნათალსა
535 (401)	გ. ბევრსა	დიდსა

<sup>36</sup> ხატაელთა ამბავი და მომდევნო ეპიზოდები განხილული გვაქვს წიგნში: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით.

<sup>37</sup> G, H და მათ მიმყოფ ხელნაწერთა რედაქციული სახე, კერძოდ, მათი მიმართება JKOTG' ჯგუფთან საგანგებო კვლევას მოითხოვს.

613 (471)	ბ. ათასი	მრავალი
634 (492)	გ. ღღეს	თქვენ
	დ. აწ კვლაცა; მას	აწ სცნობ სხვასა; რაც
638 (496)	ა. წელან	გუშინ
660 (516)	დ. ვიწყე	ვიყავ
681 (536)	ბ. წვიმა	თოვლი
698 (552)	გ. შიგნითა	ქალაქთა (-ქით GTFL'Q')
706 (559)	დ. ამოდ იგივე მე ვარი	საომრად მოსამზევარი
728 (580)	გ. მოჰქონდა	მოიღეს
754 (602)	ბ. მუნა გასვლა	ქორის (ქარის J) ღვენა (ღენა FL)
920 (754)	ა. ჭირსა	თაესა
944 (775)	ბ. რათა ვინ რა	რა მჭირს ანუ
977	ა. ნათელი შემოსოს	~
1045 (866)	0. ავთანდილისაგან	+ დაბნედილის
1431 (1246)	გ. მანდა	ფერ (ფერთა K, ფერად GFL'Q')
1774 (1574)	დ. სიტყვანი	ქებისა და სხვა.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში JKOTG' ნუსხები გამოიყოფა როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი რედაქციული ჯგუფი, რომელიც საერთო არქექტივიდან უნდა მომდინარეობდეს.

ამის შემდეგ გასარკვევია, რა ურთიერთმიმართება არსებობს JT-სა და KOG'-ს შორის.

ამ საკითხზე რუსთველოლოგიაში აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცა იგი საგანგებო კვლევის საგანი არ ყოფილა.

იუსტ. აბულაძის შეხედულებით, „K ხელნაწერი უნდა წარმოადგენდეს J-ის მომდევნო რედაქციას, რომელსაც, J-ის გარდა, ხელთ ჰქონია კიდევ ისეთი რედაქციები, როგორცაა F<sup>38</sup>. მეორეგან: „J-ის მომდევნო უნდა იყოს K ხელნაწერი“<sup>39</sup>.

<sup>38</sup> ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. XI; რუსთველოლოგიური ნაშრომები, გვ. 139.

<sup>39</sup> იქვე, შესაბამისად გვ. VIII, 146.

საპირისპირო შეხედულებას ავითარებდა ს. კაკაბაძე. მისი ფიქრით, „ხელნაწერი J თავისი რედაქციით წარმოადგენს განვითარებას K ხელნაწერში დაცულ რედაქციისას“<sup>40</sup>. მეორეგან: „J წარმოადგენს (...) K და O ვარიანტიდან წარმოშობილს რედაქციას და სწორედ რედაქციას და არა ვარიანტს, რადგან ამ ხელნაწერებში წარმოდგენილ ტექსტს მძლავრად ამჩნევია შემდეგდროინდელი რედაქციის ხელი“<sup>41</sup>. ოღონდ, როგორც ამ სიტყვებიდან შეიძლება იფიქროს კაცმა, ს. კაკაბაძე J-ის რედაქციას უშუალოდ KO-დან მომდინარედ კი არ თვლის, არამედ გულისხმობს, რომ J-სა და KO-ს ჰქონდათ საერთო არქეტიპი, რომლისაგან, ერთი მხრივ, განვითარდა J, ხოლო, მეორე მხრივ KO. იგი წერს: „თუმცა ხელნაწერი J-ის რედაქცია შედარებით ლ-(სა) და O-(ში) დაცულ რედაქციასთან უფრო გვიანდელია (ამას ამტკიცებს ნართაული ტაეპები 3), მაგრამ ორივე ეს რედაქცია არ წარმომდინარეობენ უშუალოდ ერთი მეორისაგან, არამედ ორივე - საერთო არხიგეტიისაგან ტაეპებით 3. ამისი მაჩვენებელია K და O ხელნაწერის რედაქციაში ნართაული ტაეპების BP წარმოჩენა, რომელი ტაეპები არ მოიპოვება ხელნაწერში J“<sup>42</sup>.

ამ, ცოტა არ იყოს, ბუნდოვნად გამოთქმულ აზრს ნათელს ფენს იქვე მოცემული სქემა, რომელზედაც KO-სა და J-ს საერთო არქეტიპი აქვთ, რომლისაგან ცალკე მომდინარეობს J და ცალკე K (ამ უკანასკნელიდან კიდევ - O)

ძირითადად ამ შეხედულებას ემხრობა მ. კარბელაშვილი. ისიც ხელნაწერთა ჯგუფს სართო არქეტიპის მქონე ერთ რედაქციად თვლის, რომლისაგან JT და KOG' ქვერედაქციებად გამოიყოფა. მაგრამ, ამასთან ერთად,

<sup>40</sup> ვეფხისტყაოსანი, 1913, გვ. 20.

<sup>41</sup> ვეფხისტყაოსანი, 1927, გვ. VIII.

<sup>42</sup> ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, საისტორიო მოამბე, I, 1924, გვ. 130.



განსხვავებით ს. კაკაბაძის შეხედულებისაგან, JT ხელნაწერთა ჯგუფს KO-ს განვითარებად მიიჩნევს. იგი წერს: „მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერებს აქვთ საერთო სტილისტური ვარიანტები და საერთო ფენა ჩანართებისა, რაც მათი სავარაუდო არქეტიპიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ ამავე დროს აქვთ ინდივიდუალური ნაირკითხვანი და სპეციფიკური ინტერპოლაციები. ამასთან ჩვენ ვნახეთ, ესენია JT და KO. ქუთაისურ-ნაკაშიძისეულ ნუსხათათითქმის იგივეობრივი მსგავსება უფლებას გვაძლევს, ისინი ერთ ხელნაწერად ჩავთვალოთ. ასევეა მზეხათუნისეულ-რედაქტირებული ნუსხებიც (თუმცა აქ განსხვავებაც მეტია). მაშასადამე, ესაა პოემის ერთი სტილისტური რედაქციის ორი ქვერედაქცია, რომელთაგან ერთი (მზეხათუნისეულ-რედაქტირებული) განვითარებაა მეორესი (ქუთაისურ-ნაკაშიძისეულისა)“<sup>43</sup>.

ს. ცაიშვილი JKOTG' ხელნაწერთა ურთიერთმიმართების საკითხებს არ განიხილავს, მაგრამ სქემას მაინც ადგენს. ამ სქემის მიხედვით, ამ ხელნაწერთა რედაქციათა „სავარაუდებელი შორეული პროტოგრაფიდან“ მოდის JT-ს „უახლოესი პროტოგრაფი“. აქედან გამოდის KOG'-ის „უახლოესი პროტოგრაფი“, ხოლო ამ უკანასკნელიდან – K და JOG'-ის „უახლოესი პროტოგრაფი“<sup>44</sup>.

ასეთია ამ საკითხზე არსებული შეხედულებანი. რა მასალებს ეყრდნობა მათი ავტორები, მცირე გამონაკლისის გარდა, არ ვიცით.

KOG'-ისა და JT-ს ურთიერთშედარება დასმულ საკითხზე ნათელ სურათს იძლევა.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, სადაც KOG' გამოიყოფა როგორც დამოუკიდებელი რედაქციული ჯგუფი, JT

---

<sup>43</sup> ც. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის საკითხები, გვ. 235-236.

<sup>44</sup> ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, გვ. 289, სტემა № 2.

ხელნაწერები აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში მიჰყვება დანარჩენ ნუსხებს, უფრო ზუსტად, ნუსხათა უმრავლესობას. იგივე ვითარება გვაქვს იმ შემთხვევებშიაც, როდესაც KOG' გამოიყოფა თითო-ორი სხვა ნუსხებთან ერთად<sup>45</sup>. JT ამ შემთხვევათა უმრავლესობაშიაც სხვა ნუსხებს ემთხვევა. მაგალითები:

### JT და ხელნაწერთა

უმრავლესობის წაკითხვები:

- |           |                          |
|-----------|--------------------------|
| 343 (252) | გ. წელან                 |
| 364 (264) | გ. მეუნებლე/მავენებელი   |
| 437       | ბ. მესროლთა              |
| 440 (321) | ბ. შუესა მე              |
| 446 (329) | გ. პირსა                 |
| 381 (439) | ბ. ჩემთვის უდგამს თუცა   |
| 663 (519) | ბ. ვნახე                 |
| 674 (529) | ბ. ძილი                  |
| 709 (562) | გ. ბერსა შენსა           |
| 795       | დ. ხმალსა ხელსა          |
| 804 (651) | ა. აწ                    |
| 829 (672) | ბ. აბობს                 |
| 831 (674) | გ. ვხედავ                |
| 842 (684) | ბ. მიმხედარმან           |
| 858 (699) | ბ. აღარა                 |
| 861 (702) | დ. სახედავისა            |
| 866 (707) | დ. ერთხელ ვა             |
| 868 (709) | ბ. მოაპოვებს             |
|           | გ. თავი                  |
| 874 (712) | დ. სისხლთა შენთა         |
| 880       | გ. ლხინმან; ჭირი         |
| 885 (721) | დ. დანადგარნი (მონა- JT) |
| 925 (759) | ბ. თავსა მოგკვეთ         |
| 930 (763) | გ. აწ თქვენგან           |

### KOG' და ზოგიერთ

ხელნაწერთა წაკითხვები:

- |                               |
|-------------------------------|
| ძოლან + HT                    |
| მოუბარი + N                   |
| მებრძოლთა + F                 |
| შუეს ასრე + CFL               |
| ძირსა/ძირს + FIZR             |
| მას მოუდგამს (-ავს R')        |
| ჩემთვის + FIZR                |
| დამხვდა + G                   |
| ლული + E                      |
| - + H                         |
| - + GHFL'Q'                   |
| თქვენ + IZ                    |
| აზრობს + EF                   |
| ვართუ + E                     |
| მეუფმან + FIZR'               |
| სხვა არვინ (არა R) + IZR'     |
| საესავისა + GHFL'Q'           |
| ნეტარძი (ახ ნეტარძი IZ) + FIZ |
| მაპოვნინებს + I               |
| + შენი + IZ                   |
| ჩემთა სისხლთა + FYA'          |
| ჭირმან; ლხინი + DHUV          |
| დანახოცი (დახოცილი IZ) + FIZ  |
| აწვე მოგკლავ + F              |
| არ ვიცი + FIZ                 |

<sup>45</sup> სახელდობრ, F და მის მიმყოფ ნუსხებთან ერთად (ამ საკითხზე დაწერილებით ქვემოთ).

952 (781)	გ. გულსა	თვალთა + E
964 (792)	ბ. უხილავი	მეცნიერი + F
1080 (899)	ბ. ზმობისა	ყმობისა + HR'
1096 (815)	დ. გასწაველელსა გააშმაგებს უსწაველელსა გაასწავლებს	უსწაველელსა გაასწავლებს გასწავლილსა (-ლულ- I) გააშმაგებს + IR'
1107 (926)	დ. მოყრობა (მოყროსა IT)	კარგი გჭირს + IR'
1121 (939)	დ. ცხადად	აღრე (აპღრე G') + FI
1150 (967)	ა. სმენად მხეცნი გ. ქვანიცა	~ + I ნიანგნი (-იცი I, ნიანგნი G') + EI
1167 (984)	ბ. უთხრა	წა + FIZR'
1183 (1000)	ბ. სასურველისა დ. დამმარხველისა	საყვარელისა + FI სასურველისა + FIZ
1191 (1008)	დ. ოხერ სიცოცხლე უშენოდ	ოხრად მჩანს ჩემი სიცოცხლე + IR'
1239 (1055)	ა. წელანცა	ძოლანცა + I
1309 (1124)	დ. გახარებად	ნადიმობად + HZ
1310 (1125)	დ. ყვმაწვილობდი	ეთამაშობდი (-დით F) + FII
1312 (1127)	ა. მხიარულმან უმასპინძლე გ. რა შემატყვევს	~ + FIZR'
1322 (1137)	გ. ერთმანეთი დააეიწდა	ყველაკაი + FHZ ~ + FZR'
1335 (1150)	გ. ვიცი დარბაზს გაამჟღავნებს	გამაჟღავნებს (გამჟღავნებს + I, გაამჟღავნებს O) დარბაზს მივა + FIE'R'
1357 (1172)	ა. ღმრთისა	ცათა + IR'
1375 (1190)	ბ. ეტყვის	სწყველის + FGHIFL'Q'
1384 (1199)	ა. მონანიცა	გაიპარნეს + I
1407 (1222)	დ. მონისა	ლაშქრისა + EIYA'
1410 (1225)	გ. ნუთუ ზეცით	ანუ მთვარე + E
1411 (1226)	დ. ჩეენი	ტკბილად (-ლი E) + EI
1415 (1230)	ა. მართალი	ამბავი (-ენი F) + F
1419 (1234)	ბ. მივმართეთ	მივედით + IJYA'
1422 (1237)	გ. მუნით	პირველ + EFGZFL'Q'
1425 (1240)	ა. დულარდუხტს მეფესა	~ + Z
1429 (1244)	ა. მაგრა	ია (იად H) + H

1432 (1248)	გ. კაცთა	მტერთა + GF'L'Q'
1434 (1249)	გ. ცეცხლი დამივსენ	დამივსე (-ენ Z) ცეცხლი
1435 (1250)	ბ. ღმერთო გმადლობ	~ + GHFL'Q'
1436 (1251)	ა. ცნობისათვის	სმენისათვის
1446 (1261)	გ. აქამდის მართალი	~ + E
1464 (1279)	ა. ქაჯმან	ზანგმან (-მა K)
1466 (1280)	ბ. ნუში	ვარდნი
1473 (1287)	ბ. არ მოსულა	შინ არ არის
1490 (1304)	ღ. ვხედვიდე	ენატრიდე
1492 (1306)	ღ. სიყვარულსა	დაკარგულსა
1495 (1309)	ღ. ბორბალი ჩვენზედა	~ + EFILZA'
1504 (1317)	ბ. ჯარისა	ლალისა + DGHJVFL'Q'
1508 (1321)	ბ. ძნელი	ომი + ILY
	გ. მოვინდეს	გეწადოს +F

**როგორც ზემოთ ვთქვით, 1513 (1325)-1587**

**(1394) სტროფები O-ს აკლია:**

1519 (1331)	ბ. სადაა ჩემი მოყვარე	სადა ზის ჩემი ძმაღვიცი + FZ
1521 (1333)	ბ. ხმითა მით	პირითა + HK
1530 (1341)	გ. სრულად	გვანდა (კგ - K) + FKZ
1531 (1342)	ღ. გამოჰხდეს	გამოჩნდეს + KT, EFLZ
1534 (1344)	ბ. საქმესა	ნაქმარსა + FK
1539 (1349)	ბ. თუცა; აშეთებს	აშთობს +HK; ახელებს + FKZ
1546 (1354)	ა. ვერა გიყო	ვერ გარღვიხდი + FKGKZFL'Q'
1547 (1355)	ღ. ავარდა	აიჭრა + EFKZR'
1550 (1358)	ღ. რა სცანი რა ჰქენ	რა ჰქენი რა სცან + FKZR'
1567 (1375)	გ. კარგთა	ერთსა + FK
1585 (1392)	ა. ჭაბუკი	ნიადაგ + FHKZ

**აქედან O და მისი მიმყოლი G' ნუსხა**

**K-ს ისევ უერთდება:**

1588 (1395)	გ. გაეულ ადვილად მიჩანს მართ ვითა	გასვლა (გავლა FI) ასრე მჩანს ვითა გარბენა + EFHI
1593 (1400)	ბ. კარგად	მალეით + H
1594 (1401)	ბ. ყოველნი	კისკასად (კისკისად H) + H
1614 (1418)	ღ. ნობათი	მებრძოლი + HR'
1619 (1423)	ღ. ერთად	ტურფად + H
1630 (1434)	ბ. გარესწყდეს	გარესხდეს (-სხელს + R') + IR'
1633 (1437)	გ. საჭურჭლესა	მარგალიტსა (-რიტსა + G'R') + FZR'
1634 (1438)	ღ. მართ ხალასისა	მალრიბულისა + H

1638 (1442)	ბ. სიტოცხლე	სალზინოო + FZ
1643 (1447)	დ. შედენით	შერევით + I
1660 (1464)	ბ. გამრავლდა	შეიქნა + H
1694 (1498)	დ. იგ ამისთვის	არცა იყენეს (-ნენ H) + FHIR
1700	ბ. ქნა მათკენ	მოდენა + FHIZ
1707 (1510)	დ. ამაღ მეღების	ამისთვის (-თვი R) ვიწვი + FGLFL'Q'
1708 (1511)	გ. გაწბილებულა	დაბადებულა (-ლი RZ) + FHIRZ
1717 (1520)	დ. ჩემად	ბნელად + I
1721 (1524)	გ. ლზინი	ჭირი + EGF' L'Q'
1724 (1527)	ა. თუ	რომ + FZ
1729 (1531)	ბ. ფერხთა	მუხლთა + I
1743 (1545)	დ. თქვენით ხელითა მელირსოს	მე მასწრას თქვენგან სამარე + F
1745 (1547)	დ. მკლავნი	ჩვენნი (ჩენი GO) + GLFL'Q'

ასევეა სტრიქონების გადაადგილებაშიაც:

- 1302 (1117) გ. დ. ~ FHKOPRZG'  
 1350 (1165) ბ. გ. ~ IKLNOG'  
 1360 (1175) გ. დ. ~ IKOPVZG'  
 1372 (1187) გ. დ. ~ GHIKOF'G'L'Q'  
 1736 (1538) გ. დ. ~ FGIKORF'G' L'Q'

და სხვა.

ყველა ამ შემთხვევაშიაც JT ხელნაწერთა უმრავლესობას მიჰყვება.

მეორე მხრივ, მსგავსად KOG'-ისა, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში გამოიყოფა JT. ეს ნუსხები პოემის ძირითად ნაწილში<sup>46</sup> ძლიერ ახლოს არის ერთმანეთთან და კიდევ მეტი თავისებურებანი ახასიათებს, ვიდრე ცალკე KOG'-სა და ერთად მდგომ KOG'-სა და JT-ს. აქაც, როდესაც JT

<sup>46</sup> პოემის გაგრძელებებში, სახელდობრ, გმირთა ანდერძებისა და გარდაცვალების ამბებში მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებანია (ამ საკითხზე საუბარია ჩვენს წიგნში: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით).

თავისებურია, KOG' უმეტეს შემთხვევაში მიჰყვება  
ხელნაწერთა უმრავლესობას. მაგალითები:

მხოლოდ JT-ში მოიპოვება შემდეგი სტროფები:

458<sup>1</sup> – „ავთანდილ ყურსა უპყრობდა...“

458<sup>2</sup> – „რალაა იგი სიცოცხლე...“

458<sup>3</sup> – „კვლავ ასმათ ჰკადრა...“

458<sup>4</sup> – „ტარიელ დენად ცრემლისა...“

643<sup>1</sup> – „მოეგონა საყვარელი...“

790<sup>1</sup> – „კვლავ მოგახსენებ, მეფეო...“

799<sup>1</sup> – „ღმერთი მყავს მოწმად...“

სამაგიეროდ, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ნუსხებიდან  
მხოლოდ JT-ში არ არის რუსთველისეულად ცნობილი  
შემდეგი სტროფები:

400 (298) – „ამან დღემან დამაკვიწყა...“

1154 (971) – „ნურადინ ფრიდონ მეფეა...“

1655 (1459) – „ავთანდილცა მიემტკივნა...“

1766 (1565) – „არ ღია გინდა დამავდო...“

მხოლოდ JT-შია სათაური 403 (301)-ე, 879 (717), 1179  
(996), 1408 (1223) და 1653 (1457)-ე სტროფების წინ.

მხოლოდ JT-ში ენაცვლებიან ერთმანეთს პირველი და  
მეორე სტრიქონები 1657 (1461)-ე სტროფში, მეორე და მესამე  
სტრიქონები – 519 (386)-ე, 835 (678) და 1180 (997)-ე  
სტროფებში, მესამე და მეოთხე სტრიქონები – 611 (469)-ე,  
758 (606), 850 (692), 1078 (897) და 1692 (1496)-ე სტროფებში,  
მეოთხე სტრიქონი მეორე სტრიქონად იკითხება 1173 (990)-ე  
სტროფში. წაკითხვები:

**KOG' და ხელნაწერთა****JT-ს წაკითხვები:****უმრავლესობა:**

226 (158)	ა. სასურველია დ. ოქრო ვერცხელი და თვალთ/რვალია	საგლოველია ჩემთვისლა რასაც ველია
247	ა. შერმადინ	მერმე
261 (184)	გ. მის მთისა ძირსა დ. ორგნითვე	მინდვრისა პირსა სრულობით
269 (192)	ა. არსნი	პირი
291 (208)	ა. ღვეზიდენით	არ ვეკიდებით
314 (227)	ბ. თქვა	კვლავ (კვლა T)
340 (249)	ბ. მას ცრემლი ემალმალების	მით ფერი დაემალების (ღვე- T)
343 (252)	ა. სიტყვა/საკმე	ღონე
355 (259)	ბ. დაიჯერების	მოიგონების
358 (261)	გ. ნადირსა	აქ ვზივარ
365 (265)	დ. სარკმლით	მალვით
და 367 (267)		
368 (268)	დ. არ ჰქონდა	ვერ მისცა
371 (271)	გ. მათგან მკრთალი შემოვბრუნდი	შემოვბრუნდი ვერა მნახეს
372 (272)	ბ. ტევრად/ველად	მდევერად
390 (289)	ბ. გებენეს	გნახეს
410 (307)	ა. თანა წყალი	წყალი ახლოს + R'
421 (317)	დ. ასრე	ეგრე
447 (330)	გ. იყო	ერქვა
454 (336)	ა. ღაგვაკლდა სწორად	~ + R'
463 (340)	დ. სულდგმული	ცოცხალი + R'
468 (343)	გ. საუბარისა	მულღანზარისა
471 (345)	დ. ცუდქმნილი ვა	მაგარნი ცუდ
477 (351)	ა. გარე	ზედა
479 (353)	გ. სიცოცხლე გარდამხდარი	მიწათა სასუდარი
496 (367)	გ. შეჯდა	მინდორს
502 (372)	დ. აშიკობა	მიჯნურობა
505 (375)	ა. მითხრა	და თქვა
509	ბ. ვისცა	ვიყავ (ვიყვი T)
526 (392)	ა. შემოყვანა	განა
530 (396)	დ. კვლა უფრო	ნეტარ ვით
537 (403)	გ. სიკეთე კეკლუცად	სიფიცხე კარგ წყობით

541 (406)	დ. ტაიჭთა მათთა	~
546 (410)	დ. ბედით ვებულსა	გამწარებულსა + R'
551 (415)	ბ. მას მზედ	მზედაე
554 (416)	დ. აწ შევება ხატაელთა	ღია ღმერთო შეცავება
563 (424)	გ. ბნელსა ზედა	ზედა ნათლად
566 (427)	გ. კელაცა	კიდევ
567 (428)	დ. მიშველეთ	იფრთხილეთ
568 (429)	ბ. უცხო	ტურფა + R'
569 (430)	ა. აზომ	ყოვლი + R'
576 (434)	გ. ტურფათა	არაბულთა
578 (436)	დ. ეწევი	ესწრები
581 (439)	დ. მემცა ვარ განაკილია	ავი თქვი ნუ გაქვს რიღია
585 (443)	დ. მაშინ	მუნლა + R'
587 (445)	დ. დასახოცლად	საომრად
588 (446)	ბ. მათად	მათ ძუტთა
589 (447)	დ. ხელი ჩაყავ; ზრმალო	ხმალსა უთხარ; მეტად
	ბ. კაცი კაცსა შემოვსტყორცე	ველნი (ველი J) მძორსა (მძორსა R') ვერ იტევდეს + R'
594 (452)	გ. ძილისა მიხვდა ნაცვალი	მიხვდა (მიხვდენ R') სარჯლისა (სასჯდისა J) სანაცვლოდ (-ლო T) + R'
595 (453)	დ. ვერ	კით
597 (455)	დ. არ ვბრძოლე კარი ქალაქთა	კარი მაშინვე ციხეთა J, კარნი ციხეთა მაშინვე T
598 (456)	დ. თვარა შენი შეცოდება მემცა ზედა რად	არ მომისმენ (მამ- J) თავიმც შენი მტკერსა შიგან შენ
599 (457)	გ. საუბარი	შეთვლილობა
600 (458)	დ. რასმცა ვითა დავაგვანენ	ან სიკეთით რას ვაგვანე
605 (463)	ა. წიგნი დავსწერე	~
606 (464)	ა. დავემგზავრე	გაკვემართე
608 (466)	დ. რაცა მწადდა აგრე	საქმეს ხელი კარგად (-გა T)
621 (479)	დ. მაჭმევედა/მიჭვრეტლა	პატივით
622 (480)	გ. მეფე გარდახდა	შინა მივედით
627 (485)	დ. მუნ ვარდსა შუვა	ბროლისა ყელსა
631 (489)	დ. მჭვრეტელნი	მაქებნი
639 (497)	დ. მისგან	მაშინ
642 (500)	დ. პირსა	მკერდსა
	ა. მიხდილი	შეცვლილი



644(502)	ბ. სრულად; ვითა სპეტად ა. ასმათის ნახვა მიამა ჩემგან დად საესავისა გ. მკლავსა დ. იგი უცხოა	ერთობ; სრულად (სულად J) რა მომივიდა (მა- J) ნაწერი ჩემგან მზედ მხარსა საკირველი (საკურველი T)
646(503)	0. აქა წიგნი ტარიელისაგან საყვარელსა თანა	აქა რიღეთა და ყაბაჩის გაგ ზავნა ტარიელისაგან ასმათის ხელითა
650 (507)	ა. მწუხრმან	ბნელმან
666 (521)	დ. ღვარსა	ბაღსა
674 (529)	გ. რად ვარ	თუცა
686 (541)	ბ. შვევიგნა მათი გმირობა დ. შეეძლოს	მათ მიხვდეს მესამარობა დაასწრან
708 (561)	გ. ვითა/ჩემად	უფროს
716 (568)	ა. ორნი	სამნი
718 (570)	გ. მითხრა დ. წითლად; სისხლთა	გამიგო სისხლით; წითლად
737 (587)	ა. ზღვასა შიგან	კიდის (კილით T) კიდე
741 (591)	გ. მიაძის	მამინდის
754 (602)	ა. ღღეს დ. ხუთთა	მუნ ათთა
759 (607)	ა. მომეჯარნეს	ამის მეტი
762 (610)	ა. არ დ. სიცოცხლე შენ ჩემი	ვით ჩემბმცა (ჩემისა T) თავი შენ
764 (612)	ა. მე	მართ
766 (614)	დ. დაუქციე დაიზახნეს ღიატურ ვა	შევეცილე დაექცა და შექნეს ცურვა იგინი
773 (621)	ა. ლაშქარნი ბ. ჩემსა ყველასა გ. დაღრეჯით	იგინი წინაშე ჩემსა შეწყენით (მე წყენით T)
774 (622)	გ. ფრიღონ; ვთამაშობდით	ეგრე; შეწყენილი
775 (623)	დ. იქით	მალლით
776 (624)	ა. ზოგჯერ ზღვითკე მივიხედნი	იქით-აქათ გარღვიხედი (- დნი T)
778 (626)	გ. ფერნიმცა/თვალნიმცა	შუქიმცა
783 (631)	გ. ცეცხლი	გულსა
784 (632)	ბ. მითხრა თუ რას	ინაღვლა რად
787 (635)	ა. მომხვდეს	მქონდეს
789 (637)	გ. მოგესმის	მოგხვდების (-მოგვხ- J)
790 (638)	გ. მოიჭირვე/მოვიჭირვოთ	მოვიცადოთ
793 (641)	დ. რომელმან	ქვეყანად

799 (646)	გ. ტყვესა; გებრალების	მზესა; გეძნელების
800 (647)	გ. მეტი	რომე
	ღ. სახედრობა	სიჩაუქე
806 (653)	გ. თხათა	ლომთა
812 (656)	გ. გამაგდებს	გამწირაეს
827 (670)	ბ. თითითა/ყელზედა	ხელზედა
	ღ. სხვა	მე
829 (672)	გ. ყოვლი	ველთა
834 (677)	გ. უბნობდა	ტიროდა
837 (680)	ღ. მაცნევ	კადრებ
840 (683)	ღ. ჰგვანდა ვითა მთრვალსა	ელის ნახვად ხვალსა
847 (689)	გ. ლაწვი ცრემლითა მინამან	ცრემლი გლას გაადინა მან
	ღ. ამბავი	ყველაი
850 (692)	გ. მზესა	ლომსა
	ღ. ეგების	ითქმის
853 (695)	ა. წინაშე	წყლიანი
	გ. წყლიანი	უკადრნი
	ღ. პატიჟნი	წამალი
854 (696)	ა. რა კაცსა სოფელმა	მართ ღმერთმან რა კაცსა
855 (697)	ღ. მერმე	კვლავ და
856 (698)	ბ. საწადლისა	საყვარლისა (-ელსა J)
858 (699)	ა. ნუ მკითხავ	მის ყმისა
859 (700)	ღ. ყოვლი	ჩემებრ
863 (704)	გ. მერმე ზრდა	ეზი მზრდელი
871 (710)	ღ. გაუსრულეს; ესე	ასუბუქდა; მისი
	აწინდელი	პირვანდელი
872 (711)	ბ. ახლოს რგოს მორწყოს	ლერწამივითა დახიოს
	ახიოს	
	ღ. ახიოს ეყოს	მიწყვივ სულთქმიდეს
874 (712)	ა. ყოველი	პირველად
875 (713)	ა. წავიდა	მტირალი
	ბ. ატირებს და გააფლიდებს	არას ოდეს დაატკბილებს
	ღ. მის მოყვრისა მოშორება	მოშორება საყვარლისა
	აწ აბინდებს კვლა	თავს სიკვდილსა
	აჩრდილებს	უადვილებს
880	ა. ბლუჯოს	გლიჯოს
	ბ. გულსა იდებს იტყვის	კაცმან ღზინსა ეგზო
	კაცმან	მისცა
	გ. გაძლება	დათმობა
881 (718)	ბ. ღზინთა	ჭირთა
	გ. გამზომელი	მიმზღომელი

886 (722)	დ. ხმას სცემს ჩანგი ჩალანასა მომღერალნი იყვნეს სრულნი	არეზინ დარჩა დიდროვანთა (დიდრუანთა T) დოსტაქართა (-ქანთა T) შეუსრულნი მოელხინა თაენი
890 (724)	გ. დაეძინა	
897 (731)	ა. გული	
899 (733)	ბ. მკლავს; ჩემისა	მრჯის; მართ მისგან
901 (735)	გ. შენსა მე ვეძებ ნათელსა შენ ხარ გულითა ბნელითა	წამალსა ვეძებ მოგივალ კარგისა საპოვნელითა მონა
906 (740)	გ. თქვენკე	დაათბუნებეს
913 (747)	ა. დააბრუნებეს	სიტყვა; ვითა დაღად (დაღრად T)
923 (757)	ა. საქმე; ვითა დაღრად	შეხედნეს უჭკუო შეწყენით
924 (758)	ა. დარიღნეს	თავს მიღებია
925 (759)	გ. ავი	თქვენ მოგზავდების
930 (763)	ბ. დაღრეჯით	
933 (766)	დ. არ გამცუდებია	
938 (769)	დ. გარდიფხვ-რების/განქარდების	
941 (772)	გ. მოვკვდე	ვიყო
943 (774)	ა. უბრძანებს	ხალვათად
945 (776)	დ. უშობს/შუობს	ქსუობს
950 (779)	ა. მეფეთა დ. სამსახური აქამდისი კელა გავლენა გააკვლადე	მფლობელთა მშვიდთა ტკბილად დაეზავე უმშვიდოთა გულსა მათზედ ძალი შენგან სდების
951 (780)	ა. ძალი ნურა მოგაკლდების ბ. შენი კედების გ. კარგად	ავად მოუხდების აღრე
952 (781)	ბ. ჭირსა	მტერსა
957 (786)	გ. დავეთხოვე გაუშვივარ	გაუშვივარ არ წაივდე
973 (801)	ა. მერმე ბ. სცდების და	ღია ვეჭვე რომე
975 (803)	ბ. საჭურჭლე გ. ობოლი/ღარიბი დ. მიღწვიან მომიგონებენ დამლოცვენ მოვეგონები	და ხელ ყავ (ჰყავთ T) უქონი დამლოცვენ ჩემთვის იღწვიან (იღწვიან T) მიცემა მოაგონდების (მოვეგონების T)
980 (806)	ბ. ჭირი	ცრემლი
981 (807)	გ. მეფენი	გულითა

984 (809)	0. და გაპარვა	სალოცავად მისვლა
985 (810)	ა. გეაჯები რომელი ჰფლობ ქვენათ ზესა	შენ უფალსა გევედრები (გეაჯები T) არსთა მხედსა ე. ურიშვილისეული ნუ შეიცვლი ღამედ ღღესა (ღღელსა J)
	დ. მისგან ჩემთვის დანათესა	ძღვენსა
986 (811)	დ. მსხვერპლსა	კარზე (კარზედ T)
989 (813)	ა. ყმასა	უბრძანა თუ
990 (814)	ბ. როსტან უთხრა	ოღენ
	გ. ღიღზან	მოაბადთა
991 (815)	ბ. მეცნიერსა	მართლად
	დ. თქვი და	ქნილიყო
996 (820)	გ. წასულიყო	ჩემთანა
999 (822)	გ. გლახ ვისთვის	ტკბილსა ჩემთვის დიდად
1000 (823)	გ. შენსა სასმენელად მე	მტერნი
1003 (826)	დ. სპანი	კადრებ
1026 (849)	დ. ვაზრობ	ცრემლთა
1030 (853)	ბ. ველთა	ძღვენსა
986 (811)	დ. მსხვერპლსა	ცათა
1035 (856)	გ. ღმრთისა/მზისა	საკრეფლად (უეკლოდ T)
1058 (877)	დ. არავის მოუკრებიან	არ მოხდებიან
1062 (881)	გ. სასჯელთა	პატიჟთა
1066 (885)	ბ. ხელ	ტყვე
1075 (894)	გ. ცნობიერთა დასტაქარმან უცნობოთა ოხვრა-ახმან	კვლა გიამბო ქება მისი მართ ჩემგანვე დაუსახმან (დანასახმან T)
1078 (897)	დ. ამაღ არ გიქებ	ვეჭვ რომ არ გიზამ
1081 (900)	ა. მან უბრძანა	ტარიელ თქვა
1089 (908)	ა. ქედსა	ზედა
1094 (913)	დ. ყმამან	მწარედ
1099 (918)	გ. ახლად	ჩვენზედ
1103 (922)	ბ. ცეცხლი მათებრვე გზებოდა / მას მიწყივგვერცა ხლებოდა	რა მზე ღღეს გაეყრებოდა
1114 (933)	გ. არ მთვრალი და არ მახმურად	მით არა მწვავეს გულსა მურად
1127 (945)	ა. მათ ყმათა	ორთავე
1141 (958)	ა. ცრემლი ცრემლსა	ცეცხლი ცეცხლსა (ცხელსა T)
1162 (979)	ა. უსახოთა	უებროთა

1172 (989)	ბ. მაგრა	რომე
1173 (990)	გ. ჭვრეტად სპანი	საჭვრეტელად
1174 (991)	ა. ვიცი	თქვენსა
1186 (1003)	დ. ბრუნვასა	ცურვასა
1189 (1006)	ბ. ზოგთაგან სრევა რიღისა	უებრო რუსებრი სისხლი მიღისა
	დ. უხანობა	მუხანათობა (მუხთალობა T)
1190 (1007)	დ. ცისა ეტლთა სინათლეო დამწველოდა	მზეებრ (მზეებრ T) ნათელი ეტლთა შუქთა ზღვათა (სა- T)
1191 (1008)	გ. ლხინად გიჩს მე დია	არ გაგვა მე მეტად
1193 (1010)	გ. წესითა იყენეს სრულითა	დგანან პირ-მზიარულითა
1195 (1012)	დ. მიეცა	შეუპყრა
1196 (1013)	ბ. გათენდა ბანეს	აბანოს მივა
1203 (1019)	დ. მით უნაგრითა სრულითა	მარგალიტ მოკაზმულითა
1209 (1025)	ბ. სალხენად	სადებლად
	დ. ჩემისა	წამლებად
1212 (1028)	ბ. გაასებული	გამწარებულნი
1213 (1029)	ა. ურიცხვი/დიდძალი	უსახო
1219 (1035)	გ. შემოვისხამ დაცაგწოთების	ვეჭვ რომ კარგად დაგეტდების (-ცთ, T)
1222 (1038)	ა. მოდიოდეს იზახდეს და	მოიძახდეს სოსწრაფებით (მოისწრაფეს T)
1223 (1039)	გ. ვერ ციხენი ვერ მოყვასნი ვერცა ძმანი	მეფენი (+ და T) ვერც (ვერ T) სიმაგრე კლდე
1224 (1040)	გ. ვით ვიხმარნე ლომნი მკლავნი	ჯერან ჩემნი მეომარნი
1226 (1042)	დ. კეტი ჰკრა ძელი მოსტენა სხვით არათ არ მოსტყდებოდა	გახეთქა იგი ხომალდი (ხვიმილი T) შიგან (შიგ T) წყლით (-ითა T) აივსებოდა
1228 (1044)	ა. ლაშქართა გულ-უშიშრად ასრე ჰხოცდა ვითა თხასა	ჭაბუკთა მეკობრეთა ხელი მიჰყო ზოცა სრვასა (სვრასა T)
1230 (1046)	დ. ღმერთი გფარავს	განგებაა
1234 (1050)	დ. ყოვლისა; მოწვეუნაღსა	ამისი ; მონასმედსა
1235 (1051)	ბ. ცული	მტვერი
1237 (1053)	ბ. ვით დათვალეს	ანაცვალეს
1238 (1054)	ბ. ჩვენ ვიციით ჩვენი ფლიდობა	ჩვენცა გვაქვს ამის ზრდილობა (დილობა T)

1241 (1057)	გ. სააგო	საქმეა
1244 (1060)	დ. მას მარგალიტსა მას ყმასა კბილთავე ფერსა სძლენილიან	ეტყოდეს ხმალთა თქვენთაგან ჯერ მათნი სისხლნი (-ლი T) მიდიან
1245 (1061)	დ. მის ქვეყანისა სიტურფე რა გავაგონო ენითა	ქალაქი იყო მოცული (შემკული T) ყოვლითა გასადევრითა
1251 (1067)	გ. თვე ერთ გამდიდრდების საეაჭროსა ყოვლგნით ჰკრებენ	ადრე აავსებენ დიდებულნი შეიგებენ
1266(1082)	დ. საქონელსა	ქვეშ ზარბაბსა
1296 (1112)	დ. ნუ გამაცხადებთ	ნულარას იტყვით
1298 (1114)	დ. ცრემლთა ღვრიდა	ცეცხლი სწვიდა
1350 (1165)	ბ. ზღვის პირსა სახლნი ნაგებნი დგეს ქვითა	მან კაცმან ყველა უჩვენა ნაგებნი (ნაგები T)
1359 (1174)	გ. მუნვე მისცა სულთა ხდასა	ვერ იქმოდენ (-დეს J) წინა დგმასა (დადგმასა T)
1374 (1189)	ა. უსენ	იგი
1375 (1190)	ბ. ვჰკადრე მზეო	ავტირდი (ავსტირდი T) თუ
1377 (1192)	გ. მუქაფად	მგ ზავსად
1378 (1193)	ა. გააგრძელეს	გაამრავლეს
1385 (1200)	გ. დამცდარა	ნუ ეჭობ
1386 (1201)	ბ. პირად მზე	ლომგულო
1388 (1203)	გ. გამიშვი	ლონეო
1406 (1221)	გ. უკეთესი	უზეშეთესი
1412 (1227)	გ. შეველენ	ჩანან
1419 (1234)	დ. ქვე ზის	მეტად
1426 (1241)	ბ. მოციქული	მიმავალი (მო- T)
1427(1242)	გ. ხელდახელ	მშვიდობით
1430 (1245)	ა. გრძნებისა	მზისანი
1442 (1257)	დ. შემყრელთა	შორს მყოფთა
1447 (1262)	ა. ფატმანს	ყმამან
1492 (1306)	ბ. მზიარულად	მოცინარად
1498 (1311)	გ. სპისა დიდისა	დიდთა ლაშქართა
1508 (1321)	ა. მიმძიმს	მჩანს
1511 (1324)	დ. სრული	წყნარი
1529 (1340)	გ. უცილოდ	საქნელად
1548 (1356)	გ. სულად მართ ვითა	მუშაკმან სულითა
1550 (1358)	დ. პატიჟნი (ხსენება FK)	სასჯელი
1571 (1374)	ბ. მომღერალისა	მოლიზღარისა
	ბ. ალვასა	აკოცა

1578 (1386)	ბ. შეიქს	დავარდა
1594 (1401)	გ. წავლა სჯობს გზისა გრძელისა	მე კადრო გზა გრძელობისა (გძ- T)
1596 (1403)	გ. კლიტითა დავლენ გავახვამ ნახოთ გაღება კარისად დ. დამსურის	კართა გავა მომართეთ კივილი გესმას (-ასთ T) ხშირისად შემგმობს
1608 (1414)	გ. თავსა	ქაჯათა
1617 (1421)	გ. მზე რა ვარდთა შემოდგეს დაშვენდეს და შუქნი არნეს	მოეგონა რომე პირველ ვითამც (ვითმც T) იგი (იგინი T) გაიყარნეს
1619 (1423)	დ. ტურფითა/ამოთა	ტკბილითა
1640 (1444)	დ. მოახლეთა	ახლოს მყოფთა
1650 (1454)	ბ. ღმერთმან	დიდად
1656 (1460)	ბ. სცემდეს ბუქსა და ტაბლასა	წინ მოეგებნე (-ნეს T) ყოველნი
1675 (1479)	გ. ცეცხლისა	სახშილთა
1697 (1501)	გ. ვინმცა იყო ვითა კეტი	ღმრთისა დადგეს (-გას T) ნათლად სვეტი
1705 (1508)	გ. მოსხმა ცხენისა	პყრობა ტაიჭთა
1765 (1564)	ბ. გაე/ავრე	გარე და მრავალი სხვა.

KOG' ხელნაწერთა უმრავლესობას მიჰყვება იმ შემთ-  
ხვევებშიაც, როდესაც JT ჯგუფი G და მის მიმყოფ F'L'O'Q'  
ნუსხებთან ერთად გამოიყოფა:

### KOG' და ხელნაწერთა

#### უმრავლესობა:

235 (164)	გ. გლოვა <sup>47</sup>
258 (181)	გ. თქვის
260 (183)	ბ. თვე ერთ
264 (187)	გ. ბანანი
279 (198)	დ. სატირლად; მოგვიტირენ
283 (202)	ბ. მკლავითა

### JT და GF'L'O'Q'

#### ხელნაწერები:

ძაძა
ვაი
ხუთსა (ხუთ JT) თვესა (თვე JT)
ფხანანი
საგლოველი; მოგვიგლოვე (მოვიგლოვე Q').
თავითა

<sup>47</sup> წინა სტროფებს არ ვეხებით, რადგან ისინი T-ს აკლია.

284 (203)	გ. თავითა დ. მფრინველი	მკლავითა (აკლ T) ურიცხვი (-ენი T). აკლ T.
285 (204)	ბ. შავსა	კარგსა
304 (218)	დ. თვალთა	მიწყვი
335 (244)	ა. ქუშობს ჯერთ	ჯერ (ჯერთ T) ქუშობს (ქუშტობს F'L'Q')
350 (254)	დ. მოკვედები	საქმესა (საქმისა F'L')
376 (276)	დ. ზომსა თავი / თავი ზომსა	ჭირი თავსა
392 (291)	გ. ერთი მკვდართა დაგესახა	თავსა კარგა დაგეჩნახა (დაგეჩახა FL)
397 (296)	გ. მაგრამ	ვიცი
405 (303)	დ. მწვავს	მკლავს
449 (332)	დ. სროლასა	ბურთობა (-ბას DL'Q', ბურათობას F)
450	ა. ზართა	დრგიალი (დგრიალი D'F'L'Q')
451 (333)	გ. ნადიმი	ზეიმი + D'
536 (402)	გ. შორით და ახლო ყველაი	ცხენისა ფერხთა (-სა T) ეჩქართ (- ად T)
558 (420)	დ. ერთობ ბ. არ შესხდომილად მზობასა	სრულად სისწრაფით (-ფე T) არ უმზობასა ეტყოდეს (იტ- J) +R'
560 (421)	გ. მან მითხრა მოციქულობა	მოციქულობა მამართვა (მო- L'R'Q')
563 (424)	დ. არამცა	და მერმე
635 (493)	ა. მთენისა	მშვენისა
636 (494)	ბ. ვარდ	ბროლ
637 (495)	დ. რომე წელან/ძოდან	გუშინ რომე
655 (511)	გ. ხვარაზმშა	დიდია (აკლ, აღდ T)
657 (513)	ბ. სასიძოდ ჩვენთვის	საჩვენოდ ნეტარ (აკლ T)
662 (517)	ბ. შემოდგა	მოვიდა
663 (518)	გ. ვნახე ვსჭვრეტლი	ვსჭვრეტლი (ვჭ- L') მეტად
664 (519)	ა. დაღრეჯილი გ. ყოლე; იდენ	შეწყენილი ოდენ; თვალთა (-თათ T)
665 (520)	გ. შეველ	მე რა
666 (521)	ბ. ებურა მოშლით	მოშლით ებურნეს
667 (522)	დ. შერჭმით	შესკენით
668 (523)	ბ. მუნხთალი დ. მე	უშიშრად მართ
671 (526)	ბ. წამალთაყე	წამალს სყიდვით (სწყიდვად JT)
674 (529)	გ. რად	ვით
677 (532)	ბ. ზეცით ჩემთვის	-



679 (534)	დ. ღაერჩე ა. ღაშლა ვით ბ. იტყვის თუ	გაესძლო მიღმა რაღა (რამცა FL'Q') თუ იცის
681 (536)	დ. მართლად	ვითამ
683 (538)	დ. ღამივსო; ამითა	შემქენა; ამისთვის
685 (540)	ა. იყოს ასდენ გ. პატიჟნი	მართ ანასდენ (ანაზდენ T) შვენება
690 (545)	დ. შეგფეროდეს	შეგშენოდეს
692 (547)	ა. ღავეყარე	მის წინაშე
694 (548)	დ. მიბრძანა ახლოს მიმისვა	ახლოს მიმიხზო მიბრძანა
695 (549)	ბ. ვითა ღასა	ლოცვა მიხვდეს
697 (551)	დ. კმარიან აქა ნახვისა	ნუ წახვალ შენგან ესეცა (აკლდა აღდ J)
698 (552)	დ. ღაიწყეს	მართ იყო (აკლ J)
703 (557)	დ. იგ გლახ	სიკვდილი (აკლ J)
704 (558)	გ. გლოვა	საქმე (აკლ J)
707 (560)	ბ. ჩემსა იქმოდეთ	-
710 (563)	ა. ვარ უმაგრესი რეალისა	საქმე ვქენ (ვკქენ G) მოსაკრძალისა
711 (564)	ბ. ყველაი თქვენ მოგ ხდომია	თქვენის მონობის მდომია
713 (566)	დ. მომკალ ვისცა	ღმერთმან ნუ ქნას
714 (567)	ბ. მეცნა	მესმა
717 (569)	დ. სიმრავლე; რისხვით	რისხვა; წყრომით
725 (577)	ა. პატრონი ჩემი აგრევე იყო წამოხვე	კვლავ (მე FL') ესე კადრო (ეკადრო FL', გკადრო Q') ამბავი (ანბავი Q') ქალი ღააგდ
728 (580)	დ. მას შიგან ჩასვეს იგი მზე ჰგავს იქნა	ქალი მათ მისცა ღაიწყეს ძახილი (ზა- ომ)
736 (586)	დ. მენავემან მნახა ზმული	შეფისული შებაზმული (შეკაზმული TFL')
741 (591)	გ. ვიახლენით	სიახლესა
749 (597)	ბ. მახვილთა	ლახვართა
750 (598)	დ. ღამირიგდა	ღამიწყნარდა
753 (601)	ბ. წილად დ. არ მივსცემდი	კერძად (-ოდ T) მივერჩოდეს (-ოდი JT, -ოდე Q')
935	გ. ჩემი ჭმუნვა	ჭმუნვა ჩემი
938 (769)	ა. აწ რაზომცა	რაზომსაცა
965 (793)	დ. სიცოცხლე	ჩემგან
1469(1283)	გ. ვითა	მეტად + H ღა სხვა.

იგივე ვითარება გვაქვს, როდესაც JT ცალკე დგას სხვა ნუსხებთან ერთად (სათანადო ნიმუშები ქვემოთ არის აღრიცხული).

მაშასადამე, მივიღეთ ასეთი სურათი: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში გამოიყოფა და მთელი რიგი თავისებურებანი მოეპოვება როგორც ერთად მდგომ JKOTG'-ს, ისე მასში შემავალ JT-სა და KOG'-ს. როდესაც გამოიყოფა KOG', უმეტეს შემთხვევაში JT მიჰყვება ხელნაწერთა უმრავლესობას. ასევე, JT-ს გამოყოფისას, KOG' გვერდში უდგას სხვა ნუსხებს ან თავისებურია. ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს, JKOTG' განვიხილოთ როგორც ერთი რედაქციული ჯგუფი, რომელიც სათავეს ღებულობს ჩვენამდე არმოდწეული, უცნობი არქექტივიდან, ხოლო JT და KOG' – მის ქვერედაქციებად.

მომდევნო სტატიაში განხილული გვაქვს ურთიერთმიმართება როგორც JKOTG'-სა და FIRZ ძირითად რედაქციებს შორის, ისე ამ უკანასკნელთან და, კერძოდ, F-სადმი KOG'-ის დამოკიდებულება. აქ კი უნდა დავასკვნათ:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში, როგორც ძირითად ნაწილში, ისე გაგრძელებებში, გამოიყოფა და თავისებურ ქვერედაქციულ ჯგუფს ქმნის KOG' ნუსხები.

2. ამ ჯგუფის რედაქციული თავისებურებანი ჩამოყალიბებულია მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო 60–90-იან წლებში.

3. KOG' მომდინარეობს JKOTG' ძირითადი რედაქციული ჯგუფის არქექტივიდან, რომლისაგანაც, ერთი მხრივ, გამოიყოფა KOG', ხოლო, მეორე მხრივ, – JT. ეს რედაქციული ქვეჯგუფები აღნიშნული არქექტივის შემდგომი განვითარების („სწორების“) შედეგადაა წარმოშობილი.

# „ვეფხისტყაოსნის“ მზეხათუნისეულ და ბებურიშვილისეულ ხელნაწერთა ტიპის რედაქციათა ურთიერთმიმართება<sup>1</sup>

ა. საკითხის ისტორია. ბებურიშვილისეული (F) და  
ჯავახიშვილისეული (I) ნუსხების თავისებურებანი

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში სტროფული შედგენილობის სიმოკლით გამოირჩევა EFINRYZA'R' ნუსხები, რომლებსაც F-ის მიხედვით, პირობით, ბებურიშვილისეული ხელნაწერის ტიპის ნუსხებს უწოდებთ<sup>2</sup>. სტროფების უარყოფის მიხედვით ამავე ხელნაწერთან გარკვეულ მსგავსებას იჩენს ე. წ. მზეხათუნისეული (T) ხელნაწერის ტიპის ნუსხები – JKOTG'. ე. ი. ამ უკანასკნელებშიაც არ დასტურდება ის სტროფები, რომლებიც სამეფო (ABCM ), ზაზასეული (DQV ) და სხვა ტიპის ხელნაწერებისათვის არის დამახასიათებელი და უცნობია ბებურიშვილისეული ტიპის ნუსხებისათვის.

ჰაპუნა ბებურიშვილისეული და მზეხათუნისეული ტიპის ნუსხათა ჯგუფებს შორის კავშირი რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში არაეთხელ არის აღნიშნული. ალაგებდა რა „ვეფხისტყაოსნის ნუსხებს მათი ღირსების (წარმომავლობის)“ მიხედვით, ს. კაკაბაძე თავში ასახელებდა FEJK ნუსხებს<sup>3</sup>. ის წერდა: „ეხლა გადავიდეთ ხელნაწერებისა და ვახტანგისა და ქართველიშვილის გამოცემათა გარჩევაზე

---

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია ლიტერატურის ინსტიტუტის 1975 წლის სამეცნიერო თემატიკური გეგმით. აქედან მხოლოდ ერთი ნაწილი გამოქვეყნდა: „ვეფხისტყაოსნის“ კვებლიანთ ხელნაწერის (Y) ტიპის ნუსხები. აქ წარმოდგენილი გამოუქვეყნებელი ნაწილებიც პირვანდელი სახით იბეჭდება.

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფების სახელდება მასში შემავალი ერთი რომელიმე ხელნაწერის მიხედვით შემოღებულია მარიამ კარბელაშვილის მიერ.

<sup>3</sup> ვეფხისტყაოსანი, 1913, გვ. 9-19.

შინაგან(ი) შედგენილობის მხრივ. აღწერას მე ვიწუებ იმ ხელნაწერით, რომელშიც დაცულია ვეფხისტყაოსანი უ მ ვ ე ლ ე ს ი რ ე დ ა ქ ც ი ი ს სახით და შემდეგ გადავალ სსვა ხელნაწერებზე და გამოცემებზე მ ა თ ი შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი ს თ ა ნ დ ა თ ა ნ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ“ (იქვე, გვ. 9). აქვე დაბეჭდილ სქემაზე K და J ნუსხები FE-საგან მომდინარედ არის მიჩნეული (გვ. 26). ძირითადად იგივე აზრია გამეორებული 1924 წელს გამოქვეყნებულ მის გამოკვლევამიც<sup>4</sup>. 1927 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ასევე თავში და ერთად არის დასახელებული FE და KO ხელნაწერები<sup>5</sup>. მისი აზრით, EKOYWF „შეიცავს ჰომის ტექსტს შედარებით თავდაპირველი მოცულობით“ (გვ. VII).

იუსტ. აბულაძე, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებს სამ ჯგუფად ყოფდა, პირველ ჯგუფს აკუთვნებდა FJEK ნუსხებს. მისი თვალსაზრისით, ამ ტიპის ხელნაწერებს „თავის პირველ (ძირითად - ბ. დ.) ნაწილში დ ა უ ც ა ვ ს უ მ ვ ე ლ ე ს ი რ ე დ ა ქ ც ი ი ს ს ა ხ ე, ზოლო შიგადაშივ შეცვლილან რედაქტორისაგან ახალი ჩანართებისა და გაგრძელებების მიმატებით...“<sup>6</sup> ის იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ნუსხებს, იმდენად პირველად მიაჩნია ძირითად ტექსტში მისი შედგენილობა, რომ მათ ამ მხრივ ვახტანგისეულ რედაქციაზე წინაც კი აყენებს. მოვუსმინოთ ავტორს: „ვახტანგის რედაქცია თავის შედგენილობით წარმოადგენს უძველესი ვეფხისტყაოსნის სახეს, იმ განსხვავებით, რომ გადამწერელს მასში შეუტანია ზოგი-

<sup>4</sup> საისტორიო მოამბე, I, 1924, გვ. 135.

<sup>5</sup> ვეფხისტყაოსანი, 1927, გვ. V - VIII.

ს. კაკაბაძის უკანასკნელი ნაშრომის მიხედვით, „ჰომის ეველაზე ძველი ვერსიის შემცველნი არიან“ EFRJ და R' ნუსხები (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 22).

<sup>6</sup> ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. VI-VII; რუსთაველოლოგიური ნაშრომები, გვ. 145.

ერთი ისეთი ხანა, რომელიც არ მოიპოვება იმგვარ რედაქციებში, როგორიცაა FJEK და სხვა ამგვარი. ამ უკანასკნელთა ძირითადი ტექსტი ნაანდერძევია იმგვარი რედაქციებიდან, რომლებსაც ჯერ არ უნდა ჰქონოდა ნახლები ვახტანგის რედაქციის შემკეთებლის პირის ხელი და მხოლოდ შემდეგში ასალ რედაქტორს ისინი შეუვსია სხვა უფრო ვრცელი რედაქციებთან და ჩაურთავს მათში ასალი ხანები და გაგრძელებანი“<sup>7</sup>.

იუსტ. აბულაძე ფიქრობდა „რომ K ხელნაწერი უნდა წარმოადგენდეს J-ის მომდევნო რედაქციას, რომელსაც J-ის გარდა ხელთ ჰქონია ისეთი რედაქციები, როგორიცაა F“<sup>8</sup>. K ნუსხის რედაქციის ჩამოყალიბებაში E და F ტიპის ნუსხების მონაწილეობაზე ის სხვაგანაც მსჯელობს: „K ხელნაწერი ეკუთვნის იმავე დროს, როდესაც შემზადდა F ხელნაწერი; მას ხაფუშვლად უდევს იგივე რედაქცია, რომლისაგანც განვითარდა F, ხოლო ეს K-ის რედაქტორმა შეავსო E-ს საშუალებით იმ ხანებით, რომლებიც კერძოდ F-ით ვახტანგის გამოცემაში უარყოფილია. იგივე ითქმის O ხელნაწერის შესახებაც“<sup>9</sup>.

ბებურიშვილისეული და მზეხათუნისეული ტიპის ხელნაწერთა რედაქციებს შორის ორგანულ კავშირს ხედავს ს. ცაიშვილი. მას მეორე პირველიდან მომდინარედ, მის განვითარებად ესახება. მზეხათუნისეულ ხელნაწერთა რედაქციის შესახებ წერს: „ხელნაწერთა ამ რედაქციას (...) უკავშირებთ ჰომის პირველ (EFINRYZA'R'Q'Z' - ბ. დ.) რედაქციას და იგი მისი სავარაუდო პროტოგრაფის გაგრძელება-განვითარებად მიგვაჩნია“<sup>10</sup>.

FIRZ რედაქციის ხელნაწერებთან JT და KO ნუსხათა მსგავსებას აღნიშნავს მ. კარბელაშვილი. ერთგან იგი წერს

<sup>7</sup> იქვე, შესაბამისად, გვ. VII; გვ. 154.

<sup>8</sup> იქვე, გვ. XI და 139.

<sup>9</sup> იქვე, გვ. XIV და 152.

<sup>10</sup> ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, გვ. 229, აგრეთვე: გვ. 287-288, 305.

„ვეფხისტყაოსნის ნუსხებს მეტად რთული ურთიერთობა აკავშირებს. თითქმის არ მოიძებნება ორი იდენტური ხელნაწერი ერთი რედაქციის ფარგლებშიაც კი და მსგავსებასთან ერთად აშკარად იგრძნობა განსხვავებაც, რაც საკანგებო შესწავლას მოითხოვს. FIRZ ნუსხების, კერძოდ გურგენასეული ნუსხის საზიარო წაკითხვანი E, L, JT, KO, GH ხელნაწერებთან საუურადღებო მასალას იძლევიან ცალკეულ რედაქციათა ურთიერთობისათვის“<sup>11</sup>.

ამ შენედულებათა საილუსტრაციოდ ძირითადად მითითებულია ის სტროფები, რომლებიც ამ ხელნაწერებში არ დასტურდება და მოიპოვება ვრცელი შედგენილობის ნუსხებში, ისიც არასრული სახით. წაკითხვების მხრივ მსგავსება კიდევ უფრო იშვიათად არის ნაჩვენები. ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი ნაშრომი, სადაც დეტალურად იქნება გარჩეული მსგავსება-განსხვავებანი როგორც ბებური-შვილისა და მზეხათუნისეულ ხელნაწერთა რედაქციებს შორის, ისე ამ ჯგუფებს შიგნით. ეს მით უფროა საჭირო, რადგან ხელნაწერთა მსგავსება-განსხვავების მასშტაბების შეფასება, რაც ხელნაწერთა და რედაქციულ ჯგუფთა ურთიერთმიმართებასა და წარმომავლობას გულისხმობს, რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსება. კერძოდ, ვრცლად იქნეს აღრიცხული ის ყოველმხრივი კავშირი, რომლებიც ამ ხელნაწერებს შორის არსებობს, და გაირკვეს, რა სახისაა იგი<sup>12</sup>.

---

<sup>11</sup> ც. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის გურგენასეული ხელნაწერი, კრბ.: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, თბ., 1964, გვ. 314.

<sup>12</sup> აქ ხელნაწერები განხილულია საკუთრივ „ვეფხისტყაოსნის“ მონაკვეთზე, ხატაელთა ამბამდე (1780 სტროფამდე). მომდევნო თავებს ვეხებით მხოლოდ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით. ეს ხელნაწერები დანართთა მიხედვით შესწავლილი გვაქვს ჩვენს წიგნში: „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით“.

სანამ ბებურიშვილისა და მზეხათუნისეულ ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფების მსგავსებაზე ვილაპარაკებდეთ, მანამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემორე გამოკვლევაში ნაჩვენებია, საერთოდ, მზეხათუნისეულ ხელნაწერთა ჯგუფის (JKOTG') რედაქციული თავისებურებანი, მასში შემავალი ქვეჯგუფების – KOG'-ისა და JT-ის თავისებურებანი და KOG'-ის მიმართება F-სა და, საზოგადოდ, FIRZ ხელნაწერთა ჯგუფთან. მამუკა თავაქარაშვილისეული ნუსხის განხილვისას აღრიცხულია ის შემთხვევები, როდესაც გამოიყოფა და თავისებურებებს გვიჩვენებს FI, FR, IR და ა. შ. („რუსთველოლოგია“, III, IV). აქ უნდა დავუმატოთ, რომ ეს ხელნაწერები გამოირჩევა თავიანთი ინდივიდუალური რედაქციული ნიშნებით. ამ მხრივ E-ს შემდეგ განსაკუთრებით აღსანიშნავია F.

ამ ხელნაწერში რატომღაც არ მოიპოვება 195 (134)-ე, 262 (185), 273 (195), 827 (670), 1023 (846) და 1232 (1048)-ე სტროფები, რომლებიც ყველა სხვა ხელნაწერში დასტურდება. მეორე მხრივ, მხოლოდ ამ ნუსხისთვის არის ცნობილი 271'-ე სტროფი („ათანდილ უკუირბინა...“).

F-ში გადაადგილებულია 201 (138)-ე და 203 (139)-ე სტროფები. ერთგან წყობაა: 1240 (1056), 1038 (1054), 1239 (1055), 1233 (1049).

მხოლოდ F-შია მეორე და მესამე სტრიქონები გადანაცვლებული 280 (199)-ე, 290 (207), 328 (238), 329 (239), 578 (436), 626 (484), 776 (624), 964 (792) და 1079 (898)-ე სტროფებში, მესამე და მეოთხე სტრიქონები – 330 (240)-ე სტროფში. 610 (468)-ე მეორე სტრიქონად გამოყენებულია თავისებური წაკითხვა, მესამე სტრიქონად – მეორე, ხოლო მეოთხედ – მესამე სტრიქონი.

წაკითხვები:

ხელნაწერთა უმრავლესობის

წაკითხვები:

- 11 (9) დ. ჩემპან
- 24 (18) დ. მისთვის ენა
- 32 (25) ა. მიჯნური  
გ. თუნდა
- 35 (27) გ. დაგვა შორით ალვა
- 49 (37) ბ. აზომცა/რაზომცა
- 59 (44) დ. საჯდომი
- 78 (59) გ. წინა მიუსხდეს მუხლ-  
მოყრით
- 93 დ. გეყოფის
- 143 (96) ბ. მივა ტანისა მრხეველად  
გ. მიეფინების მზე ველად
- 175 ბ. სიტუდე/სიტრუე
- 183 (124) გ. სელნი
- 185 (126) დ. გეკურნების/გეკვირვების
- 196 (135) ბ. ზეციერი/სულიერი  
გ. მე რომ თქვენგან მოვისმინე  
წყალობანი/ მე სიკვდილსა  
მოველოდი აწ სიცოცხლე EI
- 214 (149) ა. საზაროდ
- 234 (163) გ. სანაპირო
- 277 ბ. ტანითა
- 297 (213) გ. უჩვენა... მიდითო ნება-  
ნებასა
- 312 (225) დ. შეჰკაზმა მოაქეს აბჯარი
- 313 (226) დ. ასმათ ისრე დაღრეჯილი  
კვლა უფრორე დაიდრიჯა  
ბ. მაჩნია მით
- 325 დ. თვარა ღერთმან
- 329 (239) ა. რად მპოვე
- 332 (241) ბ. მოგონება/მოგვარება
- 334 (243) გ. ცნა
- 336 (245) გ. მტერთაცა
- 340 (249) ბ. ლხინი/თავი
- 342 (251) ბ. მოსახმელად
- 352(256) ა. ქვაბსა დამალა
- 365 (265) ბ. ყოველგნით

F-ის წაკითხვები:

- მისმან
- ყველას მისთვის
- მელექსე
- უნდა
- ალვა შორით დაგვა
- მისივე
- სასხდომი
- წინ დაუჩოქეს მეფესა
- გითოვდეს
- მიეფინების მზე ველად
- მივა ტანისა მრხეველად
- სიმატდურე
- სკამი
- გეგონების
- ხორციელი
- სიკვდილისა მომლოდნესა
- მე სიცოცხლე
- ერთ სახე
- სახელმწიფო
- ლალი და
- ასწავლა... თითითა იქს
- ჩვენებასა
- მოაქეს აბჯარი შეჰკაზმა
- ყმა მტირალი წამოვიდა დაღ-
- რეჯილი პირსა ღრეჯდა
- ამად მიჩნია
- თუ არ მითხრა
- არ ვიცი
- გამორჩევა
- თქვა
- მიჯნურთა
- ფერი
- მოსატანად
- დამალა ქვაბს
- ვერ გპოვეს



390 (289)	ბ. ვიყავ/გვიყავ	ვთქვი
398 (297)	გ. გამისხმან	გაისმა
416 (313)	გ. მნახველნი	მჭვრეტელნი
440 (321)	ბ. დაჯდა	შექმნა
441 (324)	დ. აიესნეს ლაშქარნი	ლაშქარნი ააესნა
449 (332)	გ. ძალად ლომსა თვალად მზესა	თვალად მზესა ნაკვთად ლომსა
457 (338)	გ. წესთა ქცევა	წესისაებრ
479 (353)	დ. თმობა	ძალი
487 (359)	გ. გულისა ვითამცა ვქენ	ვითამცა დავამგზავსე
489 (360)	ბ. უზრახობასა	უმეცრობასა
496 (367)	ა. ბრძანებს	დამხედა
517 (384)	ბ. ნახვისა	ნათლისა
522(388)	ა. პატრონი	იმედნო
527 (393)	ბ. ქალი წინა	~
	დ. უფრჭვენელი	კოკობი
546 (410)	ბ. მან ბალიში დამართებით დადვა მასზედ საქებარსა	ვერ მიგია ქება მისი ვერა ქება საქებარსა
	გ. გულსა ლხინი	~
551 (415)	გ. მიჩნდეს მზეებერ	~
561 (422)	დ. მოგახსენოთ	მოგართმიდეთ
574 (433)	გ. პირი	ღაწვი
578 (436)	დ. მემცა ვარ განაკიღია // რისხვა ჩემზედა დიღია // ავი თქვი ნუ გაქვს რიღია	იგიმცა მე წამეკიღა
580 (438)	ა. მოციქულთა სიტყვა ტკბილი	სიტყვა ტკბილი მოციქულთა
581 (439)	გ. ხმალი ბასრი	~
586 (444)	გ. სამალავით გამოვიდნენ	გამოვიდნენ მოედანსა
593 (451)	ა. იგი ნახეს	რა შეხედეს
605 (463)	გ. დასტური	მართალი
610 (468)	ა. მას წინაშე შეპყრობილი	მხარშეკრული მას წინაშე
	ბ. ტკბილად ნახა ხელმწიფემან ვითა შვილი სააკვანე	პირქვე მიწა დაღებითა ხელმწიფესა ვათაყვანე
616 (474)	დ. გაეხარნეს მისელა ჩემი	ნახვა ჩემი გაეხარნეს
620 (478)	დ. კატაბანი	კლდე ბანი
625 (483)	გ. ჯამი	თასი
628 (486)	გ. საჭურჭლე	კლიტენი
631 (489)	ბ. რეტისა	შეთისა
641 (499)	გ. ცეცხლი წყლითა	და სახმილი

646 (503)	დ. აწცა	ჯერცა
648 (505)	ბ. მეცა	მეტად
653 (510)	დ. შვევეპოვე	შვევეყარე
659 (515)	გ. სასიძოდ	საძოდ
	დ. მაგისებრსა შვილმსაცა	შვილსა ჩვენ ამის მეტსა
664 (519)	ჩვენ ხელსა	ხელსამცა
670 (525)	ბ. ვითა წინას	წინას რომე
684 (539)	გ. ფიცი ჩემი	ზენაარი
686 (541)	ბ. სჯობდეს	ხამდეს
693	გ. მეომარობა	ჭანგ მახვილობა
720(572)	დ. დამალება დამალურჯა	ფერი მიკრთო დამალება
753 (601)	გ. ხმამალლა გახმაყივარდა	მართ მისგან ხმა გადიადდა
765 (613)	დ. მათკენ დარჩა სანადირო	სანადირო მათკენ დარჩა
793 (641)	ბ. სპათა	ტურფა
801 (648)	გ. მეფე ინდოთა	ინდოთ ხელმწიფე
817 (660)	ბ. ზახილით	ტირილით
830 (673)	დ. ნახვისა	შეყრისა
	ა. სპანი	ყმანი
	დ. ლხინი/ყოფა	წასვლა
831 (674)	გ. ვხედავ/ვარ თუ	ვსჭვრეტ თუ
848 (690)	დ. აღარა ნახავს სოფელსა	ჩალად უჩს ესე სოფელი
850 (692)	გ. მონა	ზანგი
859 (700)	გ. სულთა დგმად და ჭირთა თმე- ნად	მას იმედად სულთა მდგმე- ლად
874 (712)	გ. ზღვისაცა	უკლებრი
	დ. ვაი	ჯერ
879 (717)	დ. დააჩნდების	დააკლდების
881 (718)	გ. ხედვისა	კაცისა
885 (721)	გ. რბოლა	სიმრაველე
892 (726)	გ. მითხარ/რა ვქნა	გულსა
913 (747)	დ. საუბარი კაცსა	სააუგო საქმე
914 (748)	ბ. უცნობოსა გაუწყვეტლად	გაუწყვეტლად
	გ. გასატეხნე	ღვარისაებრ
916 (750)	ბ. მოსადებლად	გავსწირო
931 (764)	დ. საურავსა/საუკუნოს	დაუვსებლად
986 (811)	ბ. გზასა ვლიდე	უბრალოსა
992 (816)	დ. მასმენ	ცრემლსა ვღვრიდე
1004(827)	დ. ატირდა	მაწყენ
1007(830)	ა. გაანათლებს	მეფესა
1009(832)	გ. ღონე	დაანადვლებს
		მისთვის

1024(847)	გ. ფიცის და პირისა/კაცისა ფიცისა	პირისა ფიცისა
1031 (854)	ა. მართალი	დასტური
1035(856)	გ. ღმრთისა სწორნი/ჩემი მზრდელნი	დიდებულნი
1041(862)	ბ. სრული	მტკიცე
1053(872)	დ. შობილა	ყოფილა
1056(875)	დ. თავისისა ცნობისაგან	თვით თავისა ჭკუისაგან
1098 (917)	ბ. ყოველთა	სოფლისა
1099 (918)	ბ. გაგვიცინია	მამილხენია
1110 (929)	ბ. სწავლულისა	სახელისა
1122(940)	ბ. ყველაი სწორია	სწორია ორივე
1123 (941)	დ. სხვა	კვლა
1125(943)	ა. შესხდეს და	ცხენს შესხდეს
1174 (991)	ბ. ცნობასა	თხრობასა
1190(1007)	ბ. გარდამხმელო	გამფენელო
	გ. მოახლეთა	გვერც მხლებელთა
1192 (1009)	გ. ტურფითა	ჭვრეტითა
1193 (1010)	გ. მონანი	შვენოდეს
1199 (1015)	გ. ცეცხლი მე სხვათა მედები/ ეცხლი მწვაეს მოუთმენები	მე სხვათა ცეცხლი მედები
1219 (1035)	ბ. საქმე ზენა მომავალი	მომავალი საქმე ზენა
1230 (1046)	დ. გფარავს	გიკვეთს
1239 (1055)	ა. შესთვალა	უბრძანა
1248 (1064)	დ. რაცა ვიცი მართლად	მართლად გაადრებ რაცა
	გკადრებ	ვიცი
1265 (1081)	ა. დაითმობის	გაიძლების
1294 (1110)	ა. მასწავლელად	წინ წამიძღვეს
1316 (1131)	ბ. უცხოთა რათმე	უმგ ზავსო ვნახე
1329 (1144)	გ. ფარვით კრძალვით	ასრე ფარვით
1336 (1151)	ა. ვთქვი	კვლა
1352 (1167)	ბ. სამძღნოდ ჩვენად სით მოიღებ	სით მოიღებ ჩემთვის სამძღნოდ
1358 (1173)	დ. ვერცა ქვე ვიყავ	ქვე ვიყავ ვერცა
1363 (1178)	ა. ვარქვი	უთხარ
1371 (1186)	დ. დასაგვანსა	მზისა გვანსა
1374 (1189)	გ. მუქაფად მის მზისა	მის მზისა მუქაფად
1413 (1228)	ა. ელვათა	მზისაებრ
	ბ. ციმციმი მზისებრ	შუქი და ციმციმი
1414 (1229)	დ. დაჭირვა	შეაყრობა
1420 (1235)	ა. კვლა აღრე	აღრე ვარ

1426 (1241)	ბ. საომრად	ნიადაგ
1437 (1252)	ა. იამა	იხარა
1468 (1282)	ბ. ზღვათაცა	ქვათაცა
1521 (1333)	ბ. სიხარულითა	შვენიერთა
1522 (1334)	გ. ყივილი	ზახილი
	დ. გაიქცა	წავიდა
1558 (1366)	დ. ვერვისგან დანათვალისა	ინდაურისა წითლისა
1579 (1387)	გ. დაეაგნეთ ხმალთა	~
1593 (1400)	გ. ვაჭრულად და კარგად/მალვით	უცილოდ ვაჭრულად
1595 (1402)	ბ. თათბირობა პირობა	ძალთა დანაპირობა
1603 (1409)	ა. შუქითა ვნახენ მზისაცა	მზისაცა ვნახე შუქითა
1640 (1444)	ა. ჰკადრებს მადლსა	~
1659 (1463)	ბ. თვალითა	რეული
1666 (1470)	ბ. ნაცვლად მისისა	მისის საქმისა
1673 (1477)	დ. მოლოდნა საქმისა	~
1677 (1481)	დ. მოვბრუნდები	შევეყრები
1688 (1492)	ა. საქმესა დაფარულსა	~
1697 (1501)	ა. მდაბლად თაყვანისცა	მადლი გარდინადა
1700	ბ. ლაშქართა ქნა მათკენ სიარულისა	მოდენა ლაშქართა ერთობ სრულისა
1704 (1507)	ა. ჟამისად	ამისა
1738 (1540)	ბ. სკიპტროსან გვირგვი- ნოსანსა შვენოდა	ტახტსა და გვირგვინს შვენოდა სკიპტრა და
	გ. მისისა პირისა	შუქისა მისისა
1743 (1545)	გ. მოგ ხედების თვით მისებრ	მათებრი მოგ ხედების
1752 (1551)	ა. ჯამები იყვის ლალისა	ლალისა ჯამები იყვის
1755 (1554)	ა. ხვალისა მეფე არაბთა	მეფე არაბთა ხვალისა
1760 (1559)	დ. ფხიზელურად	მხიარულად და სხვა.

ამ ფაქტის აღნიშვნა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ F თავისი ჯგუფის ხელნაწერებიდან ერთ-ერთ სახლო ნუსხად არის მიჩნეული. მეორე: აქედან ირკვევა, რომ დღესდღეობით ცნობილი ხელნაწერებიდან არც ერთი F-იდან არ მომდინარეობს.

ინდივიდუალური თავისებურებანი უფრო ნაკლები აქვს ალექსანდრე ჯავახიშვილისეულ (I) ხელნაწერს<sup>13</sup>. ესენია:

<sup>13</sup> E, F, I და სხვა ხელნაწერთა სპეციფიკურ რედაქციულ მონაცემებზე საუბარი რამდენადმე პირობითია, რადგან გამორიცხული

ეს ნუსხა არ იცნობს 181 (122)-ე სტროფს, რომელიც გვიანდელი ხელით არშიაზეა მიწერილი. 47 (35)-ე და 48 (36)-ე სტროფებს ადგილები აქვს შენაცვლებული. 1216 (1033)-ე სტროფი მოთავსებულია 1218 (1034)-ე სტროფის შემდეგ. 372 (346)-ე სტროფში ადგილები აქვს შენაცვლებული მესამე და მეოთხე სტრიქონებს, 1378 (1193)-ე სტროფში – მეორე და მესამე სტრიქონებს. წაკითხვები:

**ხელნაწერთა უმრავლესობის წაკითხვები:**

**I-ის წაკითხვები:**

4 (3)	გ. შესხმა ხოტბისა	-
7 (6)	გ. ტურფადცა	ტურფად მას
20 (16)	დ. ხელად აქვს ხოცა	სწორად უჩანს მოკვლა
27 (21)	დ. სიძვენ	სიძვით
28 (22)	ა. გვიქვიან	გვიქიან
	დ. ბუნება	გონება
29 (23)	ა. სიტურფე	სიკეთე
33	ა. რაცა	ვინცა
	გ. დასთმოს	გასძლოს
34 (26)	დ. სოფლისა	საქმისა
35 (27)	ბ. ბნელა შორით კვდომა	კდომა შორით ბნელა
36 (28)	ა. ზმიდეს	ზემდეს
38 (29)	ა. უშმაგო	მოყვარე (უმოყვრო E)
	ბ. მას აენოს და თვითცა	მასცა აენოს თვითანც
39 (30)	ა. საყვარლისა	უყვარულის
	გ. თუ არ უყვარს რად არა	ვინცა არის გონიერი რად
	სძულს რად აყენებს	არა სძულს
	დ. ავსა კაცსა	მაგრა ავსა
41 (32)	დ. მოუბარი	მოცინარი
45 (34)	დ. დაუწყო მან ამო	ვაზირნი დაუწყო
49 (37)	ბ. აგრეცა გმართებს რაზომცა	რაზომცა ეგრეცა
		გმართებს
	დ. მტრობა	სწორობა
სტრ. 54 (40)–64 (47)	I-ის აკლია	
154(104)	გ. აწლალა	აქოღენ
161 (110)	დ. ვიცი	უწყი

არაა, ზოგიერთი ეს თავისებურება თავის დროზე იყო ამ და მოსაზღვრე ნუსხებში, რომლებიც დღეს დაზიანებულია (მაგალითად, R -ში).

164 (113)	ა. დანაყბელსა	ღია ყბელსა
178 (120)	ბ. ერთი	მარტოს
187 (128)	ღ. კილით კიდე მოლაზო ცა/იტირო და იაროცა	იარო და თუ იყოცა
190	ბ. მყავს	მჩანს
194 (133)	ღ. ასაქმარი	დანამცდარი
196 (135)	ბ. ზეციერი/ხორციელი	სულიერი
199 (137)	გ. ხელი	მათი
203 (139)	ბ. გასრულვარ	შექნილვარ
312 (225)	ა. ეცნაო	ეთქვო
336 (245)	ბ. უჯღა	უნდა
341 (250)	ა. გაუძლებლად/გაუძლომლად	გაუძებლად
371 (271)	ბ. შეყრად	მისსა
375(275)	ა. სხვამცა ეტლსა	~
378 (277)	გ. ვეცადე	ვეწადე
439 (323)	ღ. შემოსრული	შემოსილი
489( 360)	ა. ვუყვარ	მიცნობს
490 ( 361)	გ. დაიწყეს მოსლვა	~
497 (368)	გ. ქებულნი	ღებულნი
501 (371)	ბ. შადი	ასრე
513 (380)	ბ. რა (2)	არ
519 (386)	ა. მრიდეს	მჭრიდეს
526 (392)	გ. ამიფოლხვა	ამიფხუნა
530 (396)	ბ. ვის წელან გული	მე გული უფრო
545 (409)	ღ. ჭვრეტად	არ ჭვრეტად
558 (420)	ბ. სპათასა ვერ გითხრობ	სპართასა ვერ გიხმობ
615 (473)	ღ. დაშერომის	დგომისა
624(482)	ღ. მეარმებოდა	მიამებდა
641 (499)	ა. მწარედ	~
719 (571)	გ. შემიწყალე/შემიხვეწე	შემინახე
733 (583)	გ. დამხსენ	აწ
747 (595)	ბ. ჩავე	უმაღ
760 (608)	ღ. ყორანთა მათზედა ვაქნევ ხადილსა	ყოფასა მათ საღამოსა და ხადილისა
772(620)	გ. ყველანი ქებასა	~
929 (762)	ბ. დავბნელდი	დავბრუნდი
	ღ. რა ძი/ვინ ძლი	ვიძლი
991 (815)	ღ. აწ მითხარ	აწე თქვი
1027(850)	გ. მას რომე თვალთაგან	თვალთაგან მას რომე
1028 (851)	ბ. მისსა დამვედრე დებულ- სა/მისსავე დავედრებულსა	დამვედრე მისსა დობილსა

1035 (856)	გ. ღმრთისა სწორნი/დიღებ- ულნი/ჩემი მზრდელნი	მეფე ჩვენნი
1162 (979)	ბ. ვითა	რითა
1212 (1028)	ბ. გაასებულნი	გაასრულებულნი

1227 (1043)–1234 (1050)–ე, 1243 (1059)– 1258 (1074), 1267  
(1083)–1290 (1106)–ე სტროფები I-ს აკლია

1291 (1107)	ბ. წადი მოჰკალ	მიპარვით და
1298 (1114)	დ. შეუტაკა	შეუჯახა
1300 (1116)	ა. მზე და მებრძოლთა მხეცი	მხეცთა მებრძოლთა მზეა
	ბ. ქვესკნელს მიწასა	და აგრე მკვდართა
1339 (1154)	გ. კაცსა	ყმასა
1363 (1178)	ა. სადმე	რასმე
1389 (1204)	ა. საქმე	კვლა და
1392 (1207)	ა. რაზომსაცა	რამდენჯერცა
1397 (1212)	გ. ტირილით კვლა თვალთა ცრემლნი	სულთქმითა კვლა ცრემლი თვალთა
1409 (1224)	დ. ლარი ჩვენკენ გარდმოვ- ღევით	ალაფითა ავივსენით

1420 (1235)–1427 (1242)–ე, 1461 (1276)–  
1478 (1992)–ე სტროფები I-ს აკლია

1522 (1334)	ბ. ქვეითი	ტარიელ
1564 (1372)	დ. ღამე არსად	ღამეს არად
1604 (1410)	გ. ისმის/მისი	გაზდის
1633 (1437)	გ. საბოძეარსა/საჭურჭლესა	მარგალიტსა
	დ. სცევთდენ	სცვიდენ
1677 (1481)	გ. საყვარლები	მკლამაგრები
1679 (1483)	ა. აეთანდილს	ამბავი
1724 (1527)	ბ. მოგმდურდა	მოგთმინდა
1732 (1534)	დ. ნათლად	ნაცვლად
1740 (1542)	ა. ზედა აწვივნა ტახტსა	ტახტსა აწვია ზედან
1744 (1546)	გ. სიბერე	+ მჭირს
1751 (1550)	დ. პირისა მზისა მსგავსისა	ვითა მთვარისა და მზისა
1753 (1552)	გ. წყარო ღვინისა ასგან დის მსგავსი	ღვინო ასგან დის წყაროდ მოსრული
1762 (1561)	ა. მთოველად	მთხოველად და სხვა.

ეს მაგალითებიც იმის მაჩვენებელია, რომ ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული პოემის ნუსხათაგან I-დან გადაწერილი არც ერთი არ არის.

ახლა საგანგებოდ უნდა განვიხილოთ N, Y და A' ხელნაწერები.

ბ. „ვეფხისტყაოსნის“ კეზელიანთ ხელნაწერის (Y) ტიპის ნუსხები<sup>1</sup>

მხედველობაში გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ სამი ხელნაწერი: N - S 3077, Y - H 740 (კეზელიანთი) და A' - K 383 (ქუთაისური). იმის გამო, რომ ეს ნუსხები ღიდხანს იმყოფებოდა კერძო მფლობელთა ხელში და გვიან გახდა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უფრო იმის გამო, რომ ისინი ძლიერ დაზიანებულია, ადრე მათ საგანგებო ყურადღება არ ექცეოდა<sup>2</sup>. ასე, მაგალითად: მიუხედავად იმისა, რომ ადრე ამ ხელნაწერთა შესახებ პრესაში ცნობები გამოქვეყნებული იყო, Y „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისას პირველად გამოყენებულ იქნა პოემის ს. კაკაბაძისეულ 1927 წლის მეორე გამოცემაში, N და A' - 1937 წლის პირველ საიუბილეო და შემდგომ გამოცემებში. მათ რედაქციულ შესწავლას კი ყურადღება მხოლოდ უკანასკნელ წლებში ექცევა.

„ვეფხისტყაოსნის“ 1927 წლის გამოცემაზე დართულ გამოკვლევაში ს. კაკაბაძეს Y დასახელებული აქვს იმ ექვს ხელნაწერთა შორის (EKOYWF), რომლებიც, მისი აზრით,

---

<sup>1</sup> ეს ნაწილი გამოქვეყნებული იყო: „მაცნე“ (ელს), 1978, № 1, გვ. 39-55.

პოემის ხელნაწერებს აქ ემატებათ: V<sup>2</sup> - Q 279, Z' - Q 1075 და ახალციხური ფრაგმენტი - a.

<sup>2</sup> ამ ხელნაწერთა მოპოვების, აღწერილობათა და არსებული ლიტერატურის შესახებ იხ.: ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, თბ., 1970: N-ის შესახებ გვ. 33-34, Y-ის შესახებ - გვ. 57-58, A'-ის შესახებ - გვ. 73-74.

სამივე ნუსხა უთარილოა და დაახლოებით ერთ პერიოდში - XVII საუკუნის ბოლოსა თუ XVIII-ის დასაწყისში უნდა იყოს გადაწერილი (ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, გვ. 33, 57, 73).



1316 (1131) ა. გარდმოსვეს] მოჰყვანდა (-დათ R) FRZ (დაზ I).

1322 (1137) დ. გააწყალნა] გაათხელნა (-ლა F) FZ.

1325 (1140) ბ. ამოხვინჩვით] ამოკვნესით FZ.

1331 (1146) გ. მეღნისა] ნილოსის FR.

1351 (1166) ბ. კელა შესვეს და სხვა აუვესეს] აუვესეს (-ნეს Z) და კელა დალია (-ივნა Z) FZ (დაზ R).

დ. ვარდი] წამწამი FR.

1366 (1181) გ. მზისა დართა] მოცინართა FR.

1394 (1209) გ. გარდასწმენდა] აოხრებდა FIR.

1406 (1221) დ. ხელმწიფედ ქვე ზის მორჭმული] მორჭმული ქვე ზის ხელმწიფედ (-ფე Z) FRZ.

1411 (1226) ბ. ახლოსაც ვნახეთ ბარეო] შემოვადეგით გარეო EF.

გ. შემოვადეგით გარეო ახლოსაც ვნახეთ ბარეო EF

1418 (1233) დ. საკვირველია] სატურფალია FZ (დაზ R).

1419 (1234) ბ. მას] მზესა FRZ.

1424 (1239) გ. ვერვის შეუდგამს საჭვრეტლად თვალნი მართ] თვალნი (-ლი R) ვერავის შეუდგამს საჭვრეტლად FR.

1432 (1247) ბ. მცოდნენი] მოქმედნი FRZ.

1452 (1267) გ. მართალი] ყველაი FRZ.

1455 (1270) დ. ორივე] გათლილი EF.

1464 (1279) დ. მზისა შუქი მოიცადე] მოიცადე მზისა შუქი (შუქო Z) FRZ.

1471 (1285) ა. ხათუნო] მნათობო FR.

1486 (1300) დ. შემბმელთა] მებრძოლთა FLZ (დაზR).

1504 (1317) დ. უსტარი] ამბავი FR.

1505 (1318) ბ. მზეო შუქ მოიფეო] მტერთა სისხლისა მჩქეფეო FR.

გ. მტერთა სისხლისა მჩქეფეო] მზეო შუქ მოიფეო FR.

1509 (1322) გ. მოვალთ] გნახავთ (-ავ R) FLR.

1513 (1325) დ. გამყრელთა] მჭვრეტელთა FR.

1523 (1335) ა. ტარიელ] გაიქცა FRZ.

1551 (1359) გ. ნაწერი] უსტარი FR.

1578 (1386) გ. ვარგა] გეცალს FRZ; გრძელისა] შორისა FRZ.

1601 (1407) გ. მშენითა] ფერთა FZ (აკლ R).

1607 (1413) გ. ნებიერად] ლმობიერად FZ (აკლ R).

1652 (1456) დ. შორით] ბროლ FIL.

1699 (1503) ბ. ხშირ-ხშირად] მრავალი FR + მრავალი Z.

1716 (1519) გ. მჭვრეტელთა] მიჯნურთა (-სა R) FR.

1718 (1521) ა. აწ ამას გკადრებთ] ამას ვიკადრებთ FR.

დ. გრძელი ამბავი] ჩვენი (ჩვენნი Z) პატიუნი (-ჟი R, -ჯნი F) FRZ.

1729 (1531) დ. გრცხვენთან] ზნენია (F) FRZ.

1753 (1552) ა. ყოვლგნით ისმოდა ~ FIR.

გ. ღვინისა ასგან სდის მსგავსად მილისა] მილითა (-სა Z) ასგან დის კარგის (-გი R) ღვინისა FRZ.

1766 (1565) ბ. ცოლი უყვარსო გამწირა იყო ამისად მსახავად] ეტყვის თუ ჩემი (შენი E) სიცოცხლე მიჩნდის აქამდის ოცებით EF, შენი სიცოცხლე შენ იცი მიჩნდის აქამდის ოცებით R.

გ. მე დავრჩე შენი გაყრილი თავისა მოვავლახავად] რადგან მოგშორდე (-დი F) დავრჩები პატიუთა (-ჯთა F) გასაოცებით (და საოცებით E) EFR.

დ. კაცსა მოყვრისა გაწირვა ახ მოუხდების ახ ავად] შენგან მოგვეცა სიცოცხლე შენგანვე დავიხოცებით EFR.

1768 (1567) ბ. სიტყვითა გამონდობილნი] არიან მართ შეკდობილნი FR.

და სხვა.

ახლა ისეთი წაკითხვები, როდესაც F-თან და მისი რელაქციისაგან დაშორებისას KOG' სხვა ხელნაწერებსა და რელაქციებს ემთხვევა (სიმოკლისათვის გამოვყოფთ F-სა და მის მიმყოლ ნუსხებს. იგულისხმება, დანარჩენ, შესადარებელ ნუსხებთან დგას KOG'):



175 (118) გ. წარმოსული გარდმოჭრილი] გარდმოჭრილა  
გარდმოსულა (...R) FIR.

188 (129) დ. სიყვარულსა] კაეშანსა FIR.

209 (144) დ. წა მაგრა მამხედეს რაღა ვქნა თუ  
სიშორისა] მაგრამ (... რა R, წა მაგრა Z) თუ მამხედეს რაღა  
ვქნა არ ღია (დ... R) დღეთა (... R) FIRZ.

210 (145) ბ. მიკვირს ქება რად იკადრეთ ჩემი] ქება ჩემი  
რად იკადრეთ მიკვირს FIR.

211 (146) დ. გონიერი] ლმობიერი FIRZI'.

214 (149) ბ. სამი] ორი ]FIRZ.

220 (154) ა. მინდა] მმართვეს (მართვე R) FIRZ.

დ. თუ კაცი] მამაცი FIRZ.

258 (181) ბ. მკლავი სადებლად თავისად] თავი (-ის IZ)  
სადებლად მკლავისა (-ისა IR, -ითა F) FIRYZ.

264 (187) ბ. ვერა ვცნა] ვერ ვპოვე (ვპოვე R, ვპოო Z)  
FIRZ.

296 (212) გ. საქმესა] წადილსა EFIRZ.

დ. ნურას] ყოლე FIZR'.

313 (226) ბ. გ. ~ FIRZ.

323 (234) დ. ნუ ელი] ვერ მათქმევ FZ, ნუ მნუკევ IR.

332 (241) გ. თავი ჩემი ~ FIRZ.

333 (242) დ. სიტყვანი] საქმენი FIRZ.

384 (283) ა. ყმამან ავთანდილს ხელი] ხელი ავთანდილს  
ყმამან FIRZ.

621 (479) გ. დარბაზსა შევედით ~ FILRZ.

635 (493) ბ. სიტურფე] სინათლე FIYZA', სიკეთე E (აკლ R).

694 (548) დ. მიმისვა] მიმიხმო FIRZ.

711 (564) ბ. გ. ~ FIRZ.

784 (632) ბ. მოცდომილი] გაკიცხული FILRZR'.

792 (640) ა. სადგური ნავთა] ნავთა სადგომი FIRZ.

816 (659) გ. ცრემლი წაზღის წამწამთაგან] წამწამთაგან  
ცრემლი წასღის FIRZ.

826 (669) ა. ტიროდა და] მას ღამესა FIRZ (ღაზ R).

843 (685) ა. მას ავთანდილს // ავთანდილცა] თინათინსცა  
FIRZ.

გ. სინათლესა] მას ვარსკვლავთა (-ავსა IZR')  
FIRZR'.

849 (691) დ. ხელი მძლედ] ბროლისა FIZR' (აკლ R).

853 (695) ა. ნახე] მაგრა FIZI' (აკლ R).

858 (699) გ. მჭვრეტელთა] კაცისა FIZ (დაზ R).

859 (700) გ. სასურველად] საყვარლისა FIRZR'.

860 (701) დ. მისისა წყლულისა ~ FIRZ.

865 (706) დ. ბნელ/ხელ ქმნილმან] დღე კრულმან FIRZ.

875 (713) დ. კვლავ აბინდებს არ აღიდებს] აჩრდილებს და  
კვლა აბინდებს FIRZ.

876 (714) ბ. გ. ~ FIRZ.

891 (725) ბ. ლერწამო] ალვაო FR', ალვისა IZ (აკლ R).

900 (734) დ. მართ დად უფრო] უფრო დადცა (დაცა R)

FIRZ.

910 (744) ბ. გ. ~ EFIRZ.

912 (746) ა. ცრემლით] სულთქმით FGIRZ.

943 (774) დ. ამბვისა მათისა ~ FIRZR'.

949 (778) ბ. გ. ~ FIRZ.

951 (780) გ. შენი ჩემგან ვალი] ვალი შენი ჩემგან EFIZR'  
(დაზ R).

955 (784) გ. გაჭრა] მაგრა FIZR' (დაზ R).

973 (801) გ. სიცოცხლე გქონდეს // ყოფაცა მქონდეს]  
მშვიდობამცა გაქვს FIRZ.

997 (821) ბ. გ. ~ EFIRZ.

1000 (823) ა. ოდეს] ველარ EFIRZ.

1025 (848) ბ. იგიცა] ცნობაცა (ცნო... R, და ცნობა F)

EFIR.

1029 (852) დ. დაეხვდე] მნახოს FIR (აკლ Z).

1035 (856) ა. ბროლ] სად EFIR.

1043 (872) გ. აკოცა] აიჭრა FIRZ.

1057 (876) გ. მოიძულე] მოიმდურეებ FIRZ.

1072 (891) ბ. რომე] ცხენსა EFIRZ.

1080 (899) გ. გაზრდილი] საბრალო FIRZR'.

1137 (955) ა. გეტყვი (ეტყვის R)] გხედავ FI', გსახავ EIZR'.

1144 (961) დ. დააგდებ] ატირებ FIZR' (დაზ R).

1150 (967) დ. ლექსთა] ხმათა (ხმითა F) FIZ (დაზ R).

1190 (1007) ბ. ეტლთა] შუქთა FIRR'.

1207 (1023) ბ. კბილ-თეთრი ბაგე ბალახში] ბაგე ბალახში კბილ-თეთრი FIRTZ.

1213 (1029) ა. ურიცხვი (უსახო JT)] დიდძალი FIRR'.

1217 (1033) გ. მეკობრეთა] ზღვის ქურდთა FIRZ.

1218 (1034) ბ. გ. ~ FRZI'.

1219 (1035) ა. ვინცა სჭმუნავს ბ...I] ვინც ინაღვლის FRZ.

1330 (1145) ა. საკვირველი] ქება მისი FRZ, მე არ ვიცი I.

1397 (1212) ა. ნუგეშის] მართალ ხარ FIZ (დაზ R).

1576 (1384) ბ. ტურფანი მრავალი ~ FRZR'.

1578 (1385) ა. უთხრა] ფრიღონ FIRLZA'.

და სხვა.

ამ მაგალითებიდანაც ზოგი, ალბათ, შემთხვევითი ხასიათისაა, მაგრამ არა გვეგონია, ამგვარი იყოს უმრავლესობა. რომელია აქედან საერთო არქექტიპიდან მომდინარე და რომელი შემთხვევითი ან წარმომავლობის მხრივ რა ურთიერთმიმართება არსებობს KOG'-სა და FIRZ ნუსხებს შორის, — ეს შემდგომ გაღრმავებულ კვლევას მოითხოვს.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ KOG' ჯგუფი EFIRZ რედაქციის ნუსხებსა და, უპირველესად, F-თან დაშორებისას JT ნუსხებთან ერთად გამოიყოფა, ამ რედაქციათა შორის მსგავსება არ შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნეს, რომ F, K და O ერთი და იმავე პირის მიერ არის გადაწერილი. თუმცა არც ისაა გამორიცხული, ამის გამო ზოგიერთი ვარიანტი გაჩენილიყო როგორც F-ში, ისე KO-ში.

ამრიგად: 1. ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული პოემის ნუსხათაგან არც ერთი F-დან და I-დან მომდინარე არ არის.

2. N, Y და A' ხელნაწერები ერთმანეთს მიჰყვებიან, მათ შორის განსხვავება უმნიშვნელოა და ზოგიერთი საერთო თავისებურებაც ახასიათებთ. ისინი ერთი რედაქციისანი არიან, მაგრამ ცალკე რედაქციულ ჯგუფად მათი გამოყოფა მიზანშეწონილი არ არის იმის გამო, რომ, პოემის სხვა ძირითადი რედაქციული ჯგუფებისაგან განსხვავებით, ერთიანი რედაქციული ნიშნები მათ ცოტა მოეპოვებათ, მაგალითად, – გაცილებით ნაკლები, ვიდრე ცალკე აღებულ E-ს ან F-ს.

3. აქედან შედარებით ძველ რედაქციულ სახეს უნდა იცავდეს A', ვინაიდან იგი ყველაზე ნაკლებ გამოიყოფა როგორც თავისი ჯგუფიდან, ისე, საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებიდან.

4. Y-ში 1088 (907)– 1098 (917).1-ე და 1158 (973).4 – 1166 (983).1-3-ე სტროფები აღდგენილია F- ისა და მისი მიმდევარი ნუსხებისებურად.

5. A'-ში 1288 (1104)-ე, 1295 (1160) – 1352 (1167)-ე და 1449 (1264) – 1456 (1271)-ე სტროფები აღდგენილია 1810-იან წლებში და თავისებურია. ამავე ხელნაწერის დანარჩენი რესტავრირებული სტროფები, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს მიჰყვებიან, აღდგენილია სვიმონ გიორგის ძე კასრაძის მიერ 1828 წელს, უფრო, – მომდევნო უახლოეს წლებში.

5. NYA' ხელნაწერთა ჯგუფი არ განეკუთვნება ბებურიშვილისეული ხელნაწერის ტიპის რედაქციას ან ცალკე აღებულ რომელიმე სხვა ძირითად რედაქციას. ის მიჰყვება ბებურიშვილისა და მზეხათუნისეული ტიპის რედაქციებს, როდესაც ეს უკანასკნელი ერთად არიან და ბევრ შემთხვევაში მათთან არის აგრეთვე სხვა ნუსხებიც.

6. KOG'-ს ნიშანდობლივი მსგავსება აქვს EFIRZ ხელნაწერთა რედაქციასთან, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავებანიც მოეპოვება. როდესაც გამოიყოფა და თავისებურებას გვიჩვენებს

**EFIRZ** რედაქცია, **KOG'** უმეტესწილად მიჰყვება სხვა რედაქციის, მათ შორის, **ABC** და მათ მიმდევარ ნუსხებს.

7. იგივე ვითარება არის, როდესაც **KOG'** და **JT** ერთად არიან და **EFIRZ** რედაქციის ნუსხებს ემთხვევიან. ორივე შემთხვევაშია გამოსარკვევი, საიდან მოდის და როგორ წარმოიშვა ამ რედაქციათა მსგავსება-განსხვავებანი.

## უვიცობა, კლაგიატობა და განუკითხაობა რუსთველოლოგიაში ბრკელდება შესავალი

2008 წელს გამოვეცი წიგნი „უვიცობის, კლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ (330 გვ.), სადაც უამრავი ფაქტი მაქვს აღნუსხული, თუ ჩვენი ანტიეროვნული მთავრობის მოთხოვნითა და წახალისებით როგორ ხდება ამ უმნიშვნელოვანესი ეროვნულ-სამეცნიერო დარგის მიზანმიმართული დაკნინება-განადგურება და ამით როგორ ითხოვენ ხელს ცალკეული ვაიმეცნიერები. ეს თავი იმ წიგნის გაგრძელებაა. თუ იქ ასახულია, ლიტერატურის ინსტიტუტში საამისოდ 2006 წელს როგორ ჩატარდა ე. წ. სამეცნიერო რეფორმა, აქ შევეცდები ვაჩვენო, ამ მხრივ რა გაკეთდა ამავე ინსტიტუტში მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

მკითხველს შევახსენებ: 2006 წლის ოქტომბერში ამ რეფორმასთან დაკავშირებით ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა უკვე შემცირებული ადგილების დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის დროს ინსტიტუტის „ძალოსნებმა“ – დირექტორმა ირმა რატიაშვილმა, რუსთველოლოგიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა რევაზ სირაძემ, ივანე ჯავახიშვილის (სახელობის) უნივერსიტეტიდან თავისი თანამშრომლებით მოვლენილმა ელგუჯა ხინთიბიძემ – სხვადასხვა მაქინაციებით ინსტიტუტიდან გამაძევეს. თუ რატომ და როგორ, აღწერილია ჩემს დასახელებულ წიგნში. აქ მხოლოდ ერთს ვიტყვი: მიზეზის თავი და თავი ის გახლდათ, რომ ბატონი ელგუჯას ძმამ, ჩემმა ყოფილმა მეგობარმა აკაკი ხინთიბიძემ, მოინდომა XVII საუკუნის პოეტ და საეკლესიო მოღვაწე იაკობ შემოქმედელზე შექმნილი ჩემი ნაშრომის დიდი ნაწილისა და უმთავრესი დებულების მითვისება. ვერ მივეცი. მანამდე ორივე ძმა მტკიცედ

გავაფრთხილე და კიდევაც ვემუდარე, გონს მოსულიყვნენ, ნაშრომს ვერ წამართმევდნენ და შერცხვენა არ ასცდებოდათ. გაფრთხილებამ და ხვეწნამ რომ ვერ გაჭრა, ამაზე 1998 წელს გაზეთ „კალმასობაში“ ორი წერილი გამოვაქვეყნე, 2000 წელს სრული სახით – ბროშურა „ერთი პლაგიატობის კვალდაკვალ“ (64 გვ.). ბატონმა ელგუჯამ მაშინ იმით დამსაჯა, რომ უმაღლვე სალაში შემიწყვიტა, კონკურსის დროს კი მაგრად მიყელა. ვინც ივანე ჯავახიშვილის (სახელობის) უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობაში ჩახედულია, კარგად მოეხსენება, ეხინთიბიძე მთავრობისაგან მინიჭებული რა ძალისა და გავლენის მქონე პიროვნებაა. ლიტერატურულ-მეცნიერულ სარბიელზე იმდენი თანამდებობა უჭირავს, გიორგი ლეონიძის „ნატურის ხის“ პერსონაჟ ციციკორეზე ნათქვამს თუ გამოვიყენებთ, მასზეც თავისუფლად შეიძლება ითქვას: ფულიღა გვაკლია მის სახელზე მოჭრილი. იმის გამო, რომ ი. რატიანსა და რ. სირაძეს აკადემიკოსობა ეწადათ, აქეთკენ დაუოკებლად ისწრაფოდნენ, ამ საქმეში კი ეხინთიბიძე დიდზე დიდად გამოსადეგი კაცი იყო და არის, უმისოდ ამ საქმეში წარმატება გამორიცხულია, ორივემ სულმდაბლობა გამოიჩინა, ერთმა და მეორემაც ეხინთიბიძეს ასიამოვნეს და სამსახური დამაკარგვინეს.

მკითხველს რომ წარმოგენა ჰქონდეს, ხინთიბიძეები ჩემს რა ნაშრომს ეპოტინებოდნენ, დღეს მისი გაცნობა ყველას შეუძლია, – 2009 წელს წიგნად გამოვეცი, ჰქვია „იაკობ შემოქმედელი“ და 575 გვერდს შეიცავს (თანაც მასში ამ მწერლის შესახებ ყველა გამოკვლევა არ შემიტანია).

---

<sup>1</sup> ამავე წიგნს დაეურთე ხელნაწერის უფლებით გამოსული დასახელებული ბროშურა „ერთი პლაგიატობის კვალდაკვალ“. მინდა, მკითხველმა იცოდეს, თავიდან ამას არ ვაპირებდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ძმებმა ხინთიბიძეებმა ულუკმაპუროდ დამტოვეს, რატომ უნდა მოვრიდებოდი და მათი სამარცხვინო საქმე დამეფარა და მიმეჩქაღა!

ვინც უნდა გამამტყუნოს, აქ ერთ ამბავს მოვეყვები:

2009 წელს, ზაფხულში, „იაკობ შემოქმედელის“ რამდენიმე ცალი გურიამი, ჩემს სოფელში, ჩავიტანე და მეგობრებსა და ახლობლებს ვაჩუქე.

ციალა დარჩიამ მკითხა, როგორ შეხვდა ამ წიგნს აკაკი ხინთიბიძე? ვუთხარი: სამწუხაროდ, ვერ მოესწრო, ბატონი აკაკი შარშან, აპრილის ბოლოს, გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა ძალიან გული დამწყვიტა, თუნდაც იმიტომ, რომ თავმოყრილად ენახა, რა ნამუშევარს მეცილებოდა-მეთქი. მერე მკითხა: გასვენებაში თუ იყავი? გავიკვირე: ვისთან ან რისთვის უნდა მივსულიყავი, მათ ხომ სასიკვდილოდ გამწირეს-მეთქი. ციალამ თანაგრძნობით გამიღიმა და მისთვის ჩვეული იუმორით „ამიხსნა“: უნდა მისულიყავი და, რაც ეკადრებოდა, ისე დაგეტირებია, როგორც ეს გოგია ქათამიძემ მეზობლის დაკრძალვისას ქნაო.

ჩემსა და ახლომახლო სოფლებში გიორგი ქათამიძის ამბები ყველამ იცის. ის მეზობელ სოფელში, ბაილეთში, ცხოვრობდა. ჩემი სოფლიდან მეორე ცოლი ჰყავდა და აქ ხშირად დადიოდა. გიორგი განთქმული მეზუხრე იყო, მუშტარი მუდამ ჰყავდა, ფულიც ბლომად ჰქონდა და დარდიმანდულ ცხოვრებას ეწეოდა. ხალხში ყოველთვის გამოწვეპილი დადიოდა. იცვამდა გალიფე შარვალს, გაპრიალებულ „აზიაცკებსა“ და კიტელს. ზაფხულს გარდა, თავზე ბოხონი ეხურა და ყელზე თეთრი ყაბალახი ჰქონდა გადაგდებული. ერთხელ, თურმე, სოფელში წასასვლელად გიორგიმ ოზურგეთში ორი ტაქსი დაიქირავა. ერთში ბოხონი ჩადო, მეორეში თვითონ ჩაჯდა და ისე იმგზავრა (გამიგონია, ამას ეტლით მგზავრობისას თავადები აკეთებდნენ).

გიორგი დიდი პურმარილიანი და მოქეიფე კაცი იყო. ახალგამოსული მსუბუქი მანქანა „მოსკვირი“ ჩვენს სოფლებში პირველმა მან შემოიყვანა. მახსოვს, ჩემი სოფლის ცენტრში მანქანასთან დგას და შექეიფიანებული ხმამაღლა ქადაგებს. მერე მანქანას ზემოდან მუშტი დაარტყა და ძლევამოსილად დაიძახა: გოგოე ვარ ქათამიძე, ამ მანქანას ახლა დავაბტერე და ახალს ვიყიდო.

აი, ამ გიორგიმ გარდაცვლილი მეზობელი, თავისი სახლიდან მესამე თუ მეოთხე მოსახლე, სასაფლაოზე ასე „დაიტირა“: ... *პურმარილი არ გიყვარდაო, ამას შენზე ვერავინ იტყვის, გიყვარდა და ძალიანაც გიყვარდა, მაგრამ ... არა შენსას, არამედ სხვისას. ქონებით ვერ ძლებოდი, ოზურგეთი რომ მოეცათ, ქობულეთს მოითხოვდი. ქობულეთი რომ მოეცათ, ბათუმს მოინდობებდი. პოდა, ახლა იწეკი აქ, ამ ორ მეტრ მიწაშიო და მიწას ფეხი დაჰკრა.*

გინდ, დამიჯერეთ, გინდა, არა, ეს შავი იუმორი არ მომეწონა, გულიც მეტკინა. გამახსენდა (თუმცა გასახსენებელი რა მქონდა, ყოველთვის თვალწინ მიდგას) ჩვენი ერთად ყოფნის, მეგობრობისა და სიყვარულის ამსახველი უამრავი შემთხვევა. მაგრამ, თუ მაინც ამას ვწერ, იმიტომ, რომ, ტარიელ ჭანტურიას ლექსით ვიტყვი:



2006 წელს დასახელებულმა სამეულმა თავიანთი ბინძური ზრახვის შესასრულებლად გამოიყენა ნესტან ს უ ლ ა ვ ა, რომელიც ადრე რუსთველოლოგიის განყოფილებაში მუშაობდა, 1999 წლიდან 2006 წლის ზაფხულამდე, ბედის ირონიით, სამეცნიერო დარგში ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო. ხსენებულ ჩემს წიგნში გამოცემის რიგის მიხედვით განვიხილე ქალბატონი ნესტანის ყ ვ ე ლ ა რუსთველოლოგიური და სანიმუშოდ თითო-ოროლა არარუსთველოლოგიური ნაშრომი, რომლებიც მას 2006 წლამდე გამოუქვეყნებია, და ვაჩვენე, რა უვიცი, პლაგიატორი და, საერთოდ, რა უბადრუკი მოაზროვნეა იგი მეცნიერებაში.

ამავე წიგნში ვაჩვენეთ აგრეთვე, რ. სირაძე რა შორს დგას რუსთველოლოგიისაგან და განყოფილებაში როგორ დაამყაყა და ჩაკლა ეს დარგი. სამწუხაროდ, მომდევნო წლებშიაც ორივესთან იგივე მეორდება.

... და ინსტიტუტში ყველაფერი ეს ხდება დირექტორის, ირმა რ ა ტ ი ა ნ ი ს, ძალისხმევით. ვიდრე რუსთველოლოგიის საკითხებზე გადავიდოდე, მანამდე რამდენიმე ნიშანდობლივ და მეტყველ სინამდვილეს ვაჩვენებ, – რა ვითარება სუფევს ლიტერატურის ინსტიტუტში. ეს, თითქოს, ერთი შეხედვით, პირდაპირ რუსთველოლოგიას არ ეხება, მაგრამ უამისოდ მკითხველს ხსენებულ მოვლენებში გარკვევა გაუჭირდება.

---

„გილალატეს, გაგწირეს  
სწორედ ძმებმა – ღვიძლებმა!  
ბოროტის წილ სიკეთე?  
– ესეც არ შეიძლება!“

ლიტერატურის ინსტიტუტი და არაქჩევეშჩინა?!<sup>1</sup>

უკვე სამ წელზე მეტია, ქალბატონი ირმა რ ა ტ ი ა ნ ი შოთა რუსთაველის (სახელობის) ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს განაგებს. ამ ეროვნული სამეცნიერო დაწესებულების დირექტორად მოვლენისას მან ერთ-ერთი პირველი „მნიშვნელოვანი“ ღონისძიება ის გაატარა, რომ გააუქმა 1997 წლიდან გამომავალი ინსტიტუტის სამეცნიერო-სალიტერატურო გაზეთი „კალმასობა“. მას შემდეგ ეს გაზეთი სულს დაფავს, მიუსაფარი, ღირსება და ძალადაკარგული, საცოდავი სანახავია. 2008 წელს გამოსულა ერთადერთი, როგორც მას აწერია, 106-ე ნომერი. 2009 წელს, აპრილში – მორიგი ნომერი და, რამდენადაც ვიცი, შემდეგ აღარ დაბეჭდილა.

დიდად გული მეტკინა, რომ ეს ბოლოს გამოსული ერთ დროს ამაყი და დაშვებულნი გაზეთი შეცდომებითაა გატენილი და რედაქციულად და პოლიგრაფიულად ყოველად დაუდევრად გამოცემული. მაგალითად: 2008 წლის გაზეთს, როგორც აღვნიშნეთ, საერთო ნომრად აწერია „106“, იგივე ციფრია გამეორებული მომდევნო, 2009 წელს, გამოსულშიც. ამავე ნომერში მე-16 გვერდზე დაბეჭდილია ვახუშტი კოტეტი-

---

<sup>1</sup> ეს სტატია დაიწერა 2009 წლის ივნისში. ოქტომბრისა და მომდევნო ამბები შემდეგ დაუმატე. „მწერლის გაზეთის“ რედაქტორის, სოსო სიგუას, დაპირება იყო, იგი მალე უნდა გამოქვეყნებინა, გამოაქვეყნა კი თითქმის ერთი წლის შემდეგ, 2010 წლის მარტის ბოლოს, და, რამაც აღმაშფოთა, ჩემი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, დაბეჭდა ჩემგან დაუკითხავად უსაშველოდ შემოკლებული, გულ-ღვიძლ ამოგლეჯილი და შინაარსობრივად დამახინჯებული სახით (№ 4, გვ. 12).

ემზარ კვიციანიშვილმა მითხრა, ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის მქონე მწერალზე გიორგი ლეონიძეს უთქვამს: რომ გელაპარაკება, კუდიო დარუბანდს ხნავსო. ეს პატარა ნიჭი არ არის!

ბატონ სოსოს ღმერთმა ხელი მოუპართოს, სადაც ხნავს და თესავს, იქიდან ღიდი მოსაყალი აედოს, მაგრამ ჩემს ნაშრომს რომ ასე ამახინჯებს და აუკუღმართებს, ამაზე ღიდი გულისწყრომა უნდა გამოვთქვა!

შვილისა და მისი მეუღლის მზეო გოგოჭურის სურათი, სადაც ქალბატონი მზეო ჭინჭარაულის გვართ არის მოხსენიებული. აქვე ყველა წერილში რუსული ციტატები სათანადო შრიფტით არ არის გამართული და არც ერთი არ იკითხება. გაზეთი დაბეჭდილია ცუდ ქალაქზე და იმდენად მკრთალად, წაკითხვა ჭირს...

მაგრამ ამჯერად სხვა რამ გვიინტერესებს. გაზეთში აშკარად იგრძნობა მსახვრალი ხელი ე. წ. არაქვეევშინის რეჟიმისა, რომელიც ინსტიტუტში ქალბატონმა ირმამ დაამყარა.

ვიდრე გაზეთზე მოგახსენებდეთ, მანამდე უნდა ვთქვა: ამ ქალბატონს ინსტიტუტის თანამშრომლები იმდენად დაშინებული ჰყავს, ისინი ისე დაჰკანკალებენ 150 თუ 170-ლარიან ხელფასს, ინსტიტუტისა და მეტადრე მისი დირექტორის მიმართ ნებისმიერ კრიტიკულ დამოკიდებულებაზე თვალს ხუჭავენ, – არა, არაფერი ვიცითო. პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული და ვერ ავიხსენებდავს გამჟღავნებას, რომ წაიკითხეს ქალბატონ ირმას ვაიმეცნიერულ წიგნზე დაბეჭდილი რევაზ მიშველაძის („მწერლის გაზეთი“, 2008, № 18; „ასავალ-დასავალი“, 2009, № 1), მურმან თავდიშვილისა („მწერლის გაზეთი“, 2009, № 2) და სოსო სიგუას („მწერლის გაზეთი“, 2009, № 14) გახმაურებული მძაფრი კრიტიკული წერილები. ასევე დუმილითა და „თვალხუჭვით“ შეხედნენ ჩემს წერილს – „ინსტიტუტის დირექტორი – შაიკის ატამანი“ („მწერლის გაზეთი“, 2008, № 4), ხოლო 2008 წელს გამოსული ჩემი წიგნი „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“, რომელიც გვიჩვენებს, თუ ი. რატიანმა ლიტერატურის ინსტიტუტში 2006 წელს რა ველური სამეცნიერო „რეფორმა“ ჩაატარა, ინსტიტუტში სამუშაოდ დატოვებულ 10 თანამშრომელს გაუუგზავნე, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთადერთმა ტელეფონით მაცნობა, მივიღეო, და მადლობა გადამიხადა. თუ შიგ რა წერია, ამაზე, რასაკვირველია, არაფერი უთქვამს. მეორე თანამშრომელმა, თუმცა მორიდებულად, წიგნის მიღებაზე უარი თქვა! ალბათ, ზედ-

მეტია იმის აღნიშვნა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ თავად ი. რატიანი და ამ პუბლიკაციებში გამოყვანილი მისი ამფსონები გატრუნული არიან და თავი ისე უჭირავთ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. 2009 წელსაც ინსტიტუტში ჩატარდა მორიგი „დისკუსია“ წინა წლის სამეცნიერო-ლიტერატურული ნაშრომების შესახებ. რუსთველოლოგიაში ცალკე მომხსენებელი გახლდათ (თამარ ხვედელიანი), მაგრამ, განხილვა კი არა, არც მომხსენებელსა და არც სხვა ვინმეს ჩემი რუსთველოლოგიური წიგნი არც უხსენებია. ან ვინ გაბედავდა!

...და ეს ხდება მაშინ, როდესაც სხვები, ვინც ი. რატიანის უღლქვეშ არ იმყოფებიან, ამ პუბლიკაციების შესახებ თავიანთ შეხედულებებს დიდი ინტერესითა და აღტაცებით მიმჟღავნებენ.

2009 წელს „ლიტერატურულ ძიებანში“ მოკლე ანოტაციებითა და ყდის სურათებით წარმოდგენილია 2008-2009 წლებში ლიტერატურის შესახებ გამოსული წიგნების სია (№ XXX, გვ. 303-310). აქ არ წერია, ვინაა ავტორი. რა თქმა უნდა, ამ სიაში ვერ მოხვდა ვერც ერთი ჩემი წიგნი: „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ და „იაკობ შემოქმედელი“.

თუ ირმა რატიანს როგორ ჰყავს თანამშრომლები დაშინებული, კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: 2006 წელს ინსტიტუტში ჩატარებული კონკურსის დროს რუსთველოლოგიური კვლევიითი ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის ადგილის დასაკავებლად კონკურენტი რომ ვეღარ მიპოვა, ქალბატონმა ირმამ გაუგონარი თავხედობა ჩაიდინა – ეს საშტატო ერთეული გააუქმა! ამ საღიზმის გამო რამდენიმე თანამშრომელი ჩემთან პირისპირ საუბრისას გაკვირვებისა და უკმაყოფილების ნიშნად თავს გადააქნევ-გადმოაქნევდა, მაგრამ ხმამაღლა სიტყვის ამოღებას ვერვინ ბედავდა. მხოლოდ ერთადერთმა ემზარ კვიტაიშვილმა გამოთქვა სინანული, რომ „ბორის დარჩია, საუკეთესო მეცნიერი, ამაგდარი რუსთველოლოგი (...), ეს უპატიოსნესი კაცი რუსთველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში აღარ მუშაობს“. მაგრამ

იცით, ამას რა სიტყვები ჩაურთო? თურმე, ეს „კონკრეტულად არავისი ბრალი არაა“ და „სამწუხარო გაუგებრობად ვთვლი“-ო (ყურ. „ჩვენი მწერლობა“, 15 აგვისტო, 2008, № 17, გვ. 30). განა ჩემმა საყვარელმა ემზარმა, რომელსაც აღნიშნული ქებისა და მხარდაჭერისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ, არ იცის, რა მოხდა? რომელი სტიქიური უბედურების, – წყალდიდობის, დიდთოვლობის, მიწისძვრისა თუ ვულკანის ამოფრქვევის მსხვერპლი გავხდი?! იცის, იცის, კარგად იცნობს რევაზ სირაძეს, ელგუჯა ხინთიბიძეს, ირმა რატიანს. მის თვალწინ დატრიალდა ის თავგასულობა, მაგრამ მაინც ასე წერს!

□

დავუბრუნდეთ „კალმასობას“. მოირგო თუ არა ი. რატიანმა ლიტერატურის ინსტიტუტის ღირეპტორის სავარძელი, სულ მალე ამ გაზეთში თავისი სურათით მთელი გვერდი დაეთმო ფილოსოფოსისა და მწერლის ჯანსუღ კორძაიას ძველ, ადრე გამოქვეყნებულ, ლექსებს (2007, № 2, გვ. 6), ხოლო 2009 წლის ნომერში ბატონი ჯანსუღის დაბადების 75 წლისთავის<sup>1</sup> აღსანიშნავად დაიბეჭდა ქეთევან შენგელიას საიუბილეო სტატია „«... ეს ფიჭვი ჩემი ყოფნის წესია» (ჯანსუღ კორძაიას პოეზია)“ (გვ. 6).

იქვე მომდევნო გვერდი ეთმობა ლიტერატურის ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის, აწ გარდაცვლილი შალვა რატიანის, დაბადების 75-ე წლისთავს.

რა ხდება?

ის ხდება, რომ ბატონი ჯანსუღ კორძაია ქალბატონი ირმა რატიანის მ ა მ ა მ თ ი ლ ი ა, შალვა რატიანი კი მ ა მ ა.

---

<sup>1</sup> სამწუხაროდ, 2010 წლის თებერვლის დასაწყისში ბატონი ჯანსუღი გარდაიცვალა. ღმერთმა აცხონოს! ნეკროლოგი, რომელსაც საქართველოს მწერალთა კავშირი აწერს ხელს, დაიბეჭდა „მწერლის გაზეთში“ (I მარტი-15 მარტი, 2010, № 3, გვ. 16).

ლიტერატურის ინსტიტუტმა, ანუ ირმა რატიანმა, ამავე ინსტიტუტში ბატონი შალვას ხსოვნის დღე დიდი ზარზვიმით ჩაატარა. თავის კრებულში „ლიტერატურული ძიებანი“ (თბ., 2008, № XXIX) გამოაქვეყნა გივი ლომიძის, რამდენადაც შექმნილი პირობები ამის საშუალებას იძლეოდა, კარგი, ნორმალური წერილი „ნიჭიერი მკვლევარი“ (გვ. 316-318). მანვე (ინსტიტუტმა, ი. რატიანმა) იმავე „ლიტერატურულ ძიებანში“ შეიტანა თავად შალვა რატიანის პატარა სტატია „საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან, აკაკი წერეთლის უცნობი წერილის გამო“ (გვ. 90-93). მას დაურთო რედაქციის ცნობა: „შალვა რატიანის ეს სტატია 1960 წელს დაიბეჭდა «ლიტერატურულ გაზეთში», ხოლო კვლევის შედეგები გამოქვეყნებულ იქნა აკაკი წერეთლის თხზულებათა მე-14 ტომში“.

აი, ეს სტატია მოთავსებულია „კალმასობის“ აღნიშნულ ნომერშიაც, მაგრამ კურიოზული სახით: წინ უძღვის პატარა ხელმოუწერელი საიუბილეო წერილი – „შალვა რატიანი“ და ბატონი შალვას ის პორტრეტი, რომელიც „ლიტერატურულ ძიებანშია“ დაბეჭდილი. თუ „ლიტერატურული ძიებანის“ მინაწერი გვაუწყებს, რომ იუბილარის ეს სტატია 1960 წელსაა (№ 50. - ბ. დ.) გამოქვეყნებული და მისი შედეგები კი გამოქვეყნებულია აკაკის ამა და ამ ტომში, „კალმასობაში“ იგი უცნობად აა მოხსენიებული. გაზეთში ვკითხულობთ: „სტატია სათაურით «საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან, აკაკი წერეთლის ერთი უცნობი წერილის გამო» ბატონმა შალვა რატიანმა თითქმის 50 წლის წინათ დაწერა და ახლახან იქნა მოკვლეული მუცნი იერი სპირა და არქივიზში“. მე არ ვიცი, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები. ის კინათელია, მის დამწერს მშვენივრად მოეხსენება, რომ ფასეულია მეცნიერის უცნობი ნაშრომის გამომზეურება და არა მეცნიერებაში საყოველთაოდ ცნობილი რიგითი წერილის გამეორება. მან ვერ წარმოიდგინა, თუ ის არქივიდან ამოღებული უცნობი, დაუბეჭდავი არ იყო! აქედან აშკარად ჩანს, ბატონი შალვას ეს სტატია არ

წ ა უ კ ი თ ხ ა ვ ს არა მართო დამოწმებული სიტყვების ავტორს, არამედ არც გაზეთის რედაქტორს, არც მის ორ მოადგილეს და არც მის 13-სულიანი სარედაქციო საბჭოს რომელიმე წევრს.

ამის შემდეგ მკითხველმა განსაზღვროს, რამდენად გულწრფელი და სანდოა იმავე ავტორის შეფასება: „როგორც არაერთი სხვა სამეცნიერო გამოკვლევა ნაადრევად გარდაცვლილი ლიტერატურათმცოდნისა, აღნიშნული სტატიაც გამოირჩევა ჰ რ ო ბ ლ ე მ უ რ ო ბ ი თ ა და წერის და ხ ვ ე წ ი ლ ი მანერით (...). წარმოდგენილი სტატია ავტორის მ ა ღ ა ლ ი ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ჰ ო ტ ე ნ ც ი ა ლ ი ს, ფართო ა კ ა დ ე მ ი უ რ ი დ ი ა ჰ ა ზ ო ნ ი ს ა და კვლევის ჩამოყალიბებული კ უ ლ ტ უ რ ი ს ნათელი დადასტურება“.

თუმცა ქალბატონმა ირმამ გაზეთი „კალმასობა“ დახურა, მაგრამ მთავარი რედაქტორი და მისი მოადგილეები ინსტიტუტში დატოვა. რა ქნას ახლა ამ ხალხმა?! თითოეული თანამშრომელი კარგად ხედავს და გრძნობს, სიმართლეზე თვალის დახუჭვა და გაჩუმება კია აუცილებელი, მაგრამ საკმარისი როდია და ყველა შემთხვევა უნდა გამოიყენოს, რომ უფროსს გუნდრუკი უკმიოს. „ლიტერატურული ძიებანი“ ხომ დირექტორის ხელში არის და არის.

კიდევ უფრო საინტერესოა შემდეგი: იმავე იუბილესთან დაკავშირებით 2009 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის სახელით ცალკე წიგნად ქვეყნდება ბატონი შალვას ვ ი თ ო მ ც უცნობი ნაშრომი - „ფილადელფოს კიკნაძე, კუბლიცისტური ნარკვევი“, რომელსაც ერთვის ბატონი შალვას იგივე სურათი და გივი ლომიძის აღნიშნული საიუბილეო წერილი. წიგნის რედაქტორია ინსტიტუტში თანამშრომლად დატოვებული ნონა კუპრეიშვილი. ანოტაციაში, რომელიც, ჩანს, რედაქტორს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „წინამდებარე მონოგრაფიული ნარკვევი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და იდეოლოგის, ბერმონაზონ ფილადელფოს კიკნაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერულად შესწავლის ჰირველი მცდელობაა. ნარკვევი გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწე-

რა და იგი დღემდე არსად გამოქვეყნებულა“. ბოლოს: „მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია შალვა რატიანის მონოგრაფიული ნარკვევი – «ფილადელფოს კინამე» ჩაერთოს სამეცნიერობურუნვაში და მისი შედეგები მომავალმა შვედურებმა გაითვალისწინონ შემდეგომ შემთავობისას“.

ზემორე აღნიშნული „ლიტერატურული ძიებანის“ 2009 წლის 30-ე ნომერში მოთავსებული „ახალი წიგნების“ ანოტაციაში ვკითხვლობთ: „ნარკვევი გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწერა, თუმცა მისი გამოქვეყნებამ კვლევარს არ დასცალდა“ (გვ. 304).

ნეტავი მაცოდინა, ბატონი შალვას არქივზე, ქალბატონონას გარდა, ინსტიტუტში დარჩენილებიდან კიდევ რამდენი თანამშრომელი მუშაობდა? – ვაითუ არც ერთი და ის რედაქტორს ქალბატონმა ირმამ მიაწოდა? თუ ეს უკანასკნელია, მთლად მოგვეჭრა თავი, – ბატონი შალვას ეს ნაშრომი უცნობი და საარქივო არ არის, იგი გამოქვეყნებულა, დაბეჭდილია 1975 წელს გამოსულ ინსტიტუტის ნაშრომთა კრებულში, „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხების“ მეექვსე წიგნში (გვ. 29-59). არადა, ყველა მხრიდან ჩანს, ქალბატონი ირმას მიწოდებულია. სხვას რომ თავი დავანებოთ, რედაქტორი მის, ანუ შვილისა და ინსტიტუტის დირექტორის, დაუკითხავად ამას ვერ იზამდა!

ღიახ, ძვირფასო მკითხველო, სიმართლეს თვალი გაკუსწოროთ: ირმა რატიანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში იმდენად უვიცია, თავისი მამის ნაშრომის ავან-ჩავანიც არ იცის !!!

გმადლობთ, ჩვენო მშობლიურო მთავრობავ, რომ ლიტერატურის ინსტიტუტს, მსოფლიოში ამ დარგის ერთადერთ ქართულ ეროვნულ სამეცნიერო დაწესებულებას, ასეთი ხელმძღვანელი გამოუნახე!



ახლა ბევრს არ ვიტყვით იმაზე, თუ რამდენად დიდი ფილოსოფოს-მეცნიერი და პოეტია ბატონი ჯანსუღ კორძია. ასევე, ბატონი შალვას ხსენებული სტატიები რა დიდ აღმორჩენას შეიცავენ ან კიდევ, საზოგადოდ, ამ ავტორმა რა კვალი დატოვა ლიტერატურათმცოდნეობაში. თუმცა ზოგი რამ მაინც უნდა აღინიშნოს.

ადამიანები ვართ და ერთისა და მეორისთვისაც ყოველი თბილი სიტყვა ალალი და უსაყვედურო იყოს! მაგრამ როგორ? – ქალბატონი ირმა რატიანი იმაზე არ ფიქრობს, რომ ე. წ. სამეცნიერო რეფორმის დროს ლიტერატურის ინსტიტუტიდან რამდენი ღირსეული მკვლევარი გააგლო და რამდენი „თავისიანი“ უღირსი დატოვა ან მოიყვანა! (ზემოთ უკვე ვთქვით, ამ საკითხს ეხება ჩემი წიგნი „უვიცობის, ქლავიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“).

როდესაც შენიანს ბუქავ, კეთილი უნდა ინებო, ცოტაოდენ მაინც უნდა დააფასო მასზე ბევრად დიდი მოღვაწენი და, თუ ღირსეულად არა, პათოლოგიური სიძულვილით არ მოეპყრო!

ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე უნდა ვთქვა, იქნებ, მეცნიერების წინაშე დამსახურებით ამ იუბილარებიდან რომელიმე ან ორივე ერთად გვერდში დამიდგეს!

ზღაპარია, რომ ბატონი ჯანსუღი დიდი ან გამორჩეული ფილოსოფოსი იყო. თუ მის ნაშრომებს გავეცნობით, ვნახავთ, იგი (ილია ჭავჭავაძის მიერ სხვის მიმართ ნათქვამს თუ გავიმეორებთ) „მარქსის თუთიყუში“, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ჩვეულებრივი გადამმღერებელი გახლდათ. რა ვქნა, ჩამოვთვალო მისი სტატიები და წიგნები ან ის წიგნები, რომლის რედაქტორიც ბრძანდება?! ქეთევან შენგელისა შეფასება, რომ მას „დიდი წვლილი აქვს შეტანილი კულტურის ფილოსოფიაში“ და „ეკუთვნის მარქსიზმის იმ ნაწილის კრიტიკა, რომელსაც «ისტორიული მატერიალიზმი» ჰქვია“, ეხება 2003 წელს გამოსულ ბატონ ჯანსუღის პატარა წიგნს – „კულტურის სუბსტანციისათვის“. ის შესულია ქალბატონ ქეთევანის მიერ დასახელებულ კრებულში – „რჩე-

ული ფილოსოფიური ნარკვევები“ (გვ. 319-385), რომელიც 2005 წელს გამოვიდა და შეიცავს 387 გვერდს. წინ მოთავსებულია ავტორის 4 ნარკვევი, რომელთა შესახებ კრებულის „სარედაქციო კოლეგია“ წერს: ისინი „სწორედ მარქსიზმის გონივრული გამოკვლევების საფუძველზეა შექმნილი“ (გვ. 3). რომ არც ერთ „ნარკვევში მარქსიზმი არ არის გაკრიტიკებული. ისინი მარქსიზმის იმ დებულებებს ემუხრებიან, რომლებიც შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს ფილოსოფიის ისტორიის გათვალისწინებით“ (გვ. 4). ქეთევან შენგელიას ნაქები ნარკვევის („კულტურის სუბსტანციისათვის“) ანოტაციაში, რომელიც ცალკე გამოცემას ახლავს, აღნიშნულია: მისი „მიზანია დასაბუთოს, რომ კულტურის სუბსტანციის პრობლემა მარქსიზმის ფილოსოფიის საფუძველზე, კერძოდ, ისტორიული მატერიალისტური გაგების ბაზაზე არ აიხსნება. ავტორის აზრით, კულტურის სუბსტანცია არ შეიძლება იყოს მატერიალური. კულტურის სუბსტანცია არის ცნობიერება“.

არც ისაა შემთხვევითი, რომ კრებულის ამ 67-გვერდიან სტატიაში დიდზე დიდი ნაწილი საკითხის მიმოხილვას ეთმობა და აღწერითია, უშუალოდ თემას კი ბოლო 11 გვერდი ეხება! (გამიგონია, აინშტაინის ფარდობითობის თეორია რამდენიმე გვერდზეა გადმოცემულიო. იმედს ვიტოვებ, ამასთან ვინმე პარალელს არ გააულებს, არც ქალბატონი ქეთევანი).

იცოცხლე, ახლა მოდაშია და იოლია მარქსიზმისა და ლენინიზმის განქიქება! არადა, ბატონ ჯანსულსაც მაღალი თანამდებობები ამ მოძღვრებათა პროპაგანდისა და დანერგვისათვის ჰქონდა ნაბობები!

თუ ბატონი ჯანსულ კორძაია აღნიშვნის ღირსი პოეტია და, როგორც ქეთევან შენგელია წერს, მის „ლექსებში უამრავი მშვენიერი მხატვრული სახეა“, ეს პოეტი ქალი რას გვიმაღლავს, იმ დამოწმებული სტროფების ნაცვლად, ერთი-ორი ამის ნიმუში მაინც მოეყვანა! ვეძებე და „კალმასობაში“ ცალკე დაბეჭდილ და საიუბილეო სტატიაში დამოწმებულ ლექსებში ამგვარს ვერაფერს წავაწყდი. ისინი

კი, დაწყებული 1976 წლიდან, სხვადასხვა დროსაა შექმნილი და, წესითა და კანონით, რჩეული უნდა იყოს.

მილოცვის წერილი უპრეცედენტოა: ბევრ მოღვაწეზე წამიკითხავს უსაშველოდ გადამეტებული ქება-დიდება, მაგრამ არსად შევხვედრივარ და ვერ წარმომედგინა, თუ სწავლულისა და შემოქმედის ღირსება რძლებითა და სიძე-ებით შეიძლებოდა განსაზღვრულიყო. მოუუსმინოთ ავტორს: „ის (ბატონი ჯანსუღი. – ბ. დ.) განლაგეთ მშვენიერი ქალბატონის მეუღლე და ორი კარგი ვაჟაკის მამა, რომელთაც ღირსეული ქალბატონები აურჩევიათ ცხოვრების მეგზურებად“.

ერთში ქალბატონი ქეთევანი მართალია: ირმა რატიანს იმდენი მაღალანაზღაურებადი თანამდებობები, სტიპენდიები და გრანტები აქვს, მართლა დიდი ბედნიერებაა, როდესაც ოჯახში ასე დიდი ფულის შემომტანი რძალი გეყოლება!

რას იზამ, თუ ლიტერატურის ინსტიტუტში ყოფნა გინდა, მსხვერპლიც უნდა გაიღო, ხელი ნამუსზედაც უნდა აიღო! ლუკმაპურის მოსაპოვებლად ლაქუცი ყოველთვის ყოფილა და იქნება. გვახსოვს დიდი აკაკის ნათქვამი:

„რას წუწკუნებს ეს პატარა მურია?  
ხომ არ ჰშია და ან ხომ არ სწყურია?  
ქუცი, ქუცი, კუდქიცინა მურია!“

ვის არ გეშია და გეწყურია, ზნეობის შენარჩუნება მართლაც ძნელია! არადა, პოეტმა ქეთევან შენგელიამ სიტყვით კარგად იცის, საქართველოსთან ყველაფერში მართალი უნდა ვიყოთ. ამიტომ, ერთ ლექსში ის იღია ჭავჭავაძეს შენატრის:

„წევს მთაწმინდაზე დიდი ილია,  
საქართველოსთან ცამდე მართალი“.

არაერთხელ მითქვამს და დამიწერია, ქალბატონ ირმას მამა შალვა რატიანი ნიჭიერი კაცი გახლდათ. როცა ამას აღვნიშნავ, მხედველობაში მაქვს ის ჩვეულებრივი ნიჭი, რომელიც რიგით მკვლევრებს გვაქვს და არა ის ფენომენური ტალანტი, რომლითაც ჩვენი გიგანტი სწავლულები იყვნენ დაჯილდოებული. მაგალითად, სიმონ ჯანაშია 47 წლისა გარდაიცვალა და ოთხ ტომად გამოიცა მისი გამოკვლევები, თანაც რა რთულ და საჭირობოროტო პრობლემებზე! ბატონმა შალვამ 49 წელი იცოცხლა და დარჩა სამი პატარ-პატარა წიგნი და რამდენიმე სტატია. წიგნები: 1963 წელს გამოსული 128-გვერდიანი „აკაკი წერეთელი და რეალიზმის საკითხები“, 122-გვერდიანი – „XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკის ისტორიიდან“ (1983), ზემორე ნახსენები 31-გვერდზე ნაკლები – „ფილადელფოს კიანაძე“ (რომელიც მეორე, ცალკე გამოცემაში იმდენად მსხვილი შრიფტითაა დაბეჭდილი, 58 გვერდს იძლევა), სულ – 271 გვერდი. ამას კიდევ რამდენიმე სტატია დაემატება და ჰა, ჰა, 350 გვერდამდე თუ ავა.

რა მქონდა მე ამავე ასაკში, 1985 წელს? – 206-გვერდიანი წიგნი „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით“ (1975), სტატიები ვახტანგ მეექვსის პოეზიის შესახებ, რომლებიც 1986 და 1988 წელს ორ წიგნად გამოიცა: 248-გვერდიანი „ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა“ და 440-გვერდიანი „ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“. ღიახ, ესენი 49 წლის ასაკში მქონდა დაწერილი. უნდა ვიცოდეთ, მაშინ აკადემიის საგამომცემლო გეგმა (ჩვენი სამივე წიგნი მისი გამოცემულია) სამი წლით ადრე ღებოდა და დედანი გამომცემლობას ორი წლით ადრე ბარდებოდა. გარდა ამისა, ხსენებულ ასაკში გამოქვეყნებული მქონდა შემდეგი რუსთველოლოგიური გამოკვლევები:

1. ფისტიკაური სტროფი ვეფხისტყაოსანში – შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, თბ., „მეცნიერება“, 1966, გვ. 368–390 (23 გვ.).

2. „ზმა“ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობისათვის ვეფხისტყაოსანში – კრებ.: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, III, 1968, გვ. 67–85 (19 გვ.).

3. სიცილი ვეფხისტყაოსანში – კრებ.: ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, თბ., IV, 1968, გვ. 199–212 (14 გვ.).

4. შიანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა ვეფხისტყაოსანში – „მაცნე“, 1970, № 6, გვ. 185–210 (26 გვ.).

5. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების გამოქვეყნების გამო – ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, IV, თბ., 1973, გვ. 102–122 (20 გვ.).

6. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა პ. კარბელაშვილის-ეული პუბლიკაციის რედაქციული სახის დადგენისათვის – ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, V, თბ., 1973, 16–27 (12 გვ.).

7. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის ორი ფურცელი – ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VI, თბ., 1974, გვ. 108–113 (6 გვ.).

8. ვეფხისტყაოსნის ნაკაშიძისეული ხელნაწერის ტიპის რედაქციის თავისებურებანი და მისი შექმნის დრო – „მაცნე“ (ელს), № 3, 1975, გვ. 42–52 (11 გვ.).

9. ვეფხისტყაოსნის თავნაკლული პროლოგის წარმოშობის შესახებ – ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII–VIII, თბ., 1976, გვ. 157–170 (14 გვ.).

10. ვეფხისტყაოსნის კეზელიანთ ხელნაწერის ტიპის ნუსხები – „მაცნე“ (ელს), №1, 1978, გვ. 39–55 (17 გვ.).

11. ხატაელთა ამბის ხელნაწერის ფრაგმენტი – „მაცნე“ (ელს), № 4, 1980, გვ. 47–53 (7 გვ.).

12. ვეფხისტყაოსნის გამოცემები მშობლიურ ენაზე – ალმანახი „მწიგნობარი–82“, თბ., 1983, გვ. 21–39 (19 გვ.).

აღარაფერს ვამბობ სხვა სტატიებზე. ჩამოთვლილი კი იძლევა 170 გვერდს.

რა მივიღეთ? – თუ შალვა რატიანს 49 წლის ასაკში 350-გვერდამდე შრომა შეუსრულებია, მე სამჯერ მეტი, 1060 გვერდზე მეტი, მაქვს!

ახლა შეადარეთ ერთმანეთს ჩემი და ბატონი შალვას გამოკვლევების მეცნიერული ღონე! მისი ნაშრომები უფრო აღწერითია და მათში სადავო, პრობლემურ საკითხებს, აზრთა ჭიდილს თითქმის ვერ შეხვდებით! გადაშალეთ და ნახავთ, ჩემი ყველა გამოკვლევა რა სიახლეებისა და აღმოჩენების შემცველია!

ახლა წერენ, რომ ბატონ შალვას თავისი 122-გვერდიანი წიგნი „XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკის ისტორიიდან“ სადოქტორო დისერტაციად ჰქონდა გამიზნული. შევადაროთ ის ჩემს სადოქტორო დისერტაციას – „ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა“, რომელიც 1990 წელს დავიცავი. მისი დაცვა რამდენიმე წლით ადრე შემძღო – მაშინაც, როცა ვახტანგზე ჩემი სტატიები ცალ-ცალკე გამოქვეყნდა, კიდევ უფრო, როდესაც 1986 წელს მეფე-პოეტზე პირველი წიგნი „ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა“ დაუბეჭდეს, მაგრამ ეს არ ვქენი, ვიდრე მას მეორე 440-გვერდიანი „ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო“ არ დაუშატე! (ორივე ერთად 680 გვერდზე მეტს შეადგენს). ლევან მენაბდე ჩემს ამ ორ წიგნს ასე აფასებს: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგოლოგიაში (თუ შეიძლება ეს სიტყვა ვინმართ) იწეება ათვისებრივად ახალი ეტაპი“ („მაცნე“, ელს, 1990, № 4, გვ. 154).

„თვისებრივად ახალი ეტაპი“ ბატონი შალვას რომელიმე წიგნმა მოგვცა?!

ირმა რატიანის არც სხვა ხელქვეითები უშვებენ ხელიდან შემთხვევას დირექტორის მამის ღვაწლის გასაბუქავად. უკვე დავიმოწმე, ნონა კუპრეიშვილი ბროშურას, „ფილადელფოს კიკნაძე“, ფილადელფოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მონოგრაფიად მიიჩნევს. მირანდა ტყემელაშვილი უფრო შორს მიდის – მას 1832 წლის შეთქმულებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიად ასახელებს

(ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, № 16, 2009, გვ. 65). თავად ბატონი შალვა კი ნარკვევის ბოლოს სამართლიანად წერს: „ფილადელფოს კიენაჲმე არ არის ღირსი დავიწყებისა. მის ნაფიქრ-ნაღვაწს მონოგრაფიულ შესწავლა ეს აჭიროებ“ (გვ. 57). ქალბატონი მირანდა ასევე მონოგრაფიად ნათლავს ბატონი შალვას წიგნს „აკაკი წერეთელი და რეალიზმის საკითხები“ (იქვე, „ჩვენი მწერლობა“). ავტორი, ბატონი შალვა, კი შესავალში აღნიშნავს: „რადგან ამჟერად საშუალება არ აგვაქვს, რომ სრულად განვიხილოთ აკაკი წერეთლის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი, ჩვენ შევეცდებით(,) მწუობრად ჩამოვაყალიბოთ ჰოეტის თვალსაზრისი რეალიზმი მხოლოდ სოციალურ მნიშვნელოვან საკითხზე“ (გვ. 3).

რატომაა ჩემსა და შ. რატიანის სამეცნიერო მონაპოვარს შორის ასე დიდი განსხვავება? – იმიტომ, რომ მე თავად უღებლივ მეცნიერებას ვემსახურებოდი, ბატონი შალვა უფრო სხვა, რბილად, მიმტყეებლურად რომ ვთქვათ, მატერიალური საქმეებით იყო გატაცებული.

მკითხველმა მინდა იცოდეს, იძულებული გამხდა მისმა ქალიშვილმა, თორემ მეც იმ აზრისა გახლავართ, გარდაცვლილ კაცზე ამგვარი წერა არ ეგების და ძალიანაც მიჭირს. მოგეხსენებათ, ურემს რომ ტვირთი დააწვება, აკრიჭინდება, ავი შვილი კი დედ-მამის მაგინებელია!



მეცნიერული კვლევა-ძიება არასდროს შემინელებია.

გადაშალეთ ახლახან გამოსული 575-გვერდიანი ჩემი მონოგრაფია „იაკობ შემოქმედელი“. მასში განხილული უმთავრესი, თითქმის ორსაუკუნოვანი პრობლემის, ე. წ. „აბდულ-მესიანის“ რაობის, შესახებ ალექსი ჭინჭარაული წერს: „ამ ბოლო წლებში ბორის დარჩიამ მონოგრაფიულად შეისწავლა «აბდულმესიანის» ავტორის ვინაობის საკითხი და დაამტკიცა, რომ ეს სახატბო ლექსების კრებული

ეკუთვნის XVII საუკუნის ცნობილ სასულიერო მოღვაწეს იაკობ დუმბაძეს (შემოქმედელს) და ეძღვნება მეფე-პოეტს არჩილ II-ს. ნ ა შ რ ო მ ს ა რ გ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა ა რ ა კ ლ ი ა“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2006, № 31, გვ. 13). წიგნის რედაქტორი მურმან თავდიშვილი აღნიშნავს: „დაბეჭდვით უნდა განვაცხადო: ეს წიგნი, სადაც ჩანს ავტორის ხალასი ნიჭი და მრავალმხრივი განსწავლულობა, ქართული ფილოლოგიური მეცნიერების დიდი მიღწევაა“. წინ წერს: „სახგანსმით უნდა აღინიშნოს: ამ სახოტბო ნაწარმოებს საგანგებოდ განიხილავდნენ ჩვენი მეცნიერების კორიფეები: ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ი. ლოლაშვილი და ვინ არა!“ მაგრამ პრობლემა ვერავინ გადაჭრა. „ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ეს სამარცხვინო ჩავარდნა გამოასწორა ბორის დარჩიამ“ („მწერლის გაზეთი“, 2009, № 10).

მურმან თავდიშვილი სხვაგან აღნიშნავს: „ბორის დარჩიამ მთელი ერთი ინსტიტუტის საქმე გააკეთა, გმირულად გაისარჯა, ქართულ მეცნიერებას შერცხვენილი ჰირი მოსწმინდა, მოძაულის პასუხისმგებლობის წინაშე გაგვამართლა და იმის მაგივრად, რომ პრემიებით, წოდებებით, ხარისხებით გაენებიერებინათ, გმირული შრომა არ დაუფასეს - დაბალხელფასიანი სამსახურიდანაც კი გამოამევეს (...). სამაგიეროდ, ზეიმობენ ნეობოლშევიკ-ნაციონალისტთა მიერ ხელდასხმული ირმა რატიანი და დამქაშნი მისნი. ქართული მარაზმი გრძელდება!“ (დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში, თბ., 2010, გვ. 126-127).

ეგებ ასე არ არის? თუ არ არის, დალოცვილებო, გატრუნული ნუ ხართ, ხმა ამოიღეთ!

ანდა ავიღოთ ჩემი რუსთველოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც 1400 გვერდზე მეტია. აქედან ორი წიგნი გამოცემულია და ორი (თითოეული 450-500 გვერდიანი) გამოსაცემი (პირველი ტომი წინამდებარეა). წიგნებადაა გამოსაცემი ჩემი მონოგრაფია ბაგრატი ბატონიშვილზე და სხვადასხვა საკითხზე დაბეჭდილი სტატიები. ეს ნაშრომები მიმოხილული



მაქვს პოლემიკურ წიგნში – „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“.



ქალბატონი ირმა რატიანისთვის ყველაფერი ეს არაფერია. როგორც 2006 წელს ლიტერატურის ინსტიტუტიდან რა უსამართლოდ და უტიფრადაც გამაგდო, იგივე გაიმეორა ახლახან, 2009 წლის შემოდგომაზე, ჩატარებული მეორე კონკურსის დროს, მაშინ როდესაც ცენტრის ხელმძღვანელად და მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად დანიშნა თუ „აირჩია“ ისეთები (ივანე ამირხანაშვილი და რევაზ სირაძე), რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებასთან რომ არაფერი საერთო აქვთ (ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ).

... და სხვა რამდენ უმსგავსობას სჩადის ქალბატონი ირმა! ამ მეორე საინსტიტუტო კონკურსის დროს მან მუქარა აუსრულა და ინსტიტუტიდან გააძევა სოსო სიგუა, მის ნაცვლად კი მიიღო თავისი დაქალი, ივანე ჯავახიშვილის (სახელობის) უნივერსიტეტში პროფესორად მომუშავე თამარ შარაბიძე. ეს იმოდენა კურიოზი და დანაშაულია, ოდნავ სამართლიან ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, ამ თავხედობისათვის მას სასჯელი არ აშორდებოდა.

ბოლოს კიდევ მრავლიდან ერთი ამბავი. ქალბატონმა ირმა რატიანმა იაპონურიდან თარგმნა და გამოსცა ურითმო „ასი უძველესი იაპონური ლექსი“. მისმა ხელქვეითმა თანამშრომლებმა და მეგობრებმა უდიდესი შეფასება მისცეს ამ თარგმანს (ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, 29 მაისი, 2009, № 11, გვ. 37-41). ალბათ, დადგება დრო და პირობები, როდესაც იაპონურის, ქართულისა და, საზოგადოდ, პოეზიის სათანადო მცოდნენი ობიექტურად შეაფასებენ ამ ნამუშევარს. მიუხედავად იმისა, თუ რას იტყვიან ისინი, მინდა დავიჯერო, ეს ლიტერატურული ცდა ამჟამად მოსაწონი და მისასალმებელია.

... ოღონდ, როცა ი. რატიანის პოეტურ ნიჭსა და უნარზეა საუბარი, არ შეიძლება არ აღინიშნოს იგივე უსულ-

გულობა და უსამართლობა, რაც მან ჩინებული პოეტის მანანა ჩ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ს მიმართ ჩაიდინა — სამსახურიდან, ლიტერატურის ინსტიტუტიდან, გააგდო! აქვს კი ვინმეს იმის ილუზია, რომ ირმა რატიანი როდისმე მანანა ჩიტიშვილის პოეზიას, პოეტურ ტალანტს ოდნავადაც მიუახლოვდება, თუნდაც მამამთილის მთელი მხატვრული შემოქმედება დაიმართოს?!

დიახ, ქალბატონი ირმა მდგომარეობით იმდენად ძლევამოსილია, ხელისუფლებისაგან იმდენად თავაშევებული, თავის პათოლოგიურ ზრახვებს ზღვარს ვერ უდებს, ვერ ხვდება, თავის შთამომავლებს რა სახელს უტოვებს და ბაბბის ჩხრიალით მამასა და მამამთილს რა (სიტყვა „უხერხული“ ცოტაა) სასაცილო მდგომარეობაში აყენებს?!

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამომწვევ რეჟიმს ერთ დროს „არაქჩევშიჩინა“ ეწოდებოდა, ახლა რა ჰქვია მას?!

## ნესტან სულავას მორიგი „რუსთველოლოგიური ხილვები“

ახლა გადავიდეთ რუსთველოლოგიურ საკითხებზე და როგორც ჩემს წიგნში („უეიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“) არის, დავიწყოთ ქალბატონი ნესტანის შრომებით. მას ამ სამი წლის მანძილზე იმდენი არა, როგორც ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეობის ჟამს ბეჭდავდა, მაგრამ ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურისა და რუსთველოლოგიის საკითხებზე რამდენიმე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული:

რ. სირაძის მსგავსად, სათაურის მცირეოდენი ცვლილებით, უ შ ე ნ ი შ ვ ნ ო დ ო რ ჯ ე რ ბეჭდავს სტატიას „განგებისა და ბედის კონცეფცია ილიას შემოქმედებაში“ (ურ. „გულანი“, 2008, № 1, გვ. 90-105; კრებული: „ანალები“, 2008, № 2, გვ. 27-43). შეუსაბამო აზრები მასში, იცოცხლე, ბლომადაა.

სამეცნიერო აპარატურის დართვითურთ აქვეყნებს ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებებს (მცხეთა, 2007. ყდაზე: თბილისი, 2008).

პატარა სტატიაში გვაცნობს მაკა გოგუაძის რომანს „ერზაცი ისევ ხუმრობს“ („ანალები“, № 4, 2009, გვ. 361-374), მაგრამ მასზე სრულფასოვან წარმოდგენას ვერ გვაძლევს. ამჯერად მათზე ვერ შევჩერდები, მხოლოდ რუსთველოლოგიურ სტატიებს შევეხები.

ჩემს წიგნში „უეიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ განვიხილე ნ. სულავას ყ ვ ე ლ ა რუსთველოლოგიური ნაშრომი. აქ ვეხები ბოლო სამი წლის მის წერილებს. უპირველესად ორ სტატიას: „ვეფხის მეტაფორის გენეზისისათვის“ („ანალები“,

2007, № 1, გვ. 310-325) და „ნესტან-ღარეჯანის ხატ-სახეები“ („გულანი“, 2009, № 1, გვ. 104-114).

წიგნი დამთავრებული მქონდა და გამომცემლობაში მიტანას ვაპირებდი, რომ გამოვიდა ქალბატონი ნესტანის რუსთველოლოგიური სტატიების კრებული – „ვეფხისტყაოსანი“ – მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა“ (თბ, 2009, 191 გვ.), რომელშიც შესულია მისი ეს ორი წერილიც. ავტორი არსად მასახელებს და, ვითომც არ არსებობს, გვერდს უკლის ჩემს იმ ფართო და მრავალმხრივ კრიტიკას, რომელიც აღნიშნულ წიგნში მაქვს. მდუმარედ გამოუტოვებია და კრებულში (წიგნში) არ შეუტანია თავისი ძალიან მყვირალა პლაგიატური წერილები. ამჯერად ამ კრებულის განხილვა ახალს არაფერს მოგვცემს. როგორც გვქონდა, შემოვიფარგლებით მისი ბოლო სტატიებით, სადაც მისი იგივე უეცობა, პლაგიატობა და უბადრუკი აზროვნება „ზეიმობს“. მხოლოდ კუთხოვანი ფრჩხილებით მივუთითებთ, კრებულში სად და როგორაა წერილებში წარმოდგენილი ესა თუ ის საკითხი.

სანამ აღნიშნული სტატიების ანალიზს შევეუდგებოდე, მანამდე მკითხველს უნდა შევახსენო ქალბატონი ნესტანის სიახლე, რაც მან რუსთველოლოგიაში შემოიტანა და კრებულშიც აისახა. მისი ყოვლად უსაფუძვლო მოსაზრებით, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემულია, თუ „პირველ ცოდვას“, რაც ადამმა და ევამ ჩაიდინეს, მეტ-ნაკლებად როგორ იმკის ინდოეთი და არაბეთიც; ვითომც „თაობათა ცვლით“ ხდება ამ ქვეყნების „ზეციურ იერუსალიმად“, „პირველ ქმნილ სამყაროდ“ გარდაქმნა ტარიელისა და ნესტან-ღარეჯანის „განწმენდა“, „პირველ სახის დაბრუნება“ და „სრულყოფა“. აი, ორიოდე ამონაწერი. საუბარია ინდო-ქრისტიანული: „მართალია, – წერს ერთგან, – სარქიანისა და ფარსადანის სამეფოები შეერთდა და თითქოს მოგვარდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ მოუგვარებელი დარჩა უმთავრესი: ინდოეთი ზ ე ც ი უ რ ი ე რ უ ს ა ლ ი მ ა დ არის ღვთისგან განკეპული, ხოლო ფარსადანის მ ე ფ ო ბ ი - ს ა ს ეს შ ე უ მ ლ ე ბ ე ლ ი ა, ვინაიდან იგი მ ვ ე ლ ი

ტრადიციების, ძველი ცოდნის მიმდევარია, ამიტომ საჭიროა ახალი ძალა, რომელიც ინდოეთს საბოლოოდ გარდაქმნის ზ ე ც ი უ რ ი ე რ უ ს ა ლ ი მ ა დ“ (კრებული: „შოთა რუსთველი“, 2000, გვ. 226).

მეორე ადგილას: ინდოეთში „აღწერილი ეოფა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა სამეფო ჰალატებში ა დ ა მ ი ს ა და ე ვ ა ს ს ა მ ო თ ხ ი ს ე უ ლ ი ცხოვრების აღუხიაა; ამდენად, ადამისა და ევას ცოდვით დაცემადელი მარადიული არსებობაა ნესტან-ტარიელის არქეტაიპული არსი“ („ლიტერატურული ძიებანი“, 2004, № XXV, გვ. 227–228). და კიდევ რამდენჯერ სხვაგან.

ქალბატონი ნესტანის დახასიათებით, ინდოეთთან შედარებით, ბევრად უკეთესობაა არაბპითში, მაგრამ აღნიშნულის მხრივ ზოგიერთი რამ იქაც მოსაწესრიგებელია, რაც თაობათა ცვლის მეოხებით უნდა მოხდეს (ამაზე ქვემოთ).

ამ შეხედულებას ჩვენი მკვლევარი ქალბატონი მრავალჯერ გამოთქვამს. ვიმეორებთ, ჩემს კრიტიკულ წიგნში ეს შეხედულება და მისი შემცველი ყველა სტატია სათითაოდ მაქვს გარჩეული.

ენახთ, რას გეთავაზობს ახალს.

### ა) „ნესტან-დარეჯანის ხატ-სახეები“

ნ. სულავა ორივე წერილსა და წიგნში კვლავ ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ვეფხის სიმბოლიკის საკითხს. ადრე, 2004 წელს, გამოაქვეყნებულ წერილში „ვეფხის ფერთამეტყველებისათვის“ იგი ცდილობს წარმოაჩინოს პოემაში ვეფხის ფერების სიმბოლური მნიშვნელობანი. ეს სტატია საკმაოდ ვრცლად განვიხილე ჩემს კრიტიკულ წიგნში „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ და ვაჩვენე: „ვეფხისტყაოსანში“ არსად მინიშნება არ არსებობს იმისა, რომ ვეფხის ტყავის სამოსად, ქუდად და ქვეშაგებად არჩევისას ტარიელი და, ამდენად,

რუსთველი ფერის რაიმე სიმბოლური შინაარსით ხელმძღვანელობდეს. არსაიდან ჩანს, რუსთველს ეს აინტერესებდეს. იგი ნ. სულავასა და მის მსგავსთა წამოჭრილი ფსევდო პრობლემაა, ხოლო მიღებული პასუხი მხოლოდ და მხოლოდ მკვეთრად გამოხატული მთავრებია, ილუზიანია (გვ. 93-98).

ნ. სულავა ნესტან-დარეჯანის ვეფხეთან შედარებაში მეორე, ანუ სულიერი, პლანის წარმოსაჩინად კვლავ და კვლავ „აღრმავებს“ ძიებას და მას ავაზასაც უმატებს. ვიდრე ამ უკანასკნელს შევეხებოდეთ, მანამდე უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს „ანალებში“ მოათავსებულ წერილში „ვეფხის მეთაფორის გენეზისისათვის“ (№ 1, გვ. 310-325) ავტორი ცნობილი ნაშრომებიდან იმოწმებს ვეფხვის შესახებ გამოთქმულ შეხედულებებს, მაგრამ რა კავშირი აქვს მას „ვეფხისტყაოსანთან“, ვერაფერს გვეუბნება.

საკითხს იწყებს იმით, თუ როგორ ადგილებში ბინადრობდა ვეფხი. „საგულისხმოა ის ფაქტი, - წერს იგი, - ყველა ის ცხოველი, რომელიც შეიძლება იგულისხმებოდეს «ვეფხვში», საქართველოში, საზოგადოდ მთელ კავკასიაში, იშვიათი იყო და ასე ამჟამადც. ხალხურ სიტყვიერებაში ვეფხვი მთასთანა დააკავშირებული და მთისგარეშოშია მოქცეული. ხალხური გადმოცემების მიხედვით, იგი მთიელი მონადირისა და მეომრის განუურელი, უმნიშვნელოვანესი კბითეცია“ (გვ. 310-311 [18]).

რისთვის სჭირდება ავტორს ამის აღნიშვნა? ამაზე ის არაფერს ამბობს. როგორც მას სჩვევია, არც ახლა გამოვრიცხავ, ამას უმიზნოდ წერდეს, სტატიის „მრავალფეროვნებისთვის“. მაგრამ, რადგან ის „ვეფხისტყაოსანში“ ამ მხეცის რაობისა და გამოსახვის გენეზისს, წარმომავლობას „იკვლევს“, უნდა ვიფიქროთ, პოემასა და ამ სინამდვილეს შორის რაღაც კავშირს გულისხმობს. „ვეფხისტყაოსანში“ კი ვეფხი დაბლობში, ველ-მინდორში ცხოვრობს და არსაიდან ჩანს, რუსთველს იგი მთის ბინადრად მიაჩნდეს. ამას იგი არ ეხება და სხვათა შორის წარმოგვიდგენს. აი, სად

ეძებს და სად გადააწყდა ავთანდილი ტარიელს, რომელსაც ლომ-ვეფხი შეყროდა და დაეხოცა:

„ყმა გაემართა საქებრად მტირალი, ცრემლთა მურქვეველი,  
სამ დღემდის მოვლო მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე, ვ ე ლ ი“  
(864. 1, 3).

„ქელსა რასმე გარდაადგა, ვ ე ლ ი აჩნდა მზიან-ჩრდილი“ (866. 2).

მან ეს ქელი „ვითა გრივალმა ჩ ა ი რ ბ ი ნ ა“ (867. 4).  
ტარიელს ეუბნება:

„მ ი ნ დ ო რ ს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა  
აისრულებ?“ (876. 2).

აი, ამ ველზე ნახა ავთანდილმა ცნობაწართმეული  
ტარიელი და მის მიერ დახოცილი ლომ-ვეფხი:

„ერთკერძ უც ლომი მოკლული და ხრმალი სისხლ-  
მოცხებული,  
კვლა სხვაგნით – ვეფხი უსულო, მკვდარი, ქვედა-  
ნარცხებული“ (869. 1-2).

ყველაფერი რომ ეს მინდორში ხდება და ლომ-ვეფხი ამ  
ადგილის ბინადარია, ამას ავთანდილთან საუბარში ტარიელიც  
ადასტურებს:

„შენ მოგელოდი, მიმჭირდა მოლოდინითა შენითა.  
ქვაბს ვეღარ გავსძელ, მ ი ნ დ ო რ თ ა მოვლა მომინდა  
ცხენითა“ (906. 3-4).

ასე რომ, ვეფხის ბინადრობის საკითხში არავითარი გენე-  
ზისი არ არსებობს!

ნ. სულავა იმოწმებს მთაში არსებულ შემდეგ წეს-  
ჩვეულებას: „ირ. სურგულაძის დაკვირვებით, – წერს იგი, –  
«ხალხში გავრცელებული წარმოდგენის თანახმად, სვანები მოკ-

ლულ ვეფხვს დასტიროდნენ და ნათესავს უწოდებდნენ, უბოდიშებდნენ მოკვლის გამო» (...). ელენე ვირსალაშემ აღნიშნა, რომ მოკლული ვეფხვის მიმართ ჰატივის გამოხატვა ხევესურეთშიც სცოდნიათ. მოკლულ მხეცს ვაჟის ტანსაცმელს ჩააცმევდნენ, კვერდით იარაღს დაუწეობდნენ და ისე დაიტირებდნენ (...). ირ. სურგულაძემ უწოდებდა მიაქცია იმასაც, რომ «აჩსებობს ძლიერ მკრთალი გადმოცემები, რომელთა მიხედვით ვეფხვი მონადირის დამხმარე, მეგობარი და მძობილია. შესაძლოა, ის ოდესღაც ნადირთ მწვემსადაც მიაჩნდათ, რადგან ზოგჯერ მონადირეს ნადირს ურეკავს» (გვ. 311 [18-19]).

შემდეგ იმოწმებს: „ვ. ივანოვის საენციკლოპედიო წერილში გათვალისწინებულია ლეოპარდის, როგორც ს ა კ უ ლ ტ ო ცხოველის, მნიშვნელობა, მისი მ ი თ ო ს უ რ-ს ა რ წ მ უ-ნ ო ე ბ რ ი ვ ი რაობა და ღირებულება სინქრონულ-დიაქრონული თვალსაზრისით, ლეოპარდთან დაკავშირებული კულტურულ-გ ე ნ ე ტ ი კ უ რ ი და სოციო-კულტურული მიმართულების გზები და ბუნება“ (გვ. 312 [19]).

რა შუაშია აქ „ვეფხვისტყაოსანი“, მით უფრო, ნესტანდარეჯანის სულიერი გარდაქმნის, განწმენდის, სასუფეველის, ზეციური იერუსალიმის მკვიდრად გარდაქმნაში? ნაშრომში ამაზე პასუხი არ მოიპოვება. ესენი სტატიის „სიუხვისათვის“ თუა მოხმობილი. მაშინ, როდესაც ამ მხრივ დიდად საყურადღებოა ვიკტორ ნოზაძის შენიშვნა: „რატომ ატარებს ტარიელი ვეფხის ტყავს? იყო ვეფხვი ტარიელის ტოტემი, ანუ ღმერთი - მხეცი? ანუ მისი ჩამომავლობის ღმერთი? ან ჯადოსნური ძალის გამომსახველი?“ პასუხი ერთია და კატეგორიული: „რახაკვირველია, არა! საამისო არავითარი საბუთი არაა“ („ვეფხვისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება“, სანტიანგო დე ჩილე, 1957, გვ. 213).

ნ. სულავას მოჰყავს ცნობები, თუ, საზოგადოდ, ვეფხისა ან მისი ტყავის გამოსახულებანი სად ჩანს. აი, მისი ჩამონათვალი: „ქველ ე გ ვ ი ჰ ტ უ რ ი ეროგლიფებზე ქ უ რ უ მ ი ვეფხის ტყავის სამოსელითაა გამოსახული“ (გვ.



312 [19]). ძველ ბ ე რ ძ ე ლ კერამიკულ მხატვრულ კომპოზიციებში „ხელში ბარბითით გამოსახულია მოცეკვავე მ ე დ ე ა, რომელსაც (...) თავზე ჰბურავს თავსაბურავი, რომელიც დაწინწკლულია და სწორედ ეს წინწკლები გვაუჩქრებინებენ, რომ მისი თავსაბურავი ხალებიანი მხედის ტყავისაგან უნდა იყოს შეკერილი“ (გვ. 313 [19-20]); „პ ი ნ დ ა რ ე ს მეოთხე ოდაში ი ა ზ ო ნ ი ა ვეფხვის//ლეოპარდის ტყავით მოსილი“ (იქვე [20]); „დ ი ო ნ ი ს ე მ მდინარე ტიგროსი ზევსის მიერ მოვლენილი ვეფხვის მეოხებით გადალახა“ (იქვე [20]); „პალერმოს არქეოლოგიურ მუზეუმში დაცულ (...) კრატერზე გამოსახულია მ ე ნ ა დ ა, რომელსაც სხეულის ზედა ნაწილზე შემოსხმული აქვს ხალებიანი, წინწკლებიანი მხედის ტყავი, რომელიც მხარზე თითებითაა გამოხასკეული“ (გვ. 314 [20]); „ვეფხვის//ლეოპარდის ტყავის სამოსელი ჰმოსავთ ტ რ ო ა ს გმირებს“ (იქვე [20]); „ვეფხვის//ლეოპარდის ტყავის სამოსელი ჰმოსავთ შ ა ჰ-ნ ა მ ე ს ჰერსონაეებს“ (იქვე, გვ. 314 [20]).

რა არის აქ ახალი? სხვებს რომ თავი დავანებოთ, „ვეფხვისტყაოსანთან“ დაკავშირებით ამ საკითხს საკმაოდ ვრცლად და გ ა ა ზ რ ე ბ უ ლ ა დ ეხება ვიქტორ ნოზაძე. გადავშალოთ მისი „ვეფხვისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება“. აი, ამონაწერები იქიდან:

„ინდოეთში ვ ე ე ფ ხ ი არის შ ი ვ ა-ს ცხოველი და თვითონ შ ი ვ ა-დამერთი ვ ე ე ფ ხ ი ს ტყავს ატარებს“ (გვ. 211, 212).

„ვეფხვის ტყავს ატარებენ ვით საზეიმო სამოსელის ნაწილს ე გ ვ ი ჰ ტ ი ს უმადლესი მ დ ვ დ ე ლ ნ ი დ ა ნ უ ბ ი ე ლ ნ ი დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი“ (გვ. 212).

„ბ ე რ ძ ე ლ ი მითოსის გმირები: ი ა ს ო ნ ი ატარებს ვეფხვის ტყავის სამოსელს, ჰ ო მ ე რ ო ს ი ს გმირი ჰ ა რ ი ს ი ვეფხვის ტყავითაა შემოსილი“ (იქვე, გვ. 212). ავტორი აქ იმასაც გვეუბნება, რომ ამ მითოსში „არგოს

ეცვა კ უ რ ო ს ტუავი; ზევსს, ათენეს და აპოლოსს -  
თ ხ ი ს ტ უ ა ვ ი და სხვა“.

„ი რ ა ნ უ ლ ჰირველ მითოლოგიურ კაცს «გაიომართ»-ს  
ვეფხის სამოსელი აქვს და ვეფხის ტუავის ქუდი. აგრეთვე  
ბ ა ბ ი ლ ო ნ უ რ შესანიშნავ ეპოსის გმირს  
გ ი ლ გ ა მ ე შ ს. ფ ი რ დ ო უ ს ი ს შაჰ-ნამე-ში  
ირანის ჰირველი მეფე არის ს ა ი უ მ ო რ ს (...). მ ა ნ  
ჩაიცვა და მასთან ერთად მისმა ხ ა ლ ს მ ა - ვეფხის  
ტუავი. ნეტარი ს ე რ ო შ ი ვეფხის ტუავის მატარებელია;  
მეფის შვილმა, ს ი ა მ ე კ, ჩაიცვა აგრეთვე ვეფხის ტუავი;  
გმირნი ატარებენ ვეფხის ტუავს ტანთ საცავად; უნაგირნი  
ვეფხის ტუავისა არიან და სხვა“ (იქვე, გვ. 212).

ვ. ნოზაძე ვეფხთან შ ე დ ა რ ე ბ ი ს მაგალითებსაც  
ასახელებს, მათ შორის ქართული მწერლობიდან: „ვეფხი  
ვით შედარება მამაკაცთან არა ერთჯერ არის მოხსენებულ  
ი ნ დ ო ე თ ი ს ძველ მწერლობაში (...). ქართულ  
მწერლობაშიც არა ერთჯერ არის ვეფხი ნახსენები  
შედარებისათვის, მაგალითად (...), ქართლის ცხოვრებაში -  
ვითარცა ვ ე ფ ხ ი ზახილითა, ვითარცა ლ ო მ ი ზახილითა  
და სხვა“ (გვ. 212).

ნ. სულავა იცნობს ამ ნაშრომს? და, თუ იცნობს, არ უნდა  
ასახელებდეს მას?! ან სადმე ერთი წინადადებით არ უნდა  
აღენიშნა, რომ ეს მონაცემები სამეცნიერო ლიტერატურაში  
ცნობილია?! ვ. ნოზაძის დამსახურება კი ისაა, ამ ცნობებს  
ჰირველი უყრის თავს და „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებით  
განიხილავს.

აქედან რა დასკვნა გამოაქვს ვ. ნოზაძეს და რა  
ნ. სულავას?

„აქვს რამე კავშირი ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ ა ქ გან-  
ხილულ ვეფხის ტუავს ტარიელის ვეფხის ტუავთან? - კითხვას  
სვამს ვ. ნოზაძე და გადაჭრით უაყოფს, - აქ ა რ ა ვ ი თ ა რ ი  
ჰირდაპირი კავშირი არ არსებობს, რადგან ვეფხის ტუავი ტა-

რიელისა გამოყენებულია ა რ ა მ ი თ ო ლ ო გ ი უ რ ა ღ ან რ ე ლ ი გ ი უ რ ა ღ“ (გვ. 212).

ნ. სულაგას „თვალსაზრისით“, ამის მიხედვით ირკვევა პოემის ვეფხისტყაოსნობის საკითხი. თუ რა, უკვე ვიცით, მაგრამ როგორ აყალიბებს მას, ბოლოს მოგახსენებთ. მანამდე კი უნდა ვიკითხო: განა ნ. სულაგა ვალდებული არ იყო, თუ ამ დებულების დარღვევას არ შეეცდებოდა, ის მაინც ეთქვა, რომ ეს უარყოფითი შეხედულება არსებობს?!

ნ. სულაგა „ვეფხისტყაოსნში“ ვეფხისტყაოსნობის გარკვევისათვის მიმართავს ბიბლიასა და ქრისტიანულ მწერლობას. მისი აზრით, „ქრისტიანული მსოფლმხედველობის გათვალისწინების გარეშე შეეუძლებელია ვეფხვის//ლეოპარდის მხატვრული სახის გააზრება. ამიტომ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი მნიშვნელობა ენიჭება ვეფხვის ა ზ ო კ ა ლ ი ზ ს უ რ გააზრებას, რასაც წმინდა მამები განმარტავენ“ (გვ. 318 [23-24]). ავტორი იმოწმებს იოანეს გამოცხადებას და წმინდა ანდრია კესარიაკაბადუკიელისეულ მის ახსნას. იოანეს გამოცხადება: „და მსეცი იგი, რომელ ვიხილე, იყო მ ს გ ა ვ ს ი ვ ე უ ხ ი ს ა მ, და ფერხნი მისი, ვითარცა დ ა თ ვ ი ს ა ნ ი, და ჰირი მისი, ვითარცა მისნი ჰირი ლ ო მ ი ს ა ი, და მისცა მას ვ ე შ ა ზ მ ა ნ მან ძალი და საუდარი თვისი და ხელმწიფებაი დიდი“. წმინდა ანდრიას ალეგორიული განმარტება, რომელსაც ნ. სულაგა დიდი ამბით იმოწმებს: „ვ ე ფ ხ ი სახუ არს ბ ე რ მ ე ნ თ ა მეფობისაი, სოლო დ ა თ ვ ი - ს ჰ ა რ ს თ ა ი და ლ ო მ ი ბ ა ბ ი ლ ო ნ ე ლ თ ა ი. და ესე ეოველი მიიღოს ანტე ბოროტმან, რამეთუ ვითარცა ბერძენთა მეფე მოვიდეს და ესე ეოველი შეიპყრას“ (იქვე [24]).

რა შუაშია აქ „ვეფხისტყაოსანი“?!

ნ. სულაგა განაგრძობს: „წმინდა ბასილი დიდმა ვეფხი დაახასიათა ეგზეგეტიკურ თხზულებაში «ექესთა დღეთათს»: «ვეფხი სუბუქ და მახვილ არს შეცვალებასსა მისსა. რამეთუ შეზავებულ არს ხორცთა შინა მისთა სინოტიე სიმსუბუქისა

თანა, და მიუდგნ აღძრვათა სულისა თვისისათა» (...). მისი შეხედულებით, ვეფხვი ქ რ ი ს ტ ე ს სიმბოლოა, მისი ტყავი ბიბლიური იოსების ჭრელ სამოსთანაა შედარებული“ (გვ. 319-320 [25]).

ამ ბოლო ახსნას ნ. სულავა წინაც იძლევა: „ვ. ტოპოროვა საღვთისმეტყველო ლიტერატურაზე დაურდობით, ვ ე ფ ხ ვ ი ქ რ ი ს ტ ე ს ემბლემად, სოლო მუ ვეფხვი ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს სიმბოლოდ მიიჩნია“ (გვ. 312 [19]).

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ როგორ შეესაბამება იგი „ვეფხვისტყაოსნის“ იმ გაგებას, რასაც ნ. სულავა გვთავაზობს?! თავის შეხედულებას კი იგი აქ ასე აყალიბებს: „თვით ვეფხვი ნესტან-დარეჯანის სიმბოლური ხატია, მხატვრული სახეა, მეტაფორაა, ვეფხვის ტყავი და მისი სამოსელი - ტარიელისა. «ვეფხვისტყაოსანში» ნესტან-დარეჯანის ცხოვრების ორი პერიოდაა გადმოცემული: 1. ინდოეთის სამეფოს უფლისწულობისა, რაც მისი ვეფხვივით ჰირგამეხებით დასრულდა და რაც მისთვის ბუნებრივი, მისი ცხოვრების გზის ლოგიკური გაგრძელება არ უნდა უოფილიყო; 2. ინდოეთიდან გასვლის ხანგრძლივი პერიოდი, როდესაც ინდოეთში საღვთოსიბრძენ-ნაკულ მუჟის ასულს უნდა შეეძინა იგი და გამხდარიყო «მალღლი და მალღად მხედი» (...). უძველეს რწმენა-წარმოდგენებში შემონახული სიმბოლო ვეფხვი, როგორც ნაუოფიერების იპოსტასისა, ნესტან-დარეჯანის სახეს მომავლის სიმბოლოდ წარმოკვადგენინებს“ (გვ. 321).

სულ ბოლოს: „ვეფხვის ტყავის სამოსელი, ქუდი ისტორიულად მეფეთა აქსესუარია. უძველესი რწმენა-წარმოდგენების გათვალისწინებით, ძველი კულტურების ენაზე «ვეფხვისტყაოსანი» არის მეფე, რომელიც ქალღვთაებას უკავშირდება, სოლო ტყავი გამინაარსებულა ნაუოფიერების იდეით დატვირთული საკრალური საგნის სიმბოლიკით. ქრისტიანულ მსოფლმხედველობასა და ესთეტიკასთან ერთად, ვხვდებით გახსთვალისწინებელა, «ვეფხვისტყაოსნის», როგორც შოთა რუსთველის პოემის სახელწოდების,

თვით ტარიელის ვეფხისტყაოსნობის არსობრივი რაობის განსაზღვრისათვის“ (გვ. 322).

სინამდვილეში, თუკი „ვეფხისტყაოსანში“ ჩავიხედავთ, ამ ტვინის ჭყლეტისაგან უმაღვე გაეთავისუფლდებით და ყველაფერი დღესავით ნათელი გახდება. ვეფხიც და აუზაც პოემაში ან პირდაპირი სახითაა წარმოდგენილი, ან მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული შ ე დ ა რ ე ბ ი ს თ ვ ი ს ა ა გამოყენებული და მას ნ. სულავასეული შორს მიმავალი გააზრებანი არსად არა აქვს<sup>1</sup>. ვ. ნოზაძის გამოანგარიშებით, „ვეფხისტყაოსანში“ „ვეფხი არც ისე ხშირადაა მოხსენებული, როგორც ლომი. ვეფხი ნახსენებია 21-ჯერ, მაშინ როცა ლომი 72-ჯერაა აღნიშნული“ (ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება, გვ. 213). აქედან კი, მისივე სიტყვით, „ვეფხი პოეტური შ ე დ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მხოლოდ შეიძლება გამოყენებული“ (გვ. 215).

რადგან აღნიშნულ, უკაცრავად სიტყვაა, უმეტერებას შევეჭიდე, მკითხველს ბოდიშს მოეუხდი და ერთისა და მეორის ყველა მაგალითს დავიმოწმებ (ვიყენებ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიას“, შედგენილი აკაკი შ ა ნ ი ძ ი ს ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ.,

---

<sup>1</sup> რუსთველოლოგიაში, დაწყებული პლატონ იოსელიანიდან, არაერთხელ იყო ცდა, „ვეფხისტყაოსნის“ სათაურის წარმომავლობა ფირდოუსის „შაჰ-ნამესთან“ დაეკავშირებინათ, სადაც გვირებს ვეფხის ტყავისგან შეკერილი ტანსაცმელი აცვიათ. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მათ შორის რაიმე რელიგიურ-სიმბოლური ერთობა არავის გამოუთქვამს. ახლახან გამოსულ თავის წიგნში „ფირდოუსი და რუსთველი“ მურმან თავდიშვილი მრავალ შემთხვევას აღრიცხავს, თუ ფირდოუსის ამ ვეებერთელა პოეტურ ქმნილებაში სად და რომელი პერსონაჟი ვეფხის ტყავს სამოსად იყენებს და დაასკვნის: „მართალია, ტარიელს ამ ღამაში ცხოველის ტვაკი ვეფხივით გაბრაზებული ნესტანის სახეს აგონებს, მაგრამ ეს როდი გამორიცხავს ვარაუდს, რომ ტარიელი ამ ტყავს ხიმბოლურთან ერთად პრაქტიკულ ფუნქციასაც აკისრებდა. «შაჰნამე» და «ვეფხისტყაოსანი»“ გვიდასტურებს: ვეფხის ტყავს არა აქვს არაერთი ქრისტია-ნულ-ს ი მ ბ ო ლ უ რ ი დატვირთვა“ (გვ. 8).

1956. აქ სურათი ოღნავ განსხვავებულია, ვიდრე ვ. ნოზაძე იუწყება). ჯერ კეფხი როგორც ცხოველი:

- „მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვ ე ფ ხ ი ს ტყავისა,  
ვ ე ფ ხ ი ს ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“ (85.1-2).  
„თავსა და ტანსა ემოსა გარე-თმა ვ ე ფ ხ ი ს ტყავია“ (204. 3).  
„რა ტყენი გაელნა მან ყმამან, მოსილმან ვ ე ფ ხ ი ს ტყავითა“  
(221. 1).  
„მან ქალმან ქვეშე დაუგო ვ ე ფ ხ ი ს ტყავისა ნატები“  
(267. 2).  
„ვ ე ფ ხ ი ს ა ტყავი აცვია, ცუდად ურს სტავრა-ნახლები“  
(690. 3).  
„ვითა ვ ე ფ ხ ს ა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად, მენად“  
(700. 2).  
„ერთკე უც ლომი მოკლული და ხრმალი სისხლ-მოცხებული,  
კვლა სხვავანით - ვ ე ფ ხ ი უსულო, მკვდარი, ქვე-დანარ-  
ცხებული“ (869. 1-2).

906-ე სტროფის წინ მდებარე სათაური:

- „მბობა ტარიელისგან ლომ-ვ ე ფ ხ თ დახოცისა“.  
„ერთი ლომი, ერთი ვ ე ფ ხ ი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს“  
(907. 2).

ტარიელმა ისინი შეყვარებულებს მიადარა:

- „ჰგვანდეს რათმე მ ო ყ ვ ა რ უ ლ თ ა, მათი ნახვა გამეხარნეს  
(907. 3).  
„სახედ ვ ა მ ს გ ა ვ ს ე მ ი ჯ ნ უ რ თ ა, ცეცხლი დამევისნეს  
დებულნი“ (908. 2).

დიახ, შეყვარებულებს მიამსგავსა და მეტი არაფერი.

- „ქედსა გარდავდეგ, ლომ-ვ ე ფ ხ ნ ი მოვიდეს ორგნით  
რებულნი“ (908. 1).  
„ლომი სდევს, ვ ე ფ ხ ი მიურბის, იყვნეს არ ჩემგან ქებულნი“  
(908. 4).

„გამოპრიდნა ვ ე ფ ხ მ ა ნ გული, - დელთამცა გამოპ-  
რიდნეს“ (909. 3).

„ხრმალი გავსტყორცე, გარდვიჭერ ვ ე ფ ხ ი შევიპყარ  
ხელითა“ (911. 1).

„რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვ ე ფ ხ ი ვერა დავამშვიდე“ (912. 1).

„ლაუგო ტყავი ვ ე ფ ხ ი ს ა , რომელ კელა მიწყვი ჰგებოდა“  
(922. 3).

„ამბავი - ტარიელისგან შემოსვა ვ ე ფ ხ ი ს ტყავისა“  
(1265. 2).

„სადაცა ნახნის, დახოცნის ლომ-ვ ე ფ ხ ნ ი მოშამბნარენი“  
(1330. 4).

იგრძნობა აქ სადმე ვეფხს, გარდა რეალური შინაარსისა,  
სხვა რაიმე გადატანითი გაგება ჰქონდეს?!

ახლა ვნახოთ ვეფხი მხატვრული სახის მნიშვნელობით.

ღიახ, ნესტან-დარეჯანი ვეფხთან რამდენიმეჯერაა  
შედარებული. აქედან - ორჯერ, რომ დაგვიზატოს მისი სიძ-  
ლიერე და ძლიერ გაჯავრებული, განრისხებული სახე:

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვ ე ფ ხ ი პირ-გამეხებული,  
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალუა, ედემს ხებული;  
მერმე წარმოჯდა წ ა რ ბ-შ ე რ ჭ მ ი თ, გ ა მ წ ყ რ ა ლ ი,  
გ ა რ ი ს ხ ე ბ უ ლ ი“ (522).

ტარიელი გარკვევით ამბობს, რომ ნესტან-დარეჯანი მას  
ვეფხის სახით აქედან წარმოუდგება. ამაში კი გადამწყვეტი  
იყო ვეფხის ფიზიკური სილამაზე და სიძლიერე :

„რომე ვ ე ფ ხ ი შვენიერი სახედ მისად დამისახავს,  
ა მ ა ლ მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“  
(657. 1-2).

ნესტან-დარეჯანი ფატმანსაც ამავე სახით წარმოუდგა:

„ვ ე ფ ხ ი-ა ვ ა ზ ა პ ი რ-ქ უ შ ა ლ ზის, წ ყ რ ო მ ა ვერ  
ეუგრძენითა“ (1159. 2).

ნესტან-დარეჯანი მესამე შემთხვევაში ვეფხს სიძლიერისა და უშიშარობის გამო ემსგავსება:

„ადგა ასრე გულ-უშიშრად, ვეფხი იყო, ანუ გმირი“  
(1176. 2).

რატომ ამბობს ამას პოეტი? ჩვენმა გმირმა ქალმა იმ წუთას გაიგო, რომ „ბედმან შავმან ვით უზუხთლა“, რომ „ცა მობრუნდა რისხვით“ მისკენ, — მისი საიდუმლო გამჟღავნდა და გულანშაროს მეფეს უნდა ეახლოს. ამ ამბავმა იგი სასოწარკვეთილებაში კი არ ჩააგდო, არამედ ერთხელ კიდევ წარმოაჩინა მისი უდიდესი სულიერი და ხორციელი გამძლეობა და სიმტკიცე. მარტო მისი აფორიზმი რადა ღირს:

„კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!“ (1175. 3).

სინათლე აკლია „ვეფხის“ შემცველ აღნიშნულ სტრიქონებს და მათში რაიმე მისტიციზმის ძიება ნორმალურია?!

ნ. სულავა რამდენიმეჯერ იმეორებს სხვების მიერ გამოთქმულ შეხედულებას, რომ ვეფხი „ქ ა ლ ღ ვ თ ა ე ბ ა ს უკავშირდება“ (ანალები, გვ. 311 [18-19]), რომ „ვეფხვი, ძირითადად, მ დ ე ღ რ ო ბ ი თ ი სქესის სიმბოლოა, იგი ნაყოფიერების სიმბოლოდ აღიქმება და განიხილება, როგორც ქ ა ლ ი, რომელმაც მემკვიდრე უნდა შვას“ (იქვე, გვ. 312 [19]). ერთგან კი ამბობს, რომ ასეც ყოფილა, „ვეფხვის//ლეოპარდის ტუავის სამოსელი, ქუდი, წელსახვევი მ ა მ რ ი ღ ვ თ ა ე ბ ი ს ა და კულტმსახურის აქსეესუარია“, მაგრამ იქვე მოჰყავს სხვა შემთხვევა: „ვეფხვის//ლეოპარდის ტუავი და ქუდი, რომელიც დ ე ღ ა ღ ვ თ ა ე ბ ა ს თ ა ნ დაკავშირებული მოცუეკავუ მამაკაცების მორთულობაში ერთ-ერთი უმთავრესი სამოსელსამკაულია, მიუთითებენ, რომ მათ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მუ ვეფხის სახით წარმოდგენილ დ ე ღ ა ღ ვ თ ა ე ბ ა ს თ ა ნ“ (იქვე, გვ. 317 [22]) და სხვა.



ახლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმის ძიებას, სად, რის გამო შემუშავდა და რამდენად გავრცელებულია ეს შეხედულება. ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ „ვეფხისტყაოსანთან“ მისი რაიმე შეხება არსაიდან ჩანს. ხალხსა და მწერლობაში ვეფხთან შედარებულია უპირველესად მამაკაცები და, როგორც ყოველთვის იყო და დღესაც არის, ამით გამოხატულია მათი სიძლიერე და მოქნილობა. ამგვარადვეა ვეფხთან შედარებული ავთანდილი:

„თავსა ზის პირ-მზე ავთანდილ, მჭვრეტთაგან მოსანდომია,  
სპათა სპასპეტი, რა უქი, ვითა ვეფხი და ლომია“ (57. 1-2).  
„ჩაიცვა ტანსა აბჯარი ქცევითა ვეფხებრ მკრჩხალითა“  
(1041. 1).  
„მისთა მჭვრეტთა დაუსახეს ვეფხსა ტოტი, ლომსა -  
თათი“ (1074. 4).

რაიმე კომენტარი სჭირდება ამ ყოველმხრივ ნათელ მხატვრულ სახეს? რა შუაშია აქ დედა ღვთაება და სხვა მისტიკური ხილვანი?!



თავის დასკვნას ვეფხის შესახებ ნ. სულავა თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს „გულანსა“ და წიგნში და მას ავაზის სიმბოლურ „გააზრებას“ უმატებს. წერს: „ნესტან-დარეჯანის ერთ-ერთ მხატვრულ სახე-სიმბოლოდ ჰოემაში ავაზაა გამოყენებული“ (გვ. 107 [49]), სახელობრ, ამ მხეცის თავისებებანი. „წმინდა ბასილის განმარტებით, - წერს იგი, - ავაზა მეტისმეტად მშვიდი და მუდრო მხეცია, რომელიც ჭამისა და გაძღომის შემდეგ საში დღე იძინებს, საში დღის შემდეგ იღვიძებს, როგორც უფალი, მაცხოვარი იესო ქრისტე აღდგა მესამე დღეს; იგი ხმაურით იღვიძებს“ (იქვე, გვ. 107 [49]). იმავე წმინდა ბასილის განმარტებით, „ავაზა გველის მოძულეა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ნესტან-დარეჯანის სახის სრულყოფილი გააზრებისათვის,

რადგან გველი, ბიბლიური მონაცემების მიხედვით, ამბივალენტური ბუნებისაა, ერთი მხრივ, იგი სიბრძნის სიმბოლოა, მეორე მხრივ, სატანური და მაცდურია. «ვეფხისტყაოსანში» ამ კონტექსტისათვის გველისა და ავაზის ალეგორიულად გააზრების საფუძველი ძალზე გამჭვირვალეა“ (გვ. 108-109 [50]).

„ვეფხისტყაოსნისათვის“ თურმე მის სიჭრელესაც აქვს მნიშვნელობა: „საგულისხმოა, რომ ავაზა გარეგნულად ჭრელია, მისი ტყავი ჭრელია და წმ. ბასილი კესარიელის მიერ იგი ბიბლიური იოსების ჭრელ სამოსელსაა შედარებული“ (გვ. 109 [50]).

ყოველივე ამისგან თურმე გამომდინარეობს: „ფატმანის მიერ ნესტან-დარეჯანის ავაზად აღქმა მის სულიერ გარდასახვას მიუთითებს, მის ამაღლებულ სახეს წარმოაჩენს. გველის ავაზასთან შედარებაც ნესტან-დარეჯანისა ბიბლიური ალუზიის გამოხატულებად მიგვანინია, რადგან აქ ევას ჰირდაჰირი იპოდიგმა იკითხება: ნესტან-დარეჯანმა დაარღვია ის, რაც ასე ამ სგავსებდა ევას, რომელმაც ადამს აკრძალული ხის ნაყოფი აგემა გველის, ემპაიის შთაგონებით; ბიბლიური იპოდიგმურ-ჰარადიგმული სახისმეტყველებით «ვეფხისტყაოსანშიც» ნესტანმა შთაგონატარიელს ზვარაზმშას შვილის მოკვლა, რასაც მოჰყვა მისი გადაკარგვა ინდოეთიდან“ (გვ. 109 [50]).

ნამდვილად კი „ვეფხისტყაოსანში“ ავაზაც ისეთივე რეალური სახითაა წარმოდგენილი, როგორც ვეფხი. ქართულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: ავაზა არის „საშუალო ტანის მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა (ხშირად უმართუბულოდ გაიგივებულია ვეფხვთან და ჯიქთან)... გავრცელებულია აფრიკის, ინდოეთის, წინა და შუა აზიის ტრამალებში. XVIII საუკუნემდე იყო მტკვარ-არაქსის დაბლობზედაც. შუა საუკუნის საქართველოში მოშინაურებულ ავაზას ქურციკებზე სანადიროდ გეშავდნენ. დარბის სწრაფად“ (საქართველო, ენციკლოპედია, თბ., 1997, გვ. 58).

ძველ ქართულ მწერლობაში ავაზაც ამგვარადვე ხშირად გვხვდება. რამდენადაც ზედმეტად ჩამითვალონ, სანიმუშოდ რუსთველის ეპოქის ძეგლებიდან რამდენიმეს დავიმოწმებ. „ამირანდარეჯანიანი“: „იყო ჰინდოთ მეფე აბესალომ, მორჭმული და განკუბიანი. და არა იყო შეჭირვება გულსა მისსა. ესე იყო წესი მისი: ედგა ასი ა ვ ა ზ ა, ექვსი ქორი თეთრი და მწყაზარნი...“ (მ ო ს ე ხ ო ნ ე ლ ი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1967, გვ. 5).

„ნადირობასა ვიუყენით, ა ვ ა ზ ა ს ა ქურციკი შეეპერა“ (იქვე, გვ. 31).

„მერმე დედოფალმან მოაკსენა: «ბრძანეთ და ნადირობად გადითო». ჩვენ გუეგონა: «ესე დედანი არიან და სანადირო არ უთქსო». ოდეს გავედით, მოსრულ იყვნეს მ ე ა ვ ა ზ ე ნ ი და ბაზიერნი. იყო ა ვ ა ზ ა სამოცი...“ (იქვე, გვ. 323).

„ისტორიანი და აზმანი...“: „მცნობელმან ამისმან სალდუსის მის ქემან, სახელით მეტაფრადინ, (...) ძლეული მოვიდა წინაშე თვთმფლობელისა, ყოველთა მეფეთა უზესთაქისსა ამის თამარისა სამფლობელოდ თვსით დიდითა ლაშქრითა (...), საჭურჭლეთა და ლართა თანა ა ვ ა ზ ე ბ ი ს ა და ტაიჭებისა სიმრავლითა“ (ქართლის ცხოვრება, II, ს. ყ ა უ ხ რ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, 1959, გვ. 43).

„ჟამთააღმწერელი“: ყაენმა „თანა წარტანა ლაშქარი დიდი, და გარე-მოადგა რაბაშანს, ხუთ თუე, და ვერა ავნო, აიუზა და წარვიდა. და ჰევა ექუსი არწივი, დამართული სხვათა თანა მფრინველთა და ა ვ ა ზ ა თ ა“ (იქვე, გვ. 323-324).

„ვეფხისტყაოსანშიც“ ინდოეთის მეფე ავაზებით ნადირობს. ფარსადანმა ტარიელს შემოუთვალა: „მინდორს მოკლული ისრითა ნადირი არ მიჭამია“ (473. 3) და სანადიროდ წავიდეთო. ტარიელი გვიამბობს:

„შევეკაზმე, ღარბაზს მივე, ღამხვდა ჯარი ა ვ ა ზ ი ს ა“ (474. 1).

„ვეფხისტყაოსანში“ ავაზა მეორეჯერ ნახსენებია ზემოთ მოყვანილ სტრიქონში, სადაც ნესტან-დარეჯანი განრისხებულ ვეფხვსა და ავაზასთანაა შედარებული:

„ვეფხი-ავაზა პირ-ქუშად ზის, წყრომა ვერ  
ვეგრძენითა“ (1159. 2).

შეიძლება აქ, ამ შედარებაში, ავაზას, ისე როგორც ვეფხვს, სხვა რაღაც არარეალური, მისტიკური გაგება ჰქონდეს, როგორც ეს ნ. სულავას ელანდება?!

□

ნესტან სულავა შემდეგ „გულანსა“ და წიგნში აღნიშნული შეხედულების გასამტკიცებლად განიხილავს ნესტან-დარეჯანის სხვა მეტაფორულ სახეებს: „ედემს ნაზარდი ზის, ვეფხი-ავაზას, ასპიტისა და მტრედის სიმბოლოებს“ (№ 1, გვ. 104-114). იგი თავიდანვე განმარტავს, რომ ესენი „ნესტან-დარეჯანის რთული შინაგანი ბუნების, სულიერი სამეაროს წარმოჩენას ემსახურებიან და მისი თვისებების განვითარების საფეხურებს აჩვენებენ“. ცოტა ქვემოთ საგანგებოდ და განზოგადებულად შენიშნავს, რომ ეს სახეები არა მარტო ნესტან-დარეჯანის, „შოთა რუსთველის ჰომის გმირთა ჩჩულობას წარმოაჩენენ და მხოლოდ მათი გარეგნობის გამოსახატავად არგამოიყენება, მათ უფრო დრამის იმბოლურ მნიშვნელობა აკისრია, რადგან მათ მიღმა მინიშნებულია ის სულიერება, რაც ჰომის მთავარ ჰერსონაჟებს ახასიათებთ“ [34].

კი ვთქვით, „*ენახოთ, ახალს რას გეთავაზობსო*“, მაგრამ მთლად ასე არ არის. ავტორი აქ იმეორებს იმ უმთავრეს მაგალითებსა და შეხედულებებს, რაც ადრინდელ ნაშრომებში აქვს. უპირველესად ასეთია *ედემის ხესთან* შედარების საკითხი. ადრე წერდა:

„ვეფხისტყაოსნის» მთავარი ჰერსონაეები რთული მეტაფორებით არიან დახასიათებულნი, რომელთა ახსნა ბიბლიურ-ევანგელურ და წინაქრისტიანულ მხატვრულ წარმოსახვათა კვალობაზეა შესაძლებელი. ჰოემის კმირთა რჩეულობას ადასტურებს ისეთი მეტაფორები, როგორებიცაა «ედემის ხე», «ედემს ნაზარდი ალვა», «მსგავსია ედემს ზრდილისა». ისინი მხოლოდ კმირთა გარეგნობას როდი მიუთითებენ, მათ უფრო ღრმა, ს ი მ ბ ო ლ უ რ ი მნიშვნელობა ენიჭებათ, რადგან მათ მიღმა ადამიანის განსაკუთრებული თვისებებია მონიშნული“ (კრებული: კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბ., 1998, № 2, გვ. 7).

და მრავალთაგან კიდევ ერთი: „რუსთველის ზემოხსენებულ სტროფში «ედემს ნაზარდმა ალვამ» დაკარგა სამოთხე, დაიშახურა საწუთრო, რომელმაც მ ო უ ტ ა ნ ა მ მ ი მ ე უ რ ო მ ა, ტანჯვა, სიკვდილი, დაკარგა უკვდავება, უზრუნველობა. ზოგადად ედემს ზრდილი ალვის ხის მეტაფორა მიანიშნებს კმირთა ლ ტ ო ლ ვ ა ს ს რ უ ლ ე ო ფ ი ლ ე ბ ი ს ა კ ე ნ, სწრაფვას ჰ ი რ ვ ე ლ ს ა ხ ე ს თ ა ნ მიმსგავსებისა, რასაც გვამცნობს და გვასწავლის უმდიდრესი საღვთისმეტყველო ლიტერატურა“ (იქვე, გვ. 8).

ნ. სულავა ამასვე კვლავ იემეორებს: „ნესტან-დარეჯანის იდოეთში ეოფნა და ცხოვრება ალუზიურად სამოთხის მკვიდრის ცხოვრებას წააგავს“ (გვ. 104). რატომ? ის ასე მსჯელობს: „ეს მეტაფორა ედემის ხე, ედემს ნაზარდი ალვა - ძველთაუძველესია, იგი ბიბლიიდან, შუამდინარული მითოლოგიიდან და ჰოეზიიდან მომდინარეობს, უძველესი მითოლოგიური წარმოდგენები ამგვარი მეტაფორული აზროვნებითაა გაჯერებული. ქრისტიანულ მწერლობაში «ედემს ზრდილი», «ედემის ნერგი» ხ ა მ ო თ ხ ე შ ი დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ უ ლ, მეტაფორულად - «დარკულ», ა დ ა მ ს, ჯერო უცოდველს, გულისხმობს (ვინ გულისხმობს, რუსთველი? - ბ. დ.), რაც ბიბლიიდან იღებს სათავეს. რუსთველთან მთელი ჰოემის მანძილზე ხორციელდება ედემს მომორებული ედემის ნერგის თ

ა ვ ი ს ბ უ ნ ე ბ რ ი ვ სამყოფელში დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს ურთულესი სულიერი ჰროცესი“ (გვ. 105 [34]).

შემდეგ უფრო გარკვევითაა ნათქვამი, რომ რუსთველი აღნიშნულ ხეს ამ შინაარსით წარმოგვიდგენს: „«ვეფხისტყაოსნის» მიხედვით, «ეგემს ზრდილი ალვის ხის» მეტაფორა მიანიშნებს გმირთა ლ ტ ო ლ ვ ა ს ხ რ უ ლ ე ო ფ ი ლ ე ბ ი -საკენ, ხწრაფვას პ ი რ ვ ე ლ ხ ა ს ე ს თ ა ნ მიმგაფხებისა, რასაც გვამცნობს და გვასწავლის უმდიდრესი საღვთისმეტყველო ლიტერატურა“ (გვ. 106 [35]).

თუ „ვეფხისტყაოსნიდან“ ყოველივე ეს როგორ გამოდის, ჩვენთვის გაუგებარია. გვეუბნება, ასეაო და მორჩა, გათავდა!

სინამდვილეში ამ „ნააზრევს“ არავითარი საფუძველი არა აქვს.



„ვეფხისტყაოსანი“ მკვეთრად გამოხატული საერო თხზულებაა და, განსხვავებით სასულიერო მწერლობისაგან, ადამიანთა გარეგნობის აღწერას, მათი ნაკეთების სილამაზისა და სიძლიერის წინ წამოწევას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ერთ-ერთი ღირსება ადამიანისა, რასაც რუსთველი ყოველთვის საგანგებოდ წარმოაჩენს, კარგი ტ ა ნ ი ა. პოემაში ხშირად პირისახისა და ტანის მშვენიერება გვერდიგვერდ არის აღნიშნული. პოემაში მოყვანილია თქმულება:

„ვარდსა ჰკითხეს: ეგ ზომ ტურფა რამან შეგქმნა ტ ა ნ ა დ,  
პ ი რ ა დ“ (878. 1).

ტარიელის თქმით, იგი ნესტან-დარეჯანს არავისში გაცვლის, რა პირისახითა და ტანადობითაც იყოს შემკობილი:

„ვისი გინდა უშენოსა პ ი რ ი მემზოს, ტ ა ნ ი მებს“  
(532.4).

ავთანდილი ტარიელს ეუბნება:

„პ ი რ ი შენი ნახვად ჩემად თუ მობრუნდეს, ტ ა ნ ი იხოს“ (667. 1).

ფატმანი თავისი „ხელმწიფის“ შვილს ასე ახასიათებს:

„უებროსა ზნედ და თვალად, შვენეირსა პ ი რ ს ა, ტ ა ნ ს ა“  
(1186. 2).

ტარიელზე ნათქვამია:

„იგი ლალი და უკადრი მივა ტ ა ნ ი ს ა მრხეველად,  
ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მ ზ ე ველად“ (96. 2-3).

„მკვლარი მიმძიმ სანახავად, ტ ა ნ ი მჭევრი, პ ი რ ი ვარდი“  
(433. 3).

„ვპოვე ხე, ტ ა ნ ი ალვისა, სოფლისა წყლისა რწყულისა,  
მუნ პ ი რ ი, მსგავსი ვარდისა, მაგრა აწ ფერ-ნაკლულისა“  
(696. 3-4).

ყურადღებაა მისაქცევი, ამ ბოლო სტროფში „ალვის ტანი“ სამოთხის, ედემის ხე არ არის. რუსთველის შენიშვნით, ის ამ სოფლის, ამ ქვეყნის წყლითაა ნასაზრდოები და გაზრდილი.

ნესტან-დარეჯანი:

„საკვირველი და ღარიბი, უცხო პ ი რ ი თ ა, ტ ა ნ ი თ ა“ (408. 4).

ტარიელის დახასიათებით, ფარსადან მეფე იყო:

„ტ ა ნ ა დ ლომი და პ ი რ ა დ მზე, ომად მძლე, რაზმთა  
მწყობელი“ (311. 4). და ა. შ.

ამ ტექსტებშიაც გამოჩნდა, პოემაში კი სხვაგან პერ-სონაჟების ტანი ნაირგვარი ეპითეტებითა და შედარებებითაა აღწერილი. ვიდრე ამ მხატვრულ სახეებს ჩამოვთვლიდეთ,

მანამდე უნდა ვთქვათ, ტანადობის აღმნიშვნელად მარტო „ზეცაა“ ნახსენები:

„ქმარი არ მინდა უშენო, მომხვედეს ხ ი ს ა ც ა რგულისა!“  
(153. 3).

„გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: შენ ასეთნი ხ ე ნ ი ვით ჰხენ“  
(596. 1).

„ვეუთხარ: მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ის ხ ე!“ (629. 4).  
„ფატმან ზის წყენით, შევიდა ავთანდილ მარტო ხ ე ვითა“  
(1098. 2).

სხვაგან სახელდებულა, რომელია ის მცენარე, რომელსაც პოემის გმირი ემსგავსება. საამისოდ გამოყენებულია ეპითეტები და მეტაფორა-შედარებები. დავიწყოთ ალჰინსით. ტარიელი:

„ჩემნი სწორნი წავიტანენ, ჩემსა დაეჯე, მთქვიან ა ლ ვ ა დ“  
(369. 3).

„წიგნი მომართვა, ეწერა: ვინ სჩან ა ლ ვ ი ს ა ტ ა ნ ი ს ა დ...“  
(517. 3).

„ჩემი თქვეს, თუ: ღმერთსა მადლი, ვინ ა ლ ვ ი ს ა ხენი  
ასხნა!“ (619. 4).

„მაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწვა, და-, ა ლ ვ ი ს ა ხემან“  
(738. 3).

„ა ლ ვ ა ს ა წყარო ცრემლისა მორწყავს, ნაკადი ბევრები“  
(1336. 3).

„ტარიელსა უსალამეს, მას ა ლ ვ ი ს ა მორჩსა ვით ხეს“  
(1424. 1).

ნესტან-დარეჯანი:

„ვპკითხე, თუ: ნეტარ, მისრულა მორჩი ა ლ ვ ი ს ა ხე მისად?“  
(491. 4).

„ადრე მოდიო, გიბრძანებს მსგავსი ა ლ ვ ი ს ა ზრდილისა“  
(553. 4).

„მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პ ი რ-მ ხ ე ტ ა ნ ი თ ა ლ ვ ა“  
(1144. 1).



„მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ა ლ ვ ი ს ა ხისაგან“  
(1147. 3).

„ჩემი სთქვა: სხვათა მიჰხედების იგი ა ლ ვ ი ს ა ტ ა ნ ი თ ა“  
(1302. 2).

„ავთანდილ ასმათს უსტარი მისცა მისისა ზრდილისა,  
ა ლ ვ ი ს ა შტო-დამჰნარისა, მთეარისა ფერ-მიხდილისა“  
(1359. 1-2).

„მას აღრე ვჰპოვებთ, ვისიცა მოგვეკლავს ა ლ ვ ი ს ა, მო-,  
ტ ა ნ ი“ (1387. 4).

**ავთანდილი:**

„მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ა ლ ვ ა ჩემი არ დაჰნა ხე“ (157. 3).

„ჩემი თქვეს, თუ: ღმერთსა მადლი, ვინ ა ლ ვ ი ს ა ხენი  
ასხნა!“ (619. 4).

„ღმერთმა ქმნას და კვლაცა გნახო ა ლ ვ ა მორჩი, განაზარდი“  
(666. 4).

„ვით მიაბზე წასლვა მისი, ვინ ა ლ ვ ი ს ა მორჩი ხე წნა“ (760. 3).

„მარტო მოსთქმიდის, ტიროდის ტანად ა ლ ვ ი ს ა ხიანი“  
(841. 1).

„იტყოდა: მომკლავს უცილოდ ტანი ა ლ ვ ი ს ა, მო-, ხისა“  
(1260. 2)

**ტარიელი და ავთანდილი ალვის ხეზე უფრო ლამაზი  
ტანისანი არიან:**

„რომე მათ თანა ა ლ ვ ი ს ა ხეცა ვარგ იყო ხედ არად“ (281. 3).

**თინათინი:**

„ვეჭვ, ღმრთითა აღრე შეგყარო მზესა მას, ტ ა ნ ა დ ა ლ ვ ა ს ა“  
(1512.4).

**ფრიდონი:**

„იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი ა ლ ვ ი ს ა ც ხენია“ (616. 4).

როგორც ვხედავთ, პოემაში ალვა ყველგან ტანადობას, ტანის სიმაღლესა და მოხდენილობას აღნიშნავს და სხვას – არაფერს!

გადავიდეთ „საროზე“. „ალვა“ და „სარო“, როგორც ერთისა და იმავეს აღმნიშვნელი, გვერდიგვერდაც არის ნახსენები:

„ანუ ბაღს ა ღ ვ ა ს ა რ ო ს ა ახლოს რგოს, მორწყოს, ახიოს“ (711. 2).

როგორც „ალვასთან“ იყო, „საროც“, ტანადობის გამომხატველი, პირისახის გვერდითაა წარმოდგენილი. ზოგადად ნათქვამია:

„კვლაცა მითხრა: ვისცა ღმერთი ს ა რ ო ს მორჩსა ტ ა ნ ა დ უხებს“ (633. 1).

„მუროს ღმერთმან მამაცი, პ ი რ ი მზე, ს ა რ ო-ტ ა ნ ი ა“ (1193. 2). და სხვა.

ახლა პერსონაჟების მიხედვით. ტარიელი:

„მისი რა მითხარ, ვინ არის ტან-ს ა რ ო, პირ-ბაკმიანი“ (233. 3).

„მითხრა: ჰხედავ პ ი რ ი მზისა, თქვენ ს ა რ ო ს ა ეგეც ხენი“ (647. 2).

„მუნ ს ა რ ო, მსგავსი ვარდისა, ვნახე, მისჭირდა, მი, ნები“ (697. 1).

ნესტან-დარეჯანი:

„იგი რა ნახა მეფემან, ს ა რ ო ს ა მსგავსი ნარები“ (1179. 3).

ავთანდილი:

„ს ა რ ო ს ა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“ (40. 2).

„ტანად ს ა რ ო ლა პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა“  
(296. 2).

„შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად ს ა რ ო მ ა ნ“  
(771. 1).

„აქადაღმა ათ დღე მიხვალ ნაკვთად ს ა რ ო, ფერად ლალი“  
(973. 3).

„ვისი ჰგავს ტანი ს ა რ ო ს ა და ვისი გული – რკინასა“ (975. 2).

„მონა ფიცხლა მოეგება, ნახა ს ა რ ო, მორჩი ტანი“ (983. 3).

„ს ა რ ო ს ა ნაზი ნაზარდი და მთვარე დღისა შვიდისა“ (1073. 2).

არის აქ სადმე სარო გადატანითი მნიშვნელობით, გმირის რაღაც სულიერი, მეტადრე, მისტიკური გაგებით, თუ ყველგან იგი, არც მეტი, არც ნაკლები, პერსონაჟის აღნაგობას, ტანადობას აღნიშნავს?!

ამავე რიგისაა ლერწამი. ზოგადად არის ნათქვამი:

„ვის ბადახში არა ჰგვანდეს და ლ ე რ წ ა მ ი ტანად ეზროს“  
(177. 3).

„ქაცვი ლ ე რ წ ა მ მ ა ნ, ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამან“  
(689. 2).

ტარიელი:

„ნახონ, მჭვრეტელთა ახელებს, ტანი ლ ე რ წ ა მ ო ბ ს  
რხევითა“ (979. 4).

„ლ ე რ წ მ ი ს ა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დაიკარვებდა“  
(891. 3).

ნესტან-დარეჯანი:

„აწ მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა, ლ ე რ წ ა მ -ტანისა“  
(863. 4).

ავთანდილი ტანადობით ერთგან სოსანსაც არის შედარე-  
ბული:

„დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სო ს ა ნ ი,  
ძოწეულითა მოსილი, პ ი რ ა დ ბროლ-ბადახშოსანი“ (72. 1-2).

„ვეფხისტყაოსანში“ ტანი არის აგრეთვე „მჭევრი“, „გაწ-  
ლობილი“ (წვრილი), „კენარი“, „წერწეტი“, „ჯავარ-სრული“,  
„უებრო“, „ლომი“, „ჯანიანი“, „ნაკვთიანი“, „მტერთა მემა-  
ჯანიანი“ და სხვა. ამ სახეებით ძირითადად გამოხატულია  
ტანი, ტანადობა, ზოგჯერ კი, როგორც ზემორე მაგალი-  
თებშიცაა, განზოგადებულად მთლიანად პერსონაჟი:

„ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, ტანსა მჭევრსა  
ათრთოლებდა“ (138. 3).

„ველარ გიჭვრეტ ნაბურთაღსა, ტანსა მჭევრსა, ჯავარ-  
სრულსა“ (823. 2).

„მინდორთაკე წაიყვანა, ტანი მჭევრი აძვრეენა“ (892. 3).

„მკვლარი მიმძიმ სანახავად, ტანი მჭევრი, პირი ვარდი“  
(433. 3). და სხვა.

აკაკი შანიძე განმარტავს: *მჭევრი* „სიტყვა ჰოემაში უმე-  
ტესად ტანის განსაზღვრებაა (...). ამ შემთხვევაში მისი მნიშე-  
ნელობაა: მოხდენილი, გრაციოზული“ (თხზულებანი, V, გვ.  
426).

„კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა, წვრილსა  
ვითა თმასა“ (962. 4).

„ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა“  
(59. 1).

„ტარიელ შავსა ზედა ზის ტანითა მით წერწეტითა“  
(1409. 4).

„ავთანდილ გავლო ქალაქი მით უებროთა ტანითა“ (1112. 1).

„ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა  
მწყობელი“ (311. 4).

„ხელ-სისხლიანი ავთანდილ შედგა ტანითა ჯანითა“ (1115. 2).

„ისი მინდორს არონინებს ტანსა მტერთა მემაჯანსა“ (261. 2).

აქაც ხმაამაღლა უნდა ვიკითხო: ადვილად გასაგები რეა-  
ლურის გარდა, თუკი საღი გონებით შევხედავთ, ამ სტრიქო-  
ნებში სხვა რამე ჩანს? რა თქმა უნდა, არა!

ახლა მივაღექით მთავარ საკითხს – ე დ ე მ შ ი ნ აზარ დ ხ  
ე ს, ა ლ ვ ა ს, ს ა რ ო ს, ლ ე რ წ ა მ ს. დავიწყოთ ნეტან-  
დარეჯანიდან. დიახ, ნესტანი შედარებულია ედემის ხესთან,  
ედემის ალვასთან:

„ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხ ე ო, ე დ ე მ ს დანერგულ“ (309. 3).

„ვინცალა ნახავს, აწ ნახოს, აჰა ხ ე, ე დ ე მ ს ხებული“ (476. 3).

„არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხ ე ა ლ ვ ა ე დ ე მ ს  
ხებული“ (522. 2).

ნესტან-დარეჯანი ტანადობით შედარებულია აგრეთვე  
გაბაონში ნაზარდ ხეს (გაბაონი ქალაქი იყო იერუსალიმის  
ჩრდილო-დასავლეთით):

„მუნ იზრდებოდის ტ ა ნ ი თ ა გ ა ბ ა ო ნ ს განაზარდითა“ (331. 4).

ასევეა ტარიელთან:

„იტყოდეს ჩემნი მნახავნი: მსგავსია ე დ ე მ ს ზრდილისა“  
(321. 3).

„ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტ ა ნ ა დ ვჰგვანდი ე დ ე მ ს  
ზრდილსა“ (332. 3).

ესენი, გარდა იმისა, რომ „ედემი“ ემატება, შინაარსობ-  
რივად განსხვავდება ზემორე დამოწმებული სტრიქონები-  
საგან? აქაც ხომ ყ ვ ე ლ გ ა ნ ედემში ნაზარდი ხ ე, ა ლ ვ ა  
და ლ ე რ წ ა მ ი ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ტ ა ნ ა  
დ ო ბ ა ს გვიჩვენებენ! სად ჩანს მეორადი, გადატანითი,  
სულიერი შინაარსი, ადამსა და ევასთან კავშირი?!

ახლა ვნახოთ, ეს ეპითეტი და ედემთან შედარება  
რამდენად შეესაბამება „ვეფხისტყაოსნის“ სხვა პერსონაჟებს.  
დავიწყოთ ავთანდილით. აქაც იგივე ვითარებაა:

„ავთანდილის შემხედველთა: ჰგავსო ა ლ ვ ა ს, ე დ ე მ ი ს  
ხ ე ს“ (77. 4).

„ვინ გუშინ ე დ ე მ ს ნ ა ზ ა რ დ ი ა ლ ვ ა მ რ გ ო, მომრწყო,  
მახია“ (715. 1).

ამასვე გვიჩვენებს თინათინი:

„წყლად ეფურატსა უხვად ერწყყო ე დ ე მ ს რ გ უ ლ ი ა ლ ვ ა  
მ ჭ ე ვ რ ი“ (694. 2).

მოგმორდი, ე დ ე მ ს ნ ა ზ ა რ დ ო ტ ა ნ ო ლ ე რ წ ა მ ო და  
ხ ე ო“ (725. 2).

„ვეფხისტყაოსანში“ ერთხელაა ნახსენები „სამოთხე“ და იგი თინათინს მიეძმარება. თვითონ თინათინი ამბობს:

„სრულად მოვსწყდე ს ა მ ო თ ხ ე ს ა, ქვესკნელს ვიყო  
დასანთქმარი“ (133. 3).

რა, ეს ეპითეტები თუ შედარებები, როცა ისინი, საზოგადოდ, ერთის მხრივ, ტარიელისა და ნესტანის, მეორე მხრივ, ავთანდილისა და თინათინის ტანადობას გამოხატავენ, ფორმითა და შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან? კერძოდ, *ედემისეული* ხე, ალვა თუ ლერწამი განსხვავდება არა *ედემისეული* მცენარეებით გამოხატული სახეებისაგან? გამჭვირვალობა და სინათლე რომელიმე მათგანს აკლია?

კიდევ უფრო საყურადღებოა სხვა. თუ ნ. სულავასა და სხვათა მოსაზრებათა თანახმად, ტარიელმა და ნესტანდარეჯანმა ადამსა და ევასავით ცოდვა ჩაიდინეს და მონანიების გზით ცდილობენ განწმენდას, ხოლო ტანჯვის გავლის შედეგად სრულყოფილნი ხდებიან და, რაც მთავარია, ეს *ედემის* მეტაფორითა თუ სიმბოლოთი იკვეთება, ქალბატონი ნესტანი კითხვას არ სვამს და არ უპასუხებს, ზუსტად იმავე ეპითეტითა და შედარებით რატომაა დახასია-

თებუღი ავტანღიღი ღა თინათინი?! ესენიკ განსაწმენღელნი არიან?!

ამსთან ღაკავშირეღით იძუღეღული ვარ, გავიღეღო ჩეღი წიგნის „უვიცობის, პღაგიატობისა ღა განუკითხაობის წინა-აღღეღ რუსთვეღლოღღიაში“ ერთი აღგიღი (გვ. 58-59).

ქაღბატონი ნესტანი „გვარწმუნეღბღა“: გარღა ინღოეთისა, „ვეფსისტეაოსნის ა რ ა ბ ე თ ი ღა მისი სამეფო კარი ჰარმონიული, მოწესრიგეღული ქვეყანაა, საღაც ვეღღაფერი სრულეღოფიღეღისაკენ არის მიმართული. მართაღია, ჰოემის ღ ა ს ა წ ე ი ს შ ი ის ჯურ კიღევ ა რ ა ა ზ ე ც ი უ რ ი ე რ უ ს ა ლ ი მ ა ღ ჩ ა მ ო ე ა ლ ი ბ ე ბ უ ლ ი, მაგრამ ჩანს ჰერსჰექტივა, რომ იგი უ თ უ ო ღ ი ქ ნ ე ბ ა ხ ა ტ ე ბ ა ღმერთის მიერ შექმნიღი ზ ე ს თ ა ს ა მ ე ა რ ო ს ი, ჰ ი რ ვ ე ლ ქ მ ნ ი ლ ი ს ა მ ე ა რ ო ს ი, რის საწინღარიცაა არაბეთის სამეფო ტახტზე მჯღომი მეფის სრულეღოფიღეღა, მეკვიღრობით რომ გადაეცემა ასაღ მეფეს, რომეღიც, თავის მსრივ, მამისეული სასახღიღან გაუსეღეღაღ, აკეთებს უმნიშვნეღოვანეს, ურთულეს საქმეს ღა მონაწიღეღობს, resp. მოთავეობს უცხო მოემის მომეზნას, რ ი თ ა ც ს ა ფ უ მ ვ ე ლ ი ე ე რ ე ბ ა ა ხ ა ლ ს ა მ ე ა რ ო ს, თ ვ ი ს ე ბ რ ი ვ ა ღ გ ა ნ ა ხ ლ ე ბ უ ლ ი მ ს ო ფ ლ ი ო ს შ ე ქ მ ნ ა ს“ („ღიტიერატურული ძიეღბანი“, 2002, № XXIII, გვ. 175).

ქაღბატონი ნესტანის აზრით, არაბეთში ეს ხღეღა თაობათა ცვღით, რომ როსტევეანი სამეფო ტახტს უთმობს თავის ერთაღერთ შვიღს: „მ ვ ე ლ ი თ ა ო ბ ი ს წარმომადგენელი როსტევეანი, – განაგრძობს ნ. სულავა, – თავისი სამეფოს მომავალზე ზრუნავს ღა თავის ერთაღერთ ასულს ამეფებს, ე. ი. აღგიღს ა ხ ა ლ თ ა ო ბ ა ს უთმობს, რომეღმაც თ ვ ი ს ე ბ რ ი ვ ი ს ი ა ხ ლ ე უნღა ღაამკვიღროს, ზნეობრივად, სოციაღურად, ჰოღიტიკურად, კულტურულად განახღეღულ საზოგადოებას მისცეს ასჰარეში ღა

ახალ იქვეუანა, ახალი სამეარო  
უნდა ჩამოაყალიბოს“ (გვ. 176).

ახლა „გულანსა“ და წიგნს რომ დაუბრუნდეთ, თუ, როგორც იქ წერია, „რუსთველთან მთელი ჰოემის მანძილზე ხორციელდება ედემს მოშორებული ედემის ნერვის თავის ბუნებრივ სამოფელში დაბრუნების ურთულესი სულიერი პროცესი“ (გვ. 105 [35]) ან „ვეფხისტუაოსნის» მიხედვით, «ედემს ზრდილი ალვის ხის» მეტაფორა მიანიშნებს გმირთა ლტოლვას ზრდილი ალვის ხისაკენ, ლტოლვას ჰორველსა ხესთან მიმსგავსებისა, რასაც გვამცნობს და გვასწავლის უმდიდრესი საღვთისმეტყველო ლიტერატურა“ (გვ. 106 [35]), როგორ უნდა შევათავსოთ ერთმანეთთან ნესტან-ტარიელისა და თინათინ-ავთანდილის ედემს ნაზარდ მცენარესთან ერთნაირად შედარება?!

ქალბატონი ნესტანი ამაზე არ ფიქრობს, არ მსჯელობს, მარტივი სინამდვილის დანახვისა და ანალიზის უნარი არ შესწევს!

აი, ნ. სულავას კიდევ ერთ დაუნახობასა და გონებრივ სიბრმავეზე, რაც ჩვენს კრიტიკულ წიგნში აღნიშნულია (გვ. 22) და აქ უნდა გავიმეოროთ. იმავე ედემის ხესთან დაკავშირებით ის წერდა: „მეტად საკულისხმოა ისიც, როდის, რომელ ეზოსოდშია ამგვარი მეტაფორა გამოყენებული, რადგან ჩანს ტარიელისაკუთარ თავს «ედემს ზრდილად» ცოდვის ჩადენამდე მთიანეთს“ (კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, გვ. 7).

„გულანსა“ და წიგნშიაც ბეჯითად აღნიშნავს: „მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, თუ როდის არის გამოყენებული ეს მეტაფორები. თვით ტარიელმა საკუთარ თავს «მსგავსია ედემს ზრდილისა» უწოდა. ეს ტარიელის ცხოვრებაში ის ჰორიოდია, როდესაც მას ცოდვა არ ჰქონდა ჩადენილი“ (გვ. 104 [34]).



მაშინ აღვნიშნე და გოაცებულმა ახლაც უნდა მივუთითო:  
ნესტან-ტარიელს „ცოდვა“ უკვე „ჩადენილი აქვთ“, ტარიელი  
უდაბნოში დაეხეტება, ნესტან-დარეჯანი ისევ ტანჯვაშია და  
ა მ დ რ ო ს ტარიელი ნესტანს „ედემს დარგულ ხეს“  
უწოდებს:

„მოსთქვამს: ჰა, ჰა, საყვარელო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო,  
იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო,  
ვინ მოგკვეთა, არა ვიცი, ხ ე ო, ე დ ე მ ს დ ა ნ ე რ გ უ ლ ო!...“  
(309. 1-3).

როგორ ხდება ეს? რა მკვლევარი უნდა ეწოდოს იმას,  
რომელიც ამ თვალსაჩინო მაგალითსაც ვერ ამჩნევს?

□

იგივე ვითარება არის გველ-ა ს პ ი ტ თ ა ნ შედარებისას.  
როშაქის მიერ დატყვევებული ნესტან-დარეჯანი თავის  
ვინაობას კვლავ არ ამჟღავნებს:

„ქუშ-ქუშად გვეუბნებოდა კუშტი, თავისა მკრძალავი,  
ვითა ა ს პ ი ტ ი, მჭვრეტელთა მისთა თვალითა მლაღავი“  
(1231. 3-4).

სურათი ერთიანია და რეალური: დახატულია დაღონე-  
ბული და განრისხებული მზეთუნახავი ქალი. აკაკი შანიძის  
განმარტებით, *ქუშქუშ* არის „წარბ-შეჭმუხნილი, მწვრალი“,  
*კუშტი* – „მკაცრი გამომეტყველებისა, მრისხანე“, *თვალი* –  
*თა მლაღავი* „თვალით მოჩხუბარი, თვალით მომწუს-  
ხველი, თვალით წამრთმევი ნებისა, ძალისა“.

ჩვენი მკვლევარი-ქალბატონი კი ასე მსჯელობს:  
„მ ე ტ ა დ ს ა გ უ ლ ი ს მ ო ა ფატმანის მიერ ნესტანის  
ა ს პ ი ტ თ ა ნ შედარებაც. (...) ასპიტის სიმბოლური სა-  
ხის განსამარტებლად ისევ წმინდა ბასილი კესარიელის ზეპოს-  
სენებულ თხზულებას – «მკეცთათვის» დავიმოწმებ: «სახისმეტ-  
ყუელმან თქვა ასპიტისად: რაჟამს მამალი შეეხის ღედალსა,

პირთ მკენს. და დედამან, რაჟამს შთანთქის თესლი იგი, საუერველნი მოჰკუეთნის მამალსა მას და განაშორვნის. რაჟამს ჰგონიენ მამალსა მას, თუ შეესო დედალსა მას, მუნქუესვე მოკუდის მამალი იგი, სიკუდილის წინა მრავალჯერ მივიდის-მოვიდის დედლისა მის და რამეთუ ვერ დაუთმის, შეეხის დედალსა მას და მოკუდის. ხოლო დედალსა მას, რამეთუ არა აღენ მუცელი, რადთამცა მართუენი იტკრთნა, რაჟამს აღორძინან ლეკუნი იგი, განკურტნიან გუერდი დედისა თვისისანი და გამოკედიან და მოკლიან დედად იგი თვისი და ესრეთ მამა-დედისა მჭამელ არიან. კეთილად ამსკავსნა ფარისეველნი ასპიტთა: ვითარცა სახედ ასპიტმან მამა-დედად მოკლის, ეგრეცა ფარისეველთა მამად საგონებელი, მამად და დედად თვისი, მაცხოვარი ჩუენი იესუ ქრისტუც და ეკლესიად. რადთა აღესრულოს სიულტოლად რისხვისად მის, რომელი მოსლვად არს? ხოლო მამად იგი მათი და დედად მათი ცხოველ არიან უკუნისამდე და ივინი მოწყდეს საუკუნოდ» (გვ. 110-111 [51]).

6. სულავა იმოწმებს თეიმურაზ ბაგრატიონის სავესებით სწორ და ნათელ იმავე აზრს, რომელიც ზემორე აღვნიშნეთ: „ასპიტი, კველი, ფრიად სასტიკი, თვალეში შეხედვა იმისი საკირველს მრისხანებას და მოლაღობას აჩვენებს, ესე იგი, მენხუბრობასა და ბრძოლის სასტიკს მხარეს“. და აქედანაც თავისი უკუღმართი შეხედულება გამოაქვს. წერს: „ვფიქრობთ, ს წ ო რ ე დ ა მ გ ვ ა რ ი, ა ს ჰ ი ტ ი ს თვისებებზე აქცენტირების ს ა ხ ი ს მ ე ტ უ ვ ე ლ ე ბ ი თ უნდა იუოს გასააზრებელი ნესტან-დარეჯანის სახე, რომლის ქმედებას, ტარიელის ქმედებასთან ერთად, მოჰყვა ინდოეთის «გარდაქარება» და მამის სიკვდილი“ (გვ. 111).

აი, ასეთია ნ. სულავას მორიგი მოჩვენება და ხილვა!



დასასრულ, კიდევ ერთი სახე — მ ტ რ ე დ ი. მას შემდეგ, რაც გულანშაროში უსენმა მეუღლის საიდუმლო გასცა და ნესტან-დარეჯანი ზღვათა მეფეს, მელიქ-სურხავს, მიჰგვა-

რეს, მეფე ყოველნაირად ცდილობს, გაიგოს, ვინ არის ეს საოცარი ქმნილება, მაგრამ, ვერაფერზე რომ პასუხი ვერ მიიღო, ასე მსჯელობს:

„მეფე ბრძანებს: «რა შევიგნათ, გული ჩვენი რათ იხსნების?  
ამა ორთა კიდევანი აზრი არა არ იქმნების:  
ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ეგონების,  
მისგან კიდე არვისად სცალს, ველარცა ვის ეუბნების.

ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,  
არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედას-ზედი;  
ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,  
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უცვითა ტ რ ე დ ი»“  
(1183-1184).

ნ. სულავა იმოწმებს ბოლო სტროფს და ასეთ ახსნა-განმარტებას ურთავს: „ეს კონტექსტი ადასტურებს ნესტან-დარეჯანის ს უ ლ ი ე რ გ ა ნ წ მ ე ნ დ ა ს ა და ს რ უ ლ ე ო ფ ა ს, რადგან «ტრედის გონებით მოსილობა» მხოლოდ დ მ ე რ თ თ ა ნ ზ ი ა რ ე ბ ი ს შედეგია. ამასთანავე<sup>1</sup>, უნდა აღინიშნოს, რომ მტრედი ეოვლად უვნებელი ფრინველია, იგი მწერებით, საერთოდ, ცოცხალი არსებებით არ იკვებება, რაც, აგრეთვე, ს ი მ ბ ო ლ უ რ მხატვრულ ფუნქციას იძენს. მ . ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ისაა, რომ ნესტან-დარეჯანი უ კ ვ ე ვ ე ლ ა რ ა ვ ი ს მიაუენებს ვ ნ ე ბ ა ს (...). ნესტან-დარეჯანის გონების მტრედთან შედარება სწორედ იმას მიანიშნებს, რომ მისი გ ა ნ წ მ ე დ ი ლ ი სული და გონება ა ხ ა ლ ი ე ჰ ო ქ ი ს დ ა დ გ ო მ ი ს თ ვ ი ს მხადაა, რაც ჰომის ჰერსონაეთა

---

<sup>1</sup> ნ. სულავას ვერ დაუუკარგავ, ამ სიტყვიდან დაწყებული, დამთავრებული სიტყვით „გახანგრძლივდა“, კრებულში აღარ იკითხება. ვაშა მას, თუ კი ეს ნაწილი მან თავისით ამოიღო და არა სხვისი მითითებით. თუმცა ეს უკანასკნელიც რომ იყოს, პროგრესი უთუოდ უნდა ვადიაროთ!

ცხოვრებაში სიახლის მოლოდინსა და მ ო მ ა ვ ა ლ შ ი მის დაპყვიდრებას მოასწავებს“ (გვ. 112-113 [52]).

მკითხველს შეხსენება არ უნდა დასჭირდეს, აქ საუბარია და ავტორს იქითკენ მივყავართ, საიდან ჩანს და როგორ ხდება ინდოეთის ახალ იერუსალიმად გარდაქმნა. კერძოდ, მაინც რა საფუძველს ეყრდნობა ავტორი, რბილად რომ ვთქვათ, ამ უცნაური „აზრის ამოკითხვაში“? აი, — რას (ბოდისშს ეუხდი მკითხველს გრძელი ამონაწერისათვის):

„ნესტან-დარეჯანის ერთ-ერთი მხატვრული სიმბოლო არის მ ტ რ ე დ ი, რომლითაც წმინდა წერილსა და საღვთის-მეტყველო ლიტერატურაში სულიწმინდა ღმერთის გამოხატულებაა, იგი სიახლისა და სიკეთის, სამეაროს გარდასახვის მახარებელია; აგრეთვე, მტრედი სიწმინდისა და სიმშვიდის სიმბოლოა; წარღვნის დასრულებისას მტრედი და ზეთისხილის რტო გადარჩენის, ხსნის ნიშანია, სიმბოლოა (...), მშვიდობისა და სიახლის მაცნეა; მტრედი ეველასადმი კეთილგანწყობილია, იგი თავის მტრებსაც კი არ ეწინააღმდეგება; მტრედები ერთმანეთს არიან მიჯაჭვულნი და ძლიერი სიყვარულით გამოხატავენ ერთმანეთისადმი თანაგრძნობას. ფსალმუნებსა და ქებათა ქებაში მტრედი ნახი, სიწმინდით გამორჩეული და სხვათა მოუვარული ფრინველია. საინტერესოა, რომ მტრედი შესაწირი ფრინველია და ამ ფაქტს რამდენიმე ბიბლიური ეპიზოდი ადასტურებს (ბიბლიური ენციკლოპედია, 1991: 168-169). მათეს სახარების მიხედვით, მტრედი უმანკოების სიმბოლოა; მაცხოვარი მოწაფეებს შემდეგი სიტყვებით მოძღვრავს: «აჰა მიგავლინებ თქვენ, ვითარცა ცხოვართა, შორის მკელთა. იუვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი» (მათე, 10,16). წმ. იოანე ოქროპირმა «თარგმანებადში მათეს სახარებისად» მტრედის განმარტება ამ მუხლისათვის ამგვარად ჩამოაუალიბა: «უმანკოებად ტრედისად, რადთა არა ბოროტსა უოფდეთ ბოროტისმოფელთა ჩუენთა, არცა მიუაკებდეთ ნაცვალსა მტერთა ჩუენთა, რამეთუ ამა ორთა სახეთაგან უკუეთუ ერთიცა აკლდეს კაცსა, არა აქუს მას წესი სათნო-

ებისად. აჰა, ბრძანებად სრულებისად, არა კმა არს მოთმინებად განსაცდელთად, არამედ არცა თუ განრისხებად შეგინდობო, რამეთუ ესრეთ არს სახე ტრედისად» (გვ. 111-112 [51-52]).

ღიახ, ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ რა შუაშია „ვეფხისტყაოსანი“? სად ჩანს მასში ეს გაგება?

„ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული ეპიზოდი და განსახილველი სტროფი ზედმიწევნით მკაფიო და ნათელია და გაგრძელებაა წინა ეპიზოდისა.

ფატმანი რამდენიმეჯერ და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ნესტან-დარეჯანი ტყვეობაში თავის ვაინაობას არა და არ ამჟღავნებს, ხმას არ იღებს, ღუმს და ტირის. პირველი შეხვედრის შესახებ ჰყვება:

„ვჰკადრე: «მითხარ, ვინ ხარ, მზეო, ანუ შვილი ვისთა  
ტომთა?»...

მან პასუხი არა მითხრა მე სიტყვათა ესე ზომთა“ (1139. 1, 3).

ფატმანი რომ არ მოეშუა,

„რა მივაჭირვე კითხვითა, მეტითა საუბნართა“ (1140. 1),

საოცრად მკაცრი პასუხი მიიღო, ეს მიძალემა ღვთის  
გმობააო:

„თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხელისა“ (1141. 4).

ფატმანმა შემდეგაც სცადა ნესტან-დარეჯანის ვინაობის გაგება, მაგრამ ყოველთვის ამაოდ, პასუხად იყო ისევ ღუმილი და ცრემლთა ღენა:

„უამი ვერ ვპოვე კითხვისა ნიადაგ ცრემლთა ღვრისაგან,  
თუ-მცა მეკითხა: «ვინ ხარ და ეგრე გასრული რისაგან?»  
მჩქეფრად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა ხისაგან“ (1147. 1-3).

როცა ქმარს აჩვენა, ფატმანმა კვლავ მოინდომა:

„მე და შენ ვკითხოთ, ვინ არის, ვისგან სჭირს ისი ხელობა“ (1156. 3).

აქაც იგივე სურათია, რაც განსახილველ სტროფში, – ცოლ-ქმარმა ვერ გაიგო, შეკითხვა მას ესმოდა თუ არ ისმენდა, ანუ, იგულისხმება, ვერ გაიგო, სად იყო მისი გონება, რაზე ფიქრობდა:

„რაცა ვკითხეთ, არა ვიცე ესმა ანუ არ ისმენდა:  
ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩენდა“ (1158. 1-2).

„ვერა დავჰყარეთ პასუხი ჩვენ საუბრითა ჩვენითა:  
ვეფხი-ავაზა პირქუშად ზის, წყრომა ვერ ვუგრძენითა.  
კვლაცა ვაწყინეთ, ატირდა მჩქეფრად ცრემლისა ღენითა“ (1159. 1-3).

ნესტან-დარეჯანის სიძლიერე იმითაც გამოიხატა, რომ იგი საოცარი სიბრძნით უყურებს ცხოვრებას:

„ლხინი ლხინად არად უჩნდა, მართ აგრევე ჭირად ჭირი“ (176. 3).

იგივე ამბავი არაა მოთხრობილი საანალიზო სტროფების წინა ორ სტროფშიაც?

„გვერდსა დაისვა, ეუბნა ტკბილითა საუბნარითა:  
«მითხარო, ვინ ხარ, ვისი ხარ, მოსრული ვისთა გვართა?»  
მან არა გასცა პასუხი პირითა, მზისა დართა;  
თავმოდრეკილი დაღრეჯით ქვე ზის ცნობითა წყნარითა.

არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა,  
სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე  
იგონებდა;

ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტს არ უჩვენებდა,  
მჭკრეტნი მისნი გააკვირენა, რასა-მცა ვინ იაზრებდა“ (1181-1182).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც ვითარება თითქმის იგივეა, რაც ტარიელის პირველად ნახვის დროს იყო:

„წავილა მონა საუბრად მის ყმისა გულ-მდუღარისად,  
თავ-ჩამოგდებით მ ტ ი რ ლ ი ს ა დ, არ ჭვრეტით  
მოლიზღარისად, —

მუნვე წ ვ ი მ ს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად...“  
(86. 1-3).

„მოახსენა: «გიბრძანებსო», ახლოს მიდგა დაუწყნარდა.  
იგი ტ ი რ ს ღ ა რ ა ე ს მ ი ს, მისგან გააუმეცარდა“ (87. 3-4).

„მის მონისა ა რ ა ე ს მ ა სიტყვა, არცა ნაუბარი,  
მათ ლაშქართა ზახილისა ი ყ ო ერთობ უ გ რ ძ ნ ო ბ ა რ ი,  
უცხოდ რასმე ა მ ო ს კ ვ ნ ი ღ ა გ უ ლ ი ცეცხლთა ნადუბარი,  
ც რ ე მ ლ ს ა სისხლი ერეოდა, გასდის, ვითა ნაუბარი“ (88).

ვიმეორებთ, აქაც და განსახილველ მთელ ეპიზოდსა და სტროფებში აზრი მარტივი, მთლიანად გამჭვირვალე და გასაგებია. პოეტი გვეუბნება: ნესტან-ღარეჯანი, ისე როგორც ადრე ტარიელი, ხმას არ იღებს, პასუხს არ იძლევა. ვერც მეფე და ვერც სხვა ვინმე ვერ მიმხვდარან, რას ფიქრობს იგი, სად ა რ ი ს, ს ა დ ღ ა ფ რ ი ნ ა ვ ს მ ი ს ი გ ო ნ ე ბ ა. მტედთან იგი შედარებულია მხოლოდ და მხოლოდ ერთი თვისების, ფ რ ე ნ ი ს გამო. რა შუაშია აქ მტრედის ის თვისება, რომ იგი თურმე „უოვლად უვნებელი ზრინველია, იგი მწერებით, საერთოდ, ცოცხალი არსებებით არ იკვებება“ ან ის სიმბოლური გაგებანი, რაც ამ ფრინველს თეოლოგიაში აქვს?! განა ერთი და იგივე შინაარსი არა აქვს გამოთქმებს: „სადავოს“ — „ს ხ ვ ა გ ა ნ ა რ ი ს, ს ხ ვ ა გ ა ნ ფ რ ი ნ ა ვ ს, გონება უც ვითა ტ რ ე ღ ი“ ან წინა სტროფში ნათქვამს — „ს ხ ვ ა გ ა ნ ი ყ ო გ უ ლ ი მისი“ ან კიდევ ტარიელის ეპიზოდში:

„ს ხ ვ ა გ ა ნ ქ ნ ი ს<sup>1</sup> მისი გ ო ნ ე ბ ა, მისმან თავისა წონამან!“  
(89. 1).

---

<sup>1</sup> სხვათა შორის, „ქნის“ მაგიერად „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ნუსხაში (J) იკითხება „ქრის“. აქედან ეს წაკითხვა ათეული წლების განმავლობაში პოემის მრავალ გამოცემაში იბეჭდებოდა.

ასეთია ნ. სულავას მორიგი „გაგებისა და წვდომის უნარი“.

მტედთან დაკავშირებით კიდევ ერთი უცნაურობა და მარტივის ვერ დანახვა. თურმე, „ვეფხისტყაოსანში“ ნესტან-დარეჯანის „სიმბოლურ სახეთა“ გაგებისათვის მნიშვნელობა ჰქონია მათ რიგს, მათ თანამიმდევრობას. მოვუსმინოთ ჩვენს ქალბატონს: „რ ი გ ი თ ო ბ ი ს მიხედვით, ნესტან-დარეჯანის სიმბოლოთა შორის ბ ო ლ ო ს ა ა ნახსენები მ ტ რ ე დ ი, რაც მისი სახის ი ნ ტ ე რ ჰ რ ე ტ ა ც ი-ის ა თ ვ ი ს უ ა ღ რ ე ს ა დ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა. ბიბლიური ტროპული აწროვნების მიხედვით, მტრედი ღვთის სიტყვის გადამცემია, ა ხ ა ლ ი ე ჰ ო ქ ი ს დადგომის მაცნეა“ (გვ. 112 [52]). სულ ბოლოს: ნესტან-დარეჯანის „ურთულესი სულიერი ჰროცესი ვეფხვისა და ავაზის, აგრეთვე, ასპიტისა და მტრედის ს ი მ ბ ო ლ ო ე ბ ი ს თ ა ნ მ ი-მ დ ე ვ რ უ ლ ი წ ა რ მ ო ს ა ხ ვ ი თ კიდევ უფრო მ კ ვ ე თ რ ა ღ წ ა რ მ ო ჩ ნ დ ა: ვეფხვი < ასპიტი < ავაზა < მტრედი“ (გვ. 113 [52]).

არაფერს ვამბობ იმაზე, რომ გრაფიკულ გამოსახულებას „<“-ს სხვა შინაარსი აქვს და თავისი აზრის გამოსახატავად ავტორს სხვა პირობითი ნიშანი უნდა გამოეყენებინა. იმაზეც გაეჩუმდები, „სახეთა“ აღნიშნულ თანამიმდევრობას, როგორ შეიძლება, ის შინაარსი ჰქონდეს, რასაც იგი „გვთავაზობს“! მაგრამ ის კი ხმამაღლა და მკაცრად უნდა ეთქვა, რომ ქალბატონ ნ. სულავას თავისი გამონაგონით გონება იმდენად დაბნელებული აქვს, ვერ ხედავს, რომ პოემაში როგორც სტროფული თანამიმდევრობით, ისე ამბის მდინარებით, „ვეფხისა“ და „ავაზის“ (1159) მერე ნახსენებია არა „ასპიტი“, არამედ „მტრედი“. ე. ი. ჯერ არის მტრედი (1184. 4) და ბოლოს ასპიტი (1231. 4). „მტრედთან“ შედარება ხდება ზღვათა სამეფოში, გულანშაროში, ხოლო „ასპიტთან“ — ქაჯეთში. საშუალო სკოლის მოწაფეს მოეთხოვება, იცოდეს, რომ



ნესტან-დარეჯანი ჯერ გულანშაროში მოხვდა და ბოლოს – ქაჯეთში.

ვაი ჩვენს თავს!

□

ნ. სულავას ეს სტატიები, როგორც მივეუთითეთ, დაბეჭდილია კრებულ „ანალებსა“ და ჟურნალ „გულანში“. პირველის რედაქტორია დავით მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, მეორისა – ვალერი ს ი ლ ო გ ა ვ ა. ამ ჭეშმარიტად დიდმა და გამოჩენილმა მეცნიერებმა წაიკითხეს ნ. სულავას ეს ნაცოდვილარი? თუ არ წაუკითხავთ, დანაშაული ჩაუდენიათ! თუ წაიკითხეს, რა უნდა ვიფიქროთ, – იმდენად არიან თავიანთ საკვლევებადებო საქმიანობაში ჩაფლული, არ ახსოვთ „ვეფხისტყაოსანი“ და ეს ტვინის ჭყლეტა ვერ შენიშნეს? და, თუ შენიშნეს, რაიმე შენიშვნის გარეშე როგორ მიაწოდეს იგი მკითხველ-საზოგადოებას? ჩვენი ეროვნული დიდების, შოთას პოემის მათ მიერ ასე გაუკუღმართებულად მიწოდებაც განა დანაშაული არ არის?!

□

ზემოთ ნ. სულავას წიგნზე „ვეფხისტყაოსანი“ – მეტა-ფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა“ რომ ვთქვი, ახალს არაფერს იძლევა-მეთქი, მხედველობაში მქონდა მისი „კონცეფცია“, თორემ ახალ-ახალ უკუღმართულ აზრებს როგორ არ იძლევა.

ჩვენს ქალბატონს „ვეფხისტყაოსანში“ კიდევ სად არ ეჩვენება სიმბოლოები?! მისი შეხედულებით, ასეთია ის ფ ა რ დ ა გ ი, რომლის იქით ნესტან-დარეჯანი იმყოფება და ასმათის მიერ მისი გადაწვევის შემდეგ ტარიელმა იგი იხილა. ნება მიბოძეთ, დავიმოწმო ეს მოზრდილი ტექსტი:

„საჭიროა(,) უურადლება შევაჩერთ ფ ა რ დ ა გ ი ს ს ი მ ბ ო ლ უ რ მნიშვნელობაზე, იგი ერთმანეთისაგან სიღრმისეულად განსხვავებული ორი სამყაროს გამყოფად გვევლინება. ფარდაგის სიმბოლური მნიშვნელობის მართებუ-

ლი გ ა ა ზ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს საჭიროდ მიმაჩნია იმ  
ბ ი ბ ლ ი უ რ ი ზასაყის განხილვა, რომელშიც  
მოთხრობილია ძველი აღთქმისეულ მთავარ ტაძარში წმიდათაწ-  
მიდის გამოყოფა ტაძრის ინტერიერისაგან კრეტსაბმელით. წმი-  
ნდათაწმინდაში ინახება სჯულის კიდობანი, რომელშიც მოთა-  
ვებულია ღმერთის მიერ მოსე წინასწარმეტყველისათვის მიცე-  
მული ათი მცნება, წარწერილი ქვის ორ ფიცარზე ორსავე  
მხარეს. კრეტსაბმელი უბრალო გამოყოფის ფუნქციას კი არ  
ატარებს, არამედ მას ღრმა სიმბოლური დატვირთვა აქვს, ესაა  
ღმერთისაკენ მიმავალი გზის დასასვა.

ასმათის მიერ ფარდავის გადაწვევა ტარიელს უ ჩ ვ ე ნ ე ბ ს  
ა ხ ა ლ გ ზ ა ს, რომელმაც უნდა შე ე ც ვ ა ლ ო ს ჯერ  
ი ნ დ ო ე თ ი ს, შემდეგ მ თ ე ლ ი ს ა მ ე ა რ ო ს  
ც ხ ო ვ რ ე ბ ა. ფარდავის გადახსნა ტარიელს უცხო,  
მისთვის აქამდე უცნობ სამეაროს გადაუხსნის, რაც  
ძირფესვიანად შეცვლის მის შეხედულებებს და დამოკიდებულებას  
ცხოვრებისეული ფაქტებისა და მოვლენებისადმი, აბსოლიტური  
ჭეშმარიტებისადმი, რომლისკენ მიმავალი გზა სწორედ მასზე  
გადის, მხოლოდ ფარდავის გადახსნის შემდეგ გამოჩნდება ახა-  
ლი სამეარო, ჭეშმარიტი სამეარო მთელი თავისი მიმზიდვე-  
ლობით, მშვენიერებით, სირთულით. მაგრამ ამ სამეარომდე მი-  
სასვლელი გზა წინააღმდეგობებითაა აღსავსე, იქამდე მიღწევა  
რთულია. ამიტომ ესაა ტარიელისათვის «ჭირთა მოპოვნების»  
დროსივრცული არეალი“ (გვ. 41).

აი, როგორია ქალბატონი ნესტანის ლალი ხილვები!  
შესაძლებელია, რ. სირაძისა და სხვა სტრუქტურალისტები-  
სათვის ეს იყოს „ქრონოტოპის იერსახის“, „რეცეფციული  
ესთეტიკის“, „ტექსტის მეკავშირე ავტორის“ და ა. შ. ტრიუმფი?!

გადავშალოთ წიგნის მეორე გვერდი. ნ. სულავა იძიებს  
მიზეზებს, თუ რატომაა, რომ „ფარსადანს, რომელსაც ადრევე  
შეუნიშნავს ნესტანისა და ტარიელის გამიჯნურება, ტარიელი  
სასიძოდ იმთავითვე არ მიუჩნევია“. უპირველესი საბუთი კი  
მისთვის ასეთია: „ტარიელი, მიუხედავად სამეფო საკვარეულოს

კუთვნილებისა, სამეფო საგვარეულოს გვერდითი შტოს ჩამომავე-  
ალია, მეფის ძე, უფლისწული არ არის; თუმცა იგი გაერ-  
თიანებული ინდოეთის ამირბარია, მაგრამ მას (ფარსადანი. — ბ.  
დ.) სამეფო ტახტის მემკვიდრედ ვერ მიიჩნევედა, მისი სოცია-  
ლური სტატუსი ნესტან-დარეჯანისას ჩამოუვარდება; შუასაუკუ-  
ნეების სამეფო დინასტიებში მიღებული მემკვიდრეობითი ლეგი-  
ტიმური პრინციპების გათვალისწინებით, ტახტის მემკვიდრე, მე-  
ფის ძე მეფის ასულზე უნდა დაქორწინდეს, ხოლო მეფის  
ასული უთუოდ მეფის ძეს მისთხოვდეს. სწორედ ამიტომაც  
ფარსადანისთვის წარმოუდგენელი ნესტან-დარეჯანისა და ტარი-  
ელის ქორწინება, როგორც განსხვავებული სოციალური  
სტატუსის მქონე პიროვნებისა“ (გვ. 42).

ჯერ-ერთი, ფარსადანი რომ ასე ფიქრობდეს, ამგვარი  
რამ პოემაში არსად ჩანს. მეორეც, ისტორიულ სინამდვილეს  
რომ თავი დავენებოთ, განა ავთანდილი სოციალურად  
ტარიელზე კიდევ უფრო დაბლა არ იდგა, მაგრამ ამას მისთვის  
(და რუსთველისათვის, როგორც სტრუქტურალისტები  
ამბობენ, „ტიქსტის მეკავშირისათვის“) ხელი არ შეუშლია  
ძლევაძმოსილი როსტევან მეფის უბრწყინვალესი ასული,  
ხულიგნურად თუ ვიტყვი, ხელში ჩაეგდო?!

ერთ ამონაწერს კიდევ მოვიყვან: „როსტევანი იშვიათი  
შეზავებაა მ ვ ე ლ ი და ა ხ ა ლ ი სიბრძნისა,  
ფაქტობრივად, იგი ა ხ ა ლ ს ი ბ რ ძ ნ ე ს უ ე რ ი ს  
ს ა ფ უ მ ვ ე ლ ს, იწეებს ა ხ ა ლ ე რ ა ს. მაგრამ  
ნაწარმოების დასაწყისში მასში მაინც ჯერ კიდევ ძველი,  
კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი ცნობიერებიდან მომდინარე სიბრძნე  
გამოსჭვივის (...), ვინაიდან იგი ვ ა ზ ი რ თ ა რჩევას  
ე მ ე ა რ ე ბ ა. მეფე და ვაზირები, მიუხედავად მეფის  
დომინანტურობისა, მაინც ერთიანობაა, ერთი მთლიანობაა. მეფე  
ვაზირთა რჩევებს ითვალისწინებს, რაც იმ მ ვ ე ლ,  
კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი დ ა ნ ა მ ო ზ რ დ ი ლ  
ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა ზ ე მიგვითითებს“ (გვ. 104).

უნდა ამას კომენტარი?!

6. სულავას სინამდვილის შეცნობა, ანალიზი, საღი აზროვნება ხომ უჭირს და უჭირს, ამავე დროს, თვალწინ მდებარე საგნებსა და მოვლენებსაც ვერ ხედავს. ამის საოცარი ნიმუშები ჩემს კრიტიკულ წიგნში საკმაოდაა აღნიშნული. მარტო გალაკტიონის „მესტიის ხიდის“ ამბავი რად ღირს! (გვ. 149-150). მისი ამ ახალი წიგნიდან ერთ ამგვარ ნიმუშს კიდევ დავიმოწმებ. აქ ავტორი დაბეჯითებით წერს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ძის, როგორც მემკვიდრის, მნიშვნელობა აკაკი შანიძემ დაადგინაო. ერთგან წერს: „აკაკი შანიძე «ძის» სემანტიკის განხილვისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ «ძე» არის მ ე მ კ ვ ი დ რ ი ს სინონიმი“ (გვ. 97). მეორე ადგილას: „ა. შანიძემ თავის გამოკვლევაში ს ა გ ა ნ გ ე ბ ო დ განიხილა სიტყვა «ძის» მნიშვნელობა «ვეფხისტყაოსანში» ერთი კონტექსტის მიხედვით: «მართალ იყო ასული და ჩემი ძეო» (119/118). მისი აზრით, ძე საზოგადოდ მ ე მ კ ვ ი დ რ ე ა და არა მხოლოდ ვაჟიშვილი (...). აკაკი შანიძემ ს ა გ ა ნ გ ე ბ ო დ ურადღება მიაქცია ტაქს: «სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართოდენ მარტო ასული» (33), რომლის დედააზრი ასე გადმოსცა: სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა მეფეს, ჰყავდა მხოლოდ ერთი ასულიო“ (გვ. 106).

სინამდვილეში ბატონი აკაკის იმ სტატიაში, რომელსაც ნ. სულავა იყენებს, ნათლადაა ნათქვამი, რომ ეს პატივი ეკუთვნის ვარლამ ღონდუას. აი, რას წერს ჩვენი სასიქადულო მეცნიერი აკაკი შანიძე: „... ეს საქმე იკისრა ჰროფ. ვ. ღონდუამ, რომელმაც დაბეჭდა ჩინებული წერილი (მითითებულია ეს წერილი. — ბ. დ.), სადაც უ ც ი ლ ო ბ ლ ა დ გ ა ა რ კ ვ ი ა, რომ ძე საშუალ ქართულში, კერძოდ რ უ ს თ ვ ე ლ ი ს ჰ ო ე მ ა შ ი აღნიშნავდა «მემკვიდრეს» და სწორედ ამ მნიშვნელობით ხმარობს რუსთველი ძე-ს ა ს უ ლ თ ა ნ ერთად: ასული და ჩემი ძეო, ე. ი. ასული და ჩემი მემკვიდრეო“ და ა. შ. (თხზულებანი, V, გვ. 188).

და ნ. სულავას ამ წიგნიდან კიდევ რამდენი ფაქტი უნდა აღვწესხო?!

ჩვენს წიგნში „უეიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ უამრავი მაგალითი მოვიყვანე იმისა, რომ ნ. სულავას ელემენტარული მეცნიერული აზროვნება არ შეუძლია. როგორც ვხედავთ, იგივე გრძელდება შემდეგაც!

ახლა ვნახოთ, ნ. სულავამ მოიშორა თუ არა თავისი მეორე თვისება – კლექტომანია, პლაგიატობა?

**ბ) ისევ უცოდინარობა და პლაგიატობა**

2008 წლის 19 თებერვალს საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ საზოგადო სხდომაზე წარმოგვიდგინა მის მიერვე გამოცემული მცირე ფორმატის „ვეფხისტყაოსანი“<sup>1</sup>. მომხსენებელი გახლდათ ქალბატონი ნესტან სულავა. მისი მოხსენება იმავე წელს დაიბეჭდა ალმანახ „მწიგნობარში“ (გვ. 238-241), რომელიც ალმანახის საგამომცემლო განყოფილებას შეუძოკლებია. გავეცანი დედანს და ვნახე, ამოღებულია ის ადგილები, რომლებიც საკითხს არ ეხება. ის ნაწილი კი, რომლებიც ჩვენს შენიშვნებს იწვევს, დედნიეულია, ა ვ ტ ო რ ი ს ნ ა აზრეია.

უპირველესად უნდა ვთქვა, რომ ნ. სულავას არასოდეს უკვლევია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და გამოცემები. მოხსენებასა და დაბეჭდილ სტატიაში ის იმეორებს ამ საკითხზე არსებულ ცნობებს, ახალს ა რ ა ფ ე რ ს იძლევა, შეცდომებს კი უშვებს.

საუბრობს პოემის ნუსხათა სიძველეზე და გვაუწყებს: „ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები გვიანდელია, XVII-XIX საუკუნეებისაა. უძველესი ფრაგმენტული ხელნაწერი XVI საუკუნეს განეკუთვნება, ხოლო ჰოემის ტექსტის უძველესი ფრაგმენტი - ვანის ქვაბის კედლებზე წარწერილი ორი სტროფი

<sup>1</sup> ამ წარდგინების შესახებ იხ.: სპარტაკ ქობულთა, „ვეფხისტყაოსნის“ მე-100 გამოცემა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 თებერვალი, 2008, № 33, გვ. 14.

ნესტან-დარეჯანის მიერ ქაჯეთის ციხიდან მიჯნურისათვის მიწერილი წერილიდან - XV საუკუნით არის დათარიღებული“ (გვ. 239).

დავიწყეთ იმით, რომ პირველი, ანუ „ფრაგმენტული ხელნაწერი“, გახლავთ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ 1963 წელს ჩატარებული ექსპედიციის დროს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოვლენილი და იქიდან წამოღებული პოემის ორფურცლიანი ნუსხა, რომელიც მას შემდეგ ინსტიტუტში (ამჟამად, როგორც კქვია, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში) ინახება (Fr - 114).

ილია აბულაძე, რომელმაც მის შესახებ პირველი და საგანგებო გამოკვლევა გამოაქვეყნა<sup>2</sup>, სათაურში და შემდეგ ტექსტშიაც მას XVI საუკუნისად ასახელებს. სათაურია: „ვეფხისტყაოსნის ახლად მიკვლეული უძველესი (XVI) ხელნაწერის ფრაგმენტი“ (გვ. 206). მას შემდეგ, რაც ამ ფურცლებს XV-XVI საუკუნეთა ნუსხებს ადარებს, მკვლევარი წერს: „ფილიგრანის ჩვენება ჰალეოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, როგორც ვხედავთ, უეჭველსა ხდის იმ ჩვენ (ექსპედიციის წევრთა) ვარაუდს, რომელიც ფრაგმენტის ტექსტის პირველი გაცნობისთანავე დაგვებადა, რის თანახმად ფრაგმენტი XVI ს-ის ხელნაწერად იქნა მიჩნეული“ (გვ. 208).

წინ ბატონი ილია აღნიშნავს: „ხელნაწერის ფურცლები რამდენადმე იქვე (ახალციხეში - ბ. დ.) გაფშინდეთ და ამოკითხვითაც მაშინვე ამოვიკითხეთ. ხელის გარდა სიძველეზე ქაღალდიც და ორთოგრაფიაც მიათითებდა. უველა მონაცემის გათვალისწინებით ჩვენი ფრაგმენტები დაახლოებით XVII (ასეა! - ბ. დ.) ს-ს მივაკუთვნეთ“ (გვ. 206).

შემდეგ მკვლევარი გვაცნობს: „ფილიგრანებზე სპეციალურად მომუშავე ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელმა რ. ჰატარბიძემ ქაღალდი, მასზე აღბეჭდილი ნიშნის მიხედვით, იტალიურად

---

<sup>2</sup> სტატია პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მაცნეში“ (1964, № 3, გვ. 142-150), გადავიდა ავტორის „შრომების“ მეორე ტომში (თბ., 1976, გვ. 205-219). ვიმოწმებთ ამ მეორე გამოცემას.

დასახა და თანაც, იმავე ნიშნის გავრცელებულობის მიხედვით, 1585-1630 წწ-ით შემოფარგლა. ჭვირნიშნის ზოგიერთი დამახასიათებელი დეტალის მიხედვით მან ეს პერიოდი კიდევ უფრო შეამოკლა და საერთოდ ხელნაწერი XVI ს-ის მიწურულთა XVII ს-ის დასაწყისით განსაზღვრა“ (გვ. 206-207).

ი. აბულაძე უმატებს; „ხელი მიუყავით აგრეთვე ჰალეოგრაფიულ შესწავლასაც, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჩვენს ძეგლს XVI ს-ზე გვიანდელად არ მიგვაჩნევენებს“ (გვ. 207).

რამაზ პატარიძე საგანგებო გამოკვლევაში ასე მსჯელობს: „ახალციხური ხელნაწერის ჭვირნიშანი (ემბლემატური ნაწილი): დუსა წრეში (Якорь в кругу) ჩუქლებრივი სამეურით (...), როგორც გამოკვლეული გვაქვს (...) ქართული მონაცემების საფუძველზე, ძირითადად იფარგლება 1600-1628 წლებით. უცხოური მონაცემებით, ჭვირნიშნის ქრონოლოგიური პერიოდი ზუსტად ემთხვევა ქართულ მონაცემებს და გვაძლევს იგივე ქრონოლოგიურ პერიოდს: 1601-1628 წწ. უფრო ადრე ჭვირნიშანი გვხვდება მეტად იშვიათად, კერძოდ, 1580-1600 წლების ქრონოლოგიურ ფარგლებში.

როცა დადგენილია ამ ჭვირნიშნის ქრონოლოგიური საზღვრები, თავისთავად ცხადია, რომ «ვეფხისტყაოსნის» ახალციხური ფრაგმენტი უნდა გადაწერილიყო 1580-1628 წლების ფარგლებში. რადგან ნუსხის ხელი ჰალეოგრაფიულად უფრო სიმკვლისაყენ იხრება, ამიტომ, როგორც გამოჩალიხი, «ვეფხისტყაოსნის» ეს ნუსხა, შესაძლებელია, მე-16 საუკუნით დათარიღდეს, მაგრამ არა უადრე 1580 წლისა“<sup>3</sup>.

---

<sup>3</sup> რამაზ პატარიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ჭვირნიშნები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 56-57. აღნიშნული ჭვირნიშანი და ახალციხური ნუსხა ავტორს განხილული აქვს აგრეთვე 10 წლით ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომში: ჭვირნიშნები და ქრონოლოგია, ჟურ. „ციცქარი“, 1965, № 4, გვ. 130-132.

რ. პატარიძე ანგარიშს უწევს კალიგრაფიასაც: „გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, — წერს იგი, — რომ XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე მხედრულ დამწერლობაში დიდი გარდატეხა მოხდა. მე-17 საუკუნის დასაწყისიდან მხედრული დამწერლობა პლიერ შეიცვალა და დღევანდელ მხედრულს დაუახლოვდა. მხედრული დამწერლობის ეს დიდი ცვლილება დროის მეტად მცირე მონაკვეთში მოხდა, სწორედ XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. ახალციხური «ვეფხისტყაოსნის» გაკრული ხელი კი უფრო სიმკვლისაგან იხრება. ამდენად, «ვეფხისტყაოსნის» ეს ხელნაწერი თუ XVI საუკუნის დასასრულს არა, XVI-XVII საუკუნეთა მიჯნას მანინც უნდა მივაკუთვნოთ“ (გვ. 57).

განა საკამათო შეიძლება იყოს ის, რომ კალიგრაფი, რომელიც პროფესიონალია და ამ საქმეს, ვთქვათ, მე-16 საუკუნის 60-იანი წლებიდან ეწევა, უკვე ასაკოვანი მე-17 საუკუნის პირველ, 10-იან და 20-იან, წლებშიაც თავის ხელწერას ვერ შეიცვლის!

ერთი სიტყვით, ამჟამად რუსთველოლოგიაში მიღებული თვალსაზრისით, პოემის აღნიშნული ნაწყვეტი XVI საუკუნის ბოლოთი თუ XVII საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული. სარგის ცაიშვილი უფრო XVII საუკუნის დამდეგისკენ იხრება. მისი სიტყვებია: იგი „ქაღალდისა და ჰალოგრაფიული თავისებურებების მიხედვით მე-16 საუკუნის მიწურულს, ან უფრო ზუსტად, მე-17 საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება“<sup>4</sup>.

როცა ხელნაწერს მთელი საუკუნით ვათარიღებთ, საუკუნეში 100 წელია, რუსთველოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხების დადგენისას კი, თუ თითო წელს არა, ათეულ წლებს დიდი და ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

<sup>4</sup> სარგის ცაიშვილი, წერილები და გამოკვლევები, I, თბ., 1984, გვ. 386.



ასე რომ, ნ. სულავას აღნიშნული დათარიღება უბრალო და უმნიშვნელო უზუსტობა სრულებითაც არ არის!

მეორე: ნ. სულავას დამოწმებული ციტატიდან დანარჩენი ნაწილიც ნაკლებია. იგი პოემის ძველი მინაწერებიდან მხოლოდ ერთ, – XV საუკუნისად მიჩნეულ ვ ა ნ ი ს ქ ვ ა ბ ი ს კედლის წარწერას ასახელებს. გვაქვს კი არანაკლებ და მეტადაც მნიშვნელოვანი სხვა წარწერები<sup>5</sup>:

XII–XIII საუკუნეების ნუსხურით შესრულებულ სადღესასწაულოს არშიაზე მხედრული ასოებით მიწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტრიქონი („ვა, სოფელო...“) გამოავლინა თამარ ბრეგაძემ და ხელწერის მიხედვით XIV საუკუნით დაათარიღა.

X საუკუნის ეტრატზე ნაწერ ბერთის სახარების არშიაზე ნუსხურით მიწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტრიქონი („მართლად იტყვის მოციქული...“), აკაკი შანიძის დათარიღებით, XV საუკუნისა უნდა იყოს.

XIV–XV საუკუნეთა მიჯნაზე ნუსხურით შესრულებულ ერისთავთა მატეანის, ანუ „ძეგლთა ერისთავთას“, ეტრატის არშიებზე მხედრულით მიწერილი სტრიქონები, რომლებიც შერმადინ ონიანმა გამოიკვლია, ხატაელთა ამბის სტროფის ნაწილებია და, მისივე დათარიღებით, XV საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება.

როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მინაწერების სიძველეზე ვსაუბრობთ, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შეეუქმნათ, თითქოს მე-17 საუკუნეზე აღრინდელი მხოლოდ ერთი, ვანის ქვაბის კედელზე მინაწერი, მოგვეპოვება. რომ სხვაც არის, „და სხვას“ აღნიშვნით მაინც უნდა გამოგვეხატა.

მესამე: დიდ გაუგებრობას იწვევს ნ. სულავას შემდეგი ცნობა: „XX საუკუნეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო

---

<sup>5</sup> ისინი რუსთველოლოგიაში კარგად ცნობილია და მათზე საუბარი გვაქვს ორი წლით ადრე გამოქვეყნებულ „მწიგნობარში“ მოთავსებულ წერილში: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები („მწიგნობარი-06“, თბ., 2006, გვ. 93–100).

1937 წლის იუბილესთვის ვეფხისტყაოსნის დაწერიდან 750 წლის აღსანიშნავად აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული გამოცემა, რომელიც მ ა შ ი ნ ვ ე რ გ ა ნ ს ო რ ც ი ე ლ დ ა და მ ო გ ვ ი ა ნ ე ბ ი თ, 50-ი ა ნ წ ლ ე ბ შ ი, გ ა მ ო ვ ი დ ა“ (გვ. 240).

როგორ არ განხორციელდა?!

სხვა საკითხია, მეცნიერთა კომისიის ტექსტი გამოცემამდე განიხილეს და როგორც სტროფული შედგენილობის, ისე წაკითხვების მხრივ მასში საგრძნობი ცვლილებები შეიტანეს შემდეგ გამოყოფილმა, არასპეციალისტებით, მთავრობის წევრებით „გაძლიერებულმა“ კომისიამ, სარედაქციო კოლეგიებმა და ცალკეულმა პირებმა.

საბედნიეროდ, მოგვეპოვება სოლომონ იორდანიშვილის მიერ შედგენილი ამ კომისიებისა და კოლეგიების მუშაობის ამსახველი ოქმები, რომელთა მიხედვით სოლომონ ყუბანიშვილი დაწვრილებით მოგვითხრობს, რა გააკეთა მეცნიერთა კომისიამ და შემდეგ რა შეცვალეს სხვებმა<sup>6</sup>.

ამგვარად მომზადებული ე. წ. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი საიუბილეო ტექსტი 1937 წელს სამი სახით გამოიცა. ს. ყუბანიშვილი თითოეულ მათგანს ფართოდ და დაწვრილებით გვიხასიათებს.

იქნებ, ნ. სულავა ამ ცვლილებების გამო წერს, „აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მომზადებული გამოცემა მაშინ ვერ განხორციელდაო“. ჯერ-ერთი, ამის გარკვევით თქმა რა ძნელი საქმე იყო. მეორეც, ეს რომ ასე არ არის, ამას ნათლად ადასტურებს წინადადების ბოლო ნაწილი — ხსენებული ტექსტი „მოგვიანებით, 50-იან წლებში გამოვიდაო“.

გასული საუკუნის 50-იან წლებში მეცნიერთა კომისიის მიერ მომზადებული ტექსტი უ ც ვ ლ ე ლ ა დ კ ი არ

---

<sup>6</sup> სოლომონ ყუბანიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან (XX საუკ.), II, ნაკვეთი I, თბ., 1973, გვ. 89-293; ნაკვეთი II, თბ., 1975, გვ. 3-175.

გამოსულა, არამედ, აღრინდელის აღდგენასთან ერთად იგი ხ ე  
ლ ა ხ ლ ა მნიშვნელოვნად გ ა დ ა მ უ შ ა ვ დ ა. ასეთია  
ალექსანდრე ბარამიძის, კორნელი კეკელიძისა და აკაკი  
შანიძის რედაქტორობით 1951 წელს განხორციელებული  
გამოცემა. ს. ყუბანეიშვილი ჩამოთვლის იმ სიახლეებს, რაც ამ  
სამუელს ეკუთვნის და წერს: „ამრიგად, ახალმა კომისიამ  
ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემაში შეიტანა 340-მდე  
გასწორება-ცვლილება, ხოლო 1470-მდე სასვენი ნიშნების,  
დეფიზისა და მისთანების გასწორება“ (ნაკვეთი II, გვ. 185).

იმავე 1951 წელს რუსთაველის სახელობის ქართული  
ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს  
გაფართოებულ სხდომაზე ამ გამოცემას ყველა გამომსვლელმა  
დიდი შეფასება მისცა.

ს. ყუბანეიშვილი გვაუწყებს: „გ. ქ ი ქ ო მ ე მ  
ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემისათვის ლიტერატურის ინსტი-  
ტუტის მიერ ჩატარებული მუშაობა მიიჩნია ა ხ ა ლ  
ე ტ ა ზ ა დ ვეფხისტყაოსნის გამოცემის საქმეში. მან  
აღნიშნა, რომ ძველი კომისიის მიერ მომზადებული ტექსტი  
1937 წლისა და ამის მომდევნო გამოცემებში ზუსტად და  
დაუმახინჯებლად ვერ იქნა გადატანილი, გამოცემებს თან ახლდა  
ათეულობით დეფექტი, ახალი გამოცემის მომზადებისას არა  
მარტო ეს დეფექტები გასწორდა, არამედ, როგორც სხდომაზე  
აღინიშნა, 300-მდე ა ხ ა ლ ი შ ე ს წ ო რ ე ბ ა ც  
ი ქ ნ ა შ ე ტ ა ნ ი ლ ი ტექსტში“ (იქვე, გვ. 186).

„იუსტინე ა ბ უ ლ ა მ ე მ აღნიშნა, რომ  
ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემისათვის ჩატარებული მუშაობა  
მისასაღებელია და სასიხარულო, რადგან იგი იძლევა მ ნ ი შ-  
ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ გ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ბ უ ლ ს ა და  
დ ა ზ უ ს ტ ე ბ უ ლ ტექსტებს“ (იქვე, გვ. 187).

„შ. ნ უ ც უ ბ ი მ ე მ ვეფხისტყაოსნის ახალი  
გამოცემისათვის ჩატარებული მუშაობა მიიჩნია ს ე რ ი ო ზ უ ლ  
მ ო ნ ა ზ ო ვ რ ა დ ტექსტის შემდგომი დ ა ზ უ ს ტ ე ბ ი ს

საქმეში. მან გაიზიარა ახალი კომისიის მიერ შეტანილი შესწორებანი“ (იქვე, გვ. 187).

„აკეკელიძის თქმით, ეს გამოცემა ახალი ეტაპია 1937 წლის გამოცემასთან შედარებით“ (იქვე, გვ. 188).

„ვუკ: ბერიძეს ახალი კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობა მიაჩნია უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად უკანასკნელ დროს რუსთველოლოგიაში წარმოებული მთელი მუშაობიდან...“ (იქვე, გვ. 188). და სხვა.

50-იან წლებშივე, 1957 წელს, ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის მიერ მეორედ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ კვლავ ახალი შესწორებებია შეტანილი. წიგნზე დართულ განმარტებაში „რედაქციისაგან“ ვკითხულობთ: „ვეფხისტყაოსნის ამ გამოცემას საფუძვლად უძევს 1951 წლის გამოცემის ტექსტი, რომელიც ხელახლა აჩვენებს უდიდეს და აქა-იქ შეტანილი საჭირო შესწორებანი ორთოგრაფიულ თუ სხვა ხასიათისა. შესწორებისას გათვალისწინებულია ჰოემის ტექსტზე უკანასკნელ ხანებში გაწეული კვლევებში შესრულები“ (გვ. 401).

იმავე 50-იან წლებში კიდევ მოგვეპოვება ერთი, პავლე ინგოროყვასეული 1953 წლის, გამოცემა. ცნობილია, აქაც მრავალი სიახლე მოიპოვება, რამაც შემდეგ ცხარე კამათი გამოიწვია.

ამრიგად: ქ-ნ ნესტან სულავას მიერ წარმოდგენილი შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო კომისიის მიერ მომზადებული ტექსტის გამოქვეყნების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება. მეცნიერებას კი სიზუსტე უყვარს!

ბოლოს მეხუთე საკითხი, რაც ძალიან შემადრწუნებელია.

2008 წელს წიგნში „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ სხვა მრავალ სავალალო სინამდვილესთან ერთად ნაჩვენები მაქვს, თუ ქალბატონი ნესტან სულავა რა „მამალი“ პლაგიატორია. დიდად სამწუხაროა, რომ აქაც იგივე შემთხვევა გვაქვს.

როდესაც პოემის აღნიშნულ წარდგინებაზე ქ-ნი ნესტანის მოხსენებას ვისმენდი, ჩემი სიტყვები მეცნო. „მწიგნობარში“ დაბეჭდილ შემოკლებულ ვარიანტში ის აღარ ჩანს, მაგრამ, როდესაც მის დედანს, ანუ მოხსენების ტექსტს, გავეცანი, ვნახე: მას მიუთითებლად, ოდნავი სიტყვიერი ცვლილებით გა დ მ ო უ წ ე რ ი ა ჩემი ნაშრომის დასკვნითი ნაწილი.

ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობის ჟამს ქართული ლიტერატურის ისტორიის მრავალტომეულისათვის, რომელსაც ინსტიტუტი გამოსაცემად ამზადებდა, დასამუშავებლად მერგო და მითითებული სიდიდისა და სხვა მონაცემების მიხედვით დაწვერე სტატია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებსა და მათ რედაქციებზე. ეს სტატია, ისე როგორც ამ ტომეულისათვის მომზადებული სხვა მასალები, გადავეცი ქალბატონ ნესტანს, რომელიც იმ დროს ბრძანდებოდა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში და ამ საქმეს ხელმძღვანელობდა. თუ შევადარებთ ერთმანეთს მისი მოხსენების დედანს (გვ. 1-2), რომელიც „მწიგნობრის“ საგამომცემლო განყოფილებაში ჯერ კიდევ ინახება და მე მისი ქსეროასლი გადაღებული მაქვს, ვნახავთ: მიუთითებლად როგორ სარგებლობს იგი ჩემი სტატიით. თვალსაჩინოებისათვის პარალელურად მოგვყავს მისი და ჩემი ტექსტები. რა განსხვავებაცაა მათ შორის, მუქი ფერით აღვნიშნავთ<sup>7</sup>:

---

<sup>7</sup> ქალბატონი ნესტანი აქ ოქსფორდის ბიბლიოთეკის აღსანიშნავად იყენებს სიტყვას „ბოდლე“, რაც რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად არის გამოყენებული და ადრე მეც მიხმარია. ამაზე საგანგებო საუბარი მქონდა ინგლისური და ქართული ენების ისეთ ჩინებულ მცოდნე მეცნიერთან, როგორიც სერგეი სერბერიაკოვი იყო. მან მაშინ

## ნეტან სულავას ტექსტი

„სამეცნიერო ლიტერატურაში ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები რედაქციული თვალსაზრისით, ანუ სტროფული შედგენილობისა და თანამიმდევრობის, სათაურების ადგილისა და წაკითხვების, ხელნაწერებში დაცული საერთო ტექსტის ვარიანტების მიხედვით, დალაგებულია ოთხ ძირითად ჯგუფად: 1. სამეფო ოჯახის, ანუ გადამწერის სახელის მიხედვით, აღმურაანთ გასპარასეული ნუსხის (H 757) ტიპის ხელნაწერები – თვით H 757, H 54, H 2074, H 779, პარიზული №10 და სხვა. 2. ზაზა ციციშვილისეული (Q 1082) ტიპის – თვით Q 1082, S 5006, H 3061, S 4988, H 2610 და სხვა. 3. პაპუნა (პაპუა) ბებურიშვილისეული (S 2829) ტიპის – თვით S 2829, H 599, Q 930, H 3061, ბოდლეს № 27, ქუთაისური № 303 და სხვა. 4. მზეხათუნისეული (ბოდლეს № 17) ტიპის ნუსხები – თვით № 17, H 461, S 4499 ქუთაისური № 205, Q 796 და სხვა“.

## ჩემი ტექსტი

„რედაქციული თვალსაზრისით, ანუ სტროფული შედგენილობისა და თანამიმდევრობის, სათაურების ადგილისა და წაკითხვების, საერთო ტექსტის ვარიანტების მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები ლაგდება ოთხ ძირითად ჯგუფად: 1. აღმურაანთ გასპარასეული ნუსხის (H 757) ტიპის ხელნაწერები – თვით H 757, H 54, H 2074, H 779, პარიზული №10 და სხვა. 2. ზაზა ციციშვილისეული (Q 1082) ტიპის – თვით Q 1082, S 5006, H 3061, S 4988, H 2610 და სხვა. 3. პაპუნა ბებურიშვილისეული (S 2829) ტიპის – თვით S 2829, H 599, Q 930, H 3061, ბოდლეს № 27, ქუთაისური № 303 და სხვა. 4. მზეხათუნისეული (ბოდლეს № 17) ტიპის ნუსხები – თვით № 17, H 461, S 4499, ქუთაისური № 205, Q 796 და სხვა“.

აღბათ, ჩემს სიმართლეს ვერასოდეს დავამტკიცებდი, რომ არა ერთი გარემოება: როგორც ზემორე შევნიშნეთ, სამი

---

უპირატესობა „ბოდლეი“ ფორმას მისცა და მას შემდეგ ვცდილობ, მეც ასე მოვიხსენო იგი.

წლის წინათ, 2006 წლის „მწიგნობარში“, გამოვაქვეყნე ჩვენი აღნიშნული სტატია (გვ. 93-100). დასაწყისში, სქოლიოში, მიწერია: „ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის ისტორიის მრავალტომეულისათვის“. აღნიშნული ტექსტი იქ ამ სახითაა წარმოდგენილი: „რედაქციული თვალსაზრისით, «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერები ლაგდება ოთხ ძირითად ჯგუფად: 1. აღმურაანთ გასპარასეული ნუსხის (H 757) ტიპის ხელნაწერები - H 54, H 2074, H 779, პარიზული №10 და სხვა. 2. ზაზა ციციშვილისეული (Q 1082) ტიპის - S 5006, H 3061, S 4988, H 2610 და სხვა. 3. ჰაპუნა ბებურიშვილისეული (S 2829) ტიპის - H 599, Q 930, H 3061, ბოდლეის № 27, S 3077, ქუთაისური № 303 და სხვა. 4. შვეხათუნისეული (ბოდლეის № 17) ტიპის ნუსხები - H 461, S 4499, ქუთაისური № 205, Q 796 და სხვა“ (გვ. 99-100).

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, ინსტიტუტში ჩაბარებულ და „მწიგნობარში“ დაბეჭდილ ტექსტებში, **ო რ ი ვ ე გ ა ნ**, გამეპარა **ო რ ი შ ე ც ღ ო მ ა**: მესამე, ანუ პაპუნა ბებურიშვილისეულ, რედაქციაში „H 3061“ შეცდომით გადმოსულია მეორე, ზაზასეული, რედაქციიდან და მის ნაცვლად უნდა ეწეროს „Q 261“, ხოლო ამავე, მესამე რედაქციაში, ქუთაისური „№ 303“-ის ნაცვლად უნდა იყოს „№ 383“.

ქალბატონ ნესტან სულავას ეს შეცდომები „პატიოსნად“ გადმოუწერია.

სადავო არ უნდა იყოს, მეცნიერებას სიზუსტესთან ერთად პატიოსნებაც მოეთხოვება, მაგრამ არა ქალბატონ ნესტან სულავასებური „პატიოსნება“!<sup>8</sup>

---

<sup>8</sup> ნ. სულავას ვაიმეცნიერულ და პლაგიატურ „ნაშრომებს“ კარგი გასავალი ჰქონდა „ლიტერატურული ძიებანის“ იმ ნომრებში, რომელთა ფაქტობრივი რედაქტორი თავად ქალბატონი ნესტანი გახლდათ. მის „ნააზრევს“ განსაკუთრებული მოწინავეთ იმომწებდა ლია გუგუნავა თავის უძწეო, თითიდან გამოწოვილ სტატიებში. იგივე გრძელდება ახლაც.

ისე, მკითხველს რამდენიმე სტრიქონის მითვისებაზე განგაშის ატეხა რომ არ ეგონოს, ყურადღებას მივაქცევინებ: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა აღნიშნული კლასიფიკაცია შემუშავებულია მას შემდეგ, რაც გამოვიკვლიე და დავწერე ზემორე წარმოდგენილი გამოკვლევები: „*ვეფხისტყაოსნის*“ ნაკაშიძისეული ხელნაწერის ტიპის რედაქციის თავისებურებანი და მისი შექმნის დრო“, „*ვეფხისტყაოსნის*“ მხეხათუნისეულ და ბებურიშვილისეულ ხელნაწერთა ტიპის რედაქციათა ურთიერთმიმართება“, „რუსთველოლოგიის“ მესამე (გვ. 19-46) და მეოთხე (192-221) კრებულებში დაბეჭდილი „*ვეფხისტყაოსნის*“ მამუკა თავაქარაშვილისეული ხელნაწერის რედაქციული დახასიათება“ და სხვა. ქალბატონმა ნესტანმა კი რა იოლად წააველო ხელი!

---

„ლიტერატურული ძიებანის“ ბოლო, 2009 წლის XXX, ნომერში მოთავსებულია ქალბატონი ლიას სტატიების გაგრძელება: „*შემოქმედი ღმერთი* (კამლეთსა) და *ვეფხისტყაოსანში*“ (გვ. 238-250), სადაც აღნიშნულია: „მოუხედავად იმისა, რომ ღმერთის ირგვლივ დრმა და საინტერესო გამოკვლევები შეიქმნა რუსთაველთან მიმართებაში, რუსთველოლოგთა მიღწეულზე მაინც არ შეჩერებულა. დღესდღეობით ჩვენი მეცნიერები წინამორბედ რუსთველოლოგთა გაკაფულ გზას მიჰყვებიან და ღმერთის ქრისტიანულად ასახსნელად ახალ-ახალი მ ი გ ნ ე ბ ე ბ ი თ ხ ა კ უ თ ა რ თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ს აუაღიბებენ. ამ მხრივ ე უ რ ა დ ე ბ ა ხ ი ჰ ე რ ო ბ ს ნესტან სულავას ნარკვევი „ლოცვა აუთანდილისა“ (გვ. 243).

სინამდვილეში ნ. სულავას ეს სტატია თავიდან ბოლომდე პლაგიატურია (ამაზე იხ. ჩემი წიგნი: „*უვიცობის, კლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში*“, გვ. 23-27, აგრეთვე გვ. 54, 88).

რას ვღებულობთ: ნ. სულავამ მოიპარა, ლ. გუგუნავა უდასტურებს, მისიო, ხოლო „ლიტერატურული ძიებანის“ ახალი რედაქტორი რუსთველოლოგი მაკა ელბაქიძე, „სარედაქციო საბჭოს“ წევრი და რუსთველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი რ. სირაძე ამაზე თვალს ხუჭკავენ და გარეშე პირის, ლ. გუგუნავას, შეფასების ტირაფირებას ეწევიან!



ვინც ჩემს წიგნს „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკთხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ იცნობს, მას არც ერთი ზემორე აღნიშნული არ გაუკვირდება, რომ ნ. სულავას „ფენომენი“ უცვლელი და ურყევეია. მკითხველს კვლავ უნდა შევახსენო: აი, ამ ცოდნისა და ნიჭის, ასეთი უბადრუკი მეცნიერ-მოაზროვნე და სამარცხვინო მეცნიერული ზნეობის მქონე „მკვლევარი“ ელგუჯა ხინთიბიძემ, რევაზ სირაძემ, ირმა რატიანმა და მათმა ხელქვეითებმა 2006 წლის ოქტომბერში ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერთანამშრომლის თანამდებობაზე ასარჩევად დამიპირისპირეს. ბევრნაირ მაქინაციას მიმართეს, მაგრამ, რადგან მათ მიერვე დადგმული ტრაგიკომედიიდან „პატიოსნად“ გამოსვლა სურდათ, თავიანთი ყალთაბანდობის შესრულება, – ჩემი გაგდება და მისი მიღება, – სხვისი ხელით მოინდომეს, წადილი მთლიანად ვერ გაინაღდეს: მე კი გამაგდეს, მაგრამ ვერც ნ. სულავა მიიღეს. როგორც ჩანს, მაშინ ქალბატონი ნესტანი იმით დაამშვიდეს, რომ ცოტა მოეთმინა და უკეთეს, მეტფულიან თანამდებობას მისცემდნენ.

ბატონმა ელგუჯამ დაპირება შეუსრულა და ნ. სულავა ივანე ჯავახიშვილის (სახელობის) სახელმწიფო უნივერსიტეტში 2009 წლის კონკურსის დროს ასოცირებულ პროფესორად „აირჩიეს“ (როგორც ხდება, – კომისიის მიერ, ე. ხინთიბიძის გამოუჩენლად). ქალბატონი ნესტანი აგრეთვე არის ახალციხის სახელმწიფო ინსტიტუტის სრული პროფესორი ლიტერატურის მიმართულებაში და თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი. იყო და, ალბათ, ისევ არის რამდენიმე კერძო უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი. მკითხველს არ გაუჭირდება იმის წარმოდგენა, თუ აღნიშნული აზროვნებების, ცოდნისა და ზნეობის ლექტორი რა ხეირს დააყრის თავის სტუდენტებს, მომავალ თაობას!

## რევაზ სირაძე – გამოგონილი რუსთველოლოგი

ვიდრე რ. სირაძის მორიგ წვრილმან ყალთაბანდობაზე გადავიდოდე, მანამ მოვახსენებთ: 2009 წლის აპრილის ბოლოს ბატონი რევაზი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახდა. და ეს არსებითად მოხდა ბატონი ელგუჯა ზინთიბიძის ძალისხმევით. ბატონმა რევაზმა სწორად გათვალა – ლიტერატურის ინსტიტუტიდან ჩემი გაგდებით ბატონი ელგუჯას გული მართლაც მოიგო. ბატონმა ელგუჯამ სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კარიერაში თავისი ადრინდელი და უკან ჩამოტოვებული კონკურენტი აკადემიაში ასარჩევ „კარუსელზე“ შემოსვა და მეტიც აღარ იყო საჭირო, – ბატონ რევაზს იმდენი დასახელები სწივნი აქვს, ვის არ მოხიბლავს! თუ ეს რაოდენობა რა გამეორ-გამეორებებითაა შექმნილი და, რაც ამჯერად გვაინტერესებს, რა უვიცი რუსთველოლოგიცაა, თვალნათლივ ნაჩვენებია ჩემს წიგნში „უვიცობის, ჰლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“. მაგრამ მისი წამკითხავი ვინაა. ან ჩვენს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში არის კი სხვა ვინმე<sup>1</sup>, ქართული ლიტერატურა აინტერესებდეს, ამ დარგში მუშაობდეს ან ამ საქმეს ყურადღებას აქცევდეს?!

<sup>1</sup> მეცნიერებათა აკადემიაში არჩევის მექანიზმს ვინც არ იცნობს, მოვახსენებ: მთავარია, იქ შენს სამეცნიერო დარგის განყოფილებაში გახვიდე, შემდეგ ეტაპზე არჩევნებში აკადემიის სხვა დარგების აკადემიკოსები მონაწილეობენ და, როგორც წესი, ისინი განყოფილების წარმოდგენილ კანდიდატურას კრიტიკული თვალთაღარ უყურებენ.

ლიტერატურათმცოდნეობა „ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში“ შედის. რ. სირაძეც უპირველესად აქ უნდა გასულიყო. ადრე ეს „ენისა და ლიტერატურის“ განყოფილება იყო და მასში მხოლოდ ენისა და ლიტერატურის მოღვაწენი

ჩვენს დასახელებულ კრიტიკულ ნაშრომში ცხადად და ფართოდ ვაჩვენეთ, რა თვალთმაქცობას ეწევა იგი, საერთოდ, მეცნიერებაში, კერძოდ, რა რუსთველოლოგიც ბრძანდება, მაშინ როდესაც ამ დარგს წლების განმავლობაში „მეთაურობს“!!!

## ახალი კონკურსი

2009 წლის 15 ოქტომბერს ლიტერატურის ინსტიტუტში თანამშრომელთა ახალი ვადით ასარჩევად მორიგი კონკურსი ჩატარდა. მანამდე ინსტიტუტის რუსთველოლოგიის კვლევით ცენტრში რამდენიმე ცვლილება მოხდა. კერძოდ, ცენტრის ხელმძღვანელობიდან გადადგა რევაზ სირაძე და მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა დაიჭირა (მისი ადგილი ერგო ივანე ამირხანაშვილს). როგორც „ვეფხისტყაოსანში“ სარიდანს, მასაც „ვერჟინ ჰკადრებდის

---

შედიოდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა(!) და საქართველოს სამხატვრო აკადემია გაუქმდა (!), რამდენიმე იქაური „პატივსაცემი“ ხელოვანი ხელფასისთვის ამ განყოფილებას მიაწერეს. ეს განყოფილება შემდეგ ასე გამოიყურებოდა (ვსარგებლობ ინტერნეტის მონაცემით): ენათმეცნიერები: თამაზ გამყრელიძე, მზექალა შანიძე, გურა კვარაცხელია; ბერძნულის სპეციალისტები: თინათინ ყაუხჩიშვილი და რისმაგ გორდეზიანი, თურქოლოგი ელიზბარ ჯაველიძე, ოსი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე ნაფი ჯუსოითი; მხატვრები, არქიტექტორები და მუსიკოსები: მერაბ მერაბიშვილი, მერაბ ბერძენიშვილი, ზურაბ წერეთელი, გიორგი თოთიბაძე. ქართული ლიტერატურის წარმომადგენელი მხოლოდ ელგუჯა ხინთიბიძე გახლდათ.

ნიშანდობლივია, ე. ხინთიბიძის „წარდგინებაში“ აღნიშნულია, რ. სირაძე რაზე მუშაობს, რას იკვლევს, მაგრამ არაფერია ნათქვამი, რა გამოიკვლია, რა მოგვცა ახალი და ფასეული. რუსთველოლოგიაზე კი სიტყვა არაა დაძრული.

წყენასა“, მაგრამ უკვე აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ჩვენი დროისათვის უჩვეულო დიდი ხელფასი (1180 ლარი<sup>1</sup>) დაენიშნა და ის ცოტა რამ, რაც ხელმძღვანელობისას მოეთხოვებოდა (სხდომების ჩატარება, ხანდახან სხვისი ნაშრომის წაკითხვა), „მოსწინდა“ და მას აღნიშნული თანამდებობა ქალბატონმა ირმამ „საკარგემოდ უბოძა“<sup>2</sup>. მკითხველს უნდა შევახსენო, ეს

---

<sup>1</sup> ვინაიდან ნ. სულავა ლიტერატურის ინსტიტუტის ღირექტორის მოდგილედ ყოფნისას რ. სირაძეს ორი წლის განმავლობაში გრანტში თვიურად ჩემზე 30 ლარით მეტს აძლევდა, 2006 წლის არჩევნებში ჩემი გაგდებისა და ნ. სულავას მხარდაჭერისათვის წიგნში „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ ბატონ რეზოს „მაღლობა“ გადაუხადე, იაფად არ გამყდა-მეთქი (გვ. 275). ახლა კიდე უფრო „აღფრთოვანებული“ ვარ. ამ ფასად იმ არჩევნებში ხინთიბიძეებისადმი მხარდაჭერა ნამდვილად ღირდა და ღირს!

<sup>2</sup> აქ სიმართლე უნდა აღვადგინო და ირმა რატიანი „დავიცვა“. მტკნარი სიცრუეა ინტერვიუში სოსო სიგუას განცხადება, ვითომც ი. რატიანმა რ. სირაძე იმიტომ დააქვეითა, რომ აკადემიაში არჩევისას ის მისი კონკურენტი გახლდა და გაიმარჯვა. მოუხმინოთ მას: „რეზო სირაძე ცნობილი მეცნიერი გახლავთ (!), იგი იყო რუსთველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი. ჩემი აზრით, მისი გაშვება უკავშირდება მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულ არჩევნებს, სადაც მის გარდა თავისი კანდიდატურა წარადგინა ირმა რატიანმა. ბუნებრივია, ახლა აკადემიამ მხარი დაუჭირა რეზო სირაძეს“ (ვაზ. „კვირის ქრონიკა“, 5-11 ოქტომბერი, 2009, № 39, გვ. 6). ქალბატონი ირმა, „შორსმჭვრეტელი“ და „საქმიანი“ ქალბატონია, აკადემიაში არჩევნებს კიდეც მოელის და რ. სირაძე ისევე სჭირდება, როგორც ბატონი ელგუჯა ხინთიბიძე. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ივანე ჯავახიშვილის (სახელობის) უნივერსიტეტის საბჭოს სხდომაზე მისი წევრი ი. რატიანი სიტყვით გამობრძანდა და თავის ამ კონკურენტის აკადემიაში წარდგინებას მხარი დაუჭირა. რ. სირაძისადმი მისი თავდადება, ქვემოთ ვნახავთ, ლიტერატურის ინსტიტუტში კონკურსის დროსაც მკაფიოდ გამოჩნდა.

და ახლა რ. სირაძე მარტო ი. რატიანს სჭირდება?! თუ ამ არჩევნებამდე აკადემიის მსუყე ლუკმის მოსაპოვებლად „ღარუ-

ის თანამდებობაა, რომელიც ინსტიტუტის დირექტორმა 2008 წლის დასაწყისში გააუქმა. ვინაიდან 2006 წლის კონკურსში ამ თანამდებობაზე კენჭს მე ვიყრიდი, დირექტორმა (ღიახ, ღიახ, ირმა რატიანმა) კონკურენტი ვერ მომიხაზა და, რომ მოვეშორებინე, გაუგონარი, ძნელად წარმოსადგენი უსამართლობა და თავხედობა გამოიჩინა, კონკურსი და შტატი გააუქმა! (ამაზე საუბარი მაქვს ჩემს წიგნში – „უცილობის, ქლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“).

ამ ახალ კონკურსში რ ე ვ ა ზ ს ი რ ა ძ ი ს ა თ ვ ი ს ა ლ დ გ ე ნ ი ლ ი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად ს ე ი რ ი ს ს ა ყ უ რ ე ბ ლ ა დ ბატონ რევაზს დაუუპირისპირდი. მიუხედავად იმისა, რ. სირაძე რუსთველოლოგი არ ბრძანდება, ამ დარგში არაფერს აკეთებს და გვერდში ვერ დამიდგება, რა თქმა უნდა, შესანიშნავად ვიცოდი, ვერაფერს მივალწევდი. მაგრამ, თუ კონკურსში მონაწილეობა მივიღე, იმიტომ, რომ საზოგადოებისათვის ერთხელ კიდევ მეჩვენებინა, ლიტერატურის ინსტიტუტში რა საშინელება სუფევს.

აი, რა წერია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმში (№ 11) ჩემი და რ. სირაძის შესახებ:

### ამონაწერი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ოქმიდან

„სხდომას ესწრებოდნენ: სამეცნიერო საბჭოს შვიდი (ე. ი. ყველა. – ბ. ღ.) წევრი: გაგა ლომიძე (თავმჯდომარე), მანანა ნინიძე (მდივანი), მანანა კვაჭანტირაძე, თამარ ლომიძე, დარეჯან მენაბდე, რ ე ვ ა ზ ს ი რ ა ძ ე (ხმის უფლების გარეშე), რუსუდან ჩოლოყაშვილი; სათათბირო ხმის უფლებით,

---

ბანდს“ რ. სირაძე და ი. რატიანი ერთად „ხნავდნენ“, საამისო თადარიგმა, ვხედავთ, ნამუსზე სხვასაც ააღებინა ხელი!

სხდომას აკრეთვე ესწრებოდნენ: რუსთველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ივანე ამირხანაშვილი, ინსტიტუტის დირექტორი ი რ მ ა რ ა ტ ი ა ნ ი და დირექტორის მოადგილე მაკა ელბაქიძე. (...) კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტთა მონაცემები. თითოეული მათგანის მიერ უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ს ა მ წ ე ლ ი წ ა დ შ ი გამოქვეყნებული ნაშრომები, მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, მუშაობა სამეცნიერო საკრანტო ფონდების მიერ დაფინანსებულ პროექტებზე (...).

**მოისმინეს:** საბჭოს თავმჯდომარემ გაგა ლომიძემ დამსწრეთ შეახსენა წინასწარ გამოქვეყნებული კრიტიკიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რ ა ო დ ე ნ ო ბ ა და ხ ა რ ი ს ხ ი (ბოლო სამი წლის განმავლობაში);

ბ) საკონკურსოდ წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის, მონოგრაფიის) ხ ა რ ი ს ხ ი;

გ) მონაწილეობა საკრანტო, მათ შორის, საერთაშორისო საკრანტო თემატიკაში (საკრანტო პროექტებში მონაწილეობა ა რ ს ე ბ ი თ ჰ რ ი ო რ ი ტ ე ტ ა დ მიიჩნევა მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში);

დ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

საბჭოს თავმჯდომარემ კოლეგებს შეახსენა, რომ საკონკურსო კომისიის მიერ, თ ა ნ ა ბ ა რ ი ჰ ირობების შემთხვევაში, გათვალისწინებული და დამტკიცებული იქნა დამატებითი კრიტიკიუმები მეცნიერის საერთაშორისო ჰუმლიკაციები და სამეცნიერო ავტორიტეტი (...).

**აზრი გამოთქვეს:** დარეჯან მენაბდემ, გაგა ლომიძემ, რუსუდან ჩოლოყაშვილმა. აღინიშნა, რომ რ ე ვ ა ზ ს ი რ ა მ ე უკანასკნელ წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რუსთვე-

ლოლოგიის სამეცნიერო ცენტრს. ამ ხნის მანძილზე ცენტრის თანამშრომელთა მიერ მომზადდა სამეცნიერო კრებულის - «რუსთველოლოგია» - მორიგი ტომი. დაფინანსდა მათ მიერ ეროვნულ საგრანტო ფონდში (რუსთაველის ფონდი) წარდგენილი პროექტი «რუსთველოლოგიის თანამედროვე პრობლემები», რომელშიც ჩართულია ცენტრის ეკვლა ამჟამინდელი თანამშრომელი (...).

დადებითად იქნა დახასიათებული მთავარი მეცნიერ თანამშრომლის დასაკავებლად წარმოდგენილი ბორის დარჩიას კანდიდატურა, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებაში. მაგრამ აღინიშნა, რომ წარმოდგენილი საბუთების თანახმად, განსახილველ პერიოდში მისი აქტივობა სამეცნიერო კონფერენციებზე და სეგრანტო პროექტებში დაბალია (...).

განხილვის შემდეგ, გაიმართა ფარული კენჭისყრა. საბჭოს თითოეულ წევრს დაურიგდა ბიულეტენები, რუსთველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომლების (...) ვაკანტურ თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა გამოსავლენად.

უეთის გახსნის შემდეგ, ხმის დამთვლელმა კომისიამ, დარეჯან მენაბდისა და თამარ ლომიძის შემადგენლობით, სსდომის დამსწრეთ გააცნო შემდეგი:

მთავარი მეცნიერ თანამშრომელი:

1. ბორის დარჩია - 1 ხმა

2. რევაზ სირაძე - 5 ხმა (...).

დაადგინეს: რუსთველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცნიერ თანამშრომლებად არჩეულ იქნან: მთავარი მეცნიერ თანამშრომელი: რევაზ სირაძე“.

როგორც ვხედავთ, ამ კონკურსის პირველ კრიტერიუმად ნაშრომთა რაოდენობა და ხარის

ხ ი ა დასახელებული (ასეც უნდა ყოფილიყო!). მაგრამ  
ოქმიდან ჩანს, საბჭოს ამით არ უხელმძღვანელობს. ოქმში  
მასზე კრინტიც არ არის დაძრული! არ არის იმიტომ,  
რომ მათი ფალავანი რ. სირაძე ამ მხრივ ჩემთან  
ს ი ა ხ ლ ო ვ ე ს ვ ე რ მ ო ვ ა. ვნახოთ ეს მონაცემები:

**ბორის დარჩიას**  
**ბოლო სამი (2007-2009) წლის ნაბეჭდი წიგნებისა და**  
**საჟურნალო სტატიების სია:**

**წიგნები:**

1. უეიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ  
რუსთველოლოგიაში – გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008  
(330 გვ).
2. იაკობ შემოქმედელი – მონოგრაფია, გამომცემლობა  
„უნივერსალი“, თბ., 2009 (575 გვ).

**საჟურნალო სტატიები<sup>1</sup>:**

3. ვის გამოექცა ტარიელი? – „ლიტერატურული ძიებანი“, №  
XXVIII, თბ., 2007, გვ. 74-79.
4. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებები – „მწიგნობარი-07“, თბ.,  
2007, გვ. 52-72.
5. „მცხრალი მთვარის“ სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანში“ –  
ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის  
სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, თბ., 2008, გვ. 350-361.
6. მეცნიერი და მესიტყვე (ოთარ ტაბიძის გახსენება) – ჟურ.  
„ჩვენი მწერლობა“, 2008, 15, გვ. 41-43.
7. ისევე ვ. წ. „აბდულ-მესიანის“ დათარიღების შესახებ – კრებ.  
„მწიგნობარი-08“, 2008, გვ. 160-178.

---

<sup>1</sup> რატომღაც მიჩნეულია, გაზეთებში დაბეჭდილი სტატიები  
მეცნიერული არ შეიძლება იყოს!



8. (1967-1968 და 1971 წლების რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია და ანოტაციები) – წიგნში: რუსთველოლოგიური ლიტერატურა, IV, 1967-1980 წწ., ანოტირებული ბიბლიოგრაფია, წიგნი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გიორგი არაბულმა, თბ., 2009.

9. დაუვიწყარი სახეები (ოთარ ტაბიძის პოეტური ცდანი) – ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 7 აგვისტო, 2009, № 6, გვ. 52-53.

10. კომიკური „ვეფხისტყაოსანში“ – კრებ. „რუსთველოლოგია“, V, თბ., 2009, გვ. 32-87.

11. ორი იოვანე – ნაჩვენებია: „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერი ქართლის მთავარეპისკოპოსი იოვანე ავალიშვილი და ქართლის კათალიკოსი (1612-1616 წწ.) იოვანე ერთი და იგივე კი არა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, ორი სხვადასხვა პირია (გურამ კარტოზიას დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული (გვ. 179-186).

12. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერის პუბლიკაციის გამო – კრებული „მწიგნობარი-09“, თბ., 2009 (გვ. 192-215). განხილულია პარმენ მარგველაშვილის მიერ 2005 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“.

13. ნოდარ ალანიას გახსენება – ჟურნ. „ქართული მწერლობა“, ნოემბერი-დეკემბერი, 2009, № 6 (გვ. 32-47).

ახლა ვნახოთ, ბატონი რევაზის სამწლიანი „მოსაყალი“.

### რევაზ სირაძის 2007-2009 ნაშრომთა სია

1. ჩვენი თანაკურსელი, ჩინებული მწიგნობარი აკაკი ბრეგაძე აგრძელებს (უმეტეს შემთხვევაში იმეორებს) ქართული და, კერძოდ ძველი ქართული, ლიტერატურის ძეგლთა მრავალტომეულის გამოცემას. 2007 წელს გამოუშვა მე-2 ტომი (თბ., „ციციანთელა“), რომლის შემდგენელ-რედაქტორია რ. სირაძე. წიგნში შესულია სასულიერო, არსებითად ჰაგიოგრაფიული, მწერლობა, რომლებიც ადრე ამგვარ კრებულებში არაერთხელაა დაბეჭდილი და ახალს არაფერს შეიცავს. რ. სირაძის იმეორებს და აქა-იქ გადაადგილებულად წარმოგვიდგენს სხვათა მიერ (ს. ყუბანეიშვილი, რ. თვარაძე...) შერჩეულ თხზულებებს, მის ნაწყვეტებს. არც ერთი ტექსტი მისი დადგენილი არაა. წიგნს ერთვის რ. სირაძის „ბოლოსიტყვა“ (გვ. 426-473). არ იფიქროს მკითხველმა, ეს პოპულარული და არა კვლევითი წერილი მისი ახალი ნაშრომი

იყოს. იგი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს „ქართული მწერლობის ოცდაათტომეულის“ 1987 წელს გამოსული მე-2 ტომის მისსავე „ბოლოსიტყვას“ (გვ. 682-715).

2. სახისმეტყველებითი განმარტებანი ს.-ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“ – სამეცნიერო მეთოდური ჟურნალი „ქართული სიტყვა“, თბ., 2008, გვ. 68-76.

მკითხველს არც ეს წერილი ეგონოს ახალი. თავდაპირველ პუბლიკაციას რომ თავი დავანებოთ, იგი შესულია 16 წლის წინათ გამოცემულ მის წიგნში: „ქართული კულტურა და ქართული მწერლობა, I“ (1992, გვ. 135-151).

3. რ. სირაძემ 2008 წლის თარიღით გამოსცა წიგნი: „კულტურა და სახისმეტყველება“ (გვ. 219), რომელთაგან (არ მიძებნია) 10-15 გვერდი თუა აღნიშნულ წლებში დაწერილი, დანარჩენები ადრინდელია და ზოგიერთი როგორი ადრინდელიც (მკითხველო, მოემზადე) ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ!

4. იმავე 2008 წელს გამოქვეყნდა დიდი წიგნი – „წმინდა ნინო, სამეცნიერო კრებული, I“, რომელშიც შესულია წმინდა ნინოზე სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ნაშრომები. მათ შორისაა რ. სირაძის ამგვარივე ორი სტატია და „წინა თქმა“ (გვ. 7-8). რ. სირაძე გახლავთ ამ წიგნის „პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი“, ხოლო „შემდგენელ-კოორდინატორია“ მანანა ტუსკია.

ოჰ, ოჰ, ამგვარი პროექტის ავტორობა რა დიდი საქმეა! საშუალება არ არის, თორემ რამდენი მწერალი გვყავს ისეთი, მასზე არსებული ლიტერატურის თავმოყრა და გამოცემა, გაგიზარია, კარგი საქმეა. მაგრამ მაშინ, როდესაც უსახსრობის გამო „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური მრავალტომეულის გამოცემა ვერ მოგვიხერხებია, ცნობილი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გამოკვლევების თავმოყრის იდეა დიდი მეცნიერული ბიჭობა ვერ უნდა იყოს, მეტადრე მაშინ, როდესაც არც ერთ მათგანს, თუ რა მეცნიერული ღირებულებისაა ისინი, კომენტარები არ ახლავს!

5. აი, ახლა კი მივადექით რ. სირაძის რამდენადმე ახალ სტატიას: „ანტირომიური სახეები «ვეფხისტყაოსანში» (შეჯამებანი და ახალი თვალთახედვა)“ (რუსთველოლოგია, V, 2008-2009, გვ. 2003-217).

მაგრამ ვაი, იმ სიახლეებს, რასაც ეს იძლევა! (ამაზე ქვემოთ).

## რ. სირაძის „მეცნიერული“ ოინბაზობანი გრძელდება

2008 წელს გამოსულ ჩემს წიგნში: „უეცობის, კლავი-  
ატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლო-  
გიაში“ ტიცვიან ტაბიძის იუმორით შეფერადებული სიტყვები  
დავიმოწმე: „ლექსს დღეს თან ახლავს სიმამაძაღლე“ და მრავა-  
ლი ფაქტის მოხმობით ვაჩვენე, სიმამაძაღლეს, ამ სიტყვის  
პირდაპირი გაგებით, მეცნიერებაში თუ როგორ და რა მიზნით  
ახორციელებს რევაზ ს ი რ ა ძ ე. კერძოდ, აღწუსსზე, ერთსა  
და იმავე სტატიას უცვლელად ან მცირეოდენი ცვლილებით  
თავის სხვადასხვა წიგნში და წ ი გ ნ ე ბ ი დ ა ნ გაზეთებსა და  
კრებულებში უ შ ე ნ ი შ ვ ნ ო ლ როგორ იმეორებს იგი  
ორჯერ, სამჯერ და ხუთჯერაც კი! მეცნიერებაში კი არსებობს  
მარტივი ეთიკური წესი: ჭეშმარიტი მეცნიერი თავისი  
ჭეშმარიტი მეცნიერული გამოკვლევის განმეორებითი  
გამოქვეყნებისას მიუთითებს, მანამდე როდის და სად დაბეჭდა  
იგი. იქვე მაქვს აღნიშნული, რომ ამ წესს რ. სირაძე  
შეგნებულად არ იცავს, მიზანმიმართულად ცდილობს,  
სამეცნიერო საზოგადოებას თვალში ნაცარი შეაყაროს, დიდად  
ნაყოფიერ მკვლევრად წარმოუდგეს, ხოლო ამით ცხოვრებასა  
და მეცნიერებაში მაღალი თანამდებობები დაიკავოს, „საჭირო  
კაცი“ გახდეს და, რაც მთავარია, ფული იშოვოს. ბატონი  
რევაზი რის რევაზ სირაძე იქნებოდა, ამას თავი დაანებოს!  
ჩვენს წიგნში ამგვარი შემთხვევების იმდენად ბევრი მაგალითი  
გვაქვს ნაჩვენები, მკითხველს მისი გაზრდა აღარ გააკვირვებს.  
მაგრამ მეცნიერებისათვის ამ უკადრის ჩვევას რომ ის, უკვე  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-  
კორესპონდენტი, ბოლო სამი წლის განმავლობაში და დღესაც  
არ იშლის, რამდენიმე ახალ მაგალითს მაინც მოვიყვან.

ა) „კულტურულ-ლიტერატურული პარალელები“

1992 წელს თავის წიგნში „ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I“ რ. სირაძე ბეჭდავს სტატიას - „კულტურულ-ლიტერატურული პარალელები“ (გვ. 60-70). პირველად მან იგი 1985 წლის 29 ნოემბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა. მთავარი ის არის, რომ ავტორი მას წიგნიდან უცვლელად იმეორებს 16 წლის შემდეგ ეურნალ „მნათობში“ (2007, № 6, გვ. 75-79), მხოლოდ ეს არის, სათაურს ცვლის. გაზეთსა და წიგნში მისი სრული სახელწოდებაა „კულტურულ-ლიტერატურული პარალელები («ქებად და დიდებად ქართული ენისად») და ჩერნორიზეც ხრაბრის «ასოთათვის»)“.

ეურნალში ჰქვია: „ენათა სულიერი ყოფიერებისათვის (ინტერტექსტუალური გააზრებანი: ჩერნორიზეც ხრაბრის «ასოთათვის» და იოანე-ზოსიმეს «ქებად და დიდებად ქართული ენისად»)“.

რისთვის აკეთებს ამას ჩვენი აღმატებული მკვლევარი? - იმისთვის ხომ არა, რომ მასში აღძრული საკითხი მეცნიერებაში შემდგომ სხვანაირად, გამრუდებულად გაშუქდა და ავტორს სიმართლის აღდგენა სურს? ან, იქნებ, ეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხია, საზოგადოებას რომ უნდა შეეახსენოთ?

არა, ძვირფასო მკითხველო, არავითარი ამგვარი ან სხვა მნიშვნელოვანი საჭიროება არ ყოფილა. თავისთავად ეს სტატია ურიგო როდია: გვაცნობს ბულგარელი მწერლის აღნიშნულ თხზულებას, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო არაა (მანამდე საქართველოში თუ რა ვიცოდით მის შესახებ, ავტორი არაფერს ამბობს. აჯობებდა კი, აკადემიურობაც ამას მოითხოვს, ამ ავტორის შესახებ ქართულად არსებული ლიტერატურა ჯეროვნად ყოფილიყო მითითებული). თვით რ. სირაძის აღიარებით, ამ ორ ძველ წერილობით ძეგლს შორის „სხვაობანი ძალზე დიდია, მაგრამ თუ რაიმე შეიძლება შეუდარდეს (თუ არ ედარება, რა აუცილებელია ეს?! - ბ. დ.) ქართულ «ქებად» ბერძნულ, სლავურ, სომხურ თუ სირიულ მწერლობათაგან, ეველასე მეტად სწორედ შემოადინებული

მეკლი“ (წიგნში, გვ. 61). მართლაც, ჩვენი დიდებული თხზულება გახლავთ ქართული ენი ს (ღიახ, ენის!) ქება და დიდება, ჩერნორიზეც ხრახრისა კი ეხება „კონსტანტინე ფილოსოფოსის, კირილედ წოდებულის“ მიერ სლავური ანბანის (ღიახ, ანბანის, ასოთა) შექმნას.

რ. სირაძე ამ განმეორებითი პუბლიკაციით საზოგადოებას ერთხელ კიდევ წარმოუდგა და, რაც თვალში საცემია, წარმოუდგა უკვე ახალი პროფილის მკვლევრის სახით.

საქმე ის გახლავთ, აღარავისთვისაა დაფარული, რომ სოროსელთა და სხვა გადამთიელ ანტიეროვნული ფონდებისა და ორგანიზაციათა კადრებით დაკომპლექტებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გადაჭრით და შეუპოვრად იბრძვის ჩვენი გიგანტი სწავლულების მიერ ლიტერატურათმცოდნეობაში დანერგილი აკადემიკოსის წინააღმდეგ. ამით კი ცდილობს უმდიდრესი, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა და შესაბამისი მეცნიერებისთვის ეროვნულ-პატრიოტული სულის გამოცლასა და გლობალიზაციის ბურუსში მის გახვევას. როგორც ამ ვაიმეცნიერთა ერთ-ერთი წარმომადგენლის, შოთა რუსთაველის (სახელობის) ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის, ირმა რატიანის, საპროგრამო სტატიაშია აღნიშნული, ჩვენ, თურმე, უნდა დავნერგოთ „ეკოპოლ და ამერიკულ ლიტერატურათმცოდნეობით სიერცეში შექმნილებული მულტიინტერპრეტაციული და ინტერდისციპლინური მეთოდები“. უფრო კონკრეტულად: „ამ მეთოდოლოგიური ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა ქართული ლიტერატურის კვლევა მსოფლიო ლიტერატურის ჰერიოდისაციის, ეანრის თეორიის ევოლუციის, ნარატოლოგიის, თემატოლოგიის, რეცეფციული სპეციფიკის, ინტერტექსტუალობის, ინტერმედიალობისა და ინტერკულტურული კომუნიკაციების თვალსაზრისით“ (ჟურ. „სჯანი“, 2006, № 7, გვ. 8-9). თუ რა შედეგებს იძლევა ამ მეთოდებით კვლევა-ძიება, ნათლად ჩანს თავად ი. რატიანის ტვინსაღრძობი სამეცნიერო-საკვალიფიკაციო წიგნებიდან: „ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში - ესქატოლოგიური

ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის“ (2005) და „ქრონო-  
ტოპი ილია ჭავჭავაძის პროზაში“ (2006). ზემოთ უკვე ვთქვით,  
პირველი წიგნის შესახებ გამოქვეყნდა რევაზ მიშველაძის,  
მურმან თავდიშვილისა და სოსო სიგუას გახმაურებული  
წერილები. მეორე წიგნის შესახებ სხვა დროს მოგახსენებთ.  
თუმცა ჩემი ახსნა არ დაგჭირდებათ: თუ თავს გადადებთ და  
მას წაიკითხავთ (იოლი წასაკითხავი და გასაგები ნამდვილად  
არ არის!), ნახავთ, სხვას რომ თავი დავანებოთ, რა უბედურ  
დღეშია იქ ჩაგდებული ილია ჭავჭავაძე! ანდა აიღეთ ი.  
რატიანის წინასიტყვაობითა და რედაქტორობით  
ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ილია  
ჭავჭავაძის დაბადების 170-ე წლისთავისადმი მიძღვნილი  
საიუბილეო კრებული (2007). გარდა იმისა, რომ ი. რატიანი  
ახალს არაფერს იძლევა, მხოლოდ თავისი წიგნის ერთ  
ნაწილს იმეორებს, იქ ნახავთ სხვა სტატიებსაც, სადაც ილია  
ჭავჭავაძის ნათელი შემოქმედება, აღნიშნული მეთოდებით  
გაზომილ-აწონილი, რა გაბუნდოვანებული და გაუკულმარ-  
თებულია!

აი, აქეთკენ მიილტვის ელგუჯა ზინთიბიძის ხელდას-  
ხმული აკადემიკოსი რევაზ სირაძე.

ახლა ჩემთვის ნაკლებ საინტერესოა და „გლობალის-  
ტებმა“ განსაჯონ, ეს განმეორებით დაბეჭდილი წერილი  
რამდენადაა მათი მოთხოვნის შესაბამისი. ჩამოთვლილ და,  
კერძოდ, „ინტერტექსტუალურ მეთოდს“ ერთობ დიდი „ღირ-  
სება“ აქვს: ავტორის ნააზრევი, იდეა შეგიძლია (ბოდიში  
გამოთქმისთვის) ფეხებზე დაიკიდო და მის ნახელავში, რაც  
გაგიხარდება, ის ამოიკითხო!

მაინც ყველაფერი ეს მეათეხარისხოვანია იმასთან შედა-  
რებით, რაც საგანგაშოა: რ. სირაძე, კორნელი კეკელიძისა და  
ალექსანდრე ბარამიძის ნამოწაფარი, თავსა დებს და საქარ-  
თველოს განათლებისა და მეცნიერების დამაქცევართ ეუბნება,  
მეც თქვენთან ვარ, თქვენი გზით დავდივარ, მეც ვიკვლევ  
„ინტერტექსტუალობის“ მეთოდითო.

ბატონი რევაზ სირაძე ერთი გასროლით ასე კლავს ორ კურდღელს: საზოგადოებას ერთხელ კიდევ წარუდგა და ახალ „ელიტაშიც“ გაერია.

## ბ) გ. ტაბიძისა და ვ. კანდინსკის შედარება

2008 წლის თებერვალში გამოვიდა რევაზ სირაძის წიგნი „კულტურა და სახისმეტყველება“ (220 გვ.), სადაც მოთავესებულია მისი სტატია (გვ. 136-152) – „გალაკტიონის «ლურჯა ცხენები» და ვ. კანდინსკის «ლურჯი მხედარი» (ინტერტექსტუალური წაკითხვისათვის)“. ეს სტატია ავტორმა ადრე გამოაქვეყნა ჟურნალში „ლიტერატურა და სხვა“ (2001, № 1, გვ. 27-39). კეთილი და პატიოსანი, ყველაფერი თავის რიგზე!

მაგრამ ახლახან, 2009 წლის თებერვალში, გამოდის ლიტერატურის ინსტიტუტის კრებულის, „გალაკტიონოლოგიის“, მეოთხე წიგნი (თარიღად „2008 წელი“ აწერია), სადაც აღნიშნული სტატია უცვლელადაა გამეორებული (215-229). არადა ადრე, რამდენადაც ვიცი, გამოქვეყნებულ მასალებს ამ კრებულში არ ბეჭდავდნენ!

იქნებ, ეს სტატია იმდენად აქტუალური და მნიშვნელოვანი, რომ ხშირად უნდა ვიმეოროთ იგი, რათა ვინმე მისი გაცნობის გარეშე არ დარჩეს. ავტორი თავის დასკვნას ასე აყალიბებს: „გალაკტიონის «ლურჯა ცხენებისა» და კანდინსკის «ლურჯი მხედრის» ინტერტექსტუალური წაკითხვის საფუძველს ქმნის არა იმდენად ურთიერთმსგავსი სახეები (ლურჯა ცხენები-ლურჯი მხედარი), არამედ განსახოვნების არასაკნობრიობა და განუყენებულობა. არასაკნობრიობა გულისხმობს, რომ მათი შინაარსი ვერ დაიყვანება ლექსში თუ მხატვრობაში გამოსახული საგნების რაობაზე. შინაარსი ხილული რეალობის მიღმაა. მათი შინაარსი მიესწრაფვის ტრანსცენდენტურ სამყაროს. ამით ისინი ესმიანებიან იკონოგრაფიული განსახოვნების ზოგად პრინციპებს, რომლებიც მოცემულია ვ. კანდინსკის თეორიულ ნააზრევშიც («სულიერებისათვის ხელოვნებაში» და სხვა)“.

ახლა სრულებითაც არ გვანტერესებს იმის გარკვევა, რამდენად სწორი და საყურადღებოა ეს დებულება, სტატიაში

წარმოდგენილი მსჯელობა და არგუმენტაცია. ამჯერად ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ამ ვიწრო სპეციალური წერილის ერთ წელიწადში ო რ ჯ ე რ გ ა მ ე ო რ ე ბ ა ს, აშკარად ჩანს, უპირველესად იგივე დანიშნულება აქვს, რაც ზემოთაა აღნიშნული: ავტორი უაღრესად ნაყოფიერ მკვლევრად წარმოგვიდგეს. მაგრამ მართო ეს არის? აქ ის ერთი გასროლით მხოლოდ ერთ კურდღელს იჭერს? არა მგონია! ამ მ თ უ 9 წლის წინათ, როდესაც რ. სირაძემ ეს სტატია დაწერა, „გლობალიზმს“ ჩვენში კარგად ჰქონდა ფეხი მოკიდებული და ეს სათაურშიაც სათანადოდ აისახა. კვლევა ხდება „ინტერტექსტუალური“ მეთოდით! მაშ, სხვა რა არის? ის არის, რომ, ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რამდენიმე წლის წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „*ენისა და ლიტერატურის*“ განყოფილებას დაემატა „*ხელოვნება*“ და ამ განყოფილებაში უკვე მოქანდაკენი და მხატვრებიც ბრძანდებიან. ბატონი რეზო იმდენად პრაქტიკული ჭკუის პატრონია, მან თავისი სტატია სხვადასხვა ადგილას უთუოდ იმ მიზნით გამოფინა, რომ აკადემიკოს მხატვრებს იგი არ გამორჩენოდათ და ენახათ, მისი ავტორი რა ფართო დიაპაზონის მკვლევარია, რომ მხატვრობასაც სწვდება!

ყოველივე ამ და სხვა ძალისხმევამ, ბოლოს და ბოლოს, თავისი საბრძოლო მიზანდასახულება შეასრულა, – როგორც მოგახსენეთ, ბატონი რევაზ სირაძე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახდა! რა თქმა უნდა, მისთვის არავის მიუყენებია ის საზომი, რომ ამ რანგის მეცნიერს მეცნიერებაში ერთი დიდი ლოდი მაინც უნდა ჰქონდეს მოგლეჯილი!

ყოჩაღ, რეზო!

უნდა შევნიშნოთ, ჩვენს „გლობალისტებს“ მათი ხსენებული დისციპლინები იმდენად ზერელედ აქვთ ათვისებული-გათავისებული, უცხოური ტერმინოლოგია და ფრაზები უმად გადმოაქვთ. თუ არა, ი. რატიანსა და რ. სირაძეს უნდა მოეხსენებოდეთ: ქართულია არა „ინტერტექსტუალური“, არამედ „ინტერტექსტობრივი“.



### გ) იოანე პეტრიწის სახისმეტყველება

ზემორე ორი მაგალითი ცალკე სტატიების უ უ რ ნ ა ლ ს ა და კ რ ე ბ უ ლ შ ი სათანადო შენიშვნის გარეშე განმეორებით ბეჭდვას ეხებოდა. ახლა ვნახოთ, რევაზ სირაძე როგორ არ დალატობს თავის ხერხს წიგნებშია, — ერთი წ ი გ ნ ი დ ა ნ მეორე, მესამე და კიდევ მეტ წ ი გ ნ შ ი, გადატანასა და განმეორებას (რა თქმა უნდა, უშენიშვნოდ!) და ამით უკანასკნელის გაზრდასა და გასქელებას.

ასევე იქცევა იგი ზემორე დასახელებულ 2008 წელს გამოცემულ წიგნში „კულტურა და სახისმეტყველება“, სადაც შესულია მისი ბოლო დროს გამოქვეყნებული სტატიები. თავი რომ დავანებოთ ცალკეული ბანალური აზრების გამეორებას, ძველი წიგნებიდან სტატიები მთლიანი სახით აქაც გადმოაქვს.

ასეთია სტატია „იოანე პეტრიწის სახისმეტყველება“ (გვ. 88-100, 105-106). იგი მან ადრე გამოაქვეყნა 1978 წელს გამოცემულ თავის წიგნში „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“ (გვ. 123-139).

იქნებ, ამ ნაშრომის ხელმეორედ (თუ მერამდენედ) გამოტანა მასზე მოთხოვნილების გაზრდამ ან წიგნის კომპოზიციამ გამოიწვია? — არა, არც ერთი და არც მეორე! იგი ხელმიუწვდომელი, ბიბლიოგრაფიული იშვიათობა არასდროს ყოფილა, ხოლო ამ სამ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში განხილვისა და სადავო საქმედ არავის გაუხდია. ეს არც ის ნაშრომია, ჩვენს მეცნიერებაში შემდგომ დასმული რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად გამოგვრჩა და მისმა გაუთვალისწინებლობამ ზიანი მოგვიტანა.

რაც შეეხება წიგნის კომპოზიციას, იგი, ეგებ, ავტორს იქ დასმული საკითხების ასახსნელად და ნათელსაყოფად დასჭირდა? — არა და არა! წიგნი თემატიკურად ერთიანი, სტატიები ერთი მეორისაგან გამომდინარე, არ არის. მათ მხოლოდ ის აერთიანებს, რომ ბოლოდროინდელი დაბეჭდილი მასალებია.

მაშ, რამ გამოიწვია ამ არაფერი გამოჩენილი სტატიის განმეორებით დაბეჭდვა? – მხოლოდ და მხოლოდ ავტორის მისწრაფებამ, მკითხველს თვალში ნაცარი შეაყაროს, წიგნი გაახვარიელოს და გაასუქოს, დიდ მეცნიერად, გაფუყულად წარმოდგეს და მეცნიერებასა და საზოგადოებაში მაღალი ადგილები დაიჭიროს!

უნდა ვადიაროთ, დიდებულადაც გამოსდის!

დ) რუსთველის ესთეტიკური თვალთახედვა

ამჯერად კიდევ უფრო საინტერესოა რევაზ სირაძის სტატია „რუსთველის ესთეტიკური თვალთახედვა (თეორიული შეხედულებანი)“, რომელიც იმავე 2008 წელს გამოსულ წიგნში ცალკე თავადაა შეტანილი (გვ. 107-128). საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი რუსთველოლოგიურია. მე კი 2006 წლის მონაცემების მიხედვით ვწერდი: „ამ 17 წლის მანძილზე რ. სირაძეს არ გამოუქვეყნებია არც ერთი საქმის ცოდნით დაწერილი, დასაბუთებული წმინდა რუსთველოლოგიური გ ა მ ო კ ვ - ლ ე კ ა“ (უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში, გვ. 248). ახლა, იქნებ, მკითხველმა ამოისუნთქოს, – ამ სამი წლის განმავლობაში, რაც ის ამჯერად რუსთველოლოგიის კვლევითი ც ე ნ ტ რ ი ს ხელმძღვანელია, შეძლო, ასე თუ ისე, საჭირო რუსთველოლოგიური ნაშრომის შექმნა?

არა, ძვირფასო მკითხველო, ხსენებული სტატია სრული ს ა ხ ი თ გ ა დ მ ო ბ ე ჯ დ ი ლ ი ა იმავე 1978 წელს გამოცემული მისი წ ი გ ნ ი დ ა ნ – „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“ (გვ. 207-231), რომ არაფერი ვთქვათ, მთლიანად ან ნაწილობრივი, ნაწყვეტების სახით მის სხვა პუბლიკაციებზე.

აქაც უნდა დავსვათ ზემორე კითხვები: იქნებ, ესაა ისეთი გამოკვლევა, რომლის გამეორება რუსთველოლოგიისათვის ან ამ კრებულის შედგენილობისთვისაა საჭირო?

არც ერთი და არც მეორე! იგი მეცნიერებაში იმდენად ცნობილ და ბანალურ საკითხებს ეხება, თანაც ზერეულედ,

ქართულ ლიტერატურასა და, საერთოდ მეცნიერებაში, გაუთვითცნობიერებელ მკითხველს თუ გამოადგება. ეს ნათელვყავი ჩემს წიგნში „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“. სანიმუშოდ რამდენიმეს გადავაველოთ თვალი.

წერილის შესავალში ავტორი დიდი ამბით იუწყება: „რუსთველოლოგიის დიდ წარმატებათა საფუძველზე დღეს შესაძლებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს საკითხთა ორი რიგი: ერთი რიგი საკითხებისა შეიძლება დავაჯგუფოთ ქრესტომათიული ცოდნის სახით, მეორე რიგი პრობლემური სახისაა. ქრესტომათიული და პრობლემური ცოდნის გამიჯვნა რ უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ა ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ე ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა. უნდა ვიცოდეთ, რაა მოპოვებული და რა საძიებელი. ამის უგულვებელეოფას ზიანი მოაქვს რუსთველოლოგიისათვის. როგორც კ. კეკელიძე შენიშნავდა, ზოგჯერ ამა თუ იმ მკვლევართან ისეა წარმოდგენილი საქმე, რომ თითქოს თავიდან იწყებოდეს საკითხთა კვლევა. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ ის, რაც ქრესტომათიულ ცოდნად მიგვაჩნდა, ან მცდარი აღმოჩნდება და ან მისი გადააზრება მოხდება“ (გვ. 107).

ვის სჭირდება ეს ანბანური „მეთოლოლოგური“ ახსნა-განმარტება? ჩემს წიგნში რამდენიმე სიტყვიანი რეპლიკით ვამბობ (გვ. 214), აქ უფრო გამოკვეთილად ვიტყვი: რა, მართო რუსთველოლოგიაშია გასამიჯნავი „ქრესტომათიული და პრობლემური ცოდნა“, თანაც „განსაკუთრებით“?! მეცნიერების რომელ დარგში არაა ასე, თუ კი ის მეცნიერებაა?! ან სად არ არის აზრთა სხვადასხვაობა და მათი ცვალებადობა?!

ამ სტატიის მიზანდასახულობას რ. სირაძე ასე განსაზღვრავს: „მხოლოდ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება სპეციალური გამოკვლევანი, რომლებიც ეძღვნება რუსთველის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს და «ვეფხისტყაოსნის» მსატვრულ სამეაროს. მათზე დამუარებით ამჯერად ჩვენ გამოვეყოფთ რუსთველის ესთეტიკურ შეხედულებებს. შევხებით ზოგიერთ ახალ მომენტსაც“ (გვ. 110).

ნამდვილად კი სტატიაში არსად არ არის აღნიშნული, რა იყო ამ მხრივ რუსთველოლოგიაში გარკვეული, ცნობილი და თვითონ რას გვაძლევს ახალს.

რ. სირაძე სრულად იმოწმებს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სტროფს „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება...“ და მას ასეთ კომენტარს ურთავს: „ეს სიტყვები საშულებას ქმნის(,) გამოვეთ ჰოეტური შემოქმედების ელემენტები. რუსთველის მიხედვით, აქ გვეძლევა 4 ელემენტი, ესენია: ენა, გული (იგივე, გრძნობა), ხელოვნება (ანუ ოსტატობა), გონება (ღვთაებისგან მინიჭებული გონება). ცხადია, ძნელია, ამ ოთხი ელემენტის გამოყოფა დავუკავშიროთ ს ა მ ე ა რ ო ს ო თ ხ ე ლ ე მ ე ნ ტ ო ვ ა ნ ი შედგენილობის შუასაუკუნოებრივ ჰრინცივს“ (გვ. 112).

ამის გამო ჩემს წიგნში მიწერია და უნდა გავიმეორო: „მოდი და ნუ გაგიკვირდება, რატომ უნდა დავუკავშიროთ ენა, გული, ოსტატობა და გონება სამეაროს შემადგენელ 4 ელემენტს: «ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა» ან ვინ ცდილობს მათ დაკავშირებას, გარდა რ. სირაძისა?! მადლობა უფალს, რომ გადაგვარჩინა, - ეს მისთვის ძნელი გამხდარა!“ (გვ. 215).

რ. სირაძემ ლამის შეგვჭამოს, იმეორებს და იმეორებს უმარტივეს ჭეშმარიტებას, რომ პოემის პროლოგის ზემორე დამოწმებულ სტრიქონში სიტყვა „ხელოვანება“ ნიშნავს ოსტატობას და არა „ხელოვნებას“, ახლანდელი გაგებით. სტატიაში იკითხება: „ჩ ვ ე ნ ა მჭერად გ ა ნ ვ მ ა რ ტ ა ვ თ ტერმინს «ხელოვნება»“. ამ სიტყვას რუსთველი დღევანდელი გაგებით («მხატვრული შემოქმედება») არ სმარობს. «ხელოვნება» ნიშნავს «ოსტატობას», საქმის სრულყოფილად ფლობას“ (გვ. 112).

იძულებული გავხდი, ჩემს პოლემიკურ წიგნში მიმეთითებინა, რომ ამის დადგენა რ. სირაძეს არ ეკუთვნის, ის ამ შინაარსით მანამდეც ესმოდათ და საამისოდ დავიმოწმეთ ალ.

ბარამიძის, ა. შანიძისა და ს. იორდანიშვილის ნაშრომები (გვ. 216).

დასასრულ, კიდევ ერთი საკითხი. მკითხველი ნუ გამიჯავრდება, რომ სარეცენზიო სტატიაზე ჩემი წიგნიდან „უეიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ ვრცელი ამონაწერი უნდა მოვიყვანო (გვ. 216–218):

რ. სირაძე სრულად იმოწმებს პროლოგის სტროფს „ეთქვა მიჯნურობა პირველი...“ (20) და „მას ერთსა მიჯნურობასა...“ (21) და ცდილობს გაარკვიოს, თუ რას ნიშნავს რუსთველის შეხედულება „საზეო“ მიჯნურობაზე. ის ასე მსჯელობს: „ამ სიტყვების თანახმად, არსებობს ორგვარი სიუვარული: ერთია «ტომი გვართა ზენათა», ერთ-ერთი უმაღლეს იდეალთაგანი (აქ იგულისხმება, რომ არსებობს, უფრო გავრცელებული თვალსაზრისით, ოთხი «სენა გვარი»: სიკეთე, ჭეშმარიტება, სიუვარული და მშვენნიერება). ამგვარი სიუვარული არის «საზეო საქმე», იგი «აღმაფრენათა მომცემია» (აქ ჩანს სიუვარულის შთამავონებული მნიშვნელობაც). ისე როგორც ყოველი ღვთაებრივი იდეა, ამგვარი სიუვარულიც არ შეიძლება ე ნ ი თ გ ა მ ო ი თ ქ ვ ა ს. იგი, ერთი გამოთქმის მიხედვით, «სულითა ზოლო საცნაურია». ამიტომ ეს სიუვარული არ შეიძლება იქცეს ჰოეტური გამოხატვის სახნად, რამდენადაც, ვინც, საზოგადოდ, მ ი ს გ ა მ ო თ ქ მ ა ს ეცდება, ამოდ დაშვრება («ენაც დაშვრების, მსმენლისა უურნიცა დავადებიან»). ეს სიუვარული ინტელექტუალურ შემეცნებაზე მაღლა დგას. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რუსთველი საერთოდ გამოორიცხავს ამ სიუვარულის როლს შემოქმედების პროცესში“ (სტატია, გვ. 113).

რ. სირაძე ასე იოლად წყვეტს საკითხს. ახლა მოვუსმინოთ ვ. ნოზაძეს, რამდენს ფიქრობს ამაზე და რა ვარიანტებს არჩევს. „ამ ლექსის განმარტება ორ გვარად შეიძლება. არ ვიცი, სწორი იქნება თუ არა შემდეგი განმარტება. მას მოვერიდე, როდესაც «ერთი»-ს, ღმრთის საკითხი გავარჩიე ჩემს წიგნში «ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება», მაგ-

რამ საკითხი «მას ერთსა მიჯნურობასა», მუდამ მანქალებდა და ამიტომ ვარჩიე ეს მოსაზრება აქ გამოეთქვა და ამით ეს ჩემი წამება მოვიშორე. უოველთვის ეჭვი მქონდა, რომ «მას ერთსა» იქნებ ნიშნავდეს-მეთქი მას ღმერთსა, ერთსა, რომელს მიჯნურობა-სიუვარული მიეკუთვნება. თუ ასეთი მოსაზრება გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ «მას ერთსა მიჯნურობასა» იქნებოდა: *ერთი*-ღმერთის მიჯნურობა ისეთი მხელია, რომ მას ჭკვიანნი დიას ვერ მიჰხვდებიან, ესე იგი, მათ არ ერგებათ. ისინი მას ვერ მიაღწევენ, რადგან ასეთი მისტიკური სიუვარული ჭკუისაგან არ არის დამოკიდებული.

მეორე განმარტება. «მას ერთსა მიჯნურობასა» ნიშნავს: მას ერთსა მიჯნურობასა ღმერთის მიმართ, რომელიც არის ჰირველი, თვით ჭკვიანთათვისაც მის აღწეველი არ არისო. «ვერ მიხვდებიან» არ არის, როგორც ჩვეულებრივ განმარტავენ: «ვერ გაიგებენო»!, არამედ არის ამის «მიხვდომილწევა», ესე იგი: ჭკვიანნი ღმერთისადმი სიუვარულს ვერ მიღწევენ, ვერ შესწავდებიან. ასეთი მისტიკური სიუვარულისათვის ჭკუა არ არის საჭირო, რადგან ეს მიჯნურობა ჰირველი, სიუვარული ღმერთის მიმართ არის ჭკუის გარეშე, გონების გარეშე, - იგი მისტიციზმს ეკუთვნის, იგი ჭკვიანთათვის არის შმაგობა, სიგითე (...). ეს «მიჯნურობა ჰირველი» იტალიელი დანტე ალიგჰიერის «დივანა კომედია»-ში არის «სიუვარული მარადი», «სიუვარული ჰირველი» („ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება“, გვ. 94).

როცა აზრთა ამ განსხვავებას აღვნიშნავ, ჩემთვის მთავარი არაა, რომელი მოსაზრებაა სწორი. ამ შემთხვევაში რ. სირაძეს არც იმას ვსაყვედურობ, 1978 წელს დაბეჭდილ თავის წიგნში 1976 (ფაქტობრივიად 1977) წელს პარიზში გამოსულ ვ. ნოზაძის ამ წიგნს რატომ არ იცნობს. მთავარი ისაა, ამ „საზეო მიჯნურობას“ რ. სირაძე კვლავ ეხება 1982 წელს გამოქვეყნებულ (გვ. 183) და 2000 წელს გამეორებულ

თავის „სახისმეტყველებაში“, რომ არაფერი ვთქვათ 2005 წელს დასტამბულ სახელმძღვანელოზე „ქველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ (გვ. 151), და არსად ის მკითხველს არ აკვალიანებს, რომ ვ. ნოზაძეს ამგვარი განსხვავებული მოსაზრება აქვს. ვ. ნოზაძე ხელწამოსაკრავი ავტორია?! ... მაგრამ რას დააკვალიანებდა, როცა ეს წიგნი მისთვის ბოლომდე უცნობი დარჩა!

ეს, რაც ადრე დავებჭდე. ახლა აღნიშნული ბოლო სიტყვები ამ მერამდენე (2008 წლის) პუბლიკაციაზე კიდევ უფრო მკაცრად უნდა ვთქვათ!

კარგი, 1978, წინა და მომდევნო წლებში რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება, მეტადრე ამ დარგის ხელმძღვანელობა, ოფიციალურად არ გეკისრებოდა, მაგრამ 2002 წლიდან ხომ გევალებოდა?! სხვას რა უნდა უხელმძღვანელო, როცა შენსას ვერ პატრონობ!

პირიქით, ეს სტატია აქ უსულგულოდ და დაუდევრად არის გადმობეჭდილი. თუ ადრინდელს ავტორთა ნაშრომებზე მითითება, სქოლიოები ახლავს, ამგვარი აქ არსად ჭაჭანებს. ამიტომ მკითხველს საშუალება არა აქვს, გაიგოს, ესა თუ ის დამოწმებული ავტორი ამა თუ იმ საკითხს სად და რომელ გვერდებზე ეხება. ერთგან ამას დიდ გაუგებრობამდე მივყავართ. მას შემდეგ, რაც გიორგი ნადირაძის შეხედულებაა განხილული, ვკითხულობთ: „გიორგი ნიორაძე წერს...“ (გვ. 122). ნაშრომი რომ მითითებული იყოს, მკითხველი რაღაც გზას დაადგებოდა. ახლა კი, მოდი და ეძებე, გიორგი ნიორაძემ იგი სად და როდის თქვა. ძვირფასო მკითხველო, თავს ნუ იმტვრევთ, ასეთი ავტორი არ არსებობს. სინამდვილეში, იგი ისევე გიორგი ნადირაძეა, შეცდომით დაბეჭდილი!

ერთადერთი სიახლე ამ სტატიაში ისაა, რომ ავტორი უმატებს აბზაცს: „რუსთველის ტოლერანტობის მაჩვენებელია, რომ ის თვით საღვთო სიუვარულს აღნიშნავს არაბული ტერმინით («მიჯნურობა ჰინჯველი»), ასევე შაირობაც შეიძლება იყოს «საღვთო»“ (გვ. 126).

ამის დამწერს „ვეფხისტყაოსანი“ ან აღმოსავლური ლიტერატურა ესმის?!

ყველაფერი ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ რუსთველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელს, რევაზ სირაძეს, რუსთველოლოგია კი არა, ამ დარგში თავისი ნაშრომიც არ აინტერესებს. და თუ მას 30 წლის შემდეგ იმეორებს, იმიტომ, რომ, ერთი, ახალი წიგნი გაადიდოს და გაბეროს და, მეორე, მკითხველს აჩვენოს, რუსთველოლოგიაში მოღვაწეობს. ნუ დავუკარგავთ, მიზანს დიდებულად აღწევს!

ე) „ანტინომიური სახეები“, „ირაციონული სახისმეტყველება“, „შებრუნებული პერსპექტივა“, „ჯვარსახოვნება“, „სიღრმისეული პასიონარობა“ და სხვა ტვინის ჭყლეტანი

2009 წლის ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდა ლიტერატურის ინსტიტუტის კრებული – „რუსთველოლოგიის“ მეხუთე წიგნი (თბ., 2008–2009). მისი, როგორც წინა, მეოთხე კრებულის, რედაქტორი ბატონი რევაზი ბრძანდება. აქ ის ბეჭდავს ზემორე ჩამოთვლილი უცხოური ტერმინებით დახუნძლული სათაურებით „დამშვენებულ“ თავის პატარა სტატიას (გვ. 203–215). არ გამიკვირდება, ზემორე აღწერილი შემთხვევებით დამფრთხალმა მკითხველმა, ესეც ძველის გამეორება იქნებაო, მას ყურადღება აღარ მიაქციოს და გვერდზე გადადოს. ალბათ, ისეთებიც იქნებიან, იტყვიან: მას შემდეგ, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში აირჩიეს და თუნდაც იმიტომ, რომ ლიტერატურის ინსტიტუტში რუსთველოლოგიის მთავარი მეცნიერის თანამდებობაზე კონკურსით გაიმარჯვა, ეს კაცი მთლად ისე გლახაკი და ნაძუსზე ხელადებული როგორ იქნება, ერთ რუსთველოლოგიურ სტატიას მაინც ვერ დაწერდა და ისევ ძველსა და უმაქნისს შემოგვაპარებდაო. ვნახოთ, რაა აქ ძველი და, რაც ახალია, რამდენად სასარგებლოა იგი!



ბატონი რევაზი რეკლამის, თვალში ნაცრის შეყრის, დიდოსტატი რომ არის, ეს ჩვენმა მკითხველმა, კარგა ხანია, იცის. ამთავითვე უნდა მოგახსენოთ, აქაც წარმატებით იყენებს ამ ნიჭს. სტატიას წარმოგვიდგენს რუბრიკით „თვალსაზრისი“, ვითომცდა კრებულში შესული რომელიმე სხვა წერილი ავტორის საკუთარ „თვალსაზრისს“ არ გამოხატავდეს. მთლიანი სტატიის სათაურს „ანტიზომიური სახეები «ვეფხისტყაოსანში»“ ახლავს ფრჩხილებში მოთავსებული „განმარტება“: „შეჯამებანი და ახალი თვალთახედვა“. დაპირება უთუოდ საყურადღებოა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ყოველი სამეცნიერო ნაშრომი არსებული შეჯამება და ახლის ჩვენება უნდა იყოს! მაგრამ წინასწარ უნდა ვთქვა, წერილიდან არც ის ჩანს, რა „შეჯამა“ მან და რა ახალი „თვალთახედვა“ მოგვცა.

ბარემ წინასწარ ვიტყვი იმასაც, რაც ამ წერილის არარაობას გვიჩვენებს, ეს რ. სირაძისეული ძველი მეთოდია: ამა თუ იმ უცხოელი ავტორის მიერ გამოთქმული, ამა თუ იმ ლიტერატურული მიმდინარეობიდან ამოღებული შეხედულებების რუსთველსა და მის პოემაზე ნაძალადევი მისადაგება და თავსმობევევა.

სტატიაში თავიდან საუბარია ქართულ მეცნიერებასა, კერძოდ რუსთველოლოგიაში, კარგად დამუშავებულ და ცნობილ საკითხზე, — „კატაფატიკას“ და „აპოფატიკაზე“ და მას 203-206-ე გვერდები უჭირავს. ეს გვერდები კი, სხვაგან ნუ მაძებნინებთ, პირველი სიტყვიდანვე სიტყვასიტყვით ამოღებულია და იმეორებს 1978 წელს გამოცემული მისივე წიგნის „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“ 74-78 გვერდებს.

საერთოდ, ან მაშინ, მეტადრე დღეს, სტატიის ეს ნაწილი რუსთველოლოგიისათვის იძლევა რაიმე ახალსა და სასარგებლოს?

რ. სირაძე აქ (გვ. 203) და იქ (გვ. 74) წერს: „კატაფატიკა-აპოფატიკის ურთიერთმიმართება ზოგჯერ არასწორად აგაგებული“. ავტორი არ გვეუბნება, სად და ვის მიერაა ეს

ცნებები „არასწორად გაგებული“. თურმე, ის უბედურება გეჭირს, რომ „კატაფატიკა აპოფატიკას სწირად არ მიემართება ჩვეულებრივ ანტონიმთა მსგავსად“, რომ „კატაფატიკა-აპოფატიკა ერთმანეთს არ შევეუფარდოთ მთლიანად ანტონიმების მსგავსად“ (იქვე). მერედა ვინ აკეთებს ამას ან რა მნიშვნელობა აქვს რუსთველოლოგიისათვის?!

რ. სირაძე ორივეგან „გვასწავლის“: „კატაფატიკაა «ნათელი» (სიმბოლური შინაარსით), აპოფატიკაა არა-ნათელი, თუნდაც «ბნელი», ოღონდ არა ჰოზიტიური შინაარსით, არამედ «ბნელი», როგორც «ნათლის» უარყოფა. აი, ამ განსხვავებას აქვს არსებითი მნიშვნელობა. «ნათელი» აპოფატიკაში იმიტომ კი არაა უარყოფილი, რათა მოვიხმოთ მისი (ნათლის) საპირისპირო ჰოზიტიური ატრიბუტი. ღმერთი - «არა-ნათელი» ნიშნავს, რომ ღმერთი არის ნათელზე მაღლამდგომი, ზენათელი, ე. ი. იგულისხმება «ნათლის» უკმარობა ღვთაების განსაზღვრისათვის. ამიტომაც, რომ ღმერთზე «ნათელი» მხოლოდ სიმბოლურად ითქმის და არა ჰირდაპირ, რადგან იქვე საკულისხმოა, რომ იგი «ნათელზე» მეტია, ე. ი. «ზენათელია». ამიტომ არ ამართებულა, რომ ჰირდაპირი აზრით გავიგოთ კატაფატიკა“ (გვ. 203-204 და 75).

ვისთვის წერს ამას ბატონი რევაზი, ან მაშინ ან დღეს ვის სჭირდება ამის ახსნა?! სხვებს რომ თავი დავანებოთ, მოუესმინოთ მაია რაფაეას, რომელიც რ. სირაძეზე ბევრად ადრე იოანე დამასკელის ნაშრომის ანალიზისას აღნიშნავს იმავე ნიმუშს: „ზოგჯერ „წათქემით სათქუმელობას“ (კატაფატიკას. - ბ. დ.) უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე «უკუთქმით სათქუმელობას» (აპოფატიკას. - ბ. დ.) და მოყვანილია მაგალითად «ბნელი». ღმერთი არის ბნელი. ბნელი «წართქემით», ანუ დადებითად, ნათქვამია და იგი უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე «უკუთქმით», უარყოფითად ნათქვამი; ღმერთი არა ნათელ არს. ღმერთი - ბნელი არ ნიშნავს იმას, რომ იგი ნათელი არ არის, არამედ იგი ნათელზე ზევითაა, ზე-ნათელია, «ზესთაა ნათლისა» და ამდენად ჩვენთვის, ჩვენი შექმენ-

ბისათვის ბნელია, წვედიადითაა მოსილი. როგორც უხედავთ, ი. დამასკელთანაც გვაქვს ბნელისა და ნათლის საპირისპირო ცნებათა შეერთება ღვთის სიმბოლოდ“ (შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 113).

რ. სირაძე კატაფატიკა-აპოფატიკაზე, საზოგადოდ, და არა ამ კონკრეტული მაგალითების შესახებ, 1978 წელს გამოცემული წიგნის შენიშვნებში ძირითად არსებულ ლიტერატურას მიუთითებს. წერს: „ქართულმა სასულიერო მწერლობამ ნეოპლატონიზმიდან აითვისა ჰლატონიდან მომდინარე შეხედულებანი კატაფატიკისა და აპოფატიკის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში მ ა თ გ ა ნ ა რ ა ე რ თ ი მნიშვნელოვანი საკითხია განხილული“. ამას ერთვის შენიშვნები, სადაც, როგორც ვთქვით, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა საკმაოდაა დაასახელებული, მათ შორის მ. რაფაეას ეს ნაშრომიც (გვ. 337). ს ტ ა ტ ი ა ც ამ სიტყვებით იწყება, ეს ბიბლიოგრაფია კი გამოტოვებულია. უკვე ვთქვით, არც ისაა გამჟღავნებული, რომ ავტორი აქ ადრე გამოქვეყნებულ თავის ნაშრომს უცვლელად იმეორებს. ის თხრობას ორივეგან ისე აგრძელებს და ისე წარმოგვიდგენს, რომ იგი ახალ საკითხზე გადადის: „ჩვენ შევეხებით მათ (კატაფატიკა-აპოფატიკის. — ბ. დ.) კავშირს თეორიულ-ლიტერატურულ და ესთეტიკურ ნააზრევთან“. ახლა, როცა საქმეში ჩაუხედავი მკითხველი კითხულობს მეცნიერის სიტყვებს, რომ „კატაფატიკა-აპოფატიკის ურთიერთმიმართება ზოგჯერ ა რ ა ს-წ ო რ ა დ ა ა გაგებული“ ან „ა რ ა მ ა რ თ ე ბ უ ლ ი ა, რომ ჰირდაპირი აზრით გავიგოთ კატაფატიკა“, რას იფიქრებს, თუ არა იმას, რომ კატაფატიკა-აპოფატიკაზე მთელი მსჯელობა რ. სირაძეს ეკუთვნის!

რ. სირაძე თავის მიგნებად ასალებს „ვეფხისტყაოსნის“ კატაფატიკა-აპოფატიკის მეთოდით შექმნილი სახეების არეოპაგატიკასთან კავშირს. სტატიაში ვკითხულობთ: „ძველი ქართული მწერლობა კატაფატიკა-აპოფატიკისა და განსახოვნების ურთიერთმიმართების საკითხს არაერთი ბიზანტიელი აუ-

ტორისაგან ეცნობოდა (ბასილ დიდი, კრიგოლ ნოსელი, მაქსიმე აღმსარებელი), მაგრამ ეველასზე საეურადღებოდ ისინი მოცემული იყო არეოპაგიტულ თხზულებებში, რომლებიც გავლენას ახდენდა თვით მსატერული წარმოსახვის ფორმებზე. ამიტომაც ბუნებრივია, რომ უპირველესად არეოპაგიტუკას და უკავშირდეს რუსთველის სიტყვები - «უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო» (811, 3); ან: «...ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა, შენ ხარ სავსება ეოველთა, აღგვაესებ მზეებრ ფენითა, გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ საქებელო სმენითა» (918. 1-3) და ა. შ.» (გვ. 206 და 78).

იმის ნიმუშად, თუ რ. სირაძე რა ზერელედ იცნობს „ვეფხისტყაოსანს“, ეს ნაწყვეტი განვიხილეთ ჩვენს წიგნში „უეიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ და შევნიშნეთ: მან „არ იცის, რომ ვ. ნოზაძემ ჯერ კიდევ 1963 წელს „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველებაში“ ეს სიტყვები ცალკე და გამოკვეთილად სწორედ არეოპაგიტუკას დაუკავშირა და მასთან ერთად სხვა თხზულებებიდან, მათ შორის ქართული მწერლობიდან, მრავალი სათანადო დამთხვევა აჩვენა“ (გვ. 243).

კი შევნიშნე, მაგრამ რა, რ. სირაძე თავისას მიერეკება!

აი, ამ ძველი ამბების ახლად გასაღების შემდეგ რ. სირაძე ოთხ პუნქტად ჩამოყალიბებულ ახალ რეკომენდაციებს გვთავაზობს.

პირველი: „კვლევის ახალი ასპექტებისა და შემდგომი შესწავლისათვის საჭირო ხდება გავითვალისწინოთ შემდეგი: 1. ანტინომიები გასააზრებელია სამი ასპექტის მთლიანობაში: 1. ფილოსოფიური ასპექტი (პლატონი და ნეოპლატონიზმი), 2. ჰატრისტიკული მოძღვრებანი (განსაკუთრებით არეოპაგიტუკა) და 3. საკუთრივ მსატერული განსახოვნება. ცალკეული ამათთაგანი არაერთხელ ეოფილა ეურადღებული, მაგრამ «ვეფხისტყაოსნის» სახისმეტყველება საჭიროებს მათი მთლიანობის აღებურ გააზრებას ქართული და უცხოური ნაშრომების კათვალისწინებით (ჯ. მე-

თუ, ი. ჰანოფსკი, ე. ეილსონი, ო. დემუსი, ი. მიხელისი, ბ. ნარდი, ა. ლოსევი, ნ. ლოსკი, ს. ავერინსკევი“ (გვ. 206).

ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, ჩვენმა „რუსთველოლოგმა“ რამდენი უცხოელი ავტორი და მათი ნაშრომები იცის, რომელთა საშუალებით, თურმე, ახლებურად შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ გაგება და პრობლემური საკითხების გადაწყვეტა! ვინ უნდა გააკეთოს ეს? ერთი ამისი ნიმუში სამაგალითოდ მაინც მოეცა. განა ეს იმ კაცს არა ჰგავს, რომელმაც ქვა ააგდო და სხვებს უთხრა, თავი შეუშვირეთ!

მეორე რეკომენდაცია: „გარდა სასულიერო შინაარსის ანუ ეიკონური სახისმეტყველებიდან მომდინარე სახეებისა, უ ნ დ ა გ ა მ ო ი ე ო ს «არასაღვთისმეტყველო» რაობის ანტინომიური სახეები («იუო არ ნათლად ნათელი» და მისთანანი), რომლებიც ა რ ა ა სათანადოდ შ ე ს წ ა ვ ლ ი ლ ი. ამნაირი სახეები გ ვ ი ჩ ვ ე ნ ე ბ ს «ვეფხისტყაოსნის» მეტყველებაში ერთ-ერთ ე ვ ე ლ ა ზ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ გ ზ ა ს სეკულარიზებისა ანუ სასულიერო სფეროდან განსახოვნების საერო სფეროში გადმოტანისა, რაც ბ ე ვ რ რ ა მ ე ს მ ო ი ც ა ვ ს და აღარ იზღუდება მხოლოდ ანტინომიებით. სეკულარიზება (სასულიერო მწერლობისათვის ნიშანდობლივი სახეების საერო სფეროში გადმოტანა ცხადად ვლინდება, როცა ღვთის სიმბოლოები (მაგალითად «მზეო», «ნათელო» და მისთანანი) მიემართება ჰომის ჰერსონაქებს («თინათინ მზესა სწუნობდა, მავრამ მზე თინათინობდა») და სხვა მრავალი“ (გვ. 206-207).

აქაც იგივე უნდა ვთქვა: შე კაი დედამამიშვილო, ამდენი საიდუმლო და ამდენი აღმატებული გზები თუ კი იცი, რა გიშლის ხელს მის ჩვენებაში, – ასპირანტი ხარ, სამომავლოდ რომ გადაგიდვია, თუ მისი დამუშავებისათვის სათანადო სამსახური და პირობები არა გაქვს?!

თუ სიმართლეს ვიტყვი, ბატონი რევაზი თვალში კვლავ ნაცარს გვაყრის. მისი ეს მსჯელობა მხოლოდ და მხოლოდ ბუუტურია!

მესამე რეკომენდაცია: „ანტინომიური სახისმეტყველების შესწავლისას ახალი ასპექტების გამოკვეთის თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებელი მნიშვნელობისა ჩანს შემდეგი რამ. ესაა ირაციონალური სახისმეტყველება «ვეფხისტყაოსანში» (ხაზგასმა ავტორისაა - ბ. დ.). ეს გულისხმობს სანეთაშინაარსის იდუმალ ებას. ე. ი. ისეთ სიღრმეს, რომელსაც ბოლომდე ვერ სწვდება ნებისმიერი ცნებათმეტყველება უოველთვის რჩება რაღაცა, რაც იგულისხმება, მაგრამ გამოუთქმელია. ასეთი რამ შეიძლება იყოს არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ საღვთო შინაარსის მქონე სიტყვებში, არამედ თვით უაღრესად ნათელსა და გამჭვირვალე სახეებშიც-კი (მაგალითად, ამკვარში - თინათინსაო «გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპრონი»). 124). ეს ემეარება ე. წ. იდუმალების ესთეტიკას“ (გვ. 207).

ამის შემდეგ ავტორი ასეთ ქვეთავს გამოყოფს: „ირაციონალური სახისმეტყველება «ვეფხისტყაოსანში»“ (იქვე, გვ. 207). ისევ განმარტავს, რომ „ირაციონალური სახისმეტყველება“ „გულისხმობს ისეთ სახეებს, რომლებსაც რაციონალური განსჯა ბოლომდე ვერ სწვდება“ (გვ. 207). კიდევ: „ირაციონალური არ არსებული კი არაა, ის არსებობს როგორც რეალური რამ, თუმცა რაციონალური სახომი ვერ ესადაგება“ (გვ. 208). სამაგალითოდ უმატებს: „იდუმალება ახლავს «ვეფხისტყაოსნის» არა მხოლოდ ე. წ. ანტინომიურ სახისმეტყველებას («მზიანი ღამე»; «უჟამო ჟამი», «ერთარსება ერთი»), არამედ თვით ფრიად «რეალისტურ სახარებასაც-კი» (კორექტურული შეცდომაა. უნდა: „სახეებსაც-კი“. - ბ. დ.). ამ ბოლოს ნიმუშად ისევ იმავე სტრიქონს იმეორებს: „გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპრონი“ (გვ. 207).

რ. სირაძე არაფერს გვეუბნება, რატომაა „ვეფხისტყაოსნის“ ეს სტრიქონი და გამოთქმები ირაციონალური, გონება რომ ვერ სწვდება. ის იმასაც არ გვიშიფრავს, საიდან

იღებს ამ მეთოდოლოგიას. მხოლოდ ესაა, „ირაციონალის“ შესახებ ერთი ამონაწერი მოჰყავს ა. ლოსევის გამონათქვამიდან (გვ. 208). სინამდვილეში, ეს „თეორია“ ყავლგასულ საზღვარგარეთულ ლიტერატურულ მიმდინარეობას ასახავს, რომლის დანერგვასაც ჩვენში ჩვენი „გლობალისტები“ თავამოდებით ცდილობენ. რ. სირაძე გარკვევით ვერ გვიხსნის, როგორ ესადაგება იგი შოთას კლასიკურ პოეზიას. გადაჭრით კი ამბობს: „უნდა გავიაზროთ იღუპალების ესთეტიკა «ვეფხისტყაოსანში»“ (გვ. 208). ჩვენ მართლაც არ ვიცით ან სადავოა, როგორი იყო ის ტანსაცმელი, – „ყარყუმნი უსაპირონი“, რომელიც თინათინს „გაძრკვილსა ტანსა ემოსნეს“, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ იგი რაღაც საიდუმლო, „იდუმალების ესთეტიკის“ ცნობიერი თუ ქვეცნობიერი პრინციპითაა შექმნილი?

რ. სირაძე პოემაში „იდუმალების განცდის“ თვალსაზრისით რამდენადმე ეხება ზემოთ სხვა საკითხთან დაკავშირებით სრულად მოტანილ ორ სტროფს, სადაც მეფემ (თუ ვინაა ეს მეფე, ჩვენმა „თეორეტიკოსმა“, ელგუჯას აკადემიკოსმა, არ იცის და ქვემოთ მოგახსენებთ) ნესტანს ვერა და ვერ ათქმევინა, თავისი ვინაობა. ის (მეფე) ასე მსჯელობს:

„ამა ო რ თ ა კ ი დ ე გ ა ნ ი ა ზ რ ი არა არ იქნების,  
ან ვისიმე მ ი ჯ ნ უ რ ი ა, საყვარელი ეგონების...  
ანუ არის ბ რ ძ ე ნ ი ვინმე, მაღალი და მაღლა მხედი“  
(1183. 2-3 და 1184. 1184. 1).

რ. სირაძე წველობს, რას ნიშნავს ძველ ქართულსა და „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვები „კიდევანი“ და „არა“. საამისოდ მოჰყავს 2005 წელს გამოცემული წიგნიდან „ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონში“ წარმოდგენილი ახსნა: „კიდევანად – უმეტესად: «კიდევანად ეოველთა სათნოებათა მოეგო»“. ამან კი ჩვენს ავტორს „პირი დაწვა“, „ვეფხისტყაოსანს“ ვერ მიუსადაგა. წერს: „ეს საგულისხმოა, მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ «ორთა კიდევანი» აქ მსელად

შეიგუება აზრს, რომლითაც იგულისხმება «უმეტესი». მეტ-  
ნაკლებად იგივე ითქმის «კიდევანის» სხვა მაგალითებზეც: «მას  
ზორციელი ვით გასძლეხს სხვა, კიდევანი ქვისაგან» (1147, 4):  
«ჩემი გზა კიდევანია» (1193, 1)“. ბოლოს რ. სირაძე ჩერდება  
„ვეფხისტყაოსნის“ ნ. ნათაძისა და ა. შანიძისეულ  
განმარტებებზე: „სარწმუნოა ნ. ნათაძის განმარტება: «ამა  
ორთა კიდევანი - ამ ორის გარეშე; სხვა, თუ არ ეს ორი.  
აზა - არაფერი»“ (ციტირებული გვაქვს ნ. ნათაძის წიგნიდან,  
რომელიც სტატიაში დამახინჯებულადაა მოყვანილი).

ა. შანიძეს იმოწმებს მისი ხელმძღვანელობით შედგენილი  
„ვეფხისტყაოსნის სიმფონიის“ მიხედვით და არ იცის, რომ  
ტექსტი ეკუთვნის არა ბატონ აკაკის, არამედ - შემდგენლებს:  
„გასათვალისწინებელია ა. შანიძის ასეთი შენიშვნაც“ და მოჰ-  
ყავს: «აზა (2). (უარუფითი ნაცვალსახელი: აზა-რა=არა,  
არაფერი)»“. ამასაც „სიმფონიიდან“ ვიმოწმებთ, სტატიაში  
ესეც დამახინჯებულადაა წარმოდგენილი.

არადა, ეს ფაფხური სრულიად ზედმეტია, ყველაფერი  
ნათელია. თუ ა. შანიძე გვანტერესებს, ის „ვეფხისტყაოსნის“  
1957 წლის გამოცემაზე დართულ ლექსიკონში სწორად და  
გარკვევით წერს: „ამა ორთა კიდევანი აზრი ამ ორი  
უკიდურესის კარდა აზრი“ (გვ. 365). რა თქმა უნდა, რ სირაძემ  
არ იცის, რომ ა. შანიძეს „ვეფხისტყაოსანში“ ამ სიტყვის  
თაობაზე საგანგებო სტატია აქვს გამოქვეყნებული - „ამა  
ორთა კიდევანთა“. თუ სად დაიბეჭდა იგი, რ. სირაძის  
„მეთოდისაგან“ განსხვავებით, ბატონი აკაკი სრულ ბიბ-  
ლიოგრაფიას იძლევა: „პირველად დაიბეჭდა «ლიტერატურულ  
საქართველოში» 1963 წ., 22 მარტი (№ 27); მეორედ -  
ავტორის კრებულში «ვეფხისტყაოსნის საკითხები» (თხზ., II,  
1966, გვ. 169-172)““. ბოლოს შესულია მისი თორმეტ-  
ტომეულის V ტომში, გვ. 176-179. ბიბლიოგრაფიაც ამ წიგნ-  
შია, - გვ. 466.

ჰა, ძვირფასო მკითხველო, რავარი ლექსიკოგრაფი და  
სამეცნიერო ლიტერატურის მცოდნეა ეს ჩვენი რუსთვე-



ლოლოგიური სავარძლების მქონე „ლიტერატურის თეორეტიკოსი“?!

მერედა, არ იკითხავთ, რისთვის სჭირდება ეს „წილ-სვლები“? იმისთვის, რომ „ჩააფილოსოფოსოს“ და „ჩაახუჭუჭოს“: „უფიქრობთ, «ამა ორთა კიდევან» ლოკოკიხ მეცნიერებიდან ჰომდინარე ცნებათმეტყველების მსგავსია, რაც გულისხმობს ორი აზრის, თუ ორი ნიშნის, გამიჯვნის ზღვრულ მხარეებს («კიდევს»). ლოკოკური განსჯით, მეფის ცნობიერებეში შემოდის ორი ზღვრული უკიდურესობა: ხომ არ არის ნესტანი უცნაური «ბრძენი ვინმე», ანდა, ხომ არ არის ის მიჯნური“ (გვ. 209).

მას შემდეგ, რაც ჩვენი „მკვლევარი“ „ლოგიკისა“ და ფსიქოლოგიის სფეროს, ამ უდიდესი საკითხების, შესავალს წაგვიკითხავს, „გაურკვევლობისა“ და „იდუმალების“ სამყაროში გაგვატარებს და არისტოტელეს, იოანე დამასკელის, არეოპაგიტისა და სხვათა და სხვათა სახელების დატრიალებით ისეთ ბუქს დააყენებს, იტყვი: ნეტავ, რა დედამ გშობაო! აი, ისიც: „მიუხედავად იმისა, რომ, მეფის თქმით, ასარჩევია ორთაგან ერთ-ერთი (ნესტანიო ბრძენი, ანდა მიჯნური), მეფის ცნობიერებაში ჩნდება გაურკვეველობა, იდუმალეხის განცდა, ანუ მესამე რამ, თითქოსდა - მესამე გამორიცხული. ავტორის ცნობიერებაში - კი, დასაშვები. გამორიცხულიყო მსგავსი ფიქრი არის ტოტელეს კვალობაზე, არა უშუალოდ, არამედ იოანე დამასკელის მიხედვით. არისტოტელესთან «გამორიცხული მესამეა». პოეტური ცნობიერებისთვის კი, ეს დასაშვებია: შეიძლება დაუშვან, რომ რაიმე არის და თანაც, არ არის. ეს «სანქცირებულია» ნეგატიური თეოლოგიით. ამისი ჰირველსათავეა არეოპაგიტია, რაც ვრძელდება დასავლეთში ანგელოზ სილვესტრის (1634-1677), შემდეგ ადონოსად დერიდასთან“. წყაროდ დასახელებული აქვს ვ. კანკეს რუსული წიგნი (გვ. 209-210).

„ვეფხისტყაოსნის“ ამ მზესავით ნათელი ეპიზოდის ასე დაბნელებასა და გაუკუღმართებას განა უშველის ვ. კანკე ან რომელიმე სხვა ავტორი?!

აქაც, თუ თვალს სიმართლეს გავუსწორებთ, უნდა ვთქვათ: ამ ბჟუტურში მართლაც არის „იღუმალი“, ანუ საიდუმლო, და ესაა, არასპეციალისტს დიდ მოაზროვნედ მოაჩვენო თავი!

რ. სირაძე წინ გვირჩევს ამერიკისა და ევროპის სხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა მეშვეობით რუსთველოლოგიის აქამდე უხილავი მხარეების გარკვევას.

2008 წელს ლიტერატურის ინსტიტუტმა გააგრძელა ადრე დაწყებული საქმე და მეორედ გამოსცა ფრიად საჭირო წიგნი: „*ლიტერატურის თეორია, XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები*“. რ. სირაძე აქედან ასახელებს შეხედულებებს: „ა) დ ი ა ლ ო გ უ რ ი კ რ ი ტ ი კ ა, რომელიც გულისხმობს ნაწარმოების სახისმეტყველების ჰოლიფონიურობასა და სახეაა იუ მთელი ნაწარმოების ჰლურალისტურ გააზრებას. ქ რ ო ნ ო ტ ო ზ ი ს იერსახეები“, „ბ) რ ე ც ე ფ ც ი უ ლ ი ესთეტიკის პრობლემები“, „გ) ნ ა რ ა ტ ო ლ ო გ ი ი ს საკითხები“ და „ე)...ეურადღებული საკითხების მიმართება დასავლურ შუასაუკუნოებრივ ესთეტიკასთან“ (გვ. 208-209. „დ“ გამოტოვებულია).

რ. სირაძე გვერდს უვლის და დუმს, ამ თანამედროვე სტრუქტურალისტურ მოძღვრებათა მეშვეობით „ვეფხისტყაოსანში“ რა შეიძლება გაირკვეს. აქაც ვიტყვი: თუკი ისინი ასე გამოსადეგი შეიძლება იყოს, სანიმუშოდ ერთი-ორი მაგალითი მაინც ეჩვენებინა. ძვირფასო მკითხველო, გული არ დაგწყდეთ, რაც ვ. კანკემ ხეირი დაგვაყარა, იმაზე უკეთესს ნურც აქედან ველით.

□

რ. სირაძე ამის შემდეგ გამოყოფს ქვეთავს: „«შებრუნებული პერსპექტივა» და «ჯვარსახოვნება» და «ვეფხისტ-

ტყაოსნის» სახისმეტყველება“ (გვ. 210). როგორც ჩანს, ეს ტერმინები და შეხედულებანი უმთავრესად მას აღებული აქვს პ. ფლორენსკის ნააზრევიდან.

1. ჯერ პირველის შესახებ. რ. სირაძე განმარტავს: „შებრუნებული ჰერსჰექტივა უფრო ესება იკონოგრაფიულ (ფრესკულ და ხატურით) განსახოვნებას, მაგრამ ჩვენი მ ი ზ ა ნ ი ა ი გ ი მ წ ე რ ლ ო ბ ა ზ ე ც გ ა ვ რ ც ე ლ დ ე ს“ (გვ. 210).

როგორ ხდება ეს? ავტორი გვიხსნის: ფერწერისას „შებრუნებული ჰერსჰექტივა გულისხმობს, რომ ჰორიზონტალური სიბრტეის მქონე საგნების (ასეა! — ბ. დ.), ორგანო-მილებიან სიბრტეეზე ფერწერული გამოსახვისას, ვიწროვდებოდნენ არა ჩვენგან სიბრტეისაკენ, არამედ შ ე ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ა დ სიღრმიდან ჩვენსკენ. ამიტომაც ჰქვია ამას შებრუნებული ჰერსჰექტივა“. ეს, თურმე, მიგვანიშნებს, რომ „საგნის აზრი სიღრმეშია, გარე სივრცეში—კი არსი მცირდება, ვიწროვდება“ (იქვე).

ეს ფერწერაში. სხვაგან? „თავისებურად, — განაგრძობს ბატონი რევაზი, — სიტუვამიაც შებრუნებული ჰერსჰექტივაა. სიტუვა ვერ ამოწურავს ს ა გ ნ ი ს ს უ ლ ი ე რ შ ი ნ ა ა რ ს ს და შინა არსს (...). სიტუვაში შებრუნებული ჰერსჰექტივით შემოდის საგნის ს უ ლ ი ე რ ი შინაარსი“ (იქვე).

დღეს, როდესაც საქართველოში მოდადაა ქცეული სხვადასხვა ჯურის ფორმალისტური მიმდინარეობების მეოხებით ქართული ლიტერატურის ყველა პრობლემის გადაწყვეტა, რ. სირაძე კიდევ მეტი დაჟინებით მოითხოვს, რუსთველოლოგიას აღნიშნული „პერსპექტივით“ მივუდგეთ. „ვფიქრობთ, რომ «შებრუნებული ჰერსჰექტივის» კატეგორია შემოტანილ უნდა იქნეს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაშიაც (და ჰოსტმოდერნისტულ ესთეტიკაშიაც, რეცეფციის ესთეტიკაში) და ამისდაკვალად გ ა ვ ი ა ზ რ ო თ «ვეფხისტყაოსანიც»“ (გვ. 212).

კეთილი და პატიოსანი. აი, როგორ ხდება ეს „გააზრება“. მას შემდეგ, რაც გვითხრა, რომ „ქრისტიანულ სახის-

მეტყველებაში «მცირე» სახეები გამოხატავენ დიდსა და უსაზღვრო რაობას“, გვიხსნის: „არაეიკონურ, ანუ საკუთრივ მხატვრულ სახისმეტყველებაში ჰირიქითაა. იქ მასშტაბური ფენომენები მეტაფორულად განასახიერებენ სოლმე უფრო მცირე რეალიებს. მაგალითად, «ვეფხისტყაოსანშია»: «ნახეს მზისა შესაურელად გამოქმეა მთვარე გველსა», ანდა: «ცამცა გაიდარბაზესა» (მღრ.: «შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის») და ვაჟა: «ნისლი ფიქრია მთებისაო»). ავთანდილის მთავარ ღოცვაში ციურნი მნათობები განასახოვნებენ ავთანდილის სულიერ განცდებს“ (გვ. 211).

მკითხველი, ცხადია, ხედავს, აქ ის თამაში არაა, ამა თუ იმ სიტყვის შემცველი ლექსების მოფიქრებისა და პოვნის შეჯიბრებაში რომ იყენებენ. მაგრამ რუსთველოლოგიისათვის სასარგებლო არის კი რამე?!

კიდევ: „უმრავლესი ცალკეული სიტყვათაგანი შეიძლება «დამტყვებელი» იქნეს შებრუნებული ჰერსპექტივისა იმის გათვალისწინებით, თუ საიდან მოდის მიღმური სათავე და წინა სახე. ასეა განსაზრებელი «ვეფხისტყაოსნის» დასაწყისში «რომელმან», «შექმნა», «სამუარო» და ა. შ. და ესენი შევავხიროს ჰირიქით სიტყვათა დღევანდელ მდგომარეობას, როცა სიტყვამ დაკარგა სული, სილაღე და სიქვაღრუღი აღნიშნული საგნისა და იქცა საჭურველმტვირთველად დონკისოტობადაკარგული ფსევდოდონკისოტო წინაშე“ (იქვე).

ეს კი ნაღდად „წმინდა“ რუსთველოლოგიური საკითხია. ღმერთო, შენ დაგვიფარე!

2. ახლა „ჯვარსახოვნების“ შესახებ. ამ ტერმინის ქართული ლიტერატურისათვის მისადაგებას ბატონი რევაზი ბეკრ დროსა და ადგილს უთმობს. თუ რას ნიშნავს და რას გვაძლევს იგი, ავტორის უფრო აღრინდელ „ნაშრომებს“ გვერდს ავუვლი, მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს დავიმოწმებ 2005 წელს ჟურნალ „სჯანში“ დაბეჭდილი და 2008 წელს წიგნში „კულტურა და სახისმეტყველება“ გადმოტანილი

სტატიიდან, — „ისტორია «მკითხველის ფეოქონისა» და სახისმეტყველებითი პერიოდიზაცია“ (გვ. 5-22).

რ. სირაძე ლებულობს სტრუქტურალისტების დანერგილი „ტექსტის“, როგორც ასეთის, უცნაურ გაგებას და წერს: „«ტექსტი» ზოგად-კულტუროლოგიური კატეგორიაა: ვველაფერი არისო «ტექსტი», ვველაფერი შეიძლება განვიხილოთ, როგორც «ტექსტი» და ეს ასეაო არა მეტაფორულად, არამედ არსობრივად. «ტექსტია» ისტორია, სამყარო, თვით ადამიანი, თავისი სულიერ-ხორციელი ბუნებით და, ცხადია, ნებისმიერი ნაწარმოებიც, ლიტერატურული თუ ხელოვნების სხვა დარგისა: ფერწერული, მუსიკალური თუ არქიტექტურული და ა. შ. ტექსტს ორი განსომილება აქვს: **ჭ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ი** და **ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ი**“ (გვ. 7).

რ. სირაძე გვარკვევს, რომ ყოფილა სტრუქტურალისტი (რ. ინგარდენი), რომელიც „საერთოდ არ გამოყოფს ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურ ვექტორებს“. მაგრამ ჩვენი ავტორი ავითარებს ამ „მოდღვრებას“ და ამკვიდრებს: „ჩვენ ვამჯობინებთ ამათ გამოყოფას იმისთვის, რათა ნაწარმოები და ნებისმიერი ტექსტი, გაიანზრებოდეს **ჯ ვ ა რ ს ა ხ ო ვ ე ბ ი თ** ტექსტის **ჭ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ** განსომილებაში ვკულისხმობთ მის **ა მ ქ ვ ე ე ნ ი უ რ** შ ი ნ ა ა რ ს ს, ხოლო **ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ შ ი -** მის **ხ უ ლ ი ე რ ე ბ ა ს**, როგორც ეს ჯვარშია“ (იქვე).

ჩვენთვის საინტერესო სტატიაშიც იგივე აზრებია გამოთქმული. აქ კვითხულობთ: „ჯვარსახოვნების თეორიულ-ლიტერატურულ (და ესთეტიკურ) ტერმინად შემოტანა შეიძლება დაეძეაროს ზოგად შინაარსს: **ს უ ლ ი ე რ ე ბ ი ს ა** (ჯვრის ვერტიკალური ხაზისა) და **ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს** (ჰორიზონტალური ხაზის) გადაკვეთა“ (გვ. 212).

კარგი, იყოს ასე, მაგრამ რუსთველოლოგიისათვის რა სარგებელი მოაქვს მას? „ჯვარსახოვნება“ ყოფილა, თურმე, ვახტანგ მეექვსის მიერ გამოთქმული ვარაუდი „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულის ორპლანიანობის შესახებ.

მოუესმინოთ ავტორს: „ვახტანგ VI-მ «ვეფხისტყაოსანში» თვით სრულიად ამქვეყნიურ სიუჟარულს საღვთო შინაარსი მიანიჭა: ჩვეულებრივ ადამიანურ სიუჟარულში მისტიკური სიუჟარულის შესაძლებლობა დაინახა. აქ ჯ ვ ა რ ს ა ხ ო ვ ნ ე ბ ა ა : ს უ ლ ი ე რ ი შინაარსი ვერტიკალური ვექტორია, ჰორიზონტალური ვექტორი კი ა მ ქ ვ ე უ ნ ი უ რ ი სიუჟარულია“ (იქვე).

კიდევ: „ჯვარსახოვნებას ვ ხ ე დ ა ვ თ ავთანდილის მთავარ ლოცვაში, რომელიც ს ი ვ რ ც ე შ ი განეფინება და თანაც ზ ე ც ა ს აღწევს (ეს სივრცეც და სიღრმეც მის სულშია ისევე, როგორც ვარსკვლავები - ვარსკვლავებად წარმოსახული თავისივე სულიერი განცდები)“ (გვ. 213).

აი, რ. სირაძის მეცნიერება, მის მიერ უცხოური თეორიების გაცნობამ რა სიკეთე მოუტანა რუსთველოლოგიას, ამჯერად არ გვანტიერესებს, და, საერთოდ, ძველ ქართულ მწერლობას, რომელსაც იგი „იკვლევს“!

ამავე ქვეთავში რ. სირაძე ერთხელ კიდევ ახსენებს „ვეფხისტყაოსანს“ და ასე წაუფილოსოფოსებს: „მეტალოგიური ცნობიერებაა თითქმის ნებისმიერი ჰოეზიაც, თითქმის ნებისმიერი ჰოეტური სახისმეტყველება, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ურადსაღებია ეველაზე მკვეთრი სფეროები, რომელთაც მსჭვალავს მსგავსი რამ. ამიტომაც შეიძლება ამთავითვე წარმოვადგინოთ ზოგადი ჩამონათვალი, ვთქვათ, ასე“. მეორე ნიმუშად წერია: „პლატონის კონცეფცია ჰოეზიისა, ვითარცა «ღვთიური სიმშაგისა» («სოკრატეს აპოლოგია», 22, ა-ც). რუსთველისათვის სიუჟარულია-ხოლმე «სიმშაგე» («მიჯნური» მშაგსა გვიქვიან, არაბულითა ენითა, მით, რომე მშაგობს მისისა ვერ-მისვდომისა წყენითა). ამასთანავე, ჰოეტისათვის მიჯნურობა მხოლოდ გამოხატვის «თემა» კი არაა, არამედ შინაგანი («სურვილი»), ესე იგი, საფუძველი ჰოეტური «განწეობისა», ანუ ჰოეტური «მზაობა» («მომეც მიჯნურთა სურვილი»)“ (გვ. 213-214).

„ჯვარსახოვნების“ დაპირებული „ზოგადი ჩამონათვლი“ ამის წინაც არის, მაგრამ შემდეგ კიდევ უფრო ბლომადაა იგი წარმოდგენილი, გვერდ-ნახევარი უჭირავს, მაგრამ რომელიმეს „ვეფხისტყაოსანთან“ რა კავშირი აქვს, არც ავტორი და არც „მაგალითები“ არაფერს გვეუბნება. დავიმოწმოთ ორი მათგანი:

„ - შეიძლება გავისხენოთ დიოგენური ცნობიერებაც, რომლის მიხედვით, მთელი არსი ეოფიერებისა, გინა ღვთაებრიობისა, არის ერთეულში, კონკრეტულ საგანსა თუ მოვლენაშიო და არა ზოგადობაშიო, პლატონის იდეები დიოგენის იდეებში ჩანს: ასკეტური ღტოლვა ბუნებისაკენ, მარტოობის კულტი.

- ალბათ, ამათ შეიძლება დაუკავშიროთ სალოსობა, სალოსური ცნობიერება. ი. დვორეცკის ლექსიკონი განმარტავს: «სალო» («სალოს») - 1. მღვლეარება, მერუობა, 2. ზღვის რეუვა, 3. ძრწოლა... ამიტომ ჰირობითია «სალოსის» გადმოდება ასე: «ღვთისთვის სულელი» (ღვთისთვის ხელი), გინა რუსული - «იუროდივი» («უროდ»). ჰირობითობა ისაა, რომ სალოსის მიზანია დაამდაბლოს თავისი ადამიანური სიბრძნე, იგი შერაცხოს სისულელედ და ეს თავისთავს მიაწეროს“ (გვ. 214)

არ გვერა, ძვირფასო მკითხველო? წაიკითხეთ 213-215-ე გვერდები და დაიჯერებთ!



ბოლოს კიდევ ერთი ქვეთავი, რომელსაც მთლიანად უცვლელად მოვიყვანთ:

სიღრმისეული პასიონანობა და „ვეფხისტყაოსნის“  
ჰერსონაჟები  
(წინასწარი შენიშვნები საკითხის დასმისათვის)

„ვეფხისტყაოსანში“ შეიძლება გამოყოთ ის, რასაც ამთავითვე ჰირობითად ვუწოდებდით - დონ-კიხოტურ ჰარადოქსებს;

მაგალითად, ასეთია „გახელებული“ ცნობიერებით შერკინება ქარის წისქვილებთან და ტარიელის ლომ-ვეფხვთან ბრძოლა. ცხადია, აქ განსხვავებანი მეტია, ვიდრე მსგავსება. მაგრამ საინტერესო შეიძლება იყოს თვით ძალზე შორეული მსგავსებაც-კი.

ეს გვეკარნახობს წარმოჩნდეს გონისმიღმური ჰასიონარობა (გზნება) „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებში, რაც შეიძლება გახდეს იმპულსი ზოლმე რაინდის სამიჯნურო „გახელებისა“, რაინდული „სიშმაგისა“, რადგან ასეთია რაინდული მიჯნურობა („მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა, მით, რომე შმაგობს მისისა ვერ მიხვდომისა წყენითა“...) (ელბაქიძე 2006: 42).

აქაც გასათვალისწინებელია ე. წ. ჰოსტმოდერნიზტული მგრძობილობაც, ჰოზიტიურად და უფრო, ალბათ, ნეგატიურად. ჰოზიტიურად იმით, რომ ჰასიონარობა არ მივიჩნით ლოგოცენტრისტულ ძალად და ნაწარმოებთა თუ ცალკეულ სახეთა მრავალმხრივი ძირები (და არა მხოლოდ ერთი, ღერძული ძირი) ვიგულებოთ (რასაც გულისხმობს „რიზომა“) (ალბათ, აქ წერტილი ან „მძიმე“ უნდა. — ბ. დ.) ნეგატიურად იმიტომ, რომ ლოგოცენტრიზმის (გნებავთ, ჰანლოგიზმის) უარყოფა არ იქცეის „კატეგორიულ იმპერატივად“ და ასეთ აბსოლუტურობაში სულ არ ჩაიკარგოს „ბინარული ოპოზიციის“ შესაძლებლობა (ჰოსტმოდერნიზმი 2001).

ჰა, რავარია, ძვირფასო, მკითხველო, ეს ყურით-მთრეული საკითხები, რომელიც, თურმე, ჰოსტმოდერნიზმის მეშვეობით შეიძლება გადაიჭრეს?! ჩვენი რუსთველოლოგიის მეთაური მარტო „საკითხის დასმისათვის“ „წინასწარ შენიშვნებს“ იძლევა! რა ვუყოთ მერე, „განსხვავებანი მეტია“, რბილად, ძალიან რბილად ამბობს ის. თურმე, „საინტერესო შეიძლება იყოს თვით ძალზე შორეული მსგავსებაც-კი“. ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ: იმ შემთხვევაშიაც კი, როცა არაკვიტარი მსგავსება და საერთოც არ არსებობს!



ამ მონაკვეთში, შეიძლება, ვინმეს გამოჩნეს და ყურადღება მინდა მივაქციო, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, მაგრამ ნ ი შ ა ნ დ ო ბ ლ ი ვ ფ აქ ტ ს. ბატონი რევაზი თავისი მსჯელობისა თუ „დებულების“ ნათელსაყოფად, გასამაგრებლად ასახელებს ჟურნალ „სჯანის“ 2006 წლის მეშვიდე ნომერში დაბეჭდილ მაკა ელბაქიძის სტატიას „რუსთველური სიყვარულის კონცეფციის ძირები (ოვიდიუსიდან ტრუბადურამდე)“. ეს კომპილაციური პატარა სტატია მოთავსებულია 39-45 გვერდებზე, ბატონი რევაზი ასახელებს 42-ე გვერდს. ნამდვილად კი ამ გვერდზე და, საერთოდ, ამ სტატიაში „გონისმიღმურ ჰასიონარობასა და გზნებაზე“, როგორც რაინდული მიჯნურობის „იმპულსზე“, საუბარი არსად ჭაჭანებს. მ. ელბაქიძის სხვა სტატიები არ მიძებნია და, ვფიქრობ, არცაა საჭირო, – აქ კორექტურული ან სხვა მექანიკური შეცდომა არ უნდა იყოს. შემდეგ გულმა მაინც არ მომიტმინა და, იქნებ, კრებულები აერია-მეთქი, საგანგებოდ გავსინჯე ინსტიტუტის მიერ ი მ ა ვ ე 2006 წელს გამოცემული კრებული „ლიტერატურული ძიებანი“ (№ XXVII), სადაც დაბეჭდილია მ. ელბაქიძის რუსთველოლოგიური მიმოხილვითი წერილი – „სენი მე მჭირს რაცა ჭირად“ (გვ. 63-71). აქ თუმცა ბლომდაა საუბარი „ვეფხისტყაოსანსა“ და აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურაში ასახულ „მიჯნურობის სენზე“, სიშმაგესა და მის გამომწვევ მიზეზებზე, მაგრამ რ. სირაძის „დებულების“ რაიმე მხარდასაჭერი ვერც აქ ვიპოვე. დასაშვებად მიმაჩნია, მას მ. ელბაქიძესთან რაღაც ამის მსგავსი მართლაც ჰქონდეს წაკითხული ან გაგონილი და, როგორც არასპეციალისტს, მისი ათვისება და ჯეროვნად გამოხატვა ვერ მოუხერხებია. მაგრამ, უფრო გვეგონია, ის აქ იყენებს მკითხველისათვის თვალეში ნაცრის შეყრის თავისი ფართო არსენალიდან ერთ-ერთ ოინბაზობას. სრულიად შეგნებულად და მიზანსწრაფულად სურს, მკითხველს მოაჩვენოს, რომ იგი იცნობს თანამედროვე რუსთველოლოგიურ ლიტერატურას, რაც მთავარია, ეხება, ავითარებს და აზუსტებს რუსთველო-

ლოგიურ პრობლემას, რომელიც თითქოს რუსთველოლოგიას აწუხებს და აღნიშნულ სტატიაშია განხილული. და ბოლოს, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილესაც როგორ ელექცება!

ღიას, ნუ გაგიკვირდებათ, რ. სირაძე ასე შორს-მჭვრეტელია, „კუდით დარუბანდის მხვნელი“ და ამით ლელოს გამტანიც.



ახლა, მთლიან სტატიას ერთხელ კიდევ თუ თვალს შევაკლებთ, ყველგან ხელში შეგვრჩება თითიდან გამოწოვილი, გამოგონილი პრობლემა. და ამას იძლევა რუსთველოლოგიის ცენტრის (საქართველოსა და მსოფლიოში ერთადერთი რუსთველოლოგიური ბირთვის!) „ხელმძღვანელი“, რუსთველოლოგიის „ლიდერი“!

ჰა, „კი ღირდა“ ოცწლიანი დუმილი ასეთი „შედევრის“ შესაქმნელად!

დასასრულ, განსახილველი სტატიიდან კიდევ ერთი ნიმუში, სადაც ერთხელ კიდევ გამოჩნდა ბატონი რევაზის „რუსთველოლოგობა“. ჩვენს წიგნში „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ ბლომად ვაჩვენეთ კურიოზული შემთხვევები, რომ მან, ამ დარგის „ხელმძღვანელმა“ და „ლიდერმა“, არ იცის არა მარტო სამაგიდო რუსთველოლოგიური ლიტერატურა, არამედ თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიც. ზემოთ ვნახეთ, „კონცეპტუალური“ რუსთველოლოგიური საკითხის „გადაწყვეტისას“ რ. სირაძის ფავორიტ ნესტან სულავას პოემის ტექსტის უცოდინარობის გამო როგორ ერევა ერთმანეთში გულანშაროსა და ქაჯეთის ამბები. რუსთველოლოგიის საძოვარზე გაშვებული ამ ორი „მკვლევრის“ სულიერმა და ინტელექტუალურმა „ერთობამ“ რ. სირაძის ამ სტატიაშიც ამოყო თავი. ბატონი რევაზი წერს: „«ვეფხისტყაოსნის» ე რ თ-ე რ თ ე ჰ ი ზ ო დ შ ი ნესტან დარეჯანის სულიერი ზეობის შეუცნობლობის განცდასთან დაკავშირებით გააზრებულია საერთოდ ირაციონალურობის რაობა. ასეთმა

განცდამ მოიცვა ქ ა ჯ ე თ ი ს მ ე ჟ ე, როცა მისი გული და გონება ველარ მისწვდა ნესტანის სულიერ სიმაღლეს“ და მოყვანილია ზემოთ დამოწმებული 1183-ე და 1184-ე სტროფები (ამ უკანასკნელის ნომერს შეცდომით „1180“ ნომრად ასახელებს): „მეფე ბრძანებს: «რა შევიგნათ, გული ჩვენი რათ იხსნების?...“ და „ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი!“ (გვ. 209).

ზინთიბიძის აკადემიკოსმა<sup>1</sup> რევაზმა არ იცის, რომ ეს ზღედა გულანშაროში, ზღვათა სამეფოში, და არა მომდევნო ეპიზოდში, ქ ა ჯ ე თ ი ს ქვეყანაში!

კარგი, მან მარტივი რუსთველოლოგიური ამბებიც არ იცის, მაგრამ წიგნს ჰყავს „სარედაქციო საბჭო“ ხუთი კაცის შემადგენლობით: ირმა რატიანი (ინსტიტუტის დირექტორი), მაკა ელბაქიძე (ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), ელგუჯა ზინთიბიძე (მის თანამდებობებს ვინ ჩამოთვლის!), ბაჩანა ბრეგვაძე (მართლაც ჩინებული მწერალი და მეცნიერი) და გრივერ ფარულავა (არარუსთველოლოგი). წიგნს ჰყავს აგრეთვე „სარედაქციო კოლეგია“, რომელშიც დასახელებულია რუსთველოლოგიის ცენტრის ყველა თანამშრომელი. რომელიმე მათგანმა წაიკითხა ეს სუროგატი-სტატია?

ბატონმა რევაზმა იცის, როგორ უნდა დაიმკვიდროს ადგილი „მაღალ საზოგადოებაში“, ვის და როგორ ასიაშოვნოს და იგონებს თუ სხვისგან გადმოაქვს ეს „საპატიო“ სადემონსტრაციო კვარცხლბეკი!

გადაშალეთ ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ადრე გამოცემული „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხების“ რვა კრებული და სხვა კრებულები. იქ ვერსად შეხვდებით ასეთ „საბჭოებს“. მათ ჰყავთ რედაქტორები — ერთი, ორი და სამი პირი, არც ერთია ფორმალური, ყველა საქმის შემსრულებელი გახლდათ. „სარედაქციო კოლეგია“ უფრო სხვადასხვა დარგის შემცველ,

---

<sup>1</sup> ებაძე ნოდარ ღუმბაძის პერსონაჟის სახელს — „სოსოიეს რუსი“.

კერძოდ, საიუბილეო კრებულებისათვის იქმნებოდა. ის კი არა, ბოლო წლებში გამოცემული „რუსთველოლოგიის“ პირველი სამი კრებულიდან მხოლოდ პირველს ჰყავს „სარედაქციო კოლეგია“, მეორე და მესამეს კი — რედაქტორები. მაშინ ეს „სამეცნიერო საბჭოები“ „დაგემოვნებული“ არ ყოფილა. ის და ფ ი ქ ტ ი უ რ ი „სარედაქციო კოლეგიები“ ბატონი რევაზ სირაძის შემოღებულია, რომელიც „რუსთველოლოგიის“ წინა, მეოთხე, კრებულიდან დაიწყო.

მაგონდება ჩემს სოფელში ჩემი მოწაფეობის დროს ჩატარებული კრებები, „საპატიო პრეზიდენტში“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს დიდი ამბით რომ „ირჩევდნენ“!

ბატონ რევაზს, როგორც კრებულის რედაქტორს, ნამდვილი, მოქმედი „სარედაქციო კოლეგია“ რომ შეექმნა, იქნებ, რომელიმეს აღნიშნული შეცდომა შეემჩნია და ინსტიტუტი ამ სირცხვილისაგან ეხსნა!

ასეთია რევაზ სირაძის ერთი რუსთველოლოგიური ჩხირკედელაობა.

### პირი პირზე მიდის?

მახსოვს, ლიტერატურის ინსტიტუტში, უფრო ე. წ. საბჭოთა ლიტერატურაში, იყვნენ მომუშავენი, რომლებიც „ინოსტრანნაია ლიტერატურაში“ ან სხვა რომელიმე რუსულ ჟურნალსა თუ გაზეთში რაღაცას ამოიკითხავდნენ, ქართულ ლიტერატურას მიუსადაგებდნენ და ახალი სამეცნიერო ნაშრომი უკვე „გამომცხვარი“ იყო. ეს მეთოდი მეტ-ნაკლებად ახლაც ცოცხლობს. ამის ოსტატები ქართული სინამდვილიდან, ქართული მწერლობიდან კი არ ამოდიან, არამედ მას სხვათა მიერ შექმნილ თეორიებსა და ცალკეულ შეხედულებებს თავიანთი უნიჭობისა და უცოდინარობის გამო ნაძალადევად არგებენ. ამის „კლასიკური“ მაგალითია ირმა რატიანი, რომელსაც მეექვსეა, ამ მხრივ გვერდით ვინმე დაუდგეს. მ თ ე ლ ი მისი „შემოქმედება“ ამ მეთოდის უკიდურესი და უპულგარულესი განხორციელებაა.

ზემოთ მრავალი ნიმუშის მოხმობით ვაჩვენეთ, ძირითადად ამ მეთოდით საზრდოობს რ. სირაძეც. წაიკითხავს ს. ავერინცევის, მ. ბახტინის, ვ. ბიჩკოვის, ა. ლოსევის და სხვათა რუსულად არსებულ ნაშრომებს და საკმაოდ ხშირად იქაურ აზრებს ქართულ ლიტერატურას, ხან მითითებითა და ხან მიუთითებლად, შეუსაბამოდ ახვევს თავს. რა ახსნა-განმარტება სჭირდება იმ ჭეშმარიტებას, რომ, მაგალითად, პოსტმოდერნისტული თვალთახედვით ამ ლიტერატურული მეთოდით შექმნილ ძეგლებს უნდა მიუდგეთ, თორემ რას მივიღებთ, — მანძილს კილოგრამებით გაეზომავთ. „ახალი ქართველების“ ლიტერატურათმცოდნეობაში ამის გამიჯვნა არ ხდება. რ. სირაძეს რომ ასევე ემართება, ნიმუშისათვის ზემოთ საკმაოდ ფართოდ განხილული ბოლო მისი რუსთველოლოგიური „ნაშრომის“ დასახელებაც კმარა, მაგრამ გავისხენებ კიდევ ორ მაგალითს, რომლებზედაც საუბარი მაქვს ჩემს წიგნში „უცილობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ და, როგორც საჭირო იყო, მაშინ ამ კუთხით ყურადღება არ გამომახვილებია (გვ. 208-216).



რ სირაძე განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ იმ სტროფს, სადაც ნესტან-ღარეჯანი ტარიელს უთვლის:

„მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივჰხდე მას ჩემსა ნდომასა,  
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრომასა“  
(1304. 3-4) და სხვა.

ვინაიდან აქ ს ა მ ო თ ხ ი ს სურათია აღწერილი და ტარიელი და ნესტანი ი ნ დ ო ე ლ ე ბ ი, ანუ არაქრისტიანები, არიან, რ. სირაძეს ჰგონია, რუსთველი „ერესის“ გამომხატველია და „მწვალებლობას“ სჩადის. მოუუსმინოთ მას: „ნესტანი თავის იმიერ სასუფეულად ს ა მ ო თ ხ ე ს დასახავს. მაშასადამე, «ერესი» გაცვილებით შორხ მიდის: ს ა მ ო თ ხ ი ს მომავალ მკვიდრადაა დასახული ა რ ა ქ რ-

ი ს ტ ი ა ნ ი ჰიროვნება (უფრო ზუსტად, დაშვებულია ასეთი შესაძლებლობა). ანბანური ორთოდოქსიით, ამისი შესაძლებლობა კი გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი უნდა ეოფილიყო“ (ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 197).

ჩემს ზემორე დასახელებულ წიგნში რ. სირაძის ამ სიტყვებზე ვწერდი (გვ. 208-209): გასაოცარია, ფილოსოფიურ-თეოლოგიური თვალსაზრისით ძველი ქართული მწერლობის მკვლევარმა-პროფესორმა არ იცის, რომ იმქვეყნიურ ცხოვრებას, სამუდამო სანეტარო სასუფეველს, აღიარებს თითქმის ყველა რელიგია, მათ შორის ისლამიც (ი ნ დ ო ე თ შ ი ტარიელის განკურნებას ხომ „მუყრნი და მულიმნი“ „მუსაფით“ ცდილობდნენ!). რ. სირაძეს „ანბანური ორთოდოქსია“ მაგრად „სცოდნია“, მაგრამ მწყურლად ყოფილა ამ „ანბანურ“ ამბავზე. მკითხველს ბოდიში უნდა მოეუხადო, მაგრამ, სამადლო საქმე იქნება, რ. სირაძეს ე. ნოზაძის აღნიშნული წიგნიდან ერთ ამონაწერს თუ გავაცნობ: „ძველი სპარსული რელიგიური წიგნის «ბუნდეჰემ» თანახმად, ღმერთმა შექმნა «სამოთხე» ირანში და სამოთხე იყო ადგილი ნეტარებისა, სადაც მარადი გაზაფხული სუფევდა (...). სპარსულ-ბაბილონური სამოთხე-ედემზე იყო შემდეგი: ადამიანი ცხოვრობდა წალკოტში (...). ებრაელებმა ეს სპარსული სამოთხე ისესხეს და იგი თავისებურად გადააკეთეს. ეს სამოთხე შესულია ბიბლიაში, შემდეგ ქრისტიანობაში და ი ს ლ ა მ შ ი“ („ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“, გვ. 266).

საიდან მივიდა ბატონი რევაზი აღნიშნულ აბსურდულ თვალსაზრისამდე, - დამოუკიდებლად თუ სხვისი ზეგავლენით?!

სხვისი, სხვისი ზეგავლენით. როგორც თვითონ რ. სირაძე უთითებს, წაუკითხავს დანტეზე დაწერილი ი. ბელზას ნაშრომი. „როგორც ცნობილია, - წერს იგი, - დანტემ სამოთხეში მოათავსა ბეატრიჩე და მასთან ერთად «კომედიის» შექმნის დროს ცოცხალი არაერთი ჰიროვნება. ამის თაობაზე გასათვალისწინებელია შემდეგი: დანტემ თვითვე განაკანონა

პიროვნებათათვის წმინდანობის მინიჭება, თვითონვე განაწესა, თუ ვის ეკუთვნის სამოთხე - წმინდანთა ხვედრი. «Как известно, бeатификация и канонизация – прерогатива наместника святого Петра. Данте впадает в ересъ, припывая ету прерогативу поэту», - აღნიშნავს ი. ბელ-ზა. ა ნ ა ლ ო გ ი უ რ ი «ე რ ე ს ი» ჩ ვ ე ნ შ ე ი მ ლ ე ბ ა დ ა ვ ი ნ ა ხ ო თ «ე ე ფ ს ი ს ტ - ე ა ო ს ა ნ შ ი»“ (ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 197).

რ. სირაძე შემდეგ სრულად იმოწმებს ნესტან-დარეჯანის წერილის სტროფებს: „ღმერთსა შეპვედრე ნუთუ კვლადამხსნას სოფლისა შრომასა“ და „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“ და მიიხნევს, რომ ეს სტროფები აპოკრიფების სურათებს იმეორებს. „იმ ზოგად ხაზებში, - წერს იგი, - როგორადაც მას ნესტანი წარმოგვიდგენს, სამოთხის სურათი ა ჰ ო კ რ ი ფ უ ლ ი ა“ (გვ. 198). კიდევ: „რაც შეეხება საკუთრივ სამოთხის სახეს. რუსთველი ამ შემთხვევაშიაც ქრისტიანობის თვალსაზრისიდან ამოდის. გ ა დ ა ხ ვ ე ე ა ნ ი ც რ ო გ ო რ ც ა ღ ვ ნ ი შ ნ ე თ, ა ჰ ო კ რ ი ფ თ ა ფ არ ვ ლ ე ბ ს არ ს ც ი ლ დ ე ბ ა. ა მ შ ე მ თ ხ ვ ე ე ვ ა შ ი ც რ უ ს თ ვ ე ლ ი უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ა დ ა ნ ტ ე ს“ (გვ. 199).

რ. სირაძე რუსთველოლოგიურ ლიტერატურას რომ იცნობდეს ან საჭირო გაანალიზების უნარი ჰქონდეს, თავის წვენიში ასე არ მოიხრაკებოდა. ვ. ნოზაძეს წიგნებში „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება“ და „ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“ რუსთველის ორივე სტროფი ყოველმხრივ და ღრმად აქვს განხილული. ჩემს კრიტიკულ წიგნში „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ ბევრი რამ, რაც ვ. ნოზაძის მიერაა გარკვეული, ხოლო რ. სირაძემ არ ან უკუღმართად იცის, ნაჩვენები მაქვს (გვ. 208-215) და აქ აღარ გავიმეორებ. ახალს მხოლოდ ბოლო საკითხზე მოგახსენებთ, - ვ. ნოზაძე საგან-

გებოდ განიხილავს დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ და ჩამოგვიტოვლის, ბეატრიჩე როდის ვისთან და სად იმყოფება და რას საუბრობენ („ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება“, გვ. 78-80). დავიმოწმებ შემოკლებით. ვიცავ მის ნომერაციას:

1. „მიწიურ სამოთხეში, დილით დანტე ბეატრიჩესთან ერთად იმყოფება. აქედან იგი ცეცხლის სფეროში ადის. ბეატრიჩე არის მისი მხლებელი“.

2. „აქედან ისინი ადიან მთვარეზე და აქ ბეატრიჩე დანტეს განუმარტავს მთვარიის შესახებ სწავლას შუა საუკუნეთა ასტრონომიის მიხედვით“.

3 და 4. „დანტე ისევ მთვარეზეა და ბეატრიჩე მას განუმარტავს ნეტარ სულთა ცხოვრებას“.

5. „აქედან ისინი ამაღლდებიან მეორე ცას, მერკურ-იუსის სფეროში, სადაც ცხოვრობენ ისინი, რომელნი ჰატიოსან ცხოვრებას ეწეოდნენ და მაღალი ღირსება დაიმსახურეს“.

6 და 7. ისევ იქ არიან. „იმპერატორი იუსტინიანე დანტეს მოუთხრობს (...) მიღწეულ გამარჯვებათა შესახებ. აქ მოთხრობილია მოკლედ რომის ისტორიაც; იუსტინიანე დანტეს აცნობებს, რომ მერკურის ცა ეკუთვნის იმათ, რომელთაც ქვეყანაზე კეთილი საქმეებით სახელი მოიხვეჭეს“.

8. „დანტე და ბეატრიჩე ამაღლდებიან მესამე ცას, ვენუსის მნათობზე, შვენების ვარსკვლავზე, სადაც იმყოფებიან მათნი სულნი, რომელნიც დედამიწაზე სათნოებით იუვენენ შექმულნი. აქ დანტე ბევრი ხალხის აჩრდილს ხედავს და ესმის მათი «ოსანა მაღალთა შინა». მათ შორის არიან უნგრეთის მეფე შარლ მარტელი“.

9. „დანტე ჯერ კიდევ ვენუსზეა და შარლ მარტელის სიტუვის მოსმენას განაგრძობს“.

10. „დანტე მეოთხე ცაშია, მზეზე“.

11-17. მოთხრობილია იქაური საუბრები.

18. „შემდეგ დანტე და ბეატრიჩე ამაღლდებიან იუპიტერზე სამართლიანობის მნათობზე“.



19-20. გვიყვება აქ გამართულ საუბრებს.

21. „დანტე ბეატრიჩესთან ამაღლება მეშიდე ცად, სატურ-ნუსზე“.

22-26. გადმოცემულია იქაური ამბები.

27. დანტე ბეატრიჩესთან „ერთად მაღლება მეცხრე ცაში“.

28-29. „აქედან დანტე ხედავს ღვთიურ არსებას, რომელიც გამოსახულია ნათლის ბრწყინვალების წერტილით“.

30. „დანტე და ბეატრიჩე ამაღლებიან ე მ ჰ ი რ ი უ მ მ ი, ანუ ნათლის სამეფოში“. და ა. შ.

ამ მასალათა ჩამოთვლის შემდეგ ვ. ნოზაძე იძლევა განმარტებულ დასკვნას: „ასეთია უდიდესი იტალიელი პოეტის დანტეს განთქმული «ღვთიური კომედია», რომელიც ს უ ლ ს ხ ვ ა რ ა მ ე ა, ვ ი დ რ ე ვ ე ფ ხ ი ს ტ ე ა - ო ს ა ნ ი. მაგრამ მათ მაინც აქვთ ერთი რამ საერთო. ეს საერთოა შუა საუკუნეთა კულტურა, იმჟამადი ასტრონომია, ასტროლოგია და ქრისტიანული თეოლოგია“ (გვ. 80).

ამდენი ამბავი იმიტომ მოვიტანე, რომ მეჩვენებინა, ისე მარტივად და პრიმიტიულად არ არის საქმე, როგორც რ. სირაძე ი. ბელზას ერთი გამონათქვამის მიხედვით გვიხატავს.

დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენს რევაზს ი. ბელზას ნაშრომი წაუკითხავს, მაგრამ უბედურებაა, რომ წლების განმავლობაში რუსთველოლოგიის ეს „საჭეთმპყრობელი“ ვიკტორ ნოზაძის სამაგიდო რუსთველოლოგიურ ნაშრომებს არ იცნობს. უბედურებაზე უბედურებაა, რომ დიდების კვარცხლბეკზე წამოსკუპებულმა ამ დილეტანტმა ელემენტარული საკითხები არ იცის, თუნდაც ისეთი, ისლამი ცნობს თუ არა სამოთხეს!

□

ავიღოთ მეორე შემთხვევა, რომელსაც ჩემს კრიტიკულ წიგნში ნაწილობრივ შევეხე (გვ. 222-223).

„ვეფხისტყაოსანში“ რენესანსულობის გამოვლინებად რ. სირაძე ცალკე და მრავალგზის მიიჩნევს პიროვნულის, ერთი პირის, ანუ „მე“-ს, უკან გადაწევასა და მასთან ერთად თუ მის მაგივრად მრავლის, „ჩვენ“-ის, წინ წამოწევასა და

გაბატონებული ადგილის დამკვიდრებას. ის ასე მსჯელობს: „მე და ჩვენ; ამისი გაგებაც გაფართოვდა: «ჩვენ» ა მ ი ე რ ი დ ა ნ ბეზრ რამეს გულისხმობს: ჩვენ - ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი, ჩვენ - ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი, ჩვენ - ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ბ ი, ჩვენ - დღევანდელი და მომავალი კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ა. რუსთველისათვის «ჩვენ» მთელ კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ა ს მოიცავს. «ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა». მათში გულისხმობს თავისი პოეტური განცდების თანამგრძნობ ს ა ლ ხ ს: «მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გედის შეუშრობელი!» (სახისმეტყველება, 1982, გვ. 164; ქართული კულტურის საფუძვლები, გვ. 289).

მაშინ გამოვთქვი გაკვირვება: რუსთველამდე ჩვენში „ჩვენ“ ისევე არ იხმარებოდა და მას იგივე განმაზოგადებელი შინაარსი არ ჰქონდა, როგორც ეს „კვეფნისტყაოსანშია“?! განა ცნობილზე ცნობილ ლოცვაში - „მომიტყვენ ჩ უ ე ნ თანა-ნადებნი ჩ უ ე ნ ნ ი, ვითარცა ჩ უ ე ნ მიუტყვებთ თანა-მდებთა ჩ უ ე ნ თ ა, და ნუ შემეყვანებ ჩ ვ ე ნ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩ ვ ე ნ ბოროტისაგან!“ (მათე, 6. 13) - „ჩვენ“ ადამიანებს, მორწმუნე ადამიანთა ერთობას, ხალხს, კაცობრიობას არ გულისხმობს?! განა „აბო თბილელზე“ თვითონ რ. სირაძე არ წერს? - „აქ კიდევ ერთი მისწრაფება შეღავნდება ი. საბანისძისა. ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ზიროვნული შემეცნება ითქვიფება ტაძრულ შემეცნებაში, ზოგადქრისტიანულ, და ამდენად, ზოგადადამიანურ შემეცნებაში. როცა უმაღლესი ჭეშმარიტების წვდომის საკითხი დგება, «ჩვენ» ნიშნავს «ჩვენ ქრისტიანები». «აბოს წამებაში» მძლავრობს ასეთი გაგებაც - «ჩვენ ქართველები!» (ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, გვ. 45). ესაა ქართული რენესანსულობის მაჩვენებელი?!

რ. სირაძე არ გვეუბნება, ჩვენი ლიტერატურისათვის ამ შეუსაბამო და აბსურდულ შეხედულებამდე რატომ და როგორ მივიდა. სინამდვილეში ეს თვალსაზრისი, თურმე, სხვას ეკუთვნის, სხვისგან არის გადმოღებული. დავიმოწმებ გავალომიძის ნაშრომს „ახალი ისტორიზმი“: ამოქმედებული

ტექსტები“, სადაც ავტორი გვაცნობს, რომ ეს მიმდინარეობა „შირიდად რენესანსის მკვლევართა წრეში ჩამოყალიბდა“, რომ ტერმინი „ახალი ისტორიზმი“ რამდენიმე წლით ადრე სხვას უხმარია, „თუმცა აქტიურ ხმარებაში იგი სთივენ გრინბალტმა დაამკვიდრა“, რომ, რაც ჩვენთვისაა საყურადღებო, ს. გრინბალტს 1980 წელს გამოუშვია წიგნი „*«მკ»-ს ფორმირება რენესანსის ეპოქაში*“, სადაც „ეურადღება მახვილდება იმაზე, «თუ როგორ უაღიბებოდა კოლექტიური რწმენები და განცდები, როგორ გადადიოდა ერთი კულტურული შუამავლიდან მეორეზე, როგორ კონცენტრირდებოდა ადტივისთვის შესაბამის ესთეტიკურ ფორმებში»“ („ლიტერატურული ძიებანი“, 2002, № XXIII, გვ. 497).

ახლა ჩვენთვის ზედმეტია იმის ძიება, აღნიშნული მოსაზრება რა მასალებს ეყრდნობა და რამდენად სამართლიანია იგი. მთავარი ისაა, რომ რ. სირაძე მას და უს-ა ხ ე ლ ე ბ ლ ა დ, უ კ რ ი ტ ი კ ო დ იყენებს და ჩვენს ლიტერატურას, „ვეფხისტყაოსანს“ არაფრად არგია.

თუ რ. სირაძის ნაშრომებს ამ კუთხით შევისწავლით, დარწმუნებული ვარ, ამგვარ შემთხვევას კიდევ ბევრს ვნახავთ.



როდესაც ი. რატიანისა და რ. სირაძის მიერ უცხოურის გადმოტანის აღნიშნულ უმაქნის „მეთოდსა“ და „ხერხზე“ ვსაუბრობთ, ძალაუნებურად მახსენდება ცნობილი ენათმეცნიერის, აწ გარდაცვლილი გურამ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს, მონათხრობი, რომელსაც ენათმეცნიერები ღიმილით იგონებენ.

ბატონი გურამი შეებულებისას გურიაში, მშობლიურ სოფელში, რომ ჩასულა, ყურადღება მიუქცევია: ერთი დიდი და მშვენიერი ოდა-სახლი წინა და იმავე ზაფხულსაც უსახურაოდ იყო დატოვებული. მეზობელი გლეხისთვის მიზეზი უკითხავს. ენაკვიმატ მეზობელს აუხსნია: მაგან სახურავი „უეშტი“ სხვადასხვა ადგილას მოიპარა და ერთმანეთს ვერ მიუსადაგა, – პირი პირზე არ მიდისო.

## აქა ამბავი გამოგონილი დამსახურებებისა

მკითხველი გარკვევით ხელავს, ინსტიტუტის ე. წ. სამეცნიერო საბჭო რატომაა უ რ ც ხ ვ ა დ დადუმებული სამეცნიერო დაწესებულებისათვის უპირველეს საზომზე, — ნაშრომთა რაოდენობასა და ხარისხის თაობაზე.

ახლა, მოდი, კბილი გაუუსინჯოთ იმ „მიღწევებს“, რომლებითაც საბჭოს რ. სირაძისათვის უპირატესობა მიუცია. ასეთია ორი „დამსახურება“.

### ა. რუსთველოლოგიური ცენტრი და კრებული

საბჭო რიხიანად აცხადებს: „რევაზ ს ი რ ა მ ე უკანასკნელ წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რუსთველოლოგიის სამეცნიერო ცენტრს. ამ ხნის მანძილზე ცენტრის თანამშრომელთა მიერ მომზადდა სამეცნიერო კრებულის — «რუსთველოლოგია» — მორიგი ტომი“.



თუ რ. სირაძე თანამშრომელთა ნაშრომების პუბლიკაციებისას რა უვარგისი ხელმძღვანელი და რედაქტორია, ამაზე ერთი უაღრესად თვალნათლივი და მეტყველი მაგალითი ფართოდაა ნაჩვენები ჩემს წიგნში „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ (გვ. 260-273). რომ მან „რუსთველოლოგიის“ მეოთხე წიგნში უშენიშვნოდ დაბეჭდა ახალგაზრდა მკვლევარის, ლია წერეთლის, რბილად რომ ვთქვათ, ყოვლად უვარგისი სტატია: „ანტონ I-ის «სამი სტილი», დავით აღმაშენებელი და რუსთაველი“ (გვ. 169-187), რომლის დიდი ნაწილი (მაშინ არ მითქვამს) რვა წლით ადრე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ იყო გამოქვეყნებული (31

იანვარი-7 თებერვალი, 1997, გვ. 14). პატიოსანი და ნაღდი მკვლევარი ახალ გამოცემაში ამასაც მიუთითებდა. მაგრამ, იცოცხლე, ერთი და იმავე სტატიის მიუთითებლად მრავალ-გზის გამოქვეყნებაში მაგალითის მიძეგმი და წამხალისებელი რ. სირაძე, მართლაც, უბაღლოა! ან ის ფაქტი რაღა ღირს: ახალგაზრდა მკვლევარმა არ იცის თავისი საკითხისათვის არსებითი ნაშრომები, – ივანე ლოღაშვილისა და ალექსანდრე კალანდაძის გ ა ხ მ ა უ რ ე ბ უ ლ ი წიგნები (ღიახ, წიგნები და არა სტატიები) და ამაში რუსთველოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი და კრებულის რედაქტორი თავისი უცოდინარობის გამო ვერ შველის!

## □

იმავე მეოთხე კრებულიდან კიდევ ერთი მაგალითი. იქ წარმოდგენილია ახალგაზრდა, დამწყები მკვლევრის თინათინ პატარაიას სტატია: „ვეფხი – ვეფხისტყოსანი – ვეფხის-ტყოსნობა“ (გვ. 137-156). რამდენადაც მახსოვს, ასპირანტობისას მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი ბრძანებოდა ლევან მენაბდე, რომლის გარდაცვალების შემდეგ ახალი ხელმძღვანელი კი დაუნიშნეს, მაგრამ ნაპატრონები რომ იყოს, არსაიდან ჩანს.

აღნიშნული სტატია თავიდან ბოლომდე რეფერატია და ოღნავადაც არ შეიცავს რაიმე სიახლეს, რაიმეს კვლევას. თანაც, რასაც ეყრდნობა და იმეორებს, არამეცნიერულია. აქ უკრიტიკოდ, რაიმე ახალი მასალის მოუხმობლად გამოორე-ბულია ნ. სულავას უკიდურესობამდე მიყვანილი და რ. სირაძის „ავტორიტეტით“ განმტკიცებული და დაკანონებული „თეორია“: რომ პოემაში ვეფხის „ტყავის სამოსი მაუწყებელია, ერთი მხრივ, მისი ცოდვით დაცემისა, ტანჯვისა და სინანულისა. მეორე მხრივ, მისი სულიერი განწყენისა, განმღრთობისა“ (გვ. 48). და ა. შ. დასახელებულია ამ შეხედულების ავტორთა წერილები. ვ. ნოზაძისა კი, სადაც ეს საკითხიცაა განხილული, აქ არ ჩანს. რა თქმა უნდა, ამ სამაგიდო წიგნს მეცნიერებაში უპატრონოდ დარჩენილ ახალგაზრდა ავტორს

რ. სირაძე ვერ მიასწავლიდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, როგორც მრავალი მაგალითის მიხედვით ვაჩვენეთ, ვ. ნოზაძის არც ერთ წიგნს თავადაც არ იცნობდა.

იმის მაგივრად, რომ მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე აყენებდნენ ახალ თაობას, არ გაუიოლო და სიყალბეს არ მიაჩვიო იგი, აი, ასე „ეხმარება“ მათ რ. სირაძე და დათვურ სამსახურს უწევს!



ახლა გადავიდეთ „რუსთველოლოგიის“ მეხუთე კრებულზე, რომელზედაც ოქმში დიდი ამბითაა საუბარი და სადაც მოთავსებულია ზემორე განხილული, უცხო სიტყვებით გატენილი, რ. სირაძის არაფრის მომცემი, სამარცხვინო წერილი, რომელიც 21 გვერდამდეა. ამავე 250-გვერდიან კრებულში დაბეჭდილია ჩემი ვრცელი სტატია „კომიკური «ვეფხისტყაოსანში»“, რომელსაც უჭირავს კრებულის თითქმის მეოთხედი ნაწილი (გვ. 32-87), - 56 გვერდი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩემი პირველი გამოკვლევაა, რომელიც 1962-1963 წლებში დაწერე და იმ დარგს - ესთეტიკას - განეკუთვნება, რომლის მამამთავრადაც რ. სირაძეს სახავენ, მას, როგორც რედაქტორს, ჰქონდა იქ რაიმე შენიშვნა ან შესასწორებელი, გასაკეთებელი?! სხვათა შორის, ეს სტატია ინსტიტუტს თავიდან ჟურ. „სჯანში“ დასაბეჭდავად გადავეცი, რომლის რედაქტორი ი. რატიანი ბრძანდება. აქ რომ შეეტანათ, „რუსთველოლოგიას“ სხვა სტატიას მივცემდი. ალბათ, მას არც ამ კრებულში დამიბეჭდავდნენ, მაგრამ მასში იმდენი უნიათო წერილია მოთავსებული, ჩანს, „ცენტრს“ სხვა მასალები არც ჰქონია. დიახ, დიახ, კრებულში იმდენი, არა მარტო მდაბალი, არამეცნიერული სტატიაა წარმოდგენილი და კრებულის „სარედაქციო საბჭოს“, „სარედაქციო კოლეგიას“ და რედაქტორს, არც ერთს, თავი იმისთვისაც კი არ შეუწუხებია, მკითხველისათვის რაღაცათი მიენიშნებინა, როგორ უყურებენ ისინი ამ მასალებს. როგორც ჩვეულებრივ სხვებმა რბილად

იციან აღნიშვნა, ის მაინც ეთქვათ, „განხილვის წესით“ ვებჭდავთო. შოთა რუსთველი, ჩვენდა საბედნიეროდ, ჯერ კიდევ იმდენად პოპულარულია, ჩვეულებრივი მკითხველები ასეთ კრებულებსაც კითხულობენ. ჩვენ კი რას ვთავაზობთ და როგორ ვაბნევთ მათ!

რ. სირაძე, როგორც „ცენტრის“ ხელმძღვანელი და კრებული რედაქტორი, რაიმე დახმარებას უწევდა თავის რომელიმე, მეტადრე, ახალგაზრდა თანამშრომელს?

აქ ამის არც დრო და საშუალებაა, ამ თვალთ ეს კრებული მიმოვიხილო; სრულიადაც არ მინდა, იმ ავტორებს ვაწყენინო, რომლებთანაც მეგობრობა თუ არა (მე კი მეგობრობა მეგონა), მრავალწლიანი თანამშრომლობა მაკავშირებდა. როგორ უნდა გამოვიყვანო სააშკარაოზე ის საცოდავი ადამიანები, რომლებიც წლებზე ფეხს იდგამენ, რათა რაიმე „სახელფასო“ საქმე შეასრულონ, მაგრამ იმ მიზეზითაც, რომ ხელმძღვანელი არა ჰყავთ, წარმატებას ვერ აღწევენ. სანიმუშოდ ორიოდ მაგალითს მაინც მოგახსენებთ.

□

გულწრფელად უნდა ვთქვა, „ცენტრის“ მეცნიერთანამშრომლის, თამარ ხვედელიანის, როგორც შესანიშნავი ოჯახიშვილისა და კეთილშობილი მანდილოსნის, უაღრესად პატივისმცემელი ვიყავი და ვარ. რუსთველოლოგიის განყოფილებაში ერთად ყოფნისას მის სამეცნიერო მუშაობას, რაც შემეძლო, ყურადღებით ვეპყრობოდი. განყოფილების სხდომებზე წლიური თემების განხილვისას შენიშვნებს არ ვიშურებდი, მაგრამ ყოველთვის მოკრძალებითა და მორიდებით ვაძლევდი. მან მშვენიერად იცის, რა გულისყურით წავიკითხე მისი სადოქტორო დისერტაცია (განყოფილების ხელმძღვანელს, რ. სირაძეს, იგი არც გადაუშლია), როგორი შენიშვნები მივეცი. მაგრამ მან არ იცის და, ალბათ, ვერც წარმოიდგენს, როცა ეს საკვალიფიკაციო ნაშრომი ძალიან არ მომეწონა, ისე როგორც ნ. სულავას სადოქტორო დისერტაციის დროს, რა ნერვიულობა და კომპარული დღეები და

ლაშქრები გადავიტანე. მიჭირდა, მაგრამ გულახდილად და პატიოსნად ვუთხარი, რომ ეს ნაშრომი საჭირო მეცნიერულ ღონეზე არ იდგა. ეს მწარე შენიშვნა მას პირისპირ საუბრისას მოვახსენე და ის მხოლოდ რ. სირაძეს, როგორც განყოფილების ხელმძღვანელს, გავანდე, როცა მან შეფასება მკითხა. სხვისთვის არავისთვის გამიმჟღავნებია. ვინაიდან ჩვენში მეცნიერების დევალაცია და გათახსირება სწრაფი სვლით მიმდინარეობდა, სამეცნიერო ხარისხი იშვიათად შეესაბამებოდა საკვალიფიკაციო ნაშრომს, 2005 წლის გაზაფხულზე, დისერტაციის დაცვისას (ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი გახლდით) ქალბატონ თამარს ხმაც მივეცი. სხვათა შორის, მან შესავალ სიტყვაში „დახმარებისათვის“ მადლობა ვის არ გადაუხადა, მათ შორის, რა თქმა უნდა, რ. სირაძესაც, მე კი არ „გაუხსენებია“. რა ახსნა უნდა ამას, ის (მეცნიერება, ნაშრომი რომ არ აინტერესებს და მისთვის ხელსაც არ ანძრევს) კაი კაცია, მე (რა გულისხმეთქვა ვიწვნიე და შრომა გავწიე) – გლახა კაცი!. დღეს ეს დისერტაცია მრავალი რჩევისა და გადამუშავების შემდეგ წიგნადაა გამოცემული – „ვეფხისტყაოსნის“ მითოსურ-ფოლკლორული სამყარო“ (თბ., 2007).

ამ უსიამოვნო ამბებს იმიტომ ვიხსენებ, რომ ერთხელ კიდევ ვაჩვენო, რ. სირაძეს როგორ არ ენაღველება, საერთოდ, მეცნიერება, კერძოდ, რუსთველოლოგია და თავისი თანამშრომლებიც.

დიდი გულისტკივილით წავიკითხე „რუსთველოლოგიის“ ამ კრებულში დაბეჭდილი ჩვენი ძვირფასი თამარის პატარა სტატია – „ჭის სიღრმე – გზა კათარზისისა“ (გვ. 147-153). ეს არის მისი დაქალის ნესტან სულავას შეხედულების გადამღერება და „ახალი“ მასალით „განმტკიცება“: რომ დევებისათვის წართმეული გამოქვაბული, სადაც ნესტანის მძებნელი ტარიელი ასმათთან ერთად თავს აფარებს, არის განსაწმედელი იმ ცოდვისა, რაც ტარიელმა და ნესტანმა სასიძოს მოკვლით ჩაიდინეს: „ტარიელი თავისი უბედურებისა და ტკივილის გამო აღმოჩნდა ამ «განსაწმედელში». ვეფხისტყაოსან



მოემდ ქცეული, იგი მღვიმეში მკვიდრდება და თავისი სულიერი განადგურების პროცესს ეწინააღმდეგება, სადაც იწყება იმის გაცნობიერება, რომ ცოცხალია და საჭიროა, მოინახოს ცოდვის სათავე, რასაც ჯერ სინანული, შემდეგ სულიერი აღდგომა მოჰყვება (...). და ეს უნდა მოხდეს სწორედ მღვიმეში“ (გვ. 151).

ახლა ვნახოთ, ქალბატონ თამარს სანამდე მიჰყავს ნ. სულავას ნააზრევი: თურმე, ტარიელი „მოცემულ შემთხვევაში (დევეებისათვის წართმეულ გამოქვაბულში ყოფნისას. – ბ. დ.) ინდოეთის ან ნესტანის ხსნისათვის ნაიხრ მკვლელობას კი არ უმეხნის გამართლებას, არამედ აღიარებს, იმხანად (სასიძოს მკვლელობისას. – ბ. დ.) მიწიერმა სმლია ზეციურს, ხორცმა დათრგუნა სული და სწორედ ზვარაზმელი სასიძოს მკვლელობამ გამოიწვია მისი მარცხი“ (გვ. 151–152).

ძალიან მიჭირს ამის წერა, მაგრამ იძულებული ვარ, სიმართლე ყოველმხრივ გავაშიშვლო: ქალბატონმა თამარმა იმდენად არ იცის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი და იმდენად არ შესწევს უნარი მისი გაანალიზებისა, რომ ბრმად და უკრიტიკოდ იღებს და იმეორებს ნ. სულავასა და რ. სირაძის შეხედულებებს. ჩემს წიგნში „უვიცობის, ქლავიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ ვაჩვენე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილია საერო ხალხის ცხოვრება და საქმიანობა, რომლებიც ცხოვრებაში არც დაპყრობით ომებსა და არც კაცის კვლას ერიდებოდნენ. რომ ავტორი, შოთა რუსთველი, მრავალ ბრძოლასა და ზოცვა-ჟღერტას აღწერს, მაგრამ მათ, ისე როგორც ტარიელისა და ავთანდილის მიერ ჩადენილ მკვლელობებს, უარყოფითად არც ერთხელ აფასებს. პირიქით, აღფრთოვანებით გვიყვება მათ შესახებ. ასევე, პოემის მთავარი პერსონაჟები ავთანდილი, ფრიდონი, თინათინი, როსტევეანი, ფატმანი, შერმადინი ტარიელისა და ნესტანის მიერ ჩადენილ მკვლელობას, ჩვეულებრივ, არასაძრახის მოვლენად აღიქვამენ. ნესტანის აზრით, სასიძოს მოკვლა „მართალი სამართალია“, ხოლო

თავად ტარიელი, წინააღმდეგ აღნიშნული მოჩვენებისა, გარკვევით ამბობს, რომ მისი საქციელი ღვთის მიერაა დადგენილი: ხვარაზმშას ძემ „თუ ღმერთი რას უზამს, არა იცოდა“-ო (გვ. 231-232).

მას შემდეგ, რაც ნ. სულავამ „გაარკვია“, დევების ნაქონი გამოქვაბული ტარიელის „ცოდვის“ მონანიებისა და განწმენდის ადგილია, რა ვუყოთ ნესტან-დარეჯანს, - ისიც ხომ ამ „ცოდვის“ მონაწილეა?! ქალბატონ ნესტანს რატომ-ღაც ამის გარკვევა გამოერჩა თუ ვერ შეძლო. და აი, ქალბატონმა თამარმა თავისი უფროსი და მისაბაძი დაქალის ეს „დანაკლისი“ „შეავსო“. მისთვის მღვიმე და გამოქვაბული ვერ იბოვო, მაგრამ „იბოვა“ „ჭა“, - ქაჯეთის ციხის გვირაბი. დიახ, დიახ, მისთვის გვირაბი და ჭა ერთი და იგივეა! ვიდრე სათანადო ამონაწერს გაგაცნობდეთ, ნება მიბოძეთ, რ. სირაძესა და მის „დამფასებელ“ ინსტიტუტის საბჭოს წევრებსა და ინსტიტუტის დირექტორს, ანუ „დექტატორს“, ი. რატიანს, ცალი თვალთ მანინც გავხედო, - რა სახეები აქვთ!

ახლა მოუხსმინოთ ქალბატონ თამარს: „«ვეფხისტყაოსნის» (...) გ ა ნ ს ა წ მ ე ნ დ ლ ი ს ფუნქციას დევთა ორმოცსენაკიანი გამოქვაბული და ქ ა ჯ ე თ ი ს მთავარი კოშკისაკენ მიმავალი ვ ი წ რ ო გ ვ ი რ ა ბ ი ა ს რ უ ლ ე ბ ს“ (გვ. 151). შემდეგ: „ნესტანსაც სჭირდება მონანიება, ამიტომ მისი კოშკისკენ მიმავალი «გზა გვირაბითა შემოვალს», რომელსაც «ხასი» მოუმეები იცავენ და ამ გვირაბის გავლის მსურველს «მართ ცეცხლად მოედებიან». ზემოხსენებული გ ვ ი რ ა ბ ი კ ი მ ი წ ი ს ქ ვ ე შ ა ჭ ა ა, რომლის გავლა ცეცხლში დაწვასთანაა ასოცირებული (!)“. ამას მოჰყვება ამონაწერი ნ. სულავას „ნაშრომიდან“ ტარიელის „განწმენდის“ შესახებ (გვ. 152). შემდეგ: „ამდენად, თუ უდაბნო და გამოქვაბული სულიერი გარდასახვის ადგილია, ჭა უშუალო და-მაკავშირებელი საშუალებაა, სწორედ ჭაში ს ა ც ნ ა უ რ დ ე ბ ა, რომ მიტევების მოსაპოვებლად გზის სირთულე უნდა დაიძლიოს.

ამ გზას ადამიანი მხოლოდ საკუთარი ნებით გაივლის. მიების ჰროცესი კი რ ა ი ნ დ ი ს სულიერი გ ა ნ წ მ ე ნ დ ი თ სრულდება, რითაც საცნაური განდება ბოროტის ძლევა კეთილისაგან და მისი სამარადისო ბატონობა“. ამას უკვე ქალ-ბატონი თამარი, ნ. სულავას კი არა, რ. სირაძის გამონათქვამს უმატებს, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ არც ეხება და არც არაფერს რგებს (იქვე, გვ. 152).

თ. ხვედელიანი სრულიად ზედმეტად ირჯება, როდესაც გვაცნობს იმ საყოველთაო ჭეშმარიტებას, რომ იყვნენ ისეთი ასკეტებიც, რომლებიც გამოქვაბულებსა და მღვიმეებში ატარებდნენ ცხოვრებას. მაგრამ ასე იოლია რაინდობისა და სიყვარულის სწორუბოვარი ქმნილების, „ვეფხისტყაოსნისათვის“ მისი მისადაგება, სადაც ამქვეყნიური ცხოვრება საოცრადაა განდიდებული და გაიდელეებული?!

ანდა ვიკითხოთ სრულიად მარტივი ამბავი: ასკეტობისათვის ვარგოდა, გამოიყენებოდა ჭა?

„ჭა“ ძველად და ახლაც ჩვეულებრივი გაგებით წ ყ ლ ი ა ნ ი, წ ყ ლ ი ს ა თ ვ ი ს ამოთხრილი ორმოა. „წყალი“ მისი აუცილებელი მახასიათებელია. სულხან-საბა განმარტავს: „ჭა - ჯურღმული წ ყ ა ლ თ ა (წ ყ ლ ი ს ა)“. წინ ახსნილია: „მთხრებლი - ესეცა განიყოფებიან: რამეთუ მ დ ვ ი მ ე არს მთხრებლი კლდისა კაცთათვის საპატიმრო, გინათავით თვისით შთაჯდეს სინანულისათვის; კ ნ ა რ ც ვ ი არს მთხრებლი მიწისა მსკავსად მღვიმისა; ო რ მ ო არს მთხრებლი მიწისა ხვარბლისა და მისთანათა სამარხავად; ხ ა რ ო არს მთხრებლი შინაგან ქვიტკირით ამოგებული; ჭ ა დ არს მთხრებლი კლდისა ანუ ნაკები წყალთათვის ხადგომლად, ვიეთნი ლ ა კ ვ ა ს უკმობენ; ჯ უ რ - დ მ უ ლ ი არს რა ურწყულთა ადგილთა თხარონ მთხრებლი, რათა მუნ წ ყ ა ლ ი აღმოცესოს“. ასევეა ეს სიტყვები წარმოდგენილი ნიკო ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ (გვ. 280). დავით ჩუბინაშვილს უწერია: „ჭა (ხარს.), წ ყ ლ ი ა ნ ი

ჯურღმული ან ლაკვი. КОЛОДЕЦ“ (ქართულ-რუსული ლექსი-  
კონი, გვ. 1701). „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“  
გვაქვს: „ჭბ (სხარ. ჩაჰ) 1. ღრმა და ვიწრო ორმო (ჩვეუ-  
ლებრივ, ქვით ან სხვა მასალით ამოშენებული), რომელშიც მი-  
წისქვემა წ ე ა ლ ი გროვდება“. აქვე დამატებულია, შემდეგი  
გაგებანი, რომლებიც ამ სიტყვამ ახალ ქართულში შეიძინა:  
„2. სჰეც. ორმო სხვადასხვა ტექნიკური საჭიროებისათვის.  
კაბელის ჭა“. ძველი ქართული გაგებიდან დასახელებულია:  
„საპრობილე - ხარო“ (1221).

თ. ხვედელიანის მიერ ასკეტობის გამომხატველ  
დამოწმებულ ლიტერატურაში „ჭა“ არსად ჭაჭანებს. ავტორი  
ახსენებს შიო მღვიმელის ცხოვრებას, მაგრამ იქ, ყველგან,  
„ქვაბი“ და „მღვიმე“ იკითხება. მრავალთაგან დავიმოწმებ  
ერთს: „ესე წმიდად შიო ესრეთ იყოფებოდა, კორცითა  
იტანჯებოდა, სოლო სულითა განათლდებოდა. ამისთვისცა  
ბნელსა მას შინა მ დ ვ მ ე ს ა ვითარცა ნათელსა და  
განსვენებასა შინა იშუებდა. სოლო მომღურისა მისისა იოვა-  
ნესთვის ვიტყოდით. სოლო ნეტარი მამად ჩუენი იოვანე დაბერდა  
ქ უ ა ბ ს ა მას შინა და აღასრულა სრბად თვისი“ (ძველი  
ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ.  
227). ასევეა ამ თხზულების მეტაფრასულ რედაქციაში და  
სხვაგან და სხვაგან.

უცნაურზე უცნაურია ის წარმოდგენა, რაც ქალბატონ  
თამარს გამოქვამულზე, მღვიმესა და ჭაზე აქვს. „რას უნდა  
ნიშნავდეს «ქვესკნელში ჩამავალი მღვიმე?»» — კითხულობს ის და  
განმარტავს, — შეუძლებელია ეს იეოს მხოლოდ გამოქვამული,  
რომელსაც, ჩვენდა უნებურად, მიწის ზევით, ჰორიზონტალურ  
ჭრილში წარმოვიდგენთ, ქვესკნელ-შუასკნელის დამაკავშირებელი  
მ დ ვ ი მ ე ჯ ა ა, ვერტიკალური ჭრილით, რომელიც  
აღამიანის ს უ ლ ი ე რ ი გ ა მ ო ც დ ი ს ადგილად  
მოიაზრება“ (გვ. 147-148). შემდეგ: თურმე, „იგივე შეიძლება  
ითქვას დასავლურ საკმინო-სარაინდო თხზულებათა ჰერსო-  
ნაეებზე. ღვთაებრივი ჭეშმარიტების შ ე ც ნ ო ბ ი ს

უპოკლესი გ ზ ა სწორედ მიწის სიღრმეში გაჭრილ ჭ ა ზ ე-  
გ ა დ ი ს“ (გვ. 150). და სხვა.

„ჭა“ „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელაა ნახსენები, - ჭაში ჩავარდნილი კაცის არაკში, სადაც „უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა“. ცხადია, ამ მიმავალთაგან არც ერთმა არ იცის, თუ ჭა „განსაწმენდელი“ ადგილია, თორემ იმ მარტივი თეოლოგიური დებულებიდან გამომდინარე, რომ ყველა ადამიანი ცოდვილია, ის „უკანა“ „წინას“ ამოყვანაზე კი არ იწველებდა, თვითონაც შიგ გადაეშვებოდა!

<sup>1</sup> ჩემი აზრით, ეს კი ვიხუმრე, მაგრამ, თურმე, რა გეხუმრება?! გადავშალოთ ნესტან სულავას ახლახან გამოსული წიგნი და ვნახავთ, ჭაში ჩავარდნილი არაკის შესახებ ავტორს რა „მდიდარი“ და „უძალესი ღონის“ ილუზიები და მოჩვენებები გასჩენია. ვკითხულობთ: „ალეგორია მუისვე თვალში ეცემა მკითხველს. არაკს მხატვრული ფუნქცია აქვს; ეურადღებას შევაჩერებ შემდეგზე: გამოქვაბულისა და ჭის მსგავსი სიმბოლიკა მიუთითებს, რომ აუთანდილის სიტყვები წინასწარმეტყველებაა გამოქვაბულის ზაქაროდან ტარიელის გამოყვანის, ანუ «მღვიმური ცნობიერებიდან» გამოსვლის თაობაზე. ტარიელი და ჭაში ჩავარდნილი კაცი იპოდიგმურ-პარადიგმული სტრუქტურითაა წარმოსადგენი და განსახილველი, რადგან ტარიელსაც ისევე ეჭირება დახმარება, როგორც ჭაში ჩავარდნილ კაცს. აქედან გამომდინარე, კომპოზიციური თვალსაზრისით, რაკი ის აუცილებელი კომპონენტია, რომელიც ტარიელის გამოქვაბულში დაშვებების ამბის გაგებას წინ უძღვის; იგი იმასაც ამცნობს მკითხველს, რომ ამხანაგის როლში აუთანდილი უნდა აღმოჩნდეს. არაკის შინა-არსის გათვალისწინება ვვარწმუნებს ტარიელ-აუთანდილის მომავალ მეგობრობასა და მოუვახურ თავგაპოვებაში, ისინი ჭაში ჩავარდნილი კაცისა და ზემოდან მისი ამოყვანის პარადიგმით წარმოგვიდგებიან, ამასთან, ეს იპოდიგმა-პარადიგმა ორმხრივია, რადგან ჯერ ტარიელმა უნდა გაუწიოს აუთანდილს დახმარება და შემდეგ - აუთანდილმა - ტარიელს. ამიტომ ამ არაკს ტარიელ-აუთანდილის მომავალი ურთიერთობისათვის ექსპოზიციის მნიშვნელობა ენიჭება“ (გვ. 61).

არადა, პოემაში ყველაფერი მარტივად და ნათლადაა მოცემული. აუთანდილმა რა ღონისძიებას არ მიმართა, რომ ასმათისაგან გაეგო, „იონ არის“ მასთან ქვაბში მისული „ტან-სარო, პირ-ბაკმიანი“ მოყვ. უკიდურესობამდე უარზე მდგარი ქალი მას შემდეგ დაითანხმია, როდესაც გააგებინა, რომ თვითონაც მიჯნურია. ოღონდ ასმათი აუთანდილისაგან მტკიცედ მოითხოვს, განუხრელად შეასრულოს თავისი დარიგება: „წ რ ა ც ა გ ი თ ხ რ ა, თუ ამა საქმესა და მ მ ო რ ჩ ი ლ დ ე ბ ი, რასაცა უძე,

ამრიგად: ქალბატონ თამარ ხვედელიანის მოსაზრებით, საერთოდ და კერძოდ „ვეფხისტყაოსანში“, სულის განსაწმენდელი ადგილია ჭა, ხოლო ქაჯეთის ციხეში შემავალი გვირაბი ის ჭაა, სადაც ნესტან-დარეჯანი ცოდვისაგან განიწმინდა!

მკითხველს ბოდიში უნდა მოუუხადო, მაგრამ იძულებული ვარ, „აღმატებულ გვამებს“, ანუ ინსტიტუტის „სამეცნიერო საბჭოს“, კრებულის „სამეცნიერო საბჭოსა“ და „სარედაქციო კოლეგიის“ წევრებს, რაც მთავარია, ი. რატიანსა და რ. სირაძეს წავუკითხო, პოემაში გვირაბის შესახებ რა წერია. თუ ფატმანის „ორ მონას“ დაეჯერება, ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხის გვირაბში, ანუ ჭაში, კი არა, სადღაც **ზ ე ვ ი თ** სადედოფლოდ დაუსვამთ:

„როსანს შეერთოთო – დულარდუხტს მეფესა უბრძანებია –  
ჯერთ ქორწილობად არა მცალს, აწ გული ცეცხლ-ნადებია...  
ც ი ხ ე ს დ ა უ ს ვ ა მ ს, ხადუმი ერთაი უახლებია“ (1240. 1-2, 4).

იგივე მონები გვირაბის შესახებაც ერთსა და იმავეს ჰყვებიან:

„ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:  
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,  
მას კლდესა შუა გვირაბი, ასაძვრომელი ხვრელია,

---

მიპხვდები. .. თუ არ მომიხმენ, ვერ კპოვებ“ (254). ავთანდილი მის ხელშია და სხვა რა გზაა აქვს, არ დამორჩილდეს?! და ის თავის მდგომარეობას უაღრესად ზუსტად, სიტყვაამოსწრებულად აღარებს ჭაში ჩავარდნილი კაცის ამბავს, როდესაც მას ზევით მდგომი ეუბნება: „იყავ მანდა, მომიცადე წაეღ თოკთა მოსახმელად. მას ქვეშეთსა გაეცინა, გაუკვირდა მეტად კიდღ შებოჰყოელა: «არ გელოდებ, სად გაგექცე სად წაიღე?»“ (255).

ნეტავი, იმ „ქვეშეთს“ რა აცინებდა, თუ ამ ამბავში ამდენი ალუზია და ენიგმა იყო!

რა ძნელი მისახვედრია, რომ ამ იუმორისტულ არაკს ერთადერთი, აღნიშნული სათქმელი აქვს. ქალბატონი ნესტანი კი სანამდღე მიღის და რა ხილვები აქვს!

მუნ არის მართო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია.

გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირ-ნასები,  
ათი ათასი ჭაბუკი ღვას, ყველაკაი ხასები,  
ქალაქის კართა სამთავე - სამათას-სამათასები“  
(13 42-13 43).

რადგან „ხვრელის“ შემდეგ „მუნ“ წერია, ვაითუ ინს-ტიტუტის ჩვენს გმირებს ნესტან-დარეჯანი „გვირაბში“, „ხვრელში“ მყოფად ამიტომ ესახებათ. არც გამიკვირდება! მაგრამ რომ ეს ასე არაა, თავად ნესტან-დარეჯანი უფრო გარკვევით გვაუწყებს:

„ცხესვი ეგზომ ძალსა, თვალნი ძლიე  
გარდასწვდებიან,  
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა ღვებიან“  
(1300. 1-2).

ღმერთო ჩემო, რისი კვლევა და დასაბუთება მიხდება! იქნებ, ისიც უნდა ვეძებოთ, ნესტან-დარეჯანი თავის წერილებში ან სხვაგან სადმე ხომ არ იუწყება, ქაჯეთის ციხის „გვირაბში“, „ხვრელში“, „ჭაში“ განვიწმინდე, „დაკარგული ღვთის ხატის აღდგენისაკენ ავადმყოფურ სწრაფვა“ დაეამთავრე (რ. სირაძე) და „ადამისა და ევას სამოთხისეული ცხოვრება“ (ნ. სულავა) უკვე დავიბრუნეო!

თ. ხვედელიანი ერთსაც არ დაფიქრდება და, როგორც უმაღლეს ჭეშმარიტებას, ისე იმეორებს თავისი „მასწავლებლების“ სიტყვებს: „ნესტანმა ჯილდოს ფუნქცია იტვირთა და ამ ჯილდოს მოპოვება-დასაკუთრების სურვილმა გამოიწვია ტანჯვის გზით განწმენის აუცილებლობა“ (გვ. 152). რ. სირაძე ათეული წლების განმავლობაში აქ, იქ და ყველგან ექვსჯერ და მეტად იმეორებს: „სწორედ ესაა ნაჩვენები «ვეფხისტყაოსანში»: ბედნიერების კენთანჯვის გზით“.

ტარიელის „ცხოვრება ასე შეიძლება იქნეს ფორმულირებული -  
ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა ტ ა ნ ჯ ვ ი ს გ ზ ი თ“. ნ. სულავა:  
„ადამიანის სულიერი განწყენის გზა ტ ა ნ ჯ ვ ა ზ ე კადის,  
ანუ ტ ა ნ ჯ ვ ა სამუალებათა სულიერი გ ა ნ წ მ ე ნ-  
დ ი ს ა, ადამიანის სულიერი ამაღლება სიწმინდის უმაღლეს  
ხარისხამდე, იდეალამდე ო დ ე ნ ტ ა ნ ჯ ვ ი ს გ ზ ი თ  
მიიღწევა“. რ. სირნაძე და ნ. სულავა ამ შეხედულებას  
„ვეფხისტყაოსანს“ რიხიანად იმიტომ არგებენ, იგი  
პლატონური და ქრისტიანულიაო. ამაზე საუბარი გვაქვს  
ჩვენს წიგნში „უეციობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის  
წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ (გვ. 76-77, 252-253),  
სადაც ბაჩანა ბრეგვაძის მოსაზრებაც დავიმოწმე: „მართალი  
გითხრათ, ა რ ა მ გ ო ნ ი ა, «ტანჯვის გზით  
ბედნიერებისაკენ» ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი ან პლატონური  
პრინციპი იყოს“. უნდა დავუმატო, მათი პრინციპიც რომ იყოს,  
„ვეფხისტყაოსანთან“ მას არავითარი შეხება არა აქვს.

აი, ასეთ სენსაციურ უეციობას აძლევენ გზას კორნელი  
კეკელიძის, ალექსანდრე ბარამიძის, გიორგი ლეონიძის...  
ნაშენებ და ნალოლიავებ ინსტიტუტში. ვაშა ამ თაობას!  
როგორ ფიქრობთ, მკითხველო, ინსტიტუტის სამეცნიერო  
საბჭომ ხომ არ იძუნწა, ამ კრებულის რედაქტორობისათვის რ.  
სირაძეს მართო მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანა-  
მდებობა რომ უბოძა, ამით შემოიფარგლა და დაკმაყოფილდა?!  
უსათუოდ, უსათუოდ მეტი ერგება! ნამდვილად კი ინსტი-  
ტუტიდან კინწისკერით გაგდება ეკუთვნის!



ახლა კიდევ ერთი შემთხვევა, თუ თამარ ხვედელიანსა და  
ყველა ჩვენგანს ნესტან სულავას გზაზე სიარული რას  
გვაძლევს. მხედველობაში მაქვს ქალბატონ თამარის პატარა  
სტატია - „მეფე ფარსადანის სახის გააზრებისათვის“, რომე-  
ლიც 2009 წელს „ლიტერატურულ ძიებანში“ გამოქვეყნდა (№  
XXX, გვ. 32-39). ესეც ნ. სულავას თვალსაზრისის „განმ-  
ტკიცებას“ ემსახურება. მკითხველს შევახსენებ, ნ. სულავას



აზრით, ფარსადანი უარყოფითი პერსონაჟია. „იგი ძველი ტრადიციების, ძველი ცოდნის მიმდევარია“, რომელიც „ინდოეთის ზეციურ იერუსალიმად“ გარდაქმნას ხელს უშლის. არადა, თურმე, „ინდოეთი ზეციურ იერუსალიმად არის ღვთისგან განგებული“. ის რომ „მეფე-ტირანია“, ეს ნიკოლოზ ბარათაშვილსაც სცოდნია და ლექსში „ფიქრი მტკვრის პირას“ კიდევაც გამოუხატავს<sup>1</sup>. ამაზე ჩემს წიგნში „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ საკმაოდ მაქვს საუბარი და ახლა მასზე არ შევჩერდები (გვ. 43-47, 136-137).

აი, ქალბატონი თამარი, ნ. სულავას დარად, როგორ უპირისპირებს ერთმანეთს როსტევეანსა და ფარსადანს: „თუ როსტევეან მეფის დახასიათებისას ჰოეტი საუბრობს მის ჰიროვნულ თვისებებზე (სვიანი, თავმდაბალი, მიუკერძოებელი მოსამართლე, ენამახვილი, შორსმჭვრეტელი და მხოლოდ გ ა კ ვ რ ი თ ა ა ნახსენები მისი «ლაშქარმრავლობა» და უებრო მეომრობა), ფარსადანის დახასიათებისას ჰ ი რ ი ქ ი თ, ხაზგასმული სწორედ მისი მებრძოლი ბუნებაა (ექვსი სამეფოს მპყრობელი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი, ტანად ლომი, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი). ერთი სიტყვით, მართალია, ლაკონურად, მაგრამ შთამბეჭდავად და დახატული მეფე-მებრძოლი, მუდამ საომრად მზადყოფი თვითმპყრობელი მმართველი“ (გვ. 33).

ჩვენი თამარი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე ძალადობას იჩენს. რატომღაც „გაკვრით ნახსენები“ როსტევეანის „ლაშქართმრავლობა და უებრო მეომრობა“? განა ეს სიტყვები ტექსტში ისევე „სრულუფლებიანად“ არ „სხედან“, როგორც სხვა მანახსიათებელი ნიშნები? მოდი, ერთხელ კიდევ წავიკითხოთ სკოლაშივე სავალდებულო-საზეპირო სტროფი:

---

<sup>1</sup> ამ უვიცობას ნ. სულავა თავის ბოლოდროინდელ წიგნში კვლავ დაუინებით იმეორებს (გვ. 114).

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მალაღი, უხვი, მდაბალი, ჳაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი, თხით მემგარი უხვრო, კელა მოუბარი წყლიანი“ (32).

თ. ხვედელიანი თვალს ხუჭავს თუ ვერ ხედავს სხვა მსგავსებებსაც. ფარსადანი გახლდათ:

„უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი, ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი“  
(311. 3-4).

ხედავთ, ორივე „უხვი“ ყოფილა, „უხვი“ და „მდიდარი“ ერთსა და იმავეს არ ნიშნავს?!

ჩვენი ავტორი ანგარიშს არ უწევს არც იმ მნიშვნელოვან ერთობას, რომ ფარსადანიც როსტევანივით „ღმრთისგან სვიანია“, ანუ ბელიანი, ბელნიერია. ტარიელი მას ასე მიმართავს:

„წიგნი დავწერე: «მეფო, სვემცაა თქვენი სვიანაღ!»“  
(463. 1).

აღარაფერს ვამბობთ „ხატაელთა ამბავში“ ვაჭართა დახასიათებაზე:

„ფარსადან, მეფე ინლოთა, იყო ხელმწიფე სვიანი“ (1583. 2).

რუსთველის ღმერთი კი „სვიანობას“ ჰაიჰარად არ არიგებს! ან რად ვთხოვთ მწერალს, ორი პერსონაჟი ზუსტად ერთი და იმავე სიტყვებით დაგვიხატოს?!

თ. ხვედელიანის აზრით, მთელი უბედურება, რაც ინლოეთის სამეფო კარზე დატრიალდა, ის ყოფილა, რომ ფარსადანი ებლაუჭება მეფობას, სამეფო ტახტს, ამაში მეტოქედ თავის ქალიშვილს ხედავს და ამიტომ მას (და რა გასაკვირია), ასევე ტარიელს თავგადადებულად ებრძვის.

„მიგვაჩნია, — წერს იგი, — რომ ფარსადანმა ერთი უმნიშვნელოვანესი რამ აღმოაჩინა. მან იგონა, რომ ასულისა და შვილობილის (ტარიელის. — ბ. დ.) სახით მ ი ს მ ე ფ ო ბ ს ე რ ი ო ზ უ ლ ი ს ა ფ რ თ ხ ე დ ა ე მ უ ქ რ ა“ (გვ. 35).

წინ აღნიშნულია: ფარსადანმა სარიდანის „ვაჟი იშვილა და ნესტანის დაბადების შემდეგაც თავისი ასულისაგან არ განურჩევია იქამდე, სანამ ტ ა რ ი ე ლ შ ი ტ ა ხ ტ ი ს მ ო ც ი ლ ე ა რ დ ა ი ნ ა ხ ა“ (გვ. 33). შემდეგ: „... მოგვიანებით ტარიელი ა დ ქ მ უ ლ ი ქ ნ ა მ ე ტ ო ქ ე დ, ამობაში ნესტან-დარეჯანმაც სცადა განეცხადებინა თავისი კანონიერი ჰრეტენზია მემკვიდრეობაზე და ფ ა რ ს ა დ ა ნ მ ე ფ ე მ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ი ს დ ა კ ა რ გ ვ ი ს რეალური ს ა ფ რ თ ხ ი ს წ ი ნ ა შ ე ა ღ მ ო ჩ ნ დ ა“ (იქვე).

არ გაინტერესებს, მკითხველო, კონფლიქტამდე როგორ მიხვდა ფარსადანი, რომ თავისი ქალიშვილი და ტარიელი მისი მეტოქენი არიან და ინდოეთის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად იბრძვიან? თურმე, მაშინ, როდესაც ნესტანმა ტარიელს ხატაელების დამორჩილება დაავალა და ტარიელიც საბრძოლველად ისე წავიდა, რომ ფარსადანს არც ერთმა და არც მეორემ არაფერი გააგებინა. არ გჯერათ? მაშ, მოვუსმინოთ ქალბატონ თამარს: „საგულისხმოა, რომ ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯს ნესტანი მაშასთან ე ო ვ ე - ლ გ ვ ა რ ი წ ი ნ ა ხ წ ა რ ი შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს ა და თ ა თ ბ ი რ ი ს გ ა რ ე შ ე დ გ ა მ ს. პოემაში არ დასტურდება, რომ ფარსადანმა იცის ტარიელის სალაშქრო სამხადისის შესახებ. შესაძლოა, მის უურამდე ხატაელთა გადაშეტებული კადნიერების მაჩვენებელი «ლაღი და უკადრო» შემონათვალიც არ მისულა“ (გვ. 34).

არადა, თავად ქალბატონი თამარი იმოწმებს იმ სტროფებს, სადაც ინდოთა ლაშქრის შეკრების გრანდიოზული სურათია დახატული:

„ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია.  
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია...  
ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია“ (402).

„ავმართე დრო შამეფისა, აღმითა წითელ-შავითა,  
დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უთვალავითა“ (404. 1-2).

„დილასა შევჯე, ვუბრძანე: «ჰკარით ბუკსა და ნობასა!»  
სრულთა სპათასა ვერ გითხრობ არ შესხლომისა მზობასა“  
(420. 1-2).

ნეტავი, ამ დროს ფარსადანი ჭურში იჯდა?!

თ. ხვედელიანი მოითხოვს: „შექმნილი ვითარების შესახებ უპირველესად სწორედ ამირზარმა უნდამოახსენოს მეფეს, ჰოქმაში კი მცირედი მინიშნებაც კი არაა იმის შესახებ, რომ საომრად მიმავალი ლაშქარი დალოცა ქვეყნის კანონიერმა მმართველმა და გამარჯვებით დაბრუნება უსურვა“ (იქვე).

სხვათა შორის, ქალბატონი თამარის მსგავსი მოთხოვნა გასჩენია ერთ გვიანდელ ინტერპოლატორს და არტანუჯული ნუსხის არშიაზე მიუწერია:

„რა პურობა გარდვიხადე, დარბაზს მიველ მხიარული;  
მეფემ ტკილად შემომცინა, დიდი აქენდა სიყვარული;  
ნება ვსთხოვე, ხატაეთზედ რაზმით მეწყო სიარული,  
ჰბრძანა: «შვილო, აგრე ჰსჯობსო, შეანანო საქმე მტრული»“  
(H-1079, 46 v).

კარგი, დავიჯეროთ, რომ ნესტანმა და ტარიელმა ითავხედეს, – აღნიშნული მეფეს შეგნებულად დაუმაღეს. „ვეფხისტყაოსანში“ ამაზე რაიმე მინიშნება არის? თუკი

პოეტს იმას ვთხოვთ, ფარსადანთან შეთანხმებაზე ნათლად გვითხრას, მეორე მხრივ, რატომ ანგარიშს არ ვუწევთ იმას, რომ პოემაში არსად ჭაჭანებს რაიმე მინიშნება, ინდოეთის მეფეს შვილისა და ამირბარის საქციელი სეპარატიზმად მიაჩნდეს და ამაზე გაბრაზებული ან განაწყენებული იყოს?!

არადა, პირიქით არის. როდესაც ტარიელი რამაზ მეფეს წერილს უგზავნის, მასში წინ სწორედ ფარსადანია დაყენებული, თავის თავზე კი არა, მხოლოდ მასზე და მის სიძლიერეზე ლაპარაკობს იგი:

„გავგზავნე კაცი ხატაეთს და წიგნი ჩემ-მაგიერი;  
მისწერე: «მ ე ფ ე ი ნ ღ ო თ ა არისმცა ღმრთულებრ ძლიერი!  
მ ა თ ი ერთგული გაძლების ყოველი სული მშვიერი,  
ვინცა ურჩ ე ქ მ ნ ა ს, იქმნების თავისა არ მადლიერი!»“ (387).

აქვე ვნახეთ, ტარიელის სიტყვებია: „აღუმართე ღროშა მ ე ფ ი ს ა“ და არა ინდოეთისა. ტარიელი რომ ჩუმად არ მოქმედებდა, იქიდანაც ჩანს, რომ ხატაეთიდან მეფეს წერილსა სწერს:

„წიგნი დაწერე: «მ ე ფ ე ო, სვემცაა თქვენი სვიანად!  
მე ხატაელთა მიმუხთლეს, – თუმცა მათ ეცა ზიანად, –  
ჩემი ამბავი დასტური ამად გ ა ც ნ ო ბ ე გ ვ ი ა ნ ა დ;  
მეფე შევიპყარ, მოგივალ მე ალაფიან-ტყვიანად!»“ (463).

ხედავთ, ტარიელს, თურმე, გამუდმებული კავშირი აქვს თავის მეფესთან და წუხს, რომ ომის მიმდინარეობის შეტყობინება დაუგვიანა.

ახლა ვნახოთ, ფარსადანი როგორ შეეგება გამარჯვებულ ტარიელს:

„ხატაეთისა ხელმწიფე მომყვანდა შეპყრობილია.  
ინდოეთს მივე, მ ე გ ე ბ ა ჩ ე მ ი გ ა მ ზ რ დ ე ლ ი ტ კ ბ ი ლ ი ა;  
რა ქ ე ბ ა მითხრა არ ითქმის, ჩემგან სათქმელად წბილია!  
ხელი გამიხსნა, შემომკრა მან სახვეველი ლბილია.“

ელგნეს ტურფანი კარავნი მოედანს ჩამოდგომილსა,  
საუბრისა და ჭკურეტიისა ჩ ე მ ი ს ა მ ა ს მ ო ნ დ ო მ ი ლ ს ა.  
მას დღესა ედვა ნადიმი მას შიგან გარდახდომილსა;  
მიალერსებდა, მაჭმევდა წინაშე ახლოს ჯდომილსა.

მას ღამით ვსხედით ნადიმად, მუნ ა მ ო დ გ ა ვ ი ხ ა რ ე ნ ი თ“  
(465-467. 1).

რა, ფარსადანი თვალთმაქცობს?!

ახლა ვნახოთ, როგორ აფასებს ქალბატონი თამარი  
ფარსადანის იმ საქციელს, რომ მან რამაზ მეფეს აპატია  
დანაშაული და შეიწყნარა იგი:

„ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე“ (468. 2).

„მას მეფესა ხატაელსა უმასპინძლა, უალერსა,  
ჟამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა ფერსა“ (469. 1-2).

„მკვლევარი“ საკითხს პირდაპირ სვამს: „რატომ ავლენს  
ფარსადან მეფე ისეთ კეთილგანწყობას რამაზის მიმართ?“ პასუ-  
ხი საოცარია: თურმე, იმიტომ, რომ ამით ტარიელი  
დაამციროს. არა გჯერათ? მოვუსმინოთ მას: „რაც შეეხება  
ფარსადანის რამაზ მეფესთან პირმშო შვილის ხილვის ტოლ-  
ფარდი სიუვარულით შეხვედრას, ვ ფ ი ქ რ ო ბ თ, ამით მან  
ტარიელის გამარჯვება ერთგვარად გ ა ა უ ფ ე რ უ ლ ა და  
გ ა ა უ ბ რ ა ლ ო ვ ა, მაგრამ მიზეზი? (...) ესაა პირველი  
დამოუკიდებელი პოლიტიკური ნაბიჯი, ნესტანის მიერ ჩაფიქრე-  
ბულ-გაანზრებული და ტარიელის მიერ განხორციელებული. ეს  
იყო განაცხადი ინდოეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სწორედ  
ამ გ ა ნ ა ც ხ ა დ ს დ ა უ კ ა რ გ ა ს ხ ი ვ ი მეფე  
ფარსადანმა თავისი გულგრილობით. სადაც თავად არ ჩაერია,  
მნიშვნელოვანი იქ თითქოს არაფერი მომხდარა“ (გვ. 35).

ქალბატონი თამარი არც იმას აქცევს ყურადღებას, რომ ფარსადანმა რამაზი ტარიელთან მოლაპარაკების, მისი ნებართვის შემდეგ შეიწყნარა:

„ცისკრად მიხმეს, მიბრძანებდეს მე სიტყვასა ლმობიერსა:  
«შე უნ დ ო ბ ო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა?»»

მე ვჰკადრე: «ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე-გაცუდებულსა!»  
(469. 3-4 – 465. 1-2).

და ამას ტარიელი და ფარსადანი ინდოეთის კეთილ-დღეობისათვის აკეთებენ. აი, ეს დიპლომატიური ნაბიჯი:

„რამაზს უბრძანეს: «იცოდი, გაგზავნით შეწყალებულსა, მაგრამ ნუ გნახავთ კვლამცაღა ჩვენ წინა გაწბილებულსა!»  
ხარაჯა დასდევს, შეჰკვეთეს დრაჰქანი ასჯერ ასია,  
კვლა ხატაური ათასი, სხვა სტავრა, სხვა ატლასია»  
(470. 3-4 – 471. 2-2).

მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა რამაზისა და ხატაელთა შეწყნარება:

„მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი ხასია,  
შეწყალებული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია“ (471. 4).

ტყვე ხატაელმაც პირობა დადო, ინდოეთს კვლავ ერთგულად ემსახურებოდა:

„ხატაელმან დაუმაღლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა,  
მოახსენა: «ორგულობა თქვენი ღმერთმან შემანანა.  
თუ რა ოდეს შე-და-გცოდო, მაშინ მომკალ მემცა განა!»  
წავიდა და ყველაკაი მისი თანა წაიტანა“ (472).

ქალბატონ თამარს კი რა ერქვენება!

ეს მოჩვენება ამით არ მთავრდება. თ. ხვედელიანის აზრით, ფარსადანი ტარიელს აღნიშნულ დამცირებას არ აკმარებს და ამისთვის ხვარაზმშაჰის ძის სასიძოდ მოყვანისათვის გამართულ თათბირსაც იყენებს: „მეფე-დედოფალმა თავადაც კარგად უწყიან, რომ ეს საოჯახო თათბირი ტარიელისთვის (არც თუ ოსტატურად) დადგმული სპექტაკლია. მთავარი ა, ტარიელმა იგრძნოს, რომ უვლას ხვათა ზრეთი ნდენტი მასზე აღმატებულია“ და ისევ და ისევ იმ „თვითნებობისათვის“, რაც ხატაელებზე გალაშქრებისას გამოიჩინა. „მიგვაჩნია, – განაგრძობს ჩვენი ავტორი, – რომ ეს ფარსადანის მხრიდან ხატაეთში წარმოებული მოგებული ომისთვის ერთგვარი შურისძიება იყო“ (გვ. 36).

სჭირდება ამას კომენტარი?!

დასასრულ, კიდევ ერთი კურიოზი. როსტევეანი რატომ ასე ადვილად თმობს მეფობას და ამას არ აკეთებს ფარსადანი? პასუხი: „შეიძლება იმიტომ, რომ ინდოეთის მმართველი, როსტევეანთან შედარებით, ახალგაზრდაა და ჯერ კიდევ არ სურს ძალაუფლების დათმობა“ (გვ. 38). საიდან გაიგო ავტორმა, რომ ეს ასეა?! პოემაში ამგვარი რამ არსად იკითხება! როსტევეანი თავის სიბერეს რამდენიმეჯერ აღნიშნავს და ყველგან თავისი ქვეყანის მომავალთან დაკავშირებით, ვინ იქნება მისი შემცვლელი:

„მე გარდასრულ ვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია, დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქნელია... ჩემი ძე დავსკათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“ (36).

„ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია: სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია, კაცი არ არის, სითგანცა, საბრძანებელი ჩვენია, რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“ (62).



„მართ მუფემან სპათა ბრძანა ავთანდილის თაყვანება:  
«ესეაო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება,  
ღლეს ამას აქვს ტახტი ჩემი, მე – სიბერე ვითა სნება,  
ჩემად სწორად ჰმსახურებლით, დაიჭირეთ ჩემი მცნება!»“  
(1546).

რა, სხვა ვითარებაა ფარსადანის მიმართ?! განა ისიც  
სიბერეზე არ წუწუნებს და მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო,  
თუ ვინ იქნება ინლოეთის ხელმწიფე-პატრონი?!

„გვიბრძანა, თუ: «ღმერთმან ასრე დაგვაბერნა, და-ცა-გვლია;  
უამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვივლია;  
ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია,  
ყმისა არ-სმა არა გაგვა, ამაღ ზელა წაგვითვლია.

აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, საღ მოვნახოთ,  
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,  
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,  
არ ამოვსწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ  
ვამახოთ»“ (508-509).

თუ თავიდან როსტევეანი მის გვერდით მყოფ ავთანდილს  
თავისი შემცველელის ღირსად არ ცნობდა, განა არ შეიძლება  
იგივე დამართოდა ფარსადანსაც?! აქ როსტევეანი და ფარ-  
სადანი ერთმანეთისაგან რაიმეთი განირჩევიან?!

მეორეც: თუ ფარსადანს იმის შიში აქვს, თავისი  
ერთადერთი ქალიშვილი, ძე, ანუ მემკვიდრე, სამეფო ტახტს  
წაართმევს, ამ მხრივ რატომ არ აშინებს უცხოტომელი  
ხვარაზმმას შვილი?

პასუხი „გადასარევია“: „სავარაუდოდ იგი (ღიახ, ღიახ,  
ხვარაზმმას ძე. – ბ. დ.) მ ა ლ ი ა ნ ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ა.  
ამ მოსაზრების დამადასტურებელი ადგილები გვხვდება ჰოემაში  
(ნეტავი სად?– ბ. დ.), მაგრამ ამჯერად ამაზე არ შევჩერდებით.  
მაშასადამე, მხედველობაში არაა მიღებული მისი (ღიახ, ხვა-  
რაზმმას ძის. – ბ. დ.) ჰიროვნული ღირსებები და რაინდული

შემართება (ა ს ა კ ი ს ს ი მ ც ი რ ი ს ვ ა მ ო), მაშინ რითაა ასეთი სასურველი სასიძო?“ (გვ. 36). მხოლოდ ერთადერთი „ღირსებით“, – მცირეწლოვანია. კიდევ არ გჯერათ? აბა მოვისმინოთ: „მეფე კი, სავარაუდოდ, ისეთი უნდა უოფილიყო, რომელიც მას ტ ა ხ ტ ზ ე ჯ დ ო მ ი ს წ ლ ე ბ ს გ ა უ ხ ა ნ გ რ მ ღ ი ვ ე ბ დ ა. იყო თუ არა ამისთვის შესაფერისი ხვარაზმელი სასიძო? – უ დ ა ვ ო დ. თუ იგი მცირეწლოვანია, მით უფრო, რომ არც ისაა სამეფოდ აღზრდილი და მეფობის «მცოდნე», მსგავს შემთხვევაში ვინ იქნება უპირველესი ვეზირი, ხელმწიფის მრჩეველი, ფაქტობრივად, ქვეუნი მმართველი? ის, ვისაც ემაწვილი გვირგვინოსანი უველაზე მეტად მიენდობა. ვის, თუ არა ფარსადანს მიაგებდნენ ამ ჰატიუს (...). ტარიელისა და ნესტანის გამეფება კი ბ ო ლ ო ს მ ო უ ღ ე ბ დ ა ფ ა რ ს ა დ ა ნ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა ს. ეს ხატაეთის ლაშქრობამ სავსებით ცხადი გახადა“ (გვ. 38).

საიდან გაიგო ქალბატონმა თამარმა, რომ სასიძო ასე მცირეწლოვანია?! აქაც იგივე უნდა გავიმეორო, რაც ახლახან აღვნიშნეთ: პოემაში ამის დამადასტურებელი არაფერია.

სასიძო ყველგან იხსენიება „ყმად“:

„მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა.  
მას წინასვე დაუპირა იმა ყ მ ი ს ა შენი ქმრობა“ (533. 1-2).

„მე ვჰკადრე: «ღმერთმან აშოროს მის ყ მ ი ს ა შენი  
ქმარობა!»“ (541. 1).

„კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე,  
ყ მ ა ს ა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე“ (558. 1-2).

რუსთველოლოგიაში გარკვეულია, რომ „ყმა“, წინააღმდეგ თანამედროვე ქართული ენისა, პოემაში მცირეწლოვანს არსად ნიშნავს. ვ. ნოზაძეს ეს საკითხი ყველაზე ფართოდ აქვს დამუშავებული და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა, რომელიც ამ

სტროფებს ესადაგება, მისივე სიტყვებით, გახლავთ: „ახალ-გაზრდა, ქმაწვილი კაცი“, როგორადაც იწოდება, თუ გნებავთ, ფრიდონი (ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება, გვ. 61-69. შდრ.: ლ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, „ვეფხისტყაოსნის“ „ყმა“, „მოყმე, „ჭაბუკი“, რუსთველოლოგია, III, 2004, გვ. 57-65). თუ ხვარაზმშაპის შვილს სიჭაბუკე აკლდა, მოსალოდნელი იყო, მას მამა ხლებოდა. ან ტარიელს რა სატრაბახო ჰქონდა, „*ყრმასა ფერხთა მოვეკიდე*“ და ა. შ.

ბოლოს და ბოლოს, ხვარაზმშას შვილს ცოლს რთავენ! იცის ჩვენმა ავტორმა, რომ ცოლის შერთვას გარკვეული ფიზიოლოგიური სიმწიფე სჭირდება და რომელ წლებში ხდება ეს?! სულ სხვაა, როცა მცირეწლოვან ქალს ათხოვებენ! ღმერთო ჩემო, რაზე მიხდება საუბარი!

აი, ასეთი უკუღმართი ლოგიკითაა ეს სტატია დაწერილი. სწორედ ისე, როგორც რ. სირაძე ახალგაზრდებს არიგებდა: *ოღონდ დაბეჭდეთ რამე და მას მნიშვნელობა არა აქვს, სწორია თუ არა იგიო!*

ღიახ, ეს სტატია მომზადდა ინსტიტუტის რუსთველოლოგიის ცენტრში, რომელსაც რ. სირაძე „ხელმძღვანელობდა“. დაიბეჭდა ინსტიტუტის ერთ-ერთ მთავარ ორგანოში „ლიტერატურული ძიებანი“, რომლის რედაქტორი ინსტიტუტის ღირექტორის მოადგილე, როგორც თავის თავს უწოდებს, რუსთველოლოგი მაკა ელბაქიძეა. აი, რისთვის მაღავეს და არ მაცნობს ი. რატიანი და მ. ელბაქიძე ინსტიტუტის ნაშრომებს. კარგად იციან, ზოგი მათგანი რა ბედენაცაა.

მთელი სერიოზულობით, პასუხისმგებლობითა და დაბეჯითებითა უნდა განვაცხადო: ქალბატონი თამარ ხვედელიანის ამ და ზემორე განხილული ცრუმეცნიერული წერილების შექმნისა და გამოქვეყნების ცოდვა უპირველესად ნ. სულავეასა და რ. სირაძეს უნდა მოეკითხოთ!

როცა თამარ ხვედელიანს ჭეშმარიტი მეცნიერი ცოტნე კიკვიძე ხელმძღვანელობასა და რედაქტორობას უწევდა, მან კარგი, საჭირო წიგნი მოამზადა და გამოსცა: „*ვეფხისტყაოსნის*“ ძირითად გამოცემათა ვარიანტები (1966-1996 წ. წ.), თბ., 2000.

მეორე ამბავი:

ჩემს წიგნში „უეციობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ მოთხრობილი მაქვს, რა თავგამოდებით ვიბრძოდი (დიახ, დიახ, ვიბრძოდი), განყოფილებაში შეგვედგინა მიმდინარე წლის რუსთველოლოგიური ბიბლიოგრაფია (გვ. 273-274). კერძოდ, უპირველესად და უმთავრესად ეს გაეკეთებინა იმ მომხსენებელს, ვისაც ინსტიტუტის ყოველწლიურ დისკუსიაზე წინა წლის რუსთველოლოგიური ლიტერატურის მიმოხილვა ევალებოდა, ხოლო მის სრულყოფაზე განყოფილების ყველა წევრს გვეზრუნა. „ცენტრის“ ახალგაზრდა თანამშრომელ ლია კარიჭაშვილის სასახელოდ უნდა ვთქვა, ის ამისთვის, შეძლებისდაგვარად, იღვწის. რა მხარდაჭერა აქვს და რა მაგალითს ხელავს რ. სირაძისაგან? იმავე ჩემს წიგნში ნათქვამი მაქვს, რომ 2004, 2005 და 2006 წლების განხილვისას დარგის ეს ჩვენი „ბელადი“ „მომხსენებელი“ გახლდათ და ყოვლად უნამუსო „ხალტურა“ წარმოადგინა! რის ბიბლიოგრაფია, რა ბიბლიოგრაფია!

დიდი სიხარულით უნდა აღვნიშნო, „რუსთველოლოგიის“ მეხუთე კრებულს ბოლოს ერთვის ლია კარიჭაშვილის მიერ შედგენილი 2007 წელს გამოსული რუსთველოლოგიური ლიტერატურის სია (გვ. 251-252). წინა, მეოთხე, კრებულში მანვე დაბეჭდა 2003 წლის ამგვარივე ბიბლიოგრაფია. ავტორს, ალბათ, ემასხოვრება, მაშინ როგორ ვეხმარებოდი მისი სრულყოფისათვის. თუ პირველ კრებულში აღრიცხულია 84 ერთეული, ამ უკანასკნელშია 19. საერთოდ, სრული ბიბლიოგრაფია არ არსებობს, მაგრამ, რაც შეიძლება, მის აღნუსხვას ხელი არ უნდა დავაკლოთ. აქ დასახელებულია ჩემი ერთი ნაშრომი, ორი გამორჩენილია:

1. „მწიგნობარში“ მაქვს სტატია „*«ვეფხისტყაოსნის» გაგრძელებები*“ და

2. „მწერლის გაზეთში“ – „*ავთანდილის ლოცვა*“ (№ 2).

რადგან ეს კრებული და გაზეთი ვახსენე, ბარემ იმასაც ვიტყვი:

3. ხსენებულ კრებულში დაბეჭდილი დემურ ბ ა შ ა ლ ე ი - შ ვ ი ლ ი ს წერილი „ფერთა მომხიბვლელი მარულა“ გვაცნობს ანზორ თოდრიას ღვაწლს „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაში (გვ. 204-209).

4. „მწერლის გაზეთშივე“ ზედიზედ ხუთ ნომერში გამოქვეყნდა მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი ს სტატია „ინდო-ხატაელთა ამბისს“ შესახებ დაწერილი ერთი ნარკვევის შუქ-ჩრდილები, წიგნიდან რუსთველოლოგიური კრიტიკა“ (№ 4-8).

სხვა მასალები (ვუთითებთ ისე, როგორც ხელთ მხვდებოდა და ვიწერდი):

5. ბილალ დ ი ნ დ ა რ ი, თურქულად აქედრებული რუსთაველი – ჟურ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, № 1, გვ. 5-6. იქვეა ზეინელაბიძინ მ ა კ ა ს ი ს დახმარებით მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ 21 სტროფი.

6. მარინე ჯ ა ი ა ნ ი, ქართულ-ინგლისური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (მარჯორი და ოლივერ უორდროპების მთარგმნელობით-შემოქმედებითი საქმიანობა) – იგივე ჟურნალი, № 2, გვ. 3-12.

7. მანანა გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით – ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, № 2, გვ. 38-45; № 3, გვ. 30-38.

8. თემურ ა მ ყ ო ლ ა ძ ე, როგორ ვკითხულობთ პოეტურ ტექსტს, იგივე ჟურნალი, № 10, გვ. 3-5.

9. გიორგი გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, ნიჰილიზმი და სიამაყე, იგივე ჟურნალი, № 19, გვ. 51-52.

10. მარიამ დ ი დ ე ბ უ ლ ი ძ ე, შოთა რუსთაველის გამოსახულება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში – ჟურ. „რწმენა და ცოდნა“, № 1 (15), ოქტომბერი-დეკემბერი, გვ. 90-95.

11. ხ ე ლ მ ო უ წ ე რ ე ლ ი, შოთა რუსთაველმა ჯვრის მონასტერი განაახლა და მოახატვინა – ჟურ. „კრიალოსანი“, № 6, გვ. 35.

12. ინგა კ ა ლ ა ძ ე, შუასაუკუნეების ეპიკური პოემის პროლოგის ტოპიკა და „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის კვალიფიკაციის საკითხები, ჟურნ. „ქართველოლოგია“, № 1, გვ. 22-31.

13. აპოლონ ს ი ლ ა გ ა ძ ე, კლასიკური პოეზიის ფორმალური რეპერტუარი, იქვე, გვ. 32-40.

14. რობერტ ს ტ ი ვ ე ნ ს ო ნ ი, შესავალი ვეფხისტყაოსნის საკუთარ თარგმანზე [მაკა ელბაქიძის თარგმანი], ჟურ. „ქართველოლოგია“, № 14, გვ. 5-39.

15. ელგუჯა ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის უძველესი კვალი ევროპულ ლიტერატურაში (მივიწყებული წარსულის საიდუმლო), [ქართულ და ინგლისურ ენებზე], იქვე, გვ. 74-121.

16. ირაკლი მ ა მ ა ლ ა ძ ე, ანტიტყაოსანი – თბილისში „ვეფხისტყაოსნის“ ეროტიკული ვერსია გამოსცეს, გაზ. „ალია“, 15-16 მაისი, № 55, გვ. 11.

17. ლელა ჯ ი ყ ა შ ვ ი ლ ი, „ვერაფერს გააკეთებ, თუ იმაზე იფიქრე, ვის ეწყინება და ვინ აღშფოთდება...“, „მინდა «ვეფხისტყაოსნით» დავამთავრო ჩემი მოღვაწეობა“ (საუბარი რობერტ სტურუასთან „ვეფხისტყაოსნის“ დადგმის თაობაზე. – ბ. დ.), გაზ. „კვირის პალიტრა“, 14-20 მაისი, № 20, გვ. 13.

18. გურამ წ ი კ ლ ა უ რ ი [გურამ გოგიაშვილი], პაწაწინა წიგნების დიდი ბიბლიოთეკა, ანუ „ვეფხისტყაოსნიდან“ „ოთარაანთ ქერიამდე“ [„ვეფხისტყაოსნის“ მცირე ფორმატიანი გამოცემის გამო. – ბ. დ.], გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 25 დეკემბერი, № 252, გვ. 14.

19. მაია კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართველი ხალხი თავის ჭეშმარიტ თავგადასავალს არ იცნობს [თენგიზ მირზაშვილთან საუბარი. ეხება „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონს: „იგი სტირს და არა ესმის, მისგან გააუშეცარდა“. – ბ. დ.], გაზ. „24 საათი“, 31 მარტი, № 70; Weeken, 31 მარტი-1 აპრილი, № 11, გვ. 2-3.

20. ჯი-ეიჩ-ენი, საქართველოს ეროვნულმა არქივმა ზიჩის ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი“ შეიძინა, გაზ. „24 საათი“, 14 ივნისი, № 130, გვ. A-16.

21. ი ა ვ ე კ უ ა, „ვეფხისტყაოსანი“ კითხვითა და მოსმენით, თბილისის წიგნის ფესტივალის პოლიუდური ხიბლი, – იგივე გაზეთი, 15 ივნისი, № 131, გვ. A-13.

22. ხათუნა ქ ა რ დ ა ვ ა, „არ წაიკითხავ ჩემს «ვეფხისტყაოსანს», არ წავეიკითხავ თქვენს ტოლსტოის“, რატომ

გაქრა ქართულ ბაზარზე რუსული ლიტერატურა?! - იგივე გაზეთი, 28 ივლისი, № 168, გვ. A-16.

23. თამაზ ტყემალაძე, ილია ჭავჭავაძე - 170, მიხაი ზინი ჩვენი მეგობარი! წერილი VI, იგივე გაზეთი, 26 ნოემბერი, № 269, გვ. A 10.

24. მისივე, წერილი VII, ილიას არ მოსწონს აკაკის რუსთველოლოგიური ნაშრომები, იგივე გაზეთი, 13 დეკემბერი, № 284, გვ. A 12.

25. ჯემალ პაჭკორია, ერთი აფორიზმის თაობაზე, ჟურ. „სოციალური ეკონომიკა“, № 1, გვ. 42-48.

26. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ორ წიგნად. ტექსტი რუსულ და ქართულ ენებზე - სპ. ვიტა ნოვა: 2007 - 832 გვ., 40 ილუსტ.; [ფ. ა.] 24 სმ. ტირაჟი 1 300 ც. პირველი 70 ეგზემპლარი დანომრილია, ISBN 978-5-93698-122. 5 (პირველი წიგნი). ISBN 978-5-93698-130-0 (მეორე წიგნი). (პოეტურთან ერთად დაბეჭდილია რუსული ბწკარედი - თარგმანი სოლომონ იორდანიშვილის. დანართი ტექსტების თარგმანი ირინა მოდევაძის. ტექსტს უძღვის თ. ჭილაძის წინასიტყვაობა და ერთვის კომენტარები, ილუსტრაციები ლორეტა აბაშიძე-შენგელიასი).

[ვუთითებთ წიგნით: მამუკა ჩხეიძე, ლევან თაქთაქიშვილი, „ვეფხისტყაოსნის გამოცემათა ბიბლიოგრაფია, 1712-2008, თბ., 2009“, გვ. 57, № 97. - ბ. დ.].

27. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ინგლისურ ენაზე (სხვადასხვა გამოცემლობის მიერ დაბეჭდილი. ამასაც მ. ჩხეიძისა და ლ. თაქთაქიშვილის ბიბლიოგრაფიის მიხედვით ვუთითებთ, გვ. 37, № 195-198).

28. პაატა შამუგია, ანტიტყაოსანი, მინი პოემა და პოსტ-ლექსები. Postპოეზია, თბ.

29. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი, კომენტარი და ლიტერატურული გარჩევა დაურთონ. ნათაძემ [რედაქტორი ალ. ჭინჭარაული], თბ.

30. ეთერ ხარაბაძე, ვეფხისტყაოსანში ზეციურ ქალაქ-სახელმწიფოს - მულღაზანზარის სახელმწიფოებრივი მოდელი და მეფე ნურადინ-ფრიდონი, ვეფხისტყაოსნის ინტონაცია მისი ლექსის

სტრუქტურასთან დაკავშირებით და მასზე მუშაობა სკოლაში, თბ., 158 გვ.

31. გურამ ტყემალაძე, ღმერთმა ქმნას თუ ქნას? - „რელიგია“, № 1, გვ. 50-62.

32. ნესტან იორდანისვილი, ამაგდარის გახსენება, გაზ. „კალმასობა“, № 1, გვ. 16.

33. შარლოტა კვანტალიანი, ტარიელი+ასმათი [პ. შამუგიას „ანტიტყაოსანის“ შესახებ], გაზ. „კალმასობა“, № 3, გვ. 12.

34. საქართველოს მწერალთა კავშირში - [„შოთაობის“ მორიგი დღესასწაულის შესახებ], „მწერლის გაზეთი“, 1-15 დეკემბერი, № 10, გვ. 16.

35. გიორგი ჯინჭარაძე, „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დროს... ხომ შეიძლება... - „მწერლის გაზეთი“, 16-31 დეკემბერი, № 11, გვ. 16.

36. გაიოზ მამალაძე, რას ნიშნავს სინამდვილეში „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვალია“, ანუ სამეფო ლეგიტიმიზმის პრინციპები „ვეფხისტყაოსანში“ - გაზ. „ქართული გაზეთი“, 19-26 ივლისი, გვ. 10.

37. პაატა შამუგია, ხელშეუხებელი სიწმინდე არ მესმის... „ანტიტყაოსანი“ უმანკო ქმნილებაა! (ესაუბრა გიორგი მამაცაშვილი) - გაზ. „ასავალ-დასავალი“, 21-27 მაისი, № 21, გვ. 10-11.

38. გიორგი მამაცაშვილი, იმ დღეს შემცბარმა მამამ შვილის ლექსების მოსმენა არ ისურვა და დარბაზი დატოვა! ათესხი ცოდათი ცოდა რექ, პაატა! - იგივე გაზეთი, გვ. 10.

39. შალერ ბენია [პაატა შამუგიას ბიძა], პაატა, აქეთ გამოიხედე, ჩვენსკენ! (ესაუბრა გიორგი მამაცაშვილი) - იგივე გაზეთი, გვ. 11.

40. [განცხადება]: „ალტერნატიული არტის ქსელი“ და გამომცემლობა „ნეკერი“ წარმოგიდგენთ პაატა შამუგიას წიგნს ანტიტყაოსანი, 18, ეროვნული ბიბლიოთეკა, III კორპუსი, საკონფერენციო დარბაზი... - იგივე გაზეთი, გვ. 11.

41. მალხაზ გველუკაშვილი, ამ ბავშვზე სერიოზულად უნდა იფიქროს მისმა ოჯახმა! (ესაუბრა ნონა ბენდელიანი) - იგივე გაზეთი, გვ. 12.

42. პროფესორი რევაზ ბარამიძე უზნეთა და უვიცთა შესახებ (ესაუბრა დიტო ჩუბინიძე) - იგივე გაზეთი, გვ. 13.



43. ასე ამბობდა რობერტ სტურუა, რომელიც რუსთაველის თეატრში „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებას აპირებს (გამეორებულია რ. სტურუას სიტყვები, რომელიც მან 2003 წლის 15 თებერვალს გაზეთ „24 საათის“ ფურცლებზე გამოთქვა, აქვეა აგრეთვე მოყვანილი მისი სიტყვები გაზ. „კვირის პალიტრიდან“) – იგივე გაზეთი, გვ. 14.

44. პუპუზა ნათაძე გრიაზნოვისა „ასაველ-დასაველს“ დაემუქრა! (ნ. ნათაძეს ესაუბრება გიორგი მამაცაშვილი) – იგივე გაზეთი, გვ. 14.

45. თემურ მირიანაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ საწინააღმდეგო მოძრაობას ნოდარ ნათაძემ დაულო სათავე (ესაუბრა გიორგი მამაცაშვილი) – იგივე გაზეთი, გვ. 15.

46. ნოდარ ნათაძე, „ვეფხისტყაოსანი“ და ეპოქის ზნეჩვეულებანი (1966 წლის №3 „მნათობიდან“ ამოღებული წერილის პირველი გვერდის სურათი), – იგივე გაზეთი, გვ. 15.

და სხვა.

ჩვენს ღიასაც რომ არ „ჩავერცხე“ (მე კი ჩვენს თანამშრომლობას არ გავამუღავნებდი!), ეს და სხვა მასალები შემეძლო მიმეწოდებინა. თუ 19-თან შედარებით რამდენად მეტი იქნებოდა, ამას მკითხველი ხელავს. აქ რ. სირაძის დახმარების ხელი ჩანს? ან როგორ უნდა დახმარებოდა, როცა რუსთველოლოგია მისთვის უცხო ხილია?! მას რომ რუსთველოლოგია აინტერესებდეს, ეს კი მაინც შეეძლო, „ცენტრის“ თანამშრომლები საამისოდ დაერაზმა. რაც შეეხება ამ ლიტერატურიდან, კერძოდ, ზოგიერთი წიგნის განხილვას ჯვარი სწერია, შლეგობა და სასაცილოა რ. სირაძისაგან ამის მოთხოვნა!

მხარდაჭერა და წახალისება ნებისმიერ მკვლევარს სჭირდება. მარტო ბიბლიოგრაფია საქმეს ვერ შეეღის. 2008 წელს „ლიტერატურულ ძიებანში“ დაიბეჭდა ირინა ნაცვლიშვილისა და მანანა შამილაშვილის წერილი „2007 წლის სამეცნიერო პუბლიკაციათა მიმოხილვა“ (№ XXIX, გვ. 299–315), სადაც საუბარია ქართული ლიტერატურის ისტორიაზე, დაწყებული ძველი ქართული მწერლობიდან. რუსთველოლოგიაზე არაფერია ნათქვამი. მე არა, მაგრამ ზოგი, ალბათ,

იფიქრებდა, ამგვარი მიმოხილვა „რუსთველოლოგიის“ ამ ბოლო (მეხუთე) კრებულში იქნებოდა. ამის ორგანიზება, რა თქმა უნდა, „ცენტრის“ ხელმძღვანელს ევალებოდა. მაგრამ რ. სირაძეს ამისთვის ცხელა ან ეს შეუძლია?!



ღია კარიჭაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ი კ ვ ლ ე ვ ს „ვეფხისტყაოსნის“ ტ ე ქ ს ტ ს. სასახელოდ, იმიტომ ვამბობ, რომ ლიტერატურის ინსტიტუტის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ არ იცის, რომ ამ დარგში უამრავი პ რ ო ბ ლ ე მ ა ა გადასაჭრელი. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (სამეცნიერო დარგში), რუსთველოლოგობაზე პრეტენზიის მქონე მაკა ელბაქიძე ამ დარგის შესახებ წერს: „რუსთველოლოგიური მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, რ ო დ ე ს ა ც უ კ ვ ე ჩამოყალიბებულია რუსთველოლოგიის ზოგადი კურსი, აღნუსხული და სისტემაში მოყვანილია რუსთველოლოგიური ლიტერატურა<sup>1</sup>, გამოცემულია

---

<sup>1</sup> ნეტავი, აქ 1966 წლის ანოტირებული ბიბლიოგრაფიაც იგულისხმება, რომლის გამოცემაზე ინსტიტუტი ხელს არ ანძრევს? არადა, მას ეყოფოდა, ი. რატიანის ნაირნაირ გრანტებს რომ თავი დაეანებოთ, მის მიერ 2008 წელს „რუსთაველის ფონდისაგან“ მიღებული სტიპენდია, თვეში 400 ლარი. რა მივიღეთ მისგან? – ბროშურა: „ჟანრის თეორია“ (2009). ავტორი გვაუწყებს: „დაბეჭდილია სამეცნიერო საგრანტო პროექტის «ლიტერატურისმცოდნეობითი დისკურსი. თანამედროვე კვლევები» ფარგლებში. დონორი ორგანიზაცია რუსთაველის ფონდი“. მასში გადმოცემულია ამ საკითხზე საზღვარგარეთ არსებული შეხედულებანი. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე, თურმე, ისიც ყოფილა, რომ „ნაშრომი ამკვიდრებს ძალზე ფართო და აქტუალურ ტერმინოლოგიურ აპარატს“ (გვ. 3). საუბარია უცხოურ ტერმინებზე, რომლებითაც, საჭიროა თუ არა, იგი გატენილია. სინამდვილეში იქ გადმოცემული მოსაზრებანი და ტერმინოლოგია ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას ცოტათი თუ გამოადგება. რუსთველოლოგიური ანოტირებული ბიბლიოგრაფია კი საქართველოს წარსულის მკვლევართა და ყველა რუსთველოლოგისათვის სამაგიდო წიგნია. მის გამოცემას ეყოფოდა აგრეთვე ი. რატიანის მიერვე ამერიკაში,

«ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერთა და ძირითად გამოცემათა ვარიანტები, ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, დაბეჭდილია «ვეფხისტყაოსნის» სიმფონია, «ვეფხისტყაოსნის» კომისიის მიერ შესწავლილია ჰოემის ეველა ხელნაწერსა და გამოცემაზე დართული ლექსიკონები, ამავე კომისიის მიერ შემუშავებული და სისტემაში მოუვანილია ძველი ქართული ლიტერატურის უმდიდრესი ლექსიკური მარაგი, რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტში შედგენილია «ვეფხისტყაოსნის» ცალკეული სტროფების შესახებ არსებული ლიტერატურის ანოტაციები, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კი თავმოყრილი და აღწერილია «ვეფხისტყაოსნის» ხელნაწერთა უმდიდრესი კოლექცია, განსაკუთრებით აქტუალურია «ვეფხისტყაოსნის» სპეციფიკურ პრობლემათა განხილვა და კვლევა ინტერტექსტუალური (! - ბ. დ.), ინტერკულტურული თუ კომპარატივისტული ასპექტით, რაც უკვე 21-ე საუკუნის რუსთველოლოგიის ამოცანაა<sup>2</sup> (კრებ.: მოგითხრობთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, თბ., 2009, გვ. 108).

ღიახ, ინსტიტუტის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, რუსთველოლოგ ქალბატონ მაკას, ყველაფერი ეს საბოლოოდ მოგვარებული და გადაჭრილი ჰგონია! სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მან არც ის იცის, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები შესწავლისაგან რა შორსაა და უამისოდ ჰოემის ტექსტის დადგენა შეუძლებელია. დაუდგენელი ტექსტით კი შორს ვერ წახვალ ან ფეხს ადვილად წაიტეხ! ასე რომ, რუსთველოლოგიის დღევანდელ ეტაპზე უპირველესად

---

ინგლისში, პოლანდიაში და ა.შ. არაფრის მაქნისი ერთი მივლინებისა და ხარჯული თანხა.

<sup>2</sup> სულერთია, კვლევის რა მეთოდის გამოყენებითაა შესრულებული ქალბატონი მაკას მიმოხილვითი, კომპილაციური სტატიები: „რუსთველური სიყვარულის კონცეფციის ძირები (ოვიდიუსიდან ტრუბადურებამდე)“, რომელიც ჟურნალ „სჯანშია“ გამოქვეყნებული (2006, № 7, გვ. 39-45) ან „სენი მე მჭირს რაცა ჭირად...“ („ლიტერატურული ძიებანი“, 2006, № XXVII, გვ. 63-71) არათუ რუსთველური სიყვარულის ძირებს გვირკვევს, „ვეფხისტყაოსნთან“ ყურით მოთრეულ საკითხებს ეხება და რუსთველოლოგიისათვის არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს.

ყურადღება კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიას უნდა მიექცეს, მაგრამ ეს მას საიდან ეცოდინება, როცა იმ ინსტრუქციებში, რასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ლიტერატურის ინსტიტუტი და ქართული ლიტერატურის უცოდინარი ხელმძღვანელობა ღებულობენ, ეს არ წერია! ინგლისური ენის ცოდნა, გაგიზარია, კარგია, მაგრამ მას მარტო იმისთვის თუ გამოვიყენებთ, რომ ჩვენში მტკიცედ გავავრცელოთ და დავნერგოთ ერების დაპყრობასა და გადაგვარებაზე დაგეშილი „გლობალისტების“ მიზანდასახულობა, ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას, კულტურას, მეცნიერებას, რუსთველოლოგიას დიახაც რომ გაანადგურებს.

მადლობა ღმერთს, ახალგაზრდა მეცნიერ ღია კარიჭა-შვილს ის, რაც ინსტიტუტის ერთ-ერთ ხელმძღვანელ რუსთველოლოგს მოგვარებული და დამთავრებული ჰგონია, ასე არ მიუჩნევია და ჩვენი გიგანტი სწავლულების ჭეშმარიტ მეცნიერულ გზას მიჰყვება.

ინსტიტუტში ყოფნისას ქალბატონ ღიას მისი ნაშრომების შესახებ ჩემს შეხედულებებს ყოველთვის ვუზიარებდი. კერძოდ, მივუთითებდი, რომ პოემის ტექსტოლოგიურ საკითხებზე სრულფასოვანი გამოკვლევები ვერ დაიწერება, თუ ნუსხათა რედაქციული აკარგიანობა ჯეროვნად გათვალისწინებული არ იქნება. კიდევაც შეეთავაზე, მოგეხმარები და „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერული მემკვიდრეობა სრულფასოვნად დაამუშავე-მეთქი.

აღნიშნული ნაკლი ახლავს ლ. კარიჭაშვილის სტატიას „ძილია თუ უძილობა“, რომელიც 2008 წლის „ლიტერატურულ ძიებანშია“ დაბეჭდილი (№ XXIX, გვ. 85-89). ავტორი განიხილავს ავთანდილისთვის ფატმანის ნაამბობს:

„სახლი და შვილი მომძულდეს, ვჯდო უგულოთა გულითა,  
მას ვიგონებდუ მღვიძარე, რა მიმეძინის ლ უ ღ ი თ ა“ (1215. 1-2).

და ნაცვლად წაკითხვისა „ლულითა“, მხარს უჭერს ვარიანტს „რულითა“.

ლ. კარიჭაშვილი, როგორც აღრე, „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხათა რედაქციული შესწავლის გარკვეულ დონემდე, იყო მიღებული, ყველა ხელნაწერს ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებს, მათ ი თ ე ლ ი ს და რ ა ო ბ ა ს არ ითვალისწინებს. ამიტომაც წერს: „«მიმეძინის» მომდინარეობს ხელნაწერთა უპრაველესობიდან“ ან „«რულითა» მომდინარეობს 4 ხელნაწერიდან“ (გვ. 89). თუ რომელია ისინი, არ ასახელებს. „რულითა“ ფორმა, რომელსაც იგი მხარს უჭერს, არის შემდეგ ოთხ ხელნაწერში – EVZR'. მათ ეწინააღმდეგება ყველა ხელნაწერი, მათ შორის ისინიც, რომლებიც იმ ძირითად რედაქციულ ჯგუფებში შედიან, რომლებსაც დასახელებული ოთხი ნუსხა განეკუთვნება. ეს კი, მიუხედავად იმისა, რომ ორთოგრაფია სხვადასხვა ნუსხასა და რედაქციულ ჯგუფში ზოგჯერ არეულია, დიდად ანგარიშგასაწევია. ამისთვის უპირველესად ყურადღება უნდა მიექცია ცენტრის ხელმძღვანელს, რომ ის ხელმძღვანელად ვარგებელიყო, როგორც ეს ი. რატიანსა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ჰგონია! რა თქმა უნდა, თავის სიმაღლეზე რომ მდგარიყვნენ, ამაზე ყურადღება უნდა გაემახვილებინათ „ლიტერატურული ძიებანის“ რედაქტორ მაკა ელბაქიძეს, „სარედაქციო კოლეგიას“ და „სარედაქციო საბჭოს“ (ამ უკანასკნელში რ. სირაძეც ბრძანდება).



ბოლოს, მრავალთაგან კიდევ ერთი ნიმუში რევაზ სირაძის ცენტრის ხელმძღვანელობისა და „დიდი“ რედაქტორული დამსახურებისა. „რუსთველოლოგიის“ მეხუთე კრებულის თავფურცელი იუწყება, რომ იგი „*ეძღვნება შალვა ნუსეზიძის დაბადების 120 წლისთავს*“. წიგნში კი მასზე არაფერია აღნიშნული. არადა, ინსტიტუტში ამ თარიღს საგანგებო სხდომა მიემდვნა, სადაც სიტყვით რ. სირაძეც გამობრძანდა. ერთ-ერთ დამსწრეს რომ ვკითხე, ვინ გამოვიდა და რა თქვეს-

მეთქი, რ. სირაძეზე მიპასუხა, *ვერაფერი გაეგვა* რა ილაპარაკაო. რაიმე საჭირო რომ ეთქვა, ცხადია, აქვე დაბეჭდავდა. ეს ჩვენი „მომხიბვლელი“ რედაქტორი იმდენად უნიათოა, ისიც ვერ მოახერხა, შალვა ნუცუბიძეზე, მის ამოუწურავ მეცნიერულ და რუსთველოლოგიურ ღვაწლზე ახალი თაობისათვის აქ შესატანი რაიმე საინტერესო მასალა მოეპოვებინა.

ძვირფასო მკითხველო, ყველაფერს ვერ აღვწვსავ. თუ ამ ტანმორჩილ რუსთველოლოგიურ კრებულს გულდასმითა და საჭირო ცოდნით წაიკითხავთ, ნახავთ, სხვაც რამდენი სუსტი და მიუღებელი ნაშრომია მასში წარმოდგენილი. ძნელი დასანახავი არაა, რ. სირაძეს რაც ხელთ ჰქონია, განუკითხავად და, ჩანს, წაუკითხავადაც შიგ ჩაუყრია. რის რედაქტორობა, რა რედაქტორობა!<sup>1</sup> თუ როგორ სჯის ირმა რატიანის ყურმოჭრილი „სამეცნიერო საბჭო“, ოქმიდან ამონაწერს ერთხელ კიდევ წაგაკითხებთ: რ. სირაძე „უკანასკნელ წლების განმავლობაში **ხ ე ლ მ მ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ დ ა რუსთველოლოგიის სამეცნიერო ც ე ნ ტ რ ს**. ამ ხნის მანძილზე ცენტრის თანამშრომელთა მიერ **მ ო მ ზ ა დ დ ა** სამეცნიერო კრებულის - «**რუსთველოლოგია**» - **მორიგი ტომი**“.

აი, სინდის-ნამუსი!

---

<sup>1</sup> მურმან თავდიშვილმა თავის კრიტიკულ წერილში „*რუსთველოლოგიური ძიებანი (რუსთველოლოგია - V)*“ გვიჩვენა, რამდენიმე სტატია რა დაბალი ღირსებისაა და მიუღებელიც. ზოლო ისეთი საყურადღებო და ანგარიშგასაწვევი შენიშვნებიც გამოთქვა, რომელთაგან ზოგის მოგვარება სწორედ რომ რედაქტორსა და სარედაქციო კოლეგიას ევალებოდათ. ერთგან წერს: „სანამ ცალკეულ ნაშრომზე ვიტყოდე რასმე, მანამ რამდენიმე საერთო შენიშვნა: ა) ბევრი ნარკვევი შესრულებულია ცუდი ქართულით, ენობრივად მწირი და უსახური; ვაუმართავია ჰუნქტუაცია; **ა რ ა ტ ე ვ ი ა ს ტ ი ლ ი ხ ტ-რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს მ ა რ ჯ ვ ე ხ ე ლ ი...**“ (გაზ. „*ხმა ერისა*“, თებერვალი, 2010, № 2, გვ. 5). მარტო „*სტილისტ-რედაქტორის ხელი*“ და არა მეცნიერ-რედაქტორის ხელი?!

## ბ. აქა გრანტიყლაპიობის ამბავი

როგორც ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ გმირმა ქურდობის წინააღმდეგ საშაქრეში ბუზის ჩასმა გამოიგონა, ასევე ირმა რატიანმა, მთავარი მეცნიერთანამშრომლის არჩევის, ანუ დანიშვნისას, სადავეები ხელთ რომ ეპყრას, მესამე მტკიცე და აუცილებელ კრიტერიუმად შემოიღო: „მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო საგრანტო თემატიკაში (საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ა რ ს ე ბ ი თ ჰ რ ი ო რ ი ტ ე ტ ა დ მიიჩნევა მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში)“. ვნახეთ, მეოთხე მოთხოვნად არის „მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში“.

აი, თურმე, რა ყოფილა მხოლოდ ამ თანამდებობისათვის დაწესებული „არსებითი პრიორიტეტი“ და არა მათ მიერვე პირველ რიგში დასახელებული „ნაშრომთა რაოდენობა და ხარისხი“.

მკითხველო, არა მარტო თქვენ, ვინ არ გაოცდება: რისთვისაა შემოღებული გრანტები ან კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა, თუ არა ხარისხიანი ნაშრომების, გამოკვლევების შესაქმნელად?! ოღონდ ესენი ყოველთვის იძლევა კი სათანადო შედეგებს?! საქართველოში რამდენმა „გრანტიყლაპია“ ნაძირალამ ჩვენს ისედაც გაუბედურებულ ქვეყანას გულ-ღვიძლი გამოჰგლიჯა?!

ჩვენი ძვირფასი ქალბატონი ირმა გრანტებსა და კონფერენცია-სიმპოზიუმებში ისე დაცურავს, როგორც ვეშაპი – ზღვაში. ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნისას გაზეთმა „კალმასობამ“ ის ასე გაგვაცნო, რომ არის „მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე“ და „არაერთი ლოკალური და საერთაშორისო საგრანტო პროექტის მონაწილე“ (2006, № 5, გვ. 7). დირექტორის სავარძლის მორგების შემდეგ ხომ საზღვარგარეთ მივლინებებს ბოლო და გრანტებსა და სტიპენდიებს თელა არა აქვს. როგორც სოსო სიგუა ზემორე მითითებულ „კვირის

ქრონიკაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში წერს, „თვითონ, რა თქმა უნდა, უოველ წელს გრანტს იღებს“. მაგრამ რა მივიღეთ ყოველივე ამისგან, — მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთიდან გადმომღერებული, ქართული ლიტერატურისათვის უმაქნის-ზე უმაქნისი თეორიები!

ირმა რატიანს ხელისუფლებისაგან იმდენი ძალაუფლება აქვს მინიჭებული, თუ მას არ უნდა, ვერ მიიღებ ვერც გრანტსა და ვერც სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებას. სოსო სიგუა იქვე, ინტერვიუში, სავსებით სამართლიანად წერს: „რატიანისთვის დამსახურება არაფერს ნიშნავს, მთავარია გრანტი და კონფერენციებში მონაწილეობა. ამ დროს გრანტი რომ მიიღო, არაოფიციალურად მაინც ირმას დასტურია საჭირო. გრანტს ღებულობს ის, ვინც ირმას უნდა. მოკლედ, რატიანი არის ბელა წიფურიას მეგობარი, რომელიც ადრე განათლების მინისტრის მოადგილე იყო. ესენი ორივენი არიან კახა ლომაიას<sup>1</sup> მეუღლის მეგობრები. თუ ამას სოროსის ფონდსა და «თავისუფლების ინსტიტუტსაც» დავუმატებთ, ირმას სიტყვას გრანტების საქმეში დიდი გასავალი აქვს“.

ი. რატიანსა და რ. სირაძეს რომ მეცნიერება და რუსთველოლოგია აინტერესებდეთ, იზრუნებდნენ, გამოეცათ 1966 წლის რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობითა და გიორგი არაბულის, ლია კარიჭაშვილის, თამარ ხვედელიანისა და ნაწილობრივ იზოლდა წაქაძის მონაწილეობითაა მომზადებული. სხვათა შორის, ამ ნაშრომისა და მისი გაგრძელების დამატებისა და გამოცემისათვის ვითხოვეთ გრანტი, სათანადო პროექტიც წარვადგინეთ, მაგრამ ჩვენს „გლობალისტებს“ „ვეფხისტყაოსანი“ და რუსთველოლოგია არა სჭირდებოდათ და უარიც მივიღეთ!

---

<sup>1</sup> გაკა ხანი და მომავალ თაობებს არ ეცოდინებათ, რომ ალექსანდრე (კახა) ლომაია საქართველოში სოროსის ფონდის გამგებელი და მერე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი იყო და რა თავგამოდებით იბრძოდა ქართული მეცნიერების გასანადგურებლად.



ახლა ი. რატიანი, როდესაც ლიტერატურის ინსტიტუტში არ მაჭაჭანებს, იმ საქმეს, სადაც მე ვარ გარეული, კეთილი თვალთ შეხედავს, მეტადრე, მას შემდეგ, რაც ჩემი წიგნი „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ არსებობს?!

იმ გრანტში („რუსთველოლოგიის თანამედროვე პრობლემები“), რომელიც ცენტრის თანამშრომლებისათვის უბოძებიათ, ვინმეზე ნაკლებ საქმეს გავაკეთებდი?! მისი მონაწილეებიდან თანამედროვე რუსთველოლოგიურ პრობლემებზე მნიშვნელოვანი კრიტიკული წერილი რამდენს დაუწერია? მაშინ როდესაც მიმდინარე რუსთველოლოგიურ საქმიანობაზე მთელი წიგნი გამოვაქვეყნე – „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ და განაწინამდებარე წიგნი უახლესი ხანის რუსთველოლოგიურ პრობლემებს არ ეხება?! გრანტოსნებიდან რამდენი დამიდგება გვერდში?!

დმერთმა ქნას, ჩვენს თხას მგელი დაეჭიროს! რევაზ სირაძეს, რომელსაც რუსთველოლოგიაში რაიმე მნიშვნელოვანი არც ადრე შეუქმნია, ხოლო ბოლო ოცი წელია, საერთოდ არაფერი გაუკეთებია, გარდა თვალთმაქცობისა, ხოლო მკაფიოდ ჩანს, უმთავრეს რუსთველოლოგიურ ლიტერატურასაც არ იცნობს, ახლა დაუბადებელი ბავშვი, მისი „გრანტში მონაწილეობა“, ის უმძლავრესი კოზირი გამხდარა, ყველა კარტს რომ იოლად ჭრის!

რაც შეეხება სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს, თუკი ამდენი ნაშრომი დავწერე, მათ საჯაროდ გამოტანასა და წაკითხვას რაღა უნდოდა? განა რ. სირაძესავით ვლულლულდებ, ვჩიფჩიფებ და აჩაბაჩად, გადახტომგადმოხტომით ვსაუბრობ? მისი საუბრიდან გარკვევით მხოლოდ ეს სიტყვები ისმის: „ჩემო ბატონო... ჩემო ბატონო“. მე კი „ძალი შემწევს ქადილისა“, ჩემი ხმა ფოლადივით რეკავს! მაგრამ, რაკი ინსტიტუტის „შაიკამ“, – ი. რატიანმა, რ. სირაძემ, ე. ხინთიბიძემ „ჩამრეცხეს“, საამისოდ ვინღა მეძახის! (თუმცა სხვა დროსაც მითქვამს და კიდევ გავიმე-

ორებს, ჩემთვის ყოველთვის მთავარი მაინც სამეცნიერო ნაშრომის დაწერა და დაბეჭდვა იყო და არა შეკრებებზე მათი გამოტანა). ი. რატიანმა, რ. სირაძემ და მისთანებმა, პირიქით, ამ ფორმალურ მხარეს ალღო ჭკვიანურად აუღეს და, იცოცხლე, საქმის ჩაწყობის ეს დიდოსტატები, სად და რაში გინდა, არ გამოჩნდებიან და ბამბას არ ააჩხრიალებენ. მეცნიერებას კი ხელში რჩება ხვიშტი!

აი, ასე ჩატარდა რუსთველოლოგიაში მორიგი კონკურსი და გაიმარჯვა ამ დარგის ო დ ი ო ზ უ რ მ ა წარმომადგენელმა რევაზ სირაძემ!

## ■

სანამ ტელევიზია ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე წამლევკავ ზეგავლენას მოიპოვებდა, მანამ კინოთეატრებში დავდიოდით და ფილმებს იქ ვნახულობდით. თბილისში ახლა, რამდენადაც ვიცი, 3 თუ 4 კინოთეატრია შემორჩენილი. ადრე ის ქალაქის ყველა უბანში იყო. როცა ფილმის ჩვენებისას კინომექანიკოსს რაღაც შეეშლებოდა, კადრი უადგილოდ გაწყდებოდა თუ სხვა რამ წუნი იქნებოდა, დარბაზი ერთბაშად იხუვლებდა: *მეხაშე, მეხაშეო!* ამ სიტყვით კინომექანიკოსს რატომ ლანძღავდნენ, ცუდი მექანიკოსობა და მეხაშეობა ვინ და რატომ დაუკავშირა ერთმანეთს, დღემდე არ ვიცი.

ახლა ბოდისის მოხდით ერთი უნდა ვიკითხო: თუ „მეხაშეობა“ არასპეციალისტობას ნიშნავს, მაქვს თუ არა უფლება, კაცს, რ უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ი ს ცენტრის ხელმძღვანელს ან მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, რომელიც ამ დ ა რ გ ის ბ ა ი ბ უ რ შ ი არ არის, მ ე ხ ა შ ე დაეუძახო?!

## ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

ღიახ, ასე „სამართლიანად“ განსაჯა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ! ვინც ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებს არ იცნობს, შეიძლება, ისე წარმოიდგინოს, რომ ეს საბჭო ინსტიტუტის ნაღებისაგან, დიდი და ბრძენი

მეცნიერებისაგან შედგება. არა, ჩემო კარგო, ისინი არაფრით გამორჩეული მკვლევარები ბრძანდებიან (რამდენიმე საერთოდაც არ არის მეცნიერი), – მხოლოდ და მხოლოდ იმ ნიშნით არიან შერჩეული, რომ დირექტორის ნების უსიტყვოდ ამსრულებელი არიან (საოცარია, მათში ერთი მაინც გარეულა, რომელმაც თავისი აზრის გამოთქმა ხმამაღლა ვერ გაბედა, მაგრამ ფარული კენჭისყრისას მხარი დამიჭირა. ყოველგვარი ირონიის გარეშე უნდა ვთქვა, თუ ეგეც „ჩაწყობილი“ არა ყოფილა, ეს პატარა საქმე არავის ეგონოს!).

ოქმში წერია და აქაც გავიმეორებ სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას:

1. გაგა ლომიძე (საბჭოს თავმჯდომარე).

2. მაია ნინიძე (მდივანი). თუ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე მის წიგნს გავეცნობით, მცირე რამ ზემორე ფელეტონში („ოჰ, ეს სიმბოლო, ალეგორიები“) მოგახსენეთ, ვნახავთ, მეცნიერული აზროვნებით ის ნესტან სულავას ტყუპისცალია.

3. მანანა კვაჭანტირაძე

4. თამარ ლომიძე

5. ღარეჯან მენაბდე

6. რევაზ სირაძე

7. რუსულან ჩოლოყაშვილი

ძვირფასო მკითხველო, თავიდანვე მქონდა განსაზღვრული, სრულად მეჩვენებინა, ბოლო სამი წლის განმავლობაში რა ნაშრომები გამოსცეს „რუსთველოლოგიის ცენტრის“ თანამშრომლებმა, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრებმა, თვითონ დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში მაკა ელბაქიძემ და მეჩვენებინა, რამდენად ნაყოფიერი იყვნენ ისინი ცალ-ცალკე და ყველა ერთად და რამდენად – მე. ამისთვის კონკურსის ჩატარებიდან ორი თუ სამი კვირის შემდეგ ინსტიტუტის კადრების უფროსს ვთხოვე, ამ თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი ნაშრომების სიას გავცნობოდი. უარი მივიღე, ამას დირექციის ნებართვის გარეშე

ვერ ვიზამო. თან მან და სხვებმაც მაცნობეს, ყველაფერი ეს ინტერნეტში იქნება ნაჩვენებო.

გავიდა რამდენიმე თვე და ინტერნეტში რომ არ აისახა, 2010 წლის 10 მარტს ინსტიტუტის დირექტორ ირმა რატიანს აღნიშნული ნებართვისათვის განცხადებით მივმართე. რა თქმა უნდა, როგორც მოველოდი, შეხსენების შემდეგ ჯერ 22 მარტს ზეპირად და შემდეგ, მოთხოვნის თანახმად, წერილობით უარი მივიღე. აი, ასეთი „რკინის“ ლოგიკით: „თქვენი წერილის (10. 03. 2010) ზასუხად გაცნობებთ, რომ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგად ახალ საშტატო ერთეულებზე დანიშნული მეცნიერ-თანამშრომლების საკონკურსო საბუთები, მათ შორის 2007-2009 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია, დაცულია მათ ჰირად საქმეებში და ინახება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში. ვინაიდან, კანონის თანახმად, ჰირად საქმეში დაცული ინფორმაცია კონფიდენციალურია, ინსტიტუტის ადმინისტრაციას არა აქვს მისი გაცემის უფლება“.

პასუხს ხელს აწერს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე მაკა ელბაქიძე, მაგრამ იგი არ არის ბეჭდით დამოწმებული, არც ინსტიტუტის ბლანკზეა წარმოდგენილი და არც კანცელარიაშია გატარებული.

აი, ასე მუშაობს ინსტიტუტის დირექცია!

ასევე მოიქცა ი. რატიანი 2006 წლის კონკურსის დროს, როცა ჩემი კონკურენტის, ნ. სულავას, ნაშრომების სიის გაცნობა მოვითხოვე. ჩემს წიგნში „უცილობის, ქლავიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ აღნიშნული მაქვს: ნ. სულავას „ბიბლიოგრაფიის გაცნობის საშუალება ირმა რატიანმა არ მომცა, აქაოდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანგებოდ ვკითხე და ეს აკრძალული არისო. არადა, ურს გვიჭედავდნენ, რეფორმა უოველმხრივ გამჭვირვალე უნდა იყოს და არისო“ (გვ. 155).

ჰა, სასაცილო არ არის, მე ჩემს ნაშრომთა სიას მთლიანად ვბეჭდავ: „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“ (გვ. 316-326), ესენი თავიანთს მალავენ!!! არ გამოიჩინება?

ძვირფასო მკითხველო, ხელთა მაქვს საბჭოს წევრთა და რუსთველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა ნაშრომები, რომელთა მოპოვება შეუძელი. ისინი უმეტესად საინსტიტუტო კრებულებშია დაბეჭდილი და თითოეული მუშაკი 2-3 და იშვიათად 4 სტატიის ავტორია.

რ. სირაძეზე უკვე ვილაპარაკეთ. აქედან, რამდენადმე დ. მენაბდის გამოკლებით, რომელია იმ რანგის სწავლული, ძველი ქართული მწერლობა, რუსთველოლოგია იცოდეს ან ჩემი ნაშრომების აკარგვიანობაში ერკვეოდეს?! შეადარეთ ერთმანეთს (უკვე დ. მენაბდის ჩათვლითაც), მათ ა ს ა კ შ ი რაოდენობრივად, ხარისხითა და პრაქტიკული გამოყენებით რა მქონდა მე გაკეთებული და მათ რა აქვთ!

შეადარეთ ერთმანეთს (რ. სირაძისა და დ. მენაბდის ჩათვლითაც) აღნიშნული ს ა მ ი წ ლ ი ს განმავლობაში რა მაქვს მე გაკეთებული და რა აქვთ მათ – ცალ-ცალკე და ყ ვ ე ლ ა ს ე რ თ ა დ?! შევთანხმდეთ, არ ვიანგარიშოთ ამ წლებში გამოსული, მაგრამ ადრე დაწერილი ნაშრომები. თუ ამათაც ჩავთვლით, მე კიდევ უფრო წინ გამოვალ. ასეთია ჩემი: 1. წიგნი „იაკობ შემოქმედელი“; 2. 1967-1968 და 1971 წლების რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია და ანოტაციები (ანოტაციები 2005 წელს დავწერე); სტატიები: 3. კომიკური „ვეფხისტყაოსანში“, 4. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებები, 5. მცხრალი მთვარის“ სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანში“ (შესულია ჩემს წიგნში: „უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“).

2007-2009 წლებში დაიწერა ჩემი შემდეგი ნაშრომები: 1. წიგნი: უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში (330 გვ.). სტატიები: 2. ისევ ე. წ. „აბდულ-მესიანის“ დათარიღების შესახებ (19 გვ.), 3. ვის გამოექცა ტარიელი? (6 გვ.), 3. მეცნიერი და მესიტყვე (3 გვ.),

5. დაუვიწყარი სახეები (2 გვ.), 6. ორი ოვანე (8 გვ.), 7. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერის პუბლიკაციის გამო (24 გვ.), 8. წინამდებარე წიგნის მთელი მეოთხე თავი (187 გვ.).

სულ - 570 გვერდზე მეტი. (კარგი და საჭირო გასახსენებელია და გავისხენოთ, რ. სირაძეს რამდენი ჰქონდა? - ჰა, ჰა, რამე რომ არ გამოგვრჩეს, 40-ამდე გვერდი თუა!)

ღიას, ერთხელ კიდევ ვიტყვი: ამ რიცხვს შეადარეთ ინსტიტუტის რუსთველოლოგიის ცენტრის ყ ვ ე ლ ა თანამშრომლის ცალ-ცალკე და ე რ თ ა დ ამ სამ წელში დაწერილი ნაშრომები. მათ მიუმატეთ ინსტიტუტის ღირექტორის მოადგილე რუსთველოლოგ მაკა ელბაქიძის ნამუშევარი და ნახვით, რომელიმე ან ყ ვ ე ლ ა ე რ თ ა დ თუ დამიდგება გვერდში?!

განა სხვა სურათს მივიღებთ, თუ სამეცნიერო საბჭოს წევრთა მონაგარს ამ თვალსაზრისით გავეცნობით?!

ასეთია ეს (ჩემთვისაც) სამწუხარო სინამდვილე! ოქმიდან ვგებულობ, საბჭოს სხდომაზე პირველი და წარმმართველი სიტყვა ქალბატონ დარეჯან მენაბდეს უთქვამს. გულწრფელად უნდა ვთქვა, ქალბატონი დარეჯანი ძალიან შემეცოდა. ამ საბჭოს წევრობამ იგი უკიდურესად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ვერ ვიტყვი, რომ ის ჯეროვნად ერკვეოდა თავისი ნათლია რ. სირაძისა და ჩემი ნაშრომების ღირსებებში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იმდენი არითმეტიკა მაინც ეცოდინება, ზემორე აღნიშნული დაეანგარიშებინა. თუმცა რა უნდა ექნა, დაპირისპირებოდა თავის ნ ა თ ლ ი ა ს რ. სირაძესა და მწყალობელ ი. რატიანს და სამსახური დაეკარგა? კი, იყო დრო, მამამისს, ბატონ ლევან მენაბდეს, ყოფილ ლექტორსა და მასწავლებელს, ეს ნათლია „თავზე რეკებით“ ემუქრებოდა, მაგრამ საჭიროებამ მოითხოვა, ეს დაევიწყებინა.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ვინ ეკითხება, ბალი ორი შაურია თუ არა! რასაც ი. რატიანი მიუთითებს, რომელიმემ ბიჭია და გადაუხვიოს!

როგორ შეიძლება, ამ საცოდავი „სამეცნიერო საბჭოს“ წევრებისაგან ვაუკაცობასა და სამართლიანობას მოვითხოვდე!

ზემოთ ნათქვამი მაქვს, ი. რატიანს მთელი ინსტიტუტი ისე დაბეჩავებული (ანუ, როგორც უკვე ხმარებაში შემოვიდა და მას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საჯარო გამოსვლებშიც იყენებს, და ჩ მ ო რ ე ბ უ ლ ი) ჰყავს, ინსტიტუტის თანამშრომლებიდან იყო ვინმე, რომელმაც ინსტიტუტიდან ჩემი გაგდების გამო ხმა ამოიღო?! მარტინ ლუთერ კინგს უთქვამს: „გარდავლენ დღენი და ძირითადად გავგახსენდება არა ჩვენი მტრების სიტყვები, არამედ ჩვენი მეგობრების ღუმილი“. მეც ეს ბოლო სიტყვები უნდა გავიმეორო, თუმცა ჩემი მტრების ქმედებებსაც რა დამავიწყებს!

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ვხედავ, ამ არითმეტიკული ციფრებით საკმაოდ გადაგლალეთ. ამიტომ ყურადღებას ერთ ცოტაოდენ ს ა ხ ა ლ ი ს ო გარემოებაზე მიგაპყრობინებთ.

ოქმში ნათქვამია, რომ რ. სირაძისა და ჩემი კონკურსის დროს რ. სირაძეს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ სხდომას დასწრებია და, ცხადია, ისმენდა და ხედავდა, თავისი „კოლეგები“ რას ამბობდნენ და როგორ იქცეოდნენ. ეს ქედმაღალი, პატივმოყვარე და მედიდური კაცი, რომელიც ზურგზე ბუზსაც არ ისვამს, მიუხედავად იმისა, მშვენივრად ხედავდა და იცოდა, მე არავინ გამიყვანდა და მას „არჩევა“ განაღდებული ჰქონდა, ვ ე რ ბ ე დ ა ვ ს, ხუთიოდე წუთით სხდომა და ტ ო ვ ო ს და გ ა რ ე თ გ ა მ ო ვ ი დ ე ს!

ან კომიკურობა აკლია ამ კონკურსის საერთო მიმდინარეობას, როდესაც საბჭოს თითოეული წევრი ახალი ვადით თავის არჩევას ესწრება, ერთმანეთს თვალში შესციცინებს და „სიყვარულით“ ხმას აძლევს! ეგებ, იყო შემთხვევა, ამა თუ იმ საბჭოს წევრმა ამა თუ იმ საბჭოს წევრის მიმართ რაიმე შენიშვნა გამოთქვა?!

ერთი სიტყვით, რამდენადაც ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ს ა ს ა ც ი ლ ო ა, იმდენად ს ა ბ რ ა ლ ო ც ა ა!

იცოცხლე, რ. სირაძე, ნ. სულავა, მათი პატრონები და ზოგი მიმდევარიც ფულებს მაგრად, ათასობით ღველავენ<sup>2</sup>. მე

---

<sup>2</sup> ეს შესანიშნავი სიტყვა იხმარება გურიაში (აღბათ, სხვაგანაც), რასაც იმგვარივე უარყოფითი შეფერილობის გაგება აქვს, როგორიცაა:

კი 108-ლარიანი სტიპენდიატი ვარ! აქ უნდა გავიმეორო მწერალ რევაზ ჭეიშვილის სიტყვები, რომლითაც ის მიმართავს თავის „უწიგნო“, მაგრამ ჭკვიან და ალლოიან ბაბუას: „ან შენ საიდან უნდა გეპარაუდა, დრო რომ ასეთ-ნაირად შეტრიალდებოდა, უსწავლელი სწავლულს, უვიცი - ვიცს, უმეცარი მეცარს თუ გადათელავდა, რას იფიქრებდი!“ (გაზ. „კალმასობა“, 2007, № 2, გვ. 4).

მეორე მწერალი, აკა მორჩილაძე, წერს: „როგორია «ვეფხისტყაოსნის» ძალა დღეს? მინდა ვთქვა, რომ ის ძ ა ღ ი ა ნ მ ც ი რ ე ა, თუ არის საერთოდ. სამუარო გამოიცვალა (...). თქვენ გინდათ, რომ «ვეფხისტყაოსანი» როგორც მხოლოდ საგანმურის ისე არსებობდეს? თუ გინდათ, რომ ის ცოცხალი იყოს? აბა, თქვი, დ ღ ე ს ვ ი ნ ფ ი ქ რ ო ბ ს ა მ ა ზ ე? მ გ ო ნ ი, ა რ ც ა რ ა ვ ი ნ“ (მოგითხრობთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, გვ. 31).

აუ, რა ადვილი და ნეტარია ცხოვრება, როცა ფული გაქვს და ნამუსი არა!

ასეთია „გლობალისტების“, ზეადმატებულთა და „დაჩ-მორებულთა“ კონკრეტული „მეცნიერული“ საქმიანობა. რის საქართველო, რა საქართველო, რის რუსთველოლოგია, რა რუსთველოლოგია. მათი დევიზია: ოღონდ მე ვიყო კარგად, დანარჩენი ყველაფერი წყალსა და მე წყერს წაუღია!

---

„ფულს ღუნავს“, „ხვეტუნ“. ის არც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ და არც „ქართულ კილო თქმათა სიტყვის კონაშია“ ასახუ-ლი. ერთსა და მეორეშიც არის დიალექტური ფორმა. პირველშია: „დვრავ-ს 1. კუთხ. (ფშ. ქიზ.) (ხელით) აცლის ცხვარს (თხას) ნაზამთრ, მოთელილ მატელს. გაღატ. ე ვ ღ ე ფ ს, მ ა რ ც ვ ა ვ ს. 2. კუთხ. (იმერ.) ა მ რ უ ღ ე ბ ს (კედელს), დ უ ნ ა ვ ს (ღურსმანს), დრეკს“ (ტ. VII, გვ. 423).

ამ სიტყვებს შორის ხომ არაა ორგანული კავშირი და მხოლოდ ფონე-ტიკური სახეცვლილება?



რუსთველოლოგიის ცენტრის ახალი ხელმძღვანელი –  
ივანე ამირხანაშვილი<sup>1</sup>

ახალმა დრომ, როგორც ასე უწოდებენ, „ახალი ქართველები“ შექმნა. ამგვარი ქართველები მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა დარგსა და საქმეში არიან. ისახება და ძლიერდება რუსთველოლოგიაშიც.

ინტერნეტში ვკითხულობ: „ინსტიტუტის დირექტორის 2009 წლის 2 სექტემბრის № 24 ბრძანების საფუძველზე რუსთველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი აკადემიური დოქტორი ივანე ამირხანაშვილი“.

ამ სენსაციურმა გადაწყვეტილებამ საყოველთაო გაკვირვება და გაოცება გამოიწვია. საგანგებოდ მიკავშირდებოდნენ და მეკითხებოდნენ, თუ გაიგე ესო; მერე – რა მკვლევარია და რა ნაშრომები აქვს მეცნიერებისათვის უცნობ ამ ხელმძღვანელსო. ძალიან არ მსიამოვნებს და მიჭირს ამაზე საუბარი, მაგრამ, ამ ცნობისმოყვარეთა ინტერესის დაკმაყოფილების გარდა, უფრო საჭირო და აუცილებელიცაა, ვაჩვენოთ, ეს დროება და ინსტიტუტის დირექტორი ირმა რატიანი რა შეუნელებელი მიზანდასახულობით ებრძვიან რუსთველოლოგიას.

ბატონი ივანეს მეცნიერების გზაზე დაყენებაში მცირე წვლილი მეც მიმიძღვის. როცა ლიტერატურის ინსტიტუტის სწავლული მდივანი ვიყავი, იმ მიზნით, რათა ინსტიტუტში კარგი ახალგაზრდობა მოსულიყო, ჩემს თანაკურსულ უნივერსიტეტულ ლექტორებს ყოველთვის ვეკითხებოდი, ვინ იყვნენ ასეთები. ერთხელაც გრივერ ფარულავამ სხვებთან

---

<sup>1</sup> მცირედენი შემოკლებით დაიბეჭდა გაზეთ „პროკლამაციაში“ (15-21 მარტი, 2010, № 10, გვ. 8). თავში რელაქცია იუწყება: „რელაქცია მზად არის გასეთის გვერდები დაუთმოს ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრების საწინააღმდეგო პოზიციასაც, თუკი, რა თქმა უნდა, ამის სურვილი ვინმეს გაუჩნდება...“. ჯერჯერობით ამის სურვილი არვის გასჩენია!

ერთად ი. ამირხანაშვილიც დამისახელა. დავესწარი ინსტიტუტში ჩატარებულ ასპირანტურის მისაღებ გამოცდას და ამ ჩვენმა ფავორიტმა თავი ვერ გამოიჩინა. ამის შესახებ მოვახსენე გრივერს. მას ეს არც გაჰკვირვებია და მისი ერთი მნიშვნელოვანი ღირსება დამისახელა, კარგი წერა იცისო, რაც შემდეგ სიმართლე აღმოჩნდა. როცა აკადემიის პრეზიდენტში ასპირანტურაში ჩასარიცხავთა მოთხოვნას ვადგენდით, ინსტიტუტის დირექტორს, ალექსანდრე ბარამიძეს, შევახსენე მის მიერვე არაერთხელ მონათხრობი ამბავი: შემდგომ გამოჩენილმა მეცნიერმა ელენე მეტრეველმა ასპირანტურაში მისაღებ გამოცდაზე იმდენად ცუდი შედეგი აჩვენა, რომ, თუ არა ბატონი ალექსანდრეს დაჟინებული თხოვნა, ბატონი კორნელი კეკელიძე ასპირანტად მას არ ღებულობდა. ბატონმა ალექსანდრემ კეთილი ინება, ბატონი ივანე დამატებით სიაში შევიყვანეთ და ასე გახდა ის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტი ძველ ქართულ ლიტერატურაში. ხელმძღვანელად დაენიშნა ბატონი სარგის ცაიშვილი.

ასპირანტურაში ყოფნისას ბატონმა ვანომ ჯვარს მაცვა. ასპირანტებს ევალებოდათ, პირად საქმეში სისტემატურად აღენუსხათ, ამა და ამ პერიოდში რა სამუშაო შეასრულეს. ჩვენი გმირი ამისთვის თავს არ იწუხებდა, აკადემიის ასპირანტურის განყოფილება კი მე, როგორც ინსტიტუტის სწავლულ მდივანს, ტყავს მაძრობდა.

ბატონი ვანო ათეული წლების განმავლობაში, დახურვამდე, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ წერილების განყოფილების პასუხისმგებელი რედაქტორი ბრძანდებოდა. იმის მაგივრად, რომ ლიტერატურულ-სამეცნიერო სტატიებს გულისყურით მოჰკიდებოდა, მათ წაკითხვასა და მთავარ რედაქტორამდე მიტანას თვეობით აგვიანებდა, ხან არც კითხულობდა და არც მიჰქონდა (რა თქმა უნდა, მასაც ჰყავდა გავლენიანი და პატივისცემი ავტორები, რომელთა სურვილებს ციმციმ ასრულებდა). სანამ პირადად არ ვეახელი გაზეთის მთავარ რედაქტორ ბატონ თამაზ წიფწივაძეს და არ გადავეცი ბატონი ვანოდან წამოღებული აკაკი ხინთიბიძის პლაგია-

ტობის შესახებ დაწერილი ჩემი პატარა „მიმართვები“, მანამ ისინი იქ არ დაიბეჭდა. შემდეგ ორივე შევიდა ჩემს წიგნში „იაკობ შემოქმედელი“ (გვ. 499-503).

ოღონდ ყოველთვის გაზეთის მთავარი რედაქტორი ვერ შევაწუხე. 1986 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძის დაბადების საუკუნე-ნახევრის იუბილეს აღსანიშნავად დიდი მზადება მიმდინარეობდა, „ლიტერატურულ საქართველოში“ მივიტანე და პირადად ბატონ ივანეს გადავეცი ჩემი პატარა სტატია მნიშვნელოვან საკითხზე, სიტყვა „ესტიბარის“ ილიასეულობაზე. დიდი ილიას, განათლებით იურისტის, ნაწერთა დედებსა და მის დროინდელ პუბლიკაციებში, ყველგან, იგი ამ სახით იკითხება. იმის გამო, რომ სხვაგან ვერ დაადასტურეს, ილიას თხზულებათა მომდევნო გამოცემებში, კერძოდ, ტომეულებში, ჩვენმა სახელოვანმა სწავლულებმა მიიჩნიეს, ფორმა „ესტიბარი“ ავტორის კალმისმიერი შეცდომააო და „ესტიბარად“ შეცვალეს. ჩემს სტატიაში დაძებნილია და მიკვლეული ძველ ქართულ ძეგლებში ამ სიტყვის ხმარების მრავალი შემთხვევა, რომ ის წარმოშობით არაბულია და ნიშნავს *სანდოს*, *ავტორიტეტს*.

გადიოდა თვეები. მიუხედავად რამდენიმე შეხსენებისა, ბატონი ივანე არც უარს მეუბნებოდა და არც წერილს მიბეჭდავდა. ბოლოს, წერილის წამოსაღებად რედაქციაში მივედი. თვითონ არ დამხვდა. ბატონმა უჩა შერაზადიშვილმა ბატონი ვანოს მაგიდის უჯრები კარგა ხანს ქექა და ერთი უჯრის ფსკერზე ძლივს მიაკვლია. იქიდან წამოსულმა წერილი ჟურნალ „კრიტიკაში“ მივიტანე. მთავარმა რედაქტორმა რევაზ მიშველაძემ სტატია ჩემ თვალწინ წაიკითხა და სასტამბოდ გამზადებულ ნომერში ჩადო. თან დააყოლა: ამაზე იტყვიან, რედაქციაში ერთი ღამეც არ გაუთევიანო (იხ.: „კრიტიკა“, 1987, № 5, გვ. 41-45).

მეორე მაგალითი: მასთან უძრავად თითქმის ერთი წელი ილო ამ კრებულის პირველი სტატია „ვისია აფორიზმი? – «სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაციისაგან!»“. დიახ, ბატონი თამაზ წივწივაძე ამჯერად ვეღარ შევაწუხე,

იგი წამოვიღე და „რუსთველოლოგიის“ მეორე წიგნში გამო-  
ვაქვეყნე.

სტატიების თვითნებური დაჩეხვა და „სწორება“, სამწუ-  
ხაროდ, ყველა გაზეთსა და ჟურნალშია მიღებული. ბატონი  
ვანოც ჩვენს (თითქოს ახლობლების) მიმართაც ასევე დაუკით-  
ხავად და შეუთანხმებლად იქცეოდა. ნოდარ ალანიაზე ჩემი  
წერილი ყველივით ისე უშნოდ მიჭრა-მოჭრა, ზოგი რამ  
გაუგებრი დარჩა („ლიტერატურული საქართველო“, №5,  
2005). მეტი გულითადობა და პატივისცემა რომ გამოეჩინა  
ნოდარ ალანიას, გარდაცვლილი კაცისადმი (ჩემზე აღარაფერს  
ვამბობ) და დავებახებინე, მას აზრიანად შევამოკლებდი (ეს  
მოგონება ახლახან სრულად დაიბეჭდა ჟურნალ „ქართულ  
მწერლობაში“, 2009, № 6).

მეცნიერებაში იმდენი არეულ-დარეულობაა, რომ სად  
გნებავთ, ბატონი ივანე მეტრად არ „იჯდეს“! „ლიტერა-  
ტურული ძიებანის“ „სარედაქციო კოლეგიის“ წევრი ხომ  
არის და არის. ნიშანდობლივია, რომ „ქართულმა მართლმადი-  
დებლურმა ენციკლოპედიამ“ დამიკვეთა რამდენიმე სტატია  
ჩვენს სასულიერო მწერლებზე, მათ შორის, მამუკა გურამი-  
შვილზე. დავალება შევასრულე. ვინაიდან დავით გურამი-  
შვილზე ნამუშევარი იყო, აღმოჩნდა, რომ მამუკაზე სტატია  
ბატონ ვანოსაც დაეწერა და იმდენად დიდი ავტორიტეტი აქვს,  
უპირატესობაც მას მისცეს. მაშინ როდესაც მისი სტატია  
კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის  
ისტორიის“ მიხედვითაა დაწერილი და არ ითვალისწინებს  
შემდეგდროინდელ ნაშრომებს; სახელდობრ, ამ მწერლის  
შესახებ არსებობს ჩემი გამოკვლევა, სადაც არაერთი საკითხი  
ახლებურადაა განხილული<sup>1</sup> („მწიგნობარი-05“, გვ. 125-134).

